

ჩვენს ნათამე

# ფსიქოლოგიის მოკლე კურსი

(მეხუთე გამოცემა)

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო  
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ  
დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის



თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა  
თბილისი — 1989

წიგნში სისტემატური საათი არის გადმოცემული ზოგად-ფსიქოლოგიური კანონზომიერებები გარდა ამისა ცალკე თავში მოცემულია ბავშვის ფსიქიკის განვითარების მოკლე მიმოხილვა.

ნაშრომი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ არაფსიქოლოგიური სპეციალობის სტუდენტებისათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989

4310020000  
H M 608(08)-89

ISBN 5-511-00025-6

## პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

ზოგადი ფსიქოლოგიის მოკლე კურსი შედგენილია უნივერსიტეტის არაფსიქოლოგიური სპეციალობების ფაკულტეტებისათვის.

ამჟამად ფსიქოლოგიის მოკლე კურსი უნივერსიტეტში იკითხება ისტორიის, ფილოლოგიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტებზე.

ამ ფაკულტეტებისათვის ფსიქოლოგიის სპეციალური სახელმძღვანელოს შედგენის საჭიროება ფსიქოლოგიის კათედრას დიდი ხანია გათვალისწინებული ჰქონდა, მაგრამ ეს აქამდე ვერ მოხერხდა; უნივერსიტეტის არაფსიქოლოგიური სპეციალობებისათვის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო დღემდე არ არსებობს.

წინამდებარე წიგნი გათვალისწინებულია მკითხველისათვის, რომელსაც ფსიქოლოგიის დარგში ელემენტარული ცოდნაც არ გააჩნია. ამასთან იგი იძლევა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დადგენილ ისეთ კანონზომიერებათა გათვალისწინებას, რომელსაც არა ვიწრო სპეციალური, არამედ ზოგად-საგანმანათლებლო და მომავალი პედაგოგისათვის ღირებული მნიშვნელობა აქვს.

გარდა ამისა, რამდენადაც არაფსიქოლოგიურ სპეციალობებზე ფსიქოლოგია ისწავლება, როგორც მომავალი პედაგოგებისათვის საჭირო დისციპლინა, მიზანშეწონილად

ჩვეთვალეთ ზოგადი ფსიქოლოგიის მოკლე კურსის დალაგების შემდეგ მოგვეცა დამატებითი თავი ფსიქიკის განვითარების შესახებ ბავშვობის პერიოდში, როგორც ამას გულისხმობს ფსიქოლოგიის პროგრამა სათანადო დარგებისათვის.

მადლობელი ვიქნებით, თუ მკითხველები, განსაკუთრებით უმაღლესი სკოლის ფსიქოლოგიის მასწავლებლები, მოგვაწვდიან შენიშვნებს იმ ხარვეზთა თუ ნაკლთა შესახებ, რაც გააჩნია ამ წიგნს.

## ფსიქოლოგიის ზოგადი საუბკვები

### § 1. ფსიქოლოგიის საგანი

#### რას შეიწავლის ფსიქოლოგია

ფსიქოლოგია არის მეცნიერება ფსიქიკის შესახებ. ამ მეცნიერების საგანს ფსიქიკა შეადგენს. ფსიქოლოგია ფსიქიკური ცხოვრების კანონზომიერებებს შეისწავლის. მისი ამოცანაა ფსიქიკურ მოვლენათა აღწერა და ახსნა, მათი ანალიზი და მათი მიმდინარეობის კანონზომიერებათა დადგენა. ფსიქოლოგია შეისწავლის შეგრძნებებსა და გრძნობებს, მეხსიერებასა და ყურადღებას, აზროვნებასა და ნებისყოფას, აღქმასა და წარმოდგენებს და მათ მიმდინარეობას და ა. შ.

მაგრამ ფსიქიკური პროცესები და საზოგადოდ ფსიქიკა დამოუკიდებლად კი არ არსებობენ, არამედ კონკრეტული, ცოცხალი ადამიანის, მთლიანი პიროვნების გამოვლენას წარმოადგენენ, ამიტომ მათი თავისებურებები დამოკიდებულია პიროვნების თავისებურებებზე, მის ფსიქიკურ თვისებებზე და მის შინაგან მდგომარეობაზე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს პიროვნება, კონკრეტული ადამიანი ამ პროცესთა მოქმედების გზით.

აქედან გასაგებია, რომ ფსიქიკური პროცესების გაგება მათი მატარებელი ადამიანისაგან მოწყვეტილად, მისი პიროვნების თავისებურებათა და მის შინაგან მდგომარეობათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ფსიქოლოგია შეისწავლის არა მხოლოდ ფსიქიკურ პროცესებს, არამედ ადამიანის, პიროვნების ფსიქიკურ თვისებებსაც — მის ხასიათსა და ტემპერამენტს, მის უნარებსა და ინტერესებს, მის მიდრეკილებებს და ა. შ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ფსიქიკური პროცესები ადამიანის მოქმედების სახით ვლინდებიან. ადამიანის მოქმედება, ანუ

ქცევა, მხოლოდ ფიზიკურ პროცესს როდი წარმოადგენს. მას ფიზიკური და ფსიქიკური მხარე გააჩნია. ადამიანის აქტიუობა ფსიქოფიზიკური მოქმედების სახით ვლინდება. მოქმედების განხორციელებაში არსებით როლს ფსიქიკური პროცესები ასრულებენ. საგნის ან მოვლენის აღქმა თუ გაგება, მსჯელობა, გადაწყვეტილების გამოტანა, განზრახვა, მოქმედების მიზნის დასახვა, თუ მისი წარმოდგენა, სურვილი, მისწრაფება და ა. შ. ადამიანის მოქმედებას ან გარკვეული მოქმედების განუყრელ, არსებით მომენტებს წარმოადგენენ. ამ მომენტების გათვალისწინების გარეშე ადამიანის მოქმედების გაგება შეუძლებელია. მეორე მხრივ, ამ ფსიქიკური პროცესების გაგებაც, მათი შესწავლა სათანადო მოქმედების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

ერთი მხრივ, ფსიქიკური პროცესები ყოველთვის წარმოადგენენ ადამიანის მოქმედებას ან მის არსებით მხარეს, თუ მომენტს. მეორე მხრივ, ადამიანი მოქმედების პროცესში არა მხოლოდ გარემოს ცვლის, არამედ თვითონაც იცვლება. მოქმედების პროცესში ყალიბდება პიროვნება და მისი თვისებები: ხასიათი, ნებისყოფა, ინტერესები, მიდრეკილებანი, აზროვნების, მეხსიერების, თუ ყურადღების თავისებურებები.

აქედან ცხადია, რომ ფსიქოლოგიამ ფსიქიკა უნდა შეისწავლოს ადამიანის მოქმედებასთან კავშირში, როგორც ადამიანის აქტიუობის გამოვლენა.

(ღაბოლოს, ფსიქიკა არ წარმოადგენს თავისთავად არსებულ, დამოუკიდებელ რეალობას; მას მატერიალური საფუძველი აქვს; (იგი, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „განსაკუთრებული სახით ორგანიზებული მატერიის თვისებაა“; სახელდობრ, „ტვინის პროლექტია“. (მას გარკვეული ფიზიოლოგიური პროცესები — ტვინის ფიზიოლოგიური მოქმედება უდევს საფუძვლად. აქედან ცხადია, რომ ფსიქოლოგია თავის საგნის შესწავლისას ფართოდ უნდა იყენებდეს ფიზიოლოგიის მონაცემებს ტვინის მოქმედების შესახებ.) ტვინის მოქმედების ფიზიოლოგიური კანონზომიერებანი ფსიქოლოგიის „სახელების მეტყველო საფუძვლებს“ უნდა წარმოადგენდნენ. საბჭოთა მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ეს კანონზომიერებები გაშუქებულია უმთავრესად მოძღვრებაში „უმადლესი ნერვული მოქმედების“ შესახებ, რომელიც დაამუშავეს ი. პ. პავლოვმა და მისმა თანამშრომლებმა.

[ ამრიგად, თანამედროვე ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს ფსიქიკა, როგორც მთლიანი პიროვნების მოქმედება. ]

( ფსიქოლოგიის საგანს ფსიქიკა შეადგენს. ასეთია ფაქტიური მდგომარეობა. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის გაგებული ფსიქიკის რაობა, ფსიქოლოგიის საგანიც განსხვავებულადაა გაგებული.)

( კერძოდ, ამ მეცნიერების ისტორიული განვითარების პროცესში ფსიქოლოგიის საგნის ჩამოყალიბებაში ასხვავებენ ოთხ ძირითად ეტაპს:)

1. როდესაც ფსიქიკური პროცესები გულუბრყვილოდ ესმოდათ. როგორც რაღაც ზებუნებრივი, „სინამდვილის გადაღმა“ არსებული, მეტაფიზიკური არსის — „სულის“ — გამოვლინებები, მაშინ ფსიქოლოგიის ამოცანასაც ამ „სულის“ გაგებაში ხედავდნენ. ფსიქოლოგია სულის შესახებ მეცნიერებად ითვლებოდა, რასაც მისი სახელწოდებაც გამოხატავს<sup>1</sup>. | რადგანაც სული ემპირიულ სინამდვილეში, ე. ი. ადამიანის გამოცდილებისათვის მისაწვდომ სინამდვილეში, არ არსებობს და მისი უშუალო შესწავლა შეუძლებელია, ამიტომ ამ ეტაპზე, ე. წ. „მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის“ ეტაპზე, ფსიქიკურ მოვლენებს შესწავლიდნენ მხოლოდ როგორც საშუალებას მთავარი მიზნის მისაღწევად, სახელდობრ, „სულის“ შესასწავლად. ფსიქიკურ მოვლენებს შეისწავლიდნენ იმისათვის, რომ გაეგოთ „სულის“ თვისებები და უნარები.

| ფსიქოლოგიის საგნის ასეთი პრიმიტიული, არამეცნიერული გაგება კვლევის მეთოდსაც განსაზღვრავდა. ნაცვლად რეალური ფსიქიკური პროცესების დაკვირვებისა და ანალიზისა, ავტორები ძირითადად მიმართავდნენ „აზრითი განჭვრეტის“, ანუ „სპეკულატიური აზროვნების“ გზით ფსიქიკურ პროცესთა მიღმა ნაგულისხმევი „სულის“ თვისებათა შესახებ მსჯელობას. | ეს „განჭვრეტის“ მეთოდი, რა თქმა უნდა, მეცნიერულ მეთოდს არ წარმოადგენს. ამ ეტაპზე ფსიქოლოგია ცოდნის დამოუკიდებელ დარგს ჯერ არ შეადგენდა; იგი ფილოსოფიის წიაღში ვითარდებოდა — ფილოსოფიის დარგს წარმოადგენდა და საკუთარი მეცნიერული მეთოდებიც არ გააჩნდა.

| ამრიგად, განვითარების ამ პირველ, გულუბრყვილო ეტაპზე ფსიქოლოგიას ჯერ ვერ მიუღწევია მეცნიერულ დონემდე. ამას შე-

<sup>1</sup> „ფსიქე“ ბერძნულად სულს ნიშნავს. ეს სახელწოდება — „ფსიქოლოგია“ — შენარჩუნებულია მე-17 საუკუნიდან.

უძლებლად ხდიდა მეცნიერების საგნად სულის აღიარება (მეცნიერების საგანი მხოლოდ სინამდვილეში არსებული რამ შეიძლება იყოს) და შესწავლის მეთოდად აზრითი განჭვრეტის გამოყენება. ამიტომ ეს ხანგრძლივი ეტაპი, რომელიც ძირითად ფორმებში ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული ახალ დრომდე გრძელდებოდა, სამართლიანად ითვლება წინამეცნიერულ ეტაპად. მას ხშირად „მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიასაც“ უწოდებენ.

2. /ახალ დროში, ბურჟუაზიის აღმავლობის პერიოდში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ინტენსიურმა განვითარებამ გავლენა მოახდინა ფსიქოლოგიაზე და, კერძოდ, ფსიქიკის გაგებაზედაც. სულის ცნება განიღვენა მეცნიერებიდან და ფსიქოლოგიის საგნად აღიარებულ იქნა „ფსიქიკური მოვლენები“ ანუ „ფსიქიკური პროცესები“. ხოლო რამდენადაც ფსიქიკური მოვლენები რეალურს, ე. ი. ადამიანის გამოცდილებაში მოცემულს — „ემპირიულ“ მოვლენებს წარმოადგენენ (ყოველი ადამიანი განიცდის — გრძნობს, წარმოიდგენს, აზროვნებს და ა. შ.), ამდენად ფსიქოლოგიის განვითარების ეს ეტაპი ცნობილია „ემპირიული ფსიქოლოგიის“ სახელწოდებით. ამ სახელწოდებით ფსიქოლოგიის ეს მიმართულება უპირისპირდება „მეტაფიზიკური“ ფსიქოლოგიის ეტაპს, როგორც „უსულო ფსიქოლოგია“, რომელიც მეტაფიზიკური სულის ნაცვლად ემპირიულ ფსიქიკურ მოვლენებს შეისწავლის.

/ ამ ეტაპიდან უკვე იწყება ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარება; ეს უკვე მეცნიერული ფსიქოლოგიის განვითარების დასაწყისია. /მაგრამ, მიუხედავად იმდენი წინსვლისა, რომელსაც წარმოადგენდა ემპირიული ფსიქოლოგია, ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელი გაგება ფსიქიკისა თანამედროვე მარქსისტული მეცნიერების თვალსაზრისით მიუღებელია, მცდარია, და ამ მიმართულების მიერ მოცემული ფსიქოლოგიის საგნის გაგებაც მიუღებელია.

ფსიქიკის იდეალისტურმა, სახელდობრ, „ფსიქიკური უაღიზმისათვის“<sup>1</sup> დამახასიათებელმა გაგებამ განაპირობა „ემპირიული ფსიქოლოგიისათვის“ საბედისწერო შეცდომა. ფსიქიკური პროცესები და საზოგადოდ ფსიქიკა ამ კონცეფციის თანახმად, ძირითადად, გაგებულია, როგორც მატერიალურ სამყაროდან

<sup>1</sup> ასე ეწოდება ფილოსოფიურ კონცეფციას, რომელიც გულისხმობს, რომ სამყარო ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სინამდვილეს — სულიერსა და მატერიალურ სინამდვილეს შეიცავს.



მოწყვეტილი, მისგან დამოუკიდებელი, თავის თავში დახშული სინამდვილე—დამოუკიდებელი ფსიქიკური სამყარო.<sup>1</sup>

| ფსიქიკის ასეთი შემცდარი გაგების შედეგად, ემპირიული ფსიქოლოგია ფსიქიკურ მოვლენებს შეისწავლიდა მათი განმსაზღვრელი მატერიალური პროცესებისაგან დამოუკიდებლად; სახელდობრ, როგორც ფსიქიკური პროცესების საფუძვლად მდებარე ფიზიოლოგიური პროცესებისაგან დამოუკიდებლად, ისე ადამიანის ფსიქიკურ თავისებურებათა განმსაზღვრელი საზოგადოებრივი მოვლენებისაგანაც მოწყვეტით. ამასთან ერთად ეს ცალკეული ფსიქიკური მოვლენები შეისწავლებოდა მათი მატარებლის — ცოცხალი ადამიანის, მთლიანი პიროვნებისაგან დამოუკიდებლად. გამოდიოდა, რომ ეს პროცესები ადამიანის, მთლიანი პიროვნების გამოვლენას კი არ წარმოადგენენ, არამედ მის გარეშე მიმდინარეობენ. სულის ცნებასთან ერთად ფსიქოლოგიური მეცნიერებიდან ფაქტიურად განიდევენა სუბიექტის, მთლიანი პიროვნების ცნებაც.

(მანკიერი იყო ემპირიული ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდიც. ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელი იყო ფსიქიკის როგორც წმინდა სუბიექტურის, როგორც მხოლოდ განცდითი მოვლენის გაგება; ამდენად ითვლებოდა, რომ ფსიქიკური პროცესების დაკვირვება მხოლოდ თვით სუბიექტს, ამ პროცესების განმცდელს შეუძლია და ამიტომ ფსიქოლოგიის ძირითად, და ხშირად ერთადერთ მეთოდად აღიარებული იყო თვითდაკვირვების მეთოდი, რომელიც ხშირად სუბიექტივისტური ხასიათის შეცდომების წყაროს წარმოადგენს (იხ. შემდეგი პარაგრაფი), ამიტომ ემპირიულ ფსიქოლოგიას უსაყვედურებენ ხოლმე სუბიექტივიზმს.

(ზემოაღნიშნულის გამო, ემპირიულმა ფსიქოლოგიამ ვერ შეძლო ადამიანის (პიროვნების) ფსიქოლოგიის მეცნიერული გაშუქება. ამის ნაცვლად იგი იძლეოდა აბსტრაქტულად აღებულ, ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა (შეგრძნებების, მეხსიერებისა და ა. შ.) აღწერასა და ანალიზს, რასაც ცოცხალი, მთლიანი ადამიანის ფსიქოლოგიის გაგებისათვის მეტად მცირე მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ემპირიულმა ფსიქოლოგიამ ვერ გაამართლა ის იმედები, რასაც მეცნიერულ ფსიქოლოგიაზე მეცნიერებისა და საზოგადოდ კულტურის სხვა დარგები ამყარებდნენ, რომელთაც სჭირდებოდათ ადამიანის გაგება. ემპირიულმა ფსიქოლოგიამ ვერ გაუწია შესამჩნევი დახმარება ამ დარგებს.

<sup>1</sup> დაწვრ. იხ.: დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940.

3. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, უმთავრესად ამერიკაში და რუსეთში, აღმოცენდა ახალი მიმართულება ფსიქოლოგიაში, რომელიც ამ მეცნიერების განვითარების მესამე ეტაპად ითვლება. ეს არის ეგრეთწოდებული ქცევათმეცნიერება, ანუ ბიჰევიორიზმი (ბიჰევიორ ინგლისურად ქცევას ნიშნავს). /

[ეს მიმართულება აღმოცენდა ემპირიული ფსიქოლოგიის სუბიექტივიზმთან ბრძოლის პროცესში, მაგრამ იგი მეორე უკიდურესობაში გადავარდა, ამიტომ ფსიქოლოგიის საგანი ბიჰევიორიზმს არა ნაკლებად დამახინჯებულად ესმის, ვიდრე ემპირიულ ფსიქოლოგიას.]  
ქცევათმეცნიერებამ სრულიად უარყო თვითდაკვირვების შესაძლებლობა და აქედან საზოგადოდ ფსიქიკის შესწავლა შეუძლებლად მიიჩნია; მან სულ აიღო ხელი ფსიქიკურ პროცესთა შესწავლაზე და ფსიქოლოგიის საგნად ადამიანისა და ცხოველის ქცევა აღიარა: იმისათვის, რომ გავიგოთ ადამიანი ან ცხოველი, უნდა შევისწავლოთ მისი ქცევა. სახელდობრ, უნდა ვიცოდეთ რა სტიმულს (გამღიზიანებელს) რა მოძრაობით (რეაქციით) უპასუხებს ადამიანი. ეს რომ გვეცოდინება, ადამიანის ქცევის პროგნოზიც შესაძლებელი გახდება; ეს კი ადამიანის გაგებას ნიშნავს.

ასეთი კონცეფცია შემცდარია თავის ფილოსოფიურ ამოსავალ დებულებებშიც და პრაქტიკულადაც შეუძლებელს ხდის ადამიანის გაგებას.]

ამ მიმართულებასაც სამყარო დუალისტურად ესმის — ფსიქიკური სამყარო მატერიალურიდან სრულიად დამოუკიდებელ, მეორე სინამდვილედაა მიჩნეული. თუ ემპირიული ფსიქოლოგია ერთი სინამდვილის, სახელდობრ, ფსიქიკურის, შესწავლას ისახავდა მიზნად, ქცევათმეცნიერება სწავლობს მეორე მხარეს — მოძრაობებს, ე. ი. მატერიალურ სინამდვილეს. ცხადია, რომ ორივე მიმართულება ერთმანეთის საპირისპირო, ცალმხრივ მიდგომას წარმოადგენს ადამიანის შესწავლაში.

[ბიჰევიორიზმის ერთ-ერთი შტო უარყოფს ფსიქიკის შესწავლის არა მხოლოდ შესაძლებლობას, არამედ საჭიროებასაც, რადგანაც თვლის, რომ ფსიქიკას არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის მოქმედებაში და საზოგადოდ ობიექტურ სამყაროში,] რადგანაც სინამდვილე მხოლოდ მატერიალურია, და ამ მატერიალურ სინამდვილეში ფსიქიკას, ამ გაგების თანახმად, არავითარი

რეალური მნიშვნელობა არა აქვს.) ასეთი მსოფლმხედველობა ვულგარულ, მექანიკურ მონიშმს წარმოადგენს; იგი ვერ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას. ფსიქიკის რეალური მნიშვნელობის უარყოფა დაუშვებელია. ფსიქიკური მხარის გარეშე შეუძლებელია როგორც ცალკე ადამიანის მოქმედების განხორციელება, ისე თვით კულტურის ფაქტის არსებობა.

ბიჰევიორიზმის შემცდარი პოზიცია ფსიქიკის შესწავლის მიმართ განაპირობებს ამ მიმართულების სრულ უძლეურებას ფსიქოლოგიის ძირითადი ამოცანის წინაშე: ადამიანის გაგება მხოლოდ მისი მოძრაობებისა და მათი გამლიზიანებლების აღწერით სრულიად შეუძლებელია. ადამიანის ქცევა მის მოქმედებას<sup>1</sup> წარმოადგენს, ხოლო ადამიანის მოქმედებას გარკვეული აზრი (Смысл) გააჩნია, მას გარკვეული მოტივები განააზღვრავენ და იგი გარკვეული მიზნისაკენ არის მიმართული; მოქმედების არსებით მხარეს ფსიქიკური მხარე შეადგენს, რომლის გათვალისწინების გარეშე მოქმედების გაგება შეუძლებელია. მოქმედების გაიგივება მოძრაობებთან შეცდომას წარმოადგენს. ერთი და იგივე მოძრაობები შეიძლება შეადგენდეს არსებითად განსხვავებულ მოქმედებას იმის მიხედვით, თუ რა მოტივით და რა მიზნით სრულდება ეს მოძრაობები. ასევე, ერთი და იგივე მოქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მოძრაობებით. მხოლოდ მოძრაობათა აღწერა ვერ გავგაგებინებს ადამიანის მოქმედებას, თუ არ გვეცოდინება ამ მოქმედების აზრი, ის მოტივები და მიზნები, რომელიც ამოძრავებდა ადამიანს.

<sup>1</sup> ბუნებრივია, რომ ბიჰევიორიზმმა კიდევ უფრო ნაკლებ შედეგს მიაღწია ადამიანის გაგებაში, ვიდრე ემპირიულმა ფსიქოლოგიამ. /

4. / უკანასკნელ — მეოთხე ეტაპს ფსიქოლოგიის საგნის გაგების ისტორიაში წარმოადგენს თანამედროვე მარქსისტული ფსიქოლოგია. ფსიქიკის რაობის გაგებაში იგი ამოდის დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრებიდან ფსიქიკის შესახებ. /

ამ მოძღვრების თანახმად სამყარო ერთიანია, მატერიალურია, მაგრამ ამ მატერიალურ სამყაროში ადგილი აქვს ფსიქიკასაც. ფსიქიკას სავსებით რეალური მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, ადამიანის ქცევაში, მის მოქმედებაში, მაგრამ ფსიქიკა ცალკე, დამოუკიდებელ

---

<sup>1</sup> ქართულად ამ ტერმინით — მოქმედება — ფსიქოლოგიაში აღნიშნავენ როგორც მოქმედების ცალკეულ აქტს (რუს. действие), ისე მოქმედების რთულ პროცესს (რუს. деятельность).

სამყაროს კი არ წარმოადგენს, როგორც ამას ფსიქოფიზიკური დუალიზმი გულისხმობს (იხ. ზემოთ), არამედ იგი მატერიის თვისებაა, ფსიქიკა ტვინის გარეშე არ არსებობს. „შეუძლებელია აზროვნების გამოთიშვა მატერიისაგან, რომელიც აზროვნებს“ (ენგელსი).

/ ეს თვისება — ფსიქიკა — მატერიის მხოლოდ მაღალ განვითარებულ ფორმას გააჩნია, სახელდობრ, იმ „განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის“ (ლენინი) ფორმას, რომელსაც ტვინი წარმოადგენს.

„აზროვნება და შეგნება ტვინის პროდუქტია“, წერს ენგელსი. მატერიის ორგანიზაციის უფრო დაბალ ფორმებს — მაგალითად, უმდაბლეს ორგანიზმებს, ფიზიკურ თვისებათა გარდა ბიოლოგიური თვისებები გააჩნიათ (ნივთიერებათა ცვლა, გაღიზიანებაზე რეაგირების უნარი, რასაც გაღიზიანებადობა ეწოდება და ა. შ.), მაგრამ მათ ფსიქიკა არა აქვთ. არაორგანულ მატერიას ხომ არც ბიოლოგიური თვისებები გააჩნია, მას მხოლოდ ფიზიკური და ქიმიური ბუნების თვისებები ახასიათებს.

რა მნიშვნელობა აქვს ამ თვისებას — ფსიქიკას, რა ფუნქციას ასრულებს იგი?

ასახვის ლენინური თეორიის მიხედვით, ფსიქიკის არსი მდგომარეობს ჩვენ განდამოუკიდებლად, ობიექტურად არსებული მატერიალური სინამდვილის ასახვაში: ობიექტური სამყარო შეგრძნებათა ორგანოების მეშვეობით ზემოქმედებს ადამიანის ტვინზე და იწვევს ფსიქიკურ პროცესებს, რომელნიც ამ ორგანიზმზე მოქმედ საგანთა (მოვლენათა) ასახვას წარმოადგენენ. ამ აზრით ამბობენ, რომ მატერია პირველადია, ხოლო ფსიქიკა — მეორადი. მატერიას არის წყარო შეგრძნებებისა და სხვა ფსიქიკური პროცესებისა.

ობიექტური სინამდვილის ასახვის ფორმები ორგანიზმთა განვითარების საფეხურების მიხედვით განსხვავებულია: ფსიქიკა — დაწყებული დაბალი ცხოველების მხოლოდ შეხების შეგრძნებიდან და ადამიანის მეცნიერული აზროვნებით დამთავრებული — ობიექტური სინამდვილის ასახვის ფუნქციას ასრულებს. ამაშია მისი არსი: ყოველი ფსიქიკური მოვლენა, ყოველი განცდა რაიმეს განცდაა, იგი აუცილებლად რაიმე საგანს (მოვლენას) გულისხმობს, — ამა თუ იმ სახით ასახავს მას. ჩვენი შეგრძნებები და აღქმები ობიექტური მოვლენების „სუბიექტურ ხატებს“ (ე. ი. ლენინი) წარმოადგენენ.

მაგრამ ეს ასახვა პასიური, „სარკისებური“ ასახვა როდია: ასახვა ხორციელდება ადამიანის აქტიური მოქმედების პროცესში, სახელდობრ, გარემოზე ადამიანის ზემოქმედებისა და მისი გარდაქმნის პროცესში. ასახვის სისწორის კრიტერიუმს ადამიანის პრაქტიკა, ე. ი. მოქმედება, წარმოადგენს. მოქმედება, რომელიც ხორციელდება მოცემულ მოვლენათა არასწორი, შემცდარი გაგების საფუძველზე, ვერ აღწევს მიზანს — მარცხით მთავრდება.

ადამიანის მოქმედება ფსიქოფიზიკური მთლიანობაა; მას ფიზიკური და ფსიქიკური მხარეებიც გააჩნია.

ფსიქიკის ასეთი კონცეფციის საფუძველზე მარქსისტული ფსიქოლოგია ფსიქიკას შეისწავლის არა როგორც თავის თავში დახშულს, დამოუკიდებელ სინამდვილეს, როგორც ეს ემპირიული ფსიქოლოგიისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ როგორც ობიექტურადაც — ადამიანის მოქმედების სახით მოცემულს. ემპირიული ფსიქოლოგიის საწინააღმდეგოდ თანამედროვე ფსიქოლოგია თვითდაკვირვების მეთოდით კი არ შემოიფარგლება, არამედ ფართოდ იყენებს სხვისი ქცევის დაკვირვების მეთოდსაც (იხ. ქვემოთ § 2). მაგრამ სხვისი მოქმედების შესწავლისას, იგი ქცევას მოძრაობათა ჯამზე კი არ დაიყვანს და ფსიქიკის შესწავლაზე კი არ იტყვის უარს, როგორც ეს ბიჰევიორიზმისათვის არის დამახასიათებელი, არამედ, პირიქით, ადამიანის მოქმედებაში მის ფსიქიკურ მხარეს მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.

[ ფსიქიკურ პროცესებს და ადამიანის მოქმედებას თანამედროვე ფსიქოლოგია იხილავს არა მოწყვეტილად ადამიანის პიროვნებისაგან, არა როგორც თავისთავად, დამოუკიდებლად მოცემულ პროცესებს, არამედ, როგორც მთლიანი კონკრეტული ადამიანის აქტივობის გამოვლენებს, პიროვნების ფსიქიკურ თავისებურებებთან განუყრელ კავშირში]

## § 2. ფსიქოლოგიის მეთოდები

### ექსპერიმენტი

თანამედროვე ფსიქოლოგია ექსპერიმენტული მეცნიერებაა: მისი კვლევა-ძიების ძირითად მეთოდს შეადგენს ცდა (ექსპერიმენტი). ექსპერიმენტის ანუ ექსპერიმენტული დაკვირვების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მკვლევარი ხელოვნურად შექმნი-

ლი პირობებით, თავის ნებით (ხშირად აპარატურის გამოყენებით) გამოიწვევს შესასწავლ მოვლენას და ასე შეისწავლის მას. ექსპერიმენტი შესაძლებლობას იძლევა შესასწავლი მოვლენა მრავალჯერ იქნეს გამეორებული, განცალკევებული სხვა მოვლენებისაგან და გამოვლენილი სხვადასხვა ვარიაციის, მისი პირობების ვარიაციის მეშვეობით. ამიტომ ეს მეთოდი ჩვეულებრივ უფრო ზუსტი და ინტენსიური კვლევის შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე ბუნებრივი დაკვირვების მეთოდი.

ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის დროს სუბიექტს (ცდისპირს) აყენებენ ისეთ პირობებში, ისეთ ამოცანებსა და დავალებებს აძლევენ, რომელიც გამოიწვევს მასში იმ ფსიქიკურ პროცესს, იმ მოქმედებას, რომლის შესწავლა აქვს განზრახული მკვლევარს, კვლევა ხშირად სათანადო აპარატურის გამოყენებით წარმოებს. მაგალითად, მეხსიერების შესასწავლად სპეციალურად შედგენილი მეთოდებით აწვდიან ცდისპირს დასახსომებლად სათანადოდ შერჩეულ მასალას; აზროვნების შესასწავლად სპეციალურ, საგანგებოდ შერჩეულ ამოცანებს, კითხვებს აძლევენ, გარკვეულ სიტუაციაში აყენებენ, რომლიდანაც გამოსვლა გარკვეული სახის აზროვნებას მოითხოვს. გრძნობების შესასწავლად ადამიანზე სათანადო ზემოქმედებას ახდენენ, სათანადო გრძნობების გამომწვევ სიტუაციაში აყენებენ; ნებისყოფის შესასწავლად სუბიექტს ისეთ სიტუაციაში აყენებენ, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანასა და შემდეგ გადაწყვეტილების შესასრულებლად გარკვეულ დაბრკოლებათა გადალახვას მოითხოვს და ა. შ.

ექსპერიმენტულად გამოწვეულ მოვლენათა შესწავლა ორი გზით ხდება: ერთი, თვით ცდისპირის მიერ მასში გამოწვეულ განცდათა თვითდაკვირვების (იხ. ქვემოთ), მათი აღწერის გზით, რასაც ექსპერიმენტალურ თვითდაკვირვებას უწოდებენ. მეორე — ცდის ხელმძღვანელის მიერ ცდისპირის მოქმედებათა და მის მიერ ამოცანის გადაწყვეტის ობიექტურ მონაცემთა დაკვირვებისა და შესწავლის გზით. ამ მეორე სახის შესწავლისას ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებს, ხელსაწყოებს. მაგალითად, ცდისპირის მაჯისცემის, სუნთქვის, სისხლის წნევის ან ტვინში წარმოშობილი ბიოდენების რეგისტრაციისათვის იყენებენ სათანადო აპარატურას, ანდა გალიზიანებაზე საპასუხო მოქმედების სისწრაფის დიდი სიზუსტით გასაზომად სარგებლობენ სპეციალური ხელსაწყოთი და ა. შ.

ექსპერიმენტთან ერთად ფსიქოლოგიაში ფართოდ იყენებენ დაკვირვების მეთოდს. მაგრამ რამდენადაც ფსიქოლოგია ფსიქიკურ პროცესებს და, კერძოდ, ადამიანის განცდებსაც შეისწავლის, მას უხდება არა მხოლოდ სხვათა ქცევის, სხვათა მოქმედების დაკვირვება, არამედ თვითდაკვირვების, ანუ ინტროსპექციის<sup>1</sup> გამოყენებაც: მკვლევარი თვითონ, ან მისი დავალებით სხვა პირი, აკვირდება თავის თავს, მასში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებს, თავის განცდებს, გაანალიზებს ამ განცდებს და აგვიწერს.

მაგრამ თვითდაკვირვების მეთოდს დიდი სიძნელები ახლავს და სერიოზული ნაკლიც ახასიათებს.

ჯერ ერთი, თვითდაკვირვების წარმოება ყველას არ შეუძლია: ეს მეთოდი მისაწვდომია მხოლოდ ზრდადამთავრებული კულტურული ადამიანისათვის და ამიტომ ამ მეთოდით მხოლოდ ზრდადამთავრებული კულტურული ადამიანის განცდათა შესწავლა შეიძლება.

მაგრამ აქაც მას ახლავს სიძნელები. ზრდადამთავრებული ადამიანისათვისაც ბუნებრივია ყურადღების წარმართვა გარეთ—ობიექტურ სინამდვილისაკენ და არა შიგნით, საკუთარი განცდებისაკენ. ამიტომ თვითდაკვირვება სპეციალურ მიჩვევას, სათანადო გავარჯიშებას მოითხოვს.

მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ამ მეთოდს თან ახლავს პრინციპული ხასიათის სიძნელე, რომელიც თვითდაკვირვების მთავარ სიძნელეს წარმოადგენს. განცდა მასზე დაკვირვების გამო იცვლება, სუსტდება და სულაც ქრება. საქმე ის არის, რომ განცდაზე ყურადღების წარმართვის გამო სუბიექტის ყურადღების გარეშე რჩება ის მოვლენა, რამაც ეს განცდა გამოიწვია (ყურადღების ერთდროული წარმართვა ორი საწინააღმდეგო მიმართულებით — გარეთაც და შიგნითაც — შეუძლებელია), ამიტომ ეს განცდა აღიკვეთება ან შესუსტდება და მისი დაკვირვება შეუძლებელი ხდება.

ამ სიძნელიდან ერთი გამოსავალი არსებობს. ეს არის ე. წ. „რეტროსპექტული“<sup>2</sup> თვითდაკვირვება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტი აკვირდება არა თვით განცდას მისი მიმდინარეობის დროს, არამედ უშუალოდ მის შემდეგ იმ კვალს, რომელსაც განცდა ტოვებს ცნობიერებაში.

<sup>1</sup> „ინტროსპექცია“ ლათინურად სიტყვასიტყვით „შიგნით ცქერას“ ნიშნავს

<sup>2</sup> ლათინურად — „უკუხედვითი“.

მაგალითად, ადამიანმა რომ მოინდომოს გაჯავრების ან გაკვირვების თუ ესთეტიკური განცდის დროს დააკვირდეს ამ განცდას, იგი უმაღლვე შეიცვლება, შესუსტდება და შეიძლება სულაც გაქრეს, რადგანაც ახლა სუბიექტის ცნობიერების საგანს თვით განცდა შეადგენს და არა ის, რამაც იგი გამოიწვია: ის რამაც გაკვირვება ან ესთეტიკური განცდა გამოიწვია ცნობიერების გარეშე რჩება და ამიტომ ვეღარ იწვევს ამ განცდას. მაგრამ განცდის შემდეგ ადამიანში რჩება მისი თავისებური კვალი, რომლის დაკვირვება შესაძლებელია. ამგვარი კვალის დაკვირვება განცდას ვეღარ შეცვლის, რადგან კვალის დაკვირვებისას განცდა აღარ არის, აღარ მიმდინარეობს.

ამ სახით თვითდაკვირვება საკმაოდ ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ზოგად ფსიქოლოგიაში.

მაგრამ ამ სახის თვითდაკვირვებასაც მნიშვნელოვანი სიძნელებები გააჩნია. კერძოდ, აღსანიშნავია დაკვირვების საგნის — განცდის — სიტყვიერი აღწერის, სხვისთვის გასაგებ ფორმაში გადმოცემის სიძნელე. განცდათა ფაქიზი ნიუანსების აღმნიშვნელი სიტყვები ენაში ნაკლებად მოიპოვება.

ამ მხრივ, ისევე როგორც განცდის სწორი, ობიექტური დაკვირვების სიძნელის მხრივ, უნდა განვასხვავოთ სხვადასხვა სახის ფსიქიკური პროცესები. რაც უფრო ღრმა და ინტიმურია პიროვნებისათვის განცდა, რაც უფრო პიროვნებისეულია იგი, მით უფრო ნაკლებ მისაწვდომია თვითდაკვირვებისათვის და სიტყვიერი აღწერისათვის. ასეთია პირველ რიგში გრძნობები, ემოციური განცდები და ნებისყოფის აქტები. რაც უფრო „პერიფერიულია“ პიროვნებისათვის ფსიქიკური პროცესი, რაც უფრო „გამოყოფილია“ იგი პიროვნებისაგან, მით უფრო ადვილია მისი დაკვირვებაც და აღწერაც. ამ მხრივ ყველაზე უფრო ადვილია აღქმის პროცესების დაკვირვება; აღქმა განიცდება როგორც ჩვენს გარეთ, ობიექტურად მოცემული საგანი. თვითდაკვირვების სიძნელის მხრივ აღქმასა და გრძნობებს შორის ინტელექტუალური ხასიათის პროცესები — წარმოდგენები, აზრები და ა. შ. — დგას.

### სხვათა დაკვირვება

რამდენადაც ფსიქიკა არა მხოლოდ სუბიექტურად განიცდება თვით განმცდელი სუბიექტის მიერ, არამედ „ობიექტურადაც“ გვეძლევა სხვა ადამიანის ქცევის, მისი მოქმედების სახით, ამდენად ფსი-



ქიკის შესწავლა სხვათა დაკვირვების საშუალებითაც ხერხდება. ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შექცევა სხვა ადამიანთა მოქმედების დაკვირვების გზითაც ხორციელდება. კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის მოქმედება... „ჩვენთვის გრძნობადად<sup>1</sup> მოცემული ადამიანის ფსიქიკაა“. ადამიანის მოქმედების, მისი საქციელის, მისი ნალაპარაკების, მისი ნამოქმედარის დაკვირვებით ბევრ რამეს ვგებულობთ მისი მოქმედებისა და მისი პიროვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა, მისი ცნობიერების, მისი შინაგანი ცხოვრების შესახებ.

განსაკუთრებით დიდია სხვათა დაკვირვების მეთოდის მნიშვნელობა ფსიქოლოგიის იმ დარგებისათვის, სადაც თვითდაკვირვების გამოყენება შეუძლებელია — ბავშვის ფსიქოლოგიისათვის, ზოოფსიქოლოგიისათვის და ა. შ. მაგალითად, ბავშვის მეტყველების, მისი თამაშის, სწავლის, სხედასხვა დავალებათა შესრულებისა და საზოგადოდ მისი ქცევის სისტემატური დაკვირვება სხვადასხვა პირობებში, მდიდარ მასალას იძლევა მისი აზროვნების, ფანტაზიის, ნებღსყოფის, გრძნობების, მისი ხასიათის, ტემპერამენტის, მისი ინტერესების, მის უნართა და სხვათა შესახებ. მეცნიერულად ღირებულ ფსიქოლოგიურ დაკვირვებათა წარმოება სპეციალურ მომზადებასა და სათანადო გაწვრთნას მოითხოვს.

ამ მეთოდის ნაყოფიერი გამოყენების შესაძლებლობას ამტკიცებს ჩვენს საუკუნეში ბავშვის ფსიქოლოგიის არაჩვეულებრივად ინტენსიური განვითარება, რაც მიღწეული იყო თვითდაკვირვების გამოყენების გარეშე, ბუნებრივი და ექსპერიმენტული დაკვირვების გზით.

## § 8. ფსიქოლოგიის დარგები

თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერება შეიცავს რიგ დარგებს — ცალკეულ ფსიქოლოგიურ დისციპლინებს.

### ზოგადი ფსიქოლოგია

ზოგადი ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური მეცნიერების ძირითადი დარგია. იგი შეისწავლის ზრდადამთავრებული, ნორმალური, კულტურის თანამედროვე საფეხურზე მდგომი ადამიანის ფსიქოლოგიის

<sup>1</sup> გრძნობადი ამ შემთხვევაში თვალსაჩინოს, აღქმადს; „შეგრძნებითს“ ნიშნავს.

ზოგად კანონზომიერებებს. ბავშვისა თუ მოზარდის, ან არანორმალური, ფსიქიკურად დაავადებული, ანდა პრიმიტიული, არაცივილიზებული ადამიანის ფსიქიკური თავისებურებები ზოგადი ფსიქოლოგიის საგანს არ შეადგენენ. იგი შეისწავლის ფსიქიკურ მოვლენებს იმდენად, რამდენადაც ეს მოვლენები საზოგადოდ ნორმალურ ზრდადამთავრებულ ცივილიზებულ ადამიანთათვის არის დამახასიათებელი.

ადამიანთა შორის არსებული ინდივიდუალური, ტიპობრივი, ასაკობრივი და სხვა ფსიქოლოგიური სხვაობები ზოგადი ფსიქოლოგიის კვლევა-ძიების გარეთ რჩება. ამ თავისებურებებს ფსიქოლოგიის სხვა დარგი შეისწავლის.

### დიფერენციალური ფსიქოლოგია

ადამიანთა შორის ფსიქოლოგიურ სხვაობებს ფსიქოლოგიური მეცნიერების სპეციალური დარგი — დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა — შეისწავლის. იგი შეისწავლის იმ ფსიქიკურ თავისებურებებს, რომელიც ახასიათებს სხვადასხვა ტიპის, ასაკის სქესის, პროფესიის ადამიანებს და ზოგჯერ ცალკეული ადამიანის კონკრეტული პიროვნების, თავისებურებებსაც. მაგალითად, რა და რა ტიპის მეხსიერება ან ყურადღება, თუ აზროვნება არსებობს, ან ხასიათის რა და რა ტიპები არსებობს; რაში მდგომარეობს ქალისა და ვაჟის, ანდა მოხუცისა და ახალგაზრდის ფსიქოლოგიური თავისებურებანი და ა. შ. დიფერენციალურ ფსიქოლოგიას უზღდება ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული ადამიანის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა შესწავლაც. მაგალითად, გამოჩენილი პიროვნების, ანდა ჩვეულებრივი რიგით ადამიანისა, რომელსაც უნდა ისეთ დარგში მუშაობა, სადაც წარმატება მომუშავეისაგან გარკვეულ ფსიქიკურ თავისებურებებს მოითხოვს და ა. შ.

### გენეტიკური ფსიქოლოგია

ფსიქოლოგიური მეცნიერების ეს დარგი ფსიქიკის განვითარებას შეისწავლის. იგი, თავის მხრივ, რამდენიმე ფსიქოლოგიურ დისციპლინას შეიცავს:

ბავშვის ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკის განვითარებას ონტოგენეზში — ბავშვობის ასაკში — დაბადებიდან ზრდის დამთავრებამდე.

შედარებითი ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკის განვითარებას ფილოგენეზში — ცხოველთა განვითარების საფეხურებზე. ფსიქიკის განვითარების ეს დაბალი ფორმები ადამიანის ფსიქიკის ფორმებთან შედარების თვალსაზრისით განიხილება, მათი განვითარების ასპექტით.

გენეტიკური ფსიქოლოგიის მონაცემებს ზოგადფსიქოლოგიური მნიშვნელობაც გააჩნია, რადგანაც ფსიქიკურ მოვლენათა გენეზისის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენათა ბუნების გასათვალისწინებლად ზრდადამთავრებული ადამიანის საფეხურზედაც.

### სოციალური ფსიქოლოგია

ადამიანი სოციალური საზოგადოებრივი არსებაა. მისი ფსიქოლოგია არა მარტო ისტორიულად ჩამოყალიბდა სხვა ადამიანებთან ურთიერთობის, საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში, არამედ დღესაც მისი პიროვნების თავისებურებები მისი მოქმედების, მისი ქცევის, მისი განცდების თავისებურებები გაპირობებულია სხვა ადამიანებთან ურთიერთობით, მისი, როგორც მცირე საზოგადოებრივი ჯგუფების (ოჯახი, მეგობართა წრე, კოლექტივი რომელშიაც მუშაობს...), ისე ფართო სოციალური სისტემის (სოციალური ფენა, სამშობლო სახელმწიფო) წევრობით.

სოციალური ფსიქოლოგია თანამედროვე ფსიქოლოგიის დარგია, რომელიც შეისწავლის ადამიანს როგორც სოციალურ არსებას: იკვლევს იმ გავლენებს, რასაც ახდენს ადამიანის პიროვნებაზე, მის ხასიათზე, მის შეხედულებებზე, მის მსოფლმხედველობაზე, მის აზროვნებაზე, ნებისყოფაზე, ემოციებზე მის ქცევაზე სხვა ადამიანებთან და კოლექტივთან სხვადასხვა სახის ურთიერთქმედება; რა გავლენას ახდენს მის ფსიქიკაზე ის როლი, რომელსაც ის ასრულებს, თავის კოლექტივში, თავის პროფესიაში, თავის ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ა. შ. და აგრეთვე თუ როგორ ვლინდება სხვადასხვა ტიპის პიროვნების თვისებები მის ქცევაში კოლექტივისა და მისი წევრების მიმართ.

### პათოფსიქოლოგია

პათოფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკის არანორმალურ, პათოლოგიურად შეცვლილ ფორმებს, რომელნიც თავს იჩენენ ფსიქიკურ დაავადებათა შემთხვევაში.

პათოფსიქოლოგიის მონაცემებს ზოგადფსიქოლოგიური მნიშვნელობაც აქვს: ფსიქიკურ მოვლენათა პათოლოგიურად შეცვლილ

ფორმათა დაპირისპირება ამ მოვლენათა ნორმალურ ფორმებთან ამ უკანასკნელთა ბუნების გამოვლენას ეხმარება.

### პედაგოგიური ფსიქოლოგია

პედაგოგიური ფსიქოლოგია გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგია; იგი პრაქტიკულ ფსიქოლოგიურ საკითხებს იკვლევს. სახელდობრ, შეისწავლის აღზრდისა და სწავლების პროცესის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ამ პროცესის რაციონალიზაციის მიზნით. აღზრდისა, და კერძოდ, სწავლების პროცესს იგი ბავშვის ასაკობრივ ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან დაკავშირებით იკვლევს. მაგალითად, შეისწავლის, სწავლების რა მეთოდები უნდა იყოს გამოყენებული სხვადასხვა სასკოლო საფეხურზე, ამ საფეხურების შესატყვისი ასაკის ბავშვთან ფსიქოლოგიურ თავისებურებათა მიხედვით. რა შინაარსის ცნებებია მისაწვდომი სხვადასხვა ასაკის ბავშვთათვის და, ამასთან დაკავშირებით, როგორ უნდა განაწილდეს სხვადასხვა სასწავლო საგნის პროგრამით გათვალისწინებული მასალა სხვადასხვა კლასში. როგორი უნდა იყოს გაკვეთილებისა და დასვენებების ხანგრძლიობა, გაკვეთილების რაოდენობა, მათი განრიგება და ა. შ. სხვადასხვა სასკოლო კლასში მოწაფეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და, კერძოდ, მათი დაღლადობის მიხედვით. რამდენად უნდა დაიტვირთოს სხვადასხვა ასაკის ბავშვი საშინაო დავალებებით და ა. შ.

### შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია

შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიაც პრაქტიკული, გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგია. იგი შეისწავლის საწარმოო შრომის პროცესთა ფსიქოლოგიურ საფუძვლებს შრომის პროცესის რაციონალიზაციის მიზნით.

შრომის ფსიქოლოგიის მთავარ ამოცანას შეადგენს ადამიანთა მიზანშეწონილი განაწილება სხვადასხვა სახის პროფესიებზე, ადამიანთა ფსიქიკურ თავისებურებათა, მათ უნართა და შესაძლებლობათა მიხედვით: პროფესიათა ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად დგინდება სხვადასხვა პროფესიონალური მუშაობის წარმატებით შესრულებისათვის საჭირო ფსიქიკური თვისებები. მაგალითად, რა სახის ყურადღებას, მეხსიერებას, აზროვნებას, რა ტიპის ხასიათს, ტემპერამენტს და ა. შ. მოითხოვს ეს პროფესია და შემდეგ კონკრეტულ ადამიანთა ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური შესწავლით დგინდება, თუ რომელი პროფესიისათვის არის შესაფერისი ეს ადამიანი. ამ საფუძველზე წარმოებს პროფესიონალური კონსულტაცია

(ადამიანთა სათანადო პროფესიებზე განაწილება, პროფესიონალური შერჩევა: თითოეული პროფესიისათვის შესაფერ კანდიდატთა არჩევა მათი ფსიქოლოგიური მონაცემების მიხედვით) და დახმარება ახალგაზრდობისათვის მათი ფსიქოლოგიური მონაცემების მიხედვით შესაფერი პროფესიის შესარჩევად, რასაც პროფორიენტაცია ეწოდება. გარდა ამისა შრომის ფსიქოლოგია იკვლევს პროფესიული სწავლების საკითხებს, იმუშავებს პროფესიული სწავლების მეთოდებს.

შრომის ფსიქოლოგია შეისწავლის შრომის პროცესს, როგორც ადამიანის მოქმედების, მისი ქცევის ერთ-ერთ ფორმას. მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა შრომის პროცესთა მეთოდების, და საზოგადოდ შრომის პირობების რაციონალიზაცია. კერძოდ, მათი შეგუება ადამიანის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან—მის ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობებთან და ამ გზით შრომის პროცესის გაადვილება და ნაყოფიერების გაზრდა და იმავე დროს შიმუშავის ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

მართვის რთულ ავტომატიზირებულ სისტემათა განვითარება განსაკუთრებით მოითხოვს ამ ავტომატიზირებულ მართვის სისტემათა შეგუებას, ოპერატორის („ადამიანი — ოპერატორის“) ფსიქიკურ და ფსიქოფიზიოლოგიურ თავისებურებებთან, — ამას ემსახურება შრომის ფსიქოლოგიის სპეციალური ახალი დარგი „საინჟინრო ფსიქოლოგია“ .

#### § 4. უმაღლესი ნერვული მოქმედების საფუძვლები

##### ნერვული სისტემა

1. ადამიანის ყოველ მოძრაობას ნერვული სისტემა განაგებს. ეს ეხება როგორც ორგანიზმის მოძრაობებს გარემოში, ისე შინაგან ორგანოთა მოქმედებასაც. ორგანიზმის ურთიერთობას გარემოსთან ნერვული სისტემა აწესრიგებს; მისი საშუალებით იღებს ორგანიზმი გარემოს ზეგავლენებს — გალიზიანებებს და მისივე საშუალებით უპასუხებს ამ გალიზიანებებს სათანადო რეაქციით. გარემოს გამლიზიანებლებზე სწრაფი, ზუსტი და კოორდინირებული მოძრაობებით რეაგირების შედეგად, რაც ძირითადად რეფლექსური მოქმედებით ხორციელდება, ორგანიზმი ახერხებს გარემოს ცვლილებასთან ზუსტ და სწრაფ შეგუებას. ამ რთულ, ერთმანეთთან და გამლიზიანებელთა კომპლექსებთან შეგუებულ რეფლექსურ მოძრაობებს ცენტრალური ნერვული სისტემა მართავს.

მაგრამ გარემოსთან ასეთი შეგუებული, ზუსტად კოორდინირე-

ბული მოქმედება მხოლოდ ერთიან, მთლიან ორგანიზმს — მთლიან ინდივიდს შეუძლია. ორგანიზმის გაერთმთიანებასაც ნერვული სისტემა ახორციელებს. ორგანიზმი რომ ერთიან ინდივიდს, მთლიან ერთეულს წარმოადგენს და არა უამრავ ცალკეულ ორგანოთა კრებადობას, ძირითადად ნერვული სისტემის მოქმედების შედეგია. როგორც ვთქვით, ცენტრალური ნერვული სისტემა ყველა მოძრაობის კოორდინაციას ახდენს, მაგრამ, ორგანიზმის ცალკე ორგანოთა და ორგანოების სისტემათა გაერთიანების განხორციელებაში განსაკუთრებულ როლს ე. წ. ვეგეტატიური ნერვული სისტემა ასრულებს: ვეგეტატიური ნერვული სისტემის ქსელი მოიცავს და აერთიანებს მთელ ორგანიზმს, ყველა შინაგან ორგანოს; ამ სისტემის მეშვეობით ხდება ყველა შინაგანი ორგანოს და მათი სისტემების მოქმედების რეგულაცია; ვეგეტატიური ნერვული სისტემა გავლენას ახდენს ამ შინაგან ორგანოთა ფიზიოლოგიურ (ფუნქციონალურ) მდგომარეობაზეც. იგი აწესრიგებს გულისცემის, სუნთქვის, საკმლის მომწელებელი სისტემისა და სხვა შინაგან ორგანოთა მოქმედებას, კერძოდ, გარკვეულ გავლენას ახდენს თვით შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებაზე, რომელთა სისტემა ორგანიზმის ზრდა-განვითარების პროცესს და ორგანიზმის, როგორც მთელის, აგებულებას განსაზღვრავს.



ნახ. 1. ადამიანის თავის ტვინი: ზემოთ — გარედან; ქვემოთ — ერთი ჰემისფერო შიგნიდან.

2. ორგანიზმის მოძრაობათა მართვას ცენტრალური ნერვული სისტემა პერიფერიული ნერვული სისტემის მეშვეობით აწარმოებს. პერიფერიული ნერვული სისტემა შედგება მგრძნობიარე და მამოძრავებელი ნერვებისაგან, მგრძნობიარე, აფერენტული ნერვები აკავშირებენ გალიზიანების მიმღებ ნერვულ დაბოლოებებს — რეცეფტორებს, ცენტრალური ნერვული სისტემის სათანადო ნაწილებთან ისე, რომ რეცეფტორის გალიზიანების გამო წარმოქმნილი


აგზნების პროცესი მგრძობიარე ნერვის საშუალებით ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე აღწევს. მამოძრავებელი ანუ ეფერენტული ნერვების მეშვეობით კი ცენტრალური ნერვული სისტემა უკავშირდება იმ ორგანოებს (კუნთებს, ჭირკვლებს), რომელთა მეშვეობით ხორციელდება გალიზიანებაზე საპასუხო მოქმედება. სახელდობრ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში წარმოშობილი საპასუხო მოქმედების იმპულსი (სათანადო აგზნება) მამოძრავებელი ნერვის მეშვეობით გადადის მამოძრავებელ ორგანოში — მაგალითად, კუნთში ან ჭირკვალში — და საპასუხო მოქმედების სახით ვლინდება.

3. ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის შემადგენელი მთავარი ნაწილები შემდეგია: 1) ზურგის ტვინი, მდებარეობს ხერხემალში (მალეების შიგნით); 2) ტვინის ღერო; ის თავის მხრივ, სამი ნაწილისაგან შედგება: მოგრძო ტვინისაგან, რომელიც ხერხემლის ტვინის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, შუა ტვინისაგან, რომელიც მოგრძო ტვინის ზემოთ მდებარეობს, და შუამდებარე ტვინისაგან; 3) ნათხემი („პატარა ტვინი“), რომელიც შუა ტვინის უკან, კეფაში მდებარეობს; 4) დიდი ანუ წინა ტვინი, რომელიც ორი ნახევარსფეროსაგან შედგება. მათ დიდი ტვინის ნახევარსფეროები ანუ ჰემისფეროები ეწოდებათ (იხ. ნახ. № 1).

დიდი ტვინის ზედაპირულ ნაწილს, ე. წ. ქერქი შეადგენს. ქერქი წარმოადგენს შრეებად განლაგებულ ნერვულ უჯრედთა ფენას, იგი რუხი ფერისაა; მის ნივთიერებას ტვინის რუხ ნივთიერებას უწოდებენ. ქერქის ქვეშ ტვინის მასა თეთრი ნივთიერებისაგან (ნერვული გამტარი ბოქვოებისაგან) შედგება, მაგრამ მის სიღრმეში ისევ ნერვული უჯრედების შეჯგუფებებია — „ნერვული კვანძები“ (განგლიები). ამ ნერვულ კვანძებს, ე. წ. „მხედველობის ბორცვთან“ ერთად, რომელიც შუამდებარე ტვინის შემადგენლობაში შედის, ქერქისქვეშა კვანძებს უწოდებენ.

ცხოველთა სამყაროს ევოლუციის პროცესში ტვინის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა საფეხურზე განვითარდა. ყველაზე გვიან განვითარდა ტვინის ქერქი. ამიტომ მას „ახალ ტვინს“ უწოდებენ, ხოლო ცენტრალური ნერვული სისტემის დანარჩენ ნაწილებს — „ძველ ტვინს“. დიდი ტვინის ნახევარსფეროები პირველად ჩნდება ამფიბიებთან — წყალ-ხმელეთის ცხოველებთან (მაგ. ბაყაყი) და ისიც მხოლოდ ჩანასახოვან ფორმაში. ნამდვილი ქერქის გამოყოფა დიდ ტვინში პირველად ქვეწარმავალთა საფეხურზე იწყება. შედარებით მნიშვნელოვან განვითარებას ქერქი აღწევს მხოლოდ უმაღლეს ხერ-

ხემლიანებთან. ამ საფეხურზე ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარება უმთავრესად „ახალი ტვინის“ განვითარებაში მდგომარეობს. უკვე ფრინველების საფეხურზე ახალი ტვინი ისეთ სიდიდეს აღწევს, რომ ფარავს „ძველ ტვინს“. ამის შემდეგ ცხოველის ქცევის მართვაში ქერქი სულ უფრო წამყვან ფუნქციას ასრულებს. ქერქის



1



2



3



4

ნახ. 2. თავის ტვინის ევოლუცია შავ ფერად აღნიშნულია დიდი ტვინი: -- 1 — ზვიგენის, 2 — ხელიკის, — 3 — ბაკიასი და 4 — ადამიანის.

მასა მატულობს; იწყება (ძალი, კატა) მისი დაღარვა-დანაოქება, რის შედეგადაც ქერქის ფართობი მატულობს. რთულდება ქერქის მიკროსკოპული უჯრედოვანი („ციტოარქიტექტონური“) აგებულება.

ადამიანის საფეხურზე ქერქის განვითარება შეუდარებლად უფრო მაღალ საფეხურს აღწევს და საესებით ფარავს ცენტრალური ნერვული სისტემის დანარჩენ ნაწილებს. ახალი ტვინი უკვე შეუდარებლად უფრო დიდია, ვიდრე „ძველი ტვინი“ (იხ. ხახ. № 2).

დიდი ტვინისა და განსაკუთრებით ქერქის ფუნქცია, მისი მნიშვნელობა, ცხოველთა ფილოგენეტურ განვითარებასთან ერთად მატულობს და ადამიანის საფეხურზე მისი მოქმედება. გარკვეულ ფარგლებში, უკვე „ძველი ტვინის“ მოქმედებასაც განაპირობებს.

ასე, მაგალითად, ბაყაყთან დიდი ტვინის ფუნქცია იმდენად უმნიშვნელოა, რომ დიდი ტვინის ამოკრის შემდეგ ბაყაყის ქცევა თითქმის არ იცვლება (მას ბუზის დაქერაც კი შეუძლია). მაღალ საფეხურზე კი დიდი ტვინი მთელ უმაღლეს ნერვულ მოქმედებას განაგებს. უმაღლეს ხერხემლიანთა საფეხურზე ძველი ტვინი განაგებს მხოლოდ თანდაყოლილ მოძრაობებს (რეფლექსებს, ინსტინქტებს), ხოლო „ახალი ტვინი“ — ყოველგვარ ინდივიდუალურად შეძენილ მოქმედებას.

მაიმუნისა და ადამიანის საფეხურზე ქერქი (ქერქქვეშა კვანძებ-



თან ერთად) ყოველგვარ ფსიქიკურ პროცესებს განაგებს. მას ჩვეულებრივ „ფსიქიკის ორგანოს“ უწოდებენ. ქერქქეშა კვანძები ქმნიან იმ ტონუსს, რომელიც აუცილებელია ქერქის ნორმალური მოქმედებისათვის. „ძველი ტვინის“ ნაწილები განაგებენ მარტივ თანდაყოლილ მოქმედებებს, უმთავრესად თანდაყოლილ (უპირობო) რეფლექსებს და ინსტინქტებს. ასე, მაგალითად, ყველაზე იარტივ რეფლექსებს ტანის სათანადო სეგმენტებში განაგებს ხერხემლის ტვინი — ეს არის კიდურებისა და ჩონჩხის კუნთების და რიგ შინაგან ორგანოთა რეფლექსური მოძრაობები. მოგრძო ტვინი განაგებს ნერწყვის გამოყოფის, ყლაპვის, ხველებისა და სხვა ასეთ რეფლექსებს და, რაც მთავარია, ახდენს ისეთი სასიცოცხლო ფუნქციების შემსრულებელ მოძრაობათა რეგულაციას, როგორცაა სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედება და ა. შ.

განსაკუთრებით რთულ, უპირობო, თანდაყოლილ რეფლექსურ და ინსტინქტურ მოქმედებას ქერქქეშა კვანძები ასრულებენ.

### უმაღლესი ნერვული მოქმედება

1. ადამიანის (და უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა) საფეხურზე, როგორც ვთქვით, ყველა ინდივიდუალურად შექმნილ მოქმედებებს ახალი ტვინი განაგებს. ამ საფეხურზე ქერქის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ გარკვეულ ფარგლებში, იგი თვით „ძველი ტვინის“ მოქმედებას განსაზღვრავს და, ქერქქეშა ცენტრების მეშვეობით, ორგანიზმის გარემოსთან შეგუების მოძრაობებსაც განაგებს.

ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების ფიზიოლოგიურად შესწავლილი ძირითადი ფორმა რეფლექსური, გალიზიანებაზე საპასუხო მოქმედებაა.

რეფლექსები ორგვარია — თანდაყოლილი, ანუ „უპირობო“ და ინდივიდუალური, ცხოვრებაში შექმნილი, ანუ „პირობითი“.

უპირობო რეფლექსებს ორგანიზმში ცხოვრების განმავლობაში კი არ იძენს, არამედ მემკვიდრეობით იღებს, როგორც ქცევის თანდაყოლილ მექანიზმს. უპირობო რეფლექსები შედარებით უცვლელ, შაბლონურ ფორმაში ვლინდებიან; ისინი გარემო პირობების ძლიერი შეცვლის შემთხვევაში სათანადოდ ვერ იცვლებიან და ამიტომ ვერ ეგუებიან ამ შეცვლილ გარემოს.

2. პირობით რეფლექსს, პირიქით, თითოეული ინდივიდი ცხოვრების განმავლობაში იძენს, იმუშავებს მოცემულ პირობებთან შეფარდებით.

უპირობო რეფლექსებს, როგორც ვთქვით, ძველი ტვინის სხვა-

დასხვა განყოფილება, ე. ი. ცენტრალური ნერვული სისტემის ქერქის ქვევით მდებარე ნაწილები განაგებენ. რეფლექსი ხორციელდება ე. წ. „რეფლექსური რკალის“ მეშვეობით; სახელობრ, რეცეფტორის, მისი შესატყვისი აფერენტული, ანუ მგრძნობიარე ნერვის, შესატყვისი ცენტრისა და მისგან გამოსული მამოძრავებელი, ანუ ეფერენტული ნერვის მეშვეობით. რეფლექტურ რკალში 3 ნაწილს არჩევენ: პირველ ნაწილს შეადგენს რეცეფტორი, რომელიც იღებს გალიზიანებას, აფერენტული ნერვი, რომელიც გადასცემს რეცეფტორში აღმოცენებულ აგზნებას ცენტრალური ნერვული სისტემის სათანადო ცენტრს, და მისი დაბოლოება. სამივეს ერთად რეფლექსური რკალის გამტარ<sup>1</sup> ნაწილს უწოდებენ. მეორე ნაწილს შეადგენს ნერვული სისტემის იმ ნერვულ უჯრედთა ცენტრალური ჯგუფი, რომელსაც გადაეცემა რკალის გამტარი ნაწილიდან მოსული აგზნება, — ეს არის რეფლექტორული რკალის ცენტრალური ნაწილი. მესამე ნაწილს შეადგენს ის ნერვული უჯრედი, რომლიდანაც მოდის საპასუხო აგზნება და სათანადო მამოძრავებელი, ანუ ეფერენტული ნერვი, რომელიც შესატყვისი კუნთში ან ჭირკვალში მთავრდება. რკალის ამ მესამე ნაწილს „ამძრავ“<sup>2</sup> ნაწილს უწოდებენ.

### პირობითი რეფლექსის უმუშაობა

1. მას შემდეგ, რაც ადამიანმა გარეული ცხოველების მოშინაურობა, ე. ი. მათი გაწვრთნა დაიწყო, ცხოველის უნარი ახალ მოქმედებათა — ჩვევათა — შექმნისა ყველასათვის ცნობილი გახდა. მაგრამ ამ მოვლენის ფიზიოლოგიური მექანიზმი მხოლოდ ჩვენს საუკუნეში იქნა გაშუქებული პირობითი რეფლექსების ფიზიოლოგიური მექანიზმის სახით. ამ შორსმწვდომი მნიშვნელობის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ი. პ. პავლოვს. მან გაამდიდრა მეცნიერება პირობითი რეფლექსის ცნებით და აღმოაჩინა ორგანიზმის ამგვარი მოქმედების ფიზიოლოგიური მექანიზმი.

რას წარმოადგენს პირობითი რეფლექსი?

როდესაც ცხოველი ან ადამიანი იგრძნობს საჭმლის სუნს, მას ნერწყვი მოსდის პირში, მიუხედავად იმისა, რომ საჭმელი პირის ღრუს არ აღიზიანებს. დაბადების შემდეგ კი პირველ ხანებში ნერწყ-

<sup>1</sup> „რუს.: Приводящая часть“.

<sup>2</sup> „რუს.: Отводящая часть“.

ვის გამოყოფას იწვევს მხოლოდ პირის ღრუს გაღიზიანება საკმ-  
ლით და არა სუნით; ეს უპირობო, თანდაყოლილი რეფლექსია, ხო-  
ლო სუნზე ნერწყვის გამოყოფა შექნილს, უნებლიეს, გაღიზიანე-  
ბაზე საპასუხო მოქმედებას — პირობით რეფლექსს წარმოადგენს.

როდესაც ქუჩის ძაღლის წინ უცბად დაიკუზებით, იგი შეხტება,  
შეიძლება დაიწყებულუნოს კიდეც. ესეც შექნილი, ანუ პირობითი  
რეფლექსია: პატარა ლეკვი მხოლოდ გარტყმაზე, მაგალითად, ქვის  
მოხვედრაზე, შეხტება; ადამიანის დაკუზვა ასეთ რეაქციას მასში არ  
იწვევს. როდესაც სახედარს გვერდიდან სახრეს მოუქნევენ, იგი სწო-  
რედ ისე შეიკუშება და აჩქარებული ნაბიჯით გან-განხე წავა, რო-  
გორც მაშინ, როდესაც მას მართლაც დაარტყამენ სახრეს იმავე  
მხრიდან. ესეც შექნილი რეფლექსია: ცხოველი, რომელსაც არას-  
დროს არ მოხვედრია ჯობი, არც გაინძრევა სახრის მხოლოდ გაქ-  
ნევაზე.

ასეთი შექნილი, ანუ პირობითი რეფლექსები ყოველ წამს იჩე-  
ნენ თავს ადამიანისა და ცხოველის ცხოვრებაში.

2. რაში მდგომარეობს პირობითი რეფლექსის მექანიზმი, რო-  
გორ ხდება მისი შემუშავება? განვიხილოთ პავლოვის კლასიკური  
ცდა.

ძაღლს ერთ-ერთ ლოყაში გაკეთებული აქვს ფისტულა (ნახვრეტი)  
და სანერწყვე ჭირკვლის სადინარი გამოყოფილია გარეთ ისე, რომ  
ჭირკვლიდან გამოყოფილი ნერწყვი გარეთ გამოდის და კოლბაში  
გროვდება. ცხოველს აყენებენ დაზგაზე და აძლევენ პირში საკმელს.  
საკმლის მიწოდებასთან ერთდროულად ძაღლის წინ ინთება წითელი  
სინათლე. ეს ერთდროული მიცემა ან, როგორც ამბობენ, შეუღ-  
ლება ორი გამღიზიანებლისა (საკმლისა და სინათლისა) მრავალ-  
ჯერ შეორდება სისტემატურად რამდენიმე დღის განმავლობაში.  
შემდეგ წითელი სინათლე ინთება საკმლის მიწოდების გარეშე: სი-  
ნათლე ინთება, მაგრამ საკმელი ძაღლს არ ეძლევა. მიუხედავად  
უკანასკნელი გარემოებისა, ძაღლს გამოეყოფა ნერწყვი იმავე რაო-  
დენობით და იმავე შემადგენლობით, როგორც ეს წინა ცდებში  
ხდება საკმლის მიწოდების დროს. ამრიგად, ცდის შედეგად წითელი  
სინათლე ნერწყვის გამოყოფას იწვევს.

მაშასადამე, ძაღლს ცდაში შეუმუშავდა ახალი, ე. ი. პირობითი  
რეფლექსი: წითელ სინათლეზე ნერწყვის გამოყოფის რეფლექსი.  
რაშია ამ რეფლექსის სიახლე? ყოველ ძაღლს გააჩნია უპირობო,  
თანდაყოლილი რეფლექსი ნერწყვის გამოყოფისა საკმლის  
მიღებაზე; მაგრამ არც ერთ ძაღლთან წითელი სინათლე თანდა-  
ყოლილად ნერწყვის გამოყოფას არ იწვევს. ეს ხდება მხოლოდ

ცდის პირობების გამო: სახელდობრ, წითელი სინათლის. ე. ი. „პირობითი გამლიზიანებლის“ თანდაყოლილი რეფლექსის გამომწვევ გამლიზიანებელთან ერთდროული მიწოდების მრავალგზისი განმეორების შედეგად ეს პირობითი გამლიზიანებელი (წითელი სინათლე) უკვე იწვევს საკმლის მიწოდების შესატყვის რეფლექსს — ნერწყვის გამოყოფას. ამგვარად, პირობითი რეფლექსი მდგომარეობს „პირობით გამლიზიანებელზე“ იმ რეფლექსური მოქმედების გამოწვევაში, რომელიც თანდაყოლილ, უპირობო რეფლექსს ახასიათებს, ე. ი. პირობითი რეფლექსი წარმოადგენს პირობითი გალიზიანების ისეთ შეერთებას უპირობო, თანდაყოლილ რეფლექსთან, რომლის გამო პირობითი გამლიზიანებელი უშუალოდ იწვევს თანდაყოლილ რეფლექსის ამოქმედებას მისი შესატყვისი გამლიზიანებლის გარეშე. პირობითი რეფლექსი თანდაყოლილი რეფლექსის საფუძველზე აიგება.

პირობით გამლიზიანებლად შეიძლება ავიღოთ ყოველგვარი გამლიზიანებელი; მაგალითად, პელოვის ცდაში წითელი სინათლის ნაცვლად იყენებენ კანის ჩხვლეტას — ამ შემთხვევაში ჩხვლეტა იწვევს ნერწყვის გამოყოფას; იყენებენ მუსიკალურ ბგერას, რომელიც ასევე იწვევს ნერწყვის გამოყოფას და ა. შ.

ყოველი გამლიზიანებელი, რომელიც მრავალჯერ იქნება გამეორებული რომელიმე თანდაყოლილი რეფლექსის გამლიზიანებელთან ერთდროულად, გადაიქცევა პირობით გამლიზიანებლად, ე. ი. პირობითი რეფლექსის გამომწვევად.

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი, აკადემიკოს ბერიტაშვილის<sup>1</sup> ერთ-ერთი ცდა. ძალს იყენებენ დაზვაზე. მას მიამაგრებენ ისე, რომ ადვილის გადანაცვლება არ შეეძლოს. ერთ-ერთ წინა თათზე მიამაგრებენ ელექტროდებს. ცდა შემდეგში მდგომარეობს. დროგამოშვებით ძალს სპეციალური ხელსაწყოთა საშუალებით ძლიერ ზუსტად განსაზღვრულ ბგერას (გარკვეულ ნოტას) და თანაც ძლიერი ელექტროდენით მტკივნეულად უღიზიანებენ თათს. ბგერა გრძელდება იმდენ ხანს, რამდენხანსაც ელექტროგალიზიანება. თათის მტკივნეული გალიზიანება ბუნებრივად (თანდაყოლილი რეფლექსის სახით) იწვევს თათის შალა აწევას.

<sup>1</sup> პირობითი რეფლექსების კვლევა-ძიებაში თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს ივ. ბერიტაშვილს.

თათის ეს მოძრაობა საეციალური მოწყობილობის საშუალებით ზუსტად იხაზება ქალაქის გამურულ ლენტზე. ეს ორი ერთდროული გალიზიანება — ბგერით და მტკივნეული ელექტროგალიზიანებით — მრავალჯერ მეორდება რამდენიმე დღის განმავლობაში (დღეში რამდენჯერმე). შემდეგ ძალს აძლევენ მხოლოდ ბგერითს გამლიზიანებელს; ელექტროდენს აღარ ჩართავენ. მიუხედავად ამისა, ძაღლის თათი ზუსტად ისე აიწევა, როგორც ელექტროგალიზიანების დროს. და აწეული რჩება, სანამ ისმის ბგერა. თათის მოძრაობის მიხედვით სრულიად შეუძლებელია იმის შეტყობა, გაუღიზიანეს თუ არა ძაღლს თათი, ჩართეს თუ არა ელექტროდენი.

აღწერილ ცდაში ძაღლს შეუმუშავდა გარკვეულ ბგერაზე თათის აწევის პირობითი რეფლექსი. პირობითი გამლიზიანებელი, სახელდობრ, ბგერა თათის აწევას, ე. ი. მტკივნეული გალიზიანების შესატყვის, თანდაყოლილ რეფლექსურ მოძრაობას იწვევს.

პირობით რეფლექსის იმიტომ ეწოდება პირობითი, რომ მისი აღმოცენება და არსებობა გარკვეულ პირობებზეა დამოკიდებული, სახელდობრ, პირობითი გამლიზიანებლის რომელიმე თანდაყოლილი რეფლექსის გამლიზიანებელთან შეუღლებებაზე, ე. ი. ამ ორი გალიზიანების ერთდროულ გამეორებაზე.

პირობითი რეფლექსის შემუშავებისას გამლიზიანებელი, რომელიც უწინ ორგანიზმისათვის ინდიფერენტული იყო (მაგალითად, წითელი სინათლე ძაღლისათვის), გადაიქცევა მეორე, — ორგანიზმისათვის ბიოლოგიური მნიშვნელობის მქონე, — გამლიზიანებლის სიგნალად, მაგალითად საკმლის ან ორგანიზმის დამაზიანებელ, მტკივნეულ გამლიზიანებლის სიგნალად და ა. შ. როგორც ამბობენ, პირობითი რეფლექსის შემუშავების გამო ინდიფერენტული გამლიზიანებელი „სასიგნალო ფუნქციას“ იძენს. პირობითი რეფლექსის გამლიზიანებელს, ე. ი. სასიგნალო გამლიზიანებელს პირობითი გამლიზიანებელი ეწოდება, ხოლო უპირობო რეფლექსის გამომწვევ გამლიზიანებელს — უპირობო გამლიზიანებელი.

პირობითი გამლიზიანებლის ეს შეუღლება თანდაყოლილ უპირობო რეფლექსთან პირობითი რეფლექსების არსს შეადგენს.

საკმლის სუნი, მაგალითად, იმიტომ იწვევს ნერწყვს, რომ ამ სუნს ინდივიდი ბევრჯერ განიცდიდა საკმლის მიღების დროს, ხოლო საკმლის მიღებაზე ნერწყვის გამოყოფა მემკვიდრეობის, თანდაყოლილს, ანუ უპირობო რეფლექსს წარმოადგენს. მაშასადამე, სუნი წარმოადგენს პირობით გამლიზიანებელს, რომელიც უკავშირდება საკმელზე ნერწყვის გამოყოფის თანდაყოლილ რეფლექსს.

სახედარი იმიტომ შეიკუმშება და აჩქარებს ნაბიჯებს სახრის გაქნევაზე, რომ მის ცხოვრებაში სახრის ასეთ გაქნევას ჩვეულებრივ სდევდა მტკივნეული გალიზიანება სათანადო მხარეზე, რასაც ტანის შეკუმშვისა და გან-განზე აჩქარებული სვლის თანდაყოლილი რეფლექსური მოძრაობა მოჰყვება ხოლმე; ძაღლი იმიტომ

შებტება ბიკის დაკუზვაზე, რომ ამ დაკუზვის აღქმას ბევრჯერ უკავშირდებოდა მტკივნეული გაღიზიანება ქვის მოხვედრის გამო და ა. შ.

ყოველგვარი გაწვერთნა ცხოველებისა მეურნეობაში თუ ცირკში, პირობითი რეფლექსების მექანიზმს ეყრდნობა.

3. რას წარმოადგენს პირობითი რეფლექსის ფიზიოლოგიური მექანიზმი? რატომ უკავშირდება ერთდროული მიწოდების გამო უწინ, ინდიფერენტული გამღიზიანებელი უპირობო რეფლექსის გამღიზიანებელს?

ძირითადი ფიზიოლოგიური კანონის თანახმად, დიდი ტვინის ქერქში ორი პუნქტის ერთდროული აგზნების გამეორების გამო, ანუ როგორც ამბობენ, ორი კერის აგზნების გამო, ამ ორ კერას შორის თანდათანობით გაიკაფება ფიზიოლოგიური გზა, ე. ი. განმტკიცდება ფიზიოლოგიური კავშირი, რომლის გამო ერთი კერის აგზნება (გარეგაღიზიანებით გამოწვეული) გადადის მეორე კერაში, ხოლო ამ მეორე კერაში აგზნების გადასვლა ბუნებრივად იწვევს ამ უკანასკნელ კერასთან თანდაყოლილ დაკავშირებული რეფლექსური მოძრაობის ამოქმედებას. მაგალითად, თუ ბევრჯერ მოხდა წითელი სინათლის შესატყვისი კერისა და საკმლის მიღების შესატყვისი კერის ერთდროული აგზნება, ამ ორ კერას შორის მყარდება ფიზიოლოგიური კავშირი, ე. წ. „დროებითი კავშირი“, რომლის მეშვეობით წითელი სინათლის შესატყვისი კერიდან აგზნება (სინათლის გაღიზიანებით გამოწვეული) გადადის საკმლის მიღების შესატყვისი კერაში და ამოქმედებს მასთან თანდაყოლილ დაკავშირებულ ნერწყვის გამოყოფას, მიუხედავად იმისა, რომ საკმელი მიწოდებული არ ყოფილა.

ამრიგად, პირობითი რეფლექსის ფიზიოლოგიური საფუძველი, მისი ფიზიოლოგიური მექანიზმი აგზნების კერებს შორის დროებითი კავშირების დამყარებაში მდგომარეობს. ამ დროებითი კავშირების მეშვეობით პირობითი გაღიზიანება უკავშირდება თანდაყოლილ რეფლექსს, ხოლო რადგანაც დროებითი კავშირი მყარდება ორი კერის აგზნების მხოლოდ ერთდროულობის გამო, ამიტომ პირობითი რეფლექსის სახით შესაძლებელია ყოველი გამღიზიანებლის დაკავშირება თანდაყოლილ რეფლექსთან.

პირობითი რეფლექსის შესამუშავებლად იმ გამღიზიანებლის ზემოქმედება, რომელზედაც მუშავდება პირობითი რეფლექსი, ცოტათი წინ უნდა უსწრებდეს ან ერთდროულად უნდა ხდებოდეს იმ

უპირობო რეფლექსის გამლიზიანებლის მოქმედებასთან, რომლის საფუძველზე მუშავდება პირობითი რეფლექსი.

ხაზი უნდა გაესვას ზემოთ აღნიშნულ გარემოებას, რომ უმაღლეს ხერხემლიან ცხოველებთან და ადამიანთან დროებითი კავშირების დამყარება დიდი ტვინის ქერქში ხდება, ისე, რომ უპირობო რეფლექსის საწინააღმდეგოდ პირობით რეფლექსს ქერქი განაგებს.

პირობით გამლიზიანებელს შეიძლება წარმოადგენდეს ორგანიზმის შინაგანი ორგანოებიდან მომდინარე გალიზიანებაც (მაგალითად, კუჭ-ნაწლავის ან გულისა და ვაზომოტორული სისტემის ცვლილებები და ა. შ.); ასეთ გამლიზიანებელს შეიძლება წარმოადგენდეს დროის გარკვეული მონაკვეთი (მაგალითად, გარკვეულ დროს ან გარკვეული დროის პერიოდებში საკმლის მიწოდებაზე შემუშავებული რეფლექსი) და ა. შ.

ორგანიზმის გარემოსთან შეგუების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პირობითი რეფლექსი შეიძლება შემუშავდეს არა მხოლოდ ცალკე გამლიზიანებლებზე, არამედ მათ მიმართებაზეც. პირობით სიგნალს შეიძლება წარმოადგენდეს გამლიზიანებელთა მიმართება (მაგალითად, მუქი და ბაცი ფერის მიმართება მიუხედავად იმისა, როგორია ამ ფერების აბსოლუტური სიმუქე, ან ბგერათა სიმაღლის მიმართება, მიუხედავად იმისა, როგორია ამ ბგერების აბსოლუტური სიმაღლე და ა. შ.). პირობით სიგნალს შეიძლება წარმოადგენდეს გამლიზიანებელთა მთელი სისტემა ერთად აღებული (იხ. ქვემოთ ტვინის მოქმედების სისტემურობის შესახებ).

პავლოვის მიხედვით ადამიანთან პირობით გამლიზიანებელს შეიძლება წარმოადგენდეს სიტყვაც. მან ასეთ გამლიზიანებელს „სიგნალთა სიგნალი“ უწოდა, რადგანაც გულისხმობდა, რომ სიტყვა უკავშირდება საგანს (გამლიზიანებელს), რომელიც დაკავშირებულია რეფლექსურ მოძრაობასთან, რის შედეგადაც სიტყვა იწვევს ისეთ რეაქციას, როგორც თვით ამ საგნის აღქმა, რომლის სახელსაც ეს სიტყვა წარმოადგენს. პავლოვის მოძღვრების თანახმად სიტყვები, სიტყვათა უკავშირებები — ფრაზები და საზოგადოდ მეტყველება „შეორე სასიგნალო სისტემას“ წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ადამიანის სპეციფიკას შეადგენს. რაც შეეხება უშუალოდ (სიტყვებით გაშუალების გარეშე) მოქმედ სიგნალებს ე. ი. პირობით გამლიზიანებლებს, ისინი „პირველ სასიგნალო სისტემას“ შეადგენენ, რომელიც საერთოა ადამიანისა და ცხოველისათვის.

1. დროებითი კავშირების დამყარება, პავლოვის მოძღვრების თანახმად, უმაღლესი ნერეული მოქმედების ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

დროებითი კავშირის გაკაფვა, პავლოვის მიხედვით, ტვინის „სინთეზური მოქმედების“ საფუძველს წარმოადგენს; იგი სხვადასხვა გამლიზიანებელთა დაკავშირებისა და რეაქციათა გაერთიანების შესაძლებლობას იძლევა, მეორე მხრივ, ამ პროცესს თან ახლავს ტვინის „ანალიტური“ მოქმედებაც, რამდენადაც პირობითი რეფლექსის შემუშავება იმ გამლიზიანებლის გარემოდან გამოყოფას გულისხმობს, რომელზედაც მუშავდება ეს რეფლექსი.

2. დიდი ტვინის მოქმედება აგზნების პროცესების გარდა, მათი საწინააღმდეგო პროცესების — შეკაფების<sup>1</sup> პროცესების სახით ვლინდება. ამ პროცესის შედეგად აგზნებული ნერეული უჯრედის მოქმედება ჩერდება — უჯრედი შეკაფებას განიცდის. აგზნებისა და შეკაფების პროცესთა შორის რთული ურთიერთზემოქმედება ხდება. ამ ურთიერთობის ძირითად ზოგად კანონზომიერებას, პავლოვის მიხედვით, ნერეულ პროცესთა „ურთიერთ ინდუქციის“ კანონი წარმოადგენს. ამ კანონის თანახმად აგზნების პროცესის მიმდინარეობა ქერქის რომელიმე არეში იწვევს მის გარშემო არეებში შეკაფებას, რასაც პავლოვმა „უარყოფითი ინდუქცია“ უწოდა. გარკვეულ არეში მიმდინარე შეკაფების პროცესი, პირიქით მის გარშემო არეებში აგზნების აღმოცენებას იწვევს. ამ კანონზომიერებას პავლოვმა „დადებითი ინდუქციის კანონი“ უწოდა.

3. არსებობს სხვადასხვა სახის შეკაფების პროცესი. ამ სახეებს აქ ვერ განვიხილავთ, საკმარისია აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ შეკაფების პროცესთა შედეგად პირობითი რეფლექსის მოქმედება მრავალმხრივ არის შეზღუდული, რაც რეაქციათა მრავალნაირი კომბინაციის შესაძლებლობას იძლევა. ჯერ ერთი, თუ ორგანიზმზე მრავალჯერ იმოქმედებს მხოლოდ პირობითი გამლიზიანებელი, უპირობო გამლიზიანებლის გარეშე, ეს იწვევს პირობითი რეფლექსის „ჩაქრობას“, ე. ი. პირობითი გამლიზიანებელი ველარ იწვევს პირობით რეაქციას. პავლოვის მოძღვრების თანახმად, ეს დროებითი კავშირის მოსპობის შედეგი კი არ არის, არამედ მისი ხანგრძლივი შეკაფების შედეგია („ჩაქრობის შეკაფება“), რაც იქიდან ჩანს, რომ საკმარისია პირობითი გამლიზიანებლის სულ რამდენ-

<sup>1</sup> რუსულად ამ პროცესს Торможение-ს უწოდებენ.



ნამე „შეუღლება“ უპირობოსთან, რომ „ჩამქრალი“ პირობითი რეფლექსი აღდგეს, ზოგჯერ კი იგი თავისით აღდგება, ამ დამატებითი „შეუღლების“ გარეშეც.

პირობითი გამლიზიანებლის ზომაზე მეტად ინტენსიური ან მეტად ხანგრძლივი ზემოქმედება ორგანიზმზე იწვევს შეკავებას („თავდაცვითი შეკავება“), რის გამოც პირობითი რეფლექსის მოქმედება წყდება.

როდესაც ქერქის უჯრედები დაღლილ მდგომარეობაშია და იქმნება მათი გამოფიტვის საშიშროება, უჯრედებში აღმოცენდება შეკავება, რომელიც მთელ ქერქზე ვრცელდება, რაც ძილის მდგომარეობას წარმოადგენს; ფსიქიკური პროცესები „გამოითიშება“. აღამიანი არაფერს არ გრძნობს, არ ფიქრობს, არ განიცდის... მას სძინავს.

ძლიერი უცხო გამლიზიანებლებიც აჩერებს პირობითი რეფლექსის მოქმედებას, მისი ცენტრის შეკავების შედეგად, რასაც ამ უცხო გამლიზიანებლის შესატყვისი კერის ძლიერი აგზნება იწვევს.

4. შეკავების პროცესები დიდ როლს ასრულებენ უმაღლესი ნერვული მოქმედების კიდევ ორ მეტად მნიშვნელოვან კანონზომიერებაში. ეს არის პირობითი რეფლექსის გენერალიზაციისა და დიფერენციაციის მოვლენები. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ პირობითი რეფლექსის შემუშავებისას დასაწყისში ცხოველი იძლევა სათანადო პირობით რეაქციას არა მხოლოდ პირობით სიგნალზე. არამედ იმავე სახის ყველა მსგავს მოვლენაზე (მაგალითად, ბერიტაშვილის ზემოთ აღწერილ ცდაში, დასაწყისში ძაღლის ფეხი იწვევს არა მარტო მოცემულ ტონზე, არამედ ყოველგვარ ტონზე).

პირობითი რეფლექსის დიფერენციაცია იმაში მდგომარეობს, რომ პირობითი გამლიზიანებლის მრავალჯერი გამეორების პროცესში იგი გამოდიფერენცირდება სხვა მსგავს გამლიზიანებელთაგან, ისე რომ ცხოველი მხოლოდ ერთ გამოყოფილ სიგნალზე იძლევა პირობით რეაქციას (მაგალითად, ბერიტაშვილის ცდაში ძაღლი მხოლოდ ერთ ნოტაზე იძლევა პირობით რეფლექსს — ნოტის ერთი მეოთხედით განსხვავებული სიმაღლის ბგერაც კი არ იწვევს რეაქციას). ეს მიიღწევა ამ ერთი გამლიზიანებლის შესატყვისი კერის გარდა ყველა სხვა კერის შეკავების შედეგად („მადიფერენცირებელი შეკავება“).

5. სხვადასხვა შეკავების პროცესებს დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალი არსების მიზანშეწონილი მოქმედების რეგულაციისათვის გარემოში. სახელდობრ, შეკავების წყალობით ყოველი გამლიზიანებელი ყოველთვის კი არ იწვევს რეფლექსს, რომელიც მასთან

არის დაკავშირებული, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორია, ერთი მხრივ, გარე სიტუაცია (რა და რა გამლიზიანებლები მოქმედებენ ერთდროულად და ა. შ.) და, მეორე მხრივ, როგორი მდგომარეობაა შექმნილი თვით ტვინის ქერქში დროებით კავშირებს შორის და როგორაა განაწილებული აგზნებისა და შეკავების კერები ტვინის კერებს შორის და ა. შ. ქერქის მოქმედების ასეთი „სისტემური ხახიათი“ განსაზღვრავს ორგანიზმის რეაქციების არაქაოსურ, „სისტემურ“ და მთლიანობით ხასიათს, და ამიტომ გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვევათა და ცოდნათა შექმნაში.

6. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონზომიერება, რომელსაც „დინამიური სტერეოტიპი“ ეწოდება: თუ გამლიზიანებელთა სტერეოტიპული თანმიმდევრობით განაწილება მრავალჯერ მეორდება, გამლიზიანებელთა ამ სტერეოტიპული გამეორებით გამოწვეულ პირობით რეფლექსთა თანმიმდევრობაც განმტკიცდება. ამის შემდეგ მოცემული გამლიზიანებლები კიდევ რომ შეიცვალოს, ან მათი თანმიმდევრობა რომ დაირღვეს, ანდა რამდენიმე გამლიზიანებელი გამოტოვებულიც რომ იყოს, პირობითი რეფლექსების განმტკიცებული სისტემა მაინც უცვლელად, სტერეოტიპულად იმოქმედებს. მაშასადამე, რეფლექსთა ასეთი განმტკიცებული მოქმედების შემთხვევაში თითოეული რეფლექსი ცალკე კი არ მოქმედებს, არამედ მისი მოქმედება დამოკიდებულია სტერეოტიპულ მოქმედებათა მთელ სისტემაზე.

7. ადამიანის დიდი ტვინის ქერქისათვის დამახასიათებელია სპეციფიკურ კანონზომიერებათა რიგი.

ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ფიზიოლოგიურ მოქმედებაში აისახება ის გარემოება, რომ ადამიანი განიცდის და პასუხობს არა მხოლოდ ფიზიკური გარემოს უშუალო გამლიზიანებელთა მოქმედებას — შეხების, ტემპერატურის, მხედველობის. სუნისა და სხვა გამლიზიანებლებს, არამედ იგი განიცდის სხვა ადამიანთა მეტყველების ზეგავლენებს, რაზედაც თვითონაც რეაგირებს აზროვნებისა და მეტყველების პროცესებით. ადამიანი რეაგირებს არა მხოლოდ ფიზიკურ საგანთა და მოვლენათა აღქმაზე, არამედ იმ სიტყვებზედაც, რომლითაც აღინიშნება ეს საგნები და მოვლენები. კაცობრიობის საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების პროცესში ადამიანის დიდ ტვინში განვითარდა გარდა იმ პირველი „სასიგნალო სისტემისა“, რომელიც მას საერთო აქვს ცხოველებთან (რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი), „მეორე ხასიგნალო სისტემაც“. ადამიანისათვის „სიგნალის“ როლს ასრულებენ არა მხოლოდ ცალკეული საგნები, მათი ფიზიკური თვისე-

ბები ან მათი კომბინაციები, არამედ სისტემები (თქმული თუ დაწერილი), ფრაზები და ა. შ. სწორედ ეს უკანასკნელი „სიგნალები“, პავლოვის ტერმინოლოგიით, „მეორე სასიგნალო სისტემას“ წარმოადგენენ, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ადამიანის სპეციფიკას შეადგენს.

მეორე სასიგნალო სისტემის მოქმედება განუყრელადაა დაკავშირებული პირველი სასიგნალო სისტემის მოქმედებასთან. ორივე ეს სისტემა მოქმედებს ერთმანეთზე.

არსებობის საზოგადოებრივ პირობათა გავლენა ადამიანზე, პავლოვის თანახმად, მეორე სასიგნალო სისტემის მეშვეობით ხორციელდება. მაგალითად, ივლისსმება, რომ ინსტინქტურ მოქმედებათა არსებითი შეცვლა, ადამიანის საფეხურზე, რაც საზოგადოებრივისტორიული განვითარების შედეგად ხდება, მეორე სასიგნალო სისტემის გავლენის შედეგია პირველ სისტემაზე.

#### დიდი ტვინის მოქმედების სტრუქტურული ხუნება

ადამიანის დიდი ტვინის ქერქის აგებულება უკიდურესად რთულია. იგი შედგება, როგორც ზემოთაც ითქვა, ნერვული უჯრედებისაგან, რომელთა რიცხვი ათ მილიარდს აღემატება. უჯრედები ქერქში ექვს ფენას შეადგენენ. ქერქის უჯრედები სხვადასხვა აგებულებისაა. ადამიანის ტვინის ქერქში შესწავლილია სამოცზე მეტი განსხვავებული უჯრედოვანი აგებულების („ციტოარქიტექტონური“) არე.

ტვინის ქერქი როდი წარმოადგენს ერთგვარ, ჰომოგენურ მასას. დიდი ტვინის ზედაპირზე ასხვავებენ, უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე დიდ ნაწილს — არეს, ანუ „წილს“, რომელთა ფუნქცია განსხვავებულია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია არეები, რომელნიც სხვადასხვა შეგრძნების ორგანოებიდან ლებულობენ აგზნებას. ასე, მაგალითად, მხედველობითი გამღიზიანებლის მიძღებ არეს კეფის არე წარმოადგენს, სმენისას — საფეთქლის წილები, შეხებისას — თხემის არის წინა ნაწილი და ა. შ. არსებობს აგრეთვე განსაკუთრებული მამოძრავებელი არეები, რომელნიც მოძრაობის იმპულსებს იძლევიან. ტვინის დიდი არეები განსხვავდებიან თავისი უჯრედოვანი მიკროსკოპული აგებულებით, უჯრედების ფენების სიდიდით, თვით უჯრედების ფორმით და მათი განაწილებით. ირკვევა, რომ ქერქის განსხვავებული აგებულების არეები გარკვეულ ფარგლებში განსხვავებული რითმისა და ამპლიტუდის ბიოელექტროდენს იძლევიან.

გარდა ამისა, დადგენილია, რომ ქერქის გარკვეული ადგილების დაზიანება იწვევს გარკვეულ ფუნქციათა დარღვევას, მაგალითად, მეტყველების გაგების ფუნქციისა (სენსორული აფაზია), სიტყვების წარმოთქმისა (მოტორული აფაზია) და ა.შ. ამგვარი მონაცემების შედეგად დადგენილია სხვადასხვა მოძრაობათა ცენტრები. მაგალითად, ტუჩების, ენის, თვალების, ხელისა და ფეხის სხვადასხვა ნაწილის მოძრაობის ცენტრები და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ რაც უფრო რთულ, „მაღალ“ ფუნქციასთან გვაქვს საქმე, მით უფრო ნაკლებია მათი ლოკალიზაცია ტვინში. უმაღლეს ფსიქიკურ ფუნქციათა ლოკალიზაციას სპეციალური ცენტრების სახით ადგილი არა აქვს; ეს ფუნქციები უმთავრესად შუბლის არესთან არიან დაკავშირებული.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ძველი შეხედულება („ლოკალიზაციის თეორიის“ სახელით ცნობილი), თითქოს ტვინი შედგება დამოუკიდებელი ცენტრებიდან, რომელთაგანაც თვითეული ქმნის და დამოუკიდებლად განაგებს სპეციალურ ფუნქციას, ეწინააღმდეგება საქმის ნამდვილ ვითარებას.

დიდი ტვინი დამოუკიდებელი ცენტრების „კონას“ კი არ წარმოადგენს, არამედ მთლიან ორგანოს, ოღონდ არა ჰომოგენურ, ერთგვაროვან მთლიანს, არამედ განაწევრებულ, დიფერენცირებულ მთლიანს, რომელსაც აგებულებითაც და ფუნქციითაც განსხვავებული ნაწილები (და არა მთელისაგან და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცენტრები) გააჩნია, ქერქის ეს მთლიანობითი ბუნება გასაგებს ხდის შემდეგ კანონზომიერებებს:

აღმოჩნდა, რომ ერთი და იგივე რთული, მაღალი ფუნქცია ირღვევა ტვინის არა მხოლოდ ერთი გარკვეული ადგილის დაზიანებისას, არამედ, მეტად თუ ნაკლებად, ირღვევა რამდენიმე განსხვავებული ადგილის დაზიანების დროს.

აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ერთი და იმავე ადგილის მეტ-ნაკლები დაზიანება იწვევს ფუნქციათა სხვადასხვა რაოდენობის დარღვევას: გარკვეული ადგილის სუსტმა დაზიანებამ შეიძლება ერთი ფუნქცია დაარღვიოს, მაგრამ იმავე ადგილის ძლიერი დაზიანება რამდენიმე ფუნქციის დარღვევას იწვევს.

დადასტურდა დარღვეული ფუნქციის სხვა ცენტრების მიერ აღდგენის ფაქტიც; სახელდობრ, აღმოჩნდა, რომ რომელიმე ფუნქციის ცენტრის სრული ამოკვეთის შემდეგ, რამდენიმე ხანში დაკარგული ფუნქცია აღდგება სხვა, მონაზღვრე ცენტრების მეშვეობით.

რაც შეეხება იმ გარემობას, რომ ზოგი ცალკე ცენტრის დაზიანება რომელიმე ფუნქციის დარღვევას იწვევს, ეს ისევე არ ამტკიცებს იმას, რომ დარღვეულ ფუნქციას მხოლოდ ეს ერთი ცენტრი ქმნის, როგორც საათის ერთი ბორბლის გაფუჭების გამო საათის მუშაობის შეწყვეტა ვერ ამტკიცებს იმას, რომ საათის მუშაობას მხოლოდ ეს ერთი ბორბალი ახორციელებს.

## § 5. ფსიქიკის განვითარება ფილოგენეზში

### ფსიქიკის აღმოცენება

როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ფსიქიკა მხოლოდ „განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის“ თვისებას წარმოადგენს. უმარტივესი ორგანიზმების საფეხურზე ცოცხალ არსებებს მხოლოდ ბიოლოგიურ თვისებათა რიგი ახასიათებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გალიზიანებადობა — სხვადასხვა გამლიზიანებელზე განსხვავებულ საპასუხო მოძრაობათა უნარი; ფსიქიკა მათ არ გააჩნიათ.

უკვე უმდაბლეს საფეხურზე მდგომი უმარტივესი ორგანიზაციის ცოცხალი არსება — ერთუჯრედოვანი ორგანიზმი — სათანადო მოძრაობით პასუხობს შეხების, ტემპერატურის, ქიმიურ და ელექტრულ გამლიზიანებელზე. ნორმალურ პირობებში მათი რეაქცია გამლიზიანებელზე გარემოსთან შეგუების ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, მათ არ გააჩნიათ ამ გამლიზიანებელთა შეგრძნებისა და საზოგადოდ არავითარი განცდის უნარი, მათ ჯერ არ აქვთ ფსიქიკა. ფსიქიკა ორგანიზმთა ხანგრძლივი ფილოგენეტური განვითარების პროდუქტს წარმოადგენს<sup>1</sup>.

გალიზიანებადობა, გარე სინამდვილის მოვლენათა შეგრძნების გარეშე, გარემოსთან შეგუების მეტად შეზღუდულ შესაძლებლობას იძლევა.

გარემოსთან შეგუების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გალიზიანებადობისა და სხვა ბიოლოგიურ თვისებათა გარდა ორგანიზმს უჩნდება გრძნობიერება, ეს არის გამლიზიანებლის უმარტივესი, დიფუზური შეგრძნების უნარი. ეს არის ფსიქიკის პირველი ჩანასახი — ობიექტური სინამდვილის ასახვის უმარტივესი ფორმა.

<sup>1</sup> იხ. გ. კეჩუაშვილი, ექსპერიმენტი და ილუსტრაცია ფსიქოლოგიის კურსში, 1962, გვ. 6 — 9.

განვითარების ამ საფეხურიდან გარემოსთან შეგუების პროცესში ორგანიზმის განვითარებასთან ერთად ვითარდება ფსიქიკაც!

რამდენადაც გარემო ორგანიზმზე სხვადასხვა დიფერენცირებული გამლიზიანებლების სახით მოქმედებს, გასაგებია, რომ ამ მრავალფეროვან გარემოსთან შეგუების პროცესში ორგანიზმებს თანდათან უჩნდებათ ამ დიფერენცირებულ გამლიზიანებელთა შეგრძნების ორგანოები — სხვადასხვა რეცეფტორები — ტკივილის, შეხების, ყნოსვის, გემოს და ა. შ. რეცეფტორთა დიფერენციაციასთან დაკავშირებულია გრძნობიერების დიფერენციაცია: ცხოველი უკვე განსხვავებულად შეიგრძნობს გარე გამლიზიანებლებს მათი ბუნების მიხედვით; შეხების, ტემპერატურისა და სხვა შეგრძნებებთან ერთად, ცხოველს უჩნდება უნარი საგნის დანახვისა, ბგერის გაგონებისა და ა. შ.

უმარტივესი ფორმის ნერვული სისტემა პირველად აღმოცენდება ღრუნაწლავიანთა საფეხურზე. ამ საფეხურიდან ქცევის ფორმების განვითარება უკვე გაპირობებულა ნერვული სისტემის განვითარებით. ცხოველის შეგუება გარემოსთან უკვე მისი ქცევის ფორმების განვითარებაში იჩენს თავს. ცხოველის ქცევა მით უფრო კარგად ეგუება გარე პირობებს, რაც უფრო განვითარებულია ამ ქცევის ფორმები და რაც უფრო განვითარებულია ცხოველის ფსიქიკა, რაც, თავის მხრივ, ცხადია, ნერვული სისტემის განვითარებას გულისხმობს.

ნერვული სისტემის განვითარება პირველ რიგში მის ცენტრალიზაციაში იჩენს თავს: ნერვული სისტემის დიფერენციაციასთან ერთად ხდება ნერვული უჯრედების კვანძების — განგლიების ჩამოყალიბება და შემდეგ განგლიური უჯრედების ცენტრალიზაცია. ასე იქმნება ცენტრები, რომლებსაც ექვემდებარებიან ნერვული სისტემის ნაწილები. შემდგომი განვითარების პროცესში ნერვული ცენტრი თავსდება უმთავრესად თავში.

ხერხემლიანთა საფეხურზე ნერვული სისტემა უკვე მკაფიოდ იყოფა ცენტრალურ (ტვინი) და პერიფერიულ ნერვულ სისტემებად.

ნერვული სისტემის დიფერენციაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ქცევის დიფერენციაციისათვის, და კერძოდ, განსხვავებულ გამლიზიანებლებზე (გარემოს განსხვავებულ მოვლენებზე) დიფერენცირებული რეაქციის მოცემის უნარის განვითარებისათვის. დაბალ საფეხურზე

<sup>1</sup> იხ. გ. კეჩუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9 და შემდ.

მდგომი ცხოველებისათვის დამახასიათებელია ყოველ გალიზიანებაზე მთელი ორგანიზმით დიფუზური, მთლიანი საპასუხო მოქმედება, ხოლო დიფერენცირებული ნერვული სისტემის მქონე ორგანიზმი გამლიზიანებლის თავისებურების მიხედვით პასუხობს უკვე სხეულის ცალკე ნაწილების გამლიზიანებლის შესატყვისი სპეციფიკური რეაქციით.

ხერხემლიანთა საფეხურზე ვითარდება უმთავრესად თავის დიდი ტვინი მისი ქერქით.

ძუძუმწოვართა ნერვული სისტემის განვითარების პროცესში მთავარია ტვინის ქერქის განვითარება. განვითარების მაღალ საფეხურზე, დიდი ტვინის ქერქი, როგორც ზემოთ ითქვა, უმაღლესი მარეგულირებელი ხდება ორგანიზმის ურთიერთობისა გარემოსთან<sup>1</sup>.

## ცხოველთა ძიების განვითარება ფილოგენეზში

### 1. ქცევის თანდაყოლილი ფორმები

ცხოველთა ქცევის განვითარებაში ასხვავებენ შემდეგ ძირითად საფეხურებს:

ცხოველთა განვითარების დაბალი საფეხურისთვის ძირითადი დამახასიათებელი ის არის, რომ მათი მოქმედება ამოიწურება ქცევის თანდაყოლილი, უცვლელი ფორმებით — ინსტინქტებით და უპირობო, ანუ თანდაყოლილი რეფლექსებით (იხ. § 3). ქცევის ეს ფორმები ცალკეული ცხოველის ინდივიდუალურ სიცოცხლეში კა არ შემუშავდებიან, არამედ მზიმზარეული მექანიზმის სახით გადმოდიან მემკვიდრეობით: ასეთი მოქმედების ჩამოყალიბება ფილოგენეზისის პროცესში მოხდა, რის შემდეგაც ეს მოქმედება უკვე ცხოველთა მთელი გვარისათვის დამახასიათებელ მოქმედებას წარმოადგენს. ასეთია მაგალითად, ახალგამოჩეკილი იხვის ცურაობა წყალში, მერცხლის მიერ ბუდის გაკეთება და ა.შ. ოთახის პირობებში გაზრდილი მერცხლები, რომელთაც არ უნახავთ ბუდის აშენება, ზუსტად ისევე აშენებენ ბუდეს, როგორც სხვა მერცხლები. მერცხალი ისევე არ სწავლობს ბუდის აშენებას, როგორც ახალგამოჩეკილი იხვი ცურავს.

<sup>1</sup> იხ. გ. კეჩუაშვილი, დასახ. ნაშრომი, § 2.

უამრავ თაობათა მანძილზე გარემოსთან შეგუების პროცესში ჩამოყალიბებული ქცევის თანდაყოლილი ფორმები საოცრად მიზანშეწონილნი არიან უცვლელი გარემოს პირობებში. მოვიგონოთ, მაგალითად, ფუტკრების მიერ ფიჭის აგება, მისი ავსება თაფლით და შემდეგ სანთლით შელესვა, ობობას მიერ აბლაბუდას გაკეთება, მერცხლის მიერ ბუდის აშენება, ციყვის მიერ ნაყოფის შენახვა ზამთრისათვის და ა.შ.

მაგრამ რამდენადაც მიზანშეწონილია ინსტინქტური მოქმედება გარემოს უცვლელ პირობებში, იმდენად მიზანშეუწონელია და უაროხლებელი იგი ამ პირობების შეცვლის შემთხვევაში, რადგანაც თავისი სტერეოტიპული შაბლონურობის გამო ქცევის ეს ფორმა უცბად ვერ იცვლება, ვერ ეგუება ახალ პირობებს. ამაშია თანდაყოლილი ქცევის უდიდესი სისუსტე. როდესაც, მაგალითად, მკვლევარმა გამოუშვა თაფლი გარეული ფუტკრის ახალშევესებული ფიჭიდან, ფუტკარმა მაინც შელესა ფიჭა სანთლით, რადგანაც თაფლით მის შევსებას ინსტინქტურ ქცევაში სტერეოტიპულად მოსდევს ფიჭის გალესვა. ინსტინქტი ძნელად, მხოლოდ მრავალ თაობათა მანძილზე იცვლება გარემოს თანდათანობითი შეცვლის კვალობაზე.

## 2. ქცევის შეძენილი ფორმები

ინსტინქტები და უპირობო რეფლექსები უმაღლეს ცხოველსაც და ადამიანსაც გააჩნია, მაგრამ საქმე ის არის, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე ცხოველთა ქცევა ძირითადად თანდაყოლილია. მათ არ ახასიათებთ ახალი ქცევის შეძენის უნარი. სულ სხვა მდგომარეობაა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. აქ უკვე უფრო დამახასიათებელია ქცევის ცვალებადი ფორმები, გარემოს ცვლილებებთან სწრაფად შეგუებადი ქცევა, რასაც ქცევის ინდივიდუალურად შეძენილი ფორმები წარმოადგენენ. ცხოველი გარემოსთან შეგუების პროცესში შედარებით ადვილად შეიმუშავებს ახალ მოქმედებებს, შეიძენს ახალ ჩვევებს.

ქცევის განვითარების ამ მეორე საფეხურის უდიდესი უპირატესობა წინა საფეხურთან შედარებით იმაშია, რომ ამ საფეხურზე მდგომი ცხოველი გარემო პირობების შეცვლისას კი არ იღუპება იმის გამო, რომ მისი ქცევის თანდაყოლილი ფორმები მიზანშეუწონელი აღმოჩნდება, არამედ თანდათან შეიმუშავებს ამ ახალი პირობების შესატყვის მოქმედებებს — ახალ პირობით რეფლექსებს შეიძენს. ქცევის განვითარების ეს მეორე საფეხური პირობითი



რეფლექსის შემუშავების ფიზიოლოგიურ მექანიზმს ეყრდნობა (იხ. ზემოთ § 4).

პირობითი რეფლექსის შემუშავების უდიდესი ბიოლოგიური მნიშვნელობა ისაა, რომ მისი საშუალებით ცხოველი ახერხებს გარემოს შეცვლილ პირობებთან შეგუებას, ახალი ქცევის შექმნას: უწინ შემუშავებული პირობითი რეფლექსები ჩაქრება და შემუშავდება ახალი, ამ შეცვლილ პირობებთან შეგუებული პირობითი რეფლექსები.

### მ. გონიერი ქცევის საფეხური

როგორც დავინახეთ, ქცევის ეს-ეს არის განხილული საფეხურისათვის დამახასიათებელია ქცევის თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ ი შეცვლის უნარი ობიექტური სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში, სათანადო პირობითი რეფლექსებისა და ჩვევების თანდათანობითი შემუშავების გზით, გ ა რ კ ვ ე უ ლ მ ო ძ რ ა ო ბ ა თ ა მ რ ა ვ ა ლ ქ ე რ ი გ ა მ ე ო რ ე ბ ი ს შედეგად.

მაგრამ არსებობს ქცევის უფრო მაღალი ფორმა — გონიერი ქცევა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ახალ სიტუაციასთან, მის შესატყვის მოქმედებათა გამეორების გარეშე, სწრაფად შეგუებისა და ახალი ამოცანის გადაწყვეტის უნარი.

ქცევის ეს ფორმა — გონიერი ქცევა, ბევრად უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს. ჯერ ერთი, როგორც ითქვა, ჩვევის შემუშავებისაგან განსხვავებით, სუბიექტი ახალი სიტუაციის შესატყვის მოქმედებას მიაგნებს ამ მოქმედებაში ყოველგვარი გაწვერთნისა და წინასწარი გავარჯიშების გარეშე, მაგალითად, გალიაში მყოფი ადამიანისმაგვარი მაიმუნი (ანთროპოიდი) — შიმპანზე, შორს დადებული საჭმლის ხელში ჩასაგდებად გამოიყენებს შორიახლოს მდებარე ჯოხს, თუმცა მას არასოდეს ჯოხი ამ მიზნისათვის არ უხმარია; ან მაღლა კალათით დაკიდებული საჭმლის მისაწვდომად შიმპანზე მოიტანს და ერთმანეთზე დაადგამს შორიახლო დაგდებულ ცარიელ ყუთებს, ავა ზედ და მიწვდება საჭმელს, თუმცა ამისმაგვარი ქცევის გამოცდილება მას არასდროს არ ჰქონია და ა.შ.

დიდი მნიშვნელობისაა გონიერი ქცევის მეორე განსხვავებაც ჩვევის სახით შექმნილი ქცევისაგან. ეს არის ერთგვარი პრაქტიკული განზოგადება: ახალი ამოცანის ერთი გადაწყვეტა საკმარისია, რომ სუბიექტი ამ მოქმედებას „ერთხელ და სამუდამოდ“ დაეუფ-

ლოს. არავითარი გაწვრთნა, ამ მოქმედებათა გამეორება ამისთვის არაა საჭირო, რადგანაც მოქმედება გონიერი ა: თუკი, მაგალითად, შიმპანზე ერთხელ შესძლებს ყუთების გამოყენებას მალა დაკიდული მიზნის მისაღწევად, იგი სხვა ანალოგიურ სიტუაციაშიც უმალვე გამოიყენებს ამ საშუალებას<sup>1</sup>...

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა ამგვარი გონიერი ქცევა მრავალჯერაა ექსპერიმენტულად დადგენილი ადამიანისმაგვარ მაიმუნებთან (ანთროპოიდებთან), მაგრამ იგი არ არის მათთვის ჩვეულებრივი, ტიპობრივი ქცევა; ასეთი ქცევა შიმპანზესთან, როგორც წესი, ვლინდება საგანგებოდ შექმნილ ექსპერიმენტულ სიტუაციაში, ე. ი. მხოლოდ ოპტიმალურ პირობებში.

გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შიმპანზესთან მიღწეული გონიერი ქცევა ნამდვილი გონიერი ქცევის მხოლოდ ჩანასახოვან ფორმას წარმოადგენს. რადგანაც წინასწარი მსჯელობის გარეშე ხორციელდება, და ამიტომ აზროვნების გამოვლენად ვერ ჩაითვლება<sup>2</sup>. ეს არის გენეტიკურად უფრო დაბალი ფორმის „გონიერი“ მოქმედება, ვიდრე ადამიანისათვის დამახასიათებელი ნამდვილი გონიერი ქცევა. ანთროპოიდთან დადასტურებული „გონიერი“ მოქმედება გარდამავალ ფორმას წარმოადგენს ქცევის უფრო დაბალ ფორმასა და აზროვნების საფუძველზე წარმართულ ქცევას შორის.

ადამიანის საფეხურზე, სადაც ადგილი აქვს ნამდვილ გონიერ, ინტელექტუალურ მოქმედებას, გონიერი ქცევა ახალი სიტუაციის აზრობრივ შეფასებას, წინასწარ მსჯელობას გულისხმობს (იხ. ქვემოთ ფსიქიკის განვითარების შემდეგი ფორმა — ცნობიერების განვითარება).

### ადამიანის ცნობიერების განვითარება

1. ფსიქიკის განვითარებისათვის ადამიანის საფეხურზე ძირითადი დამახასიათებელია ცნობიერების ჩამოყალიბება. ცნობიერება („შეგნება“) ფსიქიკის განვითარების უმალეს ფორმას წარმოადგენს. ადამიანი, ცხოველისგან განსხვავებით, არა მხოლოდ

<sup>1</sup> ქცევის ამ ფორმის შესახებ იხ. თავი VII, § 4.

<sup>2</sup> ანთროპოიდის საფეხურზე მიღწეული გონიერი ქცევის სპეციფიკურობათა შესახებ იხ. თავი VII, § 4.

მოქმედებს, არამედ აცნობიერებს თავის მოქმედებას. იცის იმის შესახებ, რასაც აკეთებს; ადამიანი არა მხოლოდ განიცდის, არამედ აცნობიერებს თავის განცდას — იცის რომ განიცდის და რას განიცდის, იცის თავისი მისწრაფებისა და მოთხოვნების, თავისი აზრებისა და გრძნობების შესახებ. მას ახასიათებს შეგნებული მოქმედების უნარი; იგი შეგნებულად ისახავს მოქმედების მიზანს და ცნობიერად ირჩევს მოქმედების ხერხებს.

ცნობიერების ჩამოყალიბება ძირითადად შრომის პროცესისა და მეტყველების განვითარების შედეგს წარმოადგენს.

შრომის საშუალებით ბუნების გარდაქმნის პროცესში ადამიანი დაუპირისპირდა ბუნებას როგორც სუბიექტი ობიექტს, გამოჰყო თავისი თავი („მე“) ბუნებიდან და გააცნობიერა, დაკვირვებისა და აზროვნების საგნად გადააქცია როგორც ბუნება, ისეთავისი მოქმედება და თავისი თავი.

შრომა აუცილებლად მოითხოვს მოქმედების მიზნისა და ამ მიზნის მისაღწევი მოქმედების გაცნობიერებას მან ცნობიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის როლი შეასრულა.

ასე ქმნიან ფსიქიკის ახალ ფორმებს არსებობის ახალი ფორმები. შრომის პროცესში ადამიანი არა მარტო ბუნებას გარდაქმნის, არამედ თვითონაც გარდაიქმნება. „შრომამ შექმნა ადამიანი“ (ენგელსი).

ბუნებასთან ბრძოლის, შრომის პროცესში ადამიანთა შორის ურთიერთობის აუცილებელ საჭიროებასთან დაკავშირებით აღმოცენებულმა მეტყველებამაც არანაკლები როლი შეასრულა ცნობიერების ჩამოყალიბებაში და მის განვითარებაში. ენის წარმოშობასთან არსებითად დაკავშირებულია ადამიანთა საზოგადოებრივი არსებობა. ენა, კონკრეტული ადამიანების მეტყველების სახით, შრომასთან ერთად, ცნობიერების განვითარების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

სიტყვა ემსახურება ამ სიტყვით აღნიშნული მოვლენის (საგნის) გაცნობიერებას. ის, რაც აღინიშნება სიტყვით, უკვე ამით გადაიქცევა ობიექტად, ე. ი. სუბიექტისათვის გაცნობიერებულ საგნად.

ასე, შრომისა და მეტყველებითი ურთიერთობის პირობებში, ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ყალიბდება და ვითარდება ცნობიერება. „ცნობიერება იმთავითვე უკვე საზო-

გაღობრივი პროდუქტია და ასეთად რჩება, სანამ საერთოდ ადამიანი არსებობს“<sup>1</sup>.

2. ადამიანის საფეხურზე ქცევისათვის ძირითადი დამახასიათებელი ხდება შეგნებულობა და მიზანდასახულობა.

ადამიანისათვის დამახასიათებელია უნარი ახალი სიტუაციის გაგებისა და მისი გათვალისწინების საფუძველზე მიზანდასახული მოქმედებისა; ახალ ამოცანათა გადაწყვეტა წინასწარი გაწვრთნის გარეშე ხდება. ამაშია ქცევის ამ უმაღლესი ფორმის უდიდესი უპირატესობა ცხოველისათვის დამახასიათებელი ქცევის ფორმებთან შედარებით. ადამიანი ჯერ გონებაში გაითვალისწინებს ახალ სიტუაციას, გაიაზრებს მის წინაშე მდგარ ახალ ამოცანას და ზედმეტი, მიზანშეუწონელი მოძრაობების წარმოების გარეშე, გააზრებულის თანახმად მოქმედებს. კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ: „... ადამიანი, ვიდრე ფიჭის უჯრედს გააკეთებდეს, ჯერ თავის თავში გააკეთებს მას“.

3. ცხადია, რომ ფსიქიკის უმაღლესი ფორმის — ცნობიერების განვითარება შეუძლებელია „ფსიქიკის ორგანოს“. ე. ი. დიდი ტვინის ქერქის სათანადო განვითარების გარეშე.

შრომის, იარაღის გამოყენებისა და მეტყველების განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა ადამიანი. განვითარდა მისი ფსიქიკა, ჩამოყალიბდა ცნობიერება და, ცხადია, განვითარდა მისი ტვინი. დიდი ტვინის ქერქის განვითარების გარეშე, ცნობიერების განვითარებაც შეუძლებელი იქნებოდა.

ენგელსი წერდა: „ჯერ შრომა, შემდეგ კი და მის გვერდით დანაწევრებული მეტყველება იყო ყველაზე მთავარი სტიმულები, რომელთა გავლენით მაიმუნების ტვინს შეეძლო თანდათან გარდაქმნილიყო ადამიანის ტვინად, რომელიც მიუხედავად ძირითადი სტრუქტურის სრული მსგავსებისა, ალემატება პირველს სიდიდით და სრულქმნილობით“.

მართლაც, დიდი ტვინის მასის შეფარდება „ძველ ტვინთან“ და სხეულის წონასთანაც ადამიანთან გაცილებით მეტია, ვიდრე ცხოველებთან; ტვინის უჯრედოვანი აგებულებაც ადამიანთან ბევრად უფრო დიფერენცირებულია და განვითარებული. ადამიანს ანატომიურად გაცილებით უფრო განვითარებული აქვს ტვინის შუბლისწილიც, რომელიც უმაღლესი ფსიქიკური პროცესების ორგანოდ ითვლება (იხ. § 4); დიდი ტვინის ზედაპირის დარღვევა-დანაკლებაც ადამიანთან შეუდარებლად მეტია, რის გამოც ქერქის ფართობიც

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, 1948, გვ. 31.

გაცილებით მეტია და ა.შ. ცხადია, რომ ტვინის ანატომიურ განვითარებასთან ერთად, იგი ვითარდება ფიზიოლოგიურად, ე. ი. ფუნქციონალურად (იხ. წინა თავი).

წრომის პროცესში ადამიანი გარდაქმნის, „გაადამიანებს“ ბუნებას თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ეს „გაადამიანებული“ ბუნება, თავის მხრივ, ცვლის ადამიანს, რამდენადაც მისი განვითარების ახალ ფაქტორს წარმოადგენს, ხოლო განვითარების ამ პროცესში იცვლება, ცხადია, ადამიანის ტვინიც; ტვინის განვითარება კი, თავის მხრივ, შემდგომი ფსიქიკური განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ამრიგად, ერთი მხრივ, ადამიანის ცნობიერების განვითარების აუცილებელ პირობას ტვინის განვითარება შეადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, ტვინის განვითარება გაპირობებულია ადამიანის საზოგადოებრივი-ისტორიული განვითარებით: ტვინს ხომ დამოუკიდებელი არსებობა არა აქვს; იგი ადამიანის ორგანოა და ისიც მოქმედების პროცესში მთელ ორგანიზმთან ერთად ვითარდება.

4. ადამიანის განვითარების უდიდეს ფაქტორს მისი გამოცდილების შემდგომადობა (преемственность) წარმოადგენს: კაცობრიობის მიერ მიღწეული განვითარების დონე, მის მიერ შექმნილი გამოცდილება, არ იკარგება: საწარმოო იარაღების, კულტურის ნაწარმოებისა და მეტყველების საშუალებით იგი შემდეგ თაობებს გადაეცემა. ისე რომ, ახალი თაობები თავის განვითარებას ცარიელი ადგილიდან კი არ იწყებენ, არამედ აგრძელებენ წინა თაობათა მიერ მიღწეულს, იყენებენ წინა თაობათა გამოცდილებას. კაცობრიობის მიერ „გაადამიანებული ბუნების“ შეცვლილ პირობებში მცხოვრები ახალი თაობები კიდევ უფრო ღრმად შეცვლიან, გარდაქმნიან ბუნებას და ა.შ. ასე იქმნება და ვითარდება კულტურა, რაც გამოცდილების შემდგომადობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

## გ 6. ადამიანის ფსიქიკის ზოგადი დახასიათება

### ფსიქიკის ძირითადი თვისებები

ადამიანის ფსიქიკის შესწავლის შედეგად დადგენილია ფსიქიკის შემდეგი ძირითადი თვისებები:

1. ფსიქიკის ძირითადი ფუნქცია, როგორც დავინახეთ (იხ. ზე-

მთ, § 1), ობიექტური სინამდვილის ასახვაში მდგომარეობს. ფსიქიკის აღმოცენებაც და შემდეგი განვითარებაც ობიექტური სინამდვილის ასახვის საჭიროებითაა გაპირობებული: ფსიქიკა გარემოსთან შეგუების პროცესში აღმოცენდა და განვითარდა, როგორც ამ გარემოს ასახვის უნარი (იხ. ზემოთ, § 5).

აქედან გასაგებია, რომ ფსიქიკის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა ის გარემოება, რომ ყოველი ფსიქიკური პროცესი აუცილებლად საგანზეა<sup>1</sup> მიმართული, საგანს გულისხმობს: ყოველი განცდა არა მხოლოდ თვითონ არსებობს, როგორც განცდა, არამედ თავის გარეშე გულისხმობს იმ საგანს, რომელსაც ასახავს ან რომელთანაც სუბიექტის დამოკიდებულებას გამოსახავს.

აღქმა, მაგალითად, რაიმეს აღქმაა, ისე როგორც წარმოდგენა რაიმეს (ობიექტის) წარმოდგენაა, აზრი რაიმეს შესახებ აზრია, გრძნობა რაიმეს ან ვინმეს მიმართ გრძნობაა და ა.შ. არაფრის აღქმა ისევე შეუძლებელია, როგორც არაფრის შესახებ აზრი.

2. ფსიქიკურის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას მისი პიროვნებისეული ხასიათი შეადგენს. ფიზიკურ საგანთა საპირისპიროდ ფსიქიკური მოვლენები თავისთავად კი არ არსებობენ, არამედ აუცილებლად პიროვნების, კონკრეტული ადამიანის გამოვლენას წარმოადგენენ. ლენინის თქმით: „ყველამ იცის რა არის ადამიანის შეგრძნება, მაგრამ უაღამიანოდ ან ადამიანამდე არსებული შეგრძნება სისულელე, მკვდარი აბსტრაქცია, იდეალისტური ოინბაზობაა“<sup>2</sup>. ანალოგიური აზრი გრძნობათა ჰიპოტაზირების, ე. ი. დამოუკიდებელ არსად აღიარების წინააღმდეგ გამოთქმული აქვთ კ. მარქსსა და ფ. ენგელსს სიყვარულის გრძნობის მაგალითზე<sup>3</sup>.

ყოველი ფსიქიკური მოვლენა ვინმე კონკრეტული ადამიანის ფსიქიკის გამოვლენაა. ადამიანის გარეშე იგი არ არსებობს: აღქმა, მაგალითად, ვინმე კონკრეტული პიროვნების აღქმაა, წარმოდგენაც ასეა — იმის გარეშე. ვინც წარმოიდგენს. იგი არ არსებობს, ისევე, როგორც არ არსებობს გრძნობა იმის გარეშე, ვინც მას განიცდის და ა.შ. აქედან გასაგებია, რომ ყოველ ფსიქიკურ მოვლენათა შესწავლა საჭიროა

<sup>1</sup> საგანი აქ და შემდეგაც ნახშირია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, იგი გულისხმობს საზოგადოდ ობიექტს — როგორც საგანს, ისე მოვლენას, პროცესს, რომელიც ობიექტურ სინამდვილეში არსებობს.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, 1950, გვ. 285.

<sup>3</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. III, 1929.

პიროვნების თვისებათა და მის შინაგან მდგომარეობათა გათვალისწინებით.

ფსიქიკური პროცესები იცვლებიან იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია პიროვნება, ის ადამიანი, რომელშიც მიმდინარეობს ეს პროცესები. აღელვებულია თუ დამშვიდებულია ადამიანი, განიცდის ის რაიმე მოთხოვნილებას თუ არა, რა მოთხოვნილებას განიცდის, როგორ არის განწყობილი და ა.შ., ეს ყველაფერი გარკვეულ ფარგლებში თავისებურად ცვლის განცდებს, ფსიქიკურ პროცესებს — აღქმის, ყურადღების, მეხსიერებისა და სხვა პროცესები განსხვავებულად მიმდინარეობენ სუბიექტის ამ განსხვავებული შინაგანი მდგომარეობის მიხედვით.

3. ფსიქიკის პიროვნებისეულობასთან დაუშორებელია ფსიქიკის მთლიანობითი ბუნებაც. ადამიანის ფსიქიკა ცალკე ფსიქიკურ ფუნქციათა<sup>1</sup> კონას, დამოუკიდებელ ფსიქიკურ ფუნქციათა ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ — მთლიანობას. ცალკე ფსიქიკურ ფუნქციებზე მსჯელობა გარკვეული აბსტრაქციის შედეგია. ცალკე დამოუკიდებელი ფუნქციები არც არსებობენ, არც მოქმედებენ. მოქმედებს ყოველთვის მთლიანი პიროვნება სხვადასხვა ფუნქციათა როგორც თავის ორგანოების ამოქმედების გზით. მაგალითად, აღქმა კი არ აღიქვამს საგანს, არამედ პიროვნება აღიქვამს, მეხსიერება კი არ იხსომებს, არამედ ადამიანი, პიროვნება იხსომებს მეხსიერების ამოქმედების გზით და ა.შ. მოქმედების შედეგად ფუნქციები კი არ იღლებიან, ადამიანი იღლება. მაგალითად, დიდი მასალის დაზეპირების შედეგად იღლება ადამიანი და არა მეხსიერება და ეს დაღლა სხვა ფუნქციათა (ყურადღების, აზროვნებისა და ა.შ.) მოქმედებაშიც მჟღავნდება.

არ არსებობს ისეთი მოქმედება, რომელიც ერთი რომელიმე ფუნქციის მოქმედების გზით ხორციელდებოდეს.

მაგალითად, ლექციის დროს კონსპექტის წერა რომ ავიღოთ. მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ფუნქციათა რიგის კომპლექსური ამოქმედების გზით: კონსპექტს ვერ დაწერ ვერც აღქმის, ვერც ყურადღების, ვერც მეხსიერების თუ აზროვნების, ანდა ნებისყოფის მონაწილეობის გარეშე.

მეტეც უნდა ითქვას! თითოეული ფუნქციის მოქმედებაშიც

<sup>1</sup> ფსიქიკურ ფუნქციებს უწოდებენ ისეთ ძირითად ფსიქიკურ „უნარებს“ როგორცაა აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, წარმოსახვა, გრძნობები და ნებისყოფა.

გარკვეული ხარისხით სხვა ფუნქციები მონაწილეობენ. მაგალითად, ადამიანის აღქმაში მონაწილეობს ყურადღება — იგი აღქმის განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მეხსიერება, რამდენადაც აღქმაზე გავლენას სუბიექტის გამოცდილება ახდენს, აზროვნება, რამდენადაც აღქმა აზრიან, შინაარსეულ ხასიათს ატარებს და ა.შ. ისე, რომ ფუნქციათა სრული გათიშვა კონკრეტულ ფსიქიკურ პროცესებში შეუძლებელია.

4. ფსიქიკა მთლიანია, მაგრამ არაერთგვაროვანი, „გათქვეფილი“, არა დიფუზური მთლიანია. ამ მთლიანში თავს იჩენს განსხვავებული ფსიქიკური პროცესები და, პირველ რიგში, არსებითად განსხვავებული ფსიქიკური ფუნქციები — აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ფანტაზია, ანუ წარმოსახვა, გრძნობები და ნებისყოფა. ასეთ მთლიანს, რომელიც განსხვავებულ, არადამოუკიდებელ მომენტებს შეიცავს — განაწევრებულ, ანუ დიფერენცირებულ მთლიანს უწოდებენ (შეადარე ზემოთ — ტვინის ქერქის დიფერენცირებული მთლიანობა). ფსიქიკა დანაწევრებულ, ანუ დიფერენცირებულ მთლიანობას წარმოადგენს.

5. ფსიქიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას მისი დინამიკურობა, ან როგორც ამბობენ, „ნაკადისებურობა“ წარმოადგენს. ადამიანის ცნობიერების შინაარსი მუდამ მოძრაობაშია. სხვადასხვა ფსიქიკური შინაარსები მუდამ ცვლიან ერთმანეთს: წარმოდგენას მოჰყვება სხვა წარმოდგენა, ამ უკანასკნელს — აზრი, აზრს — ნეორე აზრი, ის კი გრძნობას გამოიწვევს, რომელიც რაღაცას მოგვაგონებს, ეს მოგონება სხვა მოგონებას გამოიწვევს და ა. შ.

ეს თვისება, დინამიკურობა, კიდევ უფრო აშკარად ჩანს მიზანდასახული მოქმედების შემთხვევაში, მაგალითად, რაიმე ამოცანის გადაწყვეტისას, რაიმე საკითხზე ფიქრისას და ა.შ. ხაზგასასმელია, რომ ფსიქიკური შინაარსების ასეთი დინების მიუხედავად სუბიექტის ცნობიერება როგორც მთელი იგივე რჩება, ფსიქიკის სუბიექტი იმავე პიროვნებად რჩება, როგორც იგივე რჩება მდინარე, თუმცა მასში გამდინარე წყალი განუწყვეტლივ იცვლება.

#### ფსიქიკურ პროცესთა კლასიფიკაცია

ფსიქიკურ პროცესთა მრავალნაირობაში შესამჩნევია სხვადასხვა ხასიათის სხვადასხვა ფსიქოლოგიური ბუნების მოვლენები, რაც საჭიროდ ხდის ამ მოვლენათა კლასიფიკაციას.

აქ მოგვყავს მეცნიერებაში არსებულ კლასიფიკაციებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული და მარტივი კლასიფიკაცია.



ამ კლასიფიკაციის საფუძველს ფაქტიურად სუბიექტისა და გარემოს შორის ურთიერთობის პრინციპი წარმოადგენს: ფსიქიკური პროცესები იმისდა მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებენ სუბიექტისა და გარემოს შორის ურთიერთობაში, 3 ძირითად კლასად იყოფა:

1) შემეცნებითი პროცესები. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ის პროცესები, რომლებიც ობიექტური სინამდვილის შემეცნებას ემსახურებიან, — საგნებისა და მათ შორის მიმართებების ასახვას ახორციელებენ. პირველ რიგში, ეს არის აღქმა, რომელიც აქ და ამჟამად მოცემულ ფიზიკურ საგანთა თვალსაჩინო ასახვას იძლევა, მეხსიერება, რომელიც უწინ აღქმულს ასახავს, აზროვნება, რომლის მეშვეობით ობიექტური სინამდვილის გაგება ხორციელდება.

2) „ცნობიერების მდგომარეობანი“, ანუ ემოციური ბუნების პროცესები. ეს პროცესები სუბიექტის იმ შინაგან მდგომარეობას წარმოადგენენ, რომელიც მის დამოკიდებულებას გამოხატავს სინამდვილის მოვლენათა მიმართ; მოსწონს, არ მოსწონს, უყვარს თუ სძულს, ახარებს თუ აწუხებს და ა.შ. ამ კლასს სხვადასხვა ხასიათის გრძნობები და ემოციები ეკუთვნიან.

3) ნებელობითი („ვოლუტატური“) პროცესები. ეს ის ფსიქიკური პროცესებია, რომლებიც ახორციელებენ ადამიანის აქტიურ მოქმედებას, ობიექტურ სინამდვილეზე ზემოქმედებას და ა.შ. ამ კლასს ეკუთვნის ნებისყოფის, გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების პროცესები, მისწრაფებები, ლტოლვები, მოქმედების ტენდენციები და ა.შ.

## თ ა ვ ი მ ა ო რ ი

### შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა

#### § 1. შებენებათა ზოგადი დახასიათება

##### შებენებები აღმოს შინაარსს შეადგენენ

ობიექტური სინამდვილის ასახვა ადამიანის ფსიქიკაში, პირველ რიგში, აღქმის სახით ხდება. ობიექტური საგნის უშუალო განცდა ამ საგნის აღქმას წარმოადგენს.

ჩვენ აღვიქვამთ საგნებს, მათ მოძრაობას, მათ ხმაურს, მათი ზედაპირის სიმაგრეს, თუ სირბილეს, მათ ფერს, სუნს და ა. შ. საგნის ან მისი ცალკე თვისებებს, როგორც ობიექტურად ჩვენს გარეთ არსებულის განცდას — აღქმა ეწოდება.

მაგრამ იმისათვის, რომ აღქმა განხორციელდეს, რომ დავინახოთ საგანი, გავიგონოთ მისი ხმა, განვიცადოთ მისი ზედაპირის სიგლუვე, ან მისი სირბილე თუ სიმაგრე, ვიგრძნოთ მისი სუნი და ა. შ., ამ საგანმა სათანადო ნერვების დაბოლოებების (რეცეფტორების) გაღიზიანების მეშვეობით უნდა წარმოშვას ჩვენში სათანადო შეგრძნებები.

შეგრძნებების აღმოცენების გარეშე, ობიექტური სინამდვილის საგანთა<sup>1</sup> აღქმა შეუძლებელია. როგორც ამბობს ვ. ლენინი, „თუ არ შეგრძნების შემწეობით, ჩვენ არაფრის ცოდნა არ შეგვიძლია არც ნივთიერების რაიმე ფორმებზე, არც მოძრაობის რაიმე ფორმებზე“<sup>2</sup>.

შეგრძნებები წარმოადგენენ იმ მასალას, რომელიც აღქმის „შინაარსს“ შეადგენს; ეს მასალა, ნორმალურ პირობებში, საგნების ან მათი თვისებების აღქმის სახით ორგანიზირ-

<sup>1</sup> ცნებას „საგანი“ ყველგან ვხმარობთ ფართო მნიშვნელობით. მასში იგულისხმება როგორც საკუთრივ საგანი, ისე მოვლენა, პროცესი, რომელიც ობიექტურ სინამდვილეში არსებობს.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 383.

დებან. ჩვეულებრივ, ნორმალურ პირობებში შეგრძნებები განიცდებიან არა აღქმისაგან დამოუკიდებლად, არამედ აღქმის შინაარსის სახით, ე.ი. როგორც ჩვენს გარეთ, ობიექტურად მოცემული საგნის ფერი, მისი სუნი, მისი სიგლუვე და ა.შ. და არა საგნობრიობას მოკლებული „სინათლე“ თუ „სიმწვანე“, სიგლუვე და ა.შ. მხოლოდ იშვიათ არაჩვეულებრივ პირობებში იჩენს ხოლმე თავს შემთხვევები, როდესაც შეგრძნება განიცდება როგორც ასეთი, აღქმის გარეშე (იხ. შემდეგი თავი).

მაგრამ რადგანაც აღქმა შეგრძნებების მასალაზე აიგება, ამიტომ აღქმის პროცესის მეცნიერული შესწავლა აუცილებლად გულისხმობს შეგრძნების შედარებით უფრო მარტივი პროცესის გათვალისწინებას. თუმცა ობიექტური სინამდვილის თვალსაჩინო ასახვა აღქმის ეროიან, მთლიან პროცესს წარმოადგენს, რომელშიაც შეგრძნება არ არის გამოყოფილი, მაგრამ თანამედროვე მეცნიერულ ფსიქოლოგიაში ავ ერთიანი პროცესის შესწავლის შედეგად ორი ცნება ჩამოყალიბდა — აღქმისა და შეგრძნების ცნება. მართალია, ფაქტიურად შეგრძნება შეისწავლება საგნის ნაწილობრივი თვისებების (ფერის, ბგერის, გემოსა და ა. შ.) აღქმის პროცესში, მაგრამ ამ გზითაც მოხერხდა შეგრძნებების კანონზომიერებათა დეტალური შესწავლა.

ჩვენც, სანამ შევეუდგებოდეთ საკუთრივ აღქმის განხილვას, დროებით მოვახდინოთ შეგრძნების განყენება აღქმისაგან და გავეცნოთ ჯერ შეგრძნებათა სახეებს და მათ ძირითად კანონზომიერებებს.

### შეგრძნების აღმოცენება

იმისათვის, რომ აღმოცენდეს შეგრძნება, აუცილებელია რამდენიმე მომენტი; ჯერ ერთი, რაიმე ფიზიკურმა მოვლენამ ისე უნდა იმოქმედოს სპეციფიკურად აგებულ ნერვულ დაბოლოებაზე — რეცეფტორზე<sup>1</sup>, რომ გამოიწვიოს ნერვში აგზნების ფიზიოლოგიური პროცესი. ფიზიკური მოვლენის ასეთ შემოქმედებას გაღიზიანებას უწოდებენ, ხოლო თვით მოვლენას, რომელიც გაღიზიანებას იწვევს — გამღიზიანებელს.

შემდეგ გაღიზიანებით გამოწვეული აგზნება უნდა გავრცელდეს მგრძნობიარე, ანუ აფერენტული ნერვით დიდი ტვინის ქერქის სა-

<sup>1</sup> რეცეფტორი („მომღები“) ეწოდება მგრძნობიარე ნერვების სპეციფიკური აგებულების დაბოლოებებს, რომლებიც სპეციფიკური ფიზიკური გამღიზიანებლებით ღიზიანდებიან (იხ. თავი 1, § 4).

თანადო პუნქტის ნერვულ უჯრედებზე. შეგრძნება აღმოცენდება ამ უჯრედების აგზნების შედეგად. მათი აგზნება უკვე განიცდება შეგრძნების სახით. ამ პროცესს გულისხმობდა ვ. ი. ლენინი, როდესაც წერდა: „მატერია არის ის, რაც მოქმედებს ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე და იწვევს შეგრძნებას“<sup>1</sup>.

ამრიგად, ფიზიკური მოვლენა (გამლიზიანებელი) რეცეფტორის გალიზიანების შედეგად იწვევს აგზნების ფიზიოლოგიურ პროცესს, რომელიც დიდი ტვინის ქერქის სათანადო უჯრედებში გადასვლისას იწვევს შეგრძნებას — ფსიქიკურ პროცესს.

ი. პ. პავლოვისა და მისი სკოლის კვლევა-ძიების შედეგად გამოიჩინა, რომ რეცეფტორი, სათანადო აფერენტული ნერვი და ცენტრის სათანადო არის ნერვულ უჯრედთა ჯგუფი არსებითად ერთ რთულ ორგანოს წარმოდგენს, რომელსაც პავლოვმა „ანალიზატორი“ უწოდა. ანალიზატორი აწარმოებს რეფლექტორულ მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს გამლიზიანებლის შეგრძნებას: მაგალითად, თვალის გუგის რეფლექსს სინათლის ხარისხის შესატყვისად, ან თავის მობრუნებას ბგერის აღსაქმელად და ა. შ.

ანალიზატორის პერიფერიული ნაწილი — რეცეფტორი, სხვადასხვა აგებულებისაა იმისდა მიხედვით, თუ რომელი სახის გამლიზიანებელს ღებულობს იგი: როგორც ქვემოთ დავინახავთ, სხვადასხვა სახის შეგრძნებებს — მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოს, შეხებისა და ა. შ. — სხვადასხვა აგებულების რეცეფტორები ემსახურება.

#### საკითხი შეგრძნების ორგანოთა „საეტიმოლოგიური ენაობის“ შესახებ

როგორც აღნიშნული იყო, სხვადასხვა სახის, სხვადასხვა აგებულების რეცეფტორთა გალიზიანება სხვადასხვა სახის შეგრძნებებს გვაძლევს. ჭერ კიდევ წარსულ საუკუნეში ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ ყოველი სახის რეცეფტორს („შეგრძნების ორგანოს“), რითაც არ უნდა გალიზიანდეს იგი, უნარი აქვს მხოლოდ მისთვის სპეციფიკური სახის შეგრძნების მოცემისა — მაგალითად, რითაც არ უნდა გალიზიანდეს მხედველობის რეცეფტორი (დარტყმით, ელექტროდენით, ქიმიური ნივთიერებით და ა. შ.), თუკი გალიზიანდება იგი, მხოლოდ სინათლის შეგრძნებას, ე. ი. მხედველობის შეგრძნებას იძლევა: სმენის რეცეფტორი, რითაც არ უნდა გალიზიანდეს იგი, თუნდაც იმავე

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 176, გამოც. IV.

დარტყმით ან ელექტროდენით, ბგერის შეგრძნებას გვაძლევს; გემოს რეცეფტორის გაღიზიანება ელექტრობით — გემოს შეგრძნებას გვაძლევს და ა. შ. ფსიქოლოგმა ი. მიულერმა ამ კანონზომიერებას „გრძნობის<sup>1</sup> ორგანოთა სპეციფიკური ენერჯიის კანონი“ უწოდა.

მაგრამ ი. მიულერი არ დაკმაყოფილდა ფაქტიური კანონზომიერების განხილვით: მან ამ კანონს სრულიად ყალბი სუბიექტური იდეალისტური ინტერპრეტაცია მისცა; სახელდობრ, მან დაასკვნა, რომ შეგრძნება განისაზღვრება არა ობიექტური გამღიზიანებლის თავისებურებით, არამედ თვით „გრძნობის ორგანოს“ აგებულებით, ე. ი. შეგრძნებები ობიექტური მოვლესების თავისებურებებს კი არ ასახავენ, არამედ სუბიექტის ორგანოს თავისებურებას<sup>2</sup>.

ეს დასკვნა არ შეეფერება სინამდვილეს; „სპეციფიკური ენერჯიის“ ფაქტებიდან საწინააღმდეგო დასკვნა გამომდინარეობს: თითოეული სახის რეცეფტორს იმიტომ შეუძლია მხოლოდ მისი შესატყვისი სახის (მოდალობის) შეგრძნების მოცემა, რომ რეცეფტორების აგებულება შეესატყვისება სათანადო სახის ფიზიკურ გამღიზიანებლებს, რადგანაც რეცეფტორის აგებულება ჩამოყალიბდა გარკვეული ფიზიკური მოვლენების (სინათლის, ბგერის და ა. შ.) მიმართ შეგუების პროცესში. ამ შესატყვისი გამღიზიანებლის მიმართ რეცეფტორებს აქვთ მეტად მაღალი მგრძნობიარობა, ხოლო სხვა სახის გამღიზიანებლებით ეს რეცეფტორები, როგორც წესი ვერ ღიზიანდებიან; სმენის რეცეფტორი ვერ ღიზიანდება სინათლით ან სუნით, მხედველობის რეცეფტორი — ბგერით (ჰაერის რხევით) ან სუნით, სუნის რეცეფტორი — სინათლით ან ბგერით და ა. შ. ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც რეცეფტორების აგებულება ჩამოყალიბდა ფილოგენეზში გარემოს სათანადო ფიზიკურ გამღიზიანებლებთან შეგუების პროცესში. ამიტომაც, რომ, მაგალითად, იმ ცოცხალ არსებას, რომელიც უსინათლო გარემოში ცხოვრობს, მხედველობის რეცეფტორი არ გააჩნია.

არაადექვატური გამღიზიანებელი მხოლოდ იშვიათ, არაბუნებრივ პირობებში აღიზიანებს რეცეფტორს (მაგალითად, მხედველობის

<sup>1</sup> ტრადიციულად ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში „გრძნობადი“ იხმარება შეგრძნებითის მნიშვნელობით, ლათინური ტერმინიდან *sentus*, რაც გრძნობასაც ნიშნავს და შეგრძნებასაც.

<sup>2</sup> ეს ფიზიკური იდეალიზმისათვის ტიპური კონცეფცია გაკრიტიკებული აქვს ე. ი. ლენინს შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

რეცეფტორს — ელექტროდენი, ან დაწოლისა და ქიმიური გამ-  
ლიზიანებელი) და მაშინაც იწვევს ხოლმე მხოლოდ ერთ-ერთი  
თვისების დიფუზურ შეგრძნებას. შესატყვის და არაშესატყვის  
გამლიზიანებლებზე შეგრძნების ორგანო სულ სხვადასხვაგვარად  
რეაგირებს: ადექვატური გამლიზიანებლის მიმართ ეს ორგანო მიი-  
მართება საორიენტაციო რეფლექსის სახით (მაგალითად, სინათლის  
გამლიზიანებაზე თვალი გაიღება), ხოლო არაადექვატურ გამლიზი-  
ანებელს თავდაცვის რეაქციით უპასუხებს (მაგალითად, თვალი  
იხუჭება).

### შეგრძნების ორგანოთა შეგრძნებირება (შეგრძნების ზღურბლი)

ყოველი ინტენსივობის გამლიზიანებელს როდი შეუძლია შეგრძ-  
ნების გამოწვევა.

ქვედა ზღურბლი. იმისათვის, რომ აღმოცენდეს უსუსტესი შეგრ-  
ძნება, გამლიზიანებელმა უნდა მიაღწიოს ინტენსივობის გარკვეულ  
ღონეს. გამლიზიანებლის იმ ინტენსივობას, რომელიც იწვევს უსუსტეს  
შეგრძნებას, „შეგრ-  
ძნების ქვედა, ანუ მინიმალური ზღურბლი“ ეწო-  
დება.

მაგალითად, ჩვენ ვერ შევიგრძნობთ მტკრის ნაწილაკების შე-  
ხებას კანზე, ვინაიდან ამ გამლიზიანებლის ინტენსივობა ვერ აღ-  
წევს შეხების შეგრძნების ქვედა ზღურბლს, იგი „ზღურბლქვედაა“.  
იმისათვის, რომ შევიგრძნოთ შეხება, მისმა ინტენსივობამ უნდა  
მიაღწიოს გარკვეულ ღონეს, სახელდობრ, ერგის<sup>1</sup> ერთ მეათათა-  
სედს  $\left(\frac{1}{10.000}\right)$ . ეს არის შეხების შეგრძნების ქვედა ზღურბლი.

ყოველი მოდალობის შეგრძნებას თავისი მინიმალური ზღურბ-  
ლი გააჩნია. მაგალითად, სპექტრის შუა ადგილის (მწვანე ფერის)  
შესატყვისი სინათლის შეგრძნების ქვედა ზღურბლი უდრის ერგის  
ერთ მეასმილიონედს  $\left(\frac{1}{100.000.000}\right)$ , საშუალო სიმაღლის ბგე-  
რის (ტონის) შეგრძნების ქვედა ზღურბლი ერგის ერთ მეათმილი-  
ონედს  $\left(\frac{1}{10.000.000}\right)$  უდრის და ა. შ.

<sup>1</sup> ერგი ფიზიკური ენერჯის იმ ოდენობის პირობითი საზომია, რომელიც  
საჭიროა ერთი გრამი სიმძიმის ასაწევად ერთ სეკუნდში ერთი სანტიმეტრის  
სიმაღლეზე.

ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას. რამდენადაც სმენის შეგრძნებას იწვევს პაერის რხევა. რომლის სიხშირე ბგერის სიმაღლეს განსაზღვრავს, ხოლო მხედველობის შეგრძნებას იწვევს გარკვეული სიხშირის ელექტრომაგნიტური რხევა, აქედან ამ შეგრძნებათა გამოწვევა დამოკიდებულია აღნიშნულ რხევების სიხშირეზედაც. მაგალითად, ამისათვის, რომ აღმოჩნდეს შეიგრძნოს უმდებლესი ბგერა, პაერის რხევის სიხშირემ უნდა შეიღწიოს 16-ს სექუნდში. 16 რხევა სექუნდში ბგერის სიმაღლის ქველა ზღურბლია და არა ინტენსივობის. ბუნებაში არსებობს ამაზე ნაკლები სიხშირის პაერის რხევა, მაგრამ ადამიანის სმენისათვის იგი არ არსებობს. იგი „ზღურბლქვედაა“.

ელექტრომაგნიტური რხევის ყველაზე ნაკლები სიხშირე, რომელიც იწვევს მხედველობის (წითელი ფერის) შეგრძნებას, 760 მილიმეტრონის სიგრძის ტალღებს წარმოადგენს. ბუნებაში არსებობს ამაზე ნაკლები სიხშირის (ტალღების მეტი სიგრძის) ელექტრომაგნიტური რხევები (ინფრაწითელი სხივები და სხვ.), მაგრამ აღმოჩნდა მხედველობის შეგრძნებას ისინი ვერ იწვევენ, რადგანაც ვერ აღწევენ ზღურბლს.

შეგრძნების ქვედა ზღურბლი მოცემული სიხის („მოდალობის“) შეგრძნების ორგანოს მგრძნობიერების მაჩვენებელია. რაც უფრო დაბალია ზღურბლი, მით უფრო მგრძნობიარეა შეგრძნება.

ზედა ზღურბლი. ქვედა ზღურბლზე მეტი ინტენსივობის გამლიზიანებელს, ე.ი. „ზღურბლზედა“ გამლიზიანებლებს ჩვენ მით უფრო ძლიერად შევიგრძნობთ, რაც უფრო ინტენსიური გამლიზიანებელი, მაგრამ ამ მიმართულებითაც არსებობს საზღვარი. ეს არის შეგრძნების „ზედა ანუ მაქსიმალური ზღურბლი“. ასე ეწოდება გამლიზიანებლის იმ ინტენსივობას, რომლის მომატებაც შეგრძნების ინტენსივობას აღარ ზრდის.

ზედა ზღურბლს შეგრძნების მაქსიმალური ინტენსივობა შეესატყვისება. ამაზე მეტი ინტენსივობის შეგრძნების გამოწვევა შეუძლებელია.

ამრიგად შეგრძნების ქვედა და ზედა ზღურბლი საზღვრავს გამლიზიანებლის იმ ინტენსივობათა დიაპაზონს, რომელთა შორის თავსდება შეგრძნების ინტენსივობათა ყველა გრადუსი. ამიტომ ამ ორ ზღურბლს — ქვედასა და ზედას — ზოგი იტყობი „გარეგან ზღურბლებს“ უწოდებს.

სხვაობის ზღურბლი. გამლიზიანებლის ინტენსივობის ცვლილებათა მიმართ შეგრძნების მგრძნობიერების მაჩვენებელია, ე.წ. „სხვაობის ზღურბლი“.

ეს არის გამლიზიანებლის ორ ინტენსივობა-

თა შორის ის მინიმალური სხვაობა, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ.

ადამიანი როდი შეიგრძნობს გამლიზიანებლის ინტენსივობის ყოველ ოდნავ ცვლილებას (მომატებას ან დაკლებას). იმისათვის, რომ შევიგრძნოთ ასეთი ცვლილება, ინტენსივობათა შორის სხვაობამ გარკვეულ ოდენობას უნდა მიაღწიოს — ეს არის „საზღვრულ“ სხვაობა, რომელიც მოცემული სახის შეგრძნებისათვის „სხვაობის ზღვრულს“ წარმოადგენს. ამ ზღვრულს, ზემოთ აღწერილ „გარეგან ზღვრულებთან“ დაპირისპირებით, „შინაგან ზღვრულს“ უწოდებენ. სხვადასხვა სახის შეგრძნებას სხვადასხვა სხვაობის ზღვრული ახასიათებს. მაგალითად, საშუალო ინტენსივობათა სინათლისათვის

იგი დაახლოებით  $\frac{1}{100}$ -ს უდრის, ე. ი. იმისათვის რომ შევამჩნიოთ

რომელიმე ინტენსივობის სინათლის დაკლება ან მომატება, არსებულ ინტენსივობას უნდა მიემატოს ან დააკლდეს  $\frac{1}{100}$ . საშუალო

ინტენსივობათა ბგერებისათვის სხვაობის ზღვრული დაახლოებით  $\frac{1}{10}$ -ს უდრის, სიმძიმისათვის —  $\frac{1}{30}$ -ს და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ რიცხვებს, როგორც საზოგადოდ სხვაობის ზღვრულების გამომხატველ რიცხვებს, მხოლოდ დაახლოებითი მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც სხვაობის ზღვრული არსებითად იცვლება რიგ პირობათა გამო, განსაკუთრებით კი გამლიზიანებლის აბსოლუტურ ინტენსივობათა ცვლილებებთან დაკავშირებით: უკიდურესად სუსტი და უკიდურესად ძლიერი გამლიზიანებლების მიმართ სხვაობის ზღვრული დიდად განსხვავდება გამლიზიანებელთა საშუალო ინტენსივობათა მიმართ სხვაობის ზღვრულისაგან.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ შეგრძნების მგრძნობიერება და, მაშასადამე, ზღვრულებიც მნიშვნელოვნად იცვლება როგორც თვით რეცეფტორის ფუნქციონალური მდგომარეობის, ისე გალიზიანების პირობებისა და თვით ადამიანის შინაგანი მდგომარეობის მიხედვით.

ასე, მაგალითად, გალიზიანების ფართობის მომატება (შეხების, მხედველობისა და სხვ. შეგრძნებებში) ზღვრულის დაწევას, ე. ი. მგრძნობიერების მომატებას იწვევს. მნიშვნელობა აქვს გალიზიანების ხანგრძლივობასაც. ზღვრულზე დიდ გავლენას ახდენს რე-



ცენტორის წინარე გალიზიანება: ზღურბლი მით უფრო მაღალია, რაც უფრო ინტენსიურად ღიზიანდებოდა რეცეფტორი იმავე მიმართულებით მანამდე, სანამ შეამოწმებდით მის მგრძობიერებას: დღის სინათლეზე ყოფნისას სინათლის შეგრძნების ზღურბლი ბევრად უფრო მაღალია, ე. ი. სინათლისადმი მგრძობიერება ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე სიბნელეში ყოფნისას და ა. შ.

სხვაობის ზღურბლი კლებულობს სათანადო მიმართულებით სისტემატური ვარჯიშის შედეგად (მაგალითად, მუსიკალური ტონების სიმალლის მიმართ, გემოს გარჩევის მიმართ და ა. შ.). გარდა ამისა, შეგრძნების მგრძობიერებაზე გავლენას ახდენს ადამიანის დამოკიდებულება გამლიზიანებლის მიმართ, ის სიტუაცია, რომელშიც ხდება გამლიზიანებლის აღქმა. რაც უფრო დაძაბულად ესწრაფვის ადამიანი მოცემული გამლიზიანებლის შემჩნევას, რაც უფრო მნიშვნელოვნად განიცდება მოცემულ პირობებში გამლიზიანებლის შემჩნევა, მით უფრო დაბლდება ზღურბლი და ა. შ.<sup>1</sup>.

#### შეგრძნების ზღურბლთა დადებითი მნიშვნელობა

ის გარემოება, რომ შეგრძნებათა ორგანოების გრძობიერება შეზღუდულია გარეგანი და შინაგანი ზღურბლებით, გარკვეულ ბიოლოგიურ მიზანშეწონილობას წარმოადგენს.

შეგრძნების ქვედა და ზედა ზღურბლი ძირითადში საზღვრავს ინდივიდისათვის აქტუალური მნიშვნელობის მქონე ინტენსივობის გამლიზიანებლებს. ცოცხალი არსება შეიგრძნობს იმ ინტენსივობის გამლიზიანებლებს, რომლებსაც ნორმალურ პირობებში მისი გვარისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

გამლიზიანებლის ინტენსივობათა ეს საზღვრები ხანგრძლივი ფილოგენეტიური განვითარების პროცესში გარემოსთან ურთიერთობაში ჩამოყალიბდა. ამიტომაც სხვადასხვა გარემო-პირობებში მცხოვრებ არსებებს შეგრძნების ზღურბლებიც სხვადასხვა აქვთ, ე.ი. შეგრძნებისათვის მისაწვდომ გამლიზიანებელთა წრე განსხვავებულია.

მაგალითად, ღამის ცხოველებს სინათლის შეგრძნებათა დიაპაზონი (გარეგანი ზღურბლები) სულ სხვა აქვთ, ვიდრე დღის ცხო-

<sup>1</sup> სამივე ზღურბლის შესახებ იხ. გ. კეჩხუაშვილის დასახ. შრომა, § 10 (გვ. 83—92).

ველებს და, კერძოდ, ადამიანს. ოკეანის დიდ სიღრმეებში მცხოვრებ ორგანიზმებს სულ სხვა მგრძნობიერება აქვთ, ვიდრე, მაგალითად, ადამიანს როგორც სინათლის, ისე „ატმოსფერული“ წნევის მიმართაც, რადგანაც მათ გარემოში სინათლის ხარისხი სულ სხვაა, ვიდრე ადამიანის გარემოში და წყლის წნევა, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ, მრავალჯერ აღემატება ხმელეთზე ატმოსფერულ წნევას და ა. შ.

გამლიზიანებლის ინტენსივობათა ცვლილების მიმართაც მგრძნობიერება, ე. ი. სხვაობის ზღურბლიც ამ სხვაობის პრაქტიკულ მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული. ცოცხალ არსებათა გვარს უვითარდება გამლიზიანებლის იმ ინტენსივობათა გარჩევის უნარი, რომელსაც მისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მის გარემოსთან ურთიერთობის პროცესში. საზღურბლე სხვაობაზე ნაკლები სხვაობები მოკლებულია მისთვის ბიოლოგიურ, პრაქტიკულ მნიშვნელობას და ამიტომ მათ მიმართ მგრძნობიერებაც ვერ განვითარდა (წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რა ხელშემშლელი იქნებოდა ადამიანისათვის, რომ ჩვეულებრივი საწერი ქალაქის გამოყენებისას იგი ხედავდეს მის ყველა უსწორმასწორობას, ხორკლიანობას, ბოჭკოებს და სხე. ისე, როგორც ეს მიკროსკოპში ჩანს!).

სხვაობის ზღურბლის პრაქტიკული მნიშვნელობით გაპირობებულიობას თვალსაჩინოდ ადასტურებს ზემოაღნიშნული ფაქტი; სახელდობრ, ის გარემოება, რომ სხვაობის ზღურბლი მაღლდება (ე. ი. ინტენსივობის სხვაობათა მიმართ მგრძნობიერება კლებულობს) შეგრძნების ინტენსივობათა კიდევთან (ზედა და ქვედა ზღურბლთან) მიახლოებისას; სხვაობის ზღურბლის დონე დაბალია (ე. ი. მგრძნობიერება მაღალია) გამლიზიანებელთა ინტენსივობის შეგრძნების შუა დიაპაზონთა მიმართ, რომელსაც ყველაზე მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ კაცობრიობის კულტურულ განვითარებასთან ერთად საჭირო ხდება საზღურბლე ინტენსივობებზე შეუდარებლად უფრო მაღალი და დაბალი ინტენსივობის გამლიზიანებლების აღქმაც (მაგალითად, საგნის უჯრედოვანი აგებულების დანახვა, ასტრონომიული სხეულის დაკვირვება, სექუნდის მეათასედების შემჩნევა და ა. შ.), ამას ადამიანი აღწევს უკვე არა რეცეფტორთა ბიოლოგიური განვითარებით, რაც შეუძლებელიცაა, არამედ ინტელექტის განვითარების შედეგად: იგი ქმნის ისეთ ხელსაწყოებს, რომლებიც მისი რეცეფტორები-

სათვის სავსებით მისაწვდომ ფორმაში აწვდის მას ცნობას ამ, ცოცხალი ორგანიზმის რეცეფტორთათვის მიუწვდომელ, მოვლენათა შესახებ (მიკროსკოპი, ტელესკოპი, ქრონომეტრები და ა. შ.).

### შეგრძნებათა ზოგადი თვისებები ანუ მხარეები

ყველა შეგრძნებას გააჩნია შემდეგი მხარეები, ანუ ზოგადი თვისებები, რომელთა ნაირობის მიხედვით შეგრძნებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან:

შეგრძნების მოძალობა<sup>1</sup>. ძირითად სხვაობას შეგრძნებათა შორის შეგრძნების მოძალობებში შეადგენენ. მოძალობებს უწოდებენ შეგრძნებათა იმ სახეობებს, რომლებიც დაკავშირებულია შეგრძნების ორგანოების (რეცეფტორების) სახეობებთან. მხედველობის შეგრძნებები ერთ მოძალობას წარმოადგენს, სმენისა — მეორეს, ყნოსვისა — კიდევ სხვას და ა. შ. (იხ. ქვემოთ შეგრძნებათა მოძალობების კლასიფიკაცია). თითოეული მოძალობის შეგრძნებას იწვევს სპეციფიკური აგებულების რეცეფტორთა გალიზიანება სპეციფიკური ფიზიკური გამლიზიანებლით: სინათლის მოძალობას, მაგალითად, მხედველობის სპეციფიკურ რეცეფტორთა (იხ. ქვემოთ მხედველობის შეგრძნებები) გალიზიანება სინათლით, ე. ი. გარკვეული სიხშირის ელექტრომაგნიტური რხევით, სმენის შეგრძნებას — შინაგან ყურში განლაგებული სპეციფიკური აგებულების რეცეფტორის გალიზიანება გარკვეული სიხშირის ჰაერის ტალღებით და ა. შ.

ინტრამოდალური თვისობრიობა. ასე ეწოდება ერთი მოძალობის ფარგლებში მოცემულ სხვაობებს<sup>2</sup>. მაგალითად, მხედველობითი მოძალობის შეგრძნებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, თუ რა ფერს შევიგრძნობთ (წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი და ა. შ.). ეს სხვაობა ინტრამოდალურ სხვაობას წარმოადგენს. გემოს მოძალობის შეგრძნებები განსხვავდებიან სხვადასხვა გემოს ნაირობით — მწარე, ტკბილი, მკავე და ა. შ. ესეც ინტრამოდალური თვისებებია და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ უშუალო განცდაში ინტერმოდალური<sup>3</sup> სხვაობები (მაგალითად, სხვაობა ფერის შეგრძნებასა და გემოს

<sup>1</sup> ლათინ. „მოლუს“ ნიშნავს სახეს ან სახეობას.

<sup>2</sup> „ინტრა“ ლათინურად ნიშნავს „შიგნით“.

<sup>3</sup> „ინტერ“ ლათინურად ნიშნავს „შორის“.

შეგრძნებას შორის) სხვაგვარად განიცდება, ვიდრე ინტრამოდალური სხვაობა (მაგალითად, სხვაობა წითელსა და ლურჯ ფერს შორის, ანდა სხვაობა მჟავე და ტკბილ გემოს შორის და ა. შ.). უკანასკნელს, სხვაობის განცდის მიუხედავად, რაღაც ერთიანობის განცდაც ახლავს თან. მაგალითად, რა გინდ განსხვავებული იყოს ფერები, ყველა მათ განცდას აერთიანებს „ფერობის“ რაღაც სპეციფიკური თვისება.

**ინტენსივობა.** ერთი და იმავე მოდალობისა და ინტრამოდალური თვისების შეგრძნებები (მაგალითად, ორი წითელი ფერი ან ორი მჟავე გემო, ანდა ერთი სიმძლის ორი ტონი) შეიძლება აშკარად განსხვავდებოდნენ თავისი ინტენსივობის (სიძლიერის) ხარისხის მიხედვით (მაგალითად, მჟავე გემოს მეტ-ნაკლები სიმჟავე, ერთი სიმძლის ტონის მეტ-ნაკლები სიძლიერე და ა. შ.). ყოველ შეგრძნებას გარკვეული მოდალობის და ინტრამოდალური თვისების გარდა ახასიათებს ინტენსივობის გარკვეული ხარისხი.

ამრიგად, ყველა შეგრძნებას საზოგადოდ სამი მხარე, ანუ სამი ზოგადი თვისება გააჩნია: **მოდალობა**, **ინტრამოდალური თვისობრიობა** და **ინტენსივობა**.

### **შეგრძნებათა მოდალობების კლასიფიკაცია**

ყოველდღიურ ცხოვრებაში ითვლება, რომ ადამიანს 5 მოდალობა, „ხუთი გრძნობა“ გააჩნია. ეს ძველი ფსიქოლოგიის გადმონაშთია. სინამდვილეში მოდალობათა რიცხვი ბევრად მეტია.

თანამედროვე მეცნიერების მონაცემთა მიხედვით ადამიანს გააჩნია შეგრძნებათა შემდეგი მოდალობები:

**მხედველობითი**, ანუ ოპტიკური ანდა ვიზუალური შეგრძნებები. მათი რეცეფტორები განლაგებულია თვალის ბადურაზე. სმენის, ანუ აკუსტიკური შეგრძნებები, მათი რეცეფტორები განლაგებულია შინაგან ყურში. ყნოსვის შეგრძნებები, მათი რეცეფტორი განლაგებულია ცხვირის ღრუს ზედა ნაწილში. გემოს შეგრძნებები, მათი რეცეფტორები განლაგებულია ენის ზედაპირზე და ნაწილობრივ რბილ სასაზე. შეხების შეგრძნებები, მათი რეცეფტორები კანშია განლაგებული. ტემპერატურის შეგრძნებები, ამ მოდალობის რეცეფტორებიც სხეულის ზედაპირზე — კანში და ლორწოვან გარსებშია განლაგებული, მაგრამ ტემპერატურისა და შეხების რეცეფტორები განსხვავებული აგებულებისაა და განსხვავებული გამლიზიანებლებით ღიზიანდებიან. ამ ორ მოდალობას ჩვეულებრივ ერ-

თი ზოგადი მოძალობის, სახელდობრ, „ტაქტილური“<sup>1</sup> შეგრძნებების ორ ქვესახედ თვლიან. ვიბრაციის შეგრძნებები. ეს არის სწრაფი რხევის სპეციფიკური შეგრძნებები, რომლებიც ვერ დაიყვანება შეხების მოძალობაზე. კინესთეტიკური შეგრძნებები. შეგრძნებების ამ მოძალობაში ორ სახეს არჩევენ: სხეულის ნაწილების მოძრაობისა და მდგომარეობის, ერთი მხრივ, და კუნთური და ძაბულობის შეგრძნებებს, მეორე მხრივ; პირველის რეცეფტორები განლაგებულია უმთავრესად სახსრებში, მეორისა კი კუნთებში. წონასწორობის, ანუ სტატიკური შეგრძნებები. ეს არის ჩვენი სხეულის სივრცეში მდგომარეობის შეგრძნება. რეცეფტორი განლაგებულია შინაგან, ყურში. ტრადიციულად სტატიკურ შეგრძნებებს კინესთეტიკურ შეგრძნებათა მოძალობის ერთ-ერთ სახედ თვლიან. დაბოლოს, ორგანულ შეგრძნებათა მოძალობა, რომელიც შეიცავს საკუთრივ ჩვენი ორგანიზმისა და მის ცალკე ორგანოთა მდგომარეობის მრავალნაირ შეგრძნებებს. მათი რეცეფტორები შინაგან ორგანოებშია განლაგებული. უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ვრცელდება შეხედულება, რომლის თანახმად ტკივილის შეგრძნებაც ამ მოძალობას მიეკუთვნება (იხ. ქვემოთ, ორგანული შეგრძნებები).

შეგრძნებათა შესასწავლად საჭიროა მათი კლასიფიკაცია. ცნობილია შეგრძნებათა სხვადასხვა კლასიფიკაცია. აქ განვიხილავთ თანამედროვე მეცნიერებაში ყველაზე უფრო გავრცელებულ კლასიფიკაციას, რომელიც ფიზიოლოგ შერინგტონის მიერ შემოღებულ რეცეფტორთა კლასიფიკაციას ეყრდნობა.

ყველა მოძალობები ჭგუფდება სამად, იმისდა მიხედვით, თუ რის შეგრძნებას წარმოადგენენ ისინი: ორგანიზმზე გარედან მოქმედი გამლიზიანებლების, ე. ი. ჩვენს გარემოში მოცემულის შეგრძნებებს, საკუთარი ორგანიზმის შინაგან მდგომარეობათა შეგრძნებებს, თუ საკუთარ მოძრაობათა შეგრძნებებს. პირველს უწოდებენ ექსტეროცეფტულ შეგრძნებებს, მათი რეცეფტორები ორგანიზმის ზედაპირზეა განლაგებული, მეორეს — ინტეროცეფტულს, მათი რეცეფტორები შინაგან ორგანოებში მდებარეობენ, და მესამეს „პროპრიოცეფტული“ ეწოდება, მათი რეცეფტორები კუნთებში, მყესებსა და სახსრებს შიგნითაა განლაგებული.

ექსტეროცეფტულ შეგრძნებებს იწვევს რეცეფტორთა გალიზიანება გარემოდან მომდინარე გამლიზიანებლებით — სინათლით

<sup>1</sup> ტაქტილური — შეხებითი.

(ელექტრომაგნიტური რხევით), ჰაერის რხევით, სუნით, საკმლით, საგნის შეხებით და ა. შ. ამ ჯგუფს ეკუთვნის მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოს, შეხების, ტემპერატურის, ვიბრაციის შეგრძნებები.

ინტეროცეფტულ შეგრძნებებს იწვევს მათი რეცეფტორების გაღიზიანება შინაგან ორგანოებში მიმდინარე პროცესებით. ამ ჯგუფს ყველა ორგანული შეგრძნება ეკუთვნის.

პროპრიოცეფტულ შეგრძნებებს იწვევს მათი რეცეფტორების გაღიზიანება იმ პროცესებით, რომლებიც კუნთებში, მყესებში და სახსრებში აღმოცენდება სუბიექტის მოძრაობის დროს (სახსრების ხახუნი, კუნთისა და მყესების ბოქვოების დაჭიმვა და ა. შ.). ამ ჯგუფში კინესთეტიკური შეგრძნებები შედის.

რაც შეეხება მოდალობათა პირველ ჯგუფს — ექსტეროცეფტულს, ამ ჯგუფის მოდალობები, თავის მხრივ, იყოფა ორად იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხდება რეცეფტორის გაღიზიანება — საგნის უშუალო შეხებით, რეცეფტორთან კონტაქტით, თუ მანძილიდან, „დისტანციიდან“, საგანთან უშუალო კონტაქტის გარეშე, რაიმე შუამავლის მეოხებით. პირველს უწოდებენ „კონტაქტურ“ შეგრძნებებს, მეორეს — „დისტანტურს“. უკანასკნელისათვის ტიპიურია მხედველობა და სმენა, პირველისთვის — შეხება, გემო; ვიბრაციის შეგრძნების რეცეფტორები ორივე სახით ღიზიანდება — კონტაქტითაც და მანძილიდანაც ჰაერის მეშვეობით (იხ. ქვემოთ ვიბრაციის შეგრძნება), ამიტომ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოდალობათა ორ ჯგუფს შორის. რაც შეეხება ყნოსვას, თუმცა არსებითად იგი კონტაქტურია, რადგანაც რეცეფტორების გაღიზიანება ნივთიერების მფრინავი ნაწილაკების რეცეფტორებთან კონტაქტით ხდება, მაგრამ პრაქტიკულად დისტანტურია, რამდენადაც საგნის სუნს მასთან უშუალო კონტაქტის გარეშე გაცივლით (ამ საგნის მფრინავი ნაწილაკების მეშვეობით). /

## § 2. შებრძნებათა ცალკე მოდალობები

### მხედველობის შებრძნება

#### გამღიზიანებელი

მხედველობის შეგრძნებების, ე. ი. სინათლისა და ფერების შეგრძნებების ფიზიკური გამომწვევეია „სინათლე“, ე. ი. გარკვეული სიხშირისა და სიძლიერის ელექტრომაგნიტური რხევა. სახელდობრ, ადამიანის მხედველობის შეგრძნებებს იწვევს რხევის

დიაპაზონი 360 — 396 მილიმიკრონის<sup>1</sup> სიგრძის ტალღიდან 760 მილიმიკრონის სიგრძის ტალღამდე (განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში ეს დიაპაზონი მეტია).

სპექტრის სხვადასხვა ფერის შეგრძნებას იწვევს განსხვავებული სიგრძის ტალღები, სახელდობრ, უგრძესი ტალღა (760 მილიმიკ.) წითელი ფერის შეგრძნებას იწვევს, უმოკლესი (360 მილიმიკ.) — იისფერისას. დანარჩენი 5 ფერი ამ ორ კიდეს შორის თავსდება. თუ ყველა სპექტრული ფერის გამომწვევი ტალღები ერთდროულად იმოქმედებენ თვალზე, ეს იწვევს ჩვეულებრივი უფერო სინათლის შეგრძნებას.

მხედველობის შეგრძნების გამომწვევი ტალღები განსხვავდებიან აგრეთვე სიძლიერით (ამპლიტუდით) და, ფორმით, რაც ფერის შეგრძნების გარკვეულ თვისებებს განსაზღვრავს.

### რეცეფტორი

მხედველობის შეგრძნებათა რეცეფტორები განლაგებულია თვალის ბადურაზე. რეცეფტორები ორგვარია — ჩხირები და კოლბები ანუ კულები. ისინი განსხვავდებიან აგებულებითაც და ფუნქციითაც. სახელდობრ, საყოველთაოდ მიღებული თეორიის თანახმად, ჩხირები გვაძლევენ მხოლოდ სინათლის შეგრძნებებს, კულები კი, სინათლის გარდა, ფერების შეგრძნებებსაც. ჩხირები უფრო მგრძობიარე არიან და ამიტომ სუსტი განათების პირობებში მხოლოდ ისინი ღიზიანდებიან. ამიტომაც, რომ ბინდისას ფერებს ვერ ვხედავთ. დღის სინათლეზე დიდ როლს კოლბები ასრულებენ. ჩხირების სიგრძე თითქმის ორჯერ მეტია კოლბების სიგრძეზე (0,06 მმ და 0,035 მმ). სამაგიეროდ კოლბები სამჯერ უფრო მსხვილია (ღერძის დიამეტრი 0,002 მმ და 0,006 მმ). ჩხირები განფენილია მთელ ბადურაზე (მათი რაოდენობა უდრის დაახლოებით 130 მილიონს), კოლბები კი ბადურის მხოლოდ ცენტრალურ არეზეა (მათი რაოდენობა დაახლოებით 7 მილიონია).

ბადურის ცენტრალურ არეზე განიარჩევა ადგილი, რომელსაც „ყვითელ ლაქას“ უწოდებენ: ამ ადგილას კოლბები ისე მჭიდროდაა შეჯგუფებული, რომ ყვითელი ფერის შთაბეჭდილებას ტოვებენ, რადგან თვითონ ეს რეცეფტორები მოყვითალო ფერისა არიან. ეს ადგილი განსაკუთრებით მგრძობიარეა ფერების მიმართ.

<sup>1</sup> მილიმეტრის მემილიონედი.

აღსანიშნავია თვალის ბაღურის კიდევ ერთი პუნქტი: იმ ადგილზე, სადაც ბაღურაზე გამოდის მხედველობის წერტილი, რეცეფტორებში არ არის, ამიტომ ეს პუნქტი ვერ ღიზიანდება სინათლით, მას „ბრმა წერტილს“ უწოდებენ. თვალის ბაღურაზე გამოხატული სურათის ის ადგილი, რომელიც ბრმა წერტილზე მოდის, სულ არ შეიგრძნობა. თუმცა ბრმა წერტილის დიამეტრი საკმაოდ დიდია (1,8 მმ), ისე რომ ცალი თვალის მხედველობის ველში მისი პროექცია 6 გრადუსიან კუთხეს ქმნის, ჩვენ ამ დიდ ხარვეზს მხედველობის ველში ვერ ვამჩნევთ. ბინოკულარული ხედვის დროს მხედველობის ველში ხარვეზი არც არის, იმიტომ, რომ ორი თვალის მხედველობის ველთა ბრმა წერტილის შესატყვისი ადგილები არ ემთხვევა ერთმანეთს. გარდა ამისა, თვალის განუწყვეტელ უნებლოე მოძრაობათა გამო ერთ მომენტში ბრმა წერტილზე მოხვედრილი საგნის ანარეკლი მეორე მომენტში სხვა საგანზე გადაინაცულებს<sup>1</sup>.

### სინათლის, ანუ ნეიტრალური ფერის შეგრძნებები

მხედველობის შეგრძნებებში არჩევენ შეგრძნებათა ორ სახეს, ორ დიდ კლასს — სინათლის შეგრძნებებს და ფერების შეგრძნებებს. პირველს უწოდებენ „ნეიტრალური ფერების“ ან „აქრომატიული ფერების“<sup>2</sup> შეგრძნებებს. მეორეს — სპექტრალური ანუ ქრომატიული ფერების შეგრძნებებს.

სინათლის, ანუ ნეიტრალური ფერების შეგრძნებები წარმოადგენენ სინათლის ხარისხების შეგრძნებათა რიგს, დაწყებული მაქსიმალურად ნათელიდან, ე. ი. თეთრიდან, და დამთავრებული სინათლის მინიმალური ხარისხით, ე. ი. შავით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს არის სხვადასხვა სიმუჯის რუხი ფერის შეგრძნებები თეთრისა და შავი ფერის ჩათვლით. ეს ის ფერებია, რომელსაც ჩვეულებრივ, არაფერად კინოფილმში ვხედავთ ხოლმე.

წმინდა ნეიტრალურ ფერებს ერთი თვისება გააჩნიათ — სინათლის ხარისხი. ისე, რომ ეს ფერები ერთმანეთისაგან მხოლოდ ამ ერთი თვისებით განსხვავდებიან; ერთი უფრო ნათელია, მეორე უფრო ბნელი. როგორც ამბობენ, მათ „ერთი განზომილება“ აქვთ. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ა დ

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მონოკულარული (ცალი თვალით) ცქერის დროსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ხარვეზს მხედველობის ველში, რადგანაც „ბრმა წერტილით“ სულ ვერაფერს ვერ ვხედავთ, ეს ადვილად მტკიცდება შემდეგი მარტივი ცდით: ქალაქზე აღნიშნული ქერის მარჯვენა თვალით ფიქსაციისას ვერ დაინახავთ წერტილს, რომელიც ამ ქერიდან მარჯვნივ 10 — 12 სმ-ის მანძილზეა მოთავსებული და ვერც შენიშნავთ ხარვეზს; გეჩვენებათ, რომ ქალაქის მთელ ზედაპირს ხედავთ.

<sup>2</sup> აქრომატიული სიტყვისიტყვით უფროს ნიშნავს.

<sup>3</sup> ქრომატიული, ე. ი. ფერადი; „ქრომოს“ ბერძნულად ფერს ნიშნავს.



ეს ფერები თვისობრივად ც. განსხვავებულად განიცდებიან. მაგალითად, შავი და თეთრი თვისობრივად ისევე განსხვავებულად „გამოიყურება“, როგორც განსხვავებული სპექტრალური ფერები (მაგალითად, წითელი და მწვანე). ოღონდ, რადგანაც ნეიტრალური ფერების ეს თავისებურება ზუსტად ემთხვევა ობიექტურად გამოვლენილ სინათლის ხარისხებს, ამიტომ ითვლება, რომ ნეიტრალურ ფერებს ერთი თვისება — სინათლის ხარისხი — გააჩნიათ.

### სპექტრალური ფერების შეგრძნებები

1. წმინდა სახით სპექტრალური ფერები სპექტრში გვეძლევა. ეს არის წითელი, წარინჯი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი ფერები. სპექტრში მათი თანამიმდევრობა უცვლელია — თითოეული ნელი თანდათანობით გადადის მომდევნოში გარკვეული გარდამავალი ელფერების სახით. უკანასკნელიც, ე. ი. იისფერი თანდათან გადადის პირველში, სახელდობრ, ძოწეული ფერის გარდამავალი ელფერებით გადადის წითელში. ჩამოთვლილი ფერებიდან თითოეული მრავალი ელფერის სახით განიცდება. სულ ადამიანის თვალი არჩევს 180-მდე ელფერს. ფერების გარჩევაზე გავარჯიშებული თვალი კი მეტს. სპექტრალურ ფერებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 4 ფერს: წითელს, ყვითელს, მწვანეს და ლურჯს. ამ მთავარი ფერების სხვადასხვა კომბინაციაში შერევით შესაძლებელია ყველა სპექტრალური ფერის შეგრძნების მიღება.

2. სპექტრალურ ფერებს 3 ძირითადი თვისება გააჩნიათ. ეს არის ფერის ტონი, ანუ თვისობრიობა („რომელობა“), სინათლის ხარისხი და ფერის სიმამღრე.

ფერის ტონი ანუ თვისობრიობა ეწოდება სპექტრალური ფერის იმ თვისებას, რასაც ყოველდღიურ მეტყველებაში ფერის სახელს ვუწოდებთ: წითელი ერთი ტონია, ყვითელი — მეორე, მწვანე კიდევ სხვა ტონია და ა. შ. ნეიტრალურ ფერებს ეს თვისება არ გააჩნიათ.

სპექტრალური ფერები განსხვავდებიან აგრეთვე მეტ-ნაკლები სიმუქით ანუ სინათლის ხარისხით: ერთი და იმავე ფერის ტონი, მაგალითად, წითელი, მეტ-ნაკლებად მუქიც და ბაციც შეიძლება იყოს. ჩვეულებრივ პირობებში სპექტრის ფერებს შორის განსაკუთრებით ნათელია ყვითელი, სხვებზე ნაკლებ ნათელია იისფერი.

ფერის სიმამღრე ეწოდება სპექტრალური ფერის იმ თავისებურებას, რითაც იგი განსხვავდება

იმავე სინათლის ხარისხის ნეიტრალური ფერისაგან. ფერი მით უფრო მაძლარია, რაც მეტია ეს განსხვავება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის სპექტრალური ფერის სიწმინდე, მისი ფერობის ხარისხი. სავსებით მაძლარია, ე. ი. წმინდა სპექტრალურია სპექტრში მიღებული ფერები.

ფერი მით ნაკლებ მაძლარია, რაც უფრო უახლოვდება იმავე სინათლის ხარისხის მქონე ნეიტრალურ (რუხ) ფერს. მაგალითად, ლურჯი ფერის კოსტუმის ან პალტოს ფერი მით ნაკლებ მაძლარია ლურჯია, რაც უფრო უახლოვდება ეს ლურჯი შავს ან რუხს, ე. ი. ნეიტრალურ ფერს.

ამ სამი ძირითადი თვისების გარდა ფერები განსხვავებულ სახეს იღებენ ჩვენს აღქმაში, პირველ რიგში, იმის მიხედვით, ზედაპირის ფერად გამოიყურებიან ისინი (მაგალითად, კედლის ფერი), თუ სიღრმის შთაბეჭდილებას ტოვებენ (მაგალითად, ცის ლაქვარდის ფერი). პირველს „ზედაპირის ფერს“ უწოდებენ, მეორეს კი — „სიბრტყის ფერს“.

განსხვავებულად გამოიყურება ერთი და იმავე ძირითადი თვისებების მქონე ფერები აგრეთვე იმის მიხედვითაც, ბრჭყვიალაა ეს ფერი თუ მკრთალი; იმის მიხედვითაც, გამჭვირვალეა თუ არა. აგრეთვე მნათია ეს ფერი თუ არა, ე. ი. თვითონ გამოასხივებს ფერად სინათლეს, თუ მხოლოდ განათებულია და ა. შ.

### ფერთა შერევა

ფერის შეგრძნება დამოკიდებულია არა მხოლოდ ცალკე აღებულ ფერზე, არამედ ფერთა შერევაზეც. როდესაც თვალზე ერთდროულად მოქმედებს რამდენიმე ფერი, ე. ი. ფაქტიურად ხდება ფერთა შერევა, თვალი შეიგრძნობს ახალ ფერს, განსხვავებულს ცალკე აღებულ იმავე ფერებისაგან.

არსებობს ფერთა შერევის 3 ძირითადი კანონი.

1) ყოველი სპექტრალური ფერისათვის მოიპოვება „შემავსებელი“ სპექტრალური ფერი, ე. ი. ისეთი ფერი, რომელთანაც შერევის შედეგად თვალი შეიგრძნობს ნეიტრალურ ფერს.

მაგალითად, გარკვეული ელფერის წითლისა და მწვანის შერევა გვაძლევს რუხი ფერის შეგრძნებას. წითელი და მწვანე ფერები ერთმანეთის მიმართ შემავსებელი ფერები არიან. ყვითელი ფერის შემავსებელია გარკვეული ელფერის ლურჯი ფერი და ა. შ. ყოველ ფერს მოეპოვება სპექტრში მისი შემავსებელი ფერი.

2) სპექტრში შემავსებელ ფერებზე უფრო

ახლო მდებარე ყოველი ორი სპექტრალური ფერის შერევა გვაძლევს მათ შუა მდებარე ფერის შეგრძნებას.

თუ ეს შერეული ფერები არ წარმოადგენენ ერთმანეთის მიმართ შემავსებელ ფერებს, მათი შერევით ყოველთვის მივიღებთ იმ ფერის შეგრძნებას, რომელიც სპექტრში მათ შორის ზუსტად შუა ადგილას მდებარეობს. მაგალითად, წითლისა და ყვითლის შერევით ნარინჯს შევიგრძნობთ, მწვანისა და ლურჯის შერევით — ცისფერს („აქვამარინის“) და ა. შ.

3) ფერთა შერევის შედეგად მიღებული ფერის შეგრძნება არ განსხვავდება ცალკე აღებულ იმავე ფერის შეგრძნებისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ნარევი ფერები ფსიქოლოგიურად (განცდაში) არ განსხვავდებიან ცალკე აღებული ფერებისაგან — ისევე მარტივ ფერად განიცდებიან, როგორც ცალკე აღებული ფერები. მაგალითად, რუხი ფერი ერთნაირად განიცდება, მიუხედავად იმისა, ცალკე აღებულ რუხს შევიგრძნობთ, თუ წითელისა და მწვანის, ანდა ლურჯისა და ყვითლის შერევის შედეგად მიღებულს.

### ფერთა კონტრასტის მოვლენა

ფერთა შეგრძნებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ შერევა, არამედ ფერთა სივრცითი მეზობლობაც და განსაკუთრებით იმ ფონის ფერი, რომელზედაც აღიქმება მოცემული ფერი. კერძოდ, ამ მხრივ აღსანიშნავია ფერთა კონტრასტის მოვლენა. ფონის ფერი ცვლის მასზე მოცემულ ფერს თავის საწინააღმდეგო (კონტრასტული) მიმართულებით.

მაგალითად, ერთი და იგივე რუხი ფერის ქაღალდის პატარა ნაგლეჯი შავ ფონზე — ბაცად, თითქმის თეთრად გამოიყურება, ხოლო თეთრ ფონზე — მუქად, თითქმის შავად. იგივე რუხი ნაგლეჯი წითელ ფონზე — მომწვანოდ, მწვანე ფონზე — მოწითალოდ, ყვითელზე — მოლურჯოდ, ლურჯზე — მოყვითალოდ გამოიყურება და ა. შ.

### ოპტიკური თანმიმდევარი კვალი

მხედველობითი გამღიზიანებლის რამდენიმე ხნის განმავლობაში მოქმედების შემდეგ მცირე ხნით თავს იჩენს ამ გამღიზიანებლის შემდეგმოქმედება. მას ოპტიკურ თანმიმდევარ კვალს უწოდებენ.

ეს კვალი ორი სახით ვლინდება: ნეგატიური (უარყოფითი) და პოზიტიური (დადებითი) კვალის სახით.

ნეგატიური კვალის ანუ თანმიმდევარი კონტრასტის მოვლენა შემდეგში მდგომარეობს. ორიოდ ათეული სეკუნდის განმავლობაში უძრავი თვალებით გარკვეული ფერის ფიქსაციის შემდეგ ადამიანს უჩნდება საწინააღმდეგო (კონტრასტული) ფერის შეგრძნება, მაგალითად, წითლის ყურების შემდეგ მწვანე ფერის შეგრძნება, მწვანის შემდეგ — წითლისა, ყვითლის შემდეგ — ლურჯისა და ა. შ.

ამ მოვლენას თანმიმდევარი კონტრასტის ატ უწოდებენ, ვინაიდან ოპტიკური კვალი, რომელსაც სტოვებს გარკვეული ფერის გამლიზიანებელი, კონტრასტულია ამ ფერის მიმართ.

პოზიტიური კვალი გარკვეულ პირობებში, მეტადრე, თუ ფერი, რომლის მხედველობით ფიქსაციას ვახდენთ, ინტენსიურ გამლიზიანებელს წარმოადგენს, მხედველობითი კვალი დაახლოებით იმავე ფერისა რჩება, როგორც იყო ფიქსირებული ფერი. მაგალითად, მზის ან ვოლტას რკალის, ანდა ძლიერი ელექტრონათურის უძრავად ცქერის შემდეგ ადამიანი შეიგრძნობს დაახლოებით იმავე ფერის ლაქებს (მაგალითად, მოწითალო-მოყვითალოს, მზის შეუიარაღებელი თვალით ცქერის შემდეგ და ა. შ.).

### ა და ფ ტ ა ც ი ა

მხედველობით შეგრძნებებს ახასიათებს როგორც სინათლის, ისე ფერისადმი ადაფტაცია, ე. ი. რეცეფტორის შეგუება გამლიზიანებლის მიმართ.

სინათლისადმი ადაფტაცია მდგომარეობს სინათლის გარკვეული ხარისხის მიმართ რეცეფტორის შეგუებაში, რის გამოც განათების ხარისხის ერთბაშად ძლიერი შეცვლა პირველ ხანებში იწვევს ამ შეცვლილი განათების პირობებში ხედვის უნარის დაკარგვას. ეს უნარი სწრაფი თანდათანობით აღდგება ისევე ადაფტაციის შედეგად, ე. ი. განათების ახალი პირობებისადმი რეცეფტორის სწრაფი შეგუების შედეგად. მაგალითად, ინტენსიურად განათებული ოთახიდან ღამე თუ გახვალთ გარეთ — ვერაფერს ვერ დაინახავთ, შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ ღამე არც ისე ბნელი ყოფილა; თანდათან სულ უკეთ ხედავთ (სიბნელისადმი ადაფტაცია); ან პირიქით ბნელ არეში ყოფნის შემდეგ ძლიერი განათების პირობებში დასაწყისში ცუდად ხედავთ, მაგრამ მალე თვალი ეგუება ძლიერ განათებას და ნორმალურად ხედავთ (სინათლისადმი ადაფტაცია).

ამ მოვლენას საფუძვლად უდევს უმთავრესად რეცეფტორების სპეციფიკური ნივთიერების — როლოფსინის<sup>1</sup> კონცენტრაციის ხარისხის შეცვლა — დაშლა ძლიერი სინათლის გავლენით, რის გამოც სუსტდება სინათლისადმი მგრძობიერება და მისი კონცენტრაციის აღდგენა სუსტი განათების პირობებში, რის შედეგადაც სინათლისადმი მგრძობიერება მატულობს.

თვალის ადაფტაცია სუსტი სინათლისადმი (მაგალითად, ბნელ ოთახში ან უმთვარო ღრუბლიან ღამეში გარეთ ყოფნისას) ინტენსიურად მიმდინარეობს უმთავრესად პირველი ნახევარი საათის განმავლობაში, მაგრამ შემდეგაც გრძელდება 2: საათის განმავლობაში (თუ განათების პირობები არ შეიცვალა), ოღონდ პირველი საათის შემდეგ პრაქტიკულად უმნიშვნელო ხარისხით. საინტერესოა, რომ სუსტი განათებისადმი (სიბნელისადმი) ადაფტაცია იმდენად მნიშვნელოვან ხარისხს აღწევს; რომ რეცეფტორის მგრძობიერება მატულობს 200.000-ჯერ, თუ შევადარებთ მას იმ მგრძობიერებას, რომელსაც ძლიერ სინათლეზე ყოფნის დროს ჰქონდა ადგილი.

ფერისადმი ადაფტაცია. ერთი რომელიმე ფერის ფერადი ველის ხანგრძლივი უწყვეტი ფიქსაციის შედეგად რეცეფტორის ადაფტაცია ამ ფერისადმი იწვევს მისი შეგრძნების შესუსტებას და უკიდურეს შემთხვევაში, აღკვეთას: ადამიანი ამ ფერადი ველის ფერს ვეღარ შეიგრძნობს, სანამ ამ ფერის ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ არ აღდგება მისი შეგრძნების უნარი.

მაგალითად, წითელი განათების პირობებში ყოფნისას, განათების წითელი ფერის შეგრძნება სუსტდება და ბოლოს ქრება. ადამიანი წითელ ფერს ვერ შეიგრძნობს.

### ბინდის მხედველობა

სუსტი განათების პირობებში, კერძოდ, ბინდისას, ადამიანი ვეღარ შეიგრძნობს სპექტრალურ ფერებს. ფერების რეცეფტორების — კოლებების — გასალიზიანებლად ბინდის სუსტი სინათლე არ კმარა; ღიზიანდებიან მხოლოდ ჩხირები, რომლებიც მხოლოდ სინათლის (ნეიტრალური ფერების) შეგრძნებას გვაძლევენ.

ბინდის პირობებში მაქსიმალური სინათლის ადგილი სპექტრში ისე გადაინაცვლებს, რომ ყველაზე ნათელი ხდება ნწეანე-ლურჯი ფერების ზონა, ხოლო ყველაზე ბნელი — წითელ-ნარინჯის

<sup>1</sup> პეტენდის ეროვნული საბჭო

ზონა. ამ მოვლენას პურკინიეს მოვლენა ეწოდება. ამ კანონზომიერების გამო, დაბინდებისას მწვანე-ცისფერი ფერები უფრო დიდხანს ინარჩუნებენ თავის ფერს, ვიდრე წითელი და ნარინჯი: წითელი ვარდი, მაგალითად, ბინდისას უფრო ადრე „გაშავდება“, ვიდრე მისი მწვანე ფოთლები („პურკინიეს ფენომენი“).

### არაპირდაპირი ანუ გვერდითი მხედველობა

სპექტრალურ ფერებს ადამიანი მხედველობის ველის მხოლოდ ცენტრალურ ზონაში, ე. ი. მხოლოდ „პირდაპირ მხედველობაში“ ხედავს, ხოლო მხედველობის ველის პერიფერიაზე, ე. ი. „გვერდითის მხედველობაში“ ყველა ფერი შავად ან მოშავო რუხად გამოიყურება.

ეს აიხსნება, იმით, რომ მხედველობითი კოლებები, როგორც შემოთაც ითქვა, თვალის ბადურის მხოლოდ ცენტრალურ არეზეა განლაგებული.

### მხედველობის შეგრძნებათა დარღვევები

ჰემერალოფია ანუ „ქათმის სიბრმავე“. მხედველობის რეცეფტორთა სინათლისადმი მგრძნობიარობის დაკლების შედეგად ზოგი ადამიანი სუსტი განათების პირობებში, მაგალითად ბინდისას, ვერ ხედავს. ამ მოვლენას „ქათმის სიბრმავეს“ ანუ ჰემერალოფიას უწოდებენ.

ჰემერალოფიის ყველაზე ხშირი მიზეზია ნერვული სისტემის გამოფიტვა, რაც შეიძლება იყოს გამოწვეული გადაქანცვით, უძილობით, ავითამინოზით, ცუდი კვებით და ა. შ.

სრული ფერთა სიბრმავე. ზოგი ადამიანი მოკლებულია სპექტრალური ფერების შეგრძნების უნარს. მთელ მრავალფეროვან სინამდვილეს იგი მხოლოდ ნეიტრალურ ფერებში ხედავს. ამ ანომალიას სრული ფერთა სიბრმავე ეწოდება, რადგანაც სუბიექტი ვერც ერთ-სპექტრალურ ფერს ვერ ხედავს.

ნაწილობრივი ფერთა სიბრმავე. შეგრძნების ეს ანომალია უფრო ხშირია, ვიდრე სრული ფერთა სიბრმავე. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ზოგიერთ სპექტრალურ ფერებს ვერ შეიგრძნობს.

ყველაზე უფრო გავრცელებულია, მეტადრე მამაკაცთა შორის,

ამ ანომალიის ის სახე, რომელსაც დალტონი<sup>1</sup> ეწოდება: ადამიანი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან წითელ და მწვანე ფერებს, ანდა ამ ფერების გარკვეულ ელფერებს. ამ დეფექტს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც წითელი და მწვანე ფერი წარმოების სხვადასხვა დარგებში გამოყენებულია, როგორც ერთმანეთის საპირისპირო ნიშანი (რკინიგზის, საჰაერო და ავტოტრანსპორტზე და ა. შ.).

არსებობს ფერთა „ნაწილობრივი სიბრმავის“ სხვა სახეც. რომლისთვისაც დამახასიათებელია მოლურჯო-მწვანისა და მოყვითალო-მწვანე ფერის ვერგარჩევა ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს ანომალია იშვიათია.

ფერთა შეგარძნების შესუსტება. არსებობს ყველა სპექტრალური ფერის შეგარძნების დარღვევის სუსტი ფორმებიც, რომლებიც ამ ფერების შეგარძნების შესუსტებაში ვლინდებიან. ამ დარღვევისათვის დამახასიათებელია, რომ ადამიანი ვერ შეიგარძნობს სპექტრალურ ფერებს რაიმეს მხრივ გაძნელებულ პირობებში: ან შედარებითი სუსტი განათების პირობებში, ან თუ თვით ფერები სუსტი სიმაძღრისა არიან, ანდა ფერის ფართობის სიმცირის შემთხვევაში: შედარებით დიდი ზომის ფერადი ფართობის ფერს ასეთი ადამიანი ხედავს, მაგრამ, თუ იგივე ფერს ძალიან პატარა სიბრტყე უქირავს, ვერ შეიგარძნობს მას.

### ფერის შეგარძნების ზემოქმედება ადამიანზე

ჯერ კიდევ გოეთეს ჰქონდა შემჩნეული და თავის თავზე ექსპერიმენტულად შესწავლილი სპექტრალურ ფერთა აღქმის გავლენა ადამიანის გუნებაზე. სხვადასხვა ფერის მინაში ცქერის პროცესში გოეთემ შეისწავლა განათების ფერის გავლენა ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე. სხვათა შორის, ამ საკითხის შესწავლის შედეგად მანვე შემოიღო „თბილი“ და „ცივი“ ფერების სახელწოდება, რომელიც დღეს უკვე ტერმინადაა გადაქცეული. გოეთემ პირველმა დაადგინა, რომ თბილი ფერები, ე. ი. წითელი, ნარინჯი, ყვითელი ფერები ადამიანზე ამავზნებლად, გამაცოცხლებლად, გამამხნეველად მოქმედებენ, ლურჯი და იისფერი ფერები კი, მისივე მონაცემებით, მსუბუქ-ნალვლიან, ოდნავ მწუხარე გუნებაზე აყენებენ ადამიანს, ხოლო ფერთა ამ ორ ჯგუფს შორის სპექტრში მდებარე ფერები — მწვანე და ცისფერი — დამამშვიდებლად მოქმედებენ.

<sup>1</sup> დალტონი ინგლისელი ქაშიკოსის გვარია (XVII—XVIII სს.), რომელმაც პირველად თავის თავზე შეისწავლა ეს მოვლენა.

გოეთეს ეს დაკვირვება ძირითადად დადასტურდა საკითხის უფრო ფართო და სისტემატური შესწავლის შედეგად ლაბორატორიებში და კლინიკებში.

კერძოდ, ვ. ვუნდტის ლაბორატორიის მონაცემების მიხედვით თბილი ფერები ამაგზნებლად მოქმედებენ ადამიანებზე, ხოლო ცივი ფერები (მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი), პირიქით, — აგზნების დამაქვეითებლად, დამამშვიდებლად.

საინტერესოა, რომ ეს კანონზომიერება გამოყენებულია ფსიქიატრიულ პრაქტიკაში: კარგად დაყენებულ კლინიკებში მელანქოლიურად განწყობილ, დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებს ნარინჯისფერ განათებას უქმნიან ოთახში, ხოლო მეტად აგზნებულ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებს, პირიქით, ცისფერი განათების პირობებში ათავსებენ.

განათების ფერის გავლენა ინდივიდზე ემოციებით როდი შემოფარგლება. ექსპერიმენტულად დადასტურებულია მისი გავლენა ადამიანის მოქმედების ბუნებრივ ტემპზე, სახელდობრ, მოძრაობის ბუნებრივი ტემპი უფრო სწრაფია წითელი განათების დროს, ვიდრე ლურჯი განათებისას.

ანალოგიური შედეგი მიღებულია ფრინველების ქცევაზე წითელი და ლურჯი სინათლის გავლენის შესწავლისას.

არსებობს ექსპერიმენტული მონაცემები განათების ფერის გავლენის შესახებ ადამიანის კუნთურ ძალაზე; დინამომეტრიის მჩვენებლები უფრო მაღალია თბილი ფერების განათების პირობებში, ვიდრე ცივი ფერებით განათებისას და ა. შ.

## სმენის შეგრძნება

### რეცეფტორი

სმენის შეგრძნების გამლიზიანებელს წარმოადგენს ჰაერის რხევა, ე. ი. ჰაერის ტალღები, რასაც მქლერი საგანი იწვევს.

რეცეფტორი მდებარეობს შინაგან ყურში — ლოკოკინაში. მას კორტიხ ორგანო ეწოდება. მის მთავარ ნაწილს წარმოადგენს „ძირითადი მემბრანა“, რომელიც შედგება 24.000 პარალელურად განლაგებული ბოქკოსაგან. ბოქკოების სიგრძე თანდათან მატულობს ლოკოკინის მწვერვალის მხარისაკენ. კორტიხ ორგანო ღიზიანდება რხევით, რომელიც გადაეცემა ძირითადი მემბრანის ბოქკოებს იმ



სითხის მეოხებით, რომელიც ავსებს ლოკოკინას. საყოველთაოდ გავრცელებული, ჯერ კიდევ პელმპოლცის მიერ შემუშავებული თეორიის („რეზონანსის თეორია“) თანახმად, თითოეული ბოჭკო, მისი სიგრძის მიხედვით, ღიზიანდება მხოლოდ გარკვეული. მისი შესატყვისი სიხშირის რხევით (რეზონანსის პრინციპით). მართლაც, კორტის ორგანოს გარკვეული ნაწილის დაზიანების შემთხვევაში აღამიანი კარგავს სმენას მხოლოდ ამ ნაწილის ბოჭკოების შესატყვისი სიმაღლის ბგერების მიმართ.

### ხმაური და ტონი

ბგერის შეგრძნებები ორი სახისაა: ხმაური და ტონი. ტონებს იწვევს ჰაერის პერიოდული რხევა, ხმაურებს კი — აპერიოდული. ტონებს აქვთ ზუსტად გარკვეული სიმაღლე, რომლის მიხედვითაც ისინი ერთი სისტემის (მუსიკალური ნოტების) სახით ლავდებიან.

ხმაურებს გარკვეული სიმაღლე არა აქვთ და, გარდა ამისა, ისინი იმდენად მრავალფეროვანი და ხშირად ინდივიდუალურად თავისებურნი არიან, რომ მათი დალაგება ერთი სისტემის სახით ვერ ხერხდება.

ხმაურის შეგრძნებები გაცილებით ნაკლებაა შესწავლილი, ვიდრე ტონებისა, მიუხედავად იმისა, რომ ხმაურებს გაცილებით მეტი ადგილი უჭირავთ აღამიანის ცხოვრებაში, ვიდრე ტონებს. აღამიანის მოელი საქმიანობა, ყველა წარმოებითი პროცესი და თვით აღამიანის მეტყველება სპეციფიკურ ხმაურებთანაა დაკავშირებული. ტონები კი ბგერათა საერთო სიმრავლეში მცირე ჯგუფს შეადგენენ<sup>1</sup>.

### ტონთა თვისებები

ტონები ხასიათდებიან რიგი თვისებებით, რომელთაგან ძირითადს შემდეგი სამი თვისება შეადგენს:

**ტონის სიმაღლე.** ტონის სიმაღლე დამოკიდებულია ჰაერის რხევის სიხშირეზე: რაც მეტია სიხშირე, მით უფრო მაღალია ტონი. აღამიანის სმენისათვის მისაწვდომ უმაღლეს ბგერას იწვევს 16 რხევა სექუნდში, უმაღლეს ბგერას კი — 20.000 რხევა სექუნდში. 16 რხევაზე ნაკლები სიხშირის ჰაერის რხევას „ინფრაბგერას“ უწოდებენ, ხოლო 20.000 მეტი სიხშირისას — „ულტრაბგერას“ აღა-

<sup>1</sup> ხმაურთა შესახებ იხ. გ. კეჩხუაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 68 და შემდ.

მიანისათვის რხევის ეს სიხშირეები ბგერას არ წარმოადგენენ — ბგერის შეგრძნებას ვერ იწვევენ. ზოგიერთი ცხოველი შეიგრძნობს ბგერად უფრო მაღალი სიხშირის ბგერებსაც (მაგალითად, მწერები 80.000 რხევის სიხშირის ბგერებს, ძაღლი — 45.000 სიხშირისას).

**ტონის სიძლიერე.** ტონის სიძლიერე დამოკიდებულია ჰაერის ტალღის სიძლიერეზე, მის ამპლიტუდაზე. ზღურბლქვედა სიძლიერის ჰაერის რხევას, რა გინდ სიხშირისა იყოს იგი, ჩვენ ვერ შევიგრძნობთ (იხ. ზემოთ ზღურბლი).

**ტონის ტემბრი.** ტემბრი წარმოადგენს ტონის იმ სპეციფიკურ ელფერს, რომლითაც ვცნობთ ჟღერად აპარატს — ინსტრუმენტს თუ ადამიანის ინდივიდუალურ ხმას. მაგალითად, ერთი და იგივე სიმალისა და სიძლიერის ორი ტონი აშკარად განსხვავდება ტემბრით, თუ ეს ტონები სხვადასხვა საკრავზეა აღებული (მაგალითად, ვიოლინოზე და როიალზე).

ტემბრის ქმნის ის ნაწილობრივი ტალღები, რომელსაც იძლევიან ჟღერადი საგნის (მაგალითად, სიმის) ნაწილები და რომელნიც ძირითადი რხევის ტალღებს სპეციფიკურ სტრუქტურას აძლევენ. ეს ტალღები კი დამოკიდებულია ჟღერადი საგნის აგებულებაზე. კერძოდ, ადამიანის ხმის ტემბრი დამოკიდებულია მისი ხმის ორგანოების მოყვანილობაზე.

ამ სამი ძირითადი თვისების გარდა, ტონების შეგრძნებები შემდეგი თვისებებით განსხვავდებიან:

**ტონის ვოკალობა.** მცირე დიაპაზონის (250-დან — 2500-მდე რხევის დიაპაზონის) მარტივ ტონებს, მაგალითად, კამერტონზე აღებული ტონებს, ადამიანის ხმის ხმოვანი ბგერის ხასიათი აქვს. ასე, მაგალითად, გარკვეული სიმალის (263 — 325 რხევის ფარგლებში) ტონი უ-ს მაგვარად განიცდება, ერთი ოქტავით უფრო მაღალი — ო-ს, კიდევ უფრო მაღალი — ა-ს, შემდეგ — ე-ს და ბოლოს ო-ს მაგვარად. ამ თვისებას (ე. კელერის შემდეგ) ვოკალობა<sup>1</sup> უწოდეს.

უ-ს ვოკალობის ბგერაზე დაბალი ტონები ნახევრად ხმოვანი ბგერის მ-ს (ან ნ-ს) მაგვარად აღიქმებიან, ხოლო ო-ს ვოკალობის ბგერაზე მაღალი ბგერები — ნახევრად ხმოვანი ბგერა ხ-ს მაგვარად, უფრო მაღალი კი f (რუსულ ფ-ს) მაგვარად აღიქმება.

**ტონის „თვისობრიობა“.** ასე უწოდეს ტონის იმ თავისებურ თვისებას, რომლითაც ემსგავსებიან ერთმანეთს ერთი ოქტავით დაშორებული სიმალის ტონები. ეს თვისება საერთო აქვთ სხვადასხვა

<sup>1</sup> ვოკუს — ლათინურად ცოცხალ არსების ხმას ნიშნავს.

ოქტავის ერთი და იმავე ნოტით აღნიშნულ ბგერებს. ამ თვისებით ადამიანი ცნობს, მაგალითად, ნოტა re-ს ყველა ოქტავეებში, თუმცა სიმაღლით ეს ბგერები ძალიან განსხვავებული არიან.

ამრიგად, თუ ვოკალობა ასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ოქტავის ბგერებს, თვისობრიობა, პირიქით, ამსგავსებს სხვადასხვა ოქტავის გარკვეულ ბგერებს.

სხვა თვისებები. ტონები განსხვავდებიან სხვა თვისებებითაც, რომელნიც ჯერ სისტემატურად არ არიან შესწავლილი, ასე, მაგალითად, ადამიანის მეტყველება ასხვავებს „ნათელ“ და „ბნელ“ ტონებს; უფრო მასიურ (массивности) და ნაკლებ მასიურ ტონებს, „მახვილ“ ტონებს, „სავსეს“ და ა. შ.

### ტონთა შერევა

ტონის შეგრძნება დამოკიდებულია არა მხოლოდ ცალკე აღებული ტონზე, არამედ ერთდროულად მედერი ტონების კომბინაციაზედაც, მათ შერევაზე.

ძირითადად არჩევენ ტონთა შერევის 3 სახეს.

**ტონთა შერწყმა ანუ უნისონი.** როდესაც ერთდროულად ჟღერს რამდენიმე ზუსტად ერთი სიმაღლის ტონი, ეს ტონები შეირწყმებიან, ე. ი. ჩვენ შევიგრძნობთ ერთ ტონს, რომლის სიმაღლე იგივე რჩება, როგორც შემადგენელი ტონების სიმაღლე, ხოლო სიძლიერე მატულობს.

ამ მოვლენას საფუძვლად უდევს ცალკე ტონების ტალღათა სრული შეერთება, რის გამოც შეერთებული რხევის სიხშირე არ იცვლება, ხოლო ტალღის სიძლიერე მატულობს.

**ძგერის ანუ ცემის მოვლენა.** ორი მცირედ განსხვავებული სიმაღლის ტონთა ერთდროული ჟღერა იძლევა „ძგერის“ მოვლენას: ჩვენ გვესმის ერთი ტონი, რომელიც „ძგერს“, ე. ი. პერიოდულად ხშირ-ხშირად ძლიერდება და სუსტდება. ძგერას ქმნის ორი ტონის ტალღათა პერიოდული შეერთება და დაშორება. ტალღების დამთხვევის მომენტში ტონი ძლიერდება, დაშორების მომენტში სუსტდება.

**კომბინაციური ტონები.** იმ შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად ჟღერს დიდად განსხვავებული სიმაღლის ტონები, თუ კარგად დავაკვირდებით, გავიგონებთ ორივე მედერი ტონის გარდა „კომბინაციურ“ ტონებსაც, ე. ი. იმ ტონებს, რომელსაც ქმნის ორი ძირითადი ტონის ტალღათა ხშირი დამთხვევა და დაცილება. ამ შემთხვევაში ტალღათა დამთხვევა და დაცილება იმდენად ხშირია, რომ

თვითონ მათ მიერ შექმნილი ხშირი რხევა ახალ ტონებს — კომბინაციურ ტონებს ქმნის. ეს რხევა იმდენად ხშირია, რომ იგი ერთი ტონის ძველის შთაბეჭდილებას კი არ იწვევს, არამედ ახალ ბგერას ქმნის.

## ყ ნ ო ს ვ ა

სუნის შეგრძნებას იწვევს საგნის მფრინავი ნაწილაკების ქიმიური ზემოქმედება ყნოსვის რეცეფტორებზე. რეცეფტორები მდებარეობენ ცხვირის ღრუს ზედა ნაწილში, ლორწოვან გარსში. გამღიზიანებლები, ნივთიერების მფრინავი ნაწილაკების სახით, ჰაერთან ერთად შედიან ცხვირის ღრუში და ეხებიან რეცეფტორებს. რეცეფტორების მგრძნობიერება ძალიან მაღალია: ძლიერ სურნელოვანი ნივთიერების (მაგალითად, მუსკუსის ან ვანილის) მილიგრამის მემილიონედის დაშლა ერთ კუბიკურ სანტიმეტრის მოცულობის ჰაერში საკმარისია, რომ ადამიანმა შეიგრძნოს მისი სუნი. ზოგი ცხოველის (მელიას, მეძებარი ძაღლის) ყნოსვა შეუდარებლად უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე ადამიანისა.

სუნის შეგრძნება საკმაოდ „სუბიექტურად“ განიცდება იმ აზრით, რომ სუნი განიცდება არა როგორც ჩვენგან დამოუკიდებელი ობიექტი (როგორც, მაგალითად, ფერი), არამედ თითქოს ჩვენში (ჩვენს ორგანიზმში) შემოტანილი რამ და, ამასთან დაკავშირებით ემოციურად განიცდება ხოლმე. არსებობს „აუტანელი“ სუნი, რომელიც გულისრევასაც კი იწვევს, ასეთ სუნს ადამიანი „ცივად“, ინდიფერენტულად ვერ განიცდის; არსებობს „წარბაცი“ ხასიათის სიამოვნების ემოციის გამომწვევი სუნი (კარგი სასუნებელი, ზოგიერთი ყვავილის სუნი).

სუნის ამ სუბიექტურ ელფერთანაა ალბათ დაკავშირებული ის გარემოება, რომ არც ერთ ენაში არ არსებობს სუნის სახეთა აღსანიშნავი სახელები, როგორც ფერთა და გემოთა სახელები (წითელი, მწვანე, მწარე და ა. შ.). სუნს იმ საგნების მიხედვით აღნიშნავენ, რომელსაც ეს სუნი გააჩნია (თივის სუნი, ნავთის სუნი და ა. შ.).

სუნის შეგრძნებას ძლიერი ადაფტაცია ახასიათებს: ერთი და იმავე სუნის ხანგრძლივი მოქმედების შედეგად მგრძნობიერება მის მიმართ ეცემა და დროებით ქრება კიდევაც: ამ სუნს სულ ველარა ვგრძნობთ.

რამდენიმე სუნის ერთდროული ზემოქმედების შედეგად ადგილი აქვს როგორც სუნთა შერევას, ისე ერთი სუნის მიერ მეორის დახშობას.

სუნთა შერევა ფერთა შერევის ანალოგიურად ორგვარ ეფექტს იძლევა: ზოგ შემთხვევაში შერევის შედეგად ადამიანი ახალ სუნს შეიგრძნობს, რომელიც კომპონენტებს არ გააჩნია, ზოგ შემთხვევაში კი ხდება სუნთა ნეიტრალიზაცია -- შენაერთში კომპონენტების სუნი გაქრება.

### გემოს შეგრძნება

გემოს შეგრძნების გამლიზიანებელს ნივთიერების ქიმიური თვისებები წარმოადგენენ, რომელნიც მოქმედებენ რეცეფტორზე მშინ, როდესაც ეს ნივთიერება იშლება სითხეში (ნერწყვში, წყალში...). მშრალ ენაზე მაგარი საკმლის შეხება გემოს შეგრძნებას ვერ იწვევს, რადგანაც გემოს „კვირტის“ (რეცეფტორის) გასაღიზიანებლად გამლიზიანებელი (ნივთიერება) რეცეფტორის ვიწრო არხებში უნდა შევიდეს.

რეცეფტორები — გემოს კვირტები, განლაგებულია ენის ზედაპირზე და ნაწილობრივ რბილ სასახე; რეცეფტორები 4 სახისაა — ტკბილის, მწარის, მჟავისა და მლაშის. მაგრამ გემოს შეგრძნებათა მრავალსახიანობა დაუბლოვებელია. ყოველი გემოს შეგრძნების თავისებურება, პირველ რიგში, დამოკიდებულია ამ განსხვავებული რეცეფტორების გაღიზიანების კომბინაციაზე, მათ პროპორციაზე. საკმლის ერთი და იმავე კომპონენტების პროპორციის შეცვლით ადამიანი ნაირ-ნაირ გემოს შეიგრძნობს. საკმლის, როგორც მთელის, გემო განსხვავებულია, ახალია მისი კომპონენტთა გემოებთან შედარებით. კლასიკური მაგალითი: ყავის გემო ერთია, რძის — მეორე, შაქრისა — მესამე, მაგრამ დაშაქრული რძიანი ყავის გემო მეოთხეა — სხვაა, განსხვავებულია რძის, შაქრისა და შავი ყავის გემოსაგან ცალ-ცალკე.

გემოს შეგრძნება ყოველთვის „რთულია“, ჯერ ერთი, იმ მხრივ, რომ, როგორც აღვნიშნეთ, იგი გემოს მარტივ გამლიზიანებელთა (საკმლის კომპონენტთა) ზემოქმედების შერევის შედეგს წარმოადგენს. გარდა ამისა, იგი ნაწილობრივ ინტერმოდალური ხასიათისაცაა, ე. ი. რამდენიმე მოღალობის შეგრძნებათა მონაწილეობის შედეგს წარმოადგენს. მართლაც, გემოს შეგრძნებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საკმლის სუნი და, გარკვეულ ფარგლებში, საკმლის ტემპერატურისა და შეხებითი თვისებების (სიმკვრივე, სიბილვე, ფხვიერება, სიმშრალე და ა. შ.) შეგრძნება: განსხვავებული სუნის მქონე ერთსა და იმავე საკმელს განსხვავებული გემოც აქვს; ძლიერი სურდოს გამო ყნოსვის დაკარგვის

შედგად გემოსაც სუსტად შევიგრძნობთ. ერთი და იგივე საჰმელს განსხვავებული გემო აქვს იმის მიხედვით, ცხელია იგი თუ ცივი. ან მაგარია თუ რბილი, ნედლია თუ ხმელი და ა. შ.

გემოს შეგრძნებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს საზრდოს მოთხოვნილებების მდგომარეობა: გარკვეულ ფარგლებში გემოს განცდა იცვლება იმის მიხედვით, შია ადამიანს თუ არა და რამდენად შია. განსაკუთრებით დიდია ამ ფაქტორის (მოთხოვნილების) გავლენა გემოს შეგრძნებასთან დაკავშირებულ ემოციურ განცდაზე. ეს უკანასკნელი გემოს შეგრძნებასთან ერთიანობაში განიცდება, მეტალრე უარყოფითი ემოციის გამომწვევი გემოს განცდისას (მაგალითად, ზოგიერთი წამლის უკიდურესად უსიამოვნო — ზიზლის გრძნობის გამომწვევი გემო!).

გემოს შეგრძნებაში ადგილი აქვს ადაფტაციას და კიდევ უფრო გამოკვეთილი სახით კონტრასტის მოვლენას. მაგალითად, სოლიანი ხსნარით პირის გამოვლების შემდეგ ჩვეულებრივი წყალი პირველ მომენტში ტკბილად გვეჩვენება. მეჰავის შემდეგ ოდნავ მოტკბო საჰმელი ძალიან ტკბილად გვეჩვენება და ა. შ.

### შეხების შეგრძნება

შეხების რეცეფტორები, ე. წ. „შეხების წერტილები“, მდებარეობენ სხეულის ზედაპირზე — კანში და ლორწოვან გარსებში. მაგრამ მხოლოდ ამ რეცეფტორების გაღიზიანებით გამოწვეული შეგრძნებები მეტად ღარიბია — ეს არის მხოლოდ შეხებისა და, ინტენსიური გაღიზიანების შემთხვევაში, წნევის, ანუ დაწოლის განცდა. სამაგიეროდ სხვა მოდალობათა რეცეფტორების გაღიზიანებასთან ერთად აღმოცენდება ფართო მნიშვნელობით შეხების („ტაქტილური“) მრავალსახოვანი შეგრძნებები, როგორცაა: სიმაგრე, სირბილე, ელასტიკურობა, ფხვიერება, წებოიანობა. სიმახვილე, სიბლაკვე, სინესტე, სისველე, სიმშრალე და ა. შ. ყველა ამ შეგრძნებას არსებითად ინტერმოდალური ხასიათი აქვს, ე. ი. მათი გამოწვევა ხდება რამდენიმე სახის რეცეფტორთა გაღიზიანებით. ისინი აღმოცენდებიან საკუთრივ შეხების შეგრძნებისა და ჩვენი ორგანოების მოძრაობის კინესთეტიკურ და ტემპერატურის შეგრძნებების შერწყმისას ერთი მთლიანი შთაბეჭდილების (სიმაგრის, სინესტისა და ა. შ.) სახით.

მაგალითად, სიმაგრის თუ სირბილის შეგრძნებაში დიდ როლს ასრულებს საგანზე ხელის დაწოლისას განცდილი, მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის კინესთეტიკური შეგრძნება, ან სინესტისა

და სისველის შეგრძნებაში შეხების შეგრძნებასთან ერთად, დიდ როლს ასრულებს ს ი ც ი ე ი ს შეგრძნება.

ისეთი შეხებითი თვისების შეგრძნებაშიც კი, როგორცაა ზედაპირის სისადავის, თუ ხორკლიანობის შეგრძნება, დიდ როლს ასრულებს ხ ე ლ ი ს ა ნ თ ი თ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ა ზედაპირის მოსინჯვისას და ა. შ.

შეხების შეგრძნებას ახასიათებს ე. წ. „ლოკალური ნიშანი“, ე. ი. შეხების ადგილის ზუსტი ლოკალიზაცია: იმ ადგილის განცდა, სადაც ხდება შეხება. ამ თვისებას დიდი მნიშვნელობა აქვს შეხების მეშვეობით საგნის სივრცითი თვისებების აღქმისათვის: საგნის შეხებით ჩვენ მის ფორმასა და სიდიდესაც აღვიქვამთ, რადგანაც მისი შეხების ყოველი წერტილის ლოკალიზაციას ვახდენთ.

შეხების შეგრძნება ადვილად ვარჯიშებადია. ძალიან მაღალ მგრძნობიერებას და სიზუსტეს ეს შეგრძნება აღწევს დაბადებიდან უსინათლო ადამიანებთან იმის გამო, რომ მხედველობას მოკლებულ ადამიანს გარემოს აღქმის პროცესში შეხების ფართოდ გამოყენება უხდება.

შეხების შეგრძნებას ძლიერი ადაფტაცია ახასიათებს. უცვლელად მოქმედი შეხებითი გამღიზიანებლის მიმართ ადაფტაცია ძალიან მალე და მაღალი ხარისხით ვლინდება: ჩვენ ვერ ვგრძნობთ ხელზე საათს. თუ არ ავამოძრავებთ ხელი. ვერ ვგრძნობთ ბეჭედს თითზე და ა. შ.

საინტერესოა, რომ ადამიანს. რომლის ერთ-ერთ ძირითად სპეციფიკურობას, როგორც ცნობილია. იარაღის გამოყენება შეადგენს შეუმუშავდა უნარი საგნის შეხებითი თვისებების აღქმისა იარაღის მეშვეობით. ჩვენ ისე აღვიქვამთ ჯოხით, ჩანგლით, თუ ფანქრით საგნის სიმაგრეს, სირბილეს, სისწორეს, ფორმას, სიდიდეს, თითქოს ეს იარაღი მართლაც ჩვენი ხელის გაგრძელებას წარმოადგენდეს. თითქოს ჩვენი რეცეფტორები იარაღის, მაგალითად, ჯოხის ბოლოზე მოექცა. რომლითაც ვსინჯავთ სიბნელეში კიბეს. რომელზედაც უნდა ავიდეთ: ჩვენ ამ კიბის საფეხურზე წარმოდგენა გვიჩნდება და სულ არ ვაქცევთ ყურადღებას იმ შეხებით შეგრძნებებს, რომლებიც ხელის გულზე ჯოხის ტარის შეხებით აღმოცენდებიან. ამრიგად, თუმცა შეხება სავსებით კონტაქტური შეგრძნებაა. მაგრამ იარაღის მეშვეობით ადამიანი ახერხებს საგნის შეხებითი თვისებების აღქმასაც, მასთან უშუალო კონტაქტის გარეშეც. ამაში დიდ როლს ასრულებს კინესთეტიკური შეგრძნებების მონაწილეობა.

## ტემპერატურის შეგრძნება

ისევე, როგორც შეხების, სითბო-სიცივის რეცეფტორებიც განლაგებულია სხეულის ზედაპირზე — კანში და ლორწოვან გარსებში.

სითბოსა და სიცივის შეგრძნებას იწვევს თერმიული გაცვლა-გამოცვლა ჩვენი სხეულის ზედაპირისა და საგანს შორის: რაც უფრო სწრაფად გადადის სითბო ჩვენი კანიდან საგანში, მით უფრო ცივად გვეჩვენება ეს საგანი და, პირიქით, რაც უფრო სწრაფად გადმოდის სითბო საგნიდან ჩვენს კანში, მით უფრო თბილად გვეჩვენება ეს საგანი.

ეს კანონზომიერება გასაგებს ხდის, რომ სითბოსა და სიცივის შეგრძნებას ორი ფაქტორი განსაზღვრავს: ჩვენი სხეულის ზედაპირისა და საგნის ტემპერატურათა სხვაობის ხარისხი და საგნის თბოგამტარობა.

საგულისხმოა, რომ ფიზიკური გამლიზიანებლის, ე. ი. სითბოს ფიზიკური მოვლენის ხარისხობრივი სხვაობები განიცდებიან არა მხოლოდ ხარისხობრივად, არაქედ თვისობრივად განსხვავებულად: ცხელის, თბილის, გრილისა და ცივის შეგრძნებები ხომ თვისობრივად განსხვავებულია. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც საგნისა და ჩვენი სხეულის ზედაპირის ტემპერატურა ერთი და იგივეა, ტემპერატურის განცდას სულ არა აქვს ადგილი. ამ მოვლენას „ტემპერატურის სუბიექტურ ნოლს“ უწოდებენ.

საინტერესოა, რომ ორი უკიდურესად განსხვავებული ინტენსივობის ფიზიკური გამლიზიანებელი — უკიდურესად ცხელი და უკიდურესად ცივი, იწვევს არა პოლარული ხასიათის შეგრძნებებს, არამედ, პირიქით, წვის ტკივილისებურ შეგრძნებებს, რომლებიც ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს.

ტემპერატურის შეგრძნებას მკაფიოდ გამოხატული ადაფტაციისა და კონტრასტის მოვლენა ახასიათებს.

მაგალითად, პირველად აუტანლად ცხელი წყალი, რომელშიც ჩაპყოფთ ხელს, მალე ნელთბილად გეჩვენებათ. თუ ერთ ხელს ცხელ წყალში გააჩერებთ და მეორეს კი ცივში, ხოლო შემდეგ ორივეს ჩაპყოფთ თბილ წყალში — პირველი ხელი შეიგრძნობს მას როგორც ცივს, მეორე კი — როგორც ცხელს.



## ვიბრაციის შეგრძნება

ხშირი რიტმული რხევის—ვიბრაციის—შეგრძნება, შეგრძნებათა სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს. ვიბრაციის შეგრძნების გამომწვევი გაღიზიანება შეიძლება ატარებდეს როგორც კონტაქტურს, ისე დისტანციურ ხასიათსაც. მაგალითად, სასულე ორკესტრის დაკვრის ვიბრაციას შორიდან მთელი სხეულით შევიგრძნობთ ჰაერის მეშვეობით, მეორე მხრივ, ტროლეიბუსის მობრარის მუშაობით გამოწვეულ ვიბრაციას ტროლეიბუსში ყოფნისას უშუალო კონტაქტით შევიგრძნობთ.

ის გარემოება, რომ ვიბრაციის შეგრძნებას დისტანტური ხასიათიც აქვს, ამ მოდალობას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისტანტურ მოდალობებს მოკლებულ (უსინათლო და ყრუ) ადამიანებისათვის. მართლაც, თუ ნორმალური, ე. ი. შეგრძნებათა ყველა მოდალობით დაჯილდოებული ადამიანისათვის ვიბრაციის შეგრძნების მნიშვნელობა მინიმალურია (ამიტომაც ამ მოდალობის აღმოჩენა მხოლოდ ჩვენს საუკუნეში მოხდა — საუკუნეთა მანძილზე ამ განცდის სპეციფიკურობას მეკლევრები ვერ ამჩნევდნენ), უსინათლო ან ყრუ, განსაკუთრებით კი ერთდროულად უსინათლო და ყრუ ადამიანისათვის შეგრძნებების ეს სახე დიდი მნიშვნელობის მატარებელია; თითქმის დაბადებიდან ბრმა და ყრუ-მუნჯი ელეს კელერი ვიბრაციის შეგრძნების მეშვეობით სცნობდა მუსიკალურ ნაწარმოებებს და ტკბებოდა მუსიკით, ვიბრაციით გებულობდა ადამიანის „ფეხის ხმას“ და ა. შ. ადრე ბავშვობაში დაბრმავებული და დაყრუებული სკოროხოლოვა კარზე დაკაკუნებას ვიბრაციის შეგრძნებით გებულობს და ა. შ.

საყურადღებოა, რომ დაბადებიდან ყრუ ადამიანისათვის ვიბრაციის შეგრძნება ესთეტიკური ტკბობის გამომწვევიც შეიძლება იყოს, მუსიკალური ნაწარმოების ვიბრაციის მეშვეობით აღქმის შემთხვევაში.

## კინესთეტიკური შეგრძნებები

ადამიანი ზუსტად შეიგრძნობს თავისი სხეულის ნაწილების მოძრაობასა და მდგომარეობას და იმასაც შეიგრძნობს, თუ რა დაძაბულობით უხდება მოძრაობის შესრულება, მაგალითად, სიმძიმის აწევის დროს. ამ შეგრძნებებს, ე. ი. ჩვენის სხეულისა და მისი ნაწილების მდგომარეობისა და მოძრაობის შეგრძნებებს კინესთეტიკური ანუ მობრარული, ე. ი.

მოდრაობის შეგრძნებები ეწოდება. შეგრძნებათა ამ მოდალობაში ასხევებენ შეგრძნებათა ორ ჯგუფს — ჩვენი სხეულის ნაწილების (ხელი, ფეხი, თავი და ა. შ.) მოძრაობისა და მდგომარეობის შეგრძნებებს და დაძაბულობის შეგრძნებებს. პირველის რეცეფტორები ანუ პროპრიოცეფტორები<sup>1</sup> მდებარეობს სახსრებში, მათი გაღიზიანება ხდება მოძრაობის დროს სახსრების ხახუნით. ამ შეგრძნებებს სახსრების შეგრძნებებსაც უწოდებენ.

დაძაბულობის შეგრძნების რეცეფტორები მდებარეობს კუნთების ბოჭკოებში, — მათი გაღიზიანება ხდება ბოჭკოს დაჭიმვით კუნთის შეკუმშვის დროს. ამ შეგრძნებებს კუნთურ შეგრძნებებსაც უწოდებენ.

ცხადია, რომ კინესთეტიკურ შეგრძნებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საკუთარი სხეულის მოძრაობათა დაუფლებისათვის. კერძოდ, ამ მოძრაობათა შესრულების, მათი რეგულაციის სიზუსტეც უმთავრესად ამ შეგრძნებათა მგრძნობიარობაზეა დამოკიდებული. კინესთეტიკურ შეგრძნებათა გარეშე რაიმე გარკვეული მოძრაობის ნებისმიერი შესრულება შეუძლებელია.

კერძოდ, მეტყველებითი მოძრაობების შესრულებაც, რომელიც ძალიან დიდ სიზუსტესა და მოძრაობათა ფაქიზ დიფერენციაციას მოითხოვს, სავსებით ეყრდნობა სათანადო კინესთეტიკურ შეგრძნებებს, თუმცა, ცხადია, ეს შეგრძნებები მეტყველების პროცესში ყურადღების საგანს არ წარმოადგენენ.

ხაზგასასმელია, რომ ამ მოდალობის შეგრძნებათა მნიშვნელობა აღნიშნულით არ ამოიწურება. ისინი დიდ როლს ასრულებენ აგრეთვე ობიექტური გარემოს რიგთვიისებათა აღქმაში.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, საგნის შეხებითი თვისებების აღქმაშიც მნიშვნელოვან კომპონენტს კინესთეტიკური შეგრძნებები წარმოადგენენ — საგნის სიგლუვე, სისადავე თუ ხორკლიანობა, სირბილე თუ სიმკვრივე, ელასტიკურობა, წებოიანობა თუ ფხვიერება და ა. შ. კინესთეტიკური შეგრძნებების გარეშე ვერ აღიქმება.

კიდევ მეტია ამ შეგრძნებათა როლი სივრცის აღქმაში (იხ. თავი III, § 3). კერძოდ, სივრცის ოპტიკური აღქმაც თვალების მოძრაობის (კონვერგენციის) კინესთეტიკურ შეგრძნებებსაც ეყრდნობა (იხ. იქვე).

<sup>1</sup> კინესთეტიკური შეგრძნებების რეცეფტორებს უწოდებენ პროპრიოცეფტორებს, რადგანაც მათი გაღიზიანება სუბიექტის საკუთარი („პროპრიო“ — ლათინ.) მოძრაობებით ხდება.

საგნის სიდიდის, მისი ფორმის, მისი დაშორებულობის აღქმის ჩამოყალიბება ძირითადად კინესთეტიკურ შთაბეჭდილებებს ეყრდნობა. თუ საგნისათვის ხელის მოკიდებისას, მისი მოსინჯვისას ადამიანი განწყობილია ამ საგნის თვისებათა აღსაქმელად, ის ამ დროს აღმოცენებულ კინესთეტიკურ შეგრძნებებს განიცდის არა როგორც თავისი ხელის და თითების ამა და ამ სახის მოძრაობას და მდგომარეობას, არამედ როგორც საგნის შესატყვის თვისებებს.

მაგალითად, საგნის ზედაპირის მოსინჯვისას შესრულებულ წრისებრივ მოძრაობას განვიცდით არა როგორც ხელის მოძრაობას, არამედ როგორც საგნის მრგვალ ზედაპირს და ა. შ.

თუ, პირიქით, ადამიანი განწყობილია თვით მოძრაობათა შესასრულებლად (მაგალითად, ტანვარჯიშის დროს), მაშინ მოძრაობის დროს აღმოცენებული კინესთეტიკური შეგრძნებებიც განიცდებიან საკუთარი სხეულის მოძრაობათა სახით.

საყურადღებოა, რომ იარაღის საშუალებით, (ჯოხი, ჩანგალი, ფანქარი) საგნის აღქმისას კინესთეტიკური შეგრძნებების მონაცემებს, შეხების შეგრძნებებთან ერთად, ადამიანი განიცდის როგორც საგნის შესატყვის თვისებებს. მაგალითად, თუმცა საგანს ჯოხის წვერით ეხება ან ჩანგლით, იგი მაინც სწორად შეიგრძნობს ამ საგნის ფორმას, მის სიმკვრივეს თუ სიბრძილეს და ა. შ. (შეად. ზემოთ — შეხების შეგრძნება, გვ. 76 — 78).

### წონასწორობის შეგრძნება

ადამიანი ზუსტად შეიგრძნობს თავისი სხეულის მდგომარეობას სივრცეში, მეტადრე ვერტიკალური მდგომარეობის დარღვევის შემთხვევაში. ამ შეგრძნებებს წონასწორობის ანუ ხტატიკურ შეგრძნებებს უწოდებენ.


წონასწორობის რეცეფტორი მდებარეობს შინაგან ყურში — ლაბირინტში. ეს არის ვესტიბულარული ორგანო, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება — სამ „ნახევარწრისებრივ არხიდან“ და „კარიბჭედან“.

ნახევარწრისებრივი არხები წარმოადგენენ სხვადასხვა მიმართულებით განლაგებულ სამ მილს (იხ. სურ. №3), რომელშიც გარკვეულ დონეზე დგას სითხე — ენდოლიმფა. ეს სითხე მოძრაობის ინერციის კანონის თანახმად, ჩვენი სხეულის მოტრიალებისა და წინსვლითი მოძრაობის დროს საწინააღმდეგო მიმართულებით გადა-

იწევს არხებში და არხების კედლებში განლაგებული ბუსუსების მეშვეობით აღიზიანებს მგრძნობიარე უჯრედებს, ხოლო დახრის შემთხვევაში ენდოლიმთა სათანადო მიმართულებით გადაინაცვლებს არხებში. მოძრაობის მიმართულების, სისწრაფისა და ადამიანის დახრის ხარისხის მიხედვით, ენდოლიმთა აღიზიანებს არხების სხვადასხვა ადგილზე განლაგებულ ბუსუსებს.

არხების დაზიანების შემთხვევაში ადამიანი კარგავს წონასწორობის დაცვის უნარს: თვალდახუჭული ვერ შეიგრძნობს თავის მდგომარეობას სივრცეში.

კარიბჭეში, აპკისებურ „პარკუჭებში“ თავისუფლადაა მოთავსებული



ნახ. 3.

უწვრილესი კრისტალები — ოტოლითები, რომლებიც ადამიანის ამა თუ იმ მიმართულებით დახრის შემთხვევაში სათანადო მიმართულებით გადაინაცვლებიან და აღიზიანებენ სათანადო მგრძნობიარე უჯრედებს პარკუჭის ერთ-ერთ კედელში და ამ გზით გვეგრძნობინებენ ჩვენი სხეულის გადახრას გარკვეული მიმართულებით.

რამდენადაც ვესტიბულარული ორგანო მოთავსებულია თავში, მისი გაღიზიანება ხდება არა მხოლოდ მთელი სხეულის სათანადო გადაინაცვლებით სივრცეში, არამედ მარტო თავის მოძრაობითაც. იმისათვის, რომ ადამიანმა სწორად და ზუსტად შეიგრძნოს მარტო თავის მოძრაობა ხდება, თუ მთელი სხეულისა, აუცილებელია ვესტიბულარული

ორგანოს გაღიზიანებით გამოწვეულ შეგრძნებებთან ერთად ტანის მიმართ თავის მოძრაობისა და მდგომარეობის ზუსტი შეგრძნებაც, ე. ი. სათანადო კინესთეტიკური შეგრძნებები.

ამრიგად, წონასწორობის შეგრძნება კინესთეტიკურ შეგრძნებებთან ერთად გვაძლევს მთელი ჩვენი სხეულისა და მისი ნაწილების მდგომარეობისა და მოძრაობის შეგრძნებებს. თუმცა მათი რეცეფტორები, როგორც ვნახეთ, სულ სხვადასხვაა, ამ ორი სახის შეგრძნებებს ჩვეულებრივ იხილავენ, როგორც ერთი ჩგუთვის შეგრძნებებს, სახელდობრ, როგორც საკუთარ მოძრაობათა შეგრძნებების ორ ქვესახეს.

ორგანულ შეგრძნებათა ზოგადი დახასიათება. ორგანულ შეგრძნებათა მოდლობაში შედის ორგანიზმისა და მის შინაგან ორგანოთა მდგომარეობის მრავალრიცხოვანი შეგრძნებები. ყველა ამ მრავალნაირ შეგრძნებას აერთიანებს ის, რომ ისინი „ინტეროცეფტული“ ბუნებისა არიან, ე. ი. ჩვენი საკუთარი ორგანიზმის მდგომარეობის და არა გარემოს მოვლენების შეგრძნებებია. ორგანულ შეგრძნებებს ეკუთვნის როგორც მთლიანი ორგანიზმის საერთო მდგომარეობის განცდა — თვითგრძნობა (როდესაც ადამიანი კარგად ან სუსტად, თუ შეუძლოდ გრძნობს თავს), ისე ორგანიზმის შინაგან ორგანოთა სისტემებთან და ცალკე ორგანოთა მდგომარეობასთან დაკავშირებული შეგრძნებები. მაგალითად, საკმლის მომწვებელ სისტემასთან დაკავშირებული შეგრძნებები (შიმშილის, გაძლომის, წყურვილის, გულისრევის და ა. შ.), სისხლის მიმოქცევის სისტემასთან, სქესობრივ სისტემასთან დაკავშირებული შეგრძნებები, ორგანიზმის მოქმედებასთან დაკავშირებული შეგრძნებები (დაღლილობის, დასვენების შეგრძნებები), ცალკე ორგანოთა ტკივილის შეგრძნებები და ა. შ.

ორგანული შეგრძნებების საერთო მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მათი მჭიდრო კავშირი ორგანიზმის ბიოლოგიურ მოთხოვნებთან. ორგანულ შეგრძნებათა უმრავლესობა დაკავშირებულია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან ან, პირიქით, მათ აღმოცენებასთან, თუ გამწვავებასთან. ორგანული შეგრძნებების რიგი აღმოცენდება მხოლოდ სათანადო მოთხოვნილების აღმოცენების შემთხვევაში, ე. ი. როდესაც დაირღვევა წონასწორობა ორგანიზმსა და გარემოს შორის. მაგალითად, სუნთქვის შეფერხება, რომელიც იწვევს ძლიერ ვიტალურ მოთხოვნილებას, ინტენსიურ ორგანულ შეგრძნებასაც იწვევს, მაგრამ სუნთქვის ნორმალური მიმდინარეობა ჩვეულებრივ არც შეიგრძნობა. წყურვილის, შიმშილის, გაძლომის და სხვა ორგანული შეგრძნებები აუცილებლად არიან დაკავშირებული სათანადო მოთხოვნილებებთან.

ორგანულ შეგრძნებათა ამ თავისებურებიდან, ე. ი. მოთხოვნილებებთან მათი დაკავშირებიდან გამომდინარეობს მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება: ამ შეგრძნებებს, ჩვეულებრივ, თან ახლავს სათანადო მიმართულებით სწრაფვის, გარკვეული მოქმედებისადმი ლტოლვის მომენტი: წყურვილის

შეგრძნება დაკავშირებულია წყლის დაღვევისადმი სწრაფვასთან, შიმშილისა — საკმლის მიღებისადმი სწრაფვასთან და ა. შ.

ორგანულ შეგრძნებათა ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს მათი მჭიდრო კავშირი, შერწყმულობა ე მ ო ც ი უ რ გ ა ნ ც ლ ე ბ თ ა ნ; სიამოვნება-უსიამოვნების ელფერი, როგორც წესი, ორგანულ შეგრძნებათა მჭიდრო თანმზღებია. ხშირად ორგანული შეგრძნება ძნელი განსახვავებელია მასთან ერთად მოცემული ემოციური განცდისაგან (იხ. ქვემოთ, თ. X, § 1 — ჯემს-ლანგეს თეორია).

შიმშილის შეგრძნება. შიმშილის შეგრძნებას იწვევს ორი მთავარი გამღიზიანებელი — კუჭის სიცარიელე და ამით გამოწვეული კუჭის კედლების პერიტალტიკა და ე. წ. „მშიერი სისხლი“, ე. ი. სისხლის შემადგენლობის ის ცვლილებები, რაც ორგანიზმში საკვების დაკლებასთანაა დაკავშირებული. მშიერი სისხლიც რეფლექტორულად კუჭის კედლების მოძრაობას იწვევს.

წყურვილის შეგრძნება. წყურვილის შეგრძნებასაც ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ფაქტორი იწვევს — პერიფერიული და ცენტრალური. ეს არის, ერთი მხრივ, პირის ღრუს, ხორხისა და საყლაპავი მილის ზედა ნაწილის ლორწოვანი გარსების სიმშრალე და, მეორე მხრივ, საზოგადოდ სითხის ნაკლებობა ორგანიზმში.

ტკივილის შეგრძნება. რადგანაც ტკივილის რეცეფტორთა დიდი რაოდენობა ორგანიზმის ზედაპირზე — კანშია განლაგებული, ტკივილის შეგრძნებას უფრო ხშირად იხილავენ შეხებისა და ტემპერატურის შეგრძნებებთან ერთად, როგორც „კანის შეგრძნებების“ მოდალობას. ამით ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ტკივილის რეცეფტორები შინაგან ორგანოებშიცაა. განლაგებული.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია ტკივილის მიკუთვნება ორგანული შეგრძნებებისადმი, როგორც ამას ბოლო ხანებში ზოგი ავტორი აკეთებს. საქმე ისაა, რომ ტკივილის სახით ჩვენ განვიცდით არა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს ა გ ნ ი ს თ ვ ი ს ე ბ ა ს, არამედ ჩვენ ი ო რ გ ა ნ ი ზ მ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს; მე მტკივა და არა ნემსის წვერია მტკივნეული, რომლის ჩხვლეტამ გამოიწვია ეს ტკივილი. ძლიერი ტკივილის დროს გამღიზიანებლის თვისებას ხშირად სულაც არ განვიცდით. გარდა ამისა, ტკივილი ხშირად განიცდება გარეგანიზიანების გარეშეც, როგორც შინაგანი ორგანოების მდგომარეობა (ღვიძლის ტკივილი, კუჭის ტკივილი, ძვლის ტკივილი და ა. შ.).

ტკივილის შეგრძნებას საზოგადოდ ორგანული შეგრძნებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები ახასიათებს: ტ კ ი ვ ი ლ ი

მოქმედებისადმი სწრაფვით და ემოციასთან მჭიდრო კავშირით ხასიათდება. მას იმდენად აუცილებლად ახლავს მწვავე უსიამოვნების ემოციური ტონი, რომ ზოგჯერ მას უმართებულოდ მეცნიერულ (უმთავრესად ფიზიოლოგიურ) ლიტერატურაშიც იხილავენ როგორც გრძნობას, რომელსაც „ტკივილის გრძნობას“ უწოდებენ.

ტკივილის შეგრძნებას სპეციფიკური ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს. იგი თავდაცვის რეაქციის გამომწვევი: ტკივილი უბიძგებს ცოცხალ არსებას მოიშოროს სათანადო გამლიზიანებელი ან თვითონ მოშორდეს მას.

ტკივილის აღნიშნული ბიოლოგიური მნიშვნელობიდან გასაგებია ამ შეგრძნების შემდეგი თავისებურება: სხვა მოდალობებისაგან განსხვავებით მას არ გააჩნია სპეციფიკური სახის გამლიზიანებელი: ტკივილს იწვევს ყოველი სახის გამლიზიანებელი (სხვა მოდალობებისათვის სპეციფიკური სახის გამლიზიანებელიც კი), თუ იგი მაღალს, ორგანიზმისათვის დამაზიანებელ ინტენსივობას მიაღწევს, მაგალითად, ძლიერი სინათლის მოქმედება თვალზე, ძლიერი ჰაერის ტალღა (აფეთქებისას), მწვავე სუნი თუ გემო და ა. შ.

## § 8. შეგრძნებათა მოდალობების ურთიერთკავშირი

1. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მოდალობათა შეგრძნებები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ შორის მაინც არსებობს საერთო რამ, ერთგვარი მონათესაობა, რაც ვლინდება მათ განცდაში და ცალკე მოდალობათა რეალურ ურთიერთ-შემოქმედებაშიც.

ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც, ერთი მხრივ, ცალკე მოდალობები ფილოგენეტიკური განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა ერთი საერთო დიფუზური შეგრძნებელობის თანდათანობითი დიფერენციაციის გზით და, მეორე მხრივ, ყველა მოდალობის შეგრძნებათა ორგანოებს ერთი მთლიანი პიროვნება, მთლიანი ინდივიდი იყენებს გარემოს საგანთა და მათ თვისებათა აღსაქმელად. ბუნებრივია, რომ ამ განსხვავებულ მოდალობათა თანამშრომლობის პროცესში, მთლიანი საგნის თვისებათა ერთიანი აღქმის სახით ასახვის პროცესში, ამ მოდალობათა მონაცე-

შეების გაერთიანება ხდება ერთ მთლიან განც-  
დაში — საგნის ერთიან აღქმაში. მთლიანი, ერთიანი  
ინდივიდი სხვადასხვა მოდალობებს როგორც „ორგანოებს“ იყენებს  
ობიექტის თვისებათა (ხშირად ერთი თვისების) აღსაქმელად. საგ-  
ნის ზოგიერთი თვისება მხოლოდ ერთი მოდალობისათვის მიუწვ-  
დომელი რჩება. მისი აღქმა მხოლოდ რამდენიმე მო-  
დალობის შეგრძნებათა მონაწილეობით ხერხ-  
დება: როგორც ზემოთ დავინახეთ, საგნის თვისებათა შეგრძნება  
უფრო ხშირად ინტერმოდალურ ხასიათს ატარებს (იხ. ზემოთ —  
გემოს ან შეხების შეგრძნებათა ინტერმოდალური ბუნების შესა-  
ხებ); სხვადასხვა მოდალობათა მონაცემები ერ-  
თიანდებიან ერთი მთლიანი სენსორული შთა-  
ბეჭდილების სახით (მაგალითად, სიმაგრე, სირბილე, სი-  
ნესტე, სისველე, წებოიანობა, ფხვიერება და ა. შ. მხოლოდ რამ-  
დენიმე მოდალობის მონაცემთა საფუძველზე შეიგრძნობა; იხ.  
ზემოთ).

ამრიგად, შეგრძნებათა მოდალობის გენეტიკური ძირე-  
ბიცილი ინდივიდის გამოცდილება აპირობებს მათ  
შორის კავშირს.

2. მოდალობათა შორის არსებული ნათესაობა ძირითადად შემ-  
დეგი სახით ვლინდება.

ჭერ ერთი, განსხვავებულ მოდალობათა შეგრძნებების განც-  
დის ხერხობაში, რასაც საუკეთესოდ ადასტურებს ის ფაქტი,  
რომ ყველა ენაში არსებობს გამოთქმები, რომელშიც ერთი მოდა-  
ლობის თვისებით ხასიათდება სულ სხვა მოდალობის შეგრძნებისა-  
გან მიღებული შთაბეჭდილება: „ტკბილი ხმა“, „რბილი ხმა“, „ხა-  
ვერლოვანი ხმა“, „ბგერის ელფერი“, „მაღალი“ და „დაბალი“ ტო-  
ნები, „ნათელი ტონები“, „ცივი“ და „თბილი“ ფერები, „მყვირალა  
ფერები“, „რბილი ფერები“, „მჟავე სუნი“, „ტკბილი სუნი“ და ა. შ.

რამდენადაც ასეთი გამოთქმები საყოველთაოდ გავრცელებუ-  
ლია და გასაგებიც არის მსმენელისათვის, ცხადია, რომ ერთი მო-  
დალობის თვისების შთაბეჭდილება მონათესავეთ განიცდება მეო-  
რე მოდალობის გარკვეულ შთაბეჭდილებასთან (მაგალითად, ტკბი-  
ლი გემოს ან ხავერლოვნობის შეხებითი შთაბეჭდილება და გარკვე-  
ული ელფერის ბგერის სმენითი შთაბეჭდილება, ანდა სითბოს  
შეგრძნებისა და გარკვეული ელფერის ოპტიკური შეგრძნების შთა-  
ბეჭდილება და ა. შ.).

3. მოდალობათა ერთიანობა ვლინდება აგრეთვე ერთი მოდა-  
ლობის გამიზიანებლის ფუნქციონალურ შემოქმედებაში მეორე



მოდლობაზე. არსებობს უამრავი ექსპერიმენტული ფაქტები, რომელშიც მელანდებია ერთი მოდალობის გამლიზიანებლის გავლენა მეორე მოდალობის შეგრძნებაზე. ასე, მაგალითად, ერთი მოდალობის გალიზიანებით გამოიწვევა მეორე მოდალობის ზღურბლის დაწევა — მგრძნობიერების მომატება. მაგალითად, თვალზე ფერადი სინათლის მოქმედებით მიღებულია სმენის ზღურბლის დაწევა, დადგენილია ბგერისა და სუნის გამლიზიანებლის გავლენა მხედველობის ზღურბლზე და ა. შ. გარკვეულ პირობებში. პირიქით, ერთი მოდალობის გალიზიანება მეორე მოდალობის მგრძნობიერების დაკლებას იწვევს.

4. მოდალობათა ნათესაობას ადასტურებს აგრეთვე მოქმედების პროცესში მოდალობათა შენაცვლების ფაქტები: რომელიმე მოდალობის აღქმის გამოყენების შეუძლებლობის გამო საგნის სათანადო თვისების აღქმას მეორე მოდალობა ემსახურება.

განსაკუთრებით შორსმწვდომ შენაცვლებას აქვს ადგილი რომელიმე მოდალობას მოკლებულ ადამიანებთან (სიყრუეის ან სიბრმავის შემთხვევაში), მეტადრე, თუ ეს დეფექტი დაბადებიდან ან ბავშვობიდან დაპყება ადამიანს.

ასე, მაგალითად, დაბადებიდან უსინათლო აღიქვამს მანძილს, ფორმას, სიდიდეს, პროპორციას, მიმართულებას და სხვა სივრცით მიმართებებს, ოღონდ არა ოპტიკური მოდალობის მეოხებით, როგორც თვალხილული, არამედ სხვა მოდალობათა საშუალებით — შეხებით-კინესთეტიკური, ვიბრაციისა და სმენის მეშვეობით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სმენას მოკლებული ადამიანი ვიბრაციის საშუალებით აღიქვამს რიგ ბგერით გამლიზიანებლებს, კერძოდ, მუსიკალურ ნაწარმოებებსაც კი და ა. შ.

მოდლობათა ასეთი შენაცვლების შესაძლებლობას ეყრდნობა უსინათლო და ყრუ-მუნჯთა სწავლება სპეციალურ სკოლებში: ყრუ-მუნჯებს, მაგალითად, მეტყველების გაგებას ასწავლიან მოლაპარაკე ადამიანის ტუჩების მოძრაობათა მხედველობითი აღქმით, და შესანიშნავ შედეგებს აღწევენ; აბსოლუტურად ყრუ ბავშვი უყურებს მოსაუბრის ტუჩებს და ყოველ სიტყვას გეზულობს.

უსინათლოებს პირობითი ნიშნებით (წერტილების კომბინაციებით) ასწავლიან დაჩხვლვტილი ფურცლებიდან შეხებით კითხვას. ამ წესით ბრმებისათვის შედგენილია სპეციალური ლიტერატურა, რომელსაც ისინი თითის შეხებით კითხულობენ.

5. სინესთეზია. არიან ადამიანები, რომლებთანაც ერთი მოდალობის რეცეფტორის გალიზიანება (მაგალითად, ბგერითი), ამ გალიზიანების შესატყვისის შეგრძნების გარდა, იწვევს მეორე მოდალობის (მაგალითად, ფერის) შეგრძნებასაც. ეს, შედარებით

იშვიათი მოვლენა სინესთეზიის სახელითაა ცნობილი. რამდენადაც სინესთეზიისათვის დამახასიათებელია ერთი მოდულობის შეგრძნებით მეორე მოდულობის შეგრძნების გამოწვევა, ამ მოვლენას ინტერმოდულური ნათესაობის ერთ-ერთ გამოვლინებად თვლიან.

სინესთეზიის სხვადასხვა სახე არსებობს. ყველაზე უფრო გავრცელებულია ე. წ. „ფერადი სმენა“, ანუ „ფონოფსია“, რომელიც ცნობილია აგრეთვე „ფოტო-იზმების“ სახელით. ამ თვისების მქონე ადამიანს ბგერების მოსმენისას მის და უნებურად უჩნდება სხვადასხვა ფერების შეგრძნების ებური განცდა (ასე გამოწვეულ შეგრძნებებს „მეორად შეგრძნებებს“ უწოდებენ). მაგალითად, ადამიანი მუსიკის მოსმენისას მასთან ერთად სხვადასხვა ფერებს და მათ შენაცვლებას ხედავს, ანდა ადამიანის მიერ წარმოთქმულ ზოგიერთ ბგერათა გავონებისას გარკვეულ ფერებსაც „ხედავს“ და ა. შ.

სინესთეზიის სხვა სახეებს შორის აღსანიშნავია „ფონო-იზმი“ მოვლენა, რომელიც ფონოფსიის უებრუნებულ გამოვლინებას წარმოადგენს. გარკვეული ფერების დანახვა გარკვეული ბგერების შეგრძნების ებურ განცდას იწვევს.

დადასტურებულია სინესთეზური დაკავშირებები სხვა მოდულობათა შორისაც. სხვათა შორის, სინესთეზიის გამოვლინებად ითვლება შემდეგი გავრცელებული მოვლენაც: უსიამოვნო კრიალი (საცობის გაკრით ან დანის თეფშზე წასმით გამოწვეული) იწვევს ქრუანტელის მაგვარ შეგრძნებას და კანის თავისებურ რეაქციას, რასაც გერმანულად და რუსულად „ბატის კანს“ უწოდებენ.

სინესთეზიის მოვლენის ბუნება დღემდე სადავოდაა მიჩნეული, მის ასახსნელად წამოყენებულია სხვადასხვა სახის თეორიები<sup>1</sup>. ბოლო ხანებში სულ უფრო ვრცელდება ამ მოვლენის აღიარება წმინდა ფიზიოლოგიურ მოვლენად.

<sup>1</sup> იხ., მაგალითად, რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1965, გვ. 110 და შემდ.

## თავი მესამე

### აღქმა

#### გ 1. აღქმის ძირითადი თვისებები

##### აღქმა და შეგრძნება

აღქმა რეცეფტორებზე მოქმედ კონკრეტულ საგანთან ან მათ თვისებათა თვალსაჩინო, ხატოვანი<sup>1</sup> ასახვაა.

ადამიანი გარემოს ცალკე გამდიზიანებელთა და მათი კომპლექსების სახით კი არ განიცდის, ე. ი. გამდიზიანებლებს კი არ შეიგრძნობს, არამედ ობიექტურად, მისგან დამოუკიდებლად მოცემულ საგანთა-სახით აღიქვამს; სინამდვილე ადამიანის ცნობიერებაში საგანთა (ობიექტურ მოვლენათა) სახით აისახება და არა საგნობრიობას მოკლებულ, საგნის გარეშე მოცემულ სენსორულ (შეგრძნებით) თვისებათა (ფერი, გემო და ა. შ.) სახით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველდღიურ, ნორმალურ პირობებში გარემოს რეალური შემოქმედება ჩვენ რეცეფტორებზე სხვადასხვა მოდალობისა და ინტენსივობის შეგრძნებების სახით კი არ განიცდება, არამედ ჩვენს გარეშე მოცემული ობიექტური საგნების სახით; გარემოს კი არ შევიგრძნობთ — აღვიქვამთ.

თუმცა მასალას გარემოს აღსაქმელად მხოლოდ შეგრძნებები იძლევიან (იხ. თავი 2, § 1) — სხვა გზა საგანთა და მათ თვისებათა აღსაქმელად არ არსებობს — მაგრამ ჩვეულებრივ პირობებში შეგრძნებას ადამიანი აღქმის გარეშე

<sup>1</sup> „ხატოვანი“ აქ და ქვემოთ (თავი VII, § 7) იხმარება საგნის თვალსაჩინო წარმოდგენის — ხატის (იხევა) მნიშვნელობით.

არც განიცდის. რეალურად ისინი ერთმანეთი-საგან მოუწყვეტლად, ალქმის ერთიანი პროცესის სახით არსებობენ. შეგრძნებათა მასალიდან იმთავითვე იქმნება საგნის ან საგნის თვისებათა ალქმა. შეგრძნებები ჩვენს ცნობიერებას, ჩვეულებრივ პირობებში, იმთავითვე ალქმის სახით ორგანიზებულად ეძლევა. ცოცხალი არსება ურთიერთობას ამყარებს მის გარემოში მოცემულ კონკრეტულ საგნებთან და ამ საგნების თვისებებთან და არა უსაგნო სენსორულ თვისებებთან, ამიტომ გასაგებია, რომ გარემოსთან შეგუების პროცესში მას განუვითარდა ალქმის ფუნქცია, ე. ი. უნარი კონკრეტულ საგანთა თვალსაჩინო განცდისა და არა ცალკე უსაგნო თვისებათა შეგრძნებისა.

მაგრამ რას ნიშნავს საგნის ალქმა, თუ არა მის თვისებათა შეგრძნებას? რა არის ალქმა, თუ არა შეგრძნებათა კრებადობა?

ყოველდღიურ მეტყველებაში, ისევე როგორც არაფსიქოლოგიურ მეცნიერულ ლიტერატურაშიც, სიტყვებს — შეგრძნება და ალქმა ჩვეულებრივ ერთი მნიშვნელობით ხმარობენ. „მე შევიგრძნობ“ ფერს თუ ბგერას, ამბობენ იმავე მნიშვნელობით, როგორც „მე აღვიქვამ“ ფერს ან ბგერას. მაგრამ, როგორც მეცნიერული ფსიქოლოგიის ცნებებში, ისინი არსებითად განსხვავდებიან.

მაშ, რითი განსხვავდება ალქმა შეგრძნებისაგან? ქვემოთ ჩვენ შევიჩერდებით ალქმის იმ მთავარ თვისებებზე, რომელნიც მას ძირითადად განასხვავებენ შეგრძნებისაგან.

### ალქმის საზნოპრივიზა

ალქმის შეგრძნებისაგან მთავარ განმასხვავებელ ნიშანს საგნობრივობა წარმოადგენს: ალქმა განიცდება არა როგორც სუბიექტში აღმოცენებული ან სუბიექტში მიმდინარე პროცესი, არამედ როგორც სუბიექტის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტი, მიუხედავად იმისა, იქნება ეს მთელი საგნის ალქმა, თუ მისი რომელიმე თვისებისა (ფერის, მისგან მომდინარე ბგერის და ა. შ.).

მაგალითად, ამ სამელნეს რომ ვუყურებ, მე ჩემს გარეთ არსებულ საგანს — სამელნეს ვხედავ და არა ამ სამელნის ზემოქმედებით აღძრულ, ჩემში მიმდინარე პროცესს განვიცდი. ან მის მოლურჯო ფერს რომ აღვიქვამ — ჩემში აღმოცენებული სილურჯის შეგრძნებას კი არ განვიცდი, არამედ ჩემს გარეშე, გარკვეულ მან-

ძილზე, ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად არსებული საგნის ფერს ვხედავ. როდესაც ქუჩაში გავლილი მანქანის საყვირის ხმა ჩემი სმენის რეცეფტორს გააღიზიანებს, მე ჩემში აღძრულ სმენის შეგრძნებას კი არ განვიცდი, არამედ გარედან, გარკვეული მიმართულებით მოსულ ბგერას — მანქანის სიგნალს. ყველა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აღქმასთან, რომლის შინაარსს სათანადო შეგრძნებები ქმნიან. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს შეგრძნებები აღქმის გარეშე არ განიცდებიან.

ამ ძირითად განსხვავებას შეგრძნებებსა და აღქმას შორის ნათელს ხდის ის იშვიათი შემთხვევები, როდესაც გარკვეული პირობების გამო, სუბიექტი ერთ მომენტში გამღიზიანებლით გამოწვეულ შეგრძნებას განიცდის, რომელიც მალე საგნის სათანადო თვისების აღქმად გადაიქცევა.

ერთი ასეთი შემთხვევა ჩვენ გვქონდა განცდილი. გაღვიძების მომენტში „სიმწვანის“ უცნაური განცდა აღმოცენდა. ეს მწვანე ფერი არ იყო ლოკალიზებული; თითქოს თვალები ითვის „სიმწვანით“. მაგრამ მის მიმართ ყურადღების გამახვილებისას ის მწვანე უმაღვე დაიძრა და გადაინაცვლა ხის მიმართულებით, რომელიც ეზოში იყო და ამ ხის მწვანე ფერად გადაიქცა. უდავოა, რომ პირველ მომენტში თვალის გახელისას ხის მწვანე ფერით მხედველობის რეცეფტორთა გაღიზიანების შედეგად ქერ პასიურ მდგომარეობაში მყოფ ცნობიერებაში აღმოცენდა მწვანე ფერის შეგრძნება, საგნობრივობას მოკლებული „სიმწვანის“ განცდა, რომელიც უმაღვე მწვანე ფერის აღქმად (ხის მწვანე ფერად) გადაიქცა.

ანალოგიური დაკვირვება არსებობს ბგერათა მიმართაც.

### აღქმის კატეგორიალობა ანუ აზრიანობა

საგნის თვალსაჩინო ხატთან ერთად აღქმაში მოცემულია იმ საგნის გულისხმობა, რომლის თვალსაჩინო ასახვას იძლევა იგი. ეს საგანი, როგორც საგანთა გარკვეული კატეგორიის წარმომადგენელი, განიცდება. აღქმის ამ თვისებას „კატეგორიალობას“ უწოდებენ, ხოლო, რამდენადაც აღქმული საგნის გარკვეული კატეგორიის საგნად გულისხმობა იმავე დროს, გარკვეულ ფარგლებში, ასახულის გააზრებას, მის გაგებას წარმოადგენს, ამდენად აღქმის ამ თვისებას საბჭოთა ფსიქოლოგიაში აღქმის აზრიანობასაც უწოდებენ.

ამრიგად, აღქმას კატეგორიალობა, ანუ აზრიანობა ახასიათებს. მართალია, აღქმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისიც არის, რომ იგი ყოველთვის ერთეული, ცალკეული საგნის ასახვას იძლევა, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ ეწინააღმდეგება აღქმის კატეგორიალობას: თვალსაჩინოდ ასახულ ამ კერძო, ცალ-

კეულ საგანს სუბიექტი განიცდის როგორც საგანთა გარკვეული ჯგუფის, თუ კლასის, ან კატეგორიის წარმომადგენელს. ეს დასკვნის ან მსჯელობის სახით კი არ ხდება, არამედ იმთავითვე ამ საგნის აღქმის პროცესში ხორციელდება. საგანი თავიდანვე აღიქმება როგორც ამ კატეგორიის წარმომადგენელი. როდესაც ჩვენ შევხედავთ სკამს — ეს ჩვენთვის იმთავითვე „საზოგადოდ სკამია“. ე. ი. „სკამობის“ კატეგორიის წარმომადგენელია და არა მხოლოდ ესა და ეს ინდივიდუალური საგანი. როდესაც თქვენ წერთ დაფაზე, ეს ცარცი თქვენთვის არა მხოლოდ ინდივიდუალური საგანია, რომელსაც ესა და ეს ფორმა და სიდიდე აქვს, არამედ „ცარცია საზოგადოდ“.

რასაკვირველია, აღქმის ეს თვისება, ე. ი. კერძოში ზოგადის გულისხმობა, აღქმაში აზროვნების მონაწილეობის შედეგია. მაგრამ აზროვნების ასეთი მონაწილეობა აღქმის, როგორც რეალური პროცესის, აუცილებელი თვისებაა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. ფსიქიკის დახასიათება), ფსიქიკურ ფუნქციათა სრული დაშორება ერთმანეთისაგან შეუძლებელია. მათი ცალ-ცალკე განხილვა შემეცნების საჭიროებით გამოწვეული აბსტრაქციის შედეგია. კერძოდ, აღქმის პროცესის ერთიანობიდან ვერ ამოირიცხება ვერც აზროვნების და ვერც მეხსიერების გარკვეული სახით მონაწილეობა: აღქმაში ასახულს ჩვენ ვცნობთ როგორც საგანთა გარკვეული კატეგორიის წარმომადგენელს.

აღქმის კატეგორიალობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის გამოცდილება — მისი პრაქტიკული დამოკიდებულება საგნებთან და სათანადო სიტყვის (საგნის სახელის) ხმარება. ჩვეულებრივ ერთ კატეგორიად ჩამოყალიბდება ის საგნები, რომელთაც ერთი საერთო სახელი ეწოდება.

ამ მხრივ საინტერესო დაკვირვება არსებობს ბავშვის მიერ ფერების აღქმის დაუფლებაზე. ერთი ფერის (მაგალითად, წითლის) ელფერებს ბავშვი ჩვეულებრივ სხვადასხვა ფერებად განიცდის, არ აერთიანებს ერთ ჯგუფში, სანამ არ ისწავლის ამ ფერის სახელს, რომელიც აერთიანებს ამ ელფერებს ერთ კატეგორიად (მაგალითად, წითელ ფერად), მხოლოდ ამის შემდეგ ამ ფერის (წითლის) ყველა ელფერი (მუქი, ბაცი, მეტნაკლებად მადლარი და ა. შ.) ამ ერთი ფერის ელფერებად, ე. ი. ფერთა სათანადო კატეგორიის (წითლის) წარმომადგენლად განიცდება.

კატეგორიალური აღქმის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ფონემის განცდის ფაქტი: ერთი და იმავე ასოთი

აღნიშნული ბგერები ერთსა და იმავე ბგერად აღიქმება, თუმცა სხვადასხვა სიტყვის კონტექსტში ეს ბგერები ხშირად განსხვავებულად ეღერენ. მაგალითად, პირველი და მეორე ლ სიტყვაში „ლალი“ ან იგივე ფონემა სიტყვებში „ლობიო“ და „ნალი“ განსხვავებულად ეღერენ, მაგრამ ერთ და იმავე ბგერად (ლ ბგერად) აღიქმება.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ აღქმა მხოლოდ სენსორული (შეგრძნებითი) ბუნების პროცესი როდია, იგი უკვე შემეცნებითი ბუნების პროცესია: იგი საგნის შემეცნების თვალსაჩინო ფორმაა და არა გაღიზიანების შემეგრძნება.

### აღქმის სტრუქტურული მთლიანობა

**მთლიანობის ცნება.** ძველ ფსიქოლოგიაში იგულისხმებოდა, რომ აღქმა შეგრძნებათა უბრალო კრებადობას — მათ ჯამს ანუ მათ „კონას“ წარმოადგენს და, მაშასადამე, მათ შორის სხვაობა ესმოდათ როგორც რაოდენობრივი ხასიათის განსხვავება. მაგალითად, ვაშლის აღქმა ამ ტრადიციული მექანიკური გაგების თანახმად, ვაშლის ცალ-ცალკე თვისებების (ფერების, სუნისა და ა. შ.) შეგრძნებათა შეკრებას ანუ მათ „კონას“ წარმოადგენს.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში აღქმის ექსპერიმენტული შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღქმა ცალკე შეგრძნებების ჯამი კი არ არის, არამედ გარკვეული სტრუქტურის მქონე მთლიანობაა, და ეს მისი თვისება — სტრუქტურული მთლიანობა — აღქმის ერთ-ერთ არსებით ნიშანს შეადგენს.

მაგრამ რით განსხვავდება მთლიანობა ჯამისაგან, რა ნიშნებით ხასიათდება მთლიანობა?

მთლიანის მთავარ თვისებურებას წარმოადგენს სპეციფიკური დამოკიდებულება მთელსა და მის ნაწილებს შორის: მთლიანს, მის ნაწილებთან შედარებით, ახალი თვისებები გააჩნია. თვისებები, რომელიც არც ნაწილებს გააჩნია ცალ-ცალკე და არც მათ ჯამს. არა მხოლოდ მთელია დამოკიდებული მის ნაწილებზე, არამედ, პირიქითაც; გარკვეულ ფარგლებში, მთელი განსაზღვრავს მისი ნაწილების თვისებურებას: ერთი და იგივე ელემენტი სხვადასხვა მთლიანობაში შესული განსხვავებულთა ამ მთელთა თვისებურების მიხედვით.


მაგალითად, წყალი ( $H_2O$ ) მის ელემენტებთან შედარებით ახალ

თვისებათა მატარებელია — იგი სითხეა და არა გაზი და არც წყას უწყობს ხელს როგორც ჟანგბადი, და არც იწვის, როგორც წყალბადი. წყალბადიც და ჟანგბადიც ამ მთლიანობაში, ე. ი. როგორც წყლის ელემენტები, ამ დამოუკიდებელ თვისებებს კარგავენ.


სულ სხვა კანონზომიერება ახასიათებს ჯამს: ჯამის „ელემენტები“, ე. ი. ერთეულები არ იცვლებიან იმის მიხედვით, რომელ მთელში შედიან ისინი.

აღქმას მთლიანობის ყველა ნიშანი ახასიათებს.

აღქმას, როგორც მთელს, მის ნაწილებთან შედარებით, ახალი თვისება გააჩნია. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვუყურებთ სამი სწორი ხაზიდან შედგენილ ფიგურას, ჩვენ აღვიქვამთ არა სამ ხაზს, არამედ მთლიან ფიგურას, რომელსაც გარკვეული ფორმა აქვს: ერთ შემთხვევაში (ნახ. 4) სამკუთხედს, მეორე შემთხვევაში (ნახ. 5) ვარსკვლავისებურ ფიგურას და ა. შ. ელემენტებს (ხაზებს)




ნახ. 4



ნახ. 5

არაფერი გააჩნიათ სამკუთხედობისა. ფიგურის თვისება მთლიანის თვისებაა, რომელიც ელემენტებს არ გააჩნიათ.

იმის მიხედვით, რა საგნის აღქმასთან გვაქვს საქმე, ელემენტები შეიძლება უფრო გამოყოფილად განიკლებოდეს ან ნაკლებ გამოყოფილად, მაგრამ მთელის ახალი თვისება, ე. ი. მთლიანის თა-




ნახ. 6

ვისებურება, ყველა შემთხვევაში მქალაქდება. მაგალითად, მე-6 ნახაზში ჩვენ ვხედავთ ორ ფიგურას, რომელთაგან თითოეული გამოყოფილი ხუთ-ხუთი წერტილისაგან შედგება, მაგრამ ამ წერტილების განლაგების მიხედვით ჩვენ განსხვავებულ ფორმას, განსხვავებულ მთლიან ფიგურას აღვიქვამთ.



აღქმის მთელი გავლენას ახდენს თავის ნაწილებზე. ერთი და იგივე ელემენტი სხვადასხვა მთელში შესული, განსხვავებულად აღიქმება. მაგალითად. რომ ავიღოთ 2 ტოლი ხაზი და თითოეულს სხვადასხვა მიმართულებით მივუხაზოთ ისრები (ნახ.7), ეს ხაზები აღარ



ნახ. 7


აღიქმებიან ტოლად: თითოეული ხაზი აღიქმება როგორც განსხვავებული მთლიანის წევრი — პირველი პატარა, „შეკუმშული“ მთელის ნაწილია და ამის შესატყვისად პატარად მოჩანს, მეორე კი დი-



ნახ. 8

დი — „გაწეული“ მთელის ნაწილია და ამიტომ დიდად გამოიყურება.

ეს ილუზია კიდევ უფრო ძლიერია, როდესაც ეს ტოლი ხაზები სათანადო სიდიდის საგნების სურათის ელემენტებს წარმოადგენენ. (ნახ. 8).



ნახ. 9

ამავე კანონზომიერების კიდევ უფრო დემონსტრაციულ მაგალითს იძლევა ნახ. 9 („ზანდერის ილუზია“) და 10 (ლიპსის ილუზია). პირველ ნახაზში სწორი ხაზი AB ობიექტურად უდრის BC-ს, მაგრამ პირველი აღიქმება ბევრად უფრო დიდად, რადგანაც უფრო

დიდი მთელის (მარცხენა ფიგურის) ნაწილს (დიაგონალს) წარმოადგენს, მეორე კი — უფრო პატარა მთელის ნაწილს.

მე-10 ნახაზში მარჯვენა რიგში განლაგებული ტეხილი ხაზების შუა მონაკვეთები ობიექტურად ზუსტად იმავე პარალელურ ხაზებს წარმოადგენენ, რაც მარცხენა რიგშია მოცემული, მაგრამ არ ჩანან პარალელურად. ეს იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც პარალელურ ხაზებს მიეხაზათ სხვადასხვა მიმართულებით წარმართული ბოლოები, თითოეული ხაზი აღქმის მთლიანობის გამო მთლიან ტეხილ ხაზად გადაიქცა, ხოლო რადგანაც მთლიანი (ტეხილი) ხაზები სხვადასხვა მიმართულებითაა განლაგებული, მათ შუა მონაკვეთებიც სხვადასხვა მიმართულებით განლაგებულად აღიქმებიან, სანამ არ დაფარავთ მათ ბოლოებს.



ნახ. 10

დაუმთავრებლობის განცდა, რომელიც გვიჩნდება ხოლმე, როდესაც აღვიქვამთ დაუმთავრებელ ფიგურას ან შეწყვეტილ მელოდიას.

როდესაც ვისმენთ რაიმე მელოდიას ან თუნდაც კაკუნით შექმნილ უბრალო რითმს, და ეს რითმი ან მელოდია შეწყდება, ჩვენ გვიჩნდება დაუმთავრებლობის განცდა, — სპეციფიკური შინაგანი დაძაბულობის განცდა, ისევე, როგორც მე-11 ნახაზში მოცემული ფიგურის განცდისას გვიჩნდება დაუმთავრებელი სამკუთხედის შთაბეჭდილება.

მაგრამ დაუმთავრებელი ხომ მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც მთლიანია, რასაც სტრუქტურა გააჩნია.



ნახ. 11.

აღქმის სტრუქტურის ტრანსპოზიცია. აღქმის მთლიანობითი, სტრუქტურული ბუნების თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენს აღქმის ერთი და იმავე სტრუქტურის უცვლელად გადატანა სხვადასხვა სენსორულ მასალაზე. ამ მოვლენას აღქმის ტრანსპოზიციას უწოდებენ.

მაგალითად, ჩვენ უცვლელად აღვიქვამთ ერთსა და იმავე ფორმას, მიუხედავად იმისა, თუ რა ფერით არის ეს ფორმა დახატული. ასევე უცვლელად აღიქმება ერთი და იგივე მელოდია, მიუხედავად იმისა, მაღალ ტონებზე სრულდება იგი თუ დაბალზე, თუკი, ცხადია, ტონებს შორის შეფარდება იგივე დარჩა.

ადამიანის აღქმა განაწევრებულ მთლიანობას წარმოადგენს. ადამიანის აღქმა განაწევრებული ანუ დიფერენცირებული მთლიანობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ აღქმის მთლიანობას თავისი სტრუქტურა, თავისი აღნაგობა გააჩნია, რომ მთელთან ერთად ჩვენ მთელის ნაწილებსაც ვარჩევთ (მაგალითად, სამკუთხედის ფორმის აღნაგობაში კუთხეებსაც და ხაზებსაც ვხედავთ).

გარდა ამისა, ადამიანის აღქმისათვის დამახასიათებელია, რომ მისი საგანი გარემოდანაც გამოყოფილად აღიქმება, ე. ი. რომ აღქმაში ყოველთვისაა მოცემული ფიგურაც და ფონიც, რომელზედაც გვეძლევა ეს ფიგურა. აღქმა აუცილებლად შეიცავს ფიგურასა და ფონს.

მაგალითად, მე-12 ნახაზში ჩვენ ვხედავთ ადამიანის სახის პროფილებს, თეთრი სივრცე მათ შორის ფონად აღიქმება. მაგრამ საკმარისია დავინახოთ შუაში თეთრი ვაზა, რომ ორივე პროფილი „ჩაეარდეს“ — უკანა პლანზე გადაიწიოს, ფონად გადაიქცეს. რამდენიც არ უნდა ვეცადოთ ერთდროულად ორივე დავინახოთ ფიგურად — ვაზაც და პროფილებიც, ეს არ გამოვა — დაიწყება ფარფალი: ხან ვაზა „ჩაეარდება“ — ფონად გადაიქცევა, ხან პროფილები. ეს იმიტომ ხდება, რომ აღქმა აუცილებლად შეიცავს ფიგურას და ფონს. ფიგურის მოცემულობა ფონსაც გულისხმობს.

ამრიგად, ადამიანის აღქმა შიგნით განაწევრებული და გარედან გამოყოფილ მთლიანობას წარმოადგენს. ასეთ მთლიანობას თანამედროვე ფსიქოლოგიაში „გეშტალტს“ უწოდებენ<sup>1</sup>.

### აღქმის კონსტანტობა

საგანთა აღქმის ობიექტური პირობები მუდამ იცვლებიან: განათების ხარისხი, მისი ფერი, მანძილი, რომლიდანაც აღიქვამთ საგანს, კუთხე, რომლითაც ვუყურებთ საგანს და ა. შ. ამ ფიზიკური ცვლილებების მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება შეგრძნების უშუალო ფიზიოლოგიური საფუძველი და ამიტომ შეგრძნე-

<sup>1</sup> გერმანული სიტყვიდან Gestalt, რაც ფორმას ნიშნავს.

ბაც უნდა იცვლებოდეს. მაგალითად, სუსტი განათების პირობებში თეთრი საგანი ნაკლებ სინათლეს არეკლავს, ვიდრე მზით განათებული შავი საგანი, ამიტომ სუსტი განათების პირობებში თეთრი საგანი უფრო მუქი რუხი ფერის შეგრძნებას უნდა იწვევდეს, ვიდრე მზით განათებული შავი საგანი.



ნახ. 12

საგნის გამოხატულების სიდიდე თვალის ბაღურაზე ოპტიკის კანონის მიხედვით უკუპროპორციულია საგნის დაშორებისა თვალთან. მაშასადამე, საგანი მით უფრო პატარად უნდა გამოიყურებოდეს, რაც უფრო შორს არის ის ჩვენგან.

საგნის გამოხატულების სურათი თვალის ბაღურაზე არსებითად იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელი მხრიდან, რა კუთხით ვუყურებთ ამ საგანს და ა. შ.

მიუხედავად ყველა ამ არსებითი ცვლილებისა, საგნის აღქმა, გარკვეულ ფარგლებში კონსტანტური, ე. ი. უცვლელი რჩება. ცარცი გათენებისას, ან ჩრდილში მოთავსებული, თეთრად ჩანს არეკვლილი სინათლის დაბალი ხარისხის მიუხედავად, ნახშირი მზის შუქზე შავად აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით მეტ სინათლეს არეკლავს, ვიდრე ცარცი ბინდისას, ანდა ჩრდილში. უკანასკნელი მერხი აუდიტორიაში იმავე სიდიდისა აღიქმება, როგორც პირველი, თუმცა რამდენჯერმე უფრო პატარად იხატება თვალში ბაღურაზე. სკამი მაინც სკამად, ე. ი. უცვლელი ფორმისად აღიქმება, თუმცა ჩვენ მას სხვადასხვა მხრიდან ვუყურებთ და, მაშასადამე, ბაღურაზე მისი არსებითად ცვალებადი სურათი იხატება და ა. შ.

აღქმის ამ მნიშვნელოვან თვისებას აღქმის კონსტანტობას უწო-

დებენ. განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი ფერის, სიდიდისა და ფორმის აღქმის კონსტანტობა, რის მაგალითებიც ჩვენ ზემოთ გვქონდა მოყვანილი.

მართალია, აღქმის კონსტანტობა არ არის აბსოლუტური: დიდ მანძილზე საგნის სიდიდე მაინც შეცვლილად აღიქმება (თუმცა ნაკლებ შეცვლილად, ვიდრე იცვლება მისი გამოხატულების სიდიდე ბადურაზე), დაჩრდილული საგანი (მაგალითად, თეთრი ქერის ნაწილი) ნაკლებ თეთრად გამოიყურება, ვიდრე განათებული, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ მისი ფერი ერთია და ა. შ. მაგრამ მიუხედავად ამისა, აღქმის კონსტანტობას დიდი მნიშვნელობა აქვს საგანთა სწორი აღქმისათვის, მათი ცნობისათვის აღქმის მუდამ ცვალებად პირობებში. სიდიდის, ფორმისა და ფერის აღქმა რომ არ ყოფილიყო კონსტანტური, ადამიანი და ცხოველი ხშირად ვერ დაამყარებდა საგნებთან პრაქტიკულ ურთიერთობას. ვერ იცნობდა საგნებს, რადგანაც საგნების ჩვენგან დაშორების მანძილი, მათი განათების ხარისხი და რაკურსი — ხედვის კუთხე, რომლითაც ვუყურებთ ამ საგნებს, ყოველდღიურ ცხოვრებაში მუდამ იცვლება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აღქმის კონსტანტობა დიდად დამოკიდებულია სუბიექტის გამოცდილებაზე (ბავშვებს 3 თვის ასაკიდან თანდათან უვითარდებათ აღქმის კონსტანტობა), მაგრამ იგი არ წარმოადგენს საგანთა ინტელექტუალური შეფასების შედეგს. კონსტანტობა უშუალო ხასიათს ატარებს.

ამას საუკეთესოდ ამტკიცებს ის გარემოება, რომ აღქმის კონსტანტობა ექსპერიმენტულად დადასტურდა ცხოველებთან და მათ შორის განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ცხოველებთანაც: არა მხოლოდ მაიმუნებთან, არამედ ქათმებთან, ქათმის წიწილებთან (3 თვის) და ზოგიერთი ჯიშის თევზებთან.

საინტერესოა, რომ თევზებთან ფერის აღქმის კონსტანტობა მეტი ხარისხისა აღმოჩნდა, ვიდრე ადამიანთან. საქმე ის არის, რომ წყლის პირობებში საგნის დაშორება განათების ფერის უფრო სწრაფ ცვლილებებს იწვევს და ამიტომ თევზი საგნის ფერის უფრო დიდი ცვლილებების პირობებში ცხოვრობს, ვიდრე ადამიანი. ამ პირობების შესატყვისად თევზებს ფერის აღქმის კონსტანტობა უფრო განვითარებული ჰქონიათ.

საზოგადოდ აღქმის ეს თვისება ცოცხალ არსებათა გარემო პირობებთან შეგუების შედეგს წარმოადგენს.

აღმოსავლეთის კავშირის სახელმწიფო. აღქმა არა მხოლოდ საგნის ხატია, არამედ კონკრეტული ადამიანის მოქმედებაა — მოქმედება, რომელიც მიმართულია ობიექტური საგნის აღსაქმე-  
ლად სხვადასხვა მოდალობის შეგრძნების ორგანოთა გამოყენებით. ადამიანი მოიმართება, მობილიზდება, როგორც ამბობენ, განე-  
წყობა სათანადო საგნის აღსაქმელად და ეს მისი განწყობა გარკვეულ გავლენას ახდენს მიღებულ აღქმაზე. ჩვენ არა მხოლოდ ვხედავთ, არამედ ვუყურებთ, არა მხოლოდ გვესმის, არამედ ვისმენთ.

აღქმა ადამიანის შემეცნებითი აქტივობის გამოვლინებაა, ამიტომ როგორც ყველა სხვა მოქმედებაში, აღქმაშიც თვით აღქმელი პიროვნების შინაგანი მდგომარეობა, მისი გამოცდილება, მისი მისწრაფებები, მისი მოთხოვნები და ინტერესები ვლინდება და გარკვეულ დაღს ასვამს აღქმას. აღქმა არ არის საგნის „სარკისებური“, პასიური და სრულიად ობიექტური, უცვლელი ასახვა; გარკვეულ ფარგლებში იგი პიროვნების ხასიათს ატარებს.

ერთსა და იმავე მოვლენას ადამიანი, გარკვეულ ფარგლებში, განსხვავებულად აღიქვამს იმის მიხედვით, თუ როგორია მისი გამოცდილება ამ მოვლენის მიმართ, რა იცის მან ამ მოვლენის შესახებ, რა ინტერესებს მას ამ მოვლენაში, როგორ არის ის ამ მომენტში განწყობილი. ყველა ამის მიხედვით იცვლება თვალსაზრისი, რომლითაც აღიქმება მოვლენა, იცვლება პიროვნების პოზიცია მის მიმართ. ამის გამო მოვლენის სხვადასხვა მხარეები წამოიწევეს წინ, სხვადასხვა მომენტები, პირიქით, იჩრდილება, ხოლო ზოგი მომენტი სხვადასხვაგვარად გამოიყურება და ა. შ.

ძველი გამოცდილების გავლენით ოპტიკურად აღქმულ საგანში მის ისეთ თვისებებსაც ვწვდებით, რომელიც თვალთა დასანახი არაა, რომელიც უწინ სხვა მოდალობის აღქმის მეშვეობით გვეჩვენა მიღებული: მაგალითად, ქვის ან რკინის მხედველობით აღქმისას თითქოს განვიცდით მის სიმძიმეს, სიმადრეს და სიმკვრივესაც, ან ბალიშის დანახვაზე თითქოს მის სირბილესაც ვგრძნობთ და ა. შ.

მაგალითად, არქეოლოგი და ოქრომკვლელი სხვადასხვაგვარად აღიქვამს გათხრებში აღმოჩენილ ოქროს ნივთს, პირველს ამ საგნის სხვა ნიშნები ეცემა თვალში, მეორეს კი — სხვა.

ანდა, მაგალითად, მოაგარაკე გარკვეულ ფარგლებში სხვანაირად აღიქვამს „მშენებელ“ და „დიად“ აედარს, ვიდრე ადგილობრივი მეურნე. რომლის ცნობიერებაში ეს აედარი, პირველ რიგში, ჰინახულისათვის მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით აღიბეჭდება და არა ესთეტიკური თვალსაზრისით. სულ სხვანაირად აღიქვამს იმავე მოვლენას (ავდარს) კულტურის დაბალ დონეზე მდგომი ადამიანი, რომელიც ქვეა-ქუხილში და ელვაში ზებუნებრივი ძალების გამოვლინებას ხედავს და ა. შ.

როდესაც ადამიანი წინასწარ მტკიცედ არის განწყობილი გარკვეული მოვლენის ან საგნის მიმართ, მაგალითად, მტკიცედ მოვლის რაიმე მოვლენას, ასეთი განწყობის ზეგავლენით მან შეიძლება დამახინჯებულად, არასწორად, „ილუზიურად“ აღიქვას მოცემული მოვლენა, თუკი იგი არ დაემთხვა მოსალოდნელს. შემცდარ აღქმათა ანუ აღქმის ილუზიათა (იხ. ქვემოთ) დიდი ნაწილი ასეთი წინასწარ შემუშავებული განწყობის შედეგს წარმოადგენს.

როდესაც ადამიანს ბინდისას უხდება იმ ტყეში გაეღა, სადაც მოსალოდნელია მგელი, მან შეიძლება რომელიმე ჭირკვი ან ბუჩქი, პირველ მომენტში მაინც, მგლად აღიქვას.

ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევა, როდესაც გარეულ ღორზე ჩასაფრებულმა მონადირემ ტუიდან გამოსული ბავშვი ღორად აღიქვა და ესროლა მას.

პიროვნების შინაგანი მდგომარეობისა და მისი წარსული გამოცდილების შესატყვისი აღქმის დამახინჯებებს ხშირად აქვს ადგილი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მძიმე საგნების აწევის შემდეგ მსუბუქი საგანი უფრო მსუბუქად გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია, ხოლო მასზე უფრო მსუბუქი საგნების აწევის შემდეგ ეს საგანი ბევრად უფრო მძიმედ გვეჩვენება და ა. შ.

ჩვენ ხშირად ვერ ვამჩნევთ წიგნში კორექტურულ შეცდომებს — გამოტოვებულ და შეცვლილ ასოებს და ა. შ. და სიტყვას ისე ვკითხულობთ, როგორც უნდა იყოს და არა ისე, როგორც არის დაბეჭდილი.

როდესაც ცდაში აზრიანი სიტყვების წასაკითხად განწყობილ ცდისპირს აპარატში (ტაქსტოსკოპში) რამდენიმე სეკუნდის სისწრაფით უჩვენებენ უაზრო წარწერას (მაგალითად, პროფიკრიში), ის ამას როგორც აზრიან სიტყვას წაიკითხავს (პროფიკრიში ან პროფესორი და ა. შ.).

**განწყობა.** ტრადიციულ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა სუბიექტის გამოცდილების გავლენას აღქმაზე, —

იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა სუბიექტი თავის გამოცდილების თავისებურების მიხედვით ობიექტურად ერთსა და იმავე მოვლენას განსხვავებულად აღიქვამს. ამ მოვლენას აპერცეფცია უწოდეს...

ეს ტერმინი გამოვიდა ფსიქოლოგიური მეცნიერების ფარგლებიდან და დღესაც ფართოდ გამოიყენება კულტურის სხვადასხვა დარგებში. ამიტომ ორიოდ სიტყვით უნდა შევჩერდეთ ამ ცნებაზე. ტრადიციულ ფსიქოლოგიაში გავრცელებული შეხედულებით აპერცეფციის მოვლენა წარმოადგენს სუბიექტის წარსულ გამოცდილებაში მიღებულ და არაცნობიერი სახით „შენახულ“ წარმოდგენათა გავლენას ახალ „შეგრძნებებზე“. აღქმა განიცდის ამ ძველ „წარმოდგენათა მასების“ მხრივ ასიმილაციას, იგი ემსგავსება ამ წარმოდგენებს და ამიტომ სუბიექტის გამოცდილების მიხედვით იცვლება.

თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით, ასეთი ახსნა მიუღებელია. ამ პროცესის როგორც ძველ წარმოდგენათა მოქმედების მექანიზმის გაგება შეუწყნარებელია. დღეს სულ უფრო ვრცელდება „აპერცეფციის“ მოვლენის გაგება როგორც მთლიანი პიროვნების, სუბიექტის შინაგანი მდგომარეობის, სუბიექტის „მომართვის“, მისი „მზაობის“, მისი „განწყობის“ გავლენა აღქმაზე.

სპეციალურ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ბოლო ხანებში ხშირად გაურბიან ხოლმე ტერმინის „აპერცეფცია“ ხმარებას, რადგანაც აპერცეფციის ცნებას წარმოდგენათა მექანიზმის შემოთ მოყვანილ თეორიას უკავშირებენ.

განსაკუთრებით საგულისხმოა ამ მხრივ ის გარემოება, რომ ხშირად ერთი და იგივე ადამიანი ერთსა და იმავე საგანს განსხვავებულად აღიქვამს, იმის მიხედვით, თუ როგორ არის ეს ადამიანი განწყობილი, თუმცა ცხადია, მისი გამოცდილება ერთი და იგივე რჩება!

ამ კანონზომიერების საინტერესო ილუსტრაციას წარმოადგენს ე. წ. ორაზროვანი სურათები — ნახატები, რომელიც სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს აღქმული. ასეთ სურათს ერთი და იგივე ადამიანი სხვადასხვა საგნის გამოსახულებად დაინახავს იმის მიხედვით, თუ რა განწყობით აღიქვამს ამ სურათს.

მაგალითად, ამ სურათზე (ნახ. 13) ჩვეულებრივ ხედავენ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც სახე მიბრუნებული აქვს მარჯვენა მხარისაკენ, ისე რომ ძლივს მოჩანს ცხვირის ბოლო და მარცხენა წამწამი. ყელზე გაკეთებული აქვს შავი სამკაული. მაგრამ საკმარისია ამავე სურათს შეხედოთ სხვა განწყობით (სათანადო ინსტრუქციის მიღების შედეგად), რომ დაინახოთ ღრმად მოხუცი ქალის პროფი-



ლი, რომლის ტუჩებად გადაიქცევა პირველად დანახული ქალის სამკაული, ნიკაპად გადაიქცევა პირველი ქალის დეკოლტე, თვალად — პირველი ქალის ყური და უშველებელ მოკაყულ ცხვირად პირველი ქალის ლოყისა და ნიკაპის კონტური.



ნახ. 13

ამის შემდეგ თქვენ ნებისმიერად დაინახავთ სურათში ხან ახალგაზრდის მარჯვნივ მიბრუნებულ სახეს, ხან ბებრის პროფილს იმის მიხედვით, თუ რა განწყობით შეხედავთ მას. ოღონდ ორივეს ერთდროულად ვერაფრით ვერ დაინახავთ, რადგანაც ორი განსხვავებული განწყობის ერთდროული აღმოცენება შეუძლებელია, ვინაიდან განწყობა მთლიანი ადამიანის მდგომარეობაა.

საკითხი განწყობის გავლენის შესახებ აღქმაზე განსაკუთრებით ფართოდ და სისტემატურად როგორც ექსპერიმენტულად, ისე თეორიულად დამუშავებული ჰქონდა დ. უზნაძეს თავის თანამშრომლებთან. მისი კონცეფციის დიდ უპირატესობას განწყობის სხვა კონცეფციებთან შედარებით შეადგენს ის გარემოება, რომ მას განწყობის ცნება მეცნიერული ცნების დონემდე აქვს აყვანილი, სახელდობრ, განწყობის თვისებათა რიგი და მისი გამოვლენის კანონზომიერებათა რიგი ექსპერიმენტულად აქვს დადგენილი (იხ. ქვემოთ).

ამ კვლევა-ძიების შედეგად განწყობის სახით შესწავლილ იქნა

ადამიანის მოქმედების მეტად მნიშვნელოვანი მთლიან-პიროვნებისეული ფაქტორი, რომელიც არა მხოლოდ აღქმაში მეღავენდება, არამედ საზოგადოდ ადამიანის ყოველგვარი მოქმედების უშუალო საფუძველს წარმოადგენს: პიროვნების, როგორც მთელის ყოველგვარი მოქმედების შესასრულებლად აუცილებელია ადამიანის როგორც მთელის სათანადო შინაგანი მზაობა. შინაგანი ძალების სათანადოდ „აწყობა“, ე. ი. სათანადო განწყობის აღმოცენება. ყოველგვარ მოქმედებას ასრულებს ადამიანი. პიროვნება როგორც მთელი და არა მისი ცალკე უნარები, ცალკე ფსიქიკური ფუნქციები (იხ. ზემოთ თავი 1, § 6). გარკვეული მოქმედების შესასრულებლად საჭირო ძალების სათანადოდ ასამოქმედებლად სუბიექტი სათანადოდ უნდა განწყოს.

აღმოცენებული განწყობის რაგვარობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესთა ხასიათს, როგორც მაშინ, როდესაც ამ პროცესთა მიმდინარეობა უნებლიე ხასიათს ატარებს<sup>1</sup>, ისე მაშინაც, როდესაც მათ მიზანდასახული ნებისმიერი ხასიათი აქვთ (მაგალითად, გადაწყვეტილების საფუძველზე მოქმედებისას).

კერძოდ, „აპერცეფციის“ ყველა ზემოთ მოყვანილი მოვლენები (მოლოდინის, გამოცდილების, თვალსაზრისისა და სხვ. მომენტების გავლენა აღქმაზე) სათანადო განწყობის აღმოცენებით არის გაშუალებული. ერთი და იმავე ობიექტის აღქმას ასე თუ ისე შეეცლის ის განწყობა, რომლითაც აღიქვამს სუბიექტი მოცემულ საგანს, სავსებით სწორი ობიექტური აღქმაც ხორციელდება მოცემული სიტუაციის მიმართ სათანადო, ე. ი. ამ სიტუაციის შესატყვისი განწყობის საფუძველზე. აღმოცენებული განწყობის რაგვარობას სუბიექტის მოთხოვნილებასთან ერთად ობიექტური სიტუაცია განსაზღვრავს.

მაგალითად, როდესაც ადამიანი ერთნაირად ფლობს ორ ენას — ვთქვათ ქართულსა და რუსულს, ის უცნობ ადამიანს დაელაპარაკება მისი გარეგნობის შესატყვის ენაზე, მაშინაც, თუ შეგნებულად არც უფიქრია იმაზე, თუ რა ენაზე დაელაპარაკოს. საგულისხმოა, რომ მის ცნობიერებაში მხოლოდ შესატყვისი ენის სიტყვები და ენობრივი ფორმები ამოტივტივდება, თუმცა ის შეგნებულად ამ სიტყვებს არ ეძებს. ცნობიერების შინაარსთა ამ მიმდინარეობას

<sup>1</sup> იხ., მაგალითად, ასოციაციის თანამედროვე გაგება (თავი V, § 2).

სათანადო ენაზე მეტყველების განწყობა განსაზღვრავს: დალაპარაკების მოთხოვნილების საფუძველზე სუბიექტი განწყობა იმ ენაზე სალაპარაკოდ, რომელიც მოცემული სიტუაციის აღქმას შეესატყვისებოდა.

## § 2. აღქმის ილუზიები

როგორც ზემოთ დავინახეთ, აღქმა ყოველთვის როდი იძლევა საგნის ობიექტურად სწორ, უტყუარ ასახვას.

გარკვეულ პირობებში, ადგილი აქვს საგნის არასწორ, დამახინჯებულ აღქმას ანუ ილუზიას.

ილუზიას უწოდებენ მცდარ აღქმას, რომელიც არ შეესატყვისება ინტელექტუალურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ ცოდნას აღქმული მოვლენის შესახებ.

მაგალითად, თეთრი ფერის საგანი, ჩვეულებრივ, უფრო დიდად გვეჩვენება, ვიდრე იმავე სიდიდის მუქი ფერის საგანი. საგნის სიდიდის გაზომვით, ე. ი. ინტელექტუალური ხასიათის კრიტერიუმის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია ამ აღქმის მცდარობა გამოვალინოთ. ანდა მზე ზღვაში ჩასულად აღიქმება; აღქმის ამ მცდარობას ადვილად ვაეღვანთ კაცობრიობის მიერ მოპოვებული ცოდნის საფუძველზე. ეს არის აღქმის ილუზიები: საგანი უშუალოდ აღიქმება დამახინჯებულად — დამახინჯებულია საგნის აღქმადი სურათი, და არა ცოდნა, არა აზრი საგნის შესახებ<sup>1</sup>.

აღქმის ილუზიები ყოველთვის როდია გამოწვეული ფსიქოლოგიური მიზეზებით. ილუზიების გამომწვევი მიზეზების მიხედვით ძირითადად ილუზიათა 3 სახეს ასხვავებენ.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ე. წ. „ფიზიკური ილუზიები“. ეს ის ილუზიებია, რომელსაც იწვევს საგნის მოცემულობის ფიზიკური პირობები. წყალში ჩაშვებული ქოხი ან ჩაიან ჭიქაში ჩაშვებული კოვზი გარდატეხილად აღიქმება. ამის მიზეზი ფიზიკური მოვლენაა: სინათლის სხივების განსხვავებული გარდატეხა გამჭვირვალე სითხეში და მის გარეთ.

ილუზიათა მეორე სახეს „ფიზიოლოგიური ილუზიები“ წარმოადგენს. აღქმის ეს ილუზიები გამოწვეულია წმინდა

<sup>1</sup> ილუზიების მაგალითები, იხ. გ. კეჩუაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 113 — 117.

ფიზიოლოგიური მოვლენით. ასეთია, მაგალითად, ზემოთ აღწერილი (თ. II — მხედველ. შეგრძნ.) ოპტიკური კვალის მოვლენები და სხვ.

დაბოლოს, ილუზიათა მესამე ჯგუფს ფსიქოლოგიური ილუზიები შეადგენს. ეს ის ილუზიებია, რომელნიც ფსიქიკური ფაქტორებითაა გაპირობებული. ამ ჯგუფს ეკუთვნის ძლიერი აფექტით (მაგალითად, შეშინებით), ძლიერი სურვილით, მტკიცე რწმენით, დაძაბული მოლოდინით, ძლიერი მოთხოვნილებით, მტკიცე განწყობით, ან სხვისი სიტყვების შთაგონებით, აღქმის სტრუქტურით და სხვა ფსიქიკური ფაქტორებით გამოწვეული ილუზიები.

ადამიანმა ბინდისას ტყეში ჭირკვი ან ბუჩქი იმიტომ აღიქვა მგლად, რომ შიშის გამო იგი მტკიცედ იყო განწყობილი მგლის დანახვაზე (ეშინოდა მგელი არ შემხედდესო), იგივე ადამიანი სხვა პირობებში იმავე ჭირკვს და იმავე ბუჩქს მგლად არ აღიქვამს. თუ ადამიანი სრულიად დარწმუნებულია, რომ მას აძლევენ ოდეკოლონით დასველებულ ბამბას, ადვილად შეიძლება აღიქვას სინამდვილეში წყლით დასველებული ბამბის „ოდეკოლონის“ სუნი და ა. შ., რადგანაც ამ სუნის აღსაქმელად მტკიცედ იყო განწყობილი.

ფსიქოლოგიურ ილუზიათა შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა დ. უზნაძის ხელმძღვანელობით თბილისში წარმოებულმა ექსპერიმენტულმა კვლევამ. ამ კვლევა-ძიებით დამტკიცდა, რომ ილუზიათა რიგს, რომელიც მანამდე შეგრძნების ორგანოს მოქმედების ეფექტად ითვლებოდა, საფუძვლად უდევს სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა — განწყობა, სახელდობრ, „ფიქსირებული განწყობა“: თუკი წინასწარ განმტკიცდა, გაფიქსირდა გარკვეულ ობიექტთა აღქმის განწყობა, შემდეგ მცირედ განსხვავებულ საგანთა აღქმისას ამ ფიქსირებული განწყობის გავლენით ეს საგნები არასწორად, სხვა საგნის მიმართ განმტკიცებული განწყობის შესატყვისად აღიქმებიან.

მაგალითად, თუ ადამიანმა 10—15-ჯერ ზედიზედ აღიქვა ერთ მხარეს (მაგალითად, მარჯვნივ) დიდი საგანი და მეორე მხარეს (მაგალითად, მარცხნივ) — პატარა, შემდეგ მოცემულ ტოლ საგნებს იგი ილუზიურად — არატოლად აღიქვამს, რადგანაც პირველი 10—15 აღქმის განმავლობაში გაფიქსირებულმა „მარჯვნივ დიდი“ საგნის აღქმის განწყობამ დაამახინჯა შემდეგ მოცემული ტოლი საგნების აღქმა.

საქართველოში დ. უზნაძის ხელმძღვანელობით წარმოებული

კვლევა-ძიების შედეგად ირკვევა, რომ ფსიქოლოგიურ ილუზიათა დიდ ნაწილს განწყობის ფაქტორი განსაზღვრავს<sup>1</sup>.

## § 8. სივრცისა და დროის აღქმა

### სივრცის აღქმის ზოგადი დახასიათება

1. ყოველივე რაც აღიქმება, სივრცეში აღიქმება. სივრცითი თვისებების ასახვის გარეშე აღქმა შეუძლებელია. „ყოველი ყოფის ძირითადი ფორმებია სივრცე და დრო — წერდა ენგელსი, — ყოფა დროის გარეშე ისეთივე უაზრობაა, როგორც ყოფა სივრცის გარეშე“. აღქმა ხომ საგნის თვალსაჩინო განცდაა, საგანი კი სივრცითი თვისებების გარეშე არ შეიძლება იყოს მოცემული: მას უჭირავს ადგილი, იგი განფენილია, მას აქვს გარკვეული სიდიდე, ფორმა და მდგომარეობა; სუბიექტისაგანაც იგი გარკვეული მიმართულებით და გარკვეულ მანძილზე მდებარეობს — ყველა ეს მომენტი საგნის აღქმაში აისახება, ყველა ისინი — განფენილობა, სიდიდე, ფორმა, მდებარეობა, მიმართულება, დაშორებულობა სივრცის აღქმის მომენტებს წარმოადგენენ.

2. რომელი რეცეფტორების მეშვეობით ხორციელდება სივრცის აღქმა? ცალკე სპეციფიკური რეცეფტორები სივრცითი თვისებების აღსაქმელად არ არსებობს! სივრცის აღქმა არსებითად ინტერმოდალურია. იგი სხვადასხვა მოდალობათა შეთანხმებული მოქმედების შედეგად ვითარდება ადრეული ბავშვობიდან. ადამიანი სივრცით თვისებებს განსაკუთრებით მკაფიოდ და ზუსტად აღიქვამს ოპტიკურად და შეხებით-კინესთეტიკურად. სხვა მოდალობების აღქმებშიც აისახება ისეთი სივრცითი თვისებები, როგორიცაა მიმართულებისა და მანძილის აღქმა: მაგალითად, ბგერის ან სუნის აღქმისას ჩვენ უშუალოდ განვიცდით იმ მიმართულებას და ნაწილობრივ მანძილსაც, საიდანაც მოდის ეს გამღიზიანებელი.

სივრცის ორი განზომილების, ე. ი. განფენილობის (სიბრტყის) აღქმა იმთავითვე ახლავს ყოველ ოპტიკურ თუ შეხებით შთაბეჭდილებას, ე. ი. უკვე შეგრძნების მასალაშია მოცემული (ფერის ან შეხებითი თვისების წარმოდგენაც შეუძლებელია განფენილობის გარეშე). პირვე-

<sup>1</sup> დაწერილებით ის. დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია“, ტ. VI, 1949.

ლივე მხედველობითი შთაბეჭდილება, რომელსაც იღებს დაბადებიდან ბრმა, როდესაც იგი ოპერაციის შემდეგ გაახელს თვალებს. უკვე განფენილობის მქონეა. მაგრამ რაც შეეხება მესამე განზომილებას, ე. ი. „სიღრმის“, ანუ სუბიექტიდან დაშორების მიმართულებას — საგნის რელიეფს, ამის აღქმა მხოლოდ თანდათან ვითარდება, ობიექტურ საგნებთან პრაქტიკული ურთიერთობის პროცესში სხვადასხვა მოდალობათა თანამშრომლობის შედეგად.

ამრიგად, სივრცის აღქმის პირველი საფუძვლები მოცემულია იმთავითვე მარტივ სენსორულ შთაბეჭდილებებში, განსაკუთრებით მხედველობით მოდალობაში, მაგრამ სივრცის აღქმის ჩამოყალიბება ხდება სუბიექტის სათანადო ინტერმოდალური გამოცდილების მიღებასთან ერთად.

სივრცის აღქმა ძირითადად სამი მოდალობის შეთანხმებულ მონაცემთა საფუძველზე აიგება, სახელობრ, მხედველობის, კინესთეტიკური და შეხებითი. საგნებთან პრაქტიკული ურთიერთობის პროცესში ადამიანი კოორდინირებულ მოძრაობებს ასრულებს და მათთან ერთად ოპტიკურადაც აღიქვამს საგანს: საგანთან მისვლა, მასთან დახრა, ხელის მოკიდება, საგნის შეხება, ორივე ხელის ერთდროული მოკიდება, საგნის აღება, მისი გადანაცვლება და ა. შ. სათანადო ოპტიკურ შთაბეჭდილებებთან ერთად ხდება და სწორედ ეს ინტერმოდალურ შთაბეჭდილებათა კოორდინირებულად მიღება აყალიბებს სივრცის, განსაკუთრებით კი მისი მესამე განზომილების (რელიეფის, სიღრმის) აღქმას. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ოპტიკურ აღქმაშიც ადგილი აქვს ინტერმოდალურ მოქმედებას. საქმე ისაა, რომ მესამე განზომილების ოპტიკური აღქმა მხოლოდ რეტინის გაღიზიანებებს კი არ ეყრდნობა, არამედ ორივე თვალის კოორდინირებულ მოძრაობას — კონვერგენციას და თვალის ბროლის სააკომოდაციო მოძრაობებს — აკომოდაციას<sup>1</sup>. ორივე ეს მოძრაობა კი სათანადო წვრილი კუნთების შეკუმშვით ხდება და, მაშასადამე, სათანადო კინესთეტიკურ შთაბეჭდილებებთანაა დაკავშირებული. ამრიგად, სივრცის ოპტიკური აღქმაც არსებითად არაა წმინ-

<sup>1</sup> ბროლი მით უფრო ბრტყელდება, რაც უფრო შორს არის საგანი, რომელსაც ვუყურებთ და, პირიქით. მით უფრო ამოიზნიჭება, რაც უფრო ახლოა საგანი.

და ოპტიკური — ისიც ინტერმოდალურია, რამდენადაც თვალების კოორდინაციის და თვალის ბროლის ამოზნექილობის ცვლილებებში კინესთეტიკურ შთაბეჭდილებებთანაა დაკავშირებული.

გამოცდილების როლს სივრცის აღქმის ჩამოყალიბებაში თვალსაჩინოდ ავლენს სტრატონის გოხებამახვილური ცდა<sup>1</sup>. მან გაიკეთა სათვალე, რომლის ლინზებში სინათლე ისე გარდატყდებოდა, როგორც თვალის ბროლში: ობიექტის გამოხატულება 180°-ით გადაბრუნდა. ამის შედეგად მეცნიერი პირველ ხანებში მთელ ხილულ სამყაროს 180°-ით გადაბრუნებულად (თავდაყირა) ხედავდა, მაგალითად, ოთახის ჭერი ქვევით იყო, იატაკი ზევით და ა. შ., მაგრამ მას სათვალე არ მოუხსნია 8 დღე-ღამის განმავლობაში. და, აი ამ ხნის განმავლობაში გარემოს საგნებთან პრაქტიკული ურთიერთობის პროცესში ახალი ოპტიკური შთაბეჭდილებების სათანადო კინესთეტიკურ შთაბეჭდილებებთან კოორდინაციის შედეგად თანდათან მოხდა ახალ პირობებთან შეგუება — ყველაფერი „თავის ადგილას“ დადგა. მერვე დღეს სათვალეებით სტრატონი ისევე სწორად ხედავდა ყველაფერს, როგორც სათვალეების გაკეთებამდე. სათვალის მოხსნის შემდეგ პირველ ხანებში მან უსათვალოდ ისევე შებრუნებულად აღიქვა ყველაფერი, მაგრამ მალე ისევ შეეგუა მდგომარეობას და ნორმალურად ხედავდა<sup>2</sup>.

### სივრცის აღქმის ძირითადი ფაქტორები

იმ ფაქტორთა შორის, რასაც ეყრდნობა სივრცის აღქმა, არჩევენ პირველადსა და მეორადს.

### პირველადი ფაქტორები

**ბინოკულარული მხედველობა.** სივრცის მესამე განზომილების აღქმისათვის წამყვანი მნიშვნელობა აქვს ბინოკულარულ ხედვას. თითოეული თვალის ბადურაზე მოიპოვება ორივე თვალის შესატყვისი წერტილები, ე. წ. იდენტური წერტილები. ეს ის წერტილებია, რომელთა ერთდროული გალიზიანება ორივე თვალში იწ-

<sup>1</sup> ცდის მიზანი იყო გამოერკვია საკითხი: თანდაყოლილად თუ გამოცდილების შედეგად ხედავს ადამიანი საგნებს სწორად (წაღმა), თუმცა თვალის ბროლში სხივების გადატების შედეგად საგნის გამოხატულება თვალის ბადურაზე შებრუნებულია — თავდაყირაა.

<sup>2</sup> უფრო დაწვრილებით იხ. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1956, გვ. 170 და შემდ.

ვევს ერთი ობიექტის, ერთი გამოხატულების დანახვას. მაგრამ თვალების ერთმანეთისაგან დაშორებულობის გამო ორი თვალით ცქერისას ობიექტი თითოეული თვალის ბადურაზე ცოტათი განსხვავებული მხრიდან აღიბეჭდება და, მაშასადამე, იდენტურ წერტილებზედაც ერთი საგნის ცოტათი განსხვავებული სურათი აღიბეჭდება. სწორედ ეს გარემოება, ე. ი. ერთი საგნის ორი მხრიდან ხედვა, ქმნის ამ საგნის რელიეფურობის შთაბეჭდილებას, ბრტყელი საგანი იმიტომ გამოიყურება ბრტყლად, რომ იდენტურ წერტილებზე მისი ზუსტად ერთი და იგივე სურათი იხატება.

**კონვერგენცია.** საგნის მკაფიოდ დანახვისათვის ორივე თვალი კოორდინირებულად შებრუნდება ისე, რომ ორივე თვალის ლერძების მიმართულემა შეერთდება ფიქსაციის წერტილში — ასეთ მდგომარეობაში საგანი ორივე თვალში იდენტურ წერტილებზე იხატება. თვალების ამ კოორდინირებულ შებრუნებას შიგნით კონვერგენცია ეწოდება. კონვერგენციის ხარისხი დამოკიდებულია საგნის დაშორების მანძილზე: რაც უფრო ახლოსაა საფიქსაციო საგანი, მით უფრო მეტადაა თვალები შებრუნებული შიგნით, რაც უფრო შორსაა საგანი, მით უფრო უახლოვდება მათი მდგომარეობა პარალელურს. კონვერგენციის მოძრაობას სათანადო კუნთები აწარმოებენ, ამიტომ ამ მოძრაობას ადამიანი კინესთეტიკური შთაბეჭდილების სახით განიცდის. სივრცის აღქმის ჩამოყალიბების პროცესში თვალების კონვერგენციის ეს კინესთეტიკური შთაბეჭდილება სხვა შეგრძნებებს უერთდება (საგანთან ხელის გაწევისა, მასთან მისვლისა და ა. შ.) და სათანადო გამოცდილების მიღების შემდეგ კი უკვე ამ დამატებითი შთაბეჭდილებების გარეშეც წარმოადგენს საგნის დაშორების მანძილის აღქმის ერთ-ერთ საფუძველს.

**რეტინალური გამოსახულება.** ერთი და იგივე საგნის გამოხატულების სიდიდე თვალის ბადურაზე უკუპროპორციულია იმ მანძილისა, რომლითაც დაშორებულია საგანი თვალიდან. ამიტომ საგნის გამოხატულების სიდიდე რეტინაზე მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენს მანძილის აღქმისათვის, რასაკვირველია სიდიდის აღქმის კონსტანტობის პირობებში (იხ. ზემოთ, ე. ი. თუ რეტინალური გამოსახულების გადიდება-დაპატარავება, საგნის გადიდება-დაპატარავებად არ განიცდება.

თვალის ბროლის აკომოდაცია. კონვერგენციის ანალოგიურად, ოღონდ გაცილებით ნაკლებ დიფერენცირებულ კინესთეტიკურ შთაბეჭდილებას გვაძლევს თვალის ბროლის ამოზნექა-გაბრტყელე-



ბის მოძრაობები, რომელიც აგრეთვე საგნის დაშორების მანძილთან არის დაკავშირებული.

პერსპექტიული გადახრა. რეტინალური გამოხატულების ზემოთ აღნიშნული კანონის მიხედვით საგნის ჩვენგან დაშორებული მხარე მით უფრო პატარად იხატება თვალის ბადურაზე, რაც უფრო დაშორებულია იგი, ამიტომ თვალის ბადურაზე გამოხატული საგნის სურათი პერსპექტიულ გადახრას განიცდის. მაგალითად, მაგიდის ჩვენგან ახლო მდებარე მხარე განიერად იხატება ბადურაზე, დაშორებული მხარე კი — ვიწროდ, მარჯვენა და მარცხენა მხარეების კონტურის ხაზები თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთს — მაგიდის სიბრტყე თანდათან ვიწროვდება; კუთხეებიც სათანადოდ გადახრილია და ა. შ. ისე, როგორც სურათზე რომ დავხატოთ ეს საგანი.

რეტინალური გამოხატულების ასეთი პერსპექტიული გადახრა მ ე ს ა მ ე გ ა ნ ზ ო შ ი ლ ე ბ ი ს და, კერძოდ, საგნის რელიეფური აღქმის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს<sup>1</sup>.

### მეორადი ფაქტორები

მაერის პერსპექტივა. ჩვენგან დიდი მანძილით დაშორებულ საგანთა აღქმისას, ამ დაშორებულობის აღქმის ერთ-ერთ ფაქტორს საგნის გამოხატულების გამოკვეთილობა ან ბუნდოვანება წარმოადგენს. რაც უფრო დიდადაა დაშორებული ჩვენგან საგანი, მით ნაკლებ გამოკვეთილად, უფრო ბუნდოვნად გამოიხატება იგი ბადურაზე იმ ჰაერის მასის გამო, რომელიც ჩვენსა და საგანს შორის არის. ამიტომაც, სხვათა შორის, რომ ბურუსში საგნები უფრო დაშორებულად გამოიყურებიან (და ამიტომ უფრო დიდადაც გვეჩვენებიან, რადგანაც მათი რეტინალური გამოხატულების სიდიდე არ შეესატყვისება იმ მანძილს, რომელზედაც გვეჩვენება ჩვენ ბურუსის გამო საგანი).

საგანთა ნაწილობრივი დაფარვა. დიდად დაშორებული საგნების (მთები ჰორიზონტზე, ხეები ან სახლები დიდ მანძილზე ჩვენგან) შედარებითი დაშორებულობის აღქმისათვის მნიშვნელობა აქვს ერთი საგნის მეორით ნაწილობრივ დაფარვას: უფრო დაშორებულად აღიქმება ის საგანი, რომელსაც ნაწილობრივ ეფარება მეორე და პირიქით.

<sup>1</sup> ფაქტორების შესახებ დაწერილებით იხ. გ. კ ე ჩ ხ უ ა შ ვ ი ლ ი ს დასახ. შრომა, § 16.

სივრცის შევსებულობა. საგნებით შევსებული სივრცის აღქმა გაცილებით უფრო ზუსტია, ვიდრე ცარიელი, შეუვსებელი სივრცისა: წყლის ზედაპირზე (ტბა, ზღვა) ან ტრიალ მინდორში მანძილის შეფასებისას დიდ შეცდომებს ვუშვებთ, რადგანაც იძულებული ვართ დავეყრდნოთ მხოლოდ უშუალო შთაბეჭდილებას (უმთავრესად კონვერგენციისა და აკომოდაციის), ხოლო სივრცის საგნებით შევსებულობის შემთხვევაში ვეყრდნობით იმ მცირე მანძილების აღქმასაც, რაც ერთმანეთთან ახლო მდებარე საგნებს შორის არის, და მათ მიმართებასაც ერთმანეთთან.

### დროის აღქმა

1. „ყოფა დროის გარეშე ისეთივე უაზრობაა, როგორც ყოფა სივრცის გარეშე“ (ენგელსი). ყოველი მოვლენა ხომ დროში მიმდინარეობს და ყოველი მოვლენის აღქმისას, როგორც საზოგადოდ ყოველი განცდისას, ადამიანი დროის მიმდინარეობასაც განიცდის, მას დროის აღქმა გააჩნია. ი გ ი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს დ რ ო ის პ ე რ ს პ ე ქ ტ ი ვ ა შ ი ჩ ა რ თ უ ლ ა დ გ ა ნ ი ც დ ის; უ შ უ ა ლ ო დ გ ა ნ ი ც დ ის ა წ მ ყ ო ს, ნ ა მ ყ ო ს, მ ო მ ა ვ ა ლ ს და დ რ ო ის მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ს, რ ო გ ო რ ც ა მ დ რ ო ის პ ე რ ს პ ე ქ ტ ი ვ ის მ ო მ ე ნ ტ ე ბ ს. ა წ მ ყ ო, ნ ა მ ყ ო და მ ო მ ა ვ ა ლ ი ერთმანეთში უ წ ყ ვ ე ტ გ ა დ ა ს ვ ლ ა შ ი გ ა ნ ი ც დ ე ბ ა: ა დ ა მ ი ა ნ ის დ რ ო ის უ წ ყ ვ ე ტ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ის, უ წ ყ ვ ე ტ ი თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ის, ხ ა ნ ი ე რ ე ბ ის უ შ უ ა ლ ო გ ა ნ ც დ ა ა ქ ვ ს. მ ო მ ა ვ ე ლ ის გ ა ნ ც დ ა (მ ო ლ ო დ ი ნ ის საგანი) უ წ ყ ვ ე ტ ა დ გ ა დ ა დ ის ა წ მ ყ ო ს გ ა ნ ც დ ა შ ი და ე ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი წ ა რ ს უ ლ ის გ ა ნ ც დ ა შ ი. დ რ ო ის მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ის, ხ ა ნ ი ე რ ე ბ ის გ ა ნ ც დ ა მ უ დ ა მ ა ხ ლ ა ვ ს თ ა ნ ა დ ა მ ი ა ნ ის ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ის პ რ ო ც ე ს თ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ს.

დროის აღქმა კიდევ უფრო ინტერმოდალური ბუნებისაა, ვიდრე სივრცის აღქმა. მას რომელიმე ცალკე მოდალობის შესვეობით როდი განეციდით; დ რ ო ის რ ე ე ე ფ ტ ო რ ი ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს. მეტიც უნდა ითქვას, დროის განცდა არ არის აუცილებლად დაკავშირებული რომელიმე აღქმად პროცესთან. დ რ ო ს მ თ ე ლ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა გ ა ნ ი ც დ ის თ ა ვ ის ს ა კ უ თ ა რ ი მ ე ს გ ა ნ ც დ ის ა გ ა ნ და უ შ ო რ ე ბ ე ლ მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა შ ი, დ რ ო ის გ ა ნ ც დ ა არა მხოლოდ ყოველი მოდალობის შინაარსების აღქმას ახლავს თან, არამედ საზოგადოდ ყოველ განცდას. მატარებლის მონოტონურ ხმაურს უსმენთ, თუ მუსიკას, მდინარის წყლის დინებას უცქერით თუ ცაში ღრუბლების მოძრაობას, წყურვილი გაწუ-

ხებთ, თუ ტკივილი, ტვირთი მიგაქვთ შორეულ მანძილზე, თუ სეირნობთ, აზროვნებთ რაიმე საკითხზე, თუ სწუხხართ, მოხსენებას აკეთებთ, თუ შეშას ხერხავთ, წარსულს იგონებთ, თუ მომავალზე ფიქრობთ — სულ ერთია, ყველა ამ პროცესთა განცდაში დროის მიმდინარეობაც განიცდება. ყველაზე ზუსტად დრო აღიქმება რიტმის აღქმისას, მაგრამ რიტმის აღქმა ხომ სხვადასხვა მოდალობაში შეიძლება იყოს მოცემული — სმენის, კინესთეტიკურ, შეხებითს თუ მხედველობის მოდალობაში.

შემჩნეულია, რომ დროის განცდა მნიშვნელოვნად ეყრდნობა სუბიექტის შინაგან სასიცოცხლო პროცესთა მიმდინარეობის განცდას (გულის ცემა და სხვ.), ამიტომ ზოგი ავტორი ფიქრობს, რომ დროის განცდას უმთავრესად ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების ორგანული შეგრძნებები უდევს საფუძვლად: დადასტურებულია, რომ ავადმყოფს, რომელიც მოკლებულია ორგანულ შეგრძნებებს, დროის აღქმაც დარღვეული აქვს. მაგრამ ეს, ცხადია, არ გამოირიცხავს შეგრძნებათა სხვა მოდალობების და საზოგადოდ სხვა განცდების მნიშვნელობასაც დროის განცდისათვის. უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ვრცელდება შეხედულება, რომ დროის განცდა შეგრძნებათა ცალკე მოდალობებთან და კერძო ცალკეულ ფიზიოლოგიურ პროცესებთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ მთლიან პიროვნებისეულ გამოვლინებას წარმოადგენს.

ის გარემოება, რომ განცდათა მიმდინარეობა დროის განცდის საფუძველს წარმოადგენს, შემდეგი კანონზომიერებითაც დასტურდება. დროის მიმდინარეობის ხანიერება განსხვავებულად განიცდება იმის მიხედვით, რამდენად „სავსეა“ დროის მონაკვეთი განცდებით და თვით ამ განცდათა ხასიათის მიხედვით. გამოირკვა, რომ დრო მით უფრო სწრაფად მიმდინარედ განიცდება, ხოლო მოგონებაში სათანადო დროის მონაკვეთი მით უფრო დიდად გვეჩვენება, რაც უფრო სავსე იყო იგი სხვადასხვა განცდებით და პირიქით — მით უფრო ნელა მიმდინარედ განიცდება და მოგონებაში დროის მონაკვეთი მით უფრო მცირედ გვეჩვენება, რაც უფრო „უარიელი“ იყო ჩვენი ცნობიერება, რაც უფრო ნაკლებ შთაბეჭდილებებს ჰქონდა ადგილი. ამ კანონს „სავსე დროის კანონი“ ეწოდება.

მნიშვნელობა აქვს განცდების ხასიათსაც. განსაკუთრებით ემოციური ბუნების განცდებს. გამოირკვა, რომ სასიამოვნო ემოციური ელფერის განცდებისას დრო უფრო „ჩქარა გარბის“, ხოლო

უსიამოვნო ელფერის განცდებისას ნელა მიდის. ეს მოვლენა „დროის ემოციონალური დეტერმინაციის კანონის“ გამოვლინებად ითვლება.

განსაკუთრებით „ანელებს“ დროის მიმდინარეობას, ე. ი. დროის მონაკვეთის გადაფასებას იწვევს, რაიმე სასიამოვნოს მოლოდინი.

#### § 4. ალქმის ფიზიოლოგიური საფუძვლები

უკანასკნელ ხანებში უმაღლესი ნერვული მოქმედების პავლოვის სკოლის მიერ წარმოებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ალქმის პროცესში ადგილი აქვს არა მხოლოდ აგზნების და შეკავების მარტივ პროცესებს, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, შეგარძნების საფუძველს წარმოადგენს, არამედ პირობით რეფლექსური ხასიათის მოქმედებასაც, სახელდობრ, ალქმის დროს იმ დროებითი კავშირების (იხ. ზემოთ) ამოქმედება ხდება, რომელნიც ინდივიდის წარსულში სათანადო საგანთა და მათ თვისებათა მიმართ გამოცდილების შედეგად პროცესში აღმოცენდნენ. როდესაც, მაგალითად, საგნის ოპტიკური ალქმის პროცესში ჩვენ საგნის არა ოპტიკურ თვისებასაც (სიმძიმეს, სიმაგრეს და ა. შ.) „ვეგრძნობთ“ (იხ. ზემოთ, გვ. 101), ანდა ვცნობთ ალქმულ საგანს, — გვესმის რა არის ეს, ამ მოვლენის ფიზიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ინდივიდის წარსულ გამოცდილებაში აღმოცენებული დროებითი კავშირების ამოქმედება. მაგალითად, რკინის ოპტიკურ ალქმასთან წარსულ გამოცდილებაში (როდესაც ვეხებოდით რკინას ხელით, ვწევდით მას და ა. შ.) დროებითი კავშირების სახით დაკავშირებული იყო სიმაგრისა და სიმძიმის კინესთეტიკურ-შეხებითი შთაბეჭდილება, ხოლო ბუმბულის მხედველობით ალქმასთან ასევე იყო დაკავშირებული სიმსუბუქისა და სიბზილის კინესთეტიკურ-შეხებითი შთაბეჭდილება და ა. შ. ამის შემდეგ თითოეული ამ საგნის თუნდაც მხოლოდ მხედველობითი ალქმა აღნიშნული დროებითი კავშირების ამოქმედების შედეგად გვაძლევს მის სრულ ალქმას, სახელდობრ, განაახლებს სათანადო კინესთეტიკურ შეხებით შთაბეჭდილებასაც.

იმავე კანონზომიერების საფუძველზე ე. ი. წარსულში შემუშავებული დროებითი კავშირების ამოქმედების შედეგად საგნის ალქმულ ხატთან ერთად მისი მნიშვნელობის აქტუალიზაციაც ხდება. რადგანაც წარსულში ამ საგნის ალქმისას მისი რაობის შესახებ ცოდნასაც განვიციდით.

## გნ. დაკვირვება

მოვლენათა და მათ შორის დამოკიდებულებათა ნებისმიერი, აქტიური და სისტემატური აღქმის წარმოებას, წინასწარ დასახული მიზნით და წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით, დაკვირვებას უწოდებენ. დაკვირვებისას ჩვენ არა მხოლოდ ვხედავთ ჩვენს თვალწინ მიმდინარე მოვლენას, არამედ საგანგებოდ აქტიურად ვუყურებთ მას გარკვეულად წარმართული ინტერესით და მის გარკვეულ მხარეთა შემჩნევის განზრახვით; სპეციალურად ვაქცევთ ყურადღებას მოცემული მოვლენის ჩვენ მიზნებისათვის საგულისხმო მხარეებს და დეტალებს, ვადარებთ მას სხვა მოვლენებს და ა. შ.

დაკვირვება გაცილებით უფრო რთული პროცესია, ვიდრე აღქმა. აღქმა დაკვირვებაში დაქვემდებარებულ, დამოკიდებულ როლს ასრულებს. დაკვირვება აღქმის გამოყენებით წარმოებული სპეციფიკური პროცესია. ამ პროცესში დიდ როლს ასრულებს აზროვნება: დაკვირვების მიმართულების განსაზღვრა, მოვლენათა და მათი მხარეების შედარება, დასაკვირვებელი მოვლენის გაგება და აღწერა, ცხადია, პირველ რიგში აზროვნების საქმეა. დიდ როლს ასრულებს დაკვირვების განხორციელებაში ყურადღება. მაგრამ დაკვირვება მაინც სპეციფიკური მოქმედებაა, რომელიც თავისებურ უნარს — დაკვირვებლობის უნარს გულისხმობს.

ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა

§ 1. ყურადღების ზოგადი დახასიათება

შთაბეჭდილებათა სინათლე. ჩვეულებრივ პირობებში ადამიანზე (მის თვალის ბადურაზე და შებრუნების სხვა ორგანოებზე) ყოველ მომენტში მრავალი გამლიზიანებელი, მრავალი საგანი მოქმედებს, მაგრამ ყველა ამ საგანს ერთდროულად ადამიანი ვერასოდეს ვერ აღიქვამს; ყოველ მომენტში იგი მხოლოდ ზოგ საგანს, უფრო ხშირად კი ერთ საგანს აღიქვამს. რომელს? იმას, რომელსაც ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა ექცევა.

ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა . ნ ა თ ე ლ ი ა ლ ქ მ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი პ ი რ ო ბ ა ა . ყურადღება წარმართავს ჩვენს ცნობიერებას გარკვეული მიმართულებით და ამით შესაძლებელს ხდის საგნის ნათელ აღქმას.

მაგრამ ყურადღება არა მხოლოდ ალქმის პირობაა, იგი საზოგადოდ ცნობიერების ყოველი შინაარსის ნათლად განცდის პირობაა: ამიტომ ყურადღებას ხშირად როგორც შთაბეჭდილებათა ცხადყოფის ფუნქციას განსაზღვრავენ. ყურადღების მთავარ ფუნქციას შთაბეჭდილებათა „ნათელყოფაში“ ხედავენ. ამ მხრივ ყურადღებას აღარებენ ნათურის მოქმედებას სიბნელეში — საითაც წარმართავთ ნათურის შუქს, იქ გამოჩნდება საგნები, დანარჩენი სიბნელეში რჩება.

ცნობიერების შევიწროება. სინათლის ფუნქციასთან ერთად ხაზს უსვამენ ყურადღების მოქმედების მეორე მომენტს, რომელიც დაუშორებელია პირველისაგან და მის პირობასაც წარმოადგენს. ეს არის ცნობიერების „შევიწროება“ — მისი კონცენტრაცია. გავრცელებული შეხედულებით ყურადღების მოქმედება მდგომარეობს ცნობიერების შევიწროებაში და ამ სახით ობიექტზე მის წარმართვაში, რის შედე-

გადაც მიიღწევა ამ ობიექტის ნათლად განცდა, ანუ ობიექტის „სუბიექტური სინათლე“.

ყურადღება მოქმედების პირობაა. თანამედროვე ფსიქოლოგიის მონაცემებით ყურადღება არა მხოლოდ შთაბეჭდილებათა სინათლის, არა მხოლოდ შემეცნებითი პროცესების, არამედ საზოგადოდ ადამიანის მოქმედების აუცილებელი პირობაა: ყოველი მოქმედება (თუ იგი არაა ავტომატიზებული) ადამიანისაგან ყურადღების დაძაბვას, მის კონცენტრაციას მოითხოვს. ყურადღება უშუალო პირობას წარმოადგენს სუბიექტის მოქმედების შესასრულებლად. ამიტომ, რომ ყოველი მოქმედება წყდება, რა წამს ყურადღება სხვა რამეს მიექცევა. მაგალითად, საუბრით გართული ადამიანები ქუჩაზე გადასვლისას უნებურად წყვეტენ საუბარს, რადგანაც ამ დროს ქუჩის მოძრაობას მიაქცევენ ყურადღებას.

ყოველი ძნელად შესასრულებელი მოქმედება აუცილებლად მოითხოვს ინტენსიურ ყურადღებას; ასეთ მოქმედებას ყურადღების მაქსიმალური დაძაბვით ასრულებენ, მიუხედავად იმისა, რა სახისაა ეს მოქმედება — მაგალითად, შემეცნებითი პროცესია, თუ მოტორულად ძნელი შესასრულებელი მოძრაობა და ა. შ. აკრობატი, ჟონგლიორი, თუ სპორტსმენი სტარტზე ყურადღების მაქსიმალური დაძაბვით ასრულებენ თავიანთ მოქმედებას, რომელიც საზოგადოდ ძალების მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვს; ასევე ყურადღების დაძაბვით მოქმედებს ბავშვი, რომელსაც უჭირს უსახაზავოდ სწორი ხაზის გავლება; ყურადღების კონცენტრაციის გარეშე ვერ გადაახამთ სითხეს წვრილყელიან ჭურჭელში და ა. შ. რაც უფრო ძნელად გასაგებ ადგილს კითხულობთ წიგნში, ან რაც უფრო ძნელ ამოცანას წყვეტთ, მით უფრო დაძაბულია თქვენი ყურადღება. ეს გარემოება იმაშიც მქლავნდება, რომ ადამიანის დადლილობის ყველაზე მგრძობიარე სიმპტომს ყურადღების დაქვეითება წარმოადგენს. გონებრივი თუ ფიზიკური მუშაობით გამოწვეული დადლილობა, როგორც ეს ექსპერიმენტულად დადგინდა, განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ყურადღების დაქვეითებაში.

ყურადღების დინამიკურობა. ყურადღების ბუნების გათვალისწინებისას არ არის საკმარისი შთაბეჭდილების სინათლის, ცნობიერების შინაარსის ნათელი მოცემულობის გათვალისწინება. ეს მომენტი — შთაბეჭდილების ნათელი მოცემულობა — გარკვეული აზრით „სტატისტიკური“ ხასიათისაა. ზოგი ავტორი მას ყურადღების

სტატიკურ კომპონენტს უწოდებს. მაგრამ ყურადღებისათვის არა ნაკლები დამახასიათებელია მისი დინამიკური ბუნება — ყურადღება პერმანენტული წარმართვაა ამ მომენტში აღუქმელის, ახლის გასაშუქებლად. ყურადღების მოქმედებაში მოცემულია სწრაფვა ახალი საგნისაკენ, საგნის ახალი მხარისაკენ, იმისაკენ, რაც ამჟამად არაა ნათლად მოცემული ცნობიერებაში; ყურადღება სუბიექტის მოქმედებაა, აქტია.

საგულისხმოა, რომ ყურადღების მოქმედებაში ორივე ეს მომენტი ყოველთვის ერთიანობაშია მოცემული: მაქსიმალურად ნათელი შინაარსის მოცემულობის დროსაც ყურადღება არ კარგავს თავის დაძაბულობას; ამ ნათელ შინაარსთან ერთად მოცემულია გადასვლა შემდეგი მომენტის „გასაშუქებლად“. მაგალითად, კითხვის პროცესში ყოველ მომენტში დიდი სინათლით განცდილ სიტყვასთან ერთად მოცემულია შემდეგ მომენტზე (მაგალითად, მორიგ სიტყვებზე) გადასვლა — სწრაფვა ამ შემდეგი სიტყვების გასაცნობიერებლად, მათ გასაშუქებლად. ასევე ვლინდება ორივე ეს მომენტი რაიმე საგნის (სურათის, პეიზაჟის) დათვალიერების დროს, რაიმე პროცესის დაკვირვების დროს და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მომენტი ყურადღების პროცესში ერთიანობაშია მოცემული, მათი როლი ყოველ მოქმედებაში როდია ერთნაირი. არსებობს ისეთი სახის მოქმედებები, სადაც დომინირებს პირველი — „სტატიკური“ მომენტი — ნათელი შინაარსის მოცემულობა; არსებობს მოქმედებები, სადაც, პირიქით, დომინირებს მეორე — დინამიკური მომენტი, აქტიური წარმართვა, სწრაფვა იმის გასაცნობიერებლად, იმის აღსაქმელად, რაც ჯერ არ არის მოცემული.

პირველი სახის მოქმედებას წარმოადგენს მოცემულის დაკვირვება, დათვალიერება, მეორეს — ძიება, ძიების მოქმედება: ძიების ან მოლოდინის აქტში ყურადღება დაძაბულია, თუმცა, საგანი, ყურადღების ობიექტი ჯერ არ არის მოცემული; ყურადღება „ეძებს“ თავის საგანს, ცდილობს „გაანათოს“ ის, რაც ჯერ არ არის.

ბნელ ღამეში საგუშაგოზე, ანდა დაზვერვაში ადამიანი „უყურებს“ და „უხსენს“ იმას, რაც არაა და რის შესახებაც მან არ იცის, რომელ მხარეს გამოჩნდება, რა გამოჩნდება და ისიც კი არ იცის, გამოჩნდება თუ არა რაიმე. ობიექტი ჯერ არაა, მაგრამ ყურადღება ინტენსიურია.

ამ ორი ტიპის მოქმედების ფსიქოლოგიურად განსხვავებულ ბუნებას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ, როგორც გამოირკვა, ამ



ორი ტიპის მოქმედების — დაკვირვებისა და ძიების — უნართა შორის სრული კორელაცია არ არის: დაკვირვების უნარის მაღალი დონე ჯერ არ გულისხმობს აუცილებლად ძიების უნარის მაღალ დონესაც და პირიქით. შრომის ფსიქოლოგიაში ამ ორი უნარის შესამოწმებლად განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ; ერთს „დამკვირვებლობის“, მეორეს „ძიების ყურადღების“ შემოწმების მეთოდს უწოდებენ.

ყურადღების უარყოფითი მხარე. რამდენადაც ყურადღება ენერჯიის გარკვეული მიმართულებით კონცენტრაციას წარმოადგენს, ბუნებრივია, რომ ყურადღების მოქმედება აუცილებლად შეიცავს მეორე მხარესაც, სახელდობრ, ენერჯიის დაქვეითებას, უმოქმედობას ყველა დანარჩენი მიმართულებით.

რაც უფრო ინტენსიურია ყურადღება ერთი მიმართულებით, მით უფრო „გაფანტულია“, მით უფრო უყურადღებოა ადამიანი სხვა მიმართულებებით. მაგალითად, ჩაფიქრებული ადამიანი ქუჩაში ნაცნობს ვერ ამჩნევს, თუმცა შეხედავს მას; რაც უფრო მეტი ყურადღებით კითხულობთ წიგნს, მით ნაკლებად ამჩნევთ იმას, რაც თქვენს გარშემო ხდება და ა. შ.

ყურადღების კულმინაციის მომენტში სუნთქვის შეჩერებაც კი ხდება, თუმცა სუნთქვა სრულიად ავტომატური მოქმედებაა.

ძალიან ინტენსიური ყურადღების შემთხვევაში სხვა მიმართულებით უყურადღებობა იკამდეც მიდის, რომ ადამიანი ინტენსიურ გამლიზიანებლებსაც ვერ ამჩნევს. მაგალითად, ამაღლეზედელი დეპეშის დაძაბული ყურადღებით კითხვისას შეიძლება ძლიერი დაკაქუნება ვერ გაიგონოთ. ყურადღებას მისი ამ მეორე — ნეგატიური მხარის გამო, ზოგი „ნაწილობრივ ძილსაც“ უწოდებს.

ამ სახის უყურადღებობიდან ასხვავებენ „გაფანტულობის“ ან უყურადღებობის მეორე სახეს, რომელიც უკვე ძლიერი ყურადღების თანმხლები შედეგი კი არ არის, როგორც პირველი, არამედ, პირიქით, საზოგადოდ ყურადღების სისუსტეს, საერთო გაფანტულობას წარმოადგენს.

## § 2. ყურადღების ძირითადი თვისებები

### ყურადღების მოცულობა

ადამიანმა ერთი მომენტით რომ შეხედოს დაფას, სადაც ოციოდე ციფრი სწერია, ყველა ამ ციფრს ვერ დაინახავს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ციფრი აღიბეჭდება მისი თვალის ბადურაზე, რადგანაც მხედველობის ველში მოექცევა.

რატომ ვერ ხერხდება ბალურაზე აღბეჭდილი ყველა გამლიზიანებლის ერთდროული აღქმა? იმიტომ, რომ ყურადღების მოცულობა განსაზღვრულია.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ყურადღების მოცულობა ჩვეულებრივ უდრის 5—6 მარტივ შთაბეჭდილებას: თუ ხელსაწყოში — ტაქსიტოსკოპში — სეკუნდის მეათედის ან მეოთხედის სისწრაფით ადამიანს უჩვენებენ მრავალ წერტილს, იგი ერთდროულად, ე. ი. ერთ მომენტში, ექვსზე მეტს ვერ დაინახავს. თუ ასევე აჩვენებენ ასოებს ან ციფრებს, ან საგნების პატარა-პატარა სურათებს, ჩვეულებრივ ხუთზე მეტს ადამიანი ერთ მომენტში ვერ აღიქვამს. ყურადღების მოცულობა ვერ მოიცავს მთელ იმ მასალას, რაც თვალის ბალურაზე აღიბეჭდება<sup>1</sup>.

### ცნობიერების არე

ყურადღების საგანს ჩვენ ნათლად, გამოკვეთილად აღვიქვამთ, მაგრამ ჩვენი ცნობიერების შინააარსი როდია ამოიწურება გამოკვეთილად აღქმულით, ე. ი. ყურადღების ობიექტით. ამის გარდა, ჩვენ სხეასაც ვამჩნევთ, ოღონდ არა ნათლად, არამედ ბუნდოვნად. მაგალითად, როდესაც ყურადღებით გკითხულობთ წიგნს, ჩვენ მაინც გვესმის, რომ ჩვენს ირგვლივ ლაპარაკობენ, თუმცა რას ლაპარაკობენ, ამას ვერ აღვიქვამთ. ანდა როდესაც დაფაზე დახატულ ფიგურას მივაპყრობთ ყურადღებას, ამ დროს იმასაც ვხედავთ, რომ ნახაზის გარშემო სიტყვები სწერია. თუმცა ამ სიტყვებს იმ მომენტში ვერ წავიკითხავთ და ა. შ.

ამრიგად, ცნობიერების არეში შედის მეტი, ვიდრე ყურადღება მოიცავს. ცნობიერების ველი უფრო ფართოა, ვიდრე ყურადღების მოცულობა. ყურადღების საგანი, როგორც ამბობენ, ცნობიერების „ცენტრში“ შედის, ხოლო სხვა ობიექტები, რომლებიც ნათლად არ განიცდებიან, ცნობიერების „პერიფერიაში“ ანუ მის „ბუნდოვან ველში“ შედიან.

ყურადღებისა და ცნობიერების მოცულობის დამოკიდებულებას სიმბოლურად ორი კონცენტრული წრის სახით გამოხატავენ; ყურადღების მოცულობა ცნობიერების ველის ცენტრს შეადგენს.

<sup>1</sup> ყურადღების მოცულობის კვლევის მეთოდების შესახებ იხ. გ. კეჩუაშვილის დასახ. ნაშრომი, § 17.

ყურადღების მოქმედება მეტ-ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება. ყურადღების ინტენსივობის მეტ-ნაკლებობა, დანარჩენ პირობათა ერთგვარობის შემთხვევაში, ყურადღების საგნის განცდის მეტ-ნაკლებ სინათლეში იჩენს თავს: თუ სხვა ობიექტური (განათება, მანძილი და ა. შ.) და სუბიექტური (რეცეფტორის ნორმალური ფუნქციონა და ა. შ.) პირობები ობიექტის ნათელი აღქმის შესაძლებლობას იძლევიან, მისი აღქმის სინათლის ხარისხი ყურადღების ინტენსივობის ხარისხზეა დამოკიდებული.

თუ ყურადღების კონცენტრაცია რაიმე ძნელად შესასრულებელი მოქმედების პირობას წარმოადგენს, მაშინ ყურადღების ინტენსივობა ამ მოქმედების შესრულების ხარისხს განსაზღვრავს (რათქმა უნდა, დანარჩენ პირობათა თანაბრობის შემთხვევაში). მაგალითად, წვრილყელიან ჭურჭელში სითხის გადასხმა, დანარჩენ პირობათა ერთგვარობის შემთხვევაში, ყურადღების კონცენტრაციის ინტენსივობის მიხედვით მეტ-ნაკლები წარმატებით შესრულდება<sup>1</sup>.

ყურადღების რხევა

ყურადღების მოქმედების ინტენსივობა ჩვეულებრივ პირობებში პერიოდულად ირხევა — ძლიერდება და სუსტდება. ეს რხევა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება სუსტი გამლიზიანებლების აღქმისას. მაგალითად, როდესაც თვალდახუჭულ ადამიანს ოდნავ ესმის საათის წიკ-წიკი, მას ეჩვენება, რომ საათის ხმა ხან ძლიერდება, ხან სუსტდება. ობიექტურად საათის წიკ-წიკი სრულიად თანაბარია, მისი პერიოდულად მეტ-ნაკლები ინტენსივობით აღქმა ყურადღების ინტენსივობის რხევის შედეგია: ყურადღების ინტენსივობის მომატებისას სუსტი გამლიზიანებელი (ამ შემთხვევაში სმენითი) უფრო მკაფიოდ აღიქმება, ხოლო ყურადღების ინტენსივობის შესუსტებისას — ნაკლებ მკაფიოდ.

ყურადღების ინტენსივობის რხევა სხვადასხვა პირობებში განსხვავებული ტემპით ხდება. ჩვეულებრივ რხევის პერიოდი რამდენიმე სეკუნდს უდრის.

აღსანიშნავია, რომ შინაარსის მქონე მოვლენის აღქმისას, როდესაც ეს შინაარსი დინამიკურია, ე. ი. თანდათან იშლება, ვითარ-

<sup>1</sup> ინტენსივობის კვლევის მეთოდების შესახებ იხ. გ. კეჩუაშვილის დასახ. ნაშრომი, § 18.

დება (მაგალითად, საინტერესო წიგნის კითხვისას, კინოფილმის თუ სპორტული შეჯიბრის ყურებისას), ყურადღების რხევა ერთი და იმავე ტემპით, პერიოდულად კი არ მიმდინარეობს, არამედ ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა - შ ე ს უ ს ტ ე ბ ა ს მ ი ჰ ყ ე ე ბ ა .

აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია ყურადღების რხევის ტემპის ნებისმიერი შეცვლა.

### ყურადღების უზრუნველყოფა

იმისათვის, რომ ყურადღებამ საგნის ნათელი აღქმა უზრუნველ-  
პყოს, იგი უნდა „შეეგუოს“ ამ ობიექტს, ასე ვთქვათ, მოერგოს მას.  
როდესაც ჩვენზე მოულოდნელად იმოქმედებს გამლიზიანებელი  
(დაირეკება ზარი, გამოჩნდება საგანი), ჩვენ გვეჩვენება, რომ  
უმაღლე ნათლად აღვიქვამთ მას. სინამდვილეში გამლიზიანებლის  
შემჩნევამდე გადის დროის გარკვეული მონაკვეთი, გამლიზიანებ-  
ლის ნათელი განცდა მაშინ მოხდება, როდესაც მას ყურადღება მი-  
ექცევა, ამას კი ადგილი ექნება მაშინ, როდესაც ყურადღება „შ ე ე -  
გ უ ე ბ ა“ მას, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს, და მით უფრო მეტ  
დროს, რაც უფრო მოულოდნელია გამლიზიანებელი. გამლიზიანებ-  
ლის მოლოდინის შემთხვევაში ეს დრო მინიმალურია.

ყურადღების შეგუების დაკვირვება კომპლიკაციის აპარატის  
მეშვეობით შეიძლება. დიდ ციფერბლატზე, რომელსაც 100 დანა-  
ყოფი აქვს, თანაბარი სისწრაფით მოძრაობს ერთი ისარი. ცდის-  
პირს ევალება ისრის დაკვირვება და შემჩნევა — რომელ დანაყოფ-  
ზე დაირეკება ზარი. ზარი ირეკება ნებისმიერად ექსპერიმენტატო-  
რის მიერ. ირკვევა, რომ სანამ ცდისპირი შენიშნავდეს ზარს, ისა-  
რი მეტ-ნაკლებად გადაინაცვლებს ციფერბლატზე ისე, რომ ცდის-  
პირი ასახელებს უფრო შორეულ დანაყოფს, რომელზედაც ისარ-  
მა ზარის შემდეგ გადაინაცვლა.

### ყურადღების გადანაცვლება

რამდენად შესაძლებელია ერთი მიმართულებით წარმართული  
ყურადღების სწრაფი გადატანა მეორე მიმართულებით, ე. ი. დაწ-  
ყებული მოქმედების შეწყვეტა და ყურადღების სხვა მოქმედებაზე  
სწრაფი გადატანა? ასეთი ამოცანა ხშირად დგას ადამიანის წინაშე  
ყოველდღიურ ცხოვრებაში და, კერძოდ, პროფესიონალურ მოქ-  
მედებაში.

ყურადღების მიმართულების ასეთ სწრაფ შეცვლას, ყურადღების გადატანას ან გადანაცვლებას უწოდებენ.

გადანაცვლება მით უფრო ძნელია, რაც უფრო ღრმადაა ჩართული პიროვნება მოცემული მიმართულებით მოქმედებაში.

არსებობს ექსპერიმენტული მონაცემები, რომლის თანახმად ყურადღების ერთი სენსორული (თვალსაჩინო) მასალიდან მეორეზე გადატანის მაქსიმალური სისწრაფე სექუნდის მესამედს (0,30—0,33) უდრის.

გამოირკვა, რომ ყურადღების გადანაცვლების სიადვილე თუ სიძნელე ინტერინდივიდუალურად მეტად განსხვავებულია.

### ყურადღების განაწილება

მთელ რიგ პროფესიებში არსებობს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს ერთდროულად ინტენსიური ყურადღებით რამდენიმე განსხვავებული მოქმედების შესრულებას და, მაშასადამე, ყურადღების განაწილებას ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით.

შესაძლებელია თუ არა ყურადღების ასეთი განაწილება?

1) ჭერ ერთი, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ყოველი ორი მოქმედების ერთდროული შესრულება როდი მოითხოვს ყურადღების განაწილებას. ვარჯიშის შედეგად მოქმედებათა რიგი ერთი მოქმედების სახით ერთიანდება და ამიტომ მათი შესრულება აღარ მოითხოვს ყურადღების განაწილებას (მაგალითად, ორი ხელით როიალზე დაკვრა, ხელებისა და ფეხების მოძრაობები ცეკვის დროს ან ტურვის დროს და ა. შ.).

მაგრამ რამდენად შეიძლება ყურადღების განაწილება ერთდროულად ისეთი ორი (ან რამდენიმე) მოქმედების შესრულებისას, რომელიც არ ერთდებიან და ყურადღების სხვადასხვა მიმართულებას მოითხოვენ?

ამ შემთხვევაშიც უნდა განვასხვაოთ ყურადღების მოქმედების ორი სახის პირობა.

2) ერთ შემთხვევაში ყურადღების მიმართულება ძირითადში ერთი რჩება, ოღონდ მასში ორი (ან რამდენიმე) „ფოკუსი“ იქმნება. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ „ორფოკუსიან“ ან რამდენიმეფოკუსიან („ბიფოკულარულ“ ან „მულტიფოკულარულ“) ყურადღებაზე.

მაგალითად, შოფრის მხედველობის ველში წინ გზაზე ორი ობი-ექტი გამოჩნდა — ურემი და ბავშვი, თითოეული მათგანი ყურადღებას მოითხოვს (მათი მოძრაობა განსხვავებულია), მაგრამ ორივე ყურადღების ერთ ველში შექმნილ ორ ფოკუსს წარმოადგენს. ასეთივე ბუნებისაა ორი ხელით დაკვრა ფორტეპიანოზე, სანამ ეს მოქმედება ერთი სტრუქტურის მოქმედებად გადაიქცეოდეს: თითოეული ხელის მოძრაობა მოითხოვს ყურადღებას, მაგრამ ყურადღების ნამდვილი განაწილება — მისი გახლეჩა აქ არ ხდება. ორივე ხელის მოძრაობით იქმნება ერთი რამ — ერთი შელოდია. ამ შემთხვევაში ორივე ფოკუსი გაერთიანებულია სუბიექტის მოქმედებაში, როგორც ერთი ამოცანის ორი მომენტი.

3) სულ სხვაგვარია ყურადღების მოქმედება, როდესაც ერთდროულად უნდა შესრულდეს ორი დამოუკიდებელი ამოცანა — მაგალითად, ერთდროულად ლექციის მოსმენა და წიგნის კითხვა, ანდა მათემატიკური ანგარიში და ლექსის მოსმენა და ა. შ. აი ასეთი ორი, სრულიად დამოუკიდებელი მოქმედების, დამოუკიდებელი ამოცანის ერთდროული შესრულება, მართლაც მოითხოვს ყურადღების გახლეჩას, მის ნამდვილ განაწილებას. შესაძლებელია თუ არა ასეთი რამ?

პირველი სახის ორი მოქმედების შესრულება ხშირია. მასაც ჩვეულებრივ ყურადღების განაწილებად თვლიან. მაგრამ ცხადია, რომ არსებითად ამ შემთხვევაში ყურადღების ნამდვილ განაწილებას — ორი დამოუკიდებელი მიმართულებით მის წარმართვას, ადგილი არა აქვს. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ყურადღების ნამდვილი განაწილება, მისი, ასე ვთქვათ, გახლეჩა? შესაძლებელია თუ არა მეორე ტიპის ორი დამოუკიდებელი მოქმედების ერთდროული შესრულება? ამ საკითხის ექსპერიმენტულ გამოკვლევათა უმრავლესობა იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყურადღების სრული განაწილება, მისი გახლეჩის მნიშვნელობით — შეუძლებელია. მართალია, რიგი განსხვავებული, დისპარატული მოქმედებებისა ფაქტიურად სრულდება, მაგრამ მაინც ისეთ პირობებში, როდესაც ყურადღების გახლეჩას მათი შესრულება არ მოითხოვს.

ჯერ ერთი, დადასტურებულია, ერთდროული შესრულება ისეთი მოქმედებებისა, რომლიდანაც ერთი ინტენსიურ ყურადღებას მოითხოვს, მეორე კი სუსტს. მაგალითად, ანგარიში და სუპორტი მუშაობა.

მეორე შესაძლებლობა: ორი განსხვავებული მოქმედება სრულდება ყურადღების სწრაფი გადაანაცვლებით — გადა-

მონაცვლების გზით. ასე სრულდება ისეთი ორი დამოუკიდებელი მოქმედება, რომელთაგან თითოეულის შესრულება ყურადღების უწყვეტ მოქმედებას არ მოითხოვს და ამიტომ ორივე წარმოებს ყურადღების სწრაფი გადასვლით ერთიდან მეორეზე.

მესამე შესაძლებლობა: ერთდროულად სრულდება ორი ისეთი მოქმედება, რომელთაგანაც თითოეულის შესრულება მოითხოვს ყურადღების ტალღისებურ მოქმედებას — ყურადღების ინტენსივობის გამახვილება-შესუსტებას. თუ ამ ორი მოქმედებიდან ერთის მიმართ ყურადღების ტალღის აწვევა ემთხვევა დროში მეორის მიმართ ტალღის დაწვევას, ეს ორი დისპარატული მოქმედება ერთდროულად სრულდება. მაგალითად, ასე ხორციელდება ტელეფონით ლაპარაკი და წერა ან ლექციის მოსმენა და კონსპექტის წერა. არც ლექციის მოსმენა, არც კონსპექტის წერა ცალ-ცალკე არ მოითხოვს განუწყვეტლივ ყურადღების მაქსიმალურ დაძაბვას; ასეთი დაძაბვა „კრიტიკულ“ მომენტებში ხდება, შემდეგ, კრიტიკულ მომენტთა შუა, ყურადღების ინტენსივობა ნაკლებია. ასეთი პარალელური მოქმედების განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ „კრიტიკული“ მომენტები, რომლებიც ყურადღების ძლიერ დაძაბვას მოითხოვენ, ამ ორ მოქმედებაში არ ემთხვევა ერთმანეთს დროში, თუ ერთ მოქმედებაში ყურადღების „მწვერვალს“ მეორე მოქმედებაში ყურადღების „დაბლობი“ ემთხვევა. ლექციის დროს კონსპექტის წერას ყურადღების გამახვილების მომენტების ასეთი რეგულაციით ვახერხებთ<sup>1</sup>.

### ყურადღების გამწვანება ანუ სტაბილობა

ყურადღების სტაბილობას, კონსტანტობას ან სიმტკიცეს, ანდა გამძლეობას უწოდებენ ყურადღების ხანგრძლივ წარმართვას ერთი და იმავე მიმართულებით ერთ და იმავე ობიექტზე.

ყურადღების ეს მნიშვნელოვანი გამოვლინება არსებითად იცვლება მთელი რიგი ფაქტორების გავლენით: ინტერესის, ემოციონალური მდგომარეობის, დადლილობისა და სხვა შინაგან და გარეგან პირობათა მიხედვით.

<sup>1</sup> ყურადღების განაწილების კვლევის მეთოდების შესახებ იხ. გ. კეჩხუაშვილის დასახ. ნაშრომი, § 21.

დიდი აღმოჩნდა ამ მხრივ ადამიანთა შორის სხვაობებიც (იხ. ქვემოთ ყურადღების ტიპები). სუსტი გამძლეობის ყურადღებას, რომლის მოქმედებისათვის აუცილებელია ობიექტის ხშირ-ხშირი შეცვლა, ლაბილურს ან დინამიკურ ყურადღებას უწოდებენ. ხოლო დიდი გამძლეობის მქონე ყურადღებას, რომელსაც ერთი მიმართულებით დიდი ხნის განმავლობაში უწყვეტი წარმართვის შესაძლებლობა ახასიათებს, სტაბილურს ან სტატიკურ ყურადღებას უწოდებენ.

### ყურადღების სიმყარე ანუ გადაუსრადლოვა

ყურადღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას მისი მიმართულებისათვის უცხო, ხელშემშლელ გამლიზიანებელთათვის მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის გაწევის, ამ გამლიზიანებელთა მიმართ მეტ-ნაკლები გადაუხრადლობის თვისება წარმოადგენს, რასაც ყურადღების სიმყარეს (ზოგჯერ სიმტკიცესაც) ან გადაუხრადლობას უწოდებენ. ეს თვისება მეტად ცვალებადობს სხვადასხვა პირობების მიხედვით — ყურადღების საგნის მიმართ ინტერესის, ადამიანის დალილობის, თვით ყურადღების ინტენსივობის მიხედვით და ა. შ.

კერძოდ, ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ გადახრადობა განსხვავებულია ძირითადი მოქმედების ბუნების მიხედვით: აზროვნების პროცესის დროს, მაგალითად, ყურადღების გადახრა უფრო ადვილად ხდება, ვიდრე აღქმის დროს. მნიშვნელობა აქვს ხელშემშლელი გამლიზიანებლის ბუნებასაც: ემოციის აღმძვრელი გამლიზიანებლები უფრო ინტენსიურად გადახრიან ყურადღებას, ვიდრე ინდიფერენტული. წმინდა სენსორულ გამლიზიანებლებს შორის, ცხადია, უფრო ხელშემშლელია ინტენსიური გამლიზიანებლები.

გამოირკვა, რომ ყურადღების საგანთან ერთი სახის (მაგალითად, იმავე მოდალობის) გამლიზიანებლები უფრო ხელშემშლელია, ვიდრე განსხვავებული სახისა და ა. შ.

### § 8. ყურადღების ძირითადი სახეები ანუ ფორმები

ადამიანის ყურადღების მოქმედება განსხვავებულ ფორმებში ვლინდება. ძირითადად არჩევენ ორ ფორმას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სხვადასხვა თვალსაზრისით არჩევენ ყურადღების სხვა ფორმებსაც. იხ. მაგალითად, რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1956, გვ. 215 და შემდ.



იმის მიხედვით, ნებისმიერად, განზრახვის თანახმად წარმართავს სუბიექტი ყურადღებას თუ უნებურად, განზრახვის გარეშე, არჩევენ ყურადღების ორ ძირითად სახეს — ნებისმიერს ანუ აქტიურს და უნებლიეს ანუ პასიურს.

მაგალითად, მოსწავლე კითხულობს წიგნს გაკვეთილის მომზადების განზრახვით, მაგრამ მის ყურადღებას ამ დროს რადიოთი გადმოცემული საინტერესო მოთხრობა გაიტაცებს — ყურადღება უნებურად წარიმართება ბავშვისათვის საინტერესო რადიოგადაცემისაკენ. ეს უნებლიე ყურადღების გამოვლინებაა. თუ, პირიქით, იმავე პირობებში ყმაწვილმა შესძლო ყურადღების წარმართვა განზრახული მიმართულებით, ეს ნებისმიერი, აქტიური ყურადღების გამოვლენა იქნება.

ნებისმიერი ყურადღების ძირითადი დამახასიათებელი ის არის, რომ სუბიექტი ყურადღებას შეგნებულად, ნებისმიერად აამოქმედებს და მის რეგულაციას ახდენს.

ყოველ ნორმალურ ადამიანს ახასიათებს როგორც ნებისმიერი, ისე უნებლიე ყურადღება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ყურადღების მოქმედება ხშირად უნებურ ხასიათს ატარებს, მაგრამ ადამიანის სპეციფიკას, მის ცხოველისაგან განსხვავებულ ერთ-ერთ ნიშანს, ნებისმიერი ყურადღების უნარი წარმოადგენს. ყოველი შრომის პროცესი აუცილებლად ამ უნარს გულისხმობს, ყურადღების შეგნებული რეგულაციის გარეშე შრომა შეუძლებელია.

სწავლის პროცესიც, ცხადია, ნებისმიერ ყურადღებას ეყრდნობა. მეცადინეობა აუცილებლად გულისხმობს ყურადღების კონცენტრაციის უნარს შეგნებული განზრახვისა და მოვალეობის შეგნების საფუძველზე. იგი გულისხმობს უნარს ყურადღების კონცენტრაციისა ისეთ მასალაზე, რომელიც უშუალოდ არ აინტერესებს სუბიექტს და ისეთ დროსაც, როდესაც სუბიექტს ამის მიდრეკილება შეიძლება არ ჰქონდეს.

რაც შეეხება უნებლიე ყურადღებას, ამ ფორმაში ყურადღების შემდეგი, არსებითად განსხვავებული ბუნების მოქმედება შედის: ეს არის, ერთი მხრივ, სრულიად მარტივი რეფლექსური ხასიათის მოქმედება, რომელიც საორიენტაციო რეფლექსის ხასიათს ატარებს: გამღიზიანებელი სრულიად უნებლიედ, რეფლექსურად მიიზიდავს სუბიექტის ყურადღებას, უფრო ადრე, ვიდრე ის დაინტერესდებოდეს გამღიზიანებელით. მაგალითად, მოულოდნელი ძლიერი ბგერა, მხედველობის ველში უცბად შემოჭრილი საგანი და ა. შ., ჩვეულებ-

რივ მისკენ მომართვის საორიენტაციო რეფლექსს იწვევს. ყურადღების ეს ფორმა განვითარების თვალსაზრისით უმდაბლესია, იგი ახალდაბადებულ ბავშვსაც და ცხოველსაც ახასიათებს.

მეორე მხრივ, უნებლიე ყურადღება ვლინდება სუბიექტის ინტერესით ან საზოგადოდ ემოციით წარმართული ყურადღების სახით: ყურადღება უნებლიედ, მაგრამ სათანადო მოვლენით და ინტერესების გამო წარიმართება. მაგალითად, საინტერესო რომანი შეიძლება იზიდავდეს ყმაწვილის ყურადღებას და ის დიდხანს ვერ მოწყდეს მის კითხვას, თუმცა იცოდეს, რომ უკვე ძილის დროა და ა. შ. ყურადღების ეს სახე პიროვნების მეტ აქტივობას გულისხმობს, ვიდრე, რეფლექსური ყურადღება და გენეტიკური თვალსაზრისით მასზე უფრო მაღალ ფორმას წარმოადგენს.

#### § 4. ყურადღების ტიპები

ყურადღების ფორმები ანუ სახეები ერთ და იმავე პიროვნებაში თავსდებიან და, ამდენად, ადამიანთა შორის სხვაობებს არ წარმოადგენენ.

ყურადღების რივ თვისებათა მხრივ კი ადამიანები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როგორც გამოიჩვენა, რიგი ამ თვისებებისა ადამიანთა ტიპოლოგიურ თავისებურებებს წარმოადგენს, ადამიანთა შორის ტიპოლოგიურ სხვაობებს ქმნიან. ამ თვისებათა ინტერინდივიდუალური სხვაობების კვლევის შედეგად დადგინდა ყურადღების შემდეგი ძირითადი ტიპები:

#### ყურადღების განაწილებული და კონცენტრირებული ტიპი

დადასტურდა, რომ არსებობენ ადამიანები, რომელნიც ადვილად ახერხებენ ერთდროულად ორი ან რამდენიმე ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც ყურადღებას მოითხოვს. ასეთ ტიპს ყურადღების განაწილებული ანუ დისტრიბუციული ტიპი უწოდებს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ასეთი მოქმედების ფსიქოლოგიური ბუნება სადავოა, მაგრამ რის ხარჯზეც არ უნდა ახერხებდეს ამ ტიპის ადამიანი ყურადღებით ორი მოქმედების შესრულებას—ყურადღების სწრაფი გადანაცვლებით, მისი განაწილებით თუ სხვაგვარად, ფაქტია, რომ ასეთი მოქმედების უნარი ტიპოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს. პრაქტიკული მიზნებისათვის ამ ტიპის არსებობის ფაქტს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. არსებობს პროფესიათა რიგი, სადაც წარმატებით მუშაობა აუცილებლად მო-

ითხოვს ერთდროულად ყურადღებით მოქმედებას რამდენიმე მიმართულებით. ამიტომ შრომის ფსიქოლოგიაში ყურადღების ამ ტიპის გამოვლინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

ამის საწინააღმდეგო ტიპის ყურადღების ადამიანს, რომელსაც ყურადღების მხოლოდ ერთი მიმართულებით წარმართვა შეუძლია — კონცენტრირებული ყურადღების ტიპს უწოდებენ. პროფესიათა რიგი ამ ტიპის ყურადღებას საჭიროებს.

#### ყურადღების ადვილი და ძნელი გადანაცვლების ტიპები

ყურადღების ერთი მიმართულებიდან მეორეზე სწრაფი გადანაცვლების უნარი, ისევე როგორც, პირიქით, ყურადღების ასეთი გადატანის უნარმოკლებულობა, ყურადღების ტიპოლოგიურ თვისებას წარმოადგენს.

არსებობენ ადამიანები, რომელთაც ეძნელებათ, ანდა სულაც ვერ ახერხებენ ყურადღების სწრაფ გადატანას მეორე მიმართულებით, მათი ყურადღება თითქოს ეწებება იმ საგანს, რაზედაც იგი უკვე მიმართულია. მათ ეძნელებათ ერთი მოქმედებიდან სხვა მოქმედებაზე გადასვლა. ასეთ ტიპს ყურადღების ძნელი გადანაცვლების ტიპს უწოდებენ. ასეთად ითვლება ნიუტონი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდ გაფანტულობას იჩენდა ხოლმე, იმის გამო, რომ მისი ყურადღება სხვა საკითხებზე (მეცნიერულ პრობლემებზე) იყო ფიქსირებული, ხოლო გადანაცვლება ეძნელებოდა.

პირიქით, არსებობს ყურადღების ადვილი გადანაცვლების ტიპის ადამიანები, რომელთათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ყურადღების სწრაფი გადატანა სხვადასხვა მიმართულებით, ერთი საქმიდან სწრაფი გადასვლა მეორეზე და ა. შ.

ამ ტიპოლოგიურ თავისებურებებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს რიგი პროფესიებისათვის შესაფერი კადრების შერჩევის თვალსაზრისით, რადგანაც არსებობს პროფესიათა რიგი, სადაც ყურადღების სწრაფი და ზოგან მომენტური გადანაცვლება საჭირო ახალი მიმართულებით (მფრინავი, შოფერი, ცნობათა ბიუროს თანამშრომელი და ა. შ.) და, პირიქით, არის პროფესიები, სადაც ეფექტური მუშაობის ერთ-ერთ პირობას ყურადღების ერთი მიმართულებით შეუწყვეტელი მოქმედება („მიწებება“) წარმოადგენს (მეცნიერული მუშაობა, მონაგარიშის მუშაობა და სხვ.).

#### ყურადღების სწრაფი და ნელი შეკავების ტიპები

ყურადღების ახალ გამლიზიანებელთან „შეგუების“ სისწრაფეც (იხ. ზემოთ) ტიპოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს. გამოირ-

კვა, რომ არსებობს ყურადღების სწრაფი და ნელი შეგუების ტიპები, პირველი ტიპის ადამიანი უმალვე ამჩნევს ახალ აღმოცენებულ გამღიზიანებელს, მეორეს კი ამისათვის მეტ-ნაკლებად დიდი დრო უნდა.

ამ ტიპოლოგიურ სხვაობასაც ზოგიერთი პროფესიისათვის კადრების შერჩევის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. არსებობს პროფესიათა მთელი რიგი, სადაც მოულოდნელად აღმოცენებული გამღიზიანებლის შემჩნევას და მასზე რეაქციას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმატებითი მუშაობისათვის.

### სტაბილური და ლაბილური პურადღების ტიპი .

ტიპოლოგიურად განსხვავებულს და პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ყურადღების სტაბილობა და ლაბილობა. არსებობს ადამიანის ტიპი, რომელსაც არ შეუძლია დიდი ხნის განმავლობაში ყურადღების წარმართვა ერთი მიმართულებით; იმისათვის, რომ ყურადღების მოქმედება ინტენსიური იყოს, მისთვის აუცილებელია ხშირ-ხშირი გადანაცვლება სხვა მიმართულებით. ეს არის ყურადღების ლაბილური ანუ „დინამიკური“ ტიპი. პირიქით, ყურადღების სტაბილური ანუ „სტატიკური“ ტიპისათვის დამახასიათებელია ყურადღების ერთი მიმართულებით ხანგრძლივი მოქმედების უნარი. ამ ტიპის ადამიანისათვის ყურადღების ხშირი გადანაცვლების საჭიროება, პირიქით, ყურადღების ინტენსივობისათვის ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

რიგ პროფესიებში (მაგალითად, ცნობათა ბიუროში) უკანასკნელი ტიპის ადამიანი წარმატებით ვერ იმუშაავებს. ზოგ პროფესიებში კი, სადაც ეფექტის მიღებისათვის აუცილებელია დიდი ხნის განმავლობაში უწყვეტად ერთი მიმართულებით შედარებით მონოტონური მუშაობა, სწორედ ეს უკანასკნელი ტიპი იმუშაავებს წარმატებით, პირველი კი — შეუფერებელი აღმოჩნდება.

### პურადღების მყარი და გადახრადი ტიპი

არსებობს ისეთი ტიპის ყურადღების ადამიანები, რომელთაც ხელშემშლელ გამღიზიანებელთა პირობებში ყურადღების კონცენტრაცია და, მაშასადამე, ინტენსიური ყურადღებით მუშაობა არ შეუძლიათ; ეს არის გადახრადი ანუ არამყარი ყურადღების ტიპი.

პირიქით, მყარი ანუ გადაუხრადი ყურადღების ტიპისათვის და-

მახასიათებელია უნარი ყურადღების ინტენსიური მოქმედებისა, უცხო, ხელშემშლელ გამლიზიანებელთა (ხმაური, ლაპარაკი და ა. შ.) პირობებშიც; ეს უცხო გამლიზიანებლები დიდად ვერ უშლიან ხელს ყურადღების კონცენტრაციას.

ყურადღების ეს თვისება — სიმყარე — შედარებით ადვილად ვარჯიშებადია. ადამიანი თანდათან ერეკვა ხელშემშლელ გამლიზიანებელთა პირობებში მუშაობას. მაგრამ ეს გარემოება ტიპოლოგიურ სხვაობას მაინც არ აბათილებს. გავარჯიშების ერთნაირ პირობებში გადახრადი ტიპი მაინც ნაკლებ სიმყარეს გამოიჩენს, ვიდრე გადაუხრადი.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ყურადღების სიმყარისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყურადღების ინტენსივობას, — ინტენსიური ყურადღება, დანარჩენ პირობათა ერთგვარობის შემთხვევაში, ნაკლებ გადახრადია, ვიდრე სუსტი ინტენსივობის ყურადღება, მაგრამ გადახრადობა თუ გადაუხრადობა მაინც ყურადღების სხვა, სპეციფიკურ თვისებებს წარმოადგენს, — იგივე რაიყვანება ინტენსივობის თვისებაზე.

გადახრადი ყურადღების ტიპისათვის, მაგალითად, დამახასიათებელია შედარებით ადვილი გადახრადობა თვით ინტენსიური ყურადღების დროსაც. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ასეთი ტიპი ხელშემშლელ გამლიზიანებელთა პირობებში ვეღარ ახორციელებს ყურადღების ინტენსიურ მოქმედებას, რადგანაც ეს უცხო გამლიზიანებლები მიიქცევენ ყურადღებას. პირიქით, მყარი ყურადღების ტიპისათვის დამახასიათებელია ყურადღების გადაუხრადობა სუსტი ინტენსივობის ყურადღების დროსაც, თუმცა, ცხადია, ამ შემთხვევაში ეს სიმყარე ნაკლებია, ვიდრე მაშინ, როდესაც ყურადღება ინტენსიურია.

## § 5. ყურადღების ფაქტორები

### ყურადღების გამომწვევ ფაქტორთა კლასიფიკაცია

ყურადღების გამომწვევ ფაქტორთა შორის ასხვავებენ ობიექტურს და სუბიექტურს ანუ შინაგან ფაქტორებს. პირველ ჯგუფს აკუთვნებენ ყურადღების გამომწვევ იმ პირობებს, რომლებიც გარემოში მოცემული ობიექტის თვისებებს წარმოადგენენ, ხოლო სუბიექტურ ფაქტორებად თვლიან ყურადღების იმ პირობებს, რომლებიც თვით სუბიექტში, მისი შინაგან-

ნი მდგომარეობის სახითაა მოცემული. ეს ტრადიციული დაყოფა არ არის ბოლომდე თანმიმდევარი — ერთი ჯგუფის თითოეული ამ ფაქტორთაგანის გამოვლინება ხშირად გაპირობებულა მეორე ჯგუფის ფაქტორით: თვით ერთი და იგივე ობიექტური ფაქტორი (მაგალითად, გამლიზიანებლის ინტენსივობა ან სხვადასხვა მოდალობის გამლიზიანებელი) ყურადღების განსხვავებულ სტიმულაციას იძლევა, იმის მიხედვით, როგორია შინაგანი მდგომარეობა სუბიექტისა, რა გუნებაზეა ის, რა მოთხოვნილებას განიცდის მოცემულ მომენტში, რითია დაინტერესებული და ა. შ. ეს დაყოფა მეტად პირობითია.

ზაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ჩვეულებრივ პირობებში ადგილი აქვს მრავალ ფაქტორთა ერთდროულ მოქმედებას, ისე რომ ფაქტორთა შორის, ასე ვთქვათ, კონკურენცია ხდება — ერთი ფაქტორი ჩრდილავს მეორეს. ამიტომ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თითოეული ფაქტორი, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით, მხოლოდ დანარჩენ პირობათა ერთგვარობის შემთხვევაში წარმოადგენს მოქმედ ფაქტორს. თითოეულზე ამ ფაქტორის მოქმედება შეიძლება დაიჩრდილოს სხვა ფაქტორით.

### ობიექტური ფაქტორები

**გამლიზიანებლის ინტენსივობა.** სხვა პირობათა ერთგვარობის შემთხვევაში ძლიერი გამლიზიანებლები (ძლიერი შუქი, ძლიერი ბგერა, ელვა, ქუხილი, გასროლის ხმა, ძლიერი სუნი და ა. შ.) ჩვენდა უნებურად იზიდავენ ყურადღებას.

ამ ფაქტორის მოქმედებაზეა აგებული ყოველგვარი ყურადღების გამომწვევი საშუალებები — რეკლამები (ძლიერი შუქი), სიგნალები (ტრანსპორტზე, წარმოებაში) და ა. შ.; ადამიანიც ყურადღების მისაქცევად ხმის ამალვებას, დაკავუნებას მიმართავს და ა. შ.

მნიშვნელობა აქვს გამლიზიანებლის შედარებით სიძლიერესაც: სიჩუმეში სუსტი ბგერაც მიიქცევს ყურადღებას, ძლიერი ხმაურის პირობებში კი საკმაოდ ძლიერი ბგერაც შეუძმჩნეველი დარჩება, თუ მისი სიძლიერე მკვეთრად არ აღემატება სხვა ბგერების სიძლიერეს.

**გამლიზიანებლის ხანგრძლიობა.** ყურადღებას იზიდავს გამლიზიანებელი, როქელიც დიდხანს გრძელდება. მაგალითად, ორთქლმავლის ან ავტომანქანის სიგნალი რომ არაჩვეულებრივად გაგრძელდება, ეს აუცილებლად მიიპყრობს ხოლმე ყურადღებას.

საგნის სიდიდე. დამტკიცებულია, რომ თანაბარ პირობებში დიდი საგნები უფრო იზიდავენ ყურადღებას, ვიდრე პატარა ან საშუალო ზომის საგნები. უცნობ ოთახში თვალში გეცემა დიდი ფანჯარა, დიდი ზომის ნიეთი. ქალაქს რომ გადახედოთ მთიდან, თვალში გეცემათ განსაკუთრებით დიდი ზომის შენობები.

ამ ფაქტორსაც ფართოდ იყენებენ რეკლამებში. გაზეთშიც დიდი ასოებით დაბეჭდილი სათაური იზიდავს ყურადღებას და ა. შ.

ამ ფაქტორსაც, როგორც ყველა სხვას, რასაკვირველია, შედარებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, დიდ საგნებს შორის ერთი პატარა რომ იყოს, სწორედ ეს პატარა მიიზიდავს ყურადღებას (მაგალითად, დიდ ადამიანთა აუდიტორიაში რომ პატარა ბავშვი აღმოჩნდეს — ეს უკანასკნელი მიიზიდავს ჩვენს ყურადღებას). მაგრამ ეს უკვე სხვა ფაქტორის — კონტრასტის ფაქტორის (იხ. ქვემოთ) გამოვლინებაა.

საგნის სიახლოვე. ჩვენთან ახლო მდებარე საგნები, დანარჩენ პირობათა ერთგვარობის შემთხვევაში, უფრო მიიქცევენ ჩვენს ყურადღებას, ვიდრე უფრო შორს მდებარე საგნები. ქუჩაში ჩვენთან ახლოს გავლილს მეტ ყურადღებას ვაქცევთ, ვიდრე შორს გავლილს, აუდიტორიაში ახლო მჯდომს ძალაუვნებურად მეტ ყურადღებას აქცევთ და ა. შ.

საგნის განცალკევება. სხვა საგნებიდან იზოლირებულად, განცალკევებულად მოცემული საგანი ადვილად იზიდავს ჩვენს ყურადღებას: ტყის პირას განცალკევებულ ხეს ყველა ამჩნევს, მაგრამ ტყეში ასეთივე ხეები სულ ვერ იზიდავენ ჩვენს ყურადღებას. ან, მაგალითად, ალღუმის დროს რიგებიდან გამოსულ ადამიანს ყველა მიაპყრობს ხოლმე ყურადღებას.

კონტრასტის ფაქტორი. ყოველი კონტრასტულად განცდილი დიდი სხვაობა გამლიზიანებელთა შორის იზიდავს ხოლმე ადამიანის ყურადღებას: დიდი და პატარა ერთიმეორის გვერდით, ფერადი საგანი რუხ საგნებს შორის და ა. შ.

მოძრაობა. მოძრავი საგანი ძალიან ადვილად იზიდავს ყურადღებას (განსაკუთრებით თუ უძრავი საგანი ამოძრავდა ჩვენი მხედველობის ველში). უძრავი საგნები, პირიქით, უფრო შეუმჩნეველი რჩებიან. საინტერესოა, რომ ეს ფაქტორი ცხოველთა სამყაროში დიდ როლს თამაშობს სიცოცხლისათვის ბრძოლაში. ინსტინქტურად გაშეშებულ სუსტ ცხოველს ეს უძრავობა გადაარჩენს ხოლმე მტაცებლისაგან. გაუნძრევლად გაჩერებული მტაცებელიც შეუმჩნეველი რჩება თავისი მსხვერპლისათვის.

ცვლილება. ადამიანის ყურადღების ერთ-ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს ცვლილების ფაქტორი წარმოადგენს. იმის მიმართ, რაც დიდხანს უცვლელი რჩება, ჩვენი ყურადღება სუსტდება, ჩლუნგდება; უცვლელი შეუმჩნეველი რჩება. პირიქით, დიდი ხნის უცვლელის შეცვლა ძლიერად იზიდავს ყურადღებას. თვით გამლიზიანებლის შეწყვეტაც კი, თუკი ეს გამლიზიანებელი მანამდის ხანგრძლივად უცვლელად მოქმედებდა, აღძრავს ჩვენს ყურადღებას; ჩვენს ოთახში კედლის საათის წიკ-წიკს ვეღარ ვამჩნევთ, მაგრამ საკმარისია საათი გაჩერდეს, რომ უმაღლვე მივავტოთ მას ყურადღება. წისქვილის ხმაურში მძინარე მეწისქვილეს ამ ხმაურის შეწყვეტა, ე. ი. ცვლილება აღვიძებს და ა. შ.

სიახლე. ყურადღების ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორის ფარგლებში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებისა და მოძრაობის ფაქტორიც. საქმე ის არის, რომ ყურადღებას იზიდავს ყოველივე, რაც სუბიექტისათვის ახალია, უჩვეულოა, მოულოდნელია და, მაშასადამე, ისიც, რაც შეცვლილია, რაც მოძრავია; ხოლო ის, რაც მუდამ უცვლელია, ჩვეულია, ყოველდღიურია, იგი აჩლუნგებს, აღუნებს ყურადღებას. ახალი საგანი, ახალი ამბავი, ახალი ფაქტი, ახალი ადამიანი, შეცვლილი გარემო იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

ამ პრინციპს დიდი პედაგოგიური ღირებულება აქვს. იგი იძლევა მოსწავლეთა ყურადღების (ინტერესთან ერთად) სტიმულაციის ადვილ შესაძლებლობას.

უნდა ითქვას, რომ სიახლის ფაქტორი უკვე აღარ არის სავესებით ობიექტური ფაქტორი, რადგანაც ობიექტის სიახლე თვით სუბიექტის გამოცდილებაზეა დამოკიდებული: ის, რაც ერთისათვის, ახალია, მეორისათვის ძველია და ჩვეულია.

ნაცნობობისა და ჩვეულებრივობის ფაქტორი. როდესაც სუბიექტი უცნობ, ახალ სიტუაციაში იმყოფება, მაშინ ყურადღების გამომწვევ ფაქტორს სიახლე კი არა, პირიქით ნაცნობობა და ჩვეულებრივობა წარმოადგენს. ის, რაც უცნობ სიტუაციაში, უცნობ ახალ საგანთა შორის ნაცნობი, ჩვეულებრივი აღმოჩნდება, მიიზიდავს ჩვენს ყურადღებას.

ახალ სურათთა გამოფენაზე თვალში გვეცემა ჩვენთვის კარგად ნაცნობი სურათი; უცნობ, ჩვენთვის ახალ მუსიკალურ ნაწარმოებში ადვილად მიიპყრობს ყურადღებას ნაცნობი მელოდია, უცნობ აუდიტორიაში ადვილად შეამჩნევთ ნაცნობ სახეს და ა. შ.

ცხადია, რომ ნაცნობობის ფაქტორიც არანაკლებ სუბიექტურია, ვიდრე სიახლის ფაქტორი.



**მოთხოვნილება.** ყურადღება პირველ რიგში სუბიექტის მოთხოვნილების შესატყვისად, მოთხოვნილების საფუძველზე წარიმართება. მოთხოვნილება ისევე წარმოადგენს ყურადღების წარმმართველ ფაქტორს, როგორც საზოგადოდ ცოცხალი არსების აქტიუობის მთავარ ფაქტორს შეადგენს.

მშვიერის ყურადღება ადვილად წარიმართება საკმელთან დაკავშირებული მოვლენებისაკენ — იგი უმაღლვე შენიშნავს საკმლის სუნს და ა. შ. დალილს „თვალში ეცემა“ დასაჯლომი ადგილი და ა. შ.

**ინტერესი.** ფართო მნიშვნელობით მოთხოვნილების კერძო გამოვლინებას ინტერესი წარმოადგენს.

ინტერესი ყურადღების უშუალოდ წამყვან ფაქტორად ითვლება. იქ, სადაც ინტერესია, ყურადღებაც არის. ის რაც გვინტერესებს, აუცილებლად ყურადღებასაც იწვევს.

ძლიერი ინტერესის ფაქტორი ხშირად სძლევეს სხვა ფაქტორებს. წერილი შრიფტით დაწერილ წიგნსაც დიდი ყურადღებით ვკითხულობთ, თუკი ეს წიგნი ინტერესს იწვევს. ხმაურის, სიმღერისა და ხმამაღალი ლაპარაკის პირობებში ინტენსიური ყურადღებით ვისმენთ დიდი ხნის უნახავი მეგობრის თავგადასავლის ამბავს, თუმცა ის სულ ჩუმი ხმით გველაპარაკება და ა. შ.

ინტერესის ფაქტორის უდიდესი მნიშვნელობა მეტად მკვეთრად ვლინდება სწავლის პროცესში საინტერესო მასალის მიმართ ყურადღების ადვილ მიპყრობაში: საინტერესოს ადვილად ვისმენთ. ადვილად ვკითხულობთ და ა. შ.

**განწყობა.** ყურადღების წარმართვის ძლიერ უშუალო ფაქტორს განწყობის ფაქტორი წარმოადგენს. იმ მიმართულებით ყურადღების წარმართვა, რა მიმართულებითაც განწყობილია სამოქმედოდ აღამიანი, თავისთავად, უნებურად ხდება.

ეს ფაქტორი განსაკუთრებით დემონსტრაციულად იჩენს თავს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც გამორიცხულია ყურადღების ცნობიერი, შეგნებული წარმართვა, მაგალითად, ძილის დროს: ცნობილია, რომ, როდესაც დალილ დედას ღრმად სძინავს, ისე რომ ძლიერი გამღიზიანებლებიც ვერ აღვიძებენ მას, საკმარისია მისმა ბავშვმა დაიკვნესოს ძილში, ან დაახველოს, ცხვირი დააცემინოს, რომ დედამ უმაღლვე გაიღვიძოს. ეს გამღიზიანებელი იმიტომ იპყრობს დედის ყურადღებას, რომ მას სძინავს ბავშვის მიმართ სიფხიზლის განწყობით, ხოლო ამ განწყობის შეუსატყვისი ძლიერი გამღიზიან-

ნებელიც კი (ზარის დარეკვა, სინათლის ანთება) ვერ აღვიძებს ამ ადამიანს, ვერ იპყრობს მის ყურადღებას.

**მოლოდინი.** ყურადღების ერთ-ერთ შინაგან ფაქტორად მოლოდინის ფაქტორი ითვლება. მართლაც, ყურადღება არაჩვეულებრივად ადვილად წარიმართება იმ ობიექტზე, რომლის გამოჩენაც მოლოდინის მიმართულებას შეესატყვისება, ე. ი. იმ მიმართულებას, საიდანაც ჩვენ რაღაცას მოველით. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც არსებითად საქმე გვაქვს ისევ განწყობის კერძო გამოვლინებასთან, რადგანაც გარკვეული მიმართულებით რაიმეს მოლოდინი ადამიანის ამ მიმართულებით „მომართვას“, მობილიზებას, მის „აწყობას“, ე. ი. სათანადო განწყობის აღმოცენებას გულისხმობს. ამიტომ, ჩვენი აზრით, მოლოდინის ფაქტორის ცალკე გამოყოფა არ არის გამართლებული.

**ნებისყოფის ფაქტორი.** აქამდე განხილული ფაქტორები უმთავრესად უნებლიე ყურადღების წარმმართველ ფაქტორებს წარმოადგენენ.

მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის სპეციფიკას სწორედ ნებისმიერი ყურადღება შეადგენს. ნებისმიერი ყურადღების მამოძრავებელს კი ნებისყოფა წარმოადგენს. ნებისმიერი, აქტიური ყურადღების მოქმედებას საფუძვლად ნებისყოფის ფაქტორი უდევს. ყურადღებას ამ შემთხვევაში ადამიანის ნებისყოფა წარმართავს. ეს ფაქტორი წამყვანია ყურადღების ყოველი მიზანდასახული, შეგნებული მოქმედების შემთხვევაში.

ამ ფაქტორის საფუძველზე ადამიანს შეუძლია ყურადღების წარმართვა იმ მიმართულებით, რომელიც არ შეადგენს მისი უშუალო ინტერესის საგანს, რომელიც მას უშუალოდ არ იზიდავს, თუკი მას შეგნებულად ესმის ამის საჭიროება.

### ყურადღების ნებაბიური ფაქტორები

ყურადღების დამაქვეითებელ, შემასუსტებელ ფაქტორთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მობეზრების, მოწყენის და მოყირკების განცდა. ინტერესის დაკარგვის და მობეზრების განცდის შედეგად ყურადღება მკვეთრად სუსტდება, უნებლიე ყურადღება სულაც ქრება.

სპეციფიკურად მოქმედებს აფექტი: ერთი მხრივ, როგორც ემოცია საზოგადოდ, აფექტი იწვევს ყურადღების ინტენსიურ მოქმედებას თავის გამომწვევი ობიექტის მიმართ; მისი გამომწვევი სა-

განი დომინირებს ადამიანის ცნობიერებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, აფექტური მდგომარეობა იწვევს ცნობიერების შევიწროებასთან ერთად ყურადღების მოცულობის უკიდურეს შევიწროებას, რის გამოც აფექტის გამომწვევი საგნის გარდა გარემოს სხვა გამღიზიანებლები აფექტით შეპყრობილისათვის შეუმჩნეველი რჩება — მას არ ესმის რას ელაპარაკებიან და ა. შ.

ყურადღებაზე, როგორც საზოგადოდ ფსიქიკურ აქტივობაზე, შემაფერხებლად მოქმედებს ფიზიოლოგიურ ფაქტორთა რიგი...

პირველ რიგში ამ მხრივ აღსანიშნავია დაღლილობა. თუმცა დაღლილობა საზოგადოდ ასუსტებს ყოველგვარ ფსიქიკურ მოქმედებას — მეხსიერებას, აზროვნებას და ა. შ., მაგრამ ყურადღების ინტენსივობა ამ მხრივ განსაკუთრებით მგრძნობიარეა. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ადამიანის დაღლილობა, მიუხედავად იმისა, კუნთური მუშაობის შედეგია იგი თუ გონებრივის, პირველ რიგში ყურადღების შესუსტებაში ვლინდება.

ყურადღებას ასუსტებს ის ანტიჰიგიენური პირობები (გაღამურავებული ჰაერით სუნთქვა და ა. შ.) და ის ქიმიკალები და ფარმაკოლოგიური საშუალებანი, რომლებიც საზოგადოდ აქვეითებენ ადამიანის ფსიქიკურ აქტივობას, რადგანაც შემაკავებლად მოქმედებენ დიდი ტვინის ქერქზე ან საზოგადოდ ნერვული სისტემის აგზნებას აქვეითებენ (იხ. V თავი — მეხსიერების ფაქტორები).

## § 6. ყურადღების ფიზიოლოგიური საფუძვლები და პათოლოგიური დაქვეითება

### ყურადღების ფიზიოლოგიური საფუძვლები

ყურადღების ფიზიოლოგიური საფუძვლების შესახებ თეორიათა რიგი არსებობს. შედარებით უფრო დასაბუთებულია ყურადღების მოვლენათა ის ფიზიოლოგიური ახსნა, რომელიც ი. პავლოვის მოძღვრებას ეყრდნობა „ობტიმალური აგზნების ცენტრების“ შესახებ. თანახმად ი. პავლოვის მიერ დადგენილ „ნერვულ პროცესთა ინდუქციის კანონისა“, დიდი ტვინის ქერქის ერთ-ერთი არის — ცენტრების ერთ-ერთი ჯგუფის — აგზნება იწვევს დანარჩენი არეების შეკავებას, ე. ი. მათი მოქმედების შეჩერებას (იხ. ზემოთ, თავი 1, § 4); ამ კანონზომიერების თანახმად აგზნება ყოველ მოცემულ

მომენტში ერთ-ერთ არეში იყრის თავს და აღარ ვრცელდება მთელ ტვინზე. სახელდობრ, აგზნების ასეთი კონცენტრაცია ხდება იმ არეში, რომელსაც საამისოდ ოპტიმალური პირობები გააჩნია (ამ პირობებზე აქ ვერ შევიჩერდებით). სწორედ ამ აგზნების კონცენტრაციისათვის ოპტიმალური პირობების მქონე არეს, ე. ი. მოცემულ მომენტში აგზნებულ არეს, ყოველთვის შეესატყვისება ყურადღების ობიექტი: ამ არეების შესატყვის ობიექტს ჩვენ ოპტიმალური სინათლით განვიცდით. სხვა ობიექტებს ამ მომენტში ვერ განვიცდით, რადგანაც მათი შესატყვისი არეები, ინდუქციის კანონის თანახმად, შეკავებულია — ვერ აიგზნებიან. რაც უფრო მეტია ყურადღების შესატყვისი არის აგზნება, მით უფრო შეკავებულია სხვა არეები, მით უფრო ინტენსიურია ყურადღება აგზნებული არის შესატყვისი მიმართულებით და მით ნაკლებად ამჩნევს ადამიანი სხვა გამღიზიანებლებს. ტვინის სხვა არეებზე (ცენტრებზე) აგზნების გადასვლასთან ერთად იცვლება ყურადღების ობიექტიც.

#### ყურადღების პათოლოგიური დაკვირვება

ყურადღების პათოლოგიური დარღვევები თავს იჩენენ ყველა იმ მიმართულებით, რომელშიაც იჩენს თავს ყურადღების მოქმედება.

პირველ რიგში აღსანიშნავია ყურადღების ძირითადი ფუნქციის — შთაბეჭდილებათა სინათლისა და საზოგადოდ ცნობიერების დონის დაქვეითება, დაბუნდოვნება, რომელიც „ცნობიერების ამღვრევისა“ და „დაბინდებული ცნობიერების“ სახელით აღინიშნება, ამ მიმართულებით დადგენილია საფეხურების მთელი რიგი ცნობიერების სრულ დაკარგვამდე.

ზოგიერთი დაავადების დროს მნიშვნელოვნად ვიწროვდება ყურადღების მოცულობა. უკიდურეს შემთხვევაში ყურადღების მოცულობა ერთ შთაბეჭდილებამდე დადის: ავადმყოფი ერთად მოთავსებული საგნებიდან ერთდროულად ერთზე მეტს ვერ ხედავს, თუმცა მხედველობა მას დარღვეული არა აქვს. მაგალითად, ერთმანეთისაგან 5 სმ-ის მანძილზე მოთავსებულ ფანქრისა და ანთებული სანთლის ერთად დანახვა არ შეუძლია — ხან ერთს ხედავს, ხან მეორეს.

დადასტურებულია ყურადღების შეგუების ხისწრაფის პათოლოგიური დაკვირვება: ავადმყოფი ძალიან დიდი დაგვიანებით იძლევა რეაქციას შეიკობხაზე ან მასზე მოქმედ ფიზიკურ გამღიზიანებლებზე.

ზოგიერთი დაავადების დროს პათოლოგიურად ქვეითდება საზოგადოდ გამლიზიანებლებზე რეაგირების უნარი: ადამიანის ყურადღების გამოწვევა ძალიან ძნელი ხდება. ამ მიმართულებით დადგენილია დარღვევათა საფეხურები. უკიდურეს საფეხურზე ყურადღებას ვერ იწვევს ვერც ძლიერი ფიზიკური გამლიზიანებელი, ვერც ხმამაღალი სიტყვიერი მომართვა.

ყურადღების პათოლოგიური დაქვეითება ყურადღების ხტაბილობის მიმართულებითაც ხდება. ამ შემთხვევაში ავადმყოფს პათოლოგიურად დინამიკური — როგორც ამბობენ „შიპერდინამიკური“ ყურადღება აქვს: მისი ყურადღება ერთ საგანზე პატარა ხანსაც ვერ ჩერდება — წამდაუწუმ სულ ახალ-ახალ საგანზე გადახტება. ეს ეხება ილქმასაც და აზროვნების თუ ოცნების საგანსაც.

## თ ა ვ ი მ ა ხ უ თ ა

### მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა

#### § 1. მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ი ს ც ნ ე ბ ა

##### მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა ზ ა რ თ ო მ ი ნ ი შ ვ ნ ა ლ ო ზ ი თ

ადამიანის ფსიქიკაში აისახება არა მხოლოდ ამჟამად მოცემული გარემო, — ის საგნები, რომელნიც ამჟამად ფიზიკურად ზემოქმედებენ მასზე, არამედ წარსულში განცდილიც, წარსულში აღქმული, გაგებული, გააზრებული და ა. შ. ადამიანის აწმყო მოქმედება გაპირობებულია არა მხოლოდ ამჟამად მოცემული გარემოთი, არამედ წარსულში განცდილითაც — წარსულში მიღებული გამოცდილებით, ცოდნით, წარსულში განცდილის წარმოდგენით, მისი მოგონებით და ა. შ. ყოველი წარსულში განცდილი როდი იკარგება პიროვნებისათვის უკვალოდ. პიროვნება დროში უწყვეტად არსებობს. წარსული სხვადასხვა სახით ახდენს გავლენას ადამიანის აწმყო ფსიქიკურ ცხოვრებაზე, ანარეკლს ჰპოვებს მასში. ინდივიდის მიერ წარსულში განცდილის ამა თუ იმ სახით ასახვა მის ფსიქიკაში მეხსიერების გამოვლინებას წარმოადგენს.

ხაზს ვუსვამთ, რომ მეხსიერება გულისხმობს წარსულის სხვადასხვა სახით ასახვას ადამიანის ფსიქიკაში და არა აუცილებლად წარსულში აღქმულის წარმოდგენას, როგორც ამას მეხსიერების საკმაოდ გავრცელებული განსაზღვრება გულისხმობს. საქმე ის არის, რომ მეხსიერება წარსულის მხოლოდ წარმოდგენის სახით როდი ვლინდება — იგი იჩენს თავს აღქმის, აზროვნების, გრძნობებისა და სხვა პროცესებშიც, რამდენადაც წარსულში განცდილის ზეგავლენით იცვლება თვით ადამიანი: იცვლება მისი გამოცდილება, მისი შეხედულებები, ინტერესები, მისწრაფებები, ახალ მოთხოვნილებებსაც კი იძენს ადამიანი წარსულის გავლენით, და სხვაგვარად განწყობა სხვადასხვა მოვლენის მიმართ.

ბევრ რამეს წარსულში განცდილიდან ადამიანი წარმოდგენის სახით ვერ გაიხსენებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარსულში განცდილი დაკარგულია მისთვის; ამ მოვლენის არეკვლამ ფსიქიკაში შეიძლება იჩინოს თავი მისი განმეორებითი აღქმის დროს მისი ცნობის სახით, ანდა გარკვეულ მოვლენათა მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულების სახით, იმ გამოცდილების საფუძველზე, რაც ადამიანმა შეიძინა, ან ამ მოვლენის გამეორებისას მისი უფრო ადვილი დახსოვების სახით და ა. შ.

ადამიანის ფსიქიკური თავისებურებები ატარებენ მისი პიროვნების ისტორიის დაღს, წარსულში განცდილი ამბებისა და განცდების არამხოლოდ მოგონების (წარმოდგენისა) ან მათ შესახებ ცოდნის სახით, არამედ იმ ცვლილებების სახით, რაც თვით პიროვნებაში, მისუნარებში, ინტერესებში, მიდრეკილებებში ხდება წარსულში განცდილის გავლენით. ასე, მაგალითად, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბევრ ადამიანს თავის პროფესიის მიხედვით აღარ სჭირდება ალგებრის თუ ტრიგონომეტრიის ცოდნა და ბევრი სხვა სპეციალური ცოდნაც, რაც მათ სკოლაში შეიძინეს და ეს ცოდნა ამ ადამიანებს არც შერჩებათ — შესწავლილი აღარ ახსოვთ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ალგებრის თუ სხვა „დავიწყებული“ საგნის სწავლას მათთვის ამჟამად ჩაუვლია. არა! ამ სწავლის გავლენით შეიცვალა ამ ადამიანთა პიროვნება, შეიცვალა, აღიზარდა მათი აზროვნების თვისებათა რიგი და ა. შ. მათ გარკვეული გამოცდილება მიიღეს, თუმცა აღარ ახსოვთ ის კონკრეტული შინაარსი, რაც ისწავლეს.

მეტოც უნდა ითქვას — ადამიანთა ფსიქიკაში ხშირად აისახება გარემოს ისეთი მომენტების გავლენა, რაც თვითონ სუბიექტს ვერ გაუცნობიერებია. მაგალითად, ის წრე, რომელშიაც უხდება ადამიანს ზრდა და ცხოვრება, თვითონ სუბიექტისათვის შეუძინებლად ახდენს გავლენას მის მსოფლმხედველობაზე, ჩვეულებებზე, გემოვნებაზე, მის ხასიათზე, მის ქცევაზე, მის მეტყველებაზე და ემოციებზე და ა. შ., თუმცა მან თვითონ შეიძლება ვერც გაიხსენოს ის კონკრეტული ფაქტები, ის ამბები და შთაბეჭდილებები, რომელთა გავლენა ამგვარად აისახა მის ფსიქიკაში.

მეხსიერება, ამ ცნების ფართო მნიშვნელობით, წარსულში განცდილის ასეთ გავლენასაც შეიცავს, რადგანაც წარსულის ასეთი გაუცნობიერებელი გავლენაც ადამიანის ფსიქიკაში აისახება.

მეხსიერების ამ ფართო გაგებით ნაგულისხმევ ყველა მოვლენას ხშირად „მნემური მოვლენების“ სახელით აღნიშნავენ.

მეხსიერების ცნებას ხშირად ხმარობენ უფრო ვიწრო მნიშვნელობით, ასეთი გაგებით მეხსიერების ცნება აღარ შეიცავს წარსულის გაუცნობიერებელ გავლენას ადამიანზე. მეხსიერება ვიწრო გაგებით გულისხმობს ძირითადად წარსულში განცდილის რეპროდუქციას, ე. ი. მის აღდგენას ცნობიერებაში აღქმის გარეშე და მის ცნობას გამეორებითი აღქმის შემთხვევაში.

### „მ ნ ე მ უ“

ზემოთ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ მეხსიერება გულისხმობს წარსულის გავლენას ინდივიდის ფსიქიკაზე. რაც შეეხება ორგანიზმზე წარსულის გავლენებს, რომელიც ბიოლოგიურ ცვლილებებში გამოიხატება, მაგრამ ფსიქიკაში არ აისახება, მათ მეხსიერებას აღარ უწოდებენ.

ახალ ბიოლოგიურ თვისებათა შექმნა, ახალ მოძრაობათა შექმნა და ა. შ., რაც ახალ, შეცვლილ გარემოსთან შეგუების პროცესში ხდება, მაგრამ რაც ფსიქიკაში არ აისახება, სპეციალური ცნებით — „მნემეს“ ანდა „ფიზიოლოგიური მეხსიერების“ ცნებით აღინიშნება. ეს მოვლენა ინდივიდის წარსულის ფიქსაციას გულისხმობს, მაგრამ არ გულისხმობს მის ფსიქიკურ ასახვას.

მაგალითად, ადამიანმა ადრე ბავშვობაში ზღვის პირას ცხოვრებისას ისწავლა ცურვა, შემდეგ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იგი ზღვის პირიდან შორს ცხოვრობდა და არა მარტო ცურვა არ უხდებოდა, არამედ ისიც აღარ აქსოვდა, რომ ცურვა იცოდა. მაგრამ, როდესაც ოცდაათი წლის ასაკში ზღვის პირას მოხვდა და დააპირა ცურვის სწავლა — მოულოდნელად გაეცურა. თუმცა წარსულში შექმნილი მოძრაობითი ჩვევა შენარჩუნებული აღმოჩნდა, ამ მოვლენას ნამდვილ მეხსიერებად ვერ ჩავთვლით, რადგანაც ეს წარსულში მიღებული ჩვევა სუბიექტის ფსიქიკაში არ აისახა; ეს არის „მნემეს“ ანუ „ფიზიოლოგიური მეხსიერების“ მოვლენა.

ეს მოვლენა ფილოგენეზში ბევრად წინ უსწრებს მეხსიერების აღმოცენებას; იგი მთელ ორგანულ სამყაროს (მცენარესაც კი) ახასიათებს. მნემეს მოვლენები თავს იჩენენ ისეთ დაბალ საფეხურზეც, სადაც ფსიქიკა არ არსებობს და ამიტომ მეხსიერების არსებობაც გამორიცხულია. ასე, მაგალითად, მნემე თავს იჩენს მცენარის მიერ

<sup>1</sup> ძველ ბერძნულად მნემე მეხსიერებას ნიშნავს.



ახალ ბიოლოგიურ თვისებათა შექმნის სახით ახალ მეტეოროლო-  
გიურ პირობებთან შეგუებისას, ჰიაყელასა თუ ლოკოკინას მიერ  
ახალ მოძრაობათა შექმნის სახით, რაც გარემოს შეცვლილ პირო-  
ბებთან შეგუებითაა გამოწვეული და ა. შ.

## § 2. მახსიერების სახეები ანუ ფორმები

ჩვენ აქ არ შევხებით მახსიერების იმ პრიმიტიულ გამოვლინე-  
ბებს, რომელნიც მის ან გაუცნობიერებელ გამოვლენას (იხ. ზე-  
მოთ) ან აღქმასა და მახსიერებას შორის გარდამავალ ფორმას წარ-  
მოადგენენ<sup>1</sup>. განვიხილავთ მახსიერების მხოლოდ ძირითად ფორმებს.

მახსიერების ფორმებს სხვადასხვა თვალსაზრისით გამოჰყოფენ.  
საკმაოდ გავრცელებულია მათი გამოყოფა იმ საგნის (ობიექტის)  
თვალსაზრისით, რისი დახსომებაც ხდება, მაგალითად: მახსიერება  
საკუთარი მოძრაობების მიმართ („მოტორული“ მახსიერება), თვალ-  
საჩინო შინაარსების მიმართ („ხატოვანი“ მახსიერება), აზრების  
მიმართ („ლოგიკური“ მახსიერება), ემოციების მიმართ („ემოციუ-  
რი“ მახსიერება). ასეთი ტიპის კლასიფიკაციას აქ არ განვიხილავთ  
მისი პრინციპის უმართებულობის გამო.

ფაქტიურად ამ ტიპის კლასიფიკაციებში მახსიერების  
როგორც ფუნქციის განსხვავებულ გამოვლენ-  
ათა, მისი მოქმედების სპეციფიკურობათა მი-  
ხედვით დაჯგუფება კი არ ხდება, არამედ იმ  
ობიექტთა კლასიფიკაცია ხდება, რომელზე-  
დაც მიმართულია მახსიერება<sup>2</sup>.

ჩვენ აქ გადმოვცემთ იმ კლასიფიკაციას, რომელიც თვით მახ-  
სიერების, როგორც ფუნქციის გამოვლენათა  
სპეციფიკურობის გათვალისწინებაზეა აგებული.

### უშუალო ანუ ხანმოკლე მახსიერება („შემჩნევის უნარიანობა“)

1. მახსიერების უშუალო ანუ ხანმოკლე ფორმას „შემჩნევის  
უნარიანობასაც“ („Заметливость“)<sup>3</sup> უწოდებენ, რადგანაც იგი აღ-  
ქმულის დიდი ხნით დახსომებას კი არ გულისხმობს, არამედ მცირე

<sup>1</sup> ამ ფორმების შესახებ იხ. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1956, გვ.  
232 — 237.

<sup>2</sup> ამ ტიპის კლასიფიკაციები იხ. მაგ., Теплоვის სახელმძღვანელოში —  
Учебник психологии ან А. А. Смирнов-ის რედაქციით გამოსულ სახელ-  
მძღვანელოში: Психология, 1956.

<sup>3</sup> გერმანულიდან „Merkfähigkeit“.

ხნით ცნობიერებაში იმის შენარჩუნებას, რაც ეს-ეს არის იყო აღ-  
ქმული. გამლიზიანებლის ან გამლიზიანებელთა  
რიგის ერთხელობრივი აღქმის შემდეგ სუბი-  
ექტი უშუალოდ, დროის ინტერვალისა და სხვა  
შინაარსზე გადანაცვლების გარეშე. მცირე ხნით  
ახდენს ამ აღქმის რეპროდუქციას. მაგალითად, მოისმენს რა წინა-  
დადებას, უმაღვე დაწერს მას კარნახის დროს ან გაიმეორებს მოს-  
მენილ წინადადებას, თუ რიცხვების რიგს და ა. შ., მას შემდეგ, რაც  
ობიექტის ფიზიკური მოქმედება ადამიანზე შეწყდა, მისი აღქმა, ასე  
ვთქვათ, გადადის ამ გამლიზიანებლის წარმოდგენაში, რომელიც  
მცირე ხნით რჩება ცნობიერებაში.

უშუალო მეხსიერების ძირითადი დამახასიათებელია ე. წ. „ფა-  
რული პერიოდის“ არარსებობა: აღქმის რეპროდუქცია უშუა-  
ლოდ აღქმის შემდეგ ხდება. აღქმაში მოცემული საგნის განცდა  
ჯერ არ გასულა ცნობიერებიდან, რომ უკვე ხდება მისი რეპროდუქ-  
ცია წარმოდგენის სახით. უშუალო მეხსიერების საპირისპიროდ მე-  
სიერების სხვა ფორმებისათვის („ხანგრძლივი“ მეხსიერებისათვის)  
პირიქით, დამახასიათებელია ფარული პერიოდი, ე. ი. მეტი თუ  
ნაკლები დროის ინტერვალი აღქმის შემდეგ მის რეპროდუქციამდე.  
ეს ფარული პერიოდი შეიძლება წლების მანძილზე გაგრძელდეს  
(შეიძლება ადამიანმა პირველად მოხუცებულობაში გაიხსენოს რა-  
ღაც ამბავი თავისი ბავშვობიდან), შეიძლება რამდენიმე წუთს მხო-  
ლოდ, მაგრამ თუკი მოხდა აღქმის შემდეგ სუბი-  
ექტის ცნობიერების გადანაცვლება სხვა მი-  
მართულებით — სხვა შინაარსზე და მერე ხდე-  
ბა აღქმულის რეპროდუქცია, ეს უკვე აღარაა  
უშუალო მეხსიერება.

2. უშუალო მეხსიერება დიდ როლს თამაშობს თანმიმდევარ  
(„სუქცესიურ“) მოვლენათა დროში გაშლილი რიგის აღქმისას. მა-  
გალითად, წინადადებათა გაგება სხვისი მეტყველების ან რადიო-  
გადაცემის მოსმენისას, ანდა კითხვის დროს, უშუალო მეხსიერებას  
ეყრდნობა: წინადადების უკანასკნელი სიტყვების აღქმისას ჩვენს  
ცნობიერებაში კიდევ ცოცხლობს (უშუალო მეხსიერების წყალო-  
ბით) ამ წინადადების პირველი სიტყვები, რის გარეშეც წინადადე-  
ბის გაგება შეუძლებელი იქნებოდა.

არსებობს პროფესიები, რომელშიც უშუალო მეხსიერება წამყ-  
ვან როლს ასრულებს. ასეთია პროფესიონალური მოქმედებები.  
რომელშიც სწრაფადაა აღსადგენი ერთხელობრივი აღქმათა რიგი..

ხოლო აღქმულის ხანგრძლივი დახსომება არაა საჭირო: სტენოგრაფისტის, მანქანაზე მბეჭდავის, ასოთამწყობის (მეტადრე ლინოტიპისტის) მუშაობა უმთავრესად უშუალო მეხსიერებას ეყრდნობა.

### ცნობის მახასიათებელი

1. ცნობა. ცნობის მეხსიერება თავს იჩენს გამეორებით აღქმულის ცნობაში. როდესაც ადამიანი რაიმე მოვლენას (უცხო სიტყვას, ადამიანის სახეს, ფორმულას, ამბავს და ა. შ.) იმდენად ვერ დაიხსომებს, რომ მისი მოგონება (წარმოდგენა) შეძლოს, მაგრამ იმავე მოვლენის აღქმისას იცნობს მას, საქმე გვაქვს ცნობის მეხსიერებასთან.

მეხსიერების ამ ფორმის გამოვლინება, როგორც ვხედავთ, შეზღუდულია აღქმით; მისი ძირითადი სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავს იჩენს უწინ აღქმული ობიექტის ცნობაში მისი განმეორებითი აღქმისას და არა რეპროდუქციის, არა წარმოდგენის სახით. თუკი მოხდა განმეორებითი აღქმა, სუბიექტი მას ცნობს, ე. ი. აიგივებს უწინ აღქმულთან.

მაგალითად, რამდენიმე თვის ბავშვი ვერ იგონებს (ვერ წარმოიდგენს) ქალაქიდან რამდენიმე დღით გასულს თავის მომვლელს (ეს მისი ქვეყიდან ჩანს), მაგრამ მომვლელის დაბრუნებისას იგი „ცნობს“ მას — დიდ სიხარულს ამჟღავნებს. ცნობის მეხსიერება ხშირად ვლინდება უცხო ენის სიტყვების მიმართ; უცხო ენის სიტყვათა „პასიური მარაგი“ ბევრად აღემატება „აქტიურ მარაგს“; ბევრ სიტყვას ვერ ვიგონებთ (დღეაღნიდან ვერ ვთარგმნით), მაგრამ როდესაც შეგვხვდება ეს სიტყვები, „ვცნობთ“ მათ, ე. ი. მათი მნიშვნელობა გვაგონდება.

2. ცნობის საფეხურები. ცნობის მეხსიერების გამოვლინებაში არჩევენ რამდენიმე საფეხურს:

მისი გამოვლინების უმაღლეს ფორმას სრული ცნობა წარმოადგენს, რაც აღქმული საგნის წარსულში აღქმულთან აიგივებას („იდენტიფიკაციას“) და როგორც წარსულში აღქმულის გაცნობიერებას გულისხმობს.

არსებობს ცნობის უფრო დაბალი საფეხურები, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჩვეულებრიობის განცდისა“ და „ნაცნობობის გრძნობის“ საფეხური.

„ჩვეულებრიობის განცდა“ თავს იჩენს დიფუზიური, გამოუკვეთელი, ხშირად სიამოვნების ელფერის მქონე გრძნობის ტონის სა-

ხით, როდესაც ადამიანი მოხვედბა ისეთ სიტუაციაში, ანდა აღიქვამს ისეთ საგანს, რომელიც უწინ ბევრჯერ ჰქონდა აღქმული: ეს სიტუაცია, ეს საგანი განიცდება როგორც სუბიექტის პიროვნებასთან, „მე“-სთან დაკავშირებული, როგორც რაღაცა ჩვეული რამ. ეს განცდა მკვეთრად იჩენს თავს, მაგალითად, იმ სახლში ან იმ მიდამოში დაბრუნებისას, სადაც ადამიანს ბავშვობა გაუტარებია ან სადაც დიდი ხნის წინ ხშირად ყოფილა, ანდა ბავშვობის დროიდან დიდი ხნის უნახავი ნივთის (მაგალითად, სათამაშოს) აღქმისას და ა. შ. ჩვეულებრიობის ეს განცდა განსაკუთრებით შესამჩნევია მისი დაპირისპირებისას „უცხოობის“ და „უცხოობის“ განცდასთან, რომელიც მკვეთრად იჩენს ხოლმე თავს, როდესაც ნაცნობ წრეში ან ნაცნობ ადგილას მოხვედრის მაგივრად, მოულოდნელად უცნობ ხალხში ან უცნობ ადგილას აღმოჩნდებით.

ჩვეულებრიობის განცდა მაშინ წარმოადგენს ცნობის დაბალ საფეხურს, როდესაც მას არ ახლავს აღქმულის სრული ცნობა, ე. ი. წარსულში აღქმულთან გაიგვება.

ცნობის ცოტათი უფრო გამოკვეთილ გამოვლინებას წარმოადგენს „ნაცნობობის გრძობა“. აღქმულს ადამიანი განიცდის გარკვეულად ნაცნობად, ობიექტი გარკვეულად ნაცნობის შთაბეჭდილებას იწვევს, მაგრამ მის გაიგივებას უწინ აღქმულთან მაინც ვერ ვახდენთ, ე. ი. საბოლოოდ მაინც ვერ ვცნობთ. მაგალითად, ვხედავთ ქუჩაში ძალიან „ნაცნობ“ სახეს, მაგრამ არ ვიცით ვინაა, საიდან ვიცნობთ. გვხვდება ძალიან ნაცნობი უცხო სიტყვა ან ტერმინი, მაგრამ ვერ მოვიგონებთ, რა სიტყვაა ეს, ე. ი. მისი მნიშვნელობა ვერ გვახსენდება და ა. შ.

ფიქრობენ, რომ ცნობის ამ საფეხურზე ნაცნობობის შთაბეჭდილებას იწვევს სუბიექტის იმ შინაგანი მდგომარეობის ან იმ გრძობის იგივეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამავე მოვლენის ან ამავე სიტუაციის განცდისას უწინ. დ. უზნაძე ამ შემთხვევაში სუბიექტის განწყობის იგივეობას გულისხმობს: განმეორებით აღქმული იწვევს იმავე განწყობას, რაც უწინ ამავე ობიექტის აღქმისას აღმოცენდებოდა ხოლმე.

როგორც ვხედავთ, ცნობის ეს დაბალი საფეხურები უფრო ემოციონალური ხასიათის, ე. ი. გრძობაში გამოვლინებულ ცნობას წარმოადგენენ, ვიდრე ინტელექტუალურ პროცესს, რომელიც ნამდვილი, სრული ცნობის შემთხვევაში წარსულში აღქმულთან გაიგივების სახით იჩენს თავს.

3. ცნობის ილუზიები. ნაცნობობის გრძნობის ან ჩვეულებრივობის განცდის აღმოცენება ყოველთვის როდია უტყუარი მაჩვენებელი იმისა, რომ ობიექტურადაც ნაცნობი, მართლაც უწინ აღქმული მოვლენა აღიქმება. ხანდახან ეს განცდა არ შეეფერება საქმის ნამდვილ ვითარებას — უცნობს, პირველად აღქმულს განვიციდით როგორც ნაცნობს, როგორც „უკვე ნახულს“. ეს შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც პირველად ვნახეთ, ან რაიმე ნივთი, თუ პეიზაჟი, სახლი თუ ქუჩა, რომელსაც პირველად ვხედავთ, ანდა ამბავი, რომლის მოწმე გახდა ადამიანი ქუჩაში, თუ წაკითხული ნაწყვეტი, ანდა პირველად გაგონილი ამბავი და ა. შ.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცნობის ილუზიასთან. ცნობის ილუზია სხვადასხვა სახით იჩენს თავს, მაგრამ მის ძირითად ფორმას უცნობის, პირველად აღქმულის ნაცნობად განცდა წარმოადგენს, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში „შემცდარ ცნობას“ (fausse reconnaissance) ან „უკვე ნახულის“ („deja vue“) მოვლენას უწოდებენ.

გავრცელებული აზრით ამ მოვლენას საფუძვლად უდევს იმ ელფერის ემოციური განცდის გამოწვევა ახალაღქმული ობიექტისა თუ სიტუაციის მიერ, რომელიც უწინ აღძრული იყო სხვა სიტუაციით ან სხვა ობიექტით: იგულისხმება, რომ ემოციური განცდის ეს იგივეობა ნაცნობობის შთაბეჭდილებას ქმნის. დ. უზნაძე ფიქრობდა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმავე განწყობის გამოწვევასთან ახალი ობიექტის აღქმისას, რაც უწინ სხვა ობიექტს გამოუწვევია და სწორედ ამ განწყობის იგივეობა იწვევს ნაცნობობის გრძნობას.

#### პერსევერაცია

პერსევერაცია ეწოდება წარმოდგენის თავისთავადსა და აკვიატებულ ამოტივტივებას ცნობიერებაში.

მეხსიერების ეს ფორმა ვლინდება, მაგალითად, მოსმენილ ან წაკითხულ რაიმე ტერმინის თუ უცხო სიტყვის ან გვარის, ანდა მელოდიისა ან ლექსის ნაწყვეტისა თუ სხვა რაიმე აღქმული შინაარსის მოულოდნელ აკვიატებულ ამოტივტივებაში ჩვენს ცნობიერებაში, ყოველგვარი განზრახვისა და საზოგადოდ შესამჩნევი საბაბის გარეშე.

პერსევერაცია სამართლიანად ითვლება მეხსიერების დაბალ

ფორმად, რამდენადაც წარმოდგენის რეპროდუქცია ამ შემთხვევაში ატარებს სრულიად შემთხვევითს, არამიზანდასახულ ხასიათს. მაგრამ, მეორე მხრივ, საყურადღებოა, რომ პერსექვერაცია თავს იჩენს უწინ აღქმულის წარმოდგენის სახით, ე. ი. აღქმის რეპროდუქციის სახით, რაც მეხსიერების შედარებით მაღალი ფორმებისათვის არის დამახასიათებელი. მართლაც, მეხსიერების მოქმედება ზემოთ განხილულ ფორმებში აღქმით არის შებოჭილი: აღქმიდან მოწყვეტას ამ ფორმებში მეხსიერების მოქმედება ვერ აღწევს. უშუალო მეხსიერებას ფარული პერიოდი არ გააჩნია — აღქმა უშუალოდ გადადის წარმოდგენაში, ხოლო ცნობის მეხსიერება კი აღქმაში ვლინდება მისი ცნობის სახით. პერსექვერაცია კი ვლინდება უწინ აღქმულის რეპროდუქციაში წარმოდგენის სახით, ფარული პერიოდის შემდეგ.

## ასოციაციური მახსიერება

### 1. ზოგადი დახასიათება

ასოციაციური მეხსიერება წარმოდგენათა ასოციაციის სახით ვლინდება. სიტყვა ასოციაცია შეკავშირებას ნიშნავს, ხოლო წარმოდგენათა ასოციაცია ეწოდება ისეთ კავშირს წარმოდგენათა შორის, რომლის გამო ერთ წარმოდგენას (ან აღქმას) უნებურად მოჰყვება ცნობიერებაში მეორე წარმოდგენა.

მაგალითად, თივის სუნის აღქმამ ჩემდა უნებურად გამახსენა სოფელი. მატარებლის საყვირის გაგონებას მოჰყვა ორთქლმავლის ან, მატარებლის, ან სადგურის წარმოდგენა.

წარმოდგენათა ასოციაცია შეიძლება „ჩაჭვრიტ“ იყოს; ასე უწოდებენ წარმოდგენათა რიგის ასოციაციურ ამოტივტივებას ცნობიერებაში: მაგალითად, ისევე მატარებლის საყვირის აღქმას შეიძლება მოჰყვეს წარმოდგენათა გრძელი რიგი: ჭერ მატარებლის წარმოდგენა, შემდეგ ერთ-ერთი ექსკურსიის წარმოდგენა, ამას მოჰყვა მუზეუმის წარმოდგენა, რომელიც დაათვალიერეთ იმ ექსკურსიის დროს, ექსკურსიის ერთ-ერთი მონაწილის მოგონება და ა. შ.

ასოციაციური მეხსიერება მეხსიერების პასიური ფორმაა. წარმოდგენათა ასოციაცია უნებურად, სუბიექტის ნების და განზრახვის გარეშე ხორციელდება.

მეხსიერების ამ სახისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ორი მომენტი. ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ იგი უწინ აღქმულის წარმოდგენის სახით ვლინდება: წარსულში აღქმულის რეპროდუქ-

ცია ხდება წარმოდგენის ან აზრის სახით. როგორც ზემოთ აღინიშნა, უწინ განცდილი აღქმის რეპროდუქცია მეხსიერების მაღალგანვითარებული ფორმებისთვისაა დამახასიათებელი. ამ გამოვლინებაში მეხსიერება თავისუფლდება აღქმასთან მიჯაჭვულობისაგან: ობიექტურად უკვე განვლილის რეპროდუქცია, მისი წარმოდგენა აძლევს სუბიექტს შესაძლებლობას „ამჟამად განიცადოს ის, რაც ამჟამად აღარ არის“, რასაც შორსმწვდომი მნიშვნელობა აქვს პიროვნებისათვის.

მეორე მხრივ, მეხსიერების ამ ფორმის სპეციფიკურობას ის შეადგენს, რომ აღქმულის რეპროდუქცია, ე. ი. წარმოდგენის ამოტივტივება ცნობიერებაში ასოციაციისა და, მაშასადამე, რომელიმე სხვა საგნის აღქმის ან წარმოდგენის ზეგავლენით ხდება. წარსულში განცდილის წარმოდგენა ჩნდება არა სპონტანურად, არა ჩვენი ნებით, არც თავისთავად, როგორც პერსვეერაციისას, არამედ სხვა ობიექტის აღქმასთან დაკავშირებით. ექსკურსიის მოგონება მატარებლის საყვირის აღქმამ გამოიწვია, სოფლის წარმოდგენა — თივის სუნმა და ა. შ.

სანამ შევჩერდებოდეთ ამ უკანასკნელ თავისებურებაზე, სანამ განვიხილავდეთ საკითხს ასოციაციურ დაკავშირებათა ბუნების შესახებ, ჯერ შევჩერდეთ პირველ მომენტზე — აღქმის რეპროდუქციაზე წარმოდგენის სახით, ხოლო შემდეგ მეორეზე — ასოციაციური დაკავშირების ბუნებაზე.

## 2. წარმოდგენა

წარმოდგენა, ისევე როგორც აღქმა, საგნობრივი განცდაა. ერთი და მეორეც საგნის თვალსაჩინო ასახვას წარმოადგენს ჩვენს ცნობიერებაში. ერთი და იგივე საგანი აღქმულიც შეიძლება იყოს და წარმოდგენილიც. რა განსხვავებაა მათ შორის?

აღქმა პირველადია, წარმოდგენა მეორადია იმ აზრით, რომ წარმოდგენა შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ აღქმის საფუძველზე. წარმოდგენა — როგორც მეხსიერების გამოვლენა, აღქმის რეპროდუქციაა შესატყვისი გამლიზიანებლის გარეშე<sup>1</sup>. ამ გარემოების ზეგავლენით ძველ ფსიქოლოგიაში ითვლებოდა, რომ წარმოდგენები

<sup>1</sup> აღქმელის წარმოდგენის შესახებ ფანტაზიის მოქმედებისას იხ. ქვემოთ, თავი IX.

აღქმის „ასლებია“ (დ. იუმი). მათ შორის მხოლოდ სინათლის ხარისხულ სხვაობას ხედავდნენ: თითქოს ერთადერთი სხვაობა მათ შორის ის არის, რომ აღქმა უფრო ნათელია, წარმოდგენა კი შედარებით უფრო მკრთალია, ბუნდოვანია. მაგრამ ეს ძველი შეხედულება არ გამართლდა. კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ სინამდვილეში მათ შორის თვისობრივი სხვაობაც არის.

გარკვეულ პირობებში (შორეული მანძილი, სუსტი განათება და ა. შ.) აღქმაც შეიძლება ძალიან მკრთალი იყოს (მაგალითად, ოდნავ გასაგონი ბგერა, ნისლში ან ბინდში დანახული საგანი), ზოგჯერ უფრო მკრთალიც, ვიდრე საგნის ნათელი წარმოდგენა. მაგრამ ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი არ აურევს უმკრთალეს აღქმასაც წარმოდგენასთან, სწორედ იმიტომ, რომ მათ შორის ძირითად სხვაობას არა სინათლის ხარისხი ქმნის.

მთავარი განსხვავება იმაშია, რომ წარმოდგენა განიცდება როგორც ჩემში — ჩემ „თავში“, შინაგანად მოცემული ხატი საგნისა, ხოლო აღქმა კი როგორც ჩემს გარეთ, ობიექტურად მოცემული რეალური საგანი — როგორც თვითონ საგანი და არა როგორც მისი ხატი, არა როგორც ჩემი განცდა საგნისა. აღქმის ამ თვისებას მის საგნობრივობას ან სენსორულობას უწოდებენ ხოლმე. ამ უკანასკნელი ტერმინის გამოყენებით ზემოთ აღნიშნული სხვაობა ასე გამოიხატება: აღქმა სენსორული ბუნების განცდაა, წარმოდგენა კი არა. წარმოდგენა გაცილებით ნაკლებ „გამოყოფილია“ პიროვნებისაგან, იგი განიცდება როგორც ჩემში (სუბიექტში) მიმდინარე პროცესი, იგი უფრო ინტიმურია, უფრო შინაგანია.

მეორე დიდი მნიშვნელობის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ წარმოდგენა შედარებით უფრო ზოგადია, ვიდრე აღქმა. ეს მისი თვისება დაკავშირებულია აღქმასთან შედარებით წარმოდგენის მეტ ბუნდოვნობასთან, მის ხარვეზოვნებასთან. წარმოდგენა არასოდეს არ ასახავს საგანს ყველა მის დეტალში და ყველა მისი სენსორული თვისების გარკვეულობით, როგორც აღქმა. ეს თვისება ხელს უწყობს წარმოდგენის მნიშვნელობის მეტ ზოგადობას. სახელდობრ. წარმოდგენაში უფრო ადვილად, ვიდრე აღქმაში აისახება მოცემული საგანი საზოგადოდ და არა ერთი რომელიმე მხრიდან. გარდა ამისა, მისი ხარვეზოვნებისა და ბუნდოვნების გამო წარმოდგენას უფრო ადვილად ეძლევა ზოგადი (საგანთა კლასის, საგანთა კატეგორიის) მნიშვნელობა. მისი მნიშვნელობის გონებრივი გადა-



მუშავება (ინტელექტუალიზაცია)<sup>1</sup> ადვილად ხერხდება. მართლაც, ზოგადი წარმოდგენის არსებობა (მაგალითად, „ცხოველის“ წარმოდგენა; „ქურქლის“, „ავეჯისა“ და ა. შ.) ფაქტია. ინტელექტუალური გადამმუშაების (ინტელექტუალიზაციის) შედეგად თვალსაჩინო წარმოდგენა ხშირად ზოგადი აზრის სიმბოლიურ მატარებლადაც გადაიქცევა.

### მ. „ასოციაციის კანონები“ ძველ ფსიქოლოგიაში

1. რა კანონზომიერებას ემორჩილება წარმოდგენათა ასოციაცია, რის მიხედვით ხდება გარკვეულ წარმოდგენათა დაკავშირება ასოციაციის სახით?

წარმოდგენათა ასოციაციის ფაქტი გაანალიზებული ჰქონდა ჯერ კიდევ ძველი დროის ფილოსოფოსებს (თუმცა ტერმინი ახალ დროს ეკუთვნის) და იმ დროიდან მე-19 საუკუნემდე ითვლებოდა, რომ წარმოდგენათა ასოციაცია 4 კანონს ემორჩილება, რომ არსებობს ასოციაციის 4 სახე, რასაც, ჩვეულებრივ, ასოციაციის არისტოტელისეულ კანონებს უწოდებენ.

**დროის, ანუ დროში მოსაზღვრეობის ასოციაცია.** ასოციაცია მყარდება ერთდროულად (ან თანამიმდევრობით) განცდილ წარმოდგენათა შორის. ორთქლმავლის საყვირის გაგონებამ იმიტომ გამოიწვია სადგურის (ან მატარებლის) წარმოდგენა, რომ ეს ორი რამ ბევრჯერ ერთდროულად იყო აღქმული.

**სივრცითი მოსაზღვრეობის ასოციაცია.** ასოციაცია მყარდება იმ საგანთა წარმოდგენებს შორის. რომელნიც სივრცეში მოსაზღვრედ იყვნენ აღქმული.

მაგალითად, ქალაქში ხბოს დანახვაზე ადამიანს სოფელი გაახსენდა, იმიტომ, რომ ხბო, ჩვეულებრივ, სოფელში უნახავს.

**მსგავსების ასოციაცია.** წარმოდგენა (ან აღქმა) იწვევს მსგავსის წარმოდგენას.

დიდი ტბის დანახვამ ზღვა მოგვაგონა, ფოტოსურათის დანახვამ — გადაღებული საგანი და ა. შ.

**კონტრასტის ასოციაცია.** წარმოდგენა (ან აღქმა) იწვევს თავის საწინააღმდეგო (კონტრასტული) წარმოდგენის ამოტივტივებას ცნო-

<sup>1</sup> წარმოდგენათა ზოგადობის ხარისხებისა და ინტელექტუალიზაციის პროცესში ზოგად აზრში თანდათანობითი გადასვლის შესახებ დაწერილებით იხ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1956, გვ. 329 — 343.

ბიერებაში. ძალიან დაბალი ტანის ადამიანის დანახვაზე შეიძლება მოგვაგონდეს ძალიან მაღალი ტანის ადამიანი. როდესაც მოვისმენთ ძალიან უზნეო ადამიანის შესახებ, შეიძლება გავგახსენდეს ძალიან სათნო ადამიანი და ა. შ.

2. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 ს. დასაწყისში ეს 4 კანონი დაიყვანეს ერთ კანონზე, დროის ასოციაციაზე. ამ შეხედულებით წარმოდგენათა ასოციაციის ნამდვილ „მექანიზმს“ შეადგენს წარმოდგენათა დაკავშირება მათი დროში დამთხვევის გამო.

ასოციაციის ყველა სახის დაყვანა დროის ასოციაციაზე ზოგჯერ (მეტადრე მსგავსების ასოციაციისა) საკმაოდ ხელოვნურ ხასიათს ატარებდა.

სიერცუში მოსაზღვრედ აღქმული, იმავე დროს, დროში დაკავშირებულად აღქმულს წარმოადგენს და, მაშასადამე, სიერციითი მოსაზღვრეობის ასოციაციის გამოყოფა გაუგებრობას წარმოადგენდა (ეს უდავოდ ასეა).

კონტრასტი ზოგმა ავტორმა ლოგიკური ხასიათის არგუმენტის საფუძველზე მსგავსების კერძო სახედ იგულისხმა, რადგანაც კონტრასტული მხოლოდ ერთი და იმავე კატეგორიის მოვლენებია და, მაშასადამე, მსგავსი მოვლენებია (მაგალითად, შაის კონტრასტული თეორია, ორივე ნეიტრალური ფერია, მაღალის—დაბალია, ე. ო. ერთი და იმავე თვისების—სიმაღლის—უკიდურესი გამოვლინებებია და ა. შ.).

მსგავსების ასოციაცია კი დაიყვანეს დროის ასოციაციაზე შემდეგი ფორმალური ხასიათის მსჯელობით, რომელიც არაერთარ ანგარიშს არ უწევს მოვლენის რეალურ ფსიქოლოგიურ ბუნებას; ორი მოვლენის მსგავსება ნიშნავს ზოგი ელემენტის (ეუწოდოთ მათ *a*) იგივეობას ორივე მოვლენაში და დანარჩენთა სხვაობას. ხოლო თითოეული მოვლენის მეორისაგან განსხვავებული ელემენტები საერთო ელემენტთან (*a*-სთან) ერთდროულობით არიან დაკავშირებული, რადგანაც თითოეული მოვლენის აღქმისას ისინი (ყველა ელემენტი) ერთად იყენენ აღქმული. მაშასადამე, ერთი მოვლენის აღქმისას მეორე (მსგავსი) მოვლენა რომ გვაგონდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მეორესთან საერთო ელემენტის (*a*) აღქმას მოჰყვა მეორე მოვლენის იმ დანარჩენ ელემენტთან რეპროდუქცია, რომლებიც ერთდროულობის გამო იყენენ დაკავშირებული საერთო ელემენტთან (*a*-სთან) ამ მეორე მოვლენის აღქმისას.

წარმოდგენათა ასოციაციის დაყვანა დროის ფაქტორზე ასოციაციური კავშირის უკიდურესად მექანიკურ გაგებას წარმოადგენს: წარმოდგენათა დაკავშირება მათი მხოლოდ დროში მოსაზღვრეობის გამო წმინდა გარეგანი, მექანიკური, შემთხვევითი, „ბრმა“ დაკავშირებაა: ერთდროულად შეიძლება აღქმული იყოს შინაარსეულად სრულიად დაუკავშირებელი, შემთხვევით ერთად მოხვედრილი საგნები (მაგალითად, გარკვეული ლიტერატურული ნაწარმოები და მის გვერდით მაგიდაზე დავიწყებული ლურსმანი).

#### 4. ასოციაციის თანამედროვე გაგება

1. ასოციაციის ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ წარმოდგენათა ასოციაცია არ არის ისეთი მექანიკური, წმინდა გარეგანი ბუნების დაკავშირება, როგორც ამას „ღროის ასოციაციის“ ცნება გულისხმობს. ერთი მხრივ, წარმოდგენათა განცდის მხოლოდ ერთდროულობა არ არის საკმარისი პირობა წარმოდგენათა შორის ასოციაციის დასამყარებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ასოციაციური კავშირი არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ ასოციაცია განხორციელდეს, ე. ი. რომ ერთ წარმოდგენას (ან აღქმას) მეორე — მასთან ასოციაციურად დაკავშირებული — წარმოდგენა მოჰყვეს.

ორივე შემთხვევაში, ე. ი. როგორც ასოციაციის შესაქმნელად, ისე მის განსახორციელებლად მნიშვნელოვან ფაქტორს თვით სუბიექტის — ცოცხალი ადამიანის, მთლიანი პიროვნების შინაგანი მდგომარეობა წარმოადგენს. ასოციაცია თუმცა უნებლიეს, მაგრამ მაინც პიროვნებისეულ პროცესს წარმოადგენს და არა თვით წარმოდგენათა „მექანიზმს“, როგორც ამას ასოციაციის ტრადიციული გაგება გულისხმობდა.

2. მართლაც, ზოგიერთი ობიექტის ერთხელობრივი ერთდროული აღქმაც საკმარისია, რომ ამ საგანთა წარმოდგენებს შორის მტკიცე ასოციაცია დამყარდეს, ზოგ საგნებს კი უთვალაჯერ ყოველდღიურად ერთად აღვიქვამთ, მაგრამ მათ წარმოდგენათა შორის ასოციაცია არ მყარდება.

როგორც ირკვევა, ასოციაცია ადვილად მყარდება იმ ერთდროულად განცდილ წარმოდგენათა შორის, რომელთა დაკავშირება რაიმე მხრივ პიროვნებისეულად მნიშვნელოვანი იყო — თუ წარმოდგენილი აზრობრივად ან სტრუქტურულადაა დაკავშირებული (მაგალითად, ერთ სტრუქტურას ქმნის, ერთი სტრუქტურის ნაწილებს წარმოადგენს), ანდა თუ რაღაცა პირობების გამო მათი დაკავშირება პიროვნებაში აღიბეჭდა.

ასე, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი პიანინოს მუდამ კედელთან მოსაზღვრედ ხედავს, ირკვევა, რომ ამ მოსაზღვრედ აღქმულ საგანთა წარმოდგენებს შორის ასოციაცია არ მყარდება, თუმცა ამ საგანთა ერთდროული აღქმა უთვალაჯერ მეორ-

დება ყოველდღიურად<sup>1</sup>. სახელდობრ, სიტყვა პიანინოს გაგონება ასოციაციურად იწვევს ხოლმე პიანინოს შავი ფერის, ნოტების, ნაცნობი დამკვრელის, პიანინოსთან მიმდგარი მრგვალი სკამის, როიალის და სხვა პიანინოსთან სტრუქტურულად ან აზრობრივად დაკავშირებულ საგანთა წარმოდგენას, მაგრამ არასოდეს არ მოგაგონებთ კედელს, ისევე, როგორც სიტყვა „კედელი“-ს აღქმა არ იწვევს პიანინოს წარმოდგენას. კედელი და პიანინო მოსაზღვრეთ უთვალავჯერ აღქმული, პიროვნებისეულად არ დაკავშირდის; პიანინო ერთ სტრუქტურაში შედის, ხოლო კედელი — მეორეში, მაგალითად, ოთახის თუ შენობის სტრუქტურაში და ა. შ.

მაგრამ საკმარისია რაიმე პირობათა გამო პიანინო და კედელი პიროვნებისათვის მნიშვნელოვნად დაკავშირდეს (ვთქვათ, ჩამონგრეულმა კედელმა პიანინო გაუტეხოს ადამიანს), რომ მათ წარმოდგენათა შორის მტკიცე ასოციაცია ადვილად დამყარდეს.

ასოციაცია ადვილად მყარდება იმ მოვლენათა წარმოდგენებს შორის, რომელნიც პიროვნების განცდაში რამენაირად დაკავშირდნენ, რომელთა კავშირი პიროვნების მოთხოვნილებათა და ინტერესთა სფეროში შეიქრა, ან ემოციურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს ადამიანის განცდაში:

მაგალითად, თუ იასამნის სუნი ადამიანმა ემოციურად ერთ მთლიანობაში განიცადა კავკასიონის ქედის წარმტაც პეიზაჟთან, რომელსაც ბაღში ყოფნისას უმზერდა, შემდეგში იასამნის სუნმა ოთახშიც შეიძლება გამოიწვიოს კავკასიონის ქედის წარმოდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურად („ლოგიკურად“) იასამნის სუნსა და კავკასიონს შორის არაერთგვაროვანი კავშირი არ არის. ასეთი დაკავშირება იმ შემთხვევაშიც შეიძლება მოხდეს, თუ სუბიექტს არც მიუქცევია ყურადღება იასამნის სუნისათვის, არ გაუცნობიერებია ეს სუნი, როდესაც კავკასიონის მზერით ტკბებოდა და იასამნის სასიამოვნო სუნი ამ ესთეტიკური სიამოვნების განცდის მთლიანობაში გამოუყოფლად შედიოდა.

ის ერთდროულად აღქმული ობიექტები (საგნები, მოვლენები, აზრები და ა. შ.), რომელთა მიმართ სუბიექტი ინდიფერენტული იყო, გაცილებით უფრო ძნელად დაკავშირდებიან ასოციაციურად, ვიდრე ის ობიექტები, რომელთა დაკავშირებამ რაიმე მხრივ

<sup>1</sup> ჩვენ ეს შემოწმებული გვაქვს წლების მანძილზე რამდენიმე ათას ადამიანზე — ქალაქის მცხოვრებზე.

დაარღვევა სუბიექტის შინაგანი წონასწორობა, — ყურადღება მიიქცია, გააკვირვა, შეაშინა, ალტაცება გამოიწვია თუ წყენა, თუ ეს კავშირი აზრობრივი, „ლოგიკური“ იყო, ან პირიქით — უცნაურად, უაზროდ ან კომიკურად მოეჩვენა სუბიექტს.

3. უკვე დამყარებული ასოციაციის განხორციელებაც — ე. ი. ასოციაციურად დაკავშირებული წარმოდგენის რეპროდუქციაც დაზოკიდებულია სუბიექტის სათანადო შინაგან მდგომარეობაზე, სათანადო განწყობაზე.

ექსპერიმენტულად დამტკიცებულია (კ. ლევინი), რომ უაზრო მარცვალთა რიგის გაზეპირების შემდეგ, როდესაც ცდისპირს უმტკიცესი ასოციაცია აქვს შექმნილი ამ მარცვალთა შორის, ამ რიგიდან აღებული ცალკე მარცვლის აღქმა სხვა მარცვალთა რიგში არ იწვევს პირველი რიგის დანარჩენ მარცვალთა რეპროდუქციას, თუ ცდისპირი არ არის სათანადოდ განწყობილი, ხოლო თუ ცდისპირი განწყობილია (სათანადო ინსტრუქციის მიღების შედეგად), პირველი რიგის მარცვალთა გასახსენებლად ერთ-ერთი მარცვლის აღქმა უმაღვე იწვევს მთელი რიგის უშეცდომო გახსენებას.

ამასვე ადასტურებს ფსიქოლოგ ვ. კელერის გონებამახვილური დაკვირვება: ყოველ ადამიანს ბავშვობიდანვე უმტკიცესი ასოციაცია აქვს შექმნილი ყოველდღიურ საგანთა წარმოდგენასა და ამ საგანთა სახელებს შორის (მაგალითად, მაგიდის წარმოდგენასა და სიტყვა „მაგიდას“, ან ფანქრის წარმოდგენასა და სიტყვა „ფანქარს“ შორის და ა. შ.).

მიუხედავად ამისა, ჩვენ სულ არ გვაგონდება ამ საგანთა სახელები, თუმცა თითოეულ მათგანს ათასჯერ აღვიქვამთ ყოველდღიურად. მაშასადამე, ეს უმტკიცესი ასოციაცია არ ხორციელდება — ასოციაციის მეორე წევრი (სიტყვის წარმოდგემა) არ ამოტივტივდება ცნობიერებაში პირველი წევრის (საგნის) აღქმისას. მაგრამ საკმარისია გაჩნდეს ეს საჭიროება — საკმარისია განვეწყოთ ამ საგანთა დასახსენებლად, რომ უმაღვე ამოტივტივდეს ცნობიერებაში მათი სახელები.

4. ასოციაციათა მიმართულებასაც სუბიექტის განწყობა განსაზღვრავს: ერთ და იმავე ადამიანთან ერთი და იმავე ობიექტის აღქმა განსხვავებულ ასოციაციებს იწვევს იმის მიხედვით, თუ როგორ არის იგი განწყობილი მოცემულ მომენტში. ამ კანონზომიერებას, სხვათა შორის, ფსიქოლოგ კარმიქელის ცდა ადასტურებს.

ცდისპირები გაყოფილია ორ ჯგუფად. ორივე ჯგუფს უჩვენებენ

ერთსა და იმავე ნახაზს — თეთრ ქაღალდზე დახატულ ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ ერთნაირ წრეს. ინსტრუქციაც ორივე ჭგუფს ერთნაირი ეძლევათ. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ ევალებათ ნახევნები ნახაზის რეპროდუქცია. ამ ორ ცდას შორის განსხვავება ის იყო, რომ ერთ ჭგუფს ნახაზის ჩვენებამდე წაუკითხეს ოპტიკური ხელსაწყოების სია, ხოლო მეორე ჭგუფს — სატანვარჯიშო იარაღთა სია. შედეგიც განსხვავებული აღმოჩნდა: პირველი ჭგუფის ცდისპირთა უმრავლესობა ნახაზის რეპროდუქციისას სათვალისებურ ნახაზს ხატავდა, ხოლო მეორე ჭგუფის უმრავლესობა — სავარჯიშო რგოლების მაგვარს. ცხადია, რომ თითოეული ჭგუფის ცდისპირების წარმოდგენათა რეპროდუქციის მიმართულება განსაზღვრა მოვლენათა გარკვეულ სფეროსადმი შემუშავებულმა განწყობამ, რომელიც აღმოცენდა ნახაზების ჩვენებამდე სათანადო სიტყვების მოსმენისას.

ასოციაციათა მიმართულებას და ხასიათს განსაზღვრავს ადამიანის გამოცდილების თავისებურებანი. ასე, მაგალითად, სხვადასხვა ასაკის ანდა სხვადასხვა პროფესიის ადამიანს ერთი და იმავე სიტყვის მოსმენაზე განსხვავებული ასოციაციები უჩნდება ხოლმე: ჭაბუკი და მოხუცი, მეზღვაური და ასოთამწყობი, მფრინავი და მებაღე, ერთი და იმავე სიტყვაზე ხშირად განსხვავებული სფეროდან აღებულ წარმოდგენათა რეპროდუქციით პასუხობენ<sup>1</sup>.

ექსპერიმენტულად მრავალგზის დამტკიცებულია, რომ როდესაც ადამიანს რაიმე ღრმად აღელვებს, ძლიერ აწუხებს და საზოგადოდ რაიმე ღრმა განცდები აქვს, მაშინ ყოველი სიტყვა, რომელიც რაიმენაირად, თუნდაც შორეულად უკავშირდება ამ განცდების მიზეზს, იწვევს სწორედ ამ განცდებთან, მათ მიზეზებთან დაკავშირებულ ასოციაციებს. ეს კანონზომიერება ფართოდ არის გამოყენებული ფსიქიატრიულ პრაქტიკაში ავადმყოფის ფსიქიკური ტრავმის საფუძვლების გამოსავლინებლად: ჩაკვეთრ ასოციაციათა უნებური მსვლელობა ადვილად ამოატივტივებს ხოლმე ავადმყოფის ცნობიერებაში იმ ფაქტებს, რომელიც მისი ფსიქიკური ტრავმის მიზეზი იყო.

## 5. ასოციაციის ფიზიოლოგიური საფუძველი

ი. პავლოვმა აღმოაჩინა ის ფიზიოლოგიური კანონზომიერება, რომელიც ასოციაციის ზოგად ფიზიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ეს არის „ღრობითი კავშირის“ დამყარება ერთდროულად

<sup>1</sup> ასოციაციის კვლევის მეთოდების შესახებ იხ. გ. კეჩუაშვილის დასახ. ნაშრომი. § 26

აგზნებულ კერათა შორის (იხ. ზემოთ I თავის § 4 — პირობითი რეფლექსი). როგორც პირობითი რეფლექსის შემუშავებისას, ისე ასოციაციის დამყარების შემთხვევაშიც დიდი ტვინის ორი კერის (ორი აგზნების ცენტრის) ერთდროული გაღიზიანების გამეორების შედეგად, ამ კერებს შორის აღმოცენდება „დროებითი კავშირი“, ე. ი. გააკაფება ნერვული გზა, რომლითაც აგზნება ერთ-ერთი ამ კერის გაღიზიანების შემთხვევაში მეორე კერაში გადადის და ააგზნებს მასაც.

ი. პავლოვი ამ მოვლენის შესახებ წერდა: „დროებითი ნერვული კავშირი უნივერსალური ფიზიოლოგიური მოვლენაა ცხოველთა სამყაროშიც და ჩვენშიც. ამასთან ერთად იგი ფსიქიკურია — ისაა, რასაც ფსიქოლოგიაში ასოციაციას უწოდებენ. იქნება ეს კავშირების შემუშავება ყოველნაირ მოქმედებათა თუ შთაბეჭდილებათა, ასოებისა, სიტყვებისა თუ აზრებს შორის“.

ფიზიოლოგიის განვითარების თანამედროვე დონეზე ასოციაციური მეხსიერების ყველა თავისებურების და, კერძოდ, მისი პიროვნებისეული ხასიათის ფიზიოლოგიური საფუძვლის გამოვლინება, თუმცა ჯერ არ არის მიღწეული, მაგრამ ამ მიმართულებითაც გადადგმულია პირველი ნაბიჯები. პავლოვის კვლევა-ძიებით დამტკიცდა, რომ დროებითი კავშირები მით უფრო ადვილად მყარდება და მით უფრო მტკიცე ხასიათისაა, რაც უფრო მეტია მათი ბიოლოგიური ღირებულება ცხოველისათვის, კერძოდ, პირობითი რეფლექსი, მით უფრო ძნელად მუშავდება ცხოველში და მით უფრო ადვილად ქრება, რაც ნაკლებია ძირითადი გამღიზიანებლის ბიოლოგიური მნიშვნელობა. მაგალითად, გამაძლარ ცხოველზე პირობითი გამღიზიანებლის დაკავშირება ნერწყვის გამოყოფის რეფლექსთან შეტად გაძნელებულია. მაშასადამე, დროებითი კავშირის შემუშავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სათანადო მოთხოვნის მოცემულობა, ე. ი. ინდივიდის, როგორც მთელის გარკვეული შინაგანი მდგომარეობა წარმოადგენს. ეს გარემოება შეესატყვისება ასოციაციის დამყარების პიროვნებისეულ ბუნებას.

#### ნაზისში არი მახსიარების ზოგადი მახასიათებლები

ასოციაციური მეხსიერებისათვის, როგორც დავინახეთ, განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი უნებლიე, პასიური ხასიათი — არც ასოციაციის დამყარება, არც ასოციაციური რეპროდუქცია

არაა დამოკიდებული ჩვენ ნებაზე. მაგრამ ადამიანის მეხსიერებისათვის განსაკუთრებით სპეციფიკურია მიზანდასახული, ნებისმიერი დახსომება და ნებისმიერი, მიზანდასახული გახსენება. ჩვენ გვაქვს უნარი ნებისმიერად დაეიხსოვოთ, დაეიწავლოთ ის, რაც გვკვირდება, რის დახსომებასაც საჭიროდ ვთვლით, მიუხედავად იმისა, გვაინტერესებს ჩვენ ეს მასალა თუ არა, და ნებისმიერად გავიხსენოთ სწორედ ის, რაც მოცემულ მომენტში გვკვირდება — საჭირო ამბავი, თეორია, ფორმულა, სახელწოდება, თარიღი, რიცხვი და ა. შ.

ცხადია, რომ ყოველგვარი სწავლის პროცესი მეხსიერების ამ სახეს ეყრდნობა ისევე, როგორც ყოველგვარი შრომა, რამდენადაც იგი მეხსიერების გამოვლინებას გულისხმობს, სწორედ ნებისმიერ მეხსიერებას ეყრდნობა.

მეხსიერების ეს ფორმა ყველა ფორმათა შორის ყველაზე უფრო მაღალგანვითარებულ სახეს წარმოადგენს. ამიტომაც, რომ ბავშვობის ასაკშიც ყველაზე უფრო გვიან ნებისმიერი მეხსიერება ვითარდება.

ნებისმიერი მეხსიერების ყველაზე უფრო დამახასიათებელ გამოვლინებას დასწავლა წარმოადგენს. დასწავლისათვის კი დამახასიათებელია აღქმის მიზანდასახული გამეორება დახსომების განზრახვით.

მაგრამ გამეორება როდია ყოველთვის აუცილებელი ცოდნის ნებისმიერი მიღებისათვის. ჭერ ერთი მოცემული მასალის (ამბის, ლიტერატურული ნაწარმოების, თეორიის, აღწერის და ა. შ.) ძირითადი შინაარსის დახსომება, თუმცა ჩვეულებრივ ნებისმიერ ხასიათს ატარებს, მაგრამ არ მოითხოვს გამეორებას და არ წარმოადგენს დასწავლას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით.

გარდა ამისა, ზუსტი „სიტყვა-სიტყვითი“ დახსომებაც ყოველთვის არ მოითხოვს გამეორებას, მეტადრე, თუ დახსომება შედარებით მცირე ხნით ხდება. ძალიან ხშირად ჩვენ ზუსტად ვიხსომებთ ტელეფონის ნომერს, გვარს, ტერმინს, უცხო საბელწოდებას, თარიღს, ფორმულას, სახლის თუ სასტუმროს ნომერს და ა. შ. ერთხელობრივი აღქმის შემდეგ, თუ ამის დახსომება აქტუალურ საჭიროებას წარმოადგენდა: გითხრეს ტელეფონის ნომერი, რომელიც ძალიან კვირდებოდა, სასტუმროში ჩასახლებისას გითხრეს ოთახის ნომერი და ზუსტად დაიხსომებ მას დასწავლის გარეშე.

საინტერესოა, რომ ასეთი დახსომება ჩვეულებრივ სიტუაციურ ხასიათს ატარებს, ე. ი. თავს იჩენს გარკვეულ სიტუაციაში, როდესაც ამ დახსომების საჭიროება მოცემული სიტუაციითაა გა-



პირობებული. შეიცვლება სიტუაცია, გადაივლის ამ ცოდნის აქტუალური საჭიროება და მოთხოვნები და ცოდნაც დაიკარგება — დახსომებული ნომერი, თარიღი თუ უცხო სახელწოდება დაგვაიწყდება!

მართლაც, საკმარისია ვახვიდე ქალაქიდან, სადაც სასტუმროში ცხოვრობდი, რომ უკვე ოთახის ნომერი დაგავიწყდეს, საკმარისია გათავდეს მეცადინეობა, რომ ლექციების ცხრილი ამოვარდეს ცნობიერებიდან, დამთავრდეს იმ ორგანიზაციასთან საქმიანობა, რომლის ტელეფონის ნომერი ვახსოვდა, რომ ეს ნომერი დაგავიწყდეს და ა. შ.

გამონაკლისის სახით ასე, ერთხელობრივი აღქმითაც შექმნილი ზუსტი ცოდნა ხანგრძლივ ხასიათს ატარებს: მტკიცედ ახსომდება ადამიანს ჩვეულებრივ ის შინაარსები, რომელთა ცოდნის მოთხოვნილება სიტუაციური კი არაა, არამედ მუდმივად აქტუალური რჩება. მაგალითად, მეცნიერი მუშაკი სამუდამოდ იხსომებს ერთხელ ამოკითხულს, მაგრამ მისი სპეციალობისათვის აქტუალური მნიშვნელობის მქონე ფორმულას, ტერმინს თუ დებულებას.

ზუსტი („სიტყვა-სიტყვით“), მტკიცე დახსომება, როგორც წესი, მასალის დასწავლის შედეგად მიიღწევა და საგანგებო სპეციფიკურ დაძაბვასა და ნებისყოფას მოითხოვს (იხ. ქვემოთ). საგულისხმოა, რომ ნებისმიერი ვახსენებაც ხშირად მოითხოვს სპეციფიკურ დაძაბვას, პიროვნების ენერჯის სათანადო კონცენტრაციას, რის შედეგადაც ხშირად გავიხსენებთ ისეთ შინაარსს, რომლის რეპროდუქციას ამ დაძაბვის გარეშე ვერ ვახდენთ.

საგანგებო დაძაბვას მოითხოვს ხოლმე ამ ცოდნის აქტივაცია, რომელიც არ შეესატყვისება მოცემულ სიტუაციას და ამიტომ თავის მიმართულებით სუბიექტის გადანაცვლებას მოითხოვს. მაგალითად, როდესაც ერთი საგნის ჩაბარებისას დაისმება კითხვა, რომელიც სხვა საგნის კონტექსტში აქვს შეთვისებული გამოსაცდელს, მას უჭირს ხოლმე ამ სხვა საგნის სტრუქტურაში შეთვისებული ცოდნის რეპროდუქცია, იგი საგანგებო დაძაბვას მოითხოვს ხოლმე.

## § 8. დასწავლის ფაქტორები

ცნობილია, რომ დასწავლის ეფექტი არსებითად განსხვავებულია არა მარტო სხვადასხვა ადამიანთან, არამედ ერთ და იმავე ადამიანთან სხვადასხვა დროს. ზოგჯერ დახსომება ადვილად ხდება და მტკიცე ხასიათს ატარებს, ზოგჯერ იგივე ადამიანი ძნელად იხსომებს და დახსომებულს მალე ივიწყებს. რა ფაქტორები განსაზღვრავენ ნებისმიერი დახსომების განსხვავებულ ეფექტს?

1. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ დასწავლა და საზოგადოდ ნებისმიერი მიზანდასახული დახსომება აქტიურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც სათანადო მიმართულებით, სახელდობრ, მასალის დახსომების მიმართულებით, ნებისყოფის წარმართვას გულისხმობს. გამეორება თავისთავად არ არის საკმარისი პირობა დახსომებისათვის. ეფექტის მიღებისათვის გამეორება უნდა ხდებოდეს დახსომების, მასალის დაუფლების განსაზღვრით, დახსომების მოთხოვნილებით. გამეორებისას დახსომება თავისთავად როდი ხდება. ვიხსომებ მე, აქტიური პიროვნება სათანადოდ წარმართული ნებისყოფის შედეგად. ფორმალური გამეორება დახსომების განზრახვის გარეშე — ფუჭია, იგი ეფექტს ვერ იძლევა.

ამ კანონზომიერებას მეტად დემონსტრაციულად ამტკიცებს ფსიქოლოგ როდოსაველევიჩის ერთ-ერთი ცდა: იგი ცდებს აყენებდა სტუდენტებზე. აძლევდა მათ დასასწავლად უაზრო მარცვალთა რიგს, რომელიც ათი მარცვლიდან შედგებოდა. საშუალოდ სტუდენტები ამ მასალას სწორად იხსომებდნენ 5—6 წაკითხვის შემდეგ, მაგრამ ერთმა სტუდენტმა ვერ დაიხსომა მარცვალთა რიგი 46 წაკითხვის შემდეგაც, რადგანაც, ვერ გაიგო, რომ მას მარცვალთა დახსომება ევალებოდა, ვინაიდან, როგორც მერე გამოირკვა, კარგად არ იცოდა ის ენა (გერმანული), რომელზედაც ეძლეოდა ინსტრუქცია ცდისპირებს. ხოლო მას შემდეგ, რაც მან გაიგო ამოცანა, მარცვალთა რიგს 5 წაკითხვის შემდეგ იხსომებდა.

ამრიგად, დასწავლის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს ნებისყოფა წარმოადგენს: დასწავლა აქტიური ნებისმიერი პროცესია.

2. აღსანიშნავია, რომ დასწავლის სიმტკიცეც მნიშვნელოვნად დაა დამოკიდებული ნებისყოფის ფაქტორზე. სახელდობრ იმ განზრახვის ხასიათზე, რომლითაც ხდება მასალის დასწავლა. თუ დასწავლა ხდება პატარა ხნით დახსომების განზრახვით, მაგალითად, დასწავლილის მალე „ჩაბარების“ მიზნით მხოლოდ, მაშინ დახსომებაც ხანმოკლეა, დასწავლილი მალე ავიწყდება ადამიანს; პირიქით, როდესაც დასწავლა ხდება მასალის დაუფლების, მისი სამუდამოდ დახსომების განზრახვით, დახსომებაც მტკიცე. ზანგრძლივ ხასიათს ატარებს.

ამ, ყოველდღიური დაკვირვებიდანაც ცნობილ კანონზომიერებას ექსპერიმენტულად ადასტურებს ფსიქოლოგ აალლის ცდა. მან სკო-

ლის ბავშვებზე კლასში ჩაატარა ორი ცდა: ორივე შემთხვევაში ზეპირად დასასწავლად მისცა თანაბარი მასალა, დროც, რომლის განმავლობაში წარმოებდა დასწავლა, ორივე ცდაში ერთი და იგივე იყო, განსხვავებული იყო მხოლოდ ის ინსტრუქცია, რომლითაც მიეცა მოწაფეებს დასასწავლი მასალა. ერთ ცდაში ბავშვებს უთხრეს, რომ დასწავლილს მეორე დღეს ჰკითხავენ, მეორე შემთხვევაში კი უთხრეს, რომ ერთი კვირის შემდეგ ჰკითხავენ. ამრიგად დასწავლის ყველა ობიექტური პირობა ზუსტად ერთი და იგივე იყო, განსხვავებული იყო მხოლოდ ის განზრახვა, რომლითაც სწავლობდნენ ბავშვები ერთსა და იმავე მასალას — ერთ შემთხვევაში სწავლობდნენ ხანმოკლე დროისათვის (ხვალისათვის), მეორე შემთხვევაში კი შედარებით დიდი დროისათვის.

ორივე ცდაში დასწავლილის შემოწმება ორი კვირის შემდეგ მოხდა; აღმოჩნდა, რომ დასწავლის განსხვავებულმა განზრახვამ ობიექტურადაც განსხვავებული შედეგი გამოიღო: აღმოჩნდა, რომ ცდისპირებს გაცილებით უკეთ ახსოვდათ ის ტექსტი, რომელიც ხანგრძლივი დროისათვის დახსომების განზრახვით დაისწავლეს.

#### აკტივობის ფაქტორი

უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტის აქტივობა საზოგადოდ დამახსოვრების და არა მხოლოდ ნებისმიერი მეხსიერების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს; დახსომების ფაქტორს წარმოადგენს არა მხოლოდ დახსომებაზე წარმართული ნებისყოფა, არამედ საზოგადოდ პიროვნების აქტივობა. შედარებით ადვილად და მტკიცედ ხდება იმ მასალის დახსომება, რომლის მიმართ სუბიექტს დიდი აქტივობის გამოვლენა მოუხდა.

ეს კანონზომიერება დაადგინეს ა. ა. სმირნოვმა, პ. ი. ზინჩენკომ და სხვ. თვით უნებური დახსომების პროცესში, მაგალითად, როდესაც ცდისპირი შეასრულებს, დავალების თანახმად, მოცემული სურათების კლასიფიკაციას, ირკვევა, რომ ის კარგად იხსომებს ამ სურათებს, თუმცა მათი დახსომება მას არ ევალეზობდა და სულაც არ ჰქონდა განზრახული<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. დაწვრილებით გ. კეჩუაშვილის დასახ. ნაშრომი, § 28

ექსპერიმენტულად მრავალჯერ დადასტურდა, რომ დასწავლის და, საზოგადოდ, დახსომების ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს მასალის გააზრების, მისი გონებრივი გადამუშავებისა და გაგების ფაქტორი წარმოადგენს, სხვა თანაბარ პირობებში მასალის დახსომება მით უფრო ადვილად, სწრაფად და მტკიცედ ხდება, რაც უფრო კარგად და ღრმად არის ეს მასალა გაგებული და გააზრებული<sup>1</sup>.

ინტერესის ფაქტორი

თანაბარ პირობებში ახალ მასალას მით უფრო ადვილად ვიხსოვებთ, რაც უფრო საინტერესოა ჩვენთვის ამ მასალის შინაარსი; არასაინტერესო შინაარსის ტექსტის დახსომება შედარებით ძნელია. ეს კანონზომიერება დიდი ხანია დადასტურდა ყოველდღიური დაკვირვებითაც და ექსპერიმენტულადაც.

მართლაც, ინტერესს იწვევს ის, რაც პიროვნების მოთხოვნილებათა სისტემაში ჩაერთვის, რაც, ასე ვთქვათ, „გამოხმაურებას“ პოულობს პიროვნებაში, რაც, გარკვეული აზრით, მნიშვნელოვნად განიცდება მოცემულ მომენტში, ხოლო ასე განცდილი მეტი ყურადღებითაც აღიქმება და უფრო ღრმად ჩაინერგება და „დაილექება“ პიროვნებაში, ვიდრე ის, რის მიმართაც სუბიექტი ინდიფერენტული რჩება.

მაგრამ დახსომების ფაქტორს წარმოადგენს არა მხოლოდ უშუალო ინტერესი მასალის შინაარსის მიმართ, რასაც „პირდაპირი ინტერესის“ ფაქტორს უწოდებენ, არამედ ეგრეთ წოდებული არაპირდაპირი ინტერესიც: ადამიანი შედარებით ადვილად და კარგად იხსომებს ხოლმე ისეთ მასალასაც, რომლის შინაარსი პირდაპირ ინტერესს არ იწვევს, მაგრამ რომლის დახსომების ამოცანა პიროვნების საერთო ინტერესების მიმართ უღებას შეესატყვისება, რომლის დასწავლის მნიშვნელობა შორეულ მიზანთა მისაღწევად შეგნებული აქვს სუბიექტს. ასე, მაგალითად, ახალგაზრდა, რომლის მთავარი მიზანია გახდეს მკურნალი, ექიმი, წარმატებით დაისწავლის ინსტიტუტში სწავლისას ფარმაცოლოგიას, თუ რეცეფტურას, რომლის შინაარსი სულ არ ეჩვენება მას საინტერესოდ. ეს წარმა-

<sup>1</sup> ინტელექტუალური ფაქტორის კვლევის შესახებ იხ. გ. კეჩუაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 174—180.

ტება გაპირობებულია არაპირდაპირი ინტერესით: ახალგაზრდას შეგნებული აქვს, რომ ამ საგნის კარგი ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ კარგი ექიმი გახდეს, რომ მიაღწიოს თავის მიზანს.

### გამოცდილების ფაქტორი

1. რაც უფრო მეტი გამოცდილება და ცოდნა გვაქვს იმ სფეროდაც, რომელსაც ეკუთვნის დასახსნომებელი მასალა, მით უფრო ადვილად და მტკიცედ ხდება ამ მასალის დახსნობა: რაც უფრო მეტ შინაარსებს დაუკავშირდება ჩვენს ცნობიერებაში ახალი მასალა, მით უფრო მტკიცედ და ადვილად ხდება მისი დახსნობა. წაქითხული ან მოსმენილი თეორიების, ფაქტების, აზრების თუ კანონზომიერებათა გარკვეულ ნაცნობ მოვლენებთან დაკავშირება ანალოგიების, პარალელების გატარება, გარკვეული ნაცნობი მოვლენებისადმი მიკუთვნება, ნაცნობ მოვლენებთან დაპირისპირება და ა. შ., არაჩვეულებრივად აადვილებს დახსნომებას და განამტკიცებს ახალ აღქმულ მასალას ჩვენს მეხსიერებაში.

2. მაგრამ „გამოცდილების ფაქტორი“ არა მხოლოდ ცოდნის მარაგის დადებით მნიშვნელობას გულისხმობს, მასალის დასწავლა თვით დასწავლის, როგორც სპეციფიკური მოქმედების გამოცდილებას აძლევს ადამიანს. როგორც ამბობენ, „სწავლით სწავლას ვსწავლობთ“. რაც უფრო მეტი გამოცდილება აქვს ადამიანს დასწავლაში, მით უფრო ეადვილება მას ახალი მასალის დასწავლა.

ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ დასწავლაში სისტემატური ვარჯიშის შედეგად დასწავლის უნარი საკმაოდ სწრაფად და მნიშვნელოვნად ვითარდება. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ მეხსიერება მისი მოქმედების გამო ძლიერდება, ვარჯიშდება როგორც „ძალა“, როგორც ფუნქცია, არამედ იმაშიც, რომ დასწავლის პროცესში ადამიანი მართლაც „სწავლას სწავლობს“, ე. ი. იმუშავებს დასწავლის რაღაც ხერხებს, რომელიც ნ შირად არცაა გაცნობიერებული, იქნეს მასალის სპეციფიკური გადამუშავების ჩვევებს კითხვისა და გამეორების პროცესში, მაგალითად, გარკვეული, დახსნომების დასაყრდენი მომენტების გამოყოფას, წინა პლანზე წამოწევას, მთავარის გამოყოფას და ა. შ.

### სტრუქტურისა და სისტემის ფაქტორი

სხვა თანაბარ პირობებში ბევრად უფრო დიდი მასალის უფრო ადვილი და მტკიცე დახსნობა ხდება მაშინ, თუ დასახსნომებელი მასალა გარკვეული სისტემის, ერთი მთლიანი სტრუქტურის

რის სახითაა გაერთიანებული, როდესაც ცალკე შინაარსები ერთიანდებიან უფრო დიდ მთლიანობაში, ვიდრე როდესაც დასახსომებელი მასალა არ არის გაერთიანებული.

ეს ეხება როგორც შედარებით მარტივ შინაარსებს, ისე უფრო რთული, დიდი მოცულობის შინაარსებსაც.

მაგალითად, განცალკევებულად მოცემული ასოების ან ციფრების დახსომება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე იმავე რაოდენობის ასოებისა ან ციფრებისა, როდესაც ასოები გაერთიანებულია მარცვლებში, ხოლო ციფრები — ორნიშნა ან სამნიშნა რიცხვებში. მარცვლების დახსომება კი უფრო ეფექტურია, როდესაც ისინი გაერთიანებული არიან რითმულ სტრუქტურებში. აზრიანი სიტყვების დახსომება გაცილებით უფრო ადვილია, როდესაც ისინი გაერთიანებული არიან ფრაზებში და ა. შ.

ელემენტები, რომელნიც შეადგენენ უფრო დიდ მთლიანობას, აღარ წარმოადგენენ სუბიექტისათვის სიმრავლეს. მაგალითად, 3 ასოდან შედგენილი მარცვალი (მაგალითად, „ზაშ“) სუბიექტისათვის ისევ ერთეულს — ერთ მთლიანობას წარმოადგენს და არა სამს.

საზოგადოდ კარგად სტრუქტურირებული მასალის, ე. ი. ერთიანი და თანაც დანაწევრებული მასალის დახსომება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მასალისა, რომელსაც არა აქვს მკაფიოდ გამოხატული სტრუქტურა. ამიტომაც ლექსის დაზეპირება გაცილებით უფრო ადვილი, ვიდრე პროზაული ტექსტისა. უაზრო მასალაც კი, თუკი მას ლექსის წყობა აქვს (რიტმი და რითმები), ადვილად დაისწავლება ზეპირად.

### ფიზიოლოგიური ფაქტორები

დახსომების ეფექტურობა დამოკიდებულია აგრეთვე ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე.

**დაღლილობა.** პირველ რიგში აღსანიშნავია დაღლილობის უარყოფითი ფაქტორი: ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ გონებრივი თუ ფიზიკური მუშაობით დაღლილი ადამიანის მეხსიერების ეფექტურობა მნიშვნელოვნად იკლებს.

**დღის დრო.** მეხსიერების ეფექტურობა ცვალებადობს აგრეთვე დღის დროის ფაქტორის გავლენით. ეს საკითხი ბევრჯერ გამოიკვლიეს ექსპერიმენტულად. ირკვევა, რომ თუმცა ამ მხრივ არსებობს ინტერინდივიდუალური სხვაობები — ზოგის მეხსიერება უკეთ მუ-

მაობს სალამოს, ზოგისა — დილას, მაგრამ, როგორც წესი, თანაბარ პირობებში დასწავლის სისწრაფე ოპტიმალური ადრის საათებში, ხოლო დასწავლის სიმტკიცე — სალამოს საათებში (თუ სუბიექტი არაა დაღლილი); ყველაზე დაბალი ნაყოფიერების პერიოდი კინაშუადღევის საათებია — ორი, სამი საათიდან — ხუთ-ექვს საათამდე.

სალამოს საათებში დასწავლის სიმტკიცეს, როგორც ჩანს, ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მასალის დასწავლის შემდეგ ადამიანი მალე იძინებს და სხვა ახალი შთაბეჭდილებების მიღება არ უშლის ხელს დასწავლილი შინაარსის განმტკიცებას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ფართოდ ცნობილი დაკვირვება ლაპარაკობს: ხშირად სალამოს სუსტად დასწავლილი დილას კარგად გვახსოვს, თუმცა მასალა არ გავვიმეორებია.

ფარმაკოლოგიური ფაქტორი. მეხსიერებაზე გავლენას ახდენს ფარმაკოლოგიური ნივთიერებანიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ალკოჰოლისა და კიდევ უფრო ისეთი ნარკოტიკების მეტად უარყოფითი გავლენა, როგორცაა მორფი, ოპიუმი, კოკაინი და ა. შ. ალკოჰოლის დიდი დოზები არა მხოლოდ სიმთვრალეში პათოლოგიურად აქვეითებენ მეხსიერებას, არამედ, სისტემატური ხმარების შედეგად, საზოგადოდ ფუნქციონალურად არღვევენ მას, ხოლო ძლიერი ნარკოტიკების სისტემატური ხმარება პირდაპირ ანადგურებს მეხსიერებას.

### შეგრძნების მოდულოზის ფაქტორი და მეხსიერების ტიპები

ფართოდ ცნობილია, რომ დახსომების ეფექტურობა განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რომელი მოდულოზის მასალაა დასახსომებელი. ეს საკითხი განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი მხედველობის, სმენისა და მოტორულ (კინესთეტიკურ) მოდულობათა მიმართ. თუმცა ირკვევა, რომ თანამედროვე ადამიანთა უმრავლესობის მეხსიერება შედარებით მეტ ეფექტურობას იძლევა მხედველობითი მასალის მიმართ (უმრავლესობას, მაგალითად, თავის თვალთ წაკითხული უფრო კარგად ახსომდება, ვიდრე მოსმენილი). მაგრამ ძირითადადში ამა თუ იმ მოდულოზის უპირატესობა დახსომების პროცესში ადამიანთა ინდივიდუალურ, ტიპოლოგიურ თავისებურებებზეა დამოკიდებული.

სახელდობრ, დიდი ხანია ტრადიციულად მიღებულია ამ ნიშნის მიხედვით, მეხსიერების 3 ტიპის გამოყოფა: იმის მიხედვით,

მხედველობით, სმენით, თუ კინესთეტიკურად აღქმულს უკეთ იხსომებს ადამიანი, არჩევენ მეხსიერების მხედველობით ანუ ოპტიურს, სმენით ანუ აკუსტიურს და მოძრაობით ანუ მოტორულ ტიპს.

პირველი ტიპის მეხსიერების ადამიანისათვის დამახასიათებელი არა მხოლოდ უკეთესი დახსოვნება ოპტიურად აღქმულისა, არამედ მეხსიერებისა და აზროვნების პროცესებში ოპტიკური წარმოდგენების დომინირება. მეორისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ უკეთესი დახსოვნება სმენით აღქმულისა, არამედ სმენითი წარმოდგენების დომინირება.

ასე, მაგალითად, თუ ორი ასეთი ტიპის ადამიანი ვინმეს მოიგონებს, პირველი წარმოიდგენს უმთავრესად მის აღქმულ გარეგნობას, — წარმოიდგენს სახეს, ტანსაცმელს და ა. შ., მეორე კი პირველ რიგში მის ხმას გაიხსენებს და ა. შ.

მესამე — მოტორული ტიპის ადამიანი, განსაკუთრებით კარგად იხსომებს ისეთ მასალას, რომლის აღქმაში კინესთეტიკური შეგრძნებები მონაწილეობენ — საკუთარ მოძრაობას, მოტორულ ჩვევას, სატანვარჯიშო მოძრაობას, ცეკვას და ა. შ., ხოლო წაკითხულს ან მოსმენილ შინაარსებს განსაკუთრებით კარგად იხსომებს მაშინ, თუ მათი აღქმა დაუკავშირდა მის საკუთარ მოძრაობებს: მაგალითად, თუ დაწერა დასახსოვრებული მასალა ან მისი კითხვისა და მოსმენის დროს თვითონ, თუნდაც ხმაამოუღებლივ, სათანადოდ აამოძრავა მეტყველების ორგანოები ამ მოსმენილი სიტყვების გამოსათქმელად. ამ ტიპის ადამიანის მოგონებებში ჭარბობს მოძრაობათა (კინესთეტიკური) წარმოდგენები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა სახით აღწერილი ტიპები შედარებით იშვიათია, ადამიანთა უმრავლესობა „ნარეკ“ ტიპს წარმოადგენს, ოღონდ ერთ-ერთი ტიპისავენ მეტ-ნაკლები გადახრით — მაგალითად, „აკუსტიკურ-მოტორულს“ ან „აკუსტიკურ-ოპტიურს“ და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ მეხსიერების ტიპის ჩამოყალიბებაზე მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენენ ცხოვრების პირობები, განსაკუთრებით პროფესია, ბავშვობიდანვე მიღებული ჩვევები, მეცადინეობის ხასიათი და ა. შ.

რაც შეეხება მეხსიერების ამ ტიპების მეტ-ნაკლებ ღირებულებას, იგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა საქმეს აკეთებს ადამიანი. რა პროფესიით უხდება მუშაობა.



#### § 4. დასწავლის წესები და კანონზომიერებანი

დასწავლის კანონზომიერებანი შესწავლილია ექსპერიმენტულად. დადგენილია რაციონალური დასწავლის წესების რიგი.

##### „გლობალური დასწავლის“ წესი

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სჯობია მასალის (მაგალითად, ლექსის) დაზეპირება — მთელი მასალის თავიდან ბოლომდე კითხვით ანუ გლობალურად, თუ ნაწყვეტ-ნაწყვეტად — „ფრაგმენტალურად“, ბევრჯერ შეადგენდა ექსპერიმენტული კვლევის საგანს. დადგინდა, რომ გლობალური დასწავლა უფრო ნაყოფიერია, განსაკუთრებით დახსოვების სიმტკიცის მხრივ, ოღონდ, რა თქმა უნდა, თუ დასაზეპირებელი მასალა არ არის ძალიან დიდი (მაგალითად, მთელი პოემის დაზეპირება, მისი თავიდან ბოლომდე კითხვით, არაა მიზანშეწონილი). უკანასკნელ შემთხვევაში დიდი ტექსტი უნდა დაიყოს მთლიანი ხასიათის შედარებით უფრო მცირე ნაწილებად, რომელსაც თავისი დასრულებული სტრუქტურა გააჩნია (მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ შედარებით ვრცელ მთლიან ნაწილებს სტროფები შეადგენენ), ხოლო თითოეული ასეთი ნაწილის დასწავლა უნდა ხდებოდეს მაინც გლობალური წესის მიხედვით.

მთლიანად დასწავლის წესის უპირატესობას, ძირითადად, ორი ფაქტორი განსაზღვრავს. ასეთი წესით დასწავლისას, ცხადია, უფრო მოქმედებს დასწავლის ინტელექტუალური ფაქტორი (იხ. ზემოთ): ფრაგმენტული დასწავლის დროს აზრი წყდება.

ამას გარდა, ფრაგმენტული დასწავლისას ზედმეტი, ხელშემშლელი ასოციაციები მყარდება ყოველი ცალკე დასწავლილი ნაწყვეტის უკანასკნელსა და პირველ სიტყვას შორის, რადგანაც ნაწყვეტის გამეორებისას სუბიექტი ნაწყვეტის უკანასკნელი სიტყვიდან ისევ პირველ სიტყვაზე გადადის. ასეთი ასოციაციები, ცხადია, ხელს უშლის ტექსტის სწორ რეპროდუქციას. გლობალური დასწავლა ამ ნაკლისაგან თავისუფალია.

მაგრამ გლობალურ დასწავლას სხვა ნაკლი გააჩნია — ტექსტის ყოველ დეტალს ვერ ექცევა საკმაოდ ინტენსიური ყურადღება.

##### „პროგრესული დასწავლის“ წესი

ფსიქოლოგმა რიდმა ექსპერიმენტულად დაადგინა, რომ არსებობს ზეპირად დასწავლის კიდევ უფრო რაციონალური წესი, რომელიც აერთიანებს როგორც გლობალური, ისე ფრაგმენტული წე-

სის უპირატესობებს. ეს არის „პროგრესული დასწავლა“. ეს წესი შემდეგში მდგომარეობს: მასალას ჰყოფენ ნაწილებად (მაგალითად, ლექსს სტროფებად), მაგრამ თითოეულ ნაწილს სულ ცალ-ცალკე როდი სწავლობენ: ჯერ, არა საესებით, დაისწავლიან პირველ ნაწილს, მერე მეორეს, მერე ორივეს ერთად იმეორებენ, შემდეგ მესამეს, მერე სამივეს ერთად და ა. შ. „პროგრესული“ წესით.

ასეთი წესით დასწავლის შედეგად, ერთი მხრივ, დასწავლის პროცესში ცნობიერებაში ყალიბდება მთლიანი მასალა. ხოლო, მეორე მხრივ, დეტალებსაც ექცევა ყურადღება.

### მასალის მოცულობის გავლენა დასწავლის სისწრაფეზე

გლობალური დასწავლის წესი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მაშინ არის ნაყოფიერი, თუ გასამეორებლად აღებული ტექსტი არ არის დიდი. მართლაც, საკითხის ექსპერიმენტული შესწავლით გამოირკვა, რომ ზეპირად დასასწავლი მასალის დიდი მოცულობა მეტად უარყოფითად მოქმედებს დასწავლაზე: მოცულობის ზრდა იწვევს დასაზეპირებლად საჭირო გამეორებათა შეუდარებლად უფრო დიდ ზრდას.

მაგალითად, სამჯერ ან ოთხჯერ გაზრდილი დასაზეპირებელი მასალა მოითხოვს მის დასასწავლად გაცილებით უფრო მეტად გაზრდილ დროს ან გამეორებათა რიცხვს. დასწავლის ამ კანონზომიერებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დიდი მოცულობის მასალის დაზეპირება აუცილებლად მოითხოვს მის დაყოფას; ეს იძლევა დროის დიდ ეკონომიას.

### გამეორებათა შორის ინტერვალი

დაზეპირების პროცესში გამეორებათა შორის ინტერვალის ხანგრძლიობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დასწავლის სისწრაფეს ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დასაზეპირებლად საჭირო გამეორებათა რიცხვს. სახელდობრ, გამეორებათა შორის საკმაოდ დიდი ინტერვალის დაცვის შემთხვევაში დაზეპირება ხორციელდება ნაკლებ გამეორებათა შემდეგ.

ასე მაგალითად, ფსიქოლოგ იოსტის ცდაში ცდისპირებს 20 ციფრის დასაზეპირებლად სკირდებოდათ 11 გამეორება, როცა ინტერვალი გამეორებათა შორის უდრიდა  $1\frac{1}{2}$  წუთს, ხოლო ინტერვალის გაზრდასთან ერთად, ისევ 20 ციფრის დასასწავლად სულ უფრო ნაკლები გამეორება ხდებოდა საკმარისი, სანამ ინ-

ტერვალმა არ მიაღწია 20 წუთს; ოცწუთიანი ინტერვალით 20 ციფრის დაზეპირება საშუალოდ მხოლოდ 4 1/2 გამეორებას მოითხოვდა. ინტერვალის შემდეგი გაკლებები აღარ იწვევდა გამეორებათა რიცხვის შემცირებას, ხოლო ინტერვალის გადიდება 24 საათზე ზევით უკვე უარყოფითად მოქმედებდა, ე. ი. უკვე იდიდებდა დასაზეპირებლად საჭირო გამეორებათა რიცხვს.

როგორც ვთქვით, ინტერვალის დადებითი მნიშვნელობა ნაწილობრივ ვრცელდება დახსოვების სიმტკიცეზე და ც; სახელდობრ, გამოირკვა, რომ სწრაფად, ე. ი. მოკლე დროში დახსოვლილი სწრაფადვე გვაგიწყდება, ხოლო დახსოვლის განაწილება ხანგრძლივ პერიოდზე, მტკიცე დახსოვებას იძლევა.

### ინტერვალის თანდათანოვითი გადიდება

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ გამეორებათა შორის ინტერვალი არ უნდა იყოს ერთი და იგივე: მასალის დასწავლის პროცესში ინტერვალი თანდათან უნდა იზრდებოდეს: დასაწყისში საჭიროა შედარებით ხშირ-ხშირი გამეორება, მაგრამ შემდეგ, მასალის ჩვენს მეხსიერებაში სულ უფრო მეტ განმტკიცებასთან ერთად, ინტერვალი უნდა დიდდებოდეს, ისე რომ უკანასკნელი გამეორებები, რომელიც მაშინ წარმოებს, როდესაც მასალა ძირითადში უკვე გვახსოვს ზეპირად, უნდა განაწილდეს რამდენიმე დღეზე: ზედიზედ მოყოლებული რამდენიმე გამეორება თითქმის არაფერს მოუმატებს ძირითადად უკვე დახსოვებული მასალის ცოდნას, ხოლო იმავე რაოდენობით გამეორების მნიშური ეფექტი დიდი იქნება, განსაკუთრებით დახსოვების სიმტკიცის მხრივ, თუ ეს გამეორება განაწილდება უახლოეს ორ-სამ დღეზე.

### გამეორების რიგითი ადგილის კანონი

ექსპერიმენტულად გამორკვეულია, რომ დაზეპირების პროცესში გამეორებათა მნიშური ღირებულება განსხვავებულია; სახელდობრ, ამ მიმართულებით შემდეგი ზოგადი წესი არსებობს: ყველაზე დიდი მნიშური ღირებულება აქვს პირველ გამეორებას, შემდეგ თითოეული გამეორების მნიშური მნიშვნელობა თანდათან კლებულობს, ისე რომ თანაბარ პირობებში თითოეული მომდევნო გამეორება სულ ნაკლებ ეფექტს იძლევა დაზეპირებისათვის; ასე ვთქვათ; სულ ნაკლებს უმატებს დახსოვებას, თუმცა, ცხადია, რალაც ეფექტს ყოველი გამეორება იძლევა, თუკი იგი სათანადო განზრახვით და ყურადღებით წარმოებს.

მტკიცე დახსომება აუცილებლად მოითხოვს მასალის გამეორებას მას შემდეგაც, რაც იგი პირველად სწორად იყო აღდგენილი ზეპირად. ასეთ გამეორებას მასალის დახსომების შემდეგ, „ჰარბს“, გადამეტებულ განმტკიცებას — „ჰიპერფიქსაციას“ უწოდებენ. ასეთი განმტკიცების გარეშე ზეპირად დახსომებული მასალა მალე გვავიწყდება

**მასალის ადგილმდებარეობის კანონი**

დანარჩენ თანაბარ პირობებში ზეპირად დასასწაველი მასალის რიგიდან შედარებით უფრო სწრაფად და საზოგადოდ უკეთესად გვახსომდება ხოლმე პირველი და უკანასკნელი ელემენტები, მაგალითად, მარცვალთა, რიცხვთა, სიტყვათა, სურათთა და ა. შ. რიგიდან ერთი წაკითხვით ჩვეულებრივ პირველი და უკანასკნელი ერთეულები (სიტყვები, რიცხვები და ა. შ.) გვახსომდება ხოლმე.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მასალის ადგილმდებარეობის ეს კანონი აზრიანი მასალის შემთხვევაში ხშირად იჩრდილება სხვა ფაქტორებით, განსაკუთრებით კი სუბიექტის ინტერესის ფაქტორით: ის სიტყვა, სურათი თუ რიცხვი, რომელიც ძველი გამოცდილებისა თუ სხვა რაიმე გარემოების გამო, შედარებით უფრო აღიბეჭდება ემოციურად, სუბიექტს უფრო კარგად დაახსომდება ხოლმე, მიუხედავად იმისა, რა რიგითი ადგილი ჰქონდა მას დასასწავლ მასალაში, მაგრამ თანაბარ პირობებში, რიგითი ადგილმდებარეობის კანონი მტკიცედ ვლინდება ხოლმე.

ითვლება, რომ ამ კანონის ერთ-ერთი საფუძველია ის გარემოება, რომ რიგის პირველი ერთეულის აღქმა განსაკუთრებული ხაზგასმით, განსაკუთრებული აქცენტით ხდება, რადგანაც იგი დახსომების პირველი იმპულსით აღიქმება, ხოლო უკანასკნელი იმიტომ აღიბეჭდება ცნობიერებაში, რომ მის შემდეგ სხვა მასალის აღქმა აღარ ხდება და არაფერი უშლის ხელს შთაბეჭდილების გაღრმავებას.

**მასალის გაერთიანების წესი**

როგორც ზემოთ დავინახეთ, დახსომების ერთ-ერთ ფაქტორს მასალის სტრუქტურისა და წარმოადგენს. აქედან გასაგებია, რომ დასწავლისას დროისა და ენერგიის დიდ ეკონომიას იძლევა დასასწავლი ელემენტების გაერთიანება უფრო დიდ ერთეულებში, მათი

სტრუქტურის ცილა უფრო დიდი მთლიანობის სახით. ასეთი გაერთიანების შედეგად დასასწავლი „ერთეულების“ რაოდენობა სუბიექტისათვის კლებულობს (შეადარე — აღქმის მთლიანობა, III თავი), თუმცა მასალის მოცულობა იგივე რჩება. ასე, მაგალითად, 8 ასოს დახსომებას იმდენივე ენერგია სჭირდება, რამდენიც 8 მარცელის დახსომებას, თუმცა უკანასკნელი სამჯერ მეტ ასოს შეიცავს. დასახსომებელი ციფრების გაერთიანება ორნიშნა რიცხვებში, დასახსომებელი სიტყვების გაერთიანება წინადადებებში და ა. შ. მნიშვნელოვნად ზრდის ერთი და იმავე დროის მონაკვეთში დასწავლილ მასალას.

### აქტიურ გახეობაათა წესი

დაზეპირება უფრო სწრაფად ხდება და უფრო მყარი ხასიათისაა, თუ სუბიექტი გამეორებათა პროცესში ადრე გადადის „აქტიურ“ გამეორებებზე, ე. ი. თავს ანებებს კითხვას და ცდილობს მასალის რეპროდუქცია მოახდინოს, — წიგნში მხოლოდ მაშინ ჩახედოს, როდესაც რომელიმე ადგილი ვერ აგონდება.

დასწავლის ასეთი წესი იმიტომ ზრდის დახსომების ეფექტს, რომ მასალის დაუფლება ამ წესით უფრო აქტიურ ფორმას ატარებს, ხოლო სუბიექტის აქტივობა დახსომების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია (იხ. ზემოთ), გარდა ამისა, ასეთი წესით დასწავლისას სუბიექტი ძალაუნებურად მეტ ყურადღებას აქცევს იმ ადგილებს, რომელიც ძნელად ახსომდება, ე. ი. რომელსაც ვერ გაიხსენებს მასალის წარმოთქმისას.

### „გუნებრივი ტემპით“ კითხვის წესი

როგორ ვიკითხოთ ტექსტი დაზეპირების მიზნით — ჩქარა თუ ნელა? ეს საკითხი ექსპერიმენტულად იყო შესწავლილი და გამოირკვა, რომ ყველაზე უფრო რაციონალურია დასწავლის თვალსაზრისით იმ ტემპით კითხვა, რომელიც კითხვის ბუნებრივ ტემპს წარმოადგენს მოცემული სუბიექტისათვის. კითხვის არც აჩქარება, არც შენელება დაზეპირებისათვის არ არის მიზანშეწონილი.

მოქმედების ბუნებრივი ტემპი ეწოდება მოქმედების იმ ტემპს, რომელიც ახასიათებს თითოეულ კონკრეტულ სუბიექტს. ამ მხრივ აღამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. არსებობენ მეტ-ნაკლებად ჩქარი ტემპის აღამიანები, მათთვის ბუნებრივია ყოველგვარი მოქმედების ჩქარი ტემპით შესრულება, ისინი ჩქარა დადიან, ჩქარა

ლაპარაკობენ, ჩქარა ჰამენ, ჩქარა მუშაობენ და ა. შ. არსებობენ ნელი ტემპის ადამიანები, ისინი ყოველ მოქმედებას ნელი ტემპით ასრულებენ. მათთვის ეს ისეთივე ბუნებრივია, როგორც პირველთათვის ჩქარი მოქმედება. თითოეული ადამიანის მუშაობა და ყოველგვარი მოქმედება უფრო პროდუქტიულია, თუ ის მისთვის ბუნებრივი ტემპით მოქმედებს. როგორც აღვნიშნეთ, გამოირკვა, რომ მასალის დახსომებაც უფრო ეფექტურია, თუ მისი ალქმის (კითხვის) პროცესი ყოველი სუბიექტისათვის ბუნებრივი ტემპით წარმოებს.

## დასწავლის უნარის განვითარება დასწავლის შედეგად

როგორც დავინახეთ, დახსომების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს საზოგადოდ გამოცდილების ფაქტორი და, კერძოდ, დასწავლის, დაზეპირების ფაქტორი წარმოადგენს. როგორც ექსპერიმენტული კვლევის შედეგად მრავალგზის გამოირკვა, მეხსიერება ძალიან ვარჯიშებადი ფუნქციაა: დასწავლის უნარი სწრაფად და მნიშვნელოვანი ხარისხით ვითარდება დასწავლაში ვარჯიშის შედეგად. მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ დასწავლის პროცესში ადამიანი შეიმუშავებს ხოლმე დასწავლის ხელსაყრელ ხერხს (იხ. ზემოთ — გამოცდილების ფაქტორი).

## § 6. დ ა ვ ი წ ე ბ ა

### დავიწყების მნიშვნელობა

ამბობენ: „როგორც არ არსებობს ადამიანი, რომელიც არაფერს არ იხსომებს, ისე არ არსებობს ადამიანი, რომელიც არაფერს არ ივიწყებს“. დავიწყება მეხსიერების აუცილებელი მეორე მხარეა.

დავიწყების უარყოფითი მნიშვნელობა თავისთავად ცხადია: ადამიანი კარგავს იმ ცოდნას, რაც მას სჭირდება. მაგრამ დავიწყებას დადებითი მნიშვნელობაც აქვს: მეხსიერების მოცულობა არაა უსაზღვრო. ყველაფრის დახსომება შეუძლებელია. აქედან გასაგებია, რომ მეხსიერება შერჩევით ხასიათს ატარებს. დავიწყება, თუკი იგი სათანადო შინაარსებს ეხება, ხელს უწყობს იმ შინაარსების შენარჩუნებას მეხსიერებაში, რომელიც პიროვნებისათვის უფრო მნიშვნელოვანია. გარკვეული ხასიათის შინაარსების დავიწყების წყალობით ადამიანი თავისუფლდება მისთვის ზედმეტი შთაბეჭდილებებისაგან და ათავისუფლებს ცნობიერებას უფრო მნიშვნელოვანისათვის.

დავიწყების ასეთი დადებითი მნიშვნელობის თვალსაჩინო მაგა-

ლითს წარმოადგენენ „სიტუაციური მეხსიერების“ ზემოთ მოყვანილი ფაქტები (ნომერის, მისამართის, ცხრილის და ა. შ. დავიწყება, როდესაც მათი ცოდნა აღარ სჭირდება სუბიექტს).

ამასვე ადასტურებს იმ მოვლენათა წრის არსებითი შეცვლა, რომელსაც განსაკუთრებით აღვილად ივიწყებს პიროვნება თავის განვითარების ეტაპების მიხედვით ადრე ბავშვობიდან სიბერემდე სუბიექტის ინტერესთა სფეროს შეცვლასთან დაკავშირებით.

### დავიწყების გამოვლინებაანი

დავიწყება შექმნილი შინაარსის მხოლოდ სრულ დაკარგვას როდი გულისხმობს. იგი ვლინდება მთელ რიგ სიმპტომებში. აი, დავიწყების ძირითადი გამოვლინებები:

1) დახსოვებული შინაარსის სინათლის ან გარკვეულობის დაკარგვა. ნათლად დახსოვებული შინაარსი მკრთალდება, თვალსაჩინო წარმოდგენები ბუნდოვანი ხდება. შინაარსის ცოდნა ქვეითდება, ღარიბდება. როგორც ვხედავთ, დავიწყება ამ შემთხვევაში თვით დახსოვებულ შინაარსებს და არა მათ შორის კავშირებს ეხება.

ზოგი ავტორი ამას „სტატეკური მეხსიერების“ შესუსტებას უწოდებს.

2) კავშირების დაკარგვა. დახსოვებულ შინაარსებს შორის კავშირები სუსტდება და ბოლოს წყდება, რის გამოც დახსოვებული მასალის მთლიანობა ირღვევა. ადამიანს ახსოვს ცალკე მომენტები, მაგრამ მთლიანი შინაარსი (ამბავი, თეორია და ა. შ.) აღარ ახსოვს.

ზოგი ავტორი ამას „დინამიკური მეხსიერების“ შესუსტებას უწოდებს.

3) გავარჯიშების, ანუ დასწავლის ეფექტის დაკარგვა. როდესაც მასალის დასწავლის შემდეგ იგი იმდენად არ გვახსოვს, რომ ჩვენით აღვიდგინოთ, მაგრამ დასწავლის ეფექტი იმდენად მაინც შენარჩუნებულია, რომ საკმარისია ხელახლა გადავიკითხოთ ეს მასალა, რომ აღვადგინოთ იგი ზეპირად, ამის შემდეგ დავიწყების პროცესის გაღრმავება იმაში ვლინდება, რომ მასალის სულ მეტი და მეტი გამეორება გვჭირდება მის აღსადგენად. ამრიგად დავიწყება ვლინდება დასწავლის ეფექტის სულ უფრო და უფრო მეტ დაკარგვაში. მისი მაჩვენებელია დასწავლილი მასალის მეხსიერებაში აღსადგენად საჭირო გამეორებათა რიცხვი.

4) სიმტკიცის დაკარგვა. დავიწყებულის გასახსენებლად სულ მეტი დაძაბვა, მეტი ძალისხმევა სჭირდება სუბიექტს. ამრიგად, დავიწყება გახსენების სიძნელეში ვლინდება.

5) გამოცდილების დაკარგვა. დავიწყება ისე შორს მიდის, რომ სუბიექტს ავიწყდება არა მხოლოდ მოცემული კონკრეტული შინაარსი, არამედ იკარგება ის საერთო გამოცდილებაც მოვლენათა სათანადო სფეროს მიმართ, რომელიც ამჟამად დავიწყებული ცოდნის შექმნის შედეგად იყო მიღებული. მაგალითად, ადამიანს არა მხოლოდ ნიუტონის ბინომი დაავიწყდა, არამედ დაკარგა მთელი ის გამოცდილება ალგებრული აზროვნების სათანადო სფეროდან, რომელიც ბინომის გაგებისთვისაა საჭირო.

### დავითაჲის პარადოქსალური ფორმა

ფსიქოლოგიურად მეტად საინტერესოა დავიწყებისა თუ მეხსიერებაში შენარჩუნების ერთი სახე, რომელიც ჯერ კიდევ ა. ჩეხოვის იუმორისტულად, მაგრამ დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით ჰქონდა აღწერილი მოთხრობაში „Лошадиная фамилия“. მოცემული შინაარსი (ჩეხოვის მოთხრობაში გვარი) იმდენად დავიწყებულია, რომ სუბიექტს მისი გახსენება არ შეუძლია. ეს შინაარსი (უცხო სიტყვა, ტერმინი, გვარი, ანდაზა, დებულება) ცნობიერად აღარა გვაქვს მოცემული, მაგრამ პიროვნებისათვის სავსებით დაკარგული მაინც არ არის. ჯერ ერთი, ადამიანმა მაინც იცის დაახლოებით რა სახისაა, სინამდვილის რა სფეროს ეკუთვნის ეს „დავიწყებული“ შინაარსი: მაგალითად, რომ დავიწყებული გვარი რალაცნაირად ცხენთანაა დაკავშირებული („Лошадиная фамилия“) და, გარდა ამისა, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, — თუმცა ცნობიერად დავიწყებული შინაარსი აღარ გვაგონდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენში ის მაინც რალაცნაირად მოცემულია, რადგანაც, როდესაც გვაწვდიან დავიწყებული შინაარსის მსგავს სხვა შინაარსებს, ჩვენ მაინც მტკიცედ ვიცით, რომ ეს მოწოდებული შინაარსი სხვა არის, რომ ეს ის არ არის, რაც ვერ გვაგონდება, ხოლო რა წამს აღვიქვამთ დავიწყებულს, უმალვე გაგვახსენდება, რომ ეს სწორედ ის არის, რაც ვერ გავიხსენეთ. მასასადამე, რალაცნაირად ეს დავიწყებული შინაარსი მაინც ასახულია ადამიანში, —



მთლად დაკარგული არ ყოფილა, თუმცა ცნობიერად იგი მოცემული არაა!

ასე, მაგალითად, ჩეხოვის მოთხრობის გმირი კატეგორიულად უარყოფდა ცხენთან დაკავშირებულ ყველა სხვა გვარს (Жеребцов, Кобылицын, Лошадкин, Меринов...), რასაც მას ეუბნებოდნენ, სანამ არ გაიგონა სიტყვა „овес“, რომელმაც გაახსენა დავიწყებული გვარი (Овсов).

ამ მოვლენის ასახსნელად მეცნიერებაში წამოყენებულია სხვადასხვა ჰიპოთეზა. ქართული საბჭოთა ფსიქოლოგის დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით აღაშინაში იმ შინაარსის ასახვა, რომელიც არ არის მოცემული ცნობიერად, განწყობისეულ ასახვას წარმოადგენს, ე. ი. აღაშინაში ამ შინაარსის შესატყვისი განწყობა აქვს შენარჩუნებულ და ამიტომ, თუმცა მას იგი ცნობიერად არ ახსოვს, მაგრამ ყოველი სხვა შინაარსის მიმართ იგი „გრძნობს“, რომ ეს სხვა არის, ე. ი. რომ ის არ შეესატყვისება შენარჩუნებულ განწყობას. სრული დავიწყება მაშინ ხდება, როდესაც დავიწყებულის შესატყვისი განწყობაც გაქრება, ალიკვეთება. თუმცა ამ თეორიას კიდევ ბევრი რამ რჩება ასახსნელი და სერიოზული სიძნელე აქვს გადასალახავი, მაგრამ თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში აღწერილი მოვლენის უფრო დამარწმუნებელი ახსნა არ არსებობს.

დავიწყების აღწერილ პარადოქსულ მოვლენაზე იმიტომ შეეჩერდით, რომ იგი საკმაოდ ხშირად იჩენს თავს ცხოვრებაში, როგორც დავიწყების ერთ-ერთი საფეხური: სანამ სულ „დაკარგავდეთ“ რომელიმე შინაარსს, იგი ხშირად ამგვარი გაუცნობიერებელი სახით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამგვარი ნეგატიური ცოდნის სახით არის მოცემული. მტკიცედ ვითო ყოველი სხვა, თუნდაც მსგავსი შინაარსის შესახებ, რომ ის არ არის ის, რასაც ვერ ვიგონებთ. სრულ დავიწყებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დავიწყებული შინაარსი არც ასეთი ფარული ანუ ნეგატიური სახით აღარაა მოცემული.

#### დავიწყების მიმდინარეობა

დავიწყების ზოგადი მრუდე. დავიწყების ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დავიწყების მიმდინარეობას გარკვეული, მისთვის ტიპური ფორმა აქვს. სახელდობრ, დასწავლის შემდეგ პირველ საათებში დავიწყების ტემპი უსწრაფესია, ხოლო შემდეგ დროის მიმდინარეობასთან ერთად დავიწყების

ტემპი კლებულობს და ბოლოს დახსოვებულის რაღაცა კვალი ძალიან დიდხანს ან საბოლოოდ რჩება, ისე რომ აბსოლუტური დავიწყება ან ძალიან გვიან ან სულაც არ იჩენს თავს. ყოველ შემთხვევაში, დიდი დროის შემდეგაც დავიწყებული მასალის აღდგენა უფრო ადვილია, ვიდრე მისი დასწავლა თავიდან.

ასეთია დავიწყების მიმდინარეობის ზოგადი ტენდენცია. სხვადასხვა სახისა და შინაარსის მასალის დავიწყების მიმდინარეობა გარკვეულ ფარგლებში განსხვავებულია.

რემინისცენციის მოვლენა. დიდი ხანია დადასტურებულია შემთხვევები დავიწყების უცნაური მიმდინარეობისა, როდესაც მასალის აღქმის (მოსმენის, წაკითხვის) შემდეგ პირველ ხანებში (2—3 დღის მანძილზე) ნაცულად სწრაფი დავიწყებისა, ადგილი აქვს პირიქით უკეთეს დახსოვებას და მხოლოდ შემდეგ იწყება დავიწყების ჩვეულებრივი პროცესი. ამ მოვლენას რემინისცენციის მოვლენა უწოდეს. იგი, როგორც წესი, თავს იჩენს აზრიანი, შინაარსის მქონე მასალის მიმართ და უმთავრესად სუბიექტისათვის ძნელად გასაგები ადგილების მიმართ. როგორც ჩანს, რემინისცენციის მოვლენა აიხსნება იმით, რომ პირველი ორი დღის მანძილზე ხდება ძნელადგასაგები მასალის „მონელება“ — აზრობრივად უკეთესი დაუფლება, თანდათან უფრო ღრმა გაგება და ამიტომ პირველ დღეებში მისი რეპროდუქცია უმჯობესდება, იგი თითქოს ილექება ცნობიერებაში, მერე კი იწყება დავიწყების ჩვეულებრივი მიმდევრობა.

დასწავლის სისწრაფის მნიშვნელობა. ექსპერიმენტულად დადასტურებულია კანონზომიერება, რომელიც გამოიხატება შემდეგი დებულების სახით: „სწრაფად დასწავლილი სწრაფად გვაეიწყდება“. სხვა თანაბარ პირობებში სწრაფად, მოკლე დროში, დასწავლილი უფრო ადრე გვაეიწყდება. ვიდრე, როდესაც დასწავლა თანდათან დიდი დროის მონაკვეთში ხდება, ამიტომაც, რომ გამოცდის წინ რამდენიმე დღეში შესწავლილი საგანი გამოცდის შემდეგ ძალიან მალე გვაეიწყდება.

პიროვნების განზრახვის მნიშვნელობა. როგორც ზემოთ დავინახეთ (იხ. მეხსიერების ფაქტორები), დავიწყება გვიან იჩენს თავს, როდესაც მასალის დასწავლა ხდება მისი სამუდამო დაუფლების განზრახვით და ძალიან მალე, როდესაც დასწავლა ხდება ხანმოკლე დროისათვის (ააღის კანონი).

დასწავლის წესის მნიშვნელობა. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია. რომ გლობალური წესით დაზეპირებისას

მასალის დავიწყება უფრო გვიან იჩენს თავს, ვიდრე ფრაგმენტალური წესით დასწავლისას, ხოლო პროგრესული წესით დასწავლისას კიდევ უფრო გვიან, ვიდრე გლობალური წესით დასწავლისას, თუ ცხადია, დასწავლის ყველა დანარჩენი როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირობები იგივეა.

მასალის შინაარსის მნიშვნელობა. როგორც ითქვა, დავიწყება დამოკიდებულია მასალის შინაარსზედაც. აზრიანი მასალა შეუდარებლად უფრო გვიან გვავიწყდება, ვიდრე შინაარსს მოკლებული უაზრო მასალა. განყენებული შინაარსის სიტყვიერი მასალა უფრო მალე გვავიწყდება, ვიდრე კონკრეტული შინაარსის თვალსაჩინო მასალა და ა. შ.

მოტორულ ჩვევათა შენარჩუნება. განსაკუთრებული სიმტკიცე ახასიათებს მოტორულ ჩვევებს (ცურვა, ველსიპედით სიარული და ა. შ.). ასეთი მოქმედების რამდენიმე ათეული წლით შეწყვეტის მიუხედავად მისი შესრულების უნარი ჩვეულებრივ შენარჩუნებულია.

## § 6. მეხსიერების პათოლოგია

მეხსიერების პათოლოგიურ დარღვევათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

1. ამნეზია. ამნეზია მეხსიერების ძლიერ დაქვეითებას ეწოდება. ამნეზიის მიმართულების მიხედვით ასხვავებენ რეტროგრადულ, ანტეოგრადულ და პერიოდულ ამნეზიას.

რეტროგრადული ამნეზიის დროს მეხსიერების დარღვევა ეხება სუბიექტის წარსულს — წარსული მას დავიწყებული აქვს. ახალი შთაბეჭდილებების დახსომების უნარი კი შენარჩუნებულია.

ანტეოგრადული ამნეზიის დროს პირიქით. დარღვეულია ძირითადად ახალ შთაბეჭდილებათა დახსომების უნარი, განსაკუთრებით უშუალო მეხსიერება. წარსულში შეთვისებული კი ძირითადად შენახულია.

პერიოდული ამნეზია (მას სხვაგვარად პიროვნების ან ცნობიერების გაორებასაც — „ალტერნაციას“ — უწოდებენ) იშვიათი დაავადებაა. იგი იჩენს თავს ინდივიდის ცხოვრების გარკვეული პერიოდების ამოვარდნაში ცნობიერებიდან და პიროვნებისა და მისი ცნობიერების შეცვლაში ამ პერიოდების მიხედვით. ავადმყოფის ცნობიერებიდან ამოვარდება მისი წარსული

ისე, რომ იგი „ახალ“ ცხოვრებას იწყებს, შემდეგ ეს მეორე პერიოდი ამოვარდება. ცნობიერებიდან და ადამიანი განაგრძობს ისევ პირველი პერიოდის ცხოვრების შინაარსს ისე, თითქოს მეორე პერიოდი არც ყოფილა, შემდეგ ისევ პირველი პერიოდი ამოვარდება ცნობიერებიდან, ავადმყოფი განაგრძობს მეორე პერიოდის არსებობას და ა. შ. მონაცვლეობით. ლიტერატურაში აღწერილია ცალკეული შემთხვევები, როდესაც მონაცვლეობდა არა ორი, არამედ სამი და ოთხი პერიოდიც კი.

2. იმ სფეროს მიხედვით, რაზედაც ვრცელდება ამნეზია, ასხვავებენ შემდეგი სახის ამნეზიებს:

ამნეზიის გავრცელება აღქმაზე. იგი აღქმის პათოლოგიურ დარღვევასაც წარმოადგენს, რამდენადაც ცნობის უნარის დაკარგვაში მდგომარეობს: ნორმალური მხედველობის ადამიანი ვერ ცნობს ყოველდღიურ საგნებს — უყურებს საგანს და არ იცის რა არის ეს. ამ მოვლენას აგნოზიას უწოდებენ. როდესაც ადამიანს დაკარგული აქვს მხედველობით აღქმულ საგანთა ცნობის უნარი, ამას ოპტიკურ აგნოზიას უწოდებენ.

როდესაც აგნოზია ეხება სმენით აღქმას, მას აკუსტიკურ აგნოზიას უწოდებენ.

როდესაც აგნოზია შეხებით აღქმაზე ვრცელდება, მას „ტაქტილურ აგნოზიას“ უწოდებენ.

აგნოზია თავს იჩენს მეტყველების სფეროშიც. ამ შემთხვევაში იგი უკვე მეტყველების დარღვევას წარმოადგენს. მას აფაზიას უწოდებენ. როდესაც ადამიანი ვერ გებულობს ნათქვამ სიტყვებს, თუმცა სმენა არა აქვს დაქვეითებული, ამას ხმენითი აფაზია ან „სულიერი სიყრუე“ ეწოდება, ხოლო თუ თვითონ ვერ იგონებს და ვერ ამბობს სიტყვებს, ამას მოტორული აფაზია ეწოდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ვერ ცნობს დაბეჭდილ ან დაწერილ სიტყვას, ასობებს, თუმცა მხედველობა ნორმალური აქვს და წერა-კითხვა იცოდა, ამას ალექსიას ანუ ოპტიკურ აფაზიას უწოდებენ.

3. ამნეზიას არჩევენ ხარისხის მიხედვითაც. ამნეზიის სუსტ ფორმებს, ე. ი. მეხსიერების შესუსტებას ჰიპომნეზიას უწოდებენ.

4. პარამნეზია. არსებობს მეხსიერების თავისებური დარღვევა — პარამნეზია რომლისთვისაც დამახასიათებელია სისტემატურად

მცდარი, დამახინჯებული დახსოვნება, განსაკუთრებით კი დამახასიათებელია „შემცდარი ცნობის“ მოვლენა (იხ. ზემოთ — ცნობის მეხსიერება).

5. ჰიპერმნეზია. მეხსიერების პათოლოგიას აკუთვნებენ მის პათოლოგიურ გაძლიერებასაც, პათოლოგიურად გამახვილებულ „აგზნებულ“ მდგომარეობას. ჰიპერმნეზია ხშირად ვლინდება ცალკე მოგონებების მიმართ, ზოგჯერ კი საზოგადოდ არანორმალურად გამახვილებული მეხსიერების სახით იჩენს თავს.

## თ ა ვ ი მ ე ა მ ს ე

### ჩ ვ ე ვ ე ბ ი

#### ჩვევის ზოგადი ლახასიათება

ჩვევა ისეთი მოქმედებაა, რომლის შესრულების უნარს ადამიანი იძენს ამ მოქმედების შესრულებაში ვარჯიშის შედეგად. ამ მხრივ ჩვევა ცოდნის შექმნას, ე. ი. მეხსიერების გამოვლინებას უახლოვდება, მაგრამ რადგანაც ჩვევა არ გულისხმობს შეთვისებულის აუცილებლად სუბიექტის ფსიქიკაში ასახვას, ამიტომ იგი ვიწრო მნიშვნელობით მეხსიერების გამოვლენად ვერ ჩაითვლება; იგი ფართო მნიშვნელობით მეხსიერების მოვლენათა რიგს ეკუთვნის<sup>1</sup>.

როგორც ვთქვით, ჩვევას უწოდებენ ვარჯიშის შედეგად შექმნილს, მეტად თუ ნაკლებად ავტომატიზირებულ მოქმედებას (действие).

მოქმედების ავტომატიზირება იმაში გამოიხატება, რომ ჩვევის შემადგენელი მოძრაობები და მოტორული იმპულსები მიმდინარეობენ ცნობიერების მონაწილეობის გარეშე. ამ ავტომატიზირებულ ხასიათს ჩვევის შემადგენელი მოტორული ოპერაციები მიიღებენ თანდათან, ვარჯიშის პროცესში, ე. ი. მოქმედების მიზანდასახული გამეორების პროცესში: ჩვევა შექმნილი მოქმედებაა და არა თანდაყოლილი.

აღსანიშნავია, რომ მოქმედებათა ის დიდი მთლიანობები, რომელშიც გამოიყენება ამა თუ იმ ჩვევის მოტორული ოპერაციები, როგორც წესი, შეგნებულ, ცნობიერ მოქმედებას წარმოადგენენ: მაგალითად, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა ცნობიერი, შეგნებული, რთული, ნებისმიერი პროცესია, მაგრამ მისი შესრულება შეიძლება მხოლოდ დაკვრის ჩვევის შემუშავების შემდეგ; თვით მოძრაობების, მოტორული ოპერაციების შესრულება ავტომატურ-

<sup>1</sup> იხ. მეხუთე თავი, § 1. „მნემე“.

რად ხდება, ისევე, როგორც წერის პროცესში, რომელიც სავსებით ნებისმიერი. შეგნებულ მოქმედებაა, თვით წერის მოძრაობების შესრულება — ასოებისა და სიტყვების გამოყვანა — წერის ჩვევის შემთუშავების შემდეგ არაცნობიერად. ავტომატურად მიმდინარეობს. ასოს დაწერა ცნობიერად მიმდინარე მოვლენას არ წარმოადგენს — ხელი ავტომატურად წერს სიტყვებს, რომელთა მეშვეობით ცნობიერად ფორმულირდება აზრები.

ზაზგასასმელია, რომ ჩვევს შეძენა შეიძლება გარკვეული მოქმედების — ვარჯიშის, ე. ი. მიზანდასახული გამეორების შედეგად. ამ მხრივ იგი თანდაყოლილი ავტომატური მოქმედების (უპირობო რეფლექსებისა და ინსტინქტების) ანტიპოლია. ჩვევას ადამიანი (თუ ცხოველი) იძენს; სათანადო მოქმედების სისტემატური გამეორების გარეშე ჩვევის შეძენა არ შეიძლება: ცურვას, ველოსიპედით სიარულს, ჰალსტუხის შეკვრას, წერას ადამიანი სათანადო ვარჯიშის შედეგად ეუფლება; ეს მოქმედებები ავტომატიზირდებიან ვარჯიშის პროცესში.

იმ მოქმედებათა შორის, რომლებსაც ყოველდღე ვასრულებთ, ძალიან დიდი ნაწილი წარმოადგენს ჩვევებს, ე. ი. ისეთ, ზოგჯერ მეტად რთულ მოძრაობათა ჯგუფებს, ისეთ ოპერაციებს, რომლებიც თითქმის ყურადღების მონაწილეობის გარეშე, მეტნაკლებად ავტომატიზირებულად ხორციელდება. ამ ავტომატიზირებულობის წყალობით ეს ცალკეული ოპერაციები ხორციელდება ზუსტად და ადვილად. ჩვენ მათ არ ვაცნობიერებთ, ისინი ჩვენი ყურადღების საგანს აღარ წარმოადგენენ, მაგრამ როგორც კი ასეთი მეტნაკლებად ავტომატიზირებული მოძრაობის მსვლელობაში რაიმე შეფერხება მოხდება, რაიმე დაბრკოლება გაჩნდება, ადამიანის ცნობიერება ხელად ჩაერთვება ამ მოძრაობის შესრულებაში და ეს ოპერაცია ჩვენი ყურადღების საგნად იქცევა.

ყელსახვევი შეიძლება იმდენად ავტომატურად, უყურადღებოდ შევიკრათ, რომ სულ არ გვახსოვდეს მისი შეკვრა და დავუწყოთ მას ძებნა.

ჭამის პროცესში ჩვენ ისე ვხმარობთ დანა-ჩანგალს, როგორც ბავშვობაში გვასწავლეს, მიუხედავად იმისა, რომ საუბარში გართულნი, სრულებით არ ვაქცევთ ყურადღებას ამ მოძრაობათა შესრულებას. ველოსიპედისტი, რომელიც სწრაფად მოქპრის შარა-

გზაზე და გვერდს უქცევს ყოველ კენქს და ყოველ უსწორმასწორობას გზის ზედაპირზე, სრულებითაც არ აცნობიერებს იმას, თუ როგორ იცავს წონასწორობას, არ ადევნებს თვალყურს თავის ტანის მოძრაობებს, თავისი ხელების მოძრაობას, რომელთაც საჭე უჭირავთ და ა. შ. ის ზუსტად და შეთანხმებულად ასრულებს ყველა ამ მოძრაობას, თუმცა ამ დროს სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობს. წერის დროს გართულნი ვართ ჩვენი აზრის განვითარებით, საჭირო სიტყვებისა და ფორმულირებების შერჩევით, და არ ვფიქრობთ იმაზე, როგორ გამოვიყვანოთ ასოები ან როგორ შევადგინოთ ასოებისაგან სიტყვები. ხელი თითქოს „თავისით წერს“.

როცა ვლაპარაკობთ, ჩვენ არ ვფიქრობთ სიტყვათა გრამატიკულ შეთანხმებაზე (პირში, რიცხვში, ბრუნვაში და ა.შ.); ჩვენი ყურადღება მიმართულია აზრის სიტყვიერი გამოხატვისაკენ და ეს გრამატიკული შეთანხმება თავისით ხდება.

მხოლოდ მაშინ, როცა მოქმედების შესრულებაში რაიმე დაბრკოლება გაჩნდება (შეცდომას დაუშვებთ, თუ სხვაგვარად შეფერხდებით), ეს მოქმედება გაცნობიერდება, მხოლოდ მაშინ იქცევა იგი ჩვენი ყურადღების საგნად: მაშინ ჩვენ შეგნებულად ვეძებთ სიტყვათა გრამატიკულ შეთანხმებას, შეგნებულად გამოგვყავს ასო, ველოსიპედზე ჯდომისას შეგნებულად ვუწვეთ კონტროლს საჰის მოძრაობას, ტანის მდგომარეობას და ა. შ.

როგორც ვთქვით, ჩვევას ადამიანი თანდათან იმუშავებს, თანდათან იძენს ვარჯიშის შედეგად. ჩვევა დაბადებიდან არავის არ დაპყვება, არავის, სპეციალური წვრთნისა და ხანგრძლივი ვარჯიშის გარეშე, არ შეუძლია დაეუფლოს ცურვის ჩვევას, ველოსიპედით სიარულის ჩვევას, ჩაცმის, კითხვის, წერის. მანქანის ტარების ჩვევას, სპორტულ ჩვევებს და ა. შ. ვარჯიშის შედეგად ეს მოქმედებები სრულდება ზუსტად, სწრაფად, ადვილად და მარდად, თუმცა სრულდება იმ მოძრაობათა და იმ ოპერაციათა გაცნობიერების გარეშე, რომელთაგანაც ეს მოქმედებები შედგება.

### ჩვევათა სახეობო

ადამიანს სხვადასხვა სახის ჩვევები გააჩნია: საყოფაცხოვრებო (ჩაცმა-დახურვის, დანა-ჩანგლის ხმარების...), ჰიგიენური ჩვევები, სასწავლო ჩვევები (წერის, კითხვის, ანგარიშის...), სპორტული ჩვევები, პროფესიონალური და ა. შ.

ასხვაებენ მოტორულ და გონებრივ ჩვევებს: მოტორულს უწო-



დებენ მოძრაობის ჩვევას, მაგალითად, ველოსიპედით სიარულის, ცუკვის, ღილის შეკვრის ჩვევას და ა. შ.

გონებრივს უწოდებენ ისეთ ჩვევებს, რომლებიც ავტომატიზირებულ გონებრივ ოპერაციას წარმოადგენენ: გამრავლების ტაბულის ზეპირი ცოდნა, კითხვის, ანგარიშის ჩვევა და ა. შ. ცხადია, რომ ავტომატიზაციის შედეგად ასეთი მოქმედება, როგორც ჩვევა, აზროვნების პროცესს აღარ წარმოადგენს.

ჩვევათა უმრავლესობას მოტორული ჩვევები შეადგენენ. მათ უდიდესი ადგილი უჭირავთ თ ვ ი თ მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს ა და პ ი გ ი ე ნ უ რ ჩვევათა შორის (ჩაცმა, ლოგინის დაგება, პირის ბანა, კბილების წმენდა და ა. შ.) და აგრეთვე პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ უ რ, შრომით ჩვევათა შორის (შრომის იარაღების ხმარება, პროფესიული შრომის პროცესთა შესრულება, მაგალითად, ცულის, შალაშინის, ჩაქუჩის ხმარება, მექანიზმების მართვა ქარხანაში, მანქანაზე ბეჭდვა და ა. შ.); მოტორულია ყველა სპორტული ჩვევაც, აკრობატული ჩვევები და ა. შ.

მაგრამ ვარჯიშის პროცესში ფორმდება, მტკიცდება და მეტნაკლებად ავტომატიზირდება ისეთი მოქმედებებიც, რომელთაც არა აქვთ მოტორული ხასიათი, რომლებიც მოძრაობებს არ წარმოადგენენ. კითხვაში ვარჯიშის შედეგად, მაგალითად, გამომუშავდება კითხვის ჩვევა — ადამიანი სწრაფად და უშეცდომოდ კითხულობს, სწრაფად აღიქვამს სიტყვებსა და სიტყვათა მთელი ჯგუფების მოხაზულობას, თუმცა კითხვის სწავლისას იგივე ადამიანი ასო-ასო კითხულობდა, თითოეულ ასოს ცალ-ცალკე ცნობდა (ისიც არა უცხად) და ძლივძლივობით ადგენდა სიტყვებს ასოებისაგან.

ან, მაგალითად, ერთნიშნა რიცხვების გადამრავლებაში ვარჯიშის შედეგად ადამიანი სათანადო ჩვევას იძენს: რიცხვების გადამრავლება „გამრავლების ტაბულის“ ფარგლებში იმდენად ავტომატიზირდება, რომ შედეგი თავისთავად, გადამრავლების ოპერაციის ჩაუტარებლად, ამოტივტივდება ჩვენს ცნობიერებაში. მაგალითად, როცა ჩვენს წინაშე დაისმის ამოცანა: შეიდი გამრავლებული შეიღზე („შეიღჯერ შეიდი“), პასუხი — 49 — უშუალოდ ამოტივტივდება ჩვენს ცნობიერებაში. ამ ნაწილობრივ ავტომატიზირებულ ოპერაციებს დიდი მნიშვნელობა აქვთ რიგ არითმეტიკულ და, საერთოდ, მათემატიკურ ამოცანათა გადაწყვეტაში. ამგვარ „გონებრივ“ ჩვევებს დიდი ადგილი უჭირავს ე. წ. სასკოლო ანუ სასწავლო ჩვევებში.

რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის ჩვევების გამომუშავებას? რა როლს ასრულებენ ჩვევები ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაში? შეადარეთ, როგორ იცვამს სკოლამდელი ასაკის ბავშვი, რომელმაც პირველად მოკიდა ხელი ამ საქმეს, და მოზარდი ან მოზარდილი ადამიანი, რომელსაც ჩაცმის პროცესი ჩვევად აქვს ქცეული. ყოველი ცალკეული მოძრაობა, ყოველი პატარა ოპერაცია, როგორცაა ღილის შეკვრა, ხელების სახელოებში გაყრა, ფეხსაცმლის შებნევა და ა. შ. შთანთქავს ბავშვის მთელ ყურადღებას და მთელ ძალებს; მოძრაობები სრულდება დაძაბვით, უხერხულად, ნელა. ბავშვი ბევრ ზედმეტ, არასაკირო მოძრაობას ასრულებს. მაგრამ, როცა სისტემატური ვარჯიშის შედეგად ეს პროცესი ჩვევად იქცევა, იგი მიმდინარეობს ადვილად, სწრაფად, ზედმეტ მოძრაობათა გარეშე და ოპერაციათა რიგი იმდენად ავტომატიზირდება, რომ ადამიანის ცნობიერება მათი შესრულებისაგან თავისუფლდება.

ან, მაგალითად, შევადაროთ იმ ადამიანის მოქმედება, რომელიც ახლა სწავლობს ველოსიპედზე ჯდომას, და იმისა, რომელიც უკვე დაუფლებულია ამ ჩვევას. პირველის ცნობიერება მთლიანად დაკავებულია ცალკეულ მოძრაობათა განხორციელებით (ტანის მოძრაობა, ხელ-ფეხის მოძრაობა), ამ მოქმედებათა კოორდინაცია ვერ ხერხდება, იმიტომ რომ თითოეული მათგანი მთელ ყურადღებას მოითხოვს. მოძრაობა არაზუსტია, მოუხეშავი, ხშირად არასწორიც. ზედმეტი მოძრაობები ხელს უშლიან ცალკეულ ოპერაციათა სწორ გაფორმებას. მაგრამ, როცა ველოსიპედით სიარული ჩვევად იქცევა, იმავე ადამიანს ადვილად, ძალდაუტანებლად, ზედმეტ მოძრაობათა გარეშე, ზუსტად მიჰყავს ველოსიპედი, თანაც ამ დროს მისი ცნობიერება იმდენად თავისუფალია, რომ ველოსიპედით სვლის დროს შეუძლია სულ სხვა რაიმეზე იფიქროს.

ამ მაგალითებიდანაც ცხადია, რომ ჩვევათა გამომუშავება, პირველ რიგში, დროისა და ენერჯიის მეტად დიდ ეკონომიას გვაძლევს, ათავისუფლებს რა ცნობიერებას და აზროვნებას ჩვევად ქცეულ ოპერაციათა შესრულებისაგან. ხოლო რამდენადაც ჩვევებს ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავთ, რამდენადაც ისინი ადამიანის ყოველდღიურ მოქმედებათა დიდ ნაწილს შეადგენენ, ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სახეში შედიან — ამდენად ამ ეკონომიის მნიშვნელობაც ადამიანის ცხოვრებაში განუზომელია.

მეორე მნიშვნელობა: მოქმედებები, რომლებიც ჩვევად იქცევიან. სრულყოფილი ხდებიან — შედარებით ადვილად, ზუსტად და სწრაფად სრულდებიან, დაძაბვისა და ზედმეტი არამიზანშეწონილი მოძრაობების გარეშე.

მესამე: ჩვევათა დიდი ნაწილი წარმოადგენს ადამიანისათვის ახალ მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც მას წინათ არ შეეძლო: ასეთია წონასწორობის დაცვა ველოსიპედზე, ცურვა, რიგი პროფესიონალური ჩვევებისა (მაგალითად, რთული მექანიზმის მართვა), რიგი სპორტული ჩვევებისა (მაგალითად, ხელყირა ან აღმატრიალი ღერძზე), ეკვილიბრისტიკისა და აკრობატის მოქმედება და ა. შ. ყველა ამ ახალი მოძრაობის შესრულების უნარის შექმნა ხდება ხანგრძლივი სისტემატური ვარჯიშის შედეგად.

ჩვევების შემუშავება მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებასა და მოქმედებაში. მოზრდილი ადამიანის ყოველდღიურ მოქმედებათა უდიდესი ნაწილი (ამერიკელი ფსიქოლოგის ჯემსის აზრით, 1000 მოქმედებიდან 999) ჩვევის ხასიათს ატარებს, ე. ი. ავტომატიზირებულ მოქმედებას წარმოადგენს, რომლის შესრულება არ მოითხოვს ცნობიერების მონაწილეობას. მთელი რიგი შრომითი ოპერაციების დამაკმაყოფილებელი შესრულება, ახალ ცოდნათა დაუფლება, სპორტულ მოქმედებათა შესრულება და ა. შ. აუცილებლად მოითხოვს გარკვეულ ჩვევათა დაუფლებას. ამ ჩვევათა დაუფლების გარეშე ამ მოქმედებათა დამაკმაყოფილებელი შესრულება შეუძლებელია.

სათანადო ჩვევათა დაუფლების გარეშე შეუძლებელია მაღალი წარმატების მიღწევა ადამიანის მოქმედების მთელ რიგ დარგებში — შრომაში, ხელოვნებაში ან სპორტში. შეუძლებელია, მაგალითად, თვითმფრინავის მართვა, თუ არ გაქვს შემუშავებული სათანადო ჩვევები, შეუძლებელია სახარატო დაზგაზე კარგი მუშაობა, თუ არ ხარ დაუფლებული სათანადო ჩვევებს, შეუძლებელია წარმატებით დურგლობა, თუ არ ხარ დაუფლებული ხერხის, ნაჯახის, შალაშინისა და სხვა იარაღის ხმარების ჩვევას და ა. შ. რაც უფრო რთულია პროფესია, მით უფრო რთულ ჩვევათა დაუფლებას მოითხოვს იგი. გამოჩენილა სპორტსმენი სრულყოფილად დაუფლებული რიგ სპორტულ ჩვევებს, გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებელი — მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ჩვევებს და ა. შ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვევის დაუფლების ხარისხი, ისევე

როგორც მისი სიმტკიცე, ყველაზე უფრო დამოკიდებულია სისტემატურ ვარჯიშზე ამ ჩვევის შესრულებაში. ჩვევის დაუფლება აუცილებლად მოითხოვს სისტემატურ მიზანდასახულ ვარჯიშს.

### ჩვევათა შექმნა

წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვი წერას სწავლობს. ის ჯერ გაჭირვებით ხატავს ასოს ყოველ ცალკე ნაწილს, ცალკე ელემენტს, მას არ ძალუძს ამ ელემენტების ერთ მთლიან ასოდ გაერთიანება, მთელი ასოს ფორმის ერთად გამოყვანა. მაგალითად, ასო ჰ-ს სამი მოკაუჭებული ხაზიდან თითოეულის გამოყვანა დამოუკიდებელ, მიზანდასახულ ოპერაციას, დამოუკიდებელ მოქმედებას წარმოადგენს. ეს მოქმედებები დიდი დაძაბვით სრულდება და ბავშვის მთელ ყურადღებას შთანთქავს. მათ განხორციელებას ახლავს ზედმეტი მოძრაობები, როგორცაა ენის გამოყოფა, ტუჩების დამანჯვა, კორპუსის მოხრა და სხვ. შემდეგ, სისტემატური ვარჯიშის პროცესში ასოს ცალკეული ელემენტების დაწერა ერთ მთლიან სტრუქტურად, მაგალითად, ასო ჰ-ს დაწერის ერთიან მოქმედებად ერთდება; ახლა მთელი ასო „ერთი მოსმით“, ერთი იმპულსით, ერთი მთლიანი მოქმედების სახით იწერება. მაგრამ პირველ ხანებში თითოეული ასო ცალკე, დამოუკიდებელ მთლიანად რჩება: თითოეული ასოს დაწერა ცალკე დასრულებული მოქმედებაა, ცალკე დამოუკიდებელი ოპერაციაა. შემდეგ ხდება ასოების გაერთიანება სიტყვად და ერთი იმპულსით იწერება არა ასო, არამედ მთელი სიტყვა და ბოლოს სიტყვათა მთელი ჯგუფები და ფრაზებიც კი. ასოს დაწერა უკვე აღარ წარმოადგენს დამოუკიდებელ მოქმედებას. ზედმეტი მოძრაობები თანდათან იცხრილებია, დაძაბულობა კლებულობს და, ბოლოს, მთლად ქრება. წერის პროცესი იმდენად მტკიცდება და ავტომატიზირდება, რომ აზრის დალაგებით გართული ადამიანი „ავტომატურად“, ყურადღების შეუჩერებლად წერს ასოებსა და სიტყვებს, რომლითაც ამ აზრს გამოხატავს.

ამგვარად ჩვევის ფორმირების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი მომენტი არის ცალკეული წვრილი მოძრაობებისა და ოპერაციების გაერთიანება უფრო რთულ „მოძრაობათა ფორმულებად“, ან, როგორც ამბობენ, „მოძრაობათა მელოდებად“, ე. ი. კოორდინირებულ მოძრაობათა

ისეთ კომპლექსებად, რომლებიც ერთ მოქმედებას წარმოადგენენ და ერთი იმპულსით სრულდებიან. ვარჯიში ამნაირად გაერთიანებულ მოძრაობათა შესრულებაში ხელს უწყობს მათ თანდათანობით ავტომატიზაციას. მაგალითად, რთული სატანვარჯიშო მოძრაობის, ცურვის ან ცეკვის ჩვევის გამომუშავების პროცესში ცალკეული მოძრაობები, რომლებიც დასაწყისში დამოუკიდებლად სრულდებოდნენ, კოორდინაციას არ ექვემდებარებოდნენ და გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვდნენ, ერთიანდებიან ერთ მთლიანად, ერთ სტრუქტურად და სრულდებიან სულ უფრო და უფრო ადვილად, ზუსტად, მოხერხებულად, ერთი იმპულსით. მათი შესრულება არა მარტო გაძლიერებულ ყურადღებას არ მოითხოვს, არამედ საერთოდ ყურადღების მონაწილეობის გარეშე ხდება. ადამიანის მიერ ჩვევის შემუშავების პროცესში დიდი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს მოქმედების გაცნობიერება და ვარჯიშის შეგნებულობა, მიზანდასახული ხასიათი. ადამიანი, გარკვეული აზრით „სწავლობს“ იმ მოქმედებას, რომელიც ჩვევად გადაიქცევა, მოქმედების მექანიკური გამეორება, მისი დაუფლებებისა და გაუმჯობესების განზრახვის გარეშე, სუსტ ეფექტს იძლევა<sup>1</sup>.

ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ ყოველი ვარჯიშის დროს მიღწეული შედეგის ცოდნა ზრდის მიღწევებს, ე. ი. ხელს უწყობს ჩვევის განვითარებას და, პირიქით, ვარჯიშის შედეგების არცოდნა ძალიან აფერხებს ჩვევის სრულყოფის პროცესს. ერთი მეცნიერი გარკვეული სიგრძის ხაზის გავლებაში თვალდახუჭული ვარჯიშობდა და ამიტომ არ იცოდა, რა სიგრძისა იყო მის მიერ გავლებული ხაზები, ამის გამო ჩვევა ვერ გაუმჯობესდა მიუხედავად იმისა, რომ მან 20000 ხაზი გაავლო. მაგრამ ეს ექსპერიმენტულადაც ბევრჯერ დადასტურებული ფაქტი არ გვაძლევს უფლებას ჩვევა საზოგადოდ ცნობიერად, შეგნებულად მიზანდასახულად შეძენილ მოქმედებად ჩავთვალოთ, რადგანაც ჩვევას ცხოველებიც იძენენ (მაგალითად, დათვები გაწვრთნის შედეგად ეუფლებიან ველოსიპედით სიარულს, მელიები ჟინგლიორობას და ა. შ.). განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ცხოველთათვის ჩვევა მოქ-

<sup>1</sup> ჩვევის შემუშავების შესახებ იხ. გ. კეჩხუაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 219 — 223.

მედების დამახასიათებელი ფორმაა, ხოლო ცნობიერებას საზოგადოდ და, კერძოდ, მიზანდასახული, ცნობიერი ვარჯიშის უნარს ცხოველს ვერ მივაწერთ.

მაგრამ ადამიანთან ჩვევების გამომუშავების პროცესში, — განსაკუთრებით რთულ, ძნელად შესასრულებელ მოძრაობათა შემცველი ჩვევების გამომუშავების პროცესში, დიდ როლს ასრულებს ნებისყოფა, გულმოდგინება, მტკიცე მიზანდასახულობა: თუ ახალი მოქმედების შესრულებაში ვარჯიში ფორმალურად ტარდება, ე. ი. სუბიექტი კმაყოფილდება მოძრაობის უბრალო განმეორებით, მისი გაუმჯობესებისაგან სწრაფვის გარეშე, ასეთი ვარჯიში შედეგს თითქმის ვერ აღწევს და, პირიქით, თუ ვარჯიშის ყოველი განმეორებისას ვცდილობთ მოქმედების უფრო კარგად, უფრო ზუსტად, უფრო სწრაფად შესრულებას, ჩვევის ფლობა სწრაფად უმჯობესდება — მოქმედების შესრულება სრულყოფილი ხდება.

„განმეორება სწავლის დედა“ — ეს ძველი ანდაზა, როგორც ზემოთ დავინახეთ (იხ. წინა თავი, § 3), არაა სავესებით სწორი ცოდნის შეძენის მიმართ (დასასწავლის ღრმა გაგება და მისწრაფება ცოდნის შეძენისკენ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უბრალო განმეორება). მაგრამ ჩვევის შეძენის მიმართ ეს ანდაზა სრული ქეშმარიტებაა. სისტემატური ვარჯიში, ანუ მიზანდასახული მოქმედების სისტემატური განმეორება, რომელსაც მოქმედების დაუფლების მისწრაფება ახლავს. ჩვევის გამომუშავების აუცილებელი პირობაა. ჩვევა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სწორედ სისტემატური ვარჯიშის შედეგად გამომუშავდება.

როგორც პავლოვის სკოლის კვლევა-ძიების მონაცემებიდან ირკვევა, ჩვევის შემუშავების ძირითად მექანიზმს ახალი დროებითი კავშირების განმტკიცება შეადგენს. მაგრამ ეს არის ზოგადი პრინციპი, ხოლო რაც შეეხება შეძენილი მოქმედების სიახლეს, ამ მომენტის ფიზიოლოგიური საფუძვლების დადგენა შემდგომ კვლევას მოითხოვს. ჩვევის შემუშავება გულისხმობს არა მხოლოდ ისეთი მოქმედების გაუმჯობესებას და ავტომატიზაციას, რომლის შესრულება სუბიექტს მანამდის ცნობიერად შეეძლო, არამედ ახალი მოქმედების შეძენასაც, რომელსაც ვარჯიშის გარეშე ხუბიექტი სულ ვერ ეუფლებოდა: ცურვა, გიმნასტიკური მოძრაობები, ველოსიპედით სიარული. წერა, კითხვა. ეონგლიორობა და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვევა არ წარმოადგენს ცალკე მოძრაობათა უბრალო ჯაჭვს; იგი უფრო რთული ბუნების მთლიანობითი ხასიათის მოქმედებაა. ეს ნათლად მჟღავნდება თუნდაც იმაში, რომ სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში ადამიანი იყენებს ჩვევას როგორც მთელს, ცალკე მოძრაობათა გამოტოვებით, ანდა სხვა მოძრაობათა შენაცვლებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ წყვილი ორგანოებიდან (ხელები ან ფეხები) ერთ-ერთის გავარჯიშებით ჩვევის შექმნისას შესაძლებლობა ამ ჩვევის შესრულებისა მეორე ორგანოთი. ეს ფაქტი მით უფრო აღსანიშნავია, რომ მარჯვენა ხელის (ან ფეხის) ამოძრავება ხდება დიდი ტენიის მარცხენა ჰემისფეროდან, ხოლო მარცხენასი — მარჯვენა ჰემისფეროდან. მაგალითი: ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლეშლიმ მაიმუნს შეასწავლა მარჯვენა ხელით გასაღების საშუალებით მაგიდის უჯრის გაღება. ჩვევა მხოლოდ მარჯვენა ხელით სრულდებოდა, მაგრამ როდესაც შემდეგ მან მაიმუნის მარჯვენა ხელის დროებითი პარეზი<sup>1</sup> გამოიწვია, მაიმუნმა, თუმცა ნაკლებ მარდად, მაგრამ მაინც გააღო უჯრა მარცხენა ხელით.

ერთი ხელის (ან ფეხის) გავარჯიშების ეფექტი ნაწილობრივ გადადის მეორე ხელზე (ან ფეხზე): იმავე მოქმედების იმავე დონეზე შესრულება მეორე ხელით გაცილებით უფრო ადრე და ნაკლები ვარჯიშით მიიღწევა.

ცნობილია შემთხვევა, როდესაც ქონგლიორს რთულ საქონგლორო მანიპულაციის დასაუფლებლად მარჯვენა ხელით დასჭირდა 11 დღე, ხოლო როდესაც ამის შემდეგ დაიწყო ვარჯიში მარცხენა ხელით, იმავე მანიპულაციას იმავე დონეზე 4. დღეში დაეუფლა.

ჩვევის შესრულება ხშირად ხერხდება არა იმ კუნთების ჯგუფით, რომელიც მონაწილეობდა მის შემუშავებაში. მაგალითად, წერას ჩვენ ვსწავლობთ ძირითადად თითების და ნაწილობრივ ხელის მტევნის კუნთებით, მაგრამ თუ დაგვჭირდა დიდი ასოებით დაწერა (მაგალითად, დაფაზე), ადვილად ვასრულებთ ამას მხრისა და წინამხრის კუნთებით, რომელნიც არ მონაწილეობდნენ ჩვევის შემუშავებაში.

ყველა ეს ფაქტი იმის შესახებ მეტყველებს, რომ ჩვევის

<sup>1</sup> ნაწილობრივი დამბლა (პარალიზი).

შემუშავების დაყვანა ცალკე მოძრაობათა შექავეშირებაზე არ შეიძლება, ჩვევა მეტია, ვიდრე მექანიკურად შექავეშირებულ მოძრაობებში. ჩვევას, როგორც ყოველ მოქმედებას, მთლიანი ადამიანი ეუფლება და არა ცალკე ორგანოები, ამიტომ, რომ ადამიანს შეუძლია, თუმცა ნაკლებ ზუსტად და მოხერხებულად, ჩვევის შესრულება არა იმ ხელით, რომლითაც იგი მიეჩნია ამ მოძრაობათა შესრულებას.

### ჩვევათა შორის დამოკიდებულება

ჩვევათა შემუშავების პროცესში სხვადასხვა ჩვევები გარკვეულ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ჩვევათა შერევა (ინტერფერენცია) და გადატანა (ტრანსპოზიცია).

1. ინტერფერენციის მოვლენა შემდეგში მდგომარეობს: ერთ-ერთი ჩვევის შეთვისების პროცესში, ანდა უკვე შეთვისებულის მიმდინარეობის პროცესში უნებლიედ ერევა სხვა, მანამდის შემუშავებული ჩვევა, რის გამოც ჩვევის ნორმალური შესრულება ფერხდება. მაგალითად, ქართულად მოჭიდავე სპორტსმენი კლასიკურ ჭიდაობაზე გადასვლის შემდეგ ჭიდაობის კრიტიკულ მომენტში უნებურად ფეხს გაჰკრავს მოწინააღმდეგეს, ე. ი. აკეთებს კლასიკურ ჭიდაობაში დაუშვებელ მოძრაობას. ყოფილი ფრენბურთელი ფეხბურთის თამაშში კრიტიკულ მომენტში მისდა უნებურად ბურთს გაჰკრავს ხელს. მეორე, უცხო ენის სწავლის პროცესში ჩვენდა უნებურად წარმოვთქვამთ პირველი უცხო ენის სიტყვას ან დაბოლოებას და ა. შ.

ინტერფერენციის არიდების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს რაც შეიძლება უფრო მეტი განმტკიცება თითოეული იმ ჩვევისა ცალ-ცალკე, რომელთა შორისაც მოსალოდნელია ინტერფერენცია და აგრეთვე შეგნებულად, ცნობიერი გავარჯიშება და დაპირისპირება ერთმანეთთან ამ ადვილად ასარევი ჩვევებისა.

2. ამრიგად, ინტერფერენციის სახით ერთი ჩვევა უარყოფითად მოქმედებს მეორეზე. რაც შეეხება ერთი ჩვევის დადებით გავლენას მეორეზე, იგი თავს იჩენს ე. წ. გადატანის ანუ ტრანსპოზიციის სახით: ზოგიერთი სახის ჩვევათა დაუფლება ხელს უწყობს გარკვეული სხვა სახის ჩვევათა შემუშავებას. მაგალითად, ცნობილია, რომ ღერძზე ვარჯიშის დაუფლება ხელს უწყობს რგო-



ლებზე ვარჯიშის დაუფლებას, ანდა მოტოციკლეტის მართვის დაუფლება ხელს უწყობს თვითმფრინავის მართვის დაუფლებას და ა. შ. ერთი ევროპული ენის დაუფლება, ჩვეულებრივ, ხელს უწყობს მეორე ევროპული ენის დაუფლებას და ა. შ.<sup>1</sup>.

### ჩვევათა დარღვევა

1. საზოგადოდ ჩვევებს და განსაკუთრებით მოტორულ ჩვევებს საოცარი სიმტკიცე ახასიათებს. მაგალითად, ცურვის ან ველოსიპედით სიარულის ჩვევას ადამიანი არ კარგავს ხოლმე მრავალი ათეული წლის მანძილზე. მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვევები არ ირღვეოდეს და არ ისპობოდეს. გარკვეულ პირობებში, გარკვეულ ფაქტორთა ზეგავლენით ჩვევა ირღვევა: ხდება მისი დეავტომატიზაცია და სრული დაკარგვაც კი.

ბუნებრივია, რომ ყველაზე ადვილად ირღვევა ის ჩვევა, რომელიც არ იყო კარგად განმტკიცებული, ა რ ი ყ თ ბ ო ლ ო მ დ ე ა ვ ტ ო მ ა ტ ი ზ ი რ ე ბ უ ლ ი. გარდა ამისა, რ თ უ ლ ი ჩ ვ ე ვ ე ბ ი უფრო ადვილად ირღვევა, ვიდრე მარტივი; გ ვ ი ა ნ შ ე ო ე ნ ი ლ ი — უფრო ადვილად, ვიდრე დიდი ხნის განმტკიცებული და ა. შ.

ზოგიერთი რთული ჩვევა, როგორცაა, მაგალითად, თვითმფრინავის მართვის ჩვევა, მოითხოვს სისტემატურ ყოველდღიურ ვარჯიშს. ასეთი ჩვევის დარღვევის მნიშვნელოვან ფაქტორს ვარჯიშის დიდი პერიოდით შეწყვეტა წარმოადგენს.

ჩვევათა დარღვევის ერთ-ერთი მიზეზია ფსიქიკური ტრავმა (ჩვეულებრივ ძლიერი შიშის შედეგი). მაგალითად, ცნობილია, შემთხვევები, როდესაც ადამიანს დაერღვა ცურვის ჩვევა იმის გამო, რომ იგი ერთხელ კინაღამ დაიხრჩო და ხიფათის მომენტში ძლიერი შიში განიცადა. ცნობილია შემთხვევა, როდესაც გარკვეული რთული და ძნელი აკრობატული ან გიმნასტიკური მოძრაობის შემსრულებელმა დაკარგა ამის უნარი ერთხელ, შესრულების მომენტში, ძლიერი შიშის განცდის შედეგად: მაგალითად, ორმაგი სალტოს კარგმა შემსრულებელმა დაკარგა ამის უნარი მას შემდეგ, რაც მის თვალწინ დაიღუპა მისი პარტნიორი სალტოს გაკეთების დროს.

ჩვევის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი ინტერფერენციის მოვლენაა.

<sup>1</sup> ჩვევათა გადატანისა და ინტერფერენციის შესახებ იხ. გ. კ ე ჩ ხ უ ა შ ე ო ლ ის დასახ. შრომა, § 36.

ძნელად შესასრულებელი ჩვევის დარღვევის მიზეზს ზოგჯერ წარმოადგენს ცნობიერი კონტროლი მანამდე ავტომატიზირებული მოძრაობისა, რის შედეგადაც ჩვევის დეავტომატიზაცია ხდება, რასაც ზოგჯერ მოსდევს მოძრაობის შესრულების უნარის დაკარგვაც კი.

2. ვარჯიშის დიდი პერიოდით შეწყვეტა უფრო ხშირად იწვევს ჩვევის არა სრულ დარღვევას, არამედ მხოლოდ მის დეავტომატიზაციას: იგივე ოპერაცია, რომელიც სრულდებოდა ავტომატურად, თითქმის ცნობიერების მონაწილეობის გარეშე, დეავტომატიზაციის შედეგად მხოლოდ ნებისმიერად, შეგნებულად და ამიტომ ნაკლებ ზუსტად, ნაკლებ მარდად და სწორად სრულდება. დეავტომატიზაცია ხშირად წარმოადგენს ფსიქიკური ტრავმის შედეგს — განცდილი შიშისა, ძლიერი სირცხვილისა და ა. შ.

ცნობილია შემთხვევები, როდესაც შეჩიბრებისათვის შესანიშნავად მომზადებული ტანმოვარჯიშე შეჩიბრის დროს დელებისაგან ამ მოძრაობებს ავტომატურად ვეღარ ასრულებდა — გადაინაცვლა მოძრაობის ნებისმიერ, „შეგნებულ“ შესრულებაზე, რის შედეგადაც ვერ შეასრულა მოძრაობა „სუფთად“ და „ჩაეარდა“. ახალგაზრდა ქალიშვილი შესანიშნავად ასრულებდა უკვე ავტომატიზირებულ რთულ პლასტიკურ მოძრაობებს მახლობელთა წრეში. მაგრამ საჩაროდ გამოსვლისას სცენაზე იგივე მხატვრული ვარჯიში ავტომატურად ვეღარ შეასრულა მორცხვობის გამო.

### ჩვეულებანი

იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული მოქმედების მრავალი გამეორების პროცესში სუბიექტს უმუშავდება ამ მოქმედების შესრულების მოთხოვნილება, იგი ჩვეულებად გადაიქცევა. ჩვეულება ისეთი მოქმედებაა, რომელშიაც ავტომატიზირებულია არა მხოლოდ მიმდინარეობა, არამედ მოქმედების დაწყებაც. ჩვეულებად გადაქცეული მოქმედება „ავტომატურად“, სრულიად იმპულსურად იწყება: ადამიანს შეუძლებელია მოთხოვნილება ამ მოქმედების შესრულებისა და ეს ცხოვრებაში შემუშავებული მოთხოვნილება ამოძრავებს ჩვეულებას, აძლევს მას მოქმედების იმპულსს სუბიექტის განზრახვისა და შეგნებული გადაწყვეტილების გარეშე.

მაგალითად, ვისაც აქვს ჩვეულება პაპიროსის წვეისა, იგი ხშირ-ხშირად განიცდის პაპიროსის მოწვეის მოთხოვნილებას და ამ მოთხოვნილების საფუძველზე იმპულსურად — წინასწარი გადაწყვეტილებისა და განზრახვის გარეშეც, აიღებს პაპიროსს და მოუკიდებს... ვისაც აქვს ჩვეულება დილაობით კბილების გახეხვისა, იგი ადგომისთანავე ამის მოთხოვნილებას განიცდის და ამ მოთხოვნილების საფუძველზე მოქმედებს (გაიხეხავს კბილებს) ისე, რომ შეიძლება ამ დროს სხვა რამეზე ფიქრობდეს. ეს მოქმედება იმდენად ავტომატურად მიმდინარეობს, რომ შემდეგ შეიძლება ადამიანმა ვერც მოიგონოს, გაიხეხა თუ არა კბილები.

ამრიგად, ჩვეულება გულისხმობს არა მხოლოდ გარკვეული მოქმედების ავტომატიზირებულ შესრულებას, არამედ გარკვეული მოთხოვნილების აღმოცენებასაც, რომლის საფუძველზე ადამიანს უჩნდება სათანადო მოქმედების, სახელდობრ, ჩვეულებად გადაქცეული მოქმედების ავტომატური დაწყების ტენდენცია.

მნიშვნელობის თვალსაზრისით არჩევენ დადებითს (სასარგებლო) ჩვეულებებს და უარყოფითს (მავნებელს ან უხერხულს). მაგალითად, ჰიგიენური ჩვეულებანი ან წესიერების ჩვეულებანი დადებითია, თამბაქოს წვეის, ფრჩხილების კვნეტის, „სიტყვა-პარაზიტების“ თქმის ჩვეულება — უარყოფითია.

ჩვეულებათა აღზრდის მთავარ ამოცანას შეადგენს დადებითი ჩვეულებების შემუშავება და უარყოფითი ჩვეულებების აღმოფხვრა — გადაჩვევა. დადებითი ჩვეულების შემუშავებისათვის აუცილებელია სათანადო მოქმედების სისტემატური გაშვობა, ხოლო უარყოფითი ჩვეულებისაგან გადაჩვევისათვის საჭიროა სისტემატური თავის შეკავება ამ მოქმედებათა შესრულებისაგან. ორივე ამ მიზნის მიღწევა, ცხადია, ნებისყოფას გულისხმობს.

## თავი მეშვიდე

### აზროვნება

#### გ 1. აზროვნების ზოგადი დახასიათება

##### ძირითადი უმთავრესი ფუნქციონირების სხვაობა

შემეცნებით პროცესებს, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული<sup>1</sup>, აღქმასთან და მეხსიერებასთან ერთად აზროვნებაც ეკუთვნის. აზროვნება აღქმასთან და მეხსიერებასთან ერთად სინამდვილის შემეცნებას ახორციელებს. მაგრამ ამ ფუნქციონირებაში როლი შემეცნების პროცესში არსებითად განსხვავებულია; აზროვნების პროცესი ფსიქოლოგიურადაც განსხვავდება როგორც აღქმის, ისე მეხსიერების პროცესებისაგან.

(მეხსიერება) როგორც დაეინახეთ, უკვე ასახულის შენახვას ემსახურება; ამ აზრით იგი „კონსერვაციის“ ფუნქციას ასრულებს.

აღქმა და აზროვნება, პირიქით, (სინამდვილის აქტუალურ ასახვას იძლევიან და არა უკვე ასახულის გამეორებითს, რეპროდუქციულ ასახვას) როგორც მეხსიერება. გამეორებითი აღქმის შემთხვევაშიც საგნის ისევ აქტუალური ასახვა ხდება და არა რეპროდუქცია. აზროვნებისათვის დამახასიათებელია სუბიექტისათვის ახალი ამოცანის გადაწყვეტა, მისთვის ახალი საკითხის გადაჭრა, ახალი, უჩვეულო სიტუაციის შესატყვისი მოქმედება, რომლის გამოცდილება სუბიექტს არა აქვს. ამ მხრივ აზროვნების ფუნქცია მეხსიერების ფუნქციის საპირისპიროა. აზროვნების პროცესის სტიმულს სუბიექტის წინაშე წამოჭრილი კითხვა, ან გაკვირება მაინც, შეადგენს: რა არის ეს? როგორ მოვიქცე? და ა. შ. აზროვნების ეს ფუნქცია — ახლის გაგება, ინდივიდსა და გარემოს

<sup>1</sup> იხ. თავი I, § 6 (ფსიქიკურ პროცესთა კლასიფიკაცია).

შორის დამოკიდებულების თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობისაა (შეადარეთ თ. I, § 5—ფსიქიკის განვითარება).

არანაკლებია აზროვნების განსხვავება ალქმისაგან. ობიექტური სინამდვილის ასახვის პირველ საფეხურს, მის უშუალო ასახვას ალქმა წარმოადგენს. შემეცნება ალქით იწყება, (ალქმა აქ და ამჟამად მოცემული ფიზიკური საგნის თვალსაჩინო (ხატოვანი) ასახვაა.) ალქმა მხოლოდ (ემას ასახავს, რაც ფიზიკურად აღიზიანებს ჩვენს რეცეფტორებს.) აზროვნება კი, ალქმის (და მეხსიერების) მონაცემზე დაყრდნობით, გამოდის მხოლოდ თვალსაჩინოს ასახვის ფარგლებიდან და არსებითის წვდომისაკენ, საგანთა შორის არსებულ დამოკიდებულებათა წვდომისაკენ და მოცემულის გაგებისაკენ მიიმართება. აზროვნების პროცესში ალქმის მონაცემების გონებრივი გადამუშავება ხდება — არსებითის გამოყოფა არაარსებითისაგან, მნიშვნელობის გაგება, დამოკიდებულებათა და მიმართებათა წვდომა და ა. შ. (ალქმა სინამდვილის პირველადი ასახვა, აზროვნება კი მეორადი — ალქმის მონაცემებზე დაყრდნობილი ასახვაა. შემეცნება იწყება ალქმიდან და აზროვნებაში გადადის. ვ. ლენინის სიტყვებით „ოცხალი განკვერტიდან, აბსტრაქტულ აზროვნებამდე და მისგან პრაქტიკამდე, ასეთია ჰემარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“<sup>1</sup>.

#### მომართებათა ასახვა

დათბა, დნება თოვლი. ადამიანი აღიქვამს თოვლის დნობასაც და სითბოსაც, მაგრამ ამ ორ თვალსაჩინო მოვლენას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება, ე. ი. ის გარემოება, რომ თოვლი სითბოსგან დნება, ვერ აღიქმება, ეს მიმართება ფიზიკური, თვალსაჩინო ალქმადი მოვლენა არ არის; მისი მხოლოდ გაგება შეიძლება, ე. ი. ეს მიმართება მხოლოდ აზროვნებისათვის არის მისაწვდომი. ალქმაში აისახება მხოლოდ გარეგანი მიმართებები სენსორულ (შეგრძნებით), თვალსაჩინო თვისებათა შორის, როგორც, მაგალითად, ორი საგნიდან ერთის მეტი სიდიდე, ან მეტი დაშორება ან ერთის მეორეზე მალა მოთავსება, ან უფრო მუქი ფერი და ა. შ. ასეთ თვალსაჩინო, ალქმად მიმართება-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თბ., ტ. IX, გვ. 88.

თა აღქმის შესატყვისად აღამიანმა შეიძლება კიდევაც იმოქმედოს ამ მიმართებათა გააზრებისა და გაცნობიერების გარეშე. მაგალითად, საწერ მაგიდასთან წერის პროცესით გართული აღამიანი თავის მოქმედებით სწორად ასახავს მაგიდაზე დაწყობილ საგნებს შორის სივრცით მიმართებას (მანძილს, მარჯვნივ-მარცხნივ განლაგებას და ა. შ.) ამ მიმართების გააზრებისა და გაცნობიერების გარეშე. მაგალითად, აწებს კალამს სამელნეში, იღებს საშრობს და ა. შ.

რაც შეეხება მოვლენათა შორის შინაგან, არათვალსაჩინო მიმართებებს, ისინი არაა აღქმადი ბუნებისაა, მათი წედომა მხოლოდ აზროვნებით შეიძლება. მიზეზობრიობა, აუცილებლობა თუ შემთხვევითობა, ფუნქციონალური დამოკიდებულება, კერძოსა და ზოგადს შორის მიმართება, აღმნიშვნელსა და აღნიშნულს შორის მიმართება, მიზანსა და საშუალებას შორის, საფუძველსა და შედეგს შორის და სხვა ასეთი არსებითი ბუნების არათვალსაჩინო მიმართებები მხოლოდ აზროვნებისთვისაა მისაწვდომი.

### განზოგადება ✱

აზროვნების უდიდესი მნიშვნელობა პიროვნებისათვის იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა: ერთი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტა საკმარისია, რომ აღამიანმა მიღებული შედეგი ყველა ანალოგიურ ამოცანაზე გადაიტანოს. როგორც ამბობენ, ამოცანის გადაწყვეტა „ერთხელ და სამუდამოდ ხდება“. განზოგადება ენერგიისა და დროის უდიდეს ეკონომიას იძლევა. ანალოგიურ ამოცანათა შემთხვევაში მათი გადაწყვეტის ხერხის ძიება ხელახლა აღარ არის საჭირო.

### აზროვნების პროცესის მიზნობრივი და მთლიანობითი ხასიათი

აზროვნების პროცესი პიროვნების აქტიურ, ნებისმიერ, მიზანდასახულ მოქმედებას წარმოადგენს: იგი გარკვეული, სახელდობრ, წამოკრილი ამოცანით (კითხვით) განსაზღვრული მიმართულებით წარიმართება და ამ ამოცანის გადაწყვეტით სრულდება. აზროვნების პროცესის ამ თავისებურებას მის „დახშულობას“ ან მთლიანობას უწოდებენ. აზროვნების პროცესი თავისი ბუნებით აქტიურია: პიროვნება ნებისმიერად აქტიურად წარიმართება მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად.

ხოლო როდესაც ჩვენ რაიმე საკითხზე კი არ ვაზროვნებთ, არამედ უნებურად, უმიზნოდ ვეძლევიტ წარმოდგენათა და აზრთა მსვლელობას, მაშინ ჩვენ კი არ ვაზროვნებთ — ვოცნებობთ; წარმოდგენათა და აზრთა ასეთი უნებლიე მიმდინარეობა აზროვნება კი არა — ოცნებაა.

## § 2. ლოგიკური აზროვნების ძირითადი ფორმები

(ზრდადამთავრებული, კულტურული ადამიანის აზროვნებას, ლოგიკურს, ვერბალურს ან ცნებით აზროვნებას უწოდებენ.)

(ლოგიკურს იმიტომ, რომ აზროვნების ეს ფორმა ლოგიკის საგანს შეადგენს) შინაარსობრივი თვალსაზრისით, ე. ი. გააზრებულნი შინაარსის სისწორის თვალსაზრისით, აზროვნებას ლოგიკა სწავლობს)

(ვერბალურს (ე. ი. „სიტყვიერს“) მას იმიტომ უწოდებენ, რომ (იგი არსებითად დაკავშირებულია მეტყველებასთან: ლოგიკური აზროვნების ძირითადი ფორმები — ცნება და მსჯელობა — მეტყველების ფორმაში ვერბალურადაა მოცემული)

(ცნებით) აზროვნებას მას იმიტომ უწოდებენ, რომ მის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას ცნებებით ოპერირება შეადგენს.)

(აზროვნების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ამოცანაა ლოგიკის მიერ დადგენილი ვერბალური აზროვნების 3 ძირითადი ფორმის — ცნების, მსჯელობისა და დასკვნის — ფსიქოლოგიური ბუნების გაშუქება.) (ფსიქოლოგია) ლოგიკისაგან განსხვავებით (შეისწავლის) არა გააზრებულ შინაარსს, მისი სისწორის თვალსაზრისით, არამედ (თვით აზროვნების რეალურ პროცესს.)

## ცნება

ფსიქოლოგიურად ცნება განიცდება როგორც სიტყვის მნიშვნელობა, უსიტყვო ცნება შეუძლებელია, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობის ყოველი განცდა როდია ცნება. ყოველი აზრი არაა ცნება. სიტყვის მნიშვნელობა მაშინ წარმოადგენს ლოგიკურს ანუ მეცნიერულ<sup>1</sup> ცნებას, როდესაც ადამიანი ამ მნიშვნელობაში

<sup>1</sup> ნამდვილი ლოგიკური ცნება ის ცნებაა, რომლის არსებითი ნიშნები დადგენილია მეცნიერებაში; ამიტომ ნამდვილს, ანუ ლოგიკურ ცნებებს მეცნიერული ცნებები წარმოადგენენ.

მოცემული ცნების არსებით ნიშნებს გულისხმობს და, მაშასადამე, შეუძლია ამ ცნების განსაზღვრების მოცემა.

თუ ვინმე სიტყვის — „წრე“ ან „წრეხაზი“ გააზრებისას მხოლოდ წარმოიდგენს რაიმე გარკვეულ წრეს და ვერ გააცნობიერებს ამ ცნების არსებით ნიშნებს („დაბშული ხაზი, რომლის ყველა წერტილი თანაბრადაა დაშორებული ცენტრიდან“), მას წრის ცნება არ ჰქონია<sup>1</sup>.

(არსებითად ცნება წარმოადგენს ადამიანის ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის გარკვეული მოვლენის ასახვის ერთ-ერთ ფორმას) როდესაც მე ვიტყვი ან დავწერ ცნებას „წრე“ ან „ადამიანი“, და სხვა გაიგებს ამ ცნებას, ჩვენს ცნობიერებაში აისახება გარკვეული მოვლენა — წრე ან ადამიანი. მაგრამ სინამდვილის ასახვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს აგრეთვე აღქმა და მისი რეპროდუქცია — წარმოდგენა, ჩვენ რომ შევხვდავთ წრეს ან ადამიანს, ეს მოვლენა აღქმის სახით აისახება. ხოლო თუ მოვიგონებთ აღქმულს, იგივე მოვლენა წარმოადგენის სახით აისახება.

რა განსხვავებაა ასახვის ამ ორ ფორმას შორის, ე. ი. ცნებასა და აღქმას შორის?

1) (ცნება ობიექტური სინამდვილის განზოგადებული ახსნაა; აღქმა ასახავს მხოლოდ ცალკეულ საგანს, ცნება კი — საგანთა გარკვეულ კლასს, კატეგორიას; ადამიანის აღქმისას, მაგალითად, ყოველ მოცემულ მომენტში ერთი კონკრეტული ადამიანი აისახება, ან წრის აღქმაში ერთი კონკრეტული წრე — გარკვეული ზომის ფერის, მასალის წრე და ა. შ. მაგრამ ცნებაში „ადამიანი“ აისახება საზოგადოდ ადამიანი — მისი ზოგადი არსი, ცნებაში „წრე“ არა მხოლოდ აღქმული წრეები აისახება, არამედ საზოგადოდ ყოველი შეკრული ხაზი, რომლის ყველა წერტილი თანაბრადაა დაშორებული მისი ცენტრისაგან.

2) (აღქმაში აისახება საგნის მხოლოდ თვალსაჩინო, შეგრძნებითი (სენსორული) გარეგანი თვისებები — ფერი, გემო, სუნი, სიმაგრე, ფორმა და სხვ.) აღ-

<sup>1</sup> ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ მენტწილად ვაზროვნებთ არა ნამდვილ, ე. ი. არა ლოგიკური, არა მეცნიერული ცნებებით, არამედ ე. წ. „ყოველდღიური“ ანუ „ბუნებრივი ცნებებით“. ამ შემთხვევაში ისე განვიცდით ხმარებულ სიტყვათა შინაარსს, რომ მათ არსებით ნიშნებს არ ვააცნობიერებთ, და ბევრ შემთხვევაში არც ვიცით, არ შეგვიძლია გავააცნობიეროთ ეს ნიშნები. იხ. რ. ნა-თაძე, „ზოგადი ფსიქოლოგია“, 1956, გვ. 358 და შემდ.



ქმის შინაარსს ხომ შეგარძნებები შეადგენენ, ამიტომ აღქმაში აისახება საგნის გარეგანი თვისებები, რომლებიც ამეჟამად ჩვენს შეგარძნების ორგანოებზე მოქმედ კონკრეტულ საგანს გააჩნია. ამ თვისებათა შორის ისეთებიცაა, რომლებიც მხოლოდ ამ ინდივიდუალურ, ცალკეულ საგანს გააჩნია, ამიტომ შეიძლება სრულიად შემთხვევითი იყოს და არ იყოს დამახასიათებელი საგანთა მთელი კლასისათვის. ასე, მაგალითად, ადამიანის აღქმაში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შედის ის გარეგანი თვისებები, რომლებიც ამ აღქმულ ერთ ადამიანს გააჩნია— მისი თმის ფერი, სახის სხვა ნიშნები, მისი ტანსაცმლის ფერი და ა. შ. წრის აღქმის შემთხვევაში აისახება ის მასალა, რომლისგანაც ამოჭრილია ეს აღქმული წრე, მისი სიდიდენ ან იმ ხაზის ფერი და სიმსხო, რომლითაც დახაზულია წრე და ა. შ.

სულ სხვა არის ცნების შინაარსი. (ცნებაში შედის საგნის არა თვალსაჩინო, შემთხვევითი და გარეგანი თვისებები, არამედ მხოლოდ ის ნიშნები, რომლებიც საგანთა მთელი კლასისათვის საერთოა, ე. ი. ზოგადი ნიშნები, და რომელიც, იმავე დროს, არსებითია საგანთა ამ კატეგორიისათვის, ნიშნები, რომლებიც მოცემული მოვლენის ან საგნის არსს შეადგენენ.

ასე, მაგალითად, ცნება „ადამიანის“ შინაარსი შემდეგია: ადამიანი არის გონიერი, მეტყველი, იარალის მკეთებელი, შრომის უნარის მქონე ცოცხალი არსება. გონიერება, მეტყველების, იარალის კეთებისა და შრომის უნარი არის ამ ცნებაში შემავალი ძირითადი ნიშნები. ეს ნიშნები „ადამიანის“ ზოგად არსს გამოხატავენ. ამრიგად, ცნების შინაარსი არათვალსაჩინო, არააღქმადი ხასიათისაა. იგი აზრია, ცოდნა საგნების კლასის არსებითი ნიშნების შესახებ. ცნებაში საგნის არსი აისახება მისი ისეთი თვისებების სახით, რომელთა აღქმა ან თვალსაჩინო წარმოდგენა შეუძლებელია, ვინაიდან ეს თვისებები არათვალსაჩინო, არააღქმადი ბუნებისაა.

ცნების არათვალსაჩინო ბუნებას მარქსი საქონლის ღირებულების ცნების მაგალითზე ნათელჰყოფს: „როგორც გინდათ. ისე სინჯეთ ხელში ან ათვალთ ირეთ თვითეული ცალკე საქონელი. მისი ღირებულება მაინც შეუმჩნეველი დარჩება“.

3) ცნება სინამდვილის გაშუალებული ასახვაა. როგორც ზემოთ დავინახეთ, ცნების მეორე ძირითად განსხვავებას აღქმისაგან ან წარმოდგენისაგან შეადგენს ის, რომ ცნება საგნის არსს წვდება, საგანთა კატეგორიის არსებით ნიშნებს ასა-

ხავს. მაგრამ რა ვიციტ ჩვენ, რა არის არსებითი საგანთა მოცემული კატეგორიისათვის? მაგალითად, ცნება „ადამიანი“ რატომ უნდა შეიცავდეს გონიერების, მეტყველების, იარაღის გამოყენებისა და შრომის უნარის ნიშნებს და არა სხვა რაიმეს? ყველა ადამიანს და მხოლოდ ადამიანს, მაგალითად, ზედა ტუჩზე აქვს პატარა ვერტიკალური ღარი, პატარა ჩაღრმავებული ადგილი. არც ერთ სხვა ცოცხალ არსებას ზედა ტუჩის ასეთი ფორმა არა აქვს. რატომ არ შევიდა ცნებაში „ადამიანი“ ეს ნიშანი? იმიტომ, რომ ცნებაში შედის მხოლოდ ის ნიშნები, რომლებიც მეცნიერების მოცემული დონის მიხედვით არსებითად ითვლება მოცემულ საგანთათვის. (ცნებაში ის ნიშნები შედის, რომლებიც კაცობრიობის შემეცნების შედეგად აღიარებული მოცემული საგნის არსის გამომხატველად და რომელთა შესახებ ცოდნა სკოლიდან, წიგნებიდან და სხვა ამგვარი გზით გვაქვს მიღებული.)

ამრიგად, ცნება უშუალოდ, პირდაპირ კი არ ასახავს რეალურ საგანს, არამედ შემეცნების ანუ მეცნიერების მეშვეობით. ცნების შინაარსს ის ცოდნა შეადგენს, რომელიც მოცემული საგნის შემეცნების შედეგია. იმიტომ ამბობენ, რომ ცნება სინამდვილის გაშუალებული ასახვაა, სახელდობრ, შემეცნებით გაშუალებული ასახვა.

აქედან გასაგებია, რომ ცნების შინაარსი მეცნიერების განვითარებასთან ერთად იცვლება, ვითარდება. ასე, მაგალითად, ძველად „ადამიანის“ ცნებაში არ შედიოდა მეტყველებისა და, მით უმეტეს, შრომის უნარის ნიშანი, ხოლო მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა (განსაკუთრებით ენგელსის გამოკვლევის შედეგად) ის არსებითი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა შრომას და იარაღის გამოყენებას ცხოველის გადამიანების პროცესში, ეს ნიშანიც შევიდა ამ ცნების შინაარსში. ან, მაგალითად, ატომის ცნება ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსებსაც ჰქონდათ. მაგრამ მისი შინაარსი არსებითად განსხვავდება ატომის ცნების დღევანდელი შინაარსისაგან: ატომი იგულისხმებოდა განუყოფელად, დღეს კი ატომის გაყოფა შესაძლებელი აღმოჩნდა და ა. შ. ერთი სიტყვით, ცნების შინაარსი მეცნიერების მოცემულ დონეზე დამოკიდებული.

სულ სხვაგვარად ასახავს სინამდვილეს აღქმა. აღქმა სინამდვილის უშუალო ასახვას წარმოადგენს. ჩვენსა და საგანს შორის არა-

ვითარი „შუამავალი“ არ არის: საგანი პირდაპირ მოქმედებს ინდივიდზე, მისი შეგრძნების ორგანოებზე, იწვევს ადამიანში შესაფერცვლილებებს და ადამიანი საგანს აღიქვამს ძირითადად ისე, იმ სახით, რა სახითაც იგი ამ მომენტში, მოცემულ პირობებში გამოიყურება; აღქმა საგნის სურათს იძლევა.

ცნება სინამდვილის ასახვის უფრო მაღალი ფორმაა. აღქმა გვაძლევს საგნის სურათს, მის ხატს, ხოლო ცნება — მის არსს, რომელსაც ჩვენ მეცნიერების მონაცემების საფუძველზე ვწვდებით. ამიტომ ცნება სინამდვილის უფრო ღრმა, უფრო შესატყვისის (აღექვატურს), უფრო სწორ ასახვას წარმოადგენს, ვიდრე აღქმა. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველა მეცნიერული (სწორი, სერიოზული და არა სულელური) აბსტრაქცია ბუნებას ასახავს უფრო ღრმად, უფრო სწორად და უფრო სრულად“<sup>1</sup>.

აღქმაში სინამდვილე გვეძლევა მხოლოდ იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მას ჩვენი შეგრძნების ორგანოების საშუალებით აღვბეჭდავთ, როგორც „ვხედავთ“ მას, ცალკეული საგნებისა და მათი ფერების, ბგერების, გემოს, სუნისა და სხვა თვალსაჩინო ანუ სენსორულ თვისებათა სახით; ხოლო ცნებაში სინამდვილე აისახება ისე, როგორც მას ვგებულობთ მეცნიერების მონაცემების საფუძველზე, — საგნების არსის შესახებ ცოდნის სახით.

მაგალითად, აღქმისათვის და წარმოდგენისათვის ბგერა მუდამ იყო და დარჩება გარკვეული შეგრძნებითი, სენსორული ბუნების მონაცემად — სმენის შთაბეჭდილებად. მაგრამ ბგერის ცნებაში მოცემულია მისი ფიზიკური არსიც — ცოდნა იმის შესახებ, რომ ბგერა ამა და ამ სახის ჰაერის ტალღებს წარმოადგენს, რის აღქმაც შეუძლებელია, „წარმოდგენას, — ამბობს ლენინი, — არ შეუძლია მოძრაობის დაჭერა მთლიანად, მაგალითად, 300000 კმ-ის სიჩქარის მოძრაობას ერთ წამში ვერ დაიჭერს, აზროვნება კი დაიჭერს და კიდევაც უნდა დაიჭიროს“<sup>2</sup>.

ცნების მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ ცნებები იზოლირებულად, განცალკევებულად კი არ არსებობენ, არამედ ერთ სისტემას ქმნიან ჩვენს ცნობიერებაში: ცნებათა შორის გარკვეული დამოკიდებულებანი არსებობს. ამ დამოკი-

<sup>1</sup> ე. ლენინის კრებული, ტ. IX, გვ. 88.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 140.

დებულებებს ლოგიკა სწავლობს. ცნებათა სისტემაში ობიექტური სინამდვილის სისტემა აისახება.

## მსჯელობა X

(სწროვნების პროცესში ცნებებზე უფლებრივ განცალკევებულად კი არ (იაზრება,) არამედ (მსჯელობაში,) — როგორც მსჯელობაში შემავალი: აზროვნების პროცესი მსჯელობებისა და არა ცალკე ცნებების სახით მიმდინარეობს. მაგალითად, ჩვენ ვავიზრებთ, რომ „აღამიანი გონიერი ცხოველია“ და არა ამ სამ ცნებას ცალ-ცალკე: აღამიანი, გონიერება, ცხოველი. ამიტომ ერთმა ფსიქოლოგმა მსჯელობას „ცნების ბუნებრივი ადგილი“ უწოდა.

რას წარმოადგენს მსჯელობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით? (ავიღოთ მსჯელობის მაგალითები. „ჩის ფოთლები მწვანეა“, „დღეს კარგი ამინდია“, „ძალი ცხოველია“, „ვეშაპი არ არის თევზი“, „სწორი ხაზი უმოკლესი მანძილია ორ წერტილს შორის“..

მსჯელობა, ისევე როგორც ცნება, სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ფორმაა. (მსჯელობა ჩვენთვის ცხადს ხდის იმ მიმართებას, რომელიც ობიექტურ სინამდვილეში არსებობს, მაგალითად, რომ სწორი ხაზი უმოკლესი მანძილია, რომ ვეშაპი არ არის თევზი, რომ ფოთოლი მწვანეა..

მაგრამ, ცნებისაგან განსხვავებით, (მსჯელობა აუცილებლად რამდენიმე შინაარსს შორის (ჩვეულებრივ, ცნებებს შორის) მიმართების დამყარებას წარმოადგენს: ფოთოლსა და მწვანე ფერს შორის, ვეშაპსა და თევზს შორის) და ა. შ.

(ყოველი მსჯელობის აზრი ფსიქოლოგიურად მეტს შეიცავს, ვიდრე მასში შემავალ ცნებათა აზრი: მაგალითად, მსჯელობა „ფოთოლი მწვანეა“ მეტს შეიცავს, ვიდრე ცნებები — „ფოთოლი“ და „მწვანე“. ეს მეტი სწორედ ის მიმართებაა, ის დამოკიდებულებაა, რომელსაც მსჯელობა მასში შემავალ ცნებებს შორის ამყარებს, მაგალითად, რომ ფოთოლი არის მწვანე.)

ის გარემოება, რომ მსჯელობა რამდენიმე შინაარსს შორის ამყარებს მიმართებას, მსჯელობის არსს შეადგენს. ერთწევროვანი მსჯელობა შეუძლებელია; ყოველ მსჯელობაში შედის არანაკლებ ორი შინაარსისა, რომელთა შორის მყარდება მიმართება.

სრულ ფორმაში მსჯელობა წინადადებაში გამოიხატება, ისევე როგორც ცნება — სიტყვაში. წინადადებაში გამოხატული მსჯელობა ამყარებს მიმართებას სუბიექტსა (ქვემდებარესა) და პრედიკატს

(შემასმენელს) შორის. ყოველდღიურ ცხოვრებაში მსჯელობა ხშირად არ გამოიხატება სრული წინადადების სახით, რომელიც სუბიექტსაც და პრედიკატსაც შეიცავს. მსჯელობა ხშირად ერთი სიტყვითაც გამოიხატება: წვიმს, თოვს, ელავს, ჰო, არა და სხვ. მეტიც უნდა ითქვას: ცხოვრებაში მსჯელობა ზოგჯერ უსიტყვოდ აც — თავის დაქნევაში — გამოიხატება. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში მსჯელობა მაინც გულისხმობს ორ შინაარსს შორის — სუბიექტსა და პრედიკატს შორის — მიმართების დამყარებას: თავის დაქნევით ან ერთი სიტყვით ჩვენ მაინც ვადასტურებთ გარკვეულ მიმართებას, რომელიც ან სხვის შეკითხვაში იგულისხმება, ან ზმნის უპიროვნო ფორმაშია გამოხატული: წვიმს, მაგალითად, ნიშნავს, რომ „წვიმა არის ეხლა“ ან „აქ მოდის წვიმა“, ე. ი. ეს მსჯელობა შეიცავს მოვლენისა და მის დროსა და ადგილს შორის მიმართებას. ამრიგად, გარკვეულ მიმართებას რამდენიმე შინაარსს შორის ეს შემოკლებული მსჯელობაც გულისხმობს. თავის დაქნევითაც ვადასტურებთ ხოლმე სხვის შეკითხვაში მოცემულ მიმართებას, მაგალითად, გვეკითხებიან „დღეს პარასკევია?“ ჩვენც დაუუქნევთ თავს ან გააქნევთ უარყოფის ნიშნად.

მსჯელობაში ყოველგვარი სახის მიმართებები აისახება. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დროის ან სივრცის მიმართება („ელვა წინ უსწრებს ქუხილს“ ან „შავი ზღვა თბილისიდან უფრო ახლოა, ვიდრე კასპიის ზღვა“) ან საგნისა და მისი თვისებების მიმართება („თაფლი ტკბილია“, „ადამიანი გონიერი არსებაა“), მთელსა და მისი ნაწილის ან ნაწილთა შორის მიმართება („წიგნის სისქე მისი ფურცლების რაოდენობაზეა დამოკიდებული“); მსგავსებისა ან განსხვავების მიმართება („ვეშაპს თევზის მოყვანილობის სხეული აქვს“, „თევზი ლაყურებით სუნთქავს, ვეშაპი კი ფილტვებით“); იგივეობის მიმართება („ამ ლექსში იგივე აზრია გატარებული, რაც მოთხრობაში“, „ეს იგივე მოვლენაა“); ტოლობის მიმართება („სამკუთხედის კუთხეთა ჯამი ორ d-ს უდრის“); მიზეზ-შედეგის მიმართება („ნიადვარმა გზა წალეკა“); საფუძვლისა და შედეგის მიმართება („რადგანაც ბავშვს სიცხე აქვს და ყელიც ატკივდა, ვფიქრობ, რომ მას ანგინა დაემართა“), მიზნისა და საშუალების მიმართება („კოლმეურნეობა მიწას ტრაქტორით ხნავს“); კერძოსა და ზოგადს შორის მიმართება („ხელიკი ქვეწარმავალი ცხოველია“, „წყალბადი გაზია“) და სხვ. და სხვ.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მსჯელობი-

სათვის არა ნაკლებ დამახასიათებელია მეორე მომენტი — გამოთქმულში დარწმუნებულობის მომენტი.

წინადადება, რომელსაც ჩვენ გამოვთქვამთ ისე, რომ არ განვიცდით გამოთქმულის ქეშმარიტებას ან სიყალბეს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არ არის მსჯელობა. თუთიყუშის მიერ თქმული წინადადება, ვთქვათ, „ღღეს კარგი ამინდია“, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არ წარმოადგენს მსჯელობას, ვინაიდან ეს ფრაზა თუთიყუშის მიერ ბგერების მექანიკურ წაბაძვას წარმოადგენს და თუთიყუში ამ ბგერებით არაფერს არ ამტკიცებს და არავითარ მიმართებას არ ამყარებს.

მეტეც უნდა ითქვას, თუ აღამიანი მხოლოდ იმეორებს მსჯელობას, მაგალითად, თუ ბავშვი ამბობს — „აღამიანი საზოგადოებრივი ცხოველია“, ფსიქოლოგიურად არც ესაა მსჯელობა, ვინაიდან ბავშვი ამ სიტყვებში ნაგულისხმევ მიმართებას კი არ ამყარებს, მის ქეშმარიტებას კი არ განიცდის, კი არ ამტკიცებს ამ დებულებას. არამედ მხოლოდ სხვისი მსჯელობის რეპროდუქციას ახდენს.

ამაშია განსხვავება ფსიქოლოგიური თვალსაზრისისა ლოგიკურისაგან. ლოგიკა მსჯელობას იხილავს მხოლოდ მასში მოცემული შინაარსის მიხედვით და არა სუბიექტის განცდის თვალსაზრისით. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი მსჯელობა აუცილებლად გულისხმობს მიმართების დადასტურებას, მის მტკიცებას, მის შეწყნარებას ან უარყოფას აღამიანის მიერ. ფსიქოლოგიურად მსჯელობა აუცილებლად მეტნაკლები დარწმუნებულობის განცდას გულისხმობს. რასაკვირველია, ყოველი მსჯელობა დარწმუნების ერთსა და იმავე ხარისხს არ გულისხმობს. აბსოლუტური დარწმუნების შემცველი მსჯელობის გარდა, არსებობს მსჯელობა, რომელსაც მხოლოდ „ალბათობის“ ან „თუობის“, „ეგებიზობის“ ან „შესაძლებლობის“ ხასიათის მიმართებაში დარწმუნებულობა ახასიათებს: „ალბათ, ხვალაც იწვიმებს“, „შესაძლებელია, ხვალ გამოიდაროს“. ის ვინც ასე მსჯელობს, დარწმუნებულია ამის შესაძლებლობაში (და არა აუცილებლობაში). ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ყოველი მსჯელობა გულისხმობს მასში გამოხატული მიმართების შეფასებას მისი ქეშმარიტების თვალსაზრისით, ყოველი მსჯელობა მიმართების შეწყნარებას ან უარყოფას წარმოადგენს.

ამრიგად, მსჯელობის ფსიქოლოგიურ არსს, მიმართების დამყარებასთან ერთად, მისი დადასტურების, მისი მტკიცების ან უარყოფის, მასში დარწმუნებულობის განცდა შეადგენს.

### დასკვნა

(ლოგიკური აზროვნების მესამე ფორმად დასკვნა ითვლება. დასკვნის შედეგად ჩვენ დანასკვის სახით მოცემულ მსჯელობას ვღებულობთ; დანასკვი ისეთი მსჯელობაა, რომელიც რამდენიმე მსჯელობას შორის მიმართების დამყარებას ეყრდნობა)

მაგალითი: გვაქვს ორი მსჯელობა: (1) ყველა ლითონი გათბობისაგან ფართოვდება; 2) ვერცხლისწყალი ლითონია)

(ამ ორ მსჯელობას შორის მიმართებიდან გამომდინარეობს დანასკვი: „ვერცხლისწყალი გათბობისაგან ფართოვდება“.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დანასკვი მსჯელობის ერთ-ერთი სახეა. საქმე ის არის, რომ დანასკვიც მიმართების შეცნობას წარმოადგენს.) (დანასკვიც სუბიექტსა და პრედიკატს შორის მიმართებას ამყარებს.)

მაგრამ დასკვნის თავისებურება ისაა, რომ იგი მსჯელობებს შორის და არაუშუალოდ ობიექტური სინამდვილის მოვლენებს შორის ამყარებს მიმართებას. ამ მიმართების წევრებს ის მსჯელობებში შეადგენენ, რომელთაც ეყრდნობა დანასკვი.

მსჯელობებს, რომელთაც ემყარება დასკვნა, წანამძღვრებს უწოდებენ. (დანასკვი წარმოადგენს მსჯელობას, რომელიც წანამძღვრებს შორის მიმართების დამყარების საფუძველზე აიგება)

ლოგიკის გავლენით (ფსიქოლოგიაშიც არჩევენ დასკვნის 3 ძირითად ფორმას: 1) ინდუქცია ან ინდუქციური დასკვნა: კერძო მსჯელობებიდან ზოგადის გამოყვანა; 2) დედუქცია ან დედუქციური დასკვნა: ზოგადი მსჯელობიდან კერძო მსჯელობის გამოყვანა და 3) ანალოგიით დასკვნა: ერთი კერძო მოვლენიდან ანალოგიური (მსგავსი) კერძო მოვლენის შესახებ დასკვნა)

ინდუქციის მაგალითი. გვაქვს კერძო მსჯელობათა რიგი სხვადასხვა ლითონის გაფართოების შესახებ: რკინა გათბობისაგან ფართოვდება; სპილენძიც გათბობისაგან ფართოვდება. თუჯიც, ვერცხლიც და ა. შ. ამ კერძო მსჯელობათა საფუძველზე გამოგვეყავს ზოგადი დასკვნა: ყველა ლითონი გათბობისაგან ფართოვდება.

დედუქციის მაგალითი: თუ ჩვენ გვაქვს ზოგადი დებულება (ზოგადი მსჯელობა) „ყველა ლითონი გათბობისაგან ფართოვდება“ და შემდეგ ვგებულობთ, რომ ვერცხლისწყალი ლითონი ყოფილა, ე. ი. გვაქვს მსჯელობა, რომ ვერცხლისწყალი ლითონია, ჩვენ დავასკვნით კერძოდ ამ ლითონის შესახებ, რომ ისიც გათბობისაგან ფართოვდება.

ანალოგიით დასკვნის მაგალითი: მარსზე ცოცხალი ორგანიზმების არსებობის დაშვება დედამიწასთან ანალოგიით ხდება.

დასკვნის უკანასკნელ სახეს (ანალოგიით დასკვნას) არა აქვს ის სანდოობა, რომელიც ინდუქციას, ანდა დედუქციას ახასიათებს; კერძო შემთხვევა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მეორე ანალოგიურ შემთხვევაში იმავე კანონზომიერებისათვის. იგი შესაძლებელია, მაგრამ არ არის აუცილებელი. ამიტომაც ანალოგიით დასკვნას ჩვეულებრივ მხოლოდ პირობითი ღირებულება აქვს.

დასკვნის შემეცნებითი ღირებულება მეტად დიდია: იგი აფართოებს ჩვენს ცოდნას ჩვენი გამოცდილების ფარგლებს გარეთ: დასკვნის გზით ისეთ რამეს ვგებულობთ, რაც გამოცდილებაში მოცემული არ გვქონია, რის შესახებაც არ ვიცოდით.

მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ — 1) ყოველი ცხოველი, რომელიც შვილებს ძუძუთი კვებავს, თბილისხლიანი, ძუძუმწოვარა ცხოველია, და ვგებულობთ, რომ 2) ვეშაპი შვილებს ძუძუთი კვებავს. ამ ორ მსჯელობას შორის მიმართების დამყარების საფუძველზე ჩვენ გამოგვყავს დასკვნა, რომელიც ჩვენთვის შეიძლება სრულიად ახალი იყოს; სახელდობრ, ჩვენ დავასკვნით, რომ ვეშაპი თბილისხლიანი ძუძუმწოვარა ცხოველია და არა თევზი, და ამგვარად ვაფართოებთ ჩვენს ცოდნას.

### § 3. აზროვნების ძირითადი ოპერაციები

აზროვნების სახით მოცემული შემეცნება, როგორც ზემოთ დავინახეთ, საბოლოო ანგარიშში ეყრდნობა აღქმაში ასახულს. შემეცნება საბოლოო ანგარიშში აღქმადი მასალის გონებრივი გადამუშავების გზით ხორციელდება. თვით უზოგადეს აბსტრაქტულ ცნებათა შემუშავებას ადამიანი, საბოლოო ანგარიშში, აღქმადი,



თვალსაჩინო მასალის (აღქმულისა და წარმოდგენილის) აზროვნებაში გადაამუშავებით აღწევს. შევჩერდეთ აზროვნების ძირითად, ტიპობრივ ოპერაციებზე.

### ანალიზი

(ჩვენ შეგვეწევს უნარი მთლიანი შინაარსის — მაგალითად, აღქმულის ან წარმოდგენილის — აზროვნებაში გაანალიზებისა, ე. ი. ცალკე ნაწილების, მხარეებისა და თვისებების გამოყოფის, ნაწილებზე დაშლის უნარი)

(მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ფერადი მუყაოდან ამოჭრილი სამკუთხედის აღქმა ან წარმოდგენა მთლიანად) (იხ. თავი III — აღქმის მთლიანობა), (ჩვენ შეგვიძლია აზროვნების პროცესში გამოვყოთ ამ მთლიანში სამკუთხედის მხარეები, კუთხეები ან მისი ფერი და სიდიდე), და ა. შ., (ანდა ბგერის მთლიან აღქმაში გამოვყოთ მისი სიმალღე, ინტენსივობა და ტემპრი) (იხ. თავი II. სმენის შეგრძნება), (ან კიდევ, სიტყვის გაგების მთლიან განცდაში გამოვყოთ ცალ-ცალკე სიტყვის ბგერითი მხარე) (ბგერათა კომპლექსი) (და სემანტიკური მხარე (მნიშვნელობა — სიტყვის შინაარსი) და ა. შ.

(ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ აზროვნებით ანალიზს ვაწარმოებთ.)

### განყენება ანუ აბსტრაქცია

(განყენება ანუ აბსტრაქცია ეწოდება მთლიანი შინაარსიდან ერთ-ერთი არადამოუკიდებელი მომენტის — თვისების ან მხარის — გამოყოფას და მთელის გარეშე მის გააზრებას: ეს, მთლიანიდან გამოყოფილი, მის გარეშე გააზრებული თვისება ან მხარე თვითონ გადაიქცევა ჩვენი აზროვნების საგნად.)

მაგალითად, თუ მოცემული საგნის, მაგალითად, ფანქრის მხოლოდ ფერის შესახებ ვიაზროვნებთ, ისე რომ თვით ფანქარი აღარ გვაქვს მხედველობაში, ანდა ამ ოთახის სიდიდეზე ვიმსჯელებთ ისე, რომ ოთახის ყველა სხვა თვისებას ყურადღების გარეშე ვტოვებთ, პირველ შემთხვევაში ჩვენ მოვახდენთ ფერის, ხოლო მეორე შემთხვევაში — სიდიდის აბსტრაქციას.)

არჩევენ აბსტრაქციის ორ მხარეს: პოზიტიურს (დადებითს) და ნეგატიურს (უარყოფითს). პოზიტიური აბსტრაქციის საგანს არის ის, რისი გამოყოფაც მოვახდინეთ, რაც აზროვნების საგანს შეადგენს (ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ფერი და სიდიდე),

ხოლო ნეგატიური აბსტრაქციის საგანი არის ის, რისგანაც მოხდა აბსტრაქცია, ე. ი. რაც ფაქტიურად დარჩა საგანში უგულებელყოფილი, რაც ყურადღების გარეშე დაეტოვეთ.

2. აბსტრაქციის ოპერაცია არსებითად განსხვავებული შემეცნებითი ღირებულებისაა იმისდა მიხედვით, გამაანალიზებელია თუ განმაზოგადებელი ეს აბსტრაქცია.

გამაანალიზებელს უწოდებენ აბსტრაქციას, რომელიც კონკრეტული, ცალკეული საგნის ერთერთი არადაამოუკიდებელი მომენტის გამოყოფაში მდგომარეობს, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითშია: ამ კონკრეტული ფანქრის ფერი, გააზრებული ფანქრის გარეშე, ისევე ცალკეულია და კონკრეტული, როგორც თვით ეს ფანქარი. გამაანალიზებელი აბსტრაქცია განზოგადებას არ შეიცავს; იგი კონკრეტულის მხოლოდ ნაწილობრივი შინაარსის გამოყოფაში მდგომარეობს.

განმაზოგადებელი აბსტრაქცია კი გამოყოფასთან ერთად განზოგადებასაც ახდენს, რის შედეგადაც გამოყოფილი განყენებულია ამ ცნების ყოველდღიური მნიშვნელობითაც.

სახელდობრ, განმაზოგადებელი განყენება ზოგადის განყენებას წარმოადგენს. იგი ეყრდნობა საგანთა შორის მიმართებას, რასაც ადამიანი საგანთა შედარების გზით წვდება. სუბიექტი საგანთა შედარების გზით წვდება საერთოს, ზოგადს და შემდეგ ამ ზოგადს გამოჰყოფს საგნებიდან და მათ გარეშე გაიაზრებს მას.

განმაზოგადებელი აბსტრაქცია განყენების უამრავ საფეხურებს შეიცავს. რამდენიმე საგანთათვის საერთო თვალსაჩინო თვისების გამოყოფით დაწყებული და გათავებული უზოგადესი აბსტრაქტული მიმართებების განყენებით. პირველი სახის აბსტრაქციის მაგალითი: სხვადასხვა ქრელი ფერის საგანთა ფერის გამოყოფა საზოგადოდ „სპექტრალური ფერის“ ნიშნის სახით ან სხვადასხვა სიდიდის, ფერისა და სხვა თვისებათა მქონე სამკუთხედი ფორმის საგნებიდან საერთო ნიშნის — „სამკუთხედობის“ განყენება და ა. შ. მეორე სახის აბსტრაქციის მაგალითი: მიზეზობრიობის, ფუნქციის, იგივეობისა ან საზოგადოდ დამოკიდებულების ზოგადი, განყენებული ცნება თუ იდეა და ა. შ.

3. საერთო ნიშანთა მონახვა და მათი აბსტრაქცია საფუძვლად უდევს საგანთა ყოველგვარ კლასიფიკაციას.

საგანთა, მოვლენათა დაჯგუფებას. მაგალითად, ზოოლოგიაში ცხოველთა ან ბოტანიკაში მცენარეთა ტიპების — რაზმების, „ოჯახების“ გამოყოფა თითოეული ამ ჯგუფისათვის საერთო ნიშანთა აბსტრაქციას გულისხმობს და ამ აბსტრაგირებული ნიშნის მიხედვით ყოველი ახალი ეგზემპლარის გათვალისწინებას და სათანადო ჯგუფისათვის მის მიკუთვნებას ამ ნიშნის მიხედვით.

4. აბსტრაქციის შედარებით რთული ფორმები გულისხმობენ ისეთი მიმართებითი არათვალსაჩინო ნიშნის გამოყოფას, რომელიც თითოეულ საგანში, ცალკე აღებულში, არც არსებობს. რომელიც მხოლოდ საგანთა შორის მიმართებას წარმოადგენს.

მაგალითად, რიცხვი თვით საგანში არ არსებობს, იგი საგნის აღქმის შინაარსს არ წარმოადგენს: ხუთი გემიც — ხუთია, ხუთი კაკალიც — ხუთია. რიცხვის ცნებათა დაუფლება აბსტრაქციის შედეგია, სახელდობრ, სხვადასხვა საგანთა რაოდენობრივი დამოკიდებულებების აბსტრაქციის შედეგია, რასაც ჩვენ ბავშვობიდან ვეუფლებით.

საგანთა შორის მიმართებათა აბსტრაქციის გზით ადამიანი იმუშავებს უზოგადეს, განყენებულ ცნებებს („კატეგორიებს“), ხოლო განყენებულ ცნებათა საშუალებით უფრო ღრმად შეიმეცნებს მოვლენებს, უფრო ღრმად გებულობს იმ კანონზომიერებებს, რასაც ცალკეული მოვლენები ემორჩილება.

ასე, მაგალითად, მიზეზობრიობის, იგივეობის, ტოლობის პროპორციულობის, ფუნქციისა და სხვა მიმართებითი ბუნების ცნებების შემუშავება ხდება ჯერ კონკრეტულ შემთხვევებში კონკრეტულ მოვლენათა შორის სათანადო მიმართებათა (მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების, ფუნქციონალური დამოკიდებულებისა და ა. შ.) წვდომის გზით და შემდეგ ამ მიმართების აბსტრაქციის გზით, რის შედეგადაც შემუშავებული მიმართებითი ცნებები (მიზეზობრიობისა და სხვ.) ამ კონკრეტული მოვლენების გარეშე ცვაიაზრება: მიზეზობრიობა საზოგადოდ და არა კონკრეტულ მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება და ა. შ. ასეთი აბსტრაქტული ცნებები, როგორც ვთქვით, სინამდვილის მოვლენათა უფრო ღრმა გაგებას იძლევა. ვ. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ — „უკვე საცესებით მარტივი განზოგადება, პირველი და უმარტივესი შედგენა ცნებათა, ნიშნავს მსოფლიოს სულ უფრო და უფრო ღრმა ობიექტური კავშირების შემეცნებას ადამიანის მიერ“.

აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ოპერაცია ანალიზის საწინააღმდეგო პროცესია — სინთეზი. აზროვნებითი სინთეზი წარმოადგენს ცალკე აღებული შინაარსების ელემენტების, ნაწილების ან თვისებების და ა. შ., — გაერთიანებას ერთი მთლიანი შინაარსის სახით (და არა უბრალო შეჯამების სახით).

მაგალითად, როდესაც მოსწავლე რთულ მოვლენას გაიგებს მისი ცალკე მხარეების აღწერისა და ახსნის საფუძველზე, ანდა მეცნიერი ცალკე ფაქტების გაგების და ცალკე მოსაზრებათა საფუძველზე მთლიან თეორიას ააგებს, ამას საფუძვლად უდევს აზროვნების სინთეზური მუშაობა.

მარტივ ფორმებში სინთეზური მოქმედება ყოველ ნაბიჯზე ვლინდება. მაგალითად, ყოველდღიურ მეტყველებაში, ფრაზების შედგენა სიტყვებიდან, გაბმული ზეპირი თუ წერიტი მეტყველების პროცესში ცალკე წინადადებიდან უფრო დიდი გადმოსაცემი შინაარსის მწყობრი ლოგიკური აზრობრივი მთლიანობის სახით დალაგება და ა. შ.

სინთეზის ოპერაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცნებების დაუფლების პროცესშიც. ლოგიკური ცნება, როგორც ზემოთაღ აღნიშნა, სხვადასხვა არსებით ნიშნებზე აიკვება, მაგრამ ეს ნიშნები ცნების შინაარსში ცალ-ცალკე, ანდა ჯამის სახით კი არ განიცდებიან, არამედ ერთი მთლიანი შინაარსის სახით სინთეზირებულნი გაიზარებიან. ასეთი მთლიანი შინაარსის შემუშავება ამ ნიშანთა სინთეზირების შედეგია.

#### § 4. აზროვნების გენეტიკური ფენები

##### საბოლოო ანუ თვალსაჩინო აზროვნება

ცნებითი აზროვნება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზრდადამთავრებული, კულტურული ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. სანამ კაცობრიობის კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდებოდა აზროვნების ეს უმაღლესი ფორმა, ცხადია ადამიანისათვის დამახასიათებელი იქნებოდა აზროვნების უფრო დაბალი საფეხური, ისევე როგორც დაბალი ასაკის ბავშვისათვის, სანამ იგი მიაღწევდეს ლოგიკურ აზროვნებას, დამახასიათებელია აზროვნების უფრო დაბალი ფორმები.

პირველყოფილი ადამიანის აზროვნების შესწავლა დღეს, ცხადია, შეუძლებელია, ვინაიდან ასეთი ადამიანი აღარ არსებობს.

მაგრამ აქა-იქ კიდევ არსებობს, ხოლო XIX საუკუნეში კი საკმაოდ ბევრი იყო კულტურის უკიდურესად დაბალ დონეზე მდგომი, ე. წ. „პრიმიტიული“ ტომები. ამ უკანასკნელთა აზროვნების შესწავლის შედეგად, ისევე როგორც ბავშვის აზროვნების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა აზროვნების ისეთი დაბალი ფორმის არსებობა, რომელიც წინ უსწრებს ცნებით აზროვნებას და რომლისთვისაც დამახასიათებელია არა ცნებებით, არამედ თვალსაჩინო წარმოდგენებით აზროვნება.

აზროვნების ამ შედარებით დაბალ ფორმას „ხატოვანი აზროვნება“ ან „თვალსაჩინო აზროვნება“ უწოდეს, ზოგი ავტორი მას „საგნობრივ აზროვნებასაც“ უწოდებს.

ასე უწოდეს იმიტომ, რომ მის ძირითად თავისებურებას თვალსაჩინოება და კონკრეტობა შეადგენს. აზროვნების ეს ფორმა სინამდვილეს ასახავს უმთავრესად თვალსაჩინო წარმოდგენების, ანუ ხატების სახით. ხატის სახით კი მხოლოდ კონკრეტული და საგნობრივი აისახება.

როგორც ლოგიკური აზროვნების ძირითად ფორმას ცნება შეადგენს, ისე ხატოვანი აზროვნების ძირითადი ფორმა თვალსაჩინო წარმოდგენაა. ხატოვანი აზროვნება წარმოდგენებით აზროვნებაა, ისე როგორც ლოგიკური აზროვნება ცნებებით აზროვნებაა.

რამდენადაც აზროვნების ეს ფორმა სინამდვილეს ასახავს თვალსაჩინო წარმოდგენების სახით, იმდენად მისთვის მიუწვდომელია ზოგადი ცნებები, ვინაიდან თვალსაჩინო წარმოდგენა კონკრეტულ საგანთა სურათოვან, ანუ ხატოვან ასახვას წარმოადგენს. ეს კონკრეტული სურათი, ცხადია, ხელს უშლის განზოგადებას, ხელს უშლის მოვლენათა ზოგადი ცნებების შემუშავებას.

პრიმიტიულ ხალხთა აზროვნების კონკრეტული და თვალსაჩინო ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, მათ მეტყველებაში იჩენს თავს. პრიმიტიული ენების ძირითად ფსიქოლოგიურ თავისებურებას შეადგენს ზოგადი ცნებების უქონლობა და სიტყვების მეტად ვიწრო, კონკრეტული მნიშვნელობა, რაც არაჩვეულებრივად ადიდებს სიტყვათა მარაგს: საგანთა ყოველი კერძო სახეობის, ზოგჯერ თითოეულ ცალკეულ საგანთა აღსანიშნავადაც კი, ცალკე სახელი, ცალკეული სიტყვა იხმარება, ხოლო ამ საგანთა გამაერთიანებელი სიტყვები — ზოგადი ცნებები, ამ ენებში ჩვეულებრივ არ მოიპოვება.

მაგალითად, ლაპლანდიელებს — შორეული ჩრდილოეთის ხალხს, რომელთა მეურნეობა უმთავრესად ირმების მოშენებაში მდგომარეობს, არ მოეპოვებათ სიტყვა ირემი. მაგრამ აქეთ რამდენიმე სიტყვა ირმის კონკრეტულ სახეობათა აღსანიშნავად: სხვადასხვა ფერის, სქესისა და ასაკის ირემს სხვადასხვა სიტყვით აღნიშნავენ. იმავე ხალხს, რომელიც მუდამ თოვლში ცხოვრობს, არა აქვს სიტყვა თოვლი. სამაგიეროდ აქვს 41 განსხვავებული სიტყვა თოვლის 41 განსხვავებული სახის აღსანიშნავად: რ ა მ დ ე ნ ნ ა ი რ ა დ ა ც გ ა მ ო ი ყ უ რ ე ბ ა თ ო ვ ლ ი, ი მ დ ე ნ ი ს ი ტ ყ ვ ა ა რ ს ე ბ ო ბ ს მ ი ს ა ლ ს ა ნ რ შ ნ ა ვ ა დ. მათსავე ენაში არსებობს 20 სიტყვა სხვადასხვა სახის ყინულის აღსანიშნავად, მაგრამ არ არის სიტყვა, რომელიც საზოგადოდ ყინულს აღნიშნავდეს.

ამერიკელ ინდიელებს — ჰურონებს — არა აქვთ სიტყვა „კაშა“. იმის მიხედვით, რის კაშა იგულისხმება, იხმარება სხვადასხვა სიტყვა; ზორცის კაშა, მაგალითად, ერთი სიტყვით აღინიშნება, თევზის კაშა — მეორე სიტყვით და ა. შ.

მთელ რიგ პრიმიტიულ ენებში არ ყოფილა სიტყვა მთვარე; მის ნაცულად იხმარება რამდენიმე განსხვავებული სიტყვა, რომელიც მთვარეს სხვადასხვა ფაზაში აღნიშნავს. ამ ხალხებს განსხვავებული სახით აღქმული მთვარე (მისი ფაზების მიხედვით) სხვადასხვა საგნის, ან უფრო სწორედ, სხვადასხვა არსების სახით აქვთ ნაგულისხმევი.

არსებობენ იმდენად ჩამორჩენილი ტომები, რომ მათ ენაში ყოველ ზეს, ბუჩქსა და ქვას, რომელიც მიიქცევს მათ ყურადღებას მათი საცხოვრებელი ადგილის მიდამოებში, საკუთარი სახელი ეწოდება.

ეს ტენდენცია სინამდვილის ხატოვანი ასახვისა, ე. ი. ს ი ნ ა შ დ ვ ი ლ ი ს ი მ სა ხ ი თ ა ს ა ხ ვ ი ს ა, რ ა ს ა ხ ი თ ა ც ი გ ი ჩ ვ ე ნ ს ა ღ ქ მ ა ს ე ძ ლ ე ვ ა, თავს იჩენს პრიმიტიული ენების უამრავ ფლექსიებშიც — ნაწილაკებში, რომლებიც სიტყვათა ბრუნვის უამრავ ფორმებს განსაზღვრავენ. ეს უამრავი ნაწილაკები გამოხატავენ საგნის აღქმად, სურათოვან ცვლილებებს.

მაგალითად, ერთ-ერთი ტომის ენაში ცნება სიარული („მიდის“) გამოიხატება 33 განსხვავებული სიტყვით (განსხვავებული წინსართავით) იმის მიხედვით, თუ როგორია სიარულის თელსაჩინო სურათი, ე. ი. როგორ მიდის ის ადამიანი, რომელზედაც ლაპარაკობენ: მაგალითად, მსხვილი, დიდი ტანის მსუქანი ადამიანის დინჯი სიარული, გამხდარი, მოღუნული ადამიანის ჩქარი სიარული დიდი ნაბიჯებით, პატარა ტანის ქალის წვრილ-წვრილი ნაბიჯებით ჩქარ-ჩქარი სიარული და ა. შ. აღინიშნება ზმნა „სიარული“-ს განსხვავებული ფორმით — განსხვავებულ წინსართავების გამოყენებით.

მთელ რიგ ენებში არ არსებობს სიტყვა ძმა. ეს სიტყვა იხმარება განსხვავებული წინსართავებით იმის მიხედვით, თუ ვისი ძმა იგულისხმება ლაპარაკში; ჩემი, შენი თუ იმისი და ა. შ.

ამ ენებში მოიპოვება ნაწილაკები — სიტყვის წინსართები და დაბოლოებები, რომლებიც გამოხატავენ არა მხოლოდ მოქმედების დროს, მოქმედი პირების რაოდენობას, არამედ მათ მდგომარეობასაც — პოზას, მათი ყოფნის ადგილს და ა. შ.

ერთი სიტყვით, პ რ ი მ ი ტ ი უ ლ ი აზროვნება, როგორც ეს პრიმიტიული ენების ანალიზიდან ჩანს, „ხ ა ტ ა ვ ს“ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს, ე. ი. ს უ რ ა თ ო ვ ე ნ ა დ ა ს ა ხ ა ვ ს მ ა ს ი მ თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო ფ ო რ მ ა შ ი, რ ო გ ო რ ი თ ა ც ი გ ი ა ლ ი ქ მ ე ბ ა. ხატოვანი აზროვნება სინამდვილის, ასე ვთქვათ, „დახატვის“ ფუნქციას ასრულებს.

ამიტომაც ერთ-ერთი ტომის ადამიანებმა, რომლებმაც ისწავლეს ინგლისური ენა, პიანინოს, მისი სახელის ნაცვლად, მაინც უწოდებდნენ — „ყუთი, ხელს რომ დაარტყამ, ყვირის“.

მაგრამ ხატოვანი აზროვნებაც გარკვეულ ფარგლებში აზოგადებს: ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მისი კონკრეტულობა შედარებითია. წარმოდგენა უკვე შეიცავს განზოგადების ერთგვარ ხარისხს მაშინაც კი, როდესაც იგი ერთი ინდივიდუალური საგნის წარმოდგენაა: საგანი ყოველ მომენტში სხვადასხვა სახით აღიქმება მისი მდგომარეობის მიხედვით. მით უმეტეს შეიცავს განზოგადებას წარმოდგენა, რომელიც ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ი ს შესატყვისად ერთი კონკრეტული საგნის წარმოდგენა კი არ არის, არამედ საგანთა ჯგუფის წარმოდგენაა, მაგალითად, არა ინდივიდუალური ხის, არამედ გარკვეული სახის მუხის ხეების წარმოდგენა, ანდა გარკვეული სახის (ფერის, ასაკის, სქესის) ირმის წარმოდგენა და არა ცალკეული ინდივიდუალური ირმისა მხოლოდ. პრიმიტიულ ხალხთა აზროვნება ხომ უკვე ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი აზროვნებაა, ს ი ტ ყ ვ ა კ ი უ კ ვ ე გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს განზოგადებას. ლენინის თქმით, „ყოველი სიტყვა (მეტყველება) უკვე ანზოგადებს“<sup>1</sup>. პრიმიტიული ადამიანის სიტყვაც თუმცა საგანთა ვიწრო კატეგორიას, ვიწრო სახეობას აღნიშნავს, მაგრამ მაინც კატეგორიას და არა ერთ ინდივიდურ საგანს.

ასე რომ, პრიმიტიულ ხალხთა ხატოვანი აზროვნების კონკრეტობა შედარებითია, — თავისებური ვიწრო განზოგადება მათთვისაც მისაწვდომია.

ხატოვანი აზროვნების თვალსაჩინოებიდან და კონკრეტულობიდან გამომდინარეობს პრიმიტიული აზროვნების თავისებურებათა

<sup>1</sup> Ленин, Философские тетради, гл. 281.

მთელი რიგი: მოვლენათა შორის დამოკიდებულება, მოვლენათა არსიც ხატოვან აზროვნებაში თავისებურად აისახება. ცრუმორწმუნეობა, გარემოს მისტიკური გაგება — ყოველ ნაბიჯზე იღუმალი ზებუნებრივი ძალების გულისხმობა და ა. შ., დაღს ასევამს ამ საფეხურზე მდგომ ადამიანის მსჯელობას, მის დასკვნებს, მოვლენათა შორის დამოკიდებულებათა გაგებას და ა. შ.

### აზროვნებაზელი „გონიერი მოქმედება“

აზროვნება საზოგადოდ და, კერძოდ, პრიმიტიული ხატოვანი აზროვნება ადამიანის სპეციფიკურობაა. იგი მხოლოდ ადამიანის — მეტყველი არსების, საფეხურზე მიიღწევა, მაგრამ აზროვნების უნარსაც თავისი გენეტიკურად წინამორბედი ქვევის ფორმები გააჩნია.

ჩვენს საუკუნეში ექსპერიმენტულად დადგინდა ქვევის სპეციფიკური ფორმა, რომელიც უკვე ანთროპოიდსა<sup>1</sup> და, მეტყველების დაუფლებამდე, ბავშვსაც გააჩნია. ეს არის ჩვენთვის უკვე ცნობილი „გონიერი ქვევის“ საფეხური (იხ. თავი I, § 4.)

პრიმიტიული ხატოვანი აზროვნებისათვის დამახასიათებელია წარმოდგენებით აზროვნება და აზროვნებისათვის სპეციფიკური უნარი მსჯელობისა, მოქმედებამდე. მისი მოფიქრებისა და უკვე მსჯელობისა და მოფიქრების საფუძველზე მოქმედებისა. ცხოველის გონიერი მოქმედებისათვის ასეთი რამ სრულიად მიუწვდომელია! მსჯელობის უნარი ადამიანს შეუდარებლად მაღლა აყენებს ყველა ცხოველზე და მათ შორის ანთროპოიდებზე.

რამდენადაც ხატოვანი აზროვნება წარმოდგენებით სარგებლობს, იგი ათავისუფლებს ადამიანს ამჟამად მოცემული სიტუაციით შეზღუდულობისაგან. როგორც ამბობენ „სიტუაციის მონობიდან“, რაც ესოდენ დამახასიათებელია ცხოველისათვის და, კერძოდ, ანთროპოიდის გონიერი ქვევისათვის. პრიმიტიული ადამიანის აზროვნება უკვე სცილდება „აქ და ამჟამად მოცემულის“, ე. ი აღქმის ფარგლებს; პრიმიტიულ ადამიანსაც და მეტყველებდაუფლებულ ბავშვსაც შეუძლია აზროვნება არამხოლოდ თვალწინ მოცემულზე, არამედ იმაზედაც, რაც

<sup>1</sup> ანთროპოიდი — ადამიანისმაგვარი მაიმუნი, კერძოდ შიმპანზე, რომელიც ცხოველთა შორის განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას.



სხვაგან არის, აზროვნება არა მხოლოდ აწმყოში მოცემულზე, არამედ წარსულში აღქმულზე და მომავალში მოსალოდნელზეც. ამიტომაც ადამიანს შეუძლია უკვე მოქმედებისათვის საჭირო იარაღის წინასწარი დამზადება და მომავალი საჭიროებისათვის მისი შენახვა. მას შეუძლია ნამგლის დამზადება მაშინ, როდესაც ყანა არა თუ ამოსული, დათესილიც არაა, მას შეუძლია კარგ ამინდში სახურავის შეკეთება წვიმის დროს თავის დასაცავად, ზაფხულში საზამთროდ შეშის დამზადება, სათევზაოდ და სანადიროდ იარაღის დამზადება და ა. შ. ამაშია აზროვნების უდიდესი მნიშვნელობა.

სულ სხვა არის ანთროპოიდის გონიერი მოქმედება! მართალია, სათანადო მარტივ სიტუაციაში ჩაყენებული, იგი ამ ახალი სიტუაციის შესატყვისად, ე. ი. გონიერად მოქმედებს, მაგალითად, გამოიყენებს ჭოხს შორს დადებული საჭმლის ხელში ჩასაგდებად, რის გამოცდილებაც მას არა აქვს; ან გამოიყენებს ყუთს მაღლა დაკიდებული საჭმლის მისაწვდომად და, მაშასადამე, მისთვის ახალ ამოცანას წყვეტს, რაც გონიერი ქცევის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია; მაგრამ ეს მოქმედება აზროვნებას მოიცავს არ წარმოადგენს; უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ უტყვევებელს არა აქვს მსჯელობის, წინასწარი მოფიქრების უნარი, გონიერება თვით პრაქტიკული მოქმედების პროცესში, ამ მოქმედების სახით იჩენს თავს. ეს მოქმედება აზროვნების შედეგი კი არ არის, არამედ თვით ეს მოქმედება არის გონიერი. საგანთა შორის მიმართების დამყარება — მაგალითად, ჭოხსა და ხილს შორის მიმართების დამყარება, თვით ამ პრაქტიკული მოქმედების სახით ხდება.

რას ნიშნავს ეს? როგორ უნდა გვესმოდეს ამოცანის გადაწყვეტა პირდაპირ მოქმედების გზით, მსჯელობის გარეშე? ჩვენთვის — ლოგიკური აზროვნების უნარით დაჯილდოებულ ადამიანთათვის — ამის გაგება ძნელია, რადგანაც ჩვენთან ჩვეულებრივ ყოველი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტაშიც მონაწილეობს აზროვნება, მსჯელობა.

მსჯელობის გარეშე გონიერი პრაქტიკული მოქმედების შესრულების შესაძლებლობის მაგალითად გამოდგება გონებრივად პათოლოგიურად ღრმად ჩამორჩენილი ადამიანის — ილიოტის — შემდეგი, მრავალგზის დადასტურებული მოქმედება: მას რომ უჩვენებთ ორს, აშკარად განსხვავებული სიგრძის ხაზს და შეეკითხებით, თუ რომელია უფრო დიდი, იგი ამ ამოცანას ვერ გადაწყვეტს — ან სულ ვერ გვიპასუხებს, ან რომელიმე ერთ ხაზს შემთხვევით მი-

უთითებს. მაგრამ, როდესაც იმავე გონებით ჩამორჩენილს განსხვავებული სიგრძის ორ კანფეტს აწვდით, იგი შეუცდომლად დიდს ეტანება, დიდს ჰკიდებს ხელს.

როგორ უნდა გავიგოთ ეს ქცევა?

მას არ შესწევს ლოგიკური აზროვნების ის დაბალი დონეც კი, რომელსაც მოითხოვს ორი აღქმული სიდიდის ურთიერთშედარება: მათ შორის სიდიდის მიმართების დამყარება მსჯელობის გზით მას არ შეუძლია. მსჯელობის სახით მას შედარება არ შეუძლია, მაგრამ პრაქტიკული მოქმედების სახით იგი ამ სიდიდეთა შორის მიმართებას ამყარებს. ამ პრაქტიკულად დამყარებული მიმართების შესახებ მსჯელობა, მისი გაცნობიერება მსჯელობის სახით, მისი, ასე ვთქვათ, „თეორიული“ გააზრება მას არ შეუძლია.

უნდა ითქვას, რომ გარკვეულ პირობებში ნორმალური ადამიანის ცხოვრებაშიც იჩენს თავს მხოლოდ პრაქტიკული მოქმედების სახით გამოვლენილი გონიერება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სასწრაფოდ არის შესასრულებელი რაიმე მარტივი პრაქტიკული ამოცანა, როდესაც საჩქაროდ უნდა მოხდეს რაიმე ფიზიკურ საგანთა შორის მარტივი მიმართების დამყარება.

მაგალითად, როდესაც ჩვენ გვეჩქარება ლურსმნის ჩაქვდება და ჩაქვდების პროცესში ლურსმანი იღუნება, ჩვენ, ხშირად სწრაფად შევუცვლით მის მიმართულებას და ისე ჩავაქვდებთ, რომ არც კი ვმსჯელობთ ამ ჩვენ საქციელზე. წამოჭრილ ამოცანას მოქმედების გზით, მსჯელობის გარეშე გადავწყვეტთ.

იგივე ამოცანა შეიძლება სულ სხვაგვარად გადაწყდეს: როდესაც ლურსმანი დაიწყებს მოღუნვას, ადამიანი იმსჯელებს: „ამ მიმართულებით ლურსმანს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა; სხვა მიმართულებით რომ ჩავედო, შეიძლება არ შეხვდეს ასეთი წინააღმდეგობა“. ამის შემდეგ ჩავაქვდებთ ლურსმანს თუ არა, სულ ერთია, ამოცანის გადაწყვეტა ახლა ლოგიკური აზროვნების ოპერაციას წარმოადგენს; რომც ჩაიქვდოს შემდეგ ლურსმანი, ამოცანის გადაწყვეტა მაინც მსჯელობით მოხდა, ხოლო პირველ შემთხვევაში ამოცანა პრაქტიკული მოქმედებით, წინასწარი მსჯელობის გარეშე გადაწყდა.

ადამიანის ქცევაში პრაქტიკული გონიერება წმინდა სახით, როგორც ვთქვით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში ვლინდება, როდესაც პრაქტიკული ამოცანა სწრაფად, მოულოდნელადაა შესასრულებელი. მაგალითად, სახიფათო სიტუაციაში — ხანძრის დროს, მატარებლის დაჯახების, გემის ჩაძირვის მომენტში და სხვ.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში არა მხოლოდ ბრმა ინსტიტუტურ მოქმედებას აქვს ადგილი, არამედ სწრაფ გონიერ მოქმედებებსაც, რომელიც ლოგიკური მსჯელობის შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ უშუალოდ მოქმედების სახით ვლინდება. სხვადასხვა საგნის გონიერი გამოყენება ელვისებური სისწრაფით ხდება. თქვათ, გემის ჩაძირვის დროს სხვადასხვა ხისა და რეზინის საგნების საცურაოდ გამოყენება. მათი შეკვრა საკუთარი სარტყლით ან ტანსაცმლით და სხვ., ჩვეულებრივ, პრაქტიკული გონიერების გამოვლინებას წარმოადგენს. ასე მოულოდნელად წამოჭრილი ამოცანა უშუალო პრაქტიკულ მოქმედებაში პოულობს თავის პრაქტიკულ გადაწყვეტას წინასწარი მსჯელობის გარეშე. საგანთა შორის მიმართება პირდაპირ მოქმედებაში მყარდება.

„გონიერი ქცევის“ საფეხური ხატოვან აზროვნებაზე შეუდარებლად დაბლა დგას იმითაც, რომ ანთროპოიდს არ ძალუძს წარმოდგენებს შორის მიმართებების დამყარება, წარმოდგენებით ოპერირება. მას პირველად ახალი მიმართების დამყარება მხოლოდ იმ ფიზიკურ საგნებს შორის შეუძლია, რომლებიც მის თვალწინაა მოცემული; ამ აზრით ამბობენ, რომ იგი „სიტუაციის მონაა“, რომ მისი გონიერი ქცევა მხოლოდ აქ და ამჟამად მოცემულის მიმართ ვლინდება. პირველად შიმპანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებს ჭოხს ბანანის მოსათრევად, როდესაც ორივეს ერთ მხედველობის ველში აღიქვამს, ან მაღლა დაკიდულ კალათაში მოთავსებულ ბანანთა მისალწევად ყუთს მაშინ მიათრევს, თუ ამ ყუთს კალათთან ერთად აღიქვამს. ხოლო, თუ ყუთი ან ჭოხი სხვა ოთახშია ან საზოგადოდ მისთვის ამ მომენტში არაა დასაწახი, როდესაც ის ბანანებს ხედავს, ცხოველი ამ „იარაღს“ ვერ გამოიყენებს, სანამ მათი გამოყენება მის გამოვლილებაში არ შევა.

შიმპანზეს „გონიერი ქცევა“ კიდევ მრავალმხრივ არის უკიდურესად შეზღუდული, მაგრამ ამ დანარჩენ მომენტებზე აქ ვერ შევიჩერდებით.

### **„გონიერი ქცევის“ პირველი გამოვლინება აპოლონის**

ადამიანთა პრაქტიკული გონიერი ქცევის პირველი გამოვლინება გაცილებით უფრო დაბალ ასაკში იჩენს თავს, ვიდრე ლოგიკური, ვერბალური აზროვნება.

გონიერი ქცევის პირველი გამოვლინების ასაკის გამოსარკვევად დააყენეს სპეციალური ცდები: 8 — 10 თვის ბავშვის თვალწინ მაგიდაზე დებენ ნამცხვარს; ნამცხვარი ისეთი მანძილითაა დაშორებული ბავშვისაგან, რომ ხელით იგი მას ვერ მიწვდება. სამაგიეროდ ნამცხვარზე მიბმულია ძაფი, რომლის მეორე ბოლო ბავშვისაკენ არის გამოწეული ისე, რომ ადვილი მისაწვდომია მისთვის.

რამდენადაც მიმართება საგანსა და მასზე მიბმულ ძაფს შორის უმარტივეს მიმართებას წარმოადგენს, ამდენად იგულისხმება, რომ ძაფის საშუალებით ნამცხვრის გამოწევის უნარი შეიძლება ჩაითვალოს გონიერი მოქმედების უმდაბლესი ფორმის მოცემულობის სიმპტომად. სახელდობრ, თუ ამის უნარი ბავშვს არ აღმოაჩნდება, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მას პრაქტიკული გონიერება ჯერ არ გააჩნია.

აღნიშნული ცდის ამოცანას ბავშვები 9 თვის ასაკამდის ვერ წყვეტენ: 8 თვის ბავშვები ეტანებიან ნამცხვარს, მაგრამ ძაფს ხელს არ ჰკიდებენ; მაშასადამე, მიმართებას საგანსა და მასზე მიბმულ ძაფს შორის ვერ წვდებიან, თუმცა აღიქვამენ ორივე ამ საგანს. 9 თვის ასაკში ბავშვების ნაწილი, ხოლო 10 თვიდან ყველა ბავშვი ამოცანას წყვეტს, სახელდობრ, ნამცხვრის გამოსაწეევად ძაფს ჰკიდებს ხელს და ასე ჩაიგდებს ნამცხვარს ხელში.

ამრიგად, 10 თვის ასაკი უნდა ჩაითვალოს პრაქტიკული აზროვნების პირველი გამოვლინების ასაკად.

## თავი მარტივი

### § 1. მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა

#### + მატყველება და აზროვნება

მეტყველების გარეშე ლოგიკური აზროვნების აღმოცენება და განვითარება შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია ცნების ჩამოყალიბება სიტყვის გარეშე. იდეები, მარქსის აზრით, ენის გარეშე არ არსებობენ — „აზრის უშუალო სინამდვილეს — ამბობს მარქსი — ენა წარმოადგენს“.

#### + ენა და მატყველება

ენა და მატყველება არ არის ერთი და იგივე. მატყველება კონკრეტული ადამიანის მოქმედებაა, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში ენის გამოყენებით ხორციელდება.

ენა (მაგალითად, ქართული ენა, რუსული ენა, ინგლისური ენა და ა. შ.) წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ პროდუქტს, რომელიც ცალკე ინდივიდის გარეშეც არსებობს. მას ცალკე ინდივიდის მატყველებისაგან დამოუკიდებელი სტრუქტურა, გარკვეული ფორმები, წესები და კანონები გააჩნია. ეს სტრუქტურა და კანონები არ იცვლება იმის გამო, რომ ვინმე ამ ენაზე არასწორად მატყველებს. არსებობს ე. წ. მკვდარი ენები, რომელზედაც აღარაფერს მატყველებს. მაგრამ ამ ენებსაც თავისი სტრუქტურა და კანონები აქვთ, რომელსაც ჩვენ დღეს ვსწავლობთ. ენას ცალკე ინდივიდის მატყველებისაგან დამოუკიდებელი და ამ აზრით, ობიექტური სტრუქტურა გააჩნია.

მატყველება ინდივიდის მოქმედებაა ენის გამოყენებით. იგი გარკვეულ ფარგლებში იცვლება ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა, მისი შინაგანი მდგომარეობისა და სიტუა-

ციის მიხედვით. ყოველი ადამიანი გარკვეულ ფარგლებში თავისებურად მეტყველებს და თითოეული ადამიანი სხვადასხვა პირობებშიც, თუმცა ერთ და იმავე ენაზე, მაგრამ განსხვავებულად მეტყველებს იმის მიხედვით, მაგალითად, ბავშვს ელაპარაკება თუ ტოლს, მახლობელს თუ აუდიტორიის წინაშე გამოდის, ადევნებულია იგი თუ დამშვიდებული და ა. შ.

ფსიქოლოგიას მეტყველება როგორც ადამიანის მოქმედების ერთ-ერთი სახე აინტერესებს.

### † მეტყველების ფუნქცია

კომუნიკაცია. მეტყველების ძირითადი ფუნქცია ადამიანთა შორის ცნობიერო ურთიერთობის განხორციელებაში მდგომარეობს. მეტყველება ადამიანთა ურთიერთგაგებების საშუალებაა; მეტყველების ამ ძირითად ფუნქციას კომუნიკაციის ფუნქცია ეწოდება.

მეტყველების მეშვეობით ადამიანი ბავშვობის ასაკიდანვე ენის დაუფლების პროცესში იძენს თავისი სოციალური წრის გამოცდილებას. მეტყველების მეშვეობით საზოგადოებრივი გამოცდილება, კაცობრიობის მიერ შემუშავებული ცნებები და ა. შ. ცალკე ადამიანის საკუთრებად აცოცხდება.

ექსპრესია. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მეტყველების მეიხებით კომუნიკაცია, ცხადია, მას ექსპრესიის ანუ განცდათა გამოხატვის ფუნქცია უნდა ჰქონდეს. განცდა მისი გამოსახვის გარეშე სხვისთვის მიუწვდომელი დარჩება. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპრესიის ფუნქცია არ არის საკმარისი ადამიანთა შორის ცნობიერი კომუნიკაციის შესასრულებლად. გამოხატვის ფუნქციას ცხოველის ბგერებიც და სხვა გამოსახულებითი მოძრაობები ასრულებენ და ეს მოძრაობები (აბურძგნა, ღრენა, კაკანი და ა. შ.) სხვა ცხოველების ქცევაზედაც ახდენენ გავლენას, მაგრამ ცხოველს მეტყველება არა აქვს; მის მიერ გამოცემული ბგერები მეტყველებას არ წარმოადგენს, ცხოველი ცნობიერ, შეგნებულ კომუნიკაციას ვერ ასრულებს.

სიგნიფიკაცია. ცხოველის გამოსახულებითი ბგერები, როგორც სხვა გამოსახულებითი მოძრაობები, მისი შინაგანი მდგომარეობის (შიმშილის, წყურვილის, შიშისა თუ გაბრაზების აფექტისა და ა. შ.)

უნებური რეფლექსური ინსტიქტური, თანდაყოლილი გამოსახულებაა, როგორც უცბად შეშინებულ ადამიანის უნებური, უსიტყვო წამოყვირება ან გაფითრება, უნებური ექსტი თუ მიმიკა.

ცხოველის ბგერების საინტერესო დაკვირვებას იძლევა ფრანგი მეცნიერი ბუტანი. ამ მეცნიერმა წამოიყვანა საფრანგეთში ახალდაბადებული მაიმუნი გიბონის ჯიშისა. როდესაც გიბონი წამოიზარდა, მან დაიწყო სწორედ იმ ბგერების გამოღება, რომლებიც მისი ჯიშის მაიმუნებს ახასიათებთ, თუმცა მას ეს ბგერები არ გაუგონია. მაშასადამე, ცხადია, რომ მაიმუნის ბგერები თანდაყოლილ, ინსტიქტურ მოქმედებას წარმოადგენენ. ადამიანი კი იმ ენაზე მეტყველებს, რომელიც მას გარშემო ესმის, მიუხედავად იმისა, თუ რა ეროვნული წარმოშობისაა ეს ადამიანი. დაბადებიდან ყრუ, რომელსაც არ ესმის სხვისი ლაპარაკი, სულაც ვერ სწავლობს ლაპარაკს—მუნჯი რჩება (ყრუ-მუნჯი სიყრუვის გამო არის მუნჯი). ადამიანი მეტყველებს წაბაძვით სწავლობს.

ბუტანის დაკვირვებაში განსაკუთრებით საგულისხმოა შემდეგი მომენტი. აღმოჩნდა, რომ, როდესაც გიბონს ცოტათი შიოდა, იგი საკმლის დანახვაზე გარკვეულ ბგერას გამოსცემდა, მიუხედავად იმისა, თუ რა საკმელს ხედავდა: რძეს დაინახვდა თუ ხილს, პურს თუ შაქარს — სულ ერთია, — სუსტი შიმშილის განცდისას ერთსა და იმავე ბგერას გამოიღებდა. ხოლო როდესაც გიბონს ძალიან შიოდა, იმავე საკმელების დანახვაზე იგი სხვას, მეორენაირ ბგერას გამოსცემდა, ისევე მიუხედავად იმისა, რა საკმელი იყო ეს. მაშასადამე, როდესაც გიბონის შინაგანი მდგომარეობა სხვაგვარი იყო, იმავე საკმლის დანახვაზე იგი მეორენაირ ბგერას გამოსცემდა. ცხოველის ბგერები მის სუბიექტურ მდგომარეობას გამოხატავენ და არ აღნიშნავენ რაიმეს. გიბონი თავის ბგერებით პურს ან ხილს კი არ აღნიშნავდა, არამედ თავის შინაგან მდგომარეობას ამჟღავნებდა. ამ აზრით ამბობენ, რომ ცხოველის ბგერებს არა აქვს ობიექტური მნიშვნელობა. სიტყვა კი რაიმე ობიექტური, მისგან გარეთ არსებული მოვლენის აღმნიშვნელია, — ამ საგნის თუ მოვლენის სახელია. ამ აზრით სიტყვას ობიექტური მნიშვნელობა აქვს. ადამიანი პურს ეძახის „პურს“ და რძეს — „რძეს“. მიუხედავად იმისა, თვითონ მას ამ დროს შია თუ მაძლარია.

მტრის მოახლოებით შეშინებული გარეული ბატის სისინი, მაგალითად, მისი შიშის ინსტიქტური გამოსახულებაა და არა ხიფა-

თის აღმნიშვნელი, როგორც ძაღლის ღრენა გაბრაზების უნებლიე გამოვლენაა და არა რაიმეს აღმნიშვნელი.

ეს ინსტინქტურ-რეფლექსური წამოძახილები ახდენენ გარკვეულ გავლენას სხვა ცხოველების ქცევაზე. მაგრამ ეს გავლენაც ინსტინქტურ-რეფლექსური ხასიათისაა.

შეშინებული გარეული ბატის თავისებური სისინი ინსტინქტურად იწვევს ბატების მთელი გუნდის ტბიდან მოწყვეტას და გაფრენას; კრუხის თავისებური კაკანი ინსტინქტურად იწვევს წიწილების საკენკავად გამოქცევას, ხოლო ქორის ჩრდილით შეშინებული კრუხის სხვაგვარი დაკრუხუნება — წიწილების მისკენ ფრთების ქვეშ დასამალავად გამოქცევას და ა. შ.

სიტყვას იმიტომ შეუძლია შეგნებული კომუნიკაციის როლის შესრულება, რომ მას აღმნიშვნელობითი ანუ სიგნიფიკაციური ფუნქცია გააჩნია. იგი აღნიშნავს შინაარსს (საგანს, აზრს), რომელიც თვითონ ის, — თვით ეს ბგერითი კომპლექსი, არ არის. სიტყვა, როგორც აღქმადი ბგერათა კომპლექსი გარკვეულ მნიშვნელობას გულისხმობს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ამ ბგერათა კომპლექსთან.

ეს სიგნიფიკატური ფუნქცია მეტყველების კომუნიკატური ფუნქციის მეორე მხარეს წარმოადგენს. ერთი მხრივ, როგორც ითქვა, მეტყველება ვერ შეასრულებს შეგნებულ და ერთმნიშვნელოვან კომუნიკაციას ასეთი აღმნიშვნელობითი ფუნქციის გარეშე, მეორე მხრივ, ამ აღმნიშვნელობითს ფუნქციას სიტყვა მიიღებს, როგორც ახლავე დავინახავთ, მხოლოდ კომუნიკაციის პროცესში მისი გამოყენების შედეგად.

აზრდება. სიტყვის აღმნიშვნელობითი ფუნქციის შესრულება აზროვნების სპეციფიკურ ფორმას, ე. წ. სიმბოლიურ აზროვნებას ან „ნიშნის ცნობიერებას“ გულისხმობს (ამიტომაც მეტყველება სრულიად მიუწვდომელია ცხოველისათვის). საქმე ის არის, რომ მნიშვნელობის მატარებლობა, რასაც სიტყვად გადაქცეული ბგერათა კომპლექსი ასრულებს, აღქმადი, თვალსაჩინო მოვლენისათვის (ბგერებისათვის) გარკვეული, მისგან განსხვავებული მნიშვნელობის მინიჭებას გულისხმობს. ეს კი აზროვნების სპეციფიკური აქტის, ე. წ. „აზრდების აქტის“, ანუ „მნიშვნელობის მინიჭების“ აქტის შედეგია.

აზროვნების ასეთი აქტის შედეგად, მაგალითად, უცხო ენის სიტყვა, რომელიც მანამდის უაზრო ბგერათა კომპლექსს წარმოად-



გენდა ჩვენთვის, გადაიქცევა აზრიან სიტყვად, ანდა ტელეგრაფის-  
ტისათვის მორზეს აპარატის კაკუნი აზრიან სიტყვებად გადაიქცე-  
ვა და ა. შ. აზროვნების ეს სპეციფიკური აქტი ექსპერიმენტულად  
არის შესწავლილი ცნების დაუფლების კვლევისას. იგი განსაკუთ-  
რებით ნათლად ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის მიერ  
მეტყველების ნორმალური დაუფლების პროცესი შეფერხებულია,  
მაგალითად, როდესაც დაბადებიდან ყრუ-მუნჯი მოგვიანებით სწავ-  
ლობს მეტყველებას.

ნორმალური ბავშვის განვითარების პროცესში თავის განცდა-  
თა ბგერითი გამოსახულებიდან გადასვლა ნამდვილი მეტყველების  
სტადიაზე, ე. ი. სიტყვების, როგორც საგნის აღმნიშვნელის, რო-  
გორც ნიშნის ხმარებაზე გადასვლა, შედარებით შეუმჩნეველად ხდე-  
ბა. მაგრამ ამის მიღწევა ამ შემთხვევაშიც აუცილებლად გულისხ-  
მობს აზროვნების განვითარების იმ მაღალ დონეს, იმ სპეციფიკურ  
ფორმას, რომელსაც აზრდების განხორციელება ეყრდნობა, ე. ი.  
აღქმადში მისგან განსხვავებული, მის მიმართ  
პეტეროგენული შინაარსის ჩადებას გულისხ-  
მობს. აზროვნების ამ ფორმას, როგორც ვთქვით, სიმბოლი-  
ურ აზროვნებას ან, უფრო ზუსტად, ნიშნის ცნობი-  
ერებას უწოდებენ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აზრდების შედეგად მიღწეუ-  
ლი ნიშნის ცნობიერება და, კერძოდ, სიტყვის მნიშვნელო-  
ბის განცდა, სულ სხვა კავშირს გულისხმობს  
აღქმადსა და მასში ჩადებულ შინაარსს შო-  
რის, ვიდრე უბრალოდ ასოციაციური კავშირი  
ორ შინაარსს შორის, რომლის გამო ერთი შინაარსი მოგ-  
ვაგონებს მეორეს. აზრდების შედეგად ბგერათა  
კომპლექსი და მისთვის მინიჭებული მნიშვნე-  
ლობა ერთიანობაში განიცდება, როგორც ერთი  
მთლიანი სიტყვა. ბგერათა კომპლექსს გაბმული მეტყველე-  
ბის პროცესში ჩვენ ვერ ვამჩნევთ ხოლმე — თითქოს იგი „გამჭ-  
ვირვალე“ გახდა — სიტყვას პირდაპირ, როგორც მის  
მნიშვნელობას განვიცდით. რომ გვეთხონ, რა არის  
მაგალითად „რადიო“, „წვიმა“ ან სხვა რამ, ყველა დაიწყებს თვით  
ამ სიტყვით აღნიშნული მოვლენის რაობის ახსნას და არავის მო-  
უვა აზრად თვით ამ ბგერათა კომპლექსზე ილაპარაკოს. არავინ  
იტყვის, რომ ეს არის ბგერათა კომპლექსი, რომელიც ამას და ამას  
აღნიშნავს: უშუალო განცდაში, რაიმე სპეციფიკური საკითხის გა-  
რეშე მოსმენილ სიტყვას „წვიმა“ ჩვენ როგორც ბგერათა კომპ-

ლექსს კი არ განვიცდით, რომელიც ამა და ამ მოვლენას აღნიშნავს, არამედ მის მნიშვნელობას — თვით ამ მოვლენას (წვიმას) ვგულისხმობთ.

ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ აზრდება ხორციელდება მაშინ, თუ სუბიექტი მისთვის ახალ სიტყვებს კომუნიკაციის პროცესში — სხვადასხვა ურთიერთგაგებინების პროცესში, ხმარობს. აქედან გასაგებია მეტყველების კომუნიკაციური და სიგნიფიკატური ფუნქციების ერთობა.

### სიტყვა და აზრი

სიტყვის მოწყვეტა აზრისაგან შეუძლებელია, რადგანაც სიტყვა გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია და, მაშასადამე, აზროვნების გამოვლინებაა. თუთიყუშის მიერ ნათქვამი „სიტყვა“ წაბადვის ინსტიქტის მოქმედების შედეგად აღმოცენებული რეფლექსური ბგერებია და არა მეტყველება, რადგანაც ამ ბგერების მნიშვნელობა მას არ ესმის, რადგანაც ამ „სიტყვებს“ აზრობრივი მხარე აკლია. მეტყველება ინტელექტუალური ოპერაციაა.

მეორე მხრივ, სიტყვა აზრის „მატერიალური დასაყრდენია“. აზრი სიტყვების მეშვეობით ყალიბდება და იქმნება. სიტყვა და აზრი ორი დამოუკიდებელი რამე კი არ არის, რაც ცალ-ცალკე არსებობს და შემდეგ უკავშირდება ერთმანეთს. ა. გარდინერის სიტყვებით რომ ვთქვათ „მეტყველების ბგერები თვითმფრინავები კი არ არიან, რომელიც გამოგონილია იმისათვის, რომ აზრები, როგორც მგზავრები ადამიანიდან ადამიანთან გადაიტანონ“. როგორც ვთქვით, აზრი სიტყვათა და წინადადებათა მეშვეობით იქმნება და ყალიბდება.

აზრი როდი წარმოადგენს ისეთ ერთეულს, როგორც ცალკე სიტყვა. აზრი ჩვეულებრივ წინადადებისა და წინადადებათა რიგის მეშვეობით გამოითქმის. ზოგი აზრის ნათელსა და დასრულებულ ჩამოყალიბებას მრავალ და მრავალ წინადადებათა შემცველი სიტყვიერი გადმოცემა სჭირდება.

ცალკე სიტყვების მნიშვნელობაც ცვალებადობს იმის მიხედვით, თუ რა აზრობრივ კონტექსტში გამოიყენება ეს სიტყვა, ან რა სიტუაციაშია მეტყველი სუბიექტი. სიტყვის მნიშვნელობა ხშირად მხოლოდ გარკვეულ სიტუაციაში მყოფ ადამიანთათვისაა გასაგები; ხშირად ფარული მნიშვნელობითაც იხმარება, ზოგჯერ სიტყვას გადატანითი მნიშვნელობაც აქვს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სიტყვებს, წინადადებებს და უფრო დიდ მეტყველებით კონტექსტს პირდაპირი, სიტყვებით გამოთქმული მნიშვნელობის გარდა, ხშირად სხვა, ფარული, ზოგადი მნიშვნელობა, ზოგადი დედაზრი გააჩნიათ; აზრი, რომელიც ცალკე სიტყვებით არაა აღნიშნული. ასეთია, მაგალითად, ანდაზის, იგავ-არაკის, თუ სხვა რაიმე ლიტერატურული ნაწარმოების დედააზრი. ასეთია ის „ქვეტექსტი“, რომელიც იგულისხმება ხშირად ადამიანის ნათქვამში, რომელშიაც შეღავნდება მოსაუბრის ის მოტივები და ფარული ზრახვები, რომლითაც იყო ნათქვამი მოცემული სიტყვა ან წინადადება, ან მათში ნაგულისხმევი ფარული იუმორი და ა. შ. „ქვეტექსტი“ ხშირად ისეთი ხასიათისაა, რომ მხოლოდ იმისათვის არის მისაწვდომი, ვინც იცნობს იმ სიტუაციას, რომელიც წინ უსწრებდა ამ საუბარს ან თვით საუბრის სიტუაციას და ა. შ.<sup>1</sup>

### შინაგანი მეტყველება

მეტყველებისა და აზროვნების ერთიანობაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ თავისთვის აზროვნების პროცესშიც ადამიანი იყენებს ხოლმე სიტყვებს — ხმამაღლა გამოუთქმელად, თავისთვის „მეტყველებს“. ასეთ „გამოუთქმელ“ მეტყველებას „შინაგან მეტყველება“ უწოდებენ. ამ მეტყველების ერთდერთ ფუნქციას აზროვნების პროცესში მონაწილეობა შეადგენს, შინაგანი მეტყველება აზროვნების იარაღია.

ურთიერთობის ფუნქციას მოკლებულს, გამოუთქმელ მეტყველებას თავისებური სტრუქტურაც გააჩნია: იგი შემოკლებულია და ფრაგმენტალური, ნაწყვეტ-ნაწყვეტია, „პუნქტირისებური“. შინაგანი მეტყველება არასდროს არ მიმდინარეობს დასრულებულ, ჩამოყალიბებულ წინადადებათა სახით. თავისთვის აზროვნების პროცესში ადამიანი სიტყვებს მხოლოდ იმის გააზრებისათვის იყენებს, რაც ფვით მისთვის, სუბიექტისათვის უნდა გახდეს ნათელი, ხოლო ის, რაც სუბიექტისათვის თავისთავად ცხადია, იმას შინაგან მეტყველებაში გამოტოვებს ხოლმე.

<sup>1</sup> უფრო დაწვრილებით იხ. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1956, გვ. 378 — 379.

ზეპირი, ე. ი. ბგერითი მეტყველებისაგან ასხვავებენ მეტყველების წერით ფორმას — წერიტი მეტყველება. მეტყველების ეს ფორმა რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც პირველ რიგში იმით არის გაპირობებული, რომ წერითი მეტყველება მოკლებულია ყველა იმ დამხმარე, გამოსახულებით საშუალებას (სახის გამომეტყველება, მიმიკა, ხმის ინტონაცია, ჟესტები და ა. შ.), რაც დიდ როლს თამაშობს ზეპირი მეტყველების დროს. ეს გარემოება როგორც საზოგადოდ მოსაუბრესთან უშუალო კონტაქტს მოკლებულობა, მოსაუბრის სიტყვებზე მსმენელის რეაქციის აღუქმელობა და ა. შ., მოითხოვს წერითი მეტყველებისაგან აზრის უფრო დასრულებულ, ჩამოყალიბებულ, სისტემატურ და თანაც უფრო ლაკონიურ ფორმაში დალაგებას. მეტყველება წერით ფორმაში მოითხოვს ისეთი მომენტების სიტყვიერ ფორმაში გამოთქმას, რაც ზეპირი მეტყველების დროს თავისთავად ხდება გასაგები მოცემულ სიტუაციაში და ამიტომ სიტყვებს არ მოითხოვს.

ნ ა რ მ ს ა ხ ვ ა

§ 1. რა არის წარმოსახვა, ანუ ფანტაზია?

1. აღქმისა და მეხსიერების პროცესში ადამიანი მიისწრაფვის რაც შეიძლება სწორად, უცვლელად ასახოს ობიექტი — საგანი, რომელსაც აღიქვამს ან მოიგონებს (წარმოიდგენს). მაგრამ ადამიანს აქვს უნარი წარმოდგენაში არა მხოლოდ აღქმულის რეპროდუქციისა, არამედ ახლის, აღუქმელისა და არარსებულის, თვალსაჩინო წარმოდგენისა, ამ უნარს წარმოსახვა, ანუ ფანტაზია ეწოდება. ვ. ლენინი ფანტაზიის მოქმედებას „სინამდვილიდან აფრენას“ უწოდებს.

ადამიანს ახასიათებს უნარი „პროსპექტული“ მოქმედებისა, ე. ი. მომავალი, ჭერ უნახავი სიტუაციის წარმოდგენისა და ამის შესატყვისად მოქმედებისა; ადამიანს მოქმედების მიზნის წინასწარი წარმოდგენის უნარი გააჩნია; მაგალითად, ჭერ არარსებული, გასაკეთებელი ნივთის წინასწარი წარმოდგენის უნარი. ეს კი მხოლოდ ფანტაზიის მეშვეობით არის შესაძლებელი. კ. მარქსის სიტყვებით — „რაც ყველაზე მდარე ხუროთმოძღვარს იმთავითვე საუკეთესო ფურცრისაგან განასხვავებს, ეს ის გარემოებაა, რომ ხუროთმოძღვარმა, ვიდრე ფიჭის უჭრედს ააშენებდეს. უკვე თავის თავში ააშენა იგი. შრომის პროცესის დასასრულს ვღებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად უკვე არსებობდა“<sup>1</sup>.

მოქმედების მიზნის წინასწარი წარმოდგენა ფანტაზიის გარეშე შეუძლებელია.

ყველა ჩვენგანი უკვე ბავშვობიდან სწავლის პროცესში უამრავ რამეს წარმოიდგენს, რაც არასდროს არ ჰქონდა აღქმული: გეოგრაფიულ ადგილებს, ისტორიულ ამბებს და პირებს, პლანეტებს, ატომის აგებულებას და ა. შ.

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 228.

ყველა ხალხის ფოლკლორი, განსაკუთრებით საზღაპრო ფოლკლორი, კერძოდ ძველი ბერძნების მითოლოგია, სავსეა უნახავი არარსებული, გამოგონილი, „ფანტასტიკური“ არსებებითა და მოქმედებებით.

ახალი დროის ხელოვნებაც ხშირად ქმნის სინამდვილეში შეუძლებელი ობიექტების წარმოდგენას (მერანი, მფრინავი გემი, მარსის მცხოვრებლები ფანტასტიკური რომანებიდან და ა. შ.).

ასეთი, სუბიექტისათვის ახალი, აღუქმელი ობიექტების წარმოდგენათა შექმნის პროცესი წარმოსახვის ანუ ფანტაზიის მოქმედებაა. ფანტაზიის - მოქმედება ახალ წარმოდგენათა შექმნაში მდგომარეობს.

სინამდვილის გარდაქმნა, ახლის შექმნა, „ბუნების გაადამიანება“ შეუძლებელია ამ ახლის, გარდაქმნილის წინასწარი წარმოდგენის გარეშე: „სინამდვილის პრაქტიკაში გარდასაქმნელად საჭიროა მისი გარდაქმნა აზრში“.

2. მაგრამ როგორ არის შესაძლებელი ახალი წარმოდგენის შექმნა, ე. ი. აღუქმელის წარმოდგენა, როდესაც ობიექტური სინამდვილის ასახვის ერთადერთ პირველად გზას ჩვენი შეგრძნების ორგანოების გაღიზიანების მეშვეობით აღმოცენებული შეგრძნებები წარმოადგენენ (იხ. ზემოთ, თავი II, § 1)?

დაბადებიდან ბრმა ისევე ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს ფერს, როგორც დაბადებიდან ყრუ — ბგერას! მართლაც, არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ისეთი სენსორული (შეგრძნებითი) თვისებების წარმოდგენა, რომელიც მას არასდროს არ ჰქონია აღქმული! ეს ფაქტია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენ უამრავ რამეს წარმოვიდგენთ, რაც არასდროს არ გვქონია აღქმული და მათ შორის ისეთ რამესაც, რაც არც არსებობს და შეუძლებელიცაა არსებობდეს (გავიხსენოთ მითიური, ზღაპრული, ცრუმორწმუნებით შექმნილი „არსებები“).

აღუქმელის წარმოდგენას ადამიანი წარმოსახვის ამოქმედების გზით ქმნის იმ ემპირიული სენსორული მასალის გადამუშავების გზით, რომელიც მის აღქმათა შინაარსს შეადგენს. ყოველი, თვით უკიდურესად ფანტასტიკური წარმოდგენის ელემენტარული შეგრძნებითი მასალა სუბიექტის აღქმიდან, მისი გამოცდილებიდანაა აღებული. „არაფრიდან რამეს“ გენიოსის ფანტაზიაც ვერ შექმნის! რა გინდ ორიგინალური იყოს, მაგალითად, რაიმე მუსიკალური ნაწარმოები, ვთქვათ: ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია, რომელიც აღიარებულია გენიალურ ნაწარმოებად, იგი მაინც შედგება იმავე შეზღუდული

რაოდენობის ნოტებისაგან, იმავე ტონებისაგან, რაც ყოველი სხვა მუსიკალური ნაწარმოები, ანდა ის „გამა“, რომელსაც ბავშვი როგორც მუსიკალურ ანბანს სწავლობს. სიახლეს, ორიგინალობას, ესთეტიკურ ღირებულებას ბეთჰოვენის სიმფონიას აძლევს ის კომბინაცია, ის სინთეზი, რომელშიც მოცემულია ეს ყველასათვის ცნობილი ელემენტარული ტონები.

## § 2. წარმოსახვის ძირითადი ოპერაციები

რა გზით ხდება აღქმიდან მიღებული სენსორული მასალის გადამუშავება ახალ წარმოდგენათა შექმნისას, ე. ი. როგორია ფანტაზიის ძირითადი ოპერაციები, რომლის შედეგად ამ აღქმული მასალიდან ახალი წარმოდგენები იქმნება?

თვალსაჩინო ანალიზი და თვალსაჩინო განყენება. მთლიან წარმოდგენას (აღქმის რეპროდუქციას) სუბიექტი დაშლის შემადგენელ თვალსაჩინო ნაწილობრივ შინაარსებად, ე. ი. გააანალიზებს თვალსაჩინო მთლიანს. ოღონდ ეს ანალიზი თვალსაჩინო ხასიათს ატარებს, რამდენადაც ის ნაწილობრივი შინაარსები, ან ელემენტები, რომელზედაც დიშლდება თვალსაჩინო წარმოდგენა, თვითონაც თვალსაჩინო ბუნებისაა: ფერი, ფორმა, ბგერა და ა. შ.

ფანტაზიის მოქმედების სახით წარმოებული განყენებაც თვალსაჩინო ხასიათს ატარებს: სუბიექტი გამოჰყოფს მთლიანი საგნის თვალსაჩინო წარმოდგენიდან მის ერთ-ერთ არადამოუკიდებელ თვალსაჩინო ელემენტს და მთლიანის გარეშე წარმოიდგენს მას. მაგალითად, ცოცხალ თავს წარმოიდგენს სხეულის გარეშე (ზღაპრის სიუჟეტიდან) ან ხმას ორგანიზმის გარეშე, გარკვეულ ფერს იმ საგნის გარეშე, რომლის აღქმაშიც იყო იგი მოცემული და ა. შ. ცხადია, რომ ფანტაზიის ეს მოქმედება არ არის სავსებით თავისუფალი აზროვნების პროცესებისაგან (იხ. ზემოთ. აბსტრაქცია, როგორც აზროვნების პროცესი), ისევე როგორც აზროვნების პროცესში წარმოებული აბსტრაქცია შეუძლებელია წარმოსახვის მონაწილეობის გარეშე. მაგრამ ძირითადი განსხვავება ანალიზისა ან აბსტრაქციისა, როგორც წარმოსახვის მოქმედებისა, აზროვნებისათვის დამახასიათებელი ანალიზის ან აბსტრაქციისაგან, პირველის თვალსაჩინო ბუნებაშია.

თვალსაჩინო სინთეზი. თვალსაჩინო ელემენტების გაერთიანება ახალ კომბინაციაში მთლიანი თვალსაჩინო წარმოდგენის სახით, თვალსაჩინო სინთეზის ოპერაციას წარმოადგენს. ცხადია, რომ

ახალ კომბინაციაში ელემენტების გაერთიანება სუბიექტისათვის ახალ წარმოდგენას ქმნის.

ამ ოპერაციის ძირითადი განსხვავება აზროვნების სინთეზური მოქმედებისაგან (იხ. ზემოთ) ისევე წარმოსახვის სინთეზის თვალსაჩინო ხასიათშია: თვალსაჩინო ელემენტების გაერთიანებით თვალსაჩინო წარმოდგენა იქმნება, თუმცა ცხადია, ამ ოპერაციაში ისევე მონაწილეობს აზროვნების პროცესი, როგორც აზროვნებით სინთეზირებაში ფანტაზია.

ელემენტების თვალსაჩინო სინთეზირება სპეციფიკურ სიძნელეს წარმოადგენს; ამაში ადვილად დაკრწმუნდებით, თუ შევეცდებით ლეონარდო და ვინჩის მაგალითის მიხედვით წარმოვიდგინოთ ფანტასტიკური ცხოველის სახე მისი შემდეგი ელემენტების თვალსაჩინო წარმოდგენათა სინთეზირებით: „ავილოთ — ამბობს ლეონარდო — მეცხვარე ძაღლის თავი, შეუერთოთ მას კატის თვალები, ბუს ყურები, მწვეარი ძაღლის ცხვირი, ლომის წარბები, ბებერი მამლის საფეთქლები და წყლის კუს კისერი...“ რომ სცადოთ ყველა ამ მომენტის სინთეზირება, ცხოველის თავის მთლიანი წარმოდგენის სახით, თქვენ დარწმუნდებით, რომ თუმცა თითოეულ ელემენტს (კატის თვალს და ა. შ.) ადვილად წარმოიდგენთ, მაგრამ მთლიანი ხატის წარმოდგენა, ე. ი. თვალსაჩინო სინთეზირება გაციორდებათ; ამ სინთეზირების განხორციელება ძლიერ ფანტაზიას მოითხოვს.

აგლუტინაცია. თვალსაჩინო სინთეზირების შედარებით მარტივ ფორმას, რომელიც რამდენიმე მთელი საგნის ან საგნის დიდი ნაწილების ერთი მთლიანის სახით მარტივ შეერთებას წარმოადგენს, აგლუტინაციას უწოდებენ. ფანტაზიის ამგვარი მოქმედების ნაყოფს ხშირად შეხედებით ზღაპრებში და ანტიკურ მითოლოგიაში: კენტავრი, რომელიც ცხენის ტანისა და ადამიანის ტანის ზედა ნაწილის შეერთებას წარმოადგენს, ქიმერა, რომელიც ლომის პირის, თხის ტანისა და გველის ბოლოს შეერთებაა, ალი, რომელიც ქალის ტანის ზედა ნაწილისა და თევზის ბოლოს მარტივი შენაერთია და ა. შ. ასეთ კომბინირებულ ფიგურებს, რომლებიც არაიშვიათად სიმბოლური მნიშვნელობისაა, ხშირად ნახავთ, მაგალითად, ბარელიეფებში და ა. შ.

თვალსაჩინო განზოგადება. მიუხედავად იმისა, რომ წარმოსახვისათვის დამახასიათებელია თვალსაჩინო ხასიათის აბსტრაქცია და სინთეზი, წარმოსახვის მოქმედებისათვის, განსაკუთრებით მხატვრული შემოქმედების პროცესში, დამახასიათებელია განზოგადებაც, მაგრამ ეს განზოგადებაც თვალსაჩინო წარმოდგენის ფორმაში ხორციელდება. სახელდობრ, იქმნება ხატი (წარმოდგენა), რომელიც ზოგადი იდეის



განსახიერებაა, ან ტიპობრივის, ობიექტთა გარკვეული კატეგორიისათვის საერთო თვისებების მატარებელია. ასე იქმნება, მაგალითად, ლიტერატურული ტიპი, რომელიც კონკრეტული ადამიანის სახით არის განსახიერებული. ამაშია წარმოსახვით მიღწეული განზოგადების მთავარი განსხვავება აზროვნების პროცესში მოცემული განზოგადებისაგან.

მაგალითად, ლუარსაბ ლათქარიძის კონკრეტული პიროვნების ხატის სახით მოცემულია გარკვეული ეპოქის ქართველი თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილისათვის დამახასიათებელი თვისებები, ე. ი. ზოგადი თვისებები. რამდენადაც ეს ზოგადი მოცემულია კონკრეტული ადამიანის საკმაოდ თვალსაჩინო წარმოდგენის სახით, იმდენად ეს განზოგადება, ძირითადადში, წარმოსახვის განმაზოგადებელი მუშაობის ნაყოფია. თუ იმავე წრისათვის იმავე დამახასიათებელ ზოგად ნიშანთა დახასიათება და აღწერა მოცემული იქნება ცნებებით და არა კონკრეტული ადამიანის ხატის სახით, მაშინ საქმე გვექნება აზროვნებისათვის დამახასიათებელ განზოგადებასთან. ცხადია, რომ მხატვრული ტიპის შექმნის პროცესშიც ფანტაზიის მუშაობას წარმართავს აზროვნების პროცესი, მაგრამ წარმოსახვის გარეშე თვალსაჩინო ხატი ვერ შეიქმნება. ხოლო რამდენადაც ხელოვნების ყოველი ხატი — პოეტის შემოქმედება იქნება ეს, მხატვრისა თუ სხვ. — აუცილებლად გულისხმობს მეტ-ნაკლებ განზოგადებას, ამდენად მხატვრული ხატის შექმნა ყოველთვის გულისხმობს წარმოსახვის განმაზოგადებელ მოქმედებას, მიუხედავად იმისა, იქნება ეს პეიზაჟის ხატი, ადამიანის ხატი თუ სხვ.

**სიმბოლიზაცია.** თვალსაჩინო განზოგადება დიდ როლს ასრულებს ზოგადი იდეის სიმბოლურ გამოხატვაში თვალსაჩინო ხატის სახით, რასაც ადგილი აქვს ხელოვნებაში ფართოდ გამოყენებულ ისეთ ხერხებში, როგორცაა ალეგორიები, მეტაფორები და ა. შ. რამდენადაც ამ შემთხვევაში სიმბოლო თვალსაჩინო წარმოდგენის სახითაა მოცემული, სიმბოლიზაციის ოპერაცია, გარკვეულ ფარგლებში, წარმოსახვის მოქმედებას წარმოადგენს.

**აქცენტუალიზაცია.** თვალსაჩინო განზოგადებისა და სიმბოლიზაციის პროცესში დიდ როლს ასრულებს გამოცდილებიდან აღებული წარმოდგენის ცალკე მომენტების, შტრიხების, მხარეებისა და თვისებების ხაზგასმა, წინ წამოწევა, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოდგენა და ა. შ. ასეთი მოქმედების შედეგად წარმოდგენა იცვლება, გადამუშავდება და უკვე აღარაა აღქმის უბრალო რეპრო-

დუქცია; იგი უკვე ფანტაზიისა და არა მეხსიერების წარმოდგენად იქცევა.

გაზვიადება. ახალი წარმოდგენის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღქმულის ჩვენს წარმოდგენაში გაზვიადება, გადაჭარბება ძალისა თუ სისუსტისა, სიდიდისა თუ სიპატარავის და ა. შ. განსაკუთრებით ხშირია წარმოსახვის ამ ოპერაციის ტლანქ ფორმაში გამოვლინება ზღაპრებში: დევები, ქონდრის კაცები, მრავალთავიანი გველეშაპები, ადამიანის ტანზე უფრო დიდი წვერები და ხმლები და ა. შ. მაგრამ წარმოსახვის ეს მოქმედება არაა უცხო არც მხატვრული ლიტერატურისათვის („შეირყა მთა და ქვეყანა ამა ქე-ქითა და ამა ქუხილით“. „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან“ (ი. ჭავჭავაძე). ამ ხერხს, როგორც ცნობილია, ხშირად მიმართავდა ხოლმე მაიაკოვსკი.

## § 8. წარმოსახვის ფორმები ანუ სახეები

პირველ რიგში უნდა განვასხვავოთ ნებისმიერი ანუ აქტიური და უნებლიე ანუ პასიური ფანტაზია.

### პასიური ფანტაზია

ფანტაზიის მოქმედება ხშირად უნებლიე ხასიათისაა. წარმოსახვის ასეთ გამოვლინებას პასიურ ფანტაზიას უწოდებენ. მაგალითად, სიზმარში „ნახული“ უჩვეულო ამბები თუ მოვლენები, ე. ი. სუბიექტისათვის ახალი, სინამდვილეში არნახული წარმოდგენები, ცხადია, ფანტაზიის უნებლიე გამოვლინებას წარმოადგენენ; ასეთივე ხასიათისაა, მაგალითად, მოგონების პროცესში ჩვენდა უნებურად მომხდარი ცვლილებები, დამახინჯებები, ე. ი. შემცდარი მოგონების ფაქტები და ა. შ.

პასიური ფანტაზიის გამოვლინებაში ასხვავებენ ფანტაზიის თავისუფალ და შეზღუდულ ფორმებს.

### უნებლიე ფანტაზიის შეზღუდული გამოვლინის ფორმები

პასიური ფანტაზიის შეზღუდულ გამოვლინებას ანუ „შეზღუდულ ფანტაზიას“ უწოდებენ წარმოსახვის ისეთ უნებლიე მოქმედებას, რომელიც შეზღუდულია რეალური სინამდვილის ასახვით. ფანტაზია უნებლიედ იჩენს თავს სუბიექტის მიერ ობიექტური სინამდვილის ასახვის პრო-

ცესში — ამ სინამდვილის აღქმის, მისი მოგონების, თუ მომავალი სიტუაციის გააზრების პროცესში და არა დამოუკიდებელი მოქმედების სახით.

ფანტაზიის მოქმედება აღქმის პროცესში. განსაკუთრებით შებოქილია ფანტაზიის უნებლიე გამოვლენანი რეალური სინამდვილის აღქმის პროცესში. აღქმაში ფანტაზიის ჩარევა ძირითადად შემდეგი მიმართულებით იჩენს თავს: ხარვეზოვანი, არასრული აღქმის შეესებისა, სიტყვიერ აღწერაში ნაგულისხმევი შინაარსის თვალსაჩინო წარმოდგენის სახით ილუსტრაციისა და აღქმის სუბიექტური დამახინჯების (ილუზიის) მიმართულებით:

როდესაც აღქმის პირობები არახელსაყრელია (სუსტი განათება, სუსტი, ძნელად აღსაქმელი, ბუნდოვანი გამღიზიანებელი და ა. შ.), ხოლო სუბიექტი განწყობილია გარკვეული შინაარსის აღსაქმელად, აღქმა ამ განწყობის შესატყვისად იცვლება (იხ. თავი III, § 2), სახელობრ, იცვლება და ივსება ამ განწყობის საფუძველზე ამოქმედებული ფანტაზიის შემწეობით. როდესაც ვკითხულობთ გაურკვეველი ხელით დაწერილ ტექსტს, ზუსტად ამ ტექსტის მხოლოდ ნაწილს აღვიქვამთ; დანარჩენს ჩვენი ფანტაზია ავსებს. როდესაც ქუჩაში ყურს მოვკრავთ ფრაზის ნაწყვეტს, მას მაშინვე, ჩვენდა უნებურად, ასე თუ ისე შევავსებთ გარკვეული მიმართულებით და ა. შ.

მხატვრული ნაწარმოების კითხვისას, ჩვენდა უნებურად, მეტნაკლებად თვალსაჩინოდ წარმოვიდგენთ მასში აღწერილ პირობებს, მოქმედებებს, სიტუაციას, პეიზაჟს და ა. შ. ცხადია, ეს ფანტაზიის მოქმედების შედეგია, რადგანაც ეს ობიექტები მკითხველს არ უნახავს. განსაკუთრებით დიდია ამ მიმართულებით ფანტაზიის როლი დრამატული ნაწარმოების კითხვისას, რადგანაც მასში არც გმირები და არც სიტუაციები ავტორის მიერ არაა აღწერილი; მათი წარმოდგენა მთლიანად მკითხველის წარმოსახვას ეყრდნობა.

ფანტაზიის მონაწილეობა მეხსიერების პროცესში. მოგონების პროცესში აღქმულის მეტ-ნაკლები შეცვლა ხდება ხოლმე, და ზოგჯერ, მეტადრე შთამაგონებელი კითხვების ზეგავლენით, ადამიანი იმდენად ცდება, რომ „მოიგონებს“ იმას, რაც სინამდვილეში არ ყოფილა, რაც არ ჰქონია აღქმული.<sup>1</sup> ეს უკანასკნელი იმას ნიშნავს, რომ ფანტაზიის უნებლიე ამოქმედების შედეგად აღმოცენებულ წარმოდგენას სუბიექტი მეხსიერების წარმოდგენად,

<sup>1</sup> უფრო დაწერილობით მოგონებისა და მათი დამახინჯების შესახებ იხილეთ, მაგ. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1956, გვ. 261 და შემ.

ე. ი. უწინ აღქმულის მოგონებად მიიღებს. რა მიმართულებით შეცვლის ფანტაზია წარმოდგენას მოგონების პროცესში, პირველ რიგში დამოკიდებულია სუბიექტის შინაგან მდგომარეობაზე — მის განწყობაზე, მის მოთხოვნილებებზე და ა. შ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ფანტაზიის მოქმედება შეზღუდულია წარსულში აღქმული რეალური სინამდვილის ასახვის პროცესით, რაც მეხსიერების ფუნქციას შეადგენს, ოღონდ, ცხადია, რომ მეხსიერება მოგონების პროცესში ნაკლებად ზღუდავს ფანტაზიის მოქმედებას, მეტ გასაქანს აძლევს მას, ვიდრე აღქმა, რომელიც უშუალოდ ასახავს მოცემულ ობიექტს.

ფანტაზიის მონაწილეობა მომავალი ხიტუაციის გააზრებაში. კიდევ ნაკლებად, ვიდრე წარსულის აღდგენის პროცესში შეზღუდულია ფანტაზიის მოქმედება მომავალზე ფიქრის დროს, ამ შემთხვევაში ფანტაზიის მონაწილეობა აუცილებელია და მისი როლი ძალიან დიდია: მომავლის, ე. ი. ჭერ არმომხდარის წარმოდგენა, წარმოდგენა იმისა, რაც ჭერ არ გვექონია აღქმული, ხომ ფანტაზიის ფუნქციას შეადგენს.

ფანტაზია თვალსაჩინოდ გვიხატავს, მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინოდ ხატებში წარმოგვიდგენს მომავალში მოსალოდნელ ამბებს, სიტუაციებს და თვით ჩვენ მომავალ მოქმედებებს, როდესაც ჩვენ ჭერ არ გვაქვს მათ შესახებ ზუსტი და გარკვეული ცოდნა. რაც უფრო ღრმად ეხება ეს მომავალი პირობები ჩვენს ინტერესებს, მით უფრო ინტენსიურია ამ მიმართულებით ფანტაზიის მოქმედება, როდესაც ჩვენ ვეშხადებით ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად, ანდა უბრალოდ რაიმე მნიშვნელოვანი მოქმედებისათვის, — გამოცდისათვის, საჯარო მოხსენებისათვის, ექსპედიციისათვის, სპორტული შეჯიბრებისათვის, თუ ახალ თანამდებობაზე მუშაობის დაწყებისათვის და ა. შ., ანდა ვფიქრობთ ჩვენთვის ამაღელვებელი ამბის შესაძლო შედეგებზე — მაგალითად, ჩვენი მახლობლის სერიოზული ავადმყოფობის შედეგებზე და ა. შ., შეუძლებელია ყველა ამ შემთხვევაში ჩვენმა ფანტაზიამ მრავალ და მრავალ ჭერ არ დაგვიხატოს ეს მომავალი, რომელიც მალე ჩვენს აწმყოდ უნდა გადაიქცეს. ხოლო თუ როგორ დაგვიხატავს მას, — ასე ვთქვათ, ოპტიმისტურად თუ პესიმისტურად — ჩვენთვის სასურველად თუ პირიქით, ჩვენს მიზნებს მიუღწევლად წარმოგვიდგენს და, მაშასადამე, ჩვენს თავს გამარჯვებულად თუ, პირიქით, დამარცხებულად, ეს უკვე დამოკიდებულია როგორც თვით პიროვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე — მის ხასიათზე, ტემპერამენტზე და ა. შ., ისე, კერძოდ,

იმზე, თუ როგორ არის განწყობილი სუბიექტი ამ მომავლის მიმართ; მაგალითად, იზიდავს მას ის ახალი საქმე, რომლისთვისაც ემზადება, თუ პირიქით, აშინებს ან არ ეამება და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ფანტაზიის ამ მოქმედებას მომავლის გააზრების პროცესში დიდი რეალური მნიშვნელობაც აქვს სუბიექტისათვის: იმის მიხედვით, თუ როგორ „ილუსტრაციას“ აძლევს ფანტაზია ამ მომავალს, რა ფერებში დახატავს მას, სუბიექტიც სათანადოდ განეწყობა ამ მომავლის მიმართ. მაგალითად, თუ სუბიექტს ეშინია იმ ახალი საქმისა, რასაც ჰკიდებს ხელს, ამ განწყობის საფუძველზე მან შეიძლება ისეთი საშინელი ან უადრესად უსიამოვნო, საზარელი სახით წარმოისახოს ეს მომავალი სიტუაცია, რომ ამან სულაც ააღებინოს ხელი სუბიექტს ამ ახალ საქმეზე; ან პირიქით, საწინააღმდეგო შემთხვევაში, ფანტაზიამ შეიძლება ისე მომხიბლავად დაუხატოს სუბიექტს ეს მომავალი საქმე, რომ ძლიერი იმპულსი მისცეს მას ამ ახალ საქმეში ჩასაბმელად.

### უნებლიე ფანტაზიის თავისუფალი გამოვლინება

„შეზღუდული ფანტაზიის“ საპირისპიროდ „თავისუფალ ფანტაზიას“ უწოდებენ უნებლიე ფანტაზიის ისეთ გამოვლინებას, რომელიც სხვა პროცესში (კერძოდ, შემეცნების პროცესში) დამხმარე როლს კი არ ასრულებს, არამედ, პირიქით, დამოუკიდებლად ვლინდება. უნებლიე ფანტაზიის ასეთ თავისუფალ გამოვლენას აღვილი აქვს მაშინ, როდესაც პიროვნება განსაკუთრებით პასიურ მდგომარეობაში იმყოფება, როდესაც მისი აქტივობა მოღუწებულია, როდესაც მის წინაშე არ დგას რაიმე ამოცანა და ა. შ. ასე პასიურია ადამიანი მაშინ, როდესაც ის ძილის ან ნახევრად მთვლემარე მდგომარეობაშია. მართლაც, თავისუფალი უნებლიე ფანტაზიის ტიპიურ ფორმას სიზმარი და პასიური ოცნება<sup>1</sup> წარმოადგენს.

სიზმარი. რამდენადაც სიზმარს ადამიანი ძილის მდგომარეობაში ხედავს, როდესაც მისი აქტივობა სრულიად აღკვეთილია, იმდენად სიზმარში გამოვლენილი წარმოსახვის მოქმედება, ცხადია, სრულიად უნებურ ხასიათს ატარებს. ძილის მდგომარეობის გამო ადამიანის ცნობიერება მოწყვეტილია გარემოს და სიზმრის შინაარსი მეტწილად ფანტაზიის მოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

<sup>1</sup> პასიურ ოცნებას ვუწოდებთ ოცნების იმ სრულიად უნებლიე გამოვლენებას, რასაც რუსულად „рѣзвѣ“ ეწოდება.

თუ სიზმარი არ წარმოადგენს სრულიად ფრაგმენტალურ, დაქუც-  
მაცებულ ცალკეულ წარმოდგენათა ქაოსურ ამოტივტივებას (რაც  
ძილის დროს შეკავებულ მდგომარეობაში მყოფი ტვინის ქერქის სხვა-  
დასხვა ადგილების შემთხვევით გამოწვეული აგზნების შედეგია<sup>1</sup>).  
თუ სიზმარი გარკვეული შინაარსის გაშლის, რაიმე  
ფაბულის განვითარების იერს ატარებს, თუ მას გაბმულ-  
ი ხასიათი აქვს, მაშინ იგი ძირითადად უნებლიე ფანტაზი-  
ის მოქმედებას წარმოადგენს. მართლაც, ასეთი სიზმრის შინაარსი,  
როგორც წესი, არ წარმოადგენს სინამდვილეში განცილილი უბრალო  
გამეორებას — აღქმულის რეპროდუქციას. ჯერ ერთი, რეალურ  
სინამდვილეში აღქმული სიზმარში ჩვეულებრივ მეტნაკლებად  
შეცვლილი, გარდაქმნილი სახითაა მოცემული და, გარდა ამისა, სიზ-  
მარში ადამიანი ხშირად რეალურად სრულიად შეუძლებელს, უც-  
ნაურ, ფანტასტიკურ რამეს „ხედავს“: ცხოველს, რომელიც ლაპა-  
რაკობს, თვითონ ელაპარაკება ადამიანს, რომელიც აღარ არის ცო-  
ცხალი, თვითონ ფრინველივით დაფრინავს და ა. შ.

საგულისხმოა, რომ სიზმარში ფანტაზიის გამოვლინებაში, სხვათა შორის.  
დასტურდება წარმოსახვის მოქმედების ის სპეციფიკური ფორმები, რომლებიც  
დადასტურებულია. ფანტაზიის გამოვლენაში საზღაპრო ფოლკლორში: უპირვე-  
ლეს ყოვლისა, ამ მხრივ აღსანიშნავია წარმოდგენაში თვალსაჩინოდ მოცემული  
ხატისა და მასში ნაგულისხმევი მნიშვნელობის დაშორება ერთმანეთისაგან; მა-  
გალითად, სიზმარში დათვის „ხედავთ“, მაგრამ სულ არ გეშინიათ, რადგანაც  
თქვენ გულითად მეგობარს — ამა და ამ ადამიანს — გულისხმობთ მასში, ანდა  
სიზმარში მწვანელი მოგაქვთ კალათით, მაგრამ თანაც იცით, რომ, ეს თქვენს  
სადისერტაციო ნაშრომად, ანალოგიურად, ზღაპრებში მოცემული „გარდაქმნების“  
შედეგად მეფის ქალიშვილი დროებით გედის სახითაა წარმოდგენილი, ვაჟა-  
ცი — მგლის სახით და ა. შ.

სიზმარშიც და ზღაპარშიც ადგილი აქვს ხატის გარდაქმნასაც  
(მეტამორფოზებს). ზღაპრებში გედი „ჩვენ თვალწინ“ ქალიშვი-  
ლად, ხოლო მეელი ვაჟაკად გადაიქცევა, ანალოგიური მოვლენე-  
ბი დადასტურებულია სიზმარშიც, მაგალითად, ტრამვაი, რომელ-  
შიც შედიხართ, გადაიქცევა სახლად, ფინია, რომელიც დაგელაპა-  
რაკათ, ადამიანად გადაიქცევა და ა. შ.

სიზმარშიც და ზღაპარშიც საგნები ზოგჯერ მოკლებულია მათ  
სპეციფიკურ თვისებებს — ყინული თბილია, ცეცხლი არ წვავს  
წყალი არ ასველებს და ა. შ.

<sup>1</sup> ი. პაელოვის მოძღვრების თანახმად ძილი დიდი ტვინის ქერქის მთლიან  
შეკავებას წარმოადგენს, ხოლო სიზმარი შეკავებულ მდგომარეობაში მყოფი ქერ-  
ქის ზოგიერთი ადგილების აგზნებას, შეკავებიდან გამოსვლას („расторможенид“)

სიზმრის პროცესში ფანტაზიის მოქმედების საეხებით უნებლიე ხასიათი იმაშიც ვლინდება, რომ სუბიექტი სიზმარში წამოკრილ ყოველ წარმოდგენას რეალობად, ე. ი. რეალურ საგანთა აღქმად განიცილებს — „ხედავს“, რადგანაც, პიროვნების კონტროლის სრული აღკვეთის შედეგად პიროვნება წარმოსახვით შექმნილ სამყაროში „ცხოვრობს“, — რეალობის გრძნობა მას დაკარგული აქვს.

ოცნება. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ოცნებას უწოდებენ ცნობიერების შინაარსების არამიზანდასახულ, უნებლიე, თავისუფალ მიმდინარეობას, რომელიც, როგორც ზემოთაც ითქვა, ადამიანის პასიურ მდგომარეობაში ყოფნისას იჩენს თავს, მაგალითად, დაღლილი ადამიანის დასვენებისას ან დასაძინებლად დაწოლილის ძილის წინა მდგომარეობაში, ან მთვლემარე მდგომარეობაში და ა. შ. ასეთ მდგომარეობაში ადამიანი აღეილად გადადის უნებურ ოცნებაზე, როგორც ამბობენ, „ეძლევა ოცნებას“, ეს გამოთქმა კარგად გამოხატავს ოცნების უნებლიე ხასიათს<sup>1</sup>.

რამდენადაც ოცნების დროს ადამიანს არ სძინავს, იმდენად, ცხადია, ფანტაზიის მოქმედება ამ შემთხვევაში გაცილებით ნაკლებ თავისუფალია, ვიდრე სიზმრის შემთხვევაში, რადგანაც სუბიექტს ამ შემთხვევაში რაღაც კონტროლის შესაძლებლობა აქვს. მაგრამ, გარკვეულ ფარგლებში, ოცნება მაინც უახლოვდება სიზმრის მიმდინარეობას. არაა შემთხვევითი, რომ ევროპულ ენებზე სიზმარს და ოცნებას ერთ და იმავე სახელს უწოდებენ<sup>2</sup>. ორივესათვის დამახასიათებელია ფანტაზიის უნებლიე არამიზანდასახული და ძირითადში თავისუფალი გამოვლინება.

ოცნებისათვის დამახასიათებელია, რომ ის, ჩვეულებრივ, მომავალზე მიმართული — ადამიანი მომავალზე ოცნებობს — და ამიტომ ჯერ აღუქმელს წარმოგვიდგენს, რაც, როგორც ითქვა, ფანტაზიის ძირითად ფუნქციას შეადგენს. უნდა ითქვას, რომ ოცნება ხანდახან წარსულსაც ეხება, მაგრამ წარსული ოცნებაში გადასხვაფერებულად, შეცვლილად განიცილება.

ოცნებას, როგორც ამბობენ, „ეგოცენტრული“ ხასიათი აქვს; ამით აღნიშნავენ იმ გარემობას, რომ ოცნების შინაარსი, როგორც წესი, თვით სუბიექტს ეხება ან, ყოველ შემთხვევაში, მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

<sup>1</sup> სხვა სახის ოცნების შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 245 და შემდ.

<sup>2</sup> ფრანგული *reve*, ინგლისური *dream* ორივეს ნიშნავს — სიზმარსაც და ოცნებას, ხოლო გერმანულად ოცნებას დღის სიზმარს (*Tagestraum*) უწოდებენ; რუსული *рѣвъ* უწინ სიზმრის მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

როდესაც ადამიანი რაიმე მიზნის მისაღწევად, მაგალითად, გარკვეული იდეის განსახორციელებლად, შეგნებულად, განზრახ მიმართავს წარმოსახვას, განზრახ, მიზანდასახულად ქმნის ახალ ხატს, წარმოდგენისა თუ რეალურად შექმნილი ორიგინალური ნივთის სახით, საქმე გვაქვს ნებისმიერ ანუ აქტიურ წარმოსახვასთან. ეს არის წარმოსახვის უფრო მაღალი ფორმა, ვიდრე პასიური ფანტაზია.

წარმოსახვის ეს მაღალი ფორმა ძირითადად შემოქმედებაში, განსაკუთრებით ფართოდ კი მხატვრულ შემოქმედებაში ვლინდება. ამ შემთხვევაში სუბიექტი აღარ კმაყოფილდება სათანადო შინაარსთა მხოლოდ წარმოდგენით; იგი მიისწრაფვის ფანტაზიის წარმოდგენის რეალიზაციისაკენ სათანადო ობიექტთა შექმნის სახით — იგი რეალურ საგნებს ქმნის, და ამ სახით თავისი ფანტაზიით შექმნილ წარმოდგენას „გარეთ“ გაიტანს, ობიექტური სინამდვილის რეალურ საგანს შექმნის. ეს საგანი უკვე შორდება მისი ავტორის შინაგან სამყაროს, უკვე ობიექტური სინამდვილის, ავტორის გარეთ არსებულ საგნად გადაიქცევა: ადამიანი დახატავს სურათს, შექმნის მუსიკალურ ნაწარმოებს, ლექსს, ორიგინალური შენობის პროექტს თუ ახალ გამოგონილ მანქანას და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ მხატვრული შემოქმედების პროცესში ფართოდ გამოიყენება ხოლმე წარმოსახვის ზემოთ აღწერილი ძირითადი ოპერაციები, როგორცაა თვალსაჩინო განზოგადება, ტიპობრივის აქცენტუალიზაცია, სიმბოლიზაცია და ა. შ. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც მხატვრული შემოქმედების ნაწარმოები, რაგინდ რეალისტურიც იყოს იგი, არასდროს არაა სინამდვილეში აღქმულის უბრალო რეპროდუქცია (ლენინის სიტყვები რომ გამოვიყენოთ — არაა „სარკისებური ასახვა“) — იგი მცირე განზოგადებას მაინც შეიცავს, და საზოგადოდ, სინამდვილიდან მიღებული მასალის გადამუშავებას წარმოადგენს. მხატვრულ ნაწარმოებში ფანტაზიისათვის დამახასიათებელი „სინამდვილიდან აფრენა“ ისე ხდება (თუ ეს მართლაც მხატვრული ნაწარმოებია), რომ ამ აფრენით იგი კი არ მოწყდება სინამდვილეს, არამედ ასახავს მას, ისიც თვალსაჩინო, ხატოვან ფორმაში.

ცხადია, რომ მხატვრული შემოქმედება მხოლოდ ფანტაზიის მოქმედებაზე ვერ დაიყვანება; უდიდეს როლს მასში ობიექტური სინამდვილის დაკვირვება, დაკვირვების მასალის ინტელექტუალ-



რი გადამუშავება და, საზოგადოდ, აზროვნების პროცესები ასრულებენ. ამ მხრივ, ე. ი. ფანტაზიისა და სხვაგვარი გონებრივი მუშაობის მონაწილეობის თვალსაზრისით, მხატვრულ შემოქმედებაში არჩევენ 3 ძირითად ეტაპს; პირველ ეტაპზე წამყვანია ობიექტური სინამდვილის სათანადო სფეროს დაკვირვება, შთაბეჭდილებათა დაგროვება; მეორე ეტაპზე მოზღვავებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე მომავალი ნაწარმოების ძირითადი იდეის გაჩენა, რომელიც სათანადოდ ააღლეებს ავტორს და განაწყობს ამ იდეის განსახორციელებლად და უბიძგებს ამ იდეის ხორცშესხმისაკენ. მესამე ეტაპი ამ იდეის განხორციელების პროცესია, რომელიც ხშირად მძიმე გონებრივი მუშაობის ხასიათსაც ატარებს და ხელოვნების ზოგიერთ დარგში ტექნიკურადაც მძიმე შესასრულებელ მუშაობას მოითხოვს (სკულპტორი, მხატვარი და ა. შ.).

ხელოვნების გარდა, აქტიური ფანტაზიის მოქმედების როლი საკმაოდ დიდია შემოქმედების ყველა სხვა დარგში, სადაც კი ხდება ახლის, ორიგინალურის შექმნა, არსებულის გარდაქმნა. ვ. ლენინის თქმით: „ტყუილა ფიქრობენ, რომ ფანტაზია მხოლოდ პოეტისათვისაა საჭირო. ეს სულელური ცრუ რწმენაა! მათემატიკაშიც კი საჭიროა იგი, დიფერენციალურ და ინტეგრალურ გამოთვლათა აღმოჩენაც კი უფანტაზიოდ შეუძლებელი იქნებოდა. ფანტაზია უდიდესი ღირებულების თვისებაა“<sup>1</sup>.

ყველგან, სადაც მეცნიერულ აზროვნებაში თვალსაჩინო წარმოდგენების გარდაქმნა, ახალ წარმოდგენათა შექმნა და იდეის თვალსაჩინო განსახიერებაა საჭირო, ფანტაზიის როლი დიდია.

განსაკუთრებით ფართოა და მნიშვნელოვანი ფანტაზიის მოქმედება მეცნიერულ აღმოჩენებში და ტექნიკურ გამოგონებებში. მეცნიერულად დამუშავებულ გამოგონებას წინ უსწრებს ამ ახალი გამოგონების ზოგადი, დეტალებს მოკლებული წარმოდგენა, და მხოლოდ შემდეგ იწყება მეცნიერული მუშაობა (გამოანგარიშება და სხვ.) საზოგადოდ ყველგან, სადაც კი ადამიანი ახალ შინაარსს ქმნის, ფანტაზიის როლი დიდია.

ნებისმიერი წარმოსახვის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ცოდნის შექმნაც იმ მოვლენათა შესახებ, რომელიც არ გვინახავს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თანამედროვე კულტურის პირობებში სკოლის მოსწავლეს უამრავ მოვლენებზე წარმოდგენის შემუშავება ფანტაზიის მეშვეობით უხდება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ყოველი მიზანდასახულ-

<sup>1</sup> ე. ი. ლენინი, ტ. XXXIII, გვ. 373, გამოც. მეოთხე.

ლი მოქმედება, რომელიც განსაზღვრულია ჯერ აღუქმელი მიზნის წარმოდგენით, წარმოსახვას ეყრდნობა (გავიხსენოთ მარქსის სიტყვები არქიტექტორის განსხვავების შესახებ ფუტურისაგან. იხ. ზემოთ). როდესაც მუშა აკეთებს ნივთს, რომელიც მას ჯერ არ უნახავს, როდესაც ადამიანი მუშაობს ნახაზის მიხედვით, იგი თავისი აქტიური ფანტაზიის პროცესში შექმნილი წარმოდგენით ხელმძღვანელობს და ა. შ.

### რეაქციული ფანტაზიის ცნების უმართავლობა

გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმად გასარჩევია წარმოსახვის 2 სახე — შემოქმედებითი, ანუ პროდუქტიული და რეპროდუქტიული (აღდგენითი). პირველისათვის, ამ შეხედულების თანახმად, დამახასიათებელია ახალ წარმოდგენათა შექმნა, რომლის ობიექტი სინამდვილეში არ არსებობს; მეორისათვის კი — იმის წარმოდგენა, რაც თუმცა არ გვქონია აღქმული, მაგრამ რაც ობიექტურად არსებობს. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებლად თვლიან საგნის წარმოდგენას აღწერის საფუძველზე.

უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ვრცელდება შეხედულება, რომელიც რეპროდუქტიული ფანტაზიის ცნებას უმართებულო ცნებად თვლის. საქმე ის არის, რომ ორივე შემთხვევაში წარმოსახვის მოქმედების არსი სუბიექტისათვის ახალი წარმოდგენის შექმნაში — აღუქმელის წარმოდგენაში მდგომარეობს, ხოლო არსებობს თუ არა ობიექტურად ეს, სუბიექტისათვის უნახავი რამ ფსიქოლოგიურად არსებითად ვერ ცვლის საქმის მდგომარეობას. ორივე შემთხვევაში სუბიექტი წარმოიდგენს იმას, რაც მას არ ჰქონდა აღქმული; ამაშია ფანტაზიის არსი; ამ აზრით იგი ყოველთვის „პროდუქტიულია“.

რაც შეეხება იმას, რომ ერთ შემთხვევაში სუბიექტი ეყრდნობა რაიმე ცნობებს (აღწერას და ა. შ.) იმ ობიექტის შესახებ, რასაც ის აღუქმელად წარმოიდგენს, ხოლო არის შემთხვევები, როდესაც იქმნება ობიექტის წარმოდგენა, რომლის შესახებ სუბიექტს არც გაუგია, უნდა ითქვას, რომ, ჯერ ერთი, არარსებულის წარმოდგენაც (საზღაპრო, მითიურის, რელიგიურის და ა. შ.) ხშირად აღწერას ეყრდნობა. გარდა ამისა, თუმცა პიროვნების ამ ორ მოქმედებას შორის განსხვავება უდავოა (მეორე შემთხვევაში ადგილი აქვს შემოქმედებას, რომელიც სხვათა შორის მხოლოდ ფანტაზიის ოპერაციას როდი წარმოადგენს), მაგრამ ეს არ არის ისეთი ხასიათის

სხვაობა, რომელიც გვაძლევდეს უფლებას პირველ შემთხვევაში ფანტაზიის მოქმედებას რეპროდუქტიული კვალიფიკაცია მივცეთ. აღუქმელი საგნის შესახებ ცნობების საფუძველზე მისი წარმოდგენა ისევე არ არის რეპროდუქცია, როგორც არარსებული საგნის წარმოდგენა. „არაფრიდან რაიმეს შექმნა“, როგორც ზემოთ დავინახეთ, არავითარ ფანტაზიას არ შეუძლია. უკიდურესად „ფანტასტიკურის“, არარეალურის წარმოდგენის შემუშავებაც კი ჩვენი გამოცდილებიდან აღებულ მასალის გადამუშავების გზით ხდება (იხ. ზემოთ). აღუქმელი საგნის წარმოდგენა აღწერის მიხედვით, ისევე როგორც კითხვის პროცესში იმის წარმოდგენა, რის შესახებაც ვკითხულობთ (იხ. გვ. 230), ფანტაზიის იმ შეზღუდული გამოვლინების ფორმას ეკუთვნის, რაც ჩვენ ზემოთ ვეჭონდა განხილული (იხ. „ფანტაზიის მოქმედება აღქმის პროცესში“), ხოლო ორიგინალური ახალი ობიექტის წარმოდგენის შემუშავება, რომლის აღწერაც არ მოგვისმენია, თავისუფალი ფანტაზიის მოქმედებას წარმოადგენს (იხ. ზემოთ).

#### წ 4. წარმოასახვის ზემოქმედება სუბიექტზე

1. რა მნიშვნელობა აქვს ფანტაზიის მოქმედებას თვით სუბიექტისათვის, რად სჭირდება მას „სინამდვილიდან აფრენა“, იმის წარმოდგენა, რაც ამ სახით სინამდვილეში არ არსებობს?

ჩვენ არ შევჩერდებით აქ იმ უზომოდ დიდ როლზე, რასაც აქტიური წარმოსახვა ასრულებს ცოდნის შექმნის პროცესში, ყოველგვარი შემოქმედების პროცესში, ძველისა და ტრადიციულის ყოველგვარ გარდაქმნაში, ყოველი ინიციატივის გამოვლინებაში და საზოგადოდ ყოველ მიზანდასახულ ნებისმიერ მოქმედებაში, რომელიც მოქმედების მიზნის წინასწარ წარმოდგენას გულისხმობს, რადგანაც ეს ცხადია ყველა ზემოთქმულიდან აქტიური ფანტაზიის შესახებ. როდესაც ნებისმიერი ფანტაზია ობიექტურ სინამდვილეში ქმნის ახალ ობიექტს, ახალ მოვლენას (სურათს, ლექსს, ახალ მანქანას), ანდა როდესაც მისი მეშვეობით თვით სუბიექტი ახალ ცოდნას იძენს, აფართოებს თავის პორიზონტს მისი აღქმისათვის მიუწვდომელი ობიექტების წარმოდგენის შემუშავებით, ფანტაზიის მოქმედების დიდი ობიექტური ღირებულება აშკარაა.

მაგრამ აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა სუბიექტისათვის ფანტაზიის მოქმედებას, მაშინ, როდესაც მისი შედეგი სუბიექტის შინაგან საწყაროში რჩება, როდესაც მის პროდუქტს მხოლოდ თვით

სუბიექტისათვის მისაწვდომი, ობიექტურად არარეალიზებული წარმოდგენები შეადგენენ, როდესაც ფანტაზია მხოლოდ სუბიექტისათვის მისაწვდომ შინაგან სამყაროს ქმნის?

2. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ ფანტაზიის წარმოდგენები შეიძლება გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდნენ თვით სუბიექტზე, მაშინაც, როდესაც სუბიექტმა კარგად იცის, რომ წარმოდგენილი არ შეესატყვისება სინამდვილეს, რომ ეს მისი წარმოდგენაა მხოლოდ. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ სუბიექტი ამ წარმოდგენის მიმართ სპეციფიკურ აქტიურ შინაგან დამოკიდებულებას შეიმუშავებს. მხოლოდ წარმოდგენა, მის მიმართ ასეთი აქტიური დამოკიდებულების გარეშე, ამისათვის არ კმარა. კერძოდ ექსპერიმენტულად იყო დამტკიცებული, რომ თავისი წარმოდგენის მიმართ ასეთი აქტიური დამოკიდებულების შემთხვევაში ადამიანი ადვილად იმუშავებს სათანადო განწყობას<sup>1</sup>; ეს კი უკვე სუბიექტის მნიშვნელოვან შინაგან ცვლილებას ნიშნავს. ასე, მაგალითად, ცდისპირს უმუშავდება ისეთივე ფიქსირებული განწყობა განსხვავებული სიდიდის ხის ბურთების ხელში წარმოდგენის შედეგად, როდესაც სინამდვილეში ხელში არაფერი უჭირავს, როგორც ეს დ. უზნაძის ცდებში ხდება რეალური ბურთების ხელში ადებით, ე. ი. აქტუალური აღქმის საფუძველზე (იხ: თავი III, აღქმის ილუზიები), ანდა განსხვავებული სიმძიმის საგნების აწევის მრავალჯერ წარმოდგენით, როდესაც სინამდვილეში ცარიელი ხელები უძრავად უდევს მაგიდაზე, ადამიანს უმუშავდება განსხვავებულ სიმძიმეთა აწევის ფიქსირებული განწყობა, რომლის გავლენით ტოლ სიმძიმეთა რეალური აწევისას სათანადო ილუზია აღმოცენდება? (შეად. თ. III, § 2).

ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ წარმოსახული ფიზიკური მუშაობის ზეგავლენით, ნამდვილად უძრავი, ადამიანის ორგანიზმში ზოგიერთი ისეთი ფიზიოლოგიური ცვლილებები ხდება, რასაც ჩვეულებრივ რეალური ფიზიკური მუშაობა იწვევს (სისხლის წნევის მომატება, სუნთქვისას გაზთა გაცვლა-გამოცვლის შესატყვისი ცვლილებები,—მაგალითად, მეტი რაოდენობით ჟანგბადის შეთვისება; გულისცემის აჩქარება და ა. შ.)<sup>2</sup>. როდესაც თბილ ოთახ-

<sup>1</sup> იხ. რ. ნათაძე, წარმოსახვის განმწყობელი მოქმედება, თბილისი, 1958.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იხ. უშთაერესად—Действие воображаемой физической работы на газообмен и сердечно-сосудистую систему человека. „Бюллетень экспериментальной биологии и медицины“, т. II.

ში მყოფი ადამიანები წარმოიდგენენ, რომ ახლავე გარეთ, ყინვაში უნდა გავიდნენ, სუნთქვის პროცესიც ყინვაში ყოფნისათვის დამახასიათებელი ხდება (გაზთა გაცვლა-გამოცვლა შესაფერად იცვლება), ხოლო სიცივეში მყოფნი რომ წარმოიდგენენ, რომ თბილ ოთახში უნდა შევიდნენ, გაზთა გაცვლა-გამოცვლა საწინააღმდეგო მიმართულებით ეცვლება (ვოცუროს ცდები).

3. მომავალზე ფიქრის პროცესშიც წარმოსახული შინაარსი გარკვეულ გავლენას ახდენს სუბიექტზე, იწვევს გარკვეულ ემოციებს (იხ. თავი X, § 1), ისე, რომ წარმოსახვით მომავალი სიტუაციის ასეთი „ილუსტრაციის“ საფუძველზე ადამიანს დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება შეუფუშავდეს ამ მომავლის მიმართ და ამ საფუძველზე იგი შეიძლება მოიქცეს ასე თუ ისე.

4. აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საკითხი ოცნების მნიშვნელობის შესახებ თვით სუბიექტისათვის. ოცნების ფსიქოლოგიური მნიშვნელობა სუბიექტისათვის არსებითად განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა სახისაა ეს ოცნება.

ამ თვალსაზრისით შეიძლება განვასხვავოთ ორი სახის ოცნება: პასიური (რასაც რუსულად „რძვი“ ეწოდება), რომელიც უმოქმედობისაკენ განაწყობს სუბიექტს და შედარებით აქტიური, ქმედითი ხასიათის ოცნება, რომელიც განაწყობს სუბიექტს მის განსახორციელებლად.

რაც შეეხება პირველს — პასიური ხასიათის ოცნებას, — იგი გარკვეული ტიპის, პასიურად განწყობილი ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი სუბიექტი თავის ოცნებით შექმნილ სამყაროში ცხოვრობს — გაუარბის ობიექტურ სინამდვილეს და ნაცვლად იმისა, რომ შეებრძოლოს რეალური ცხოვრების სიძნელეებს, პირიქით, ემალება მათ თავის ოცნების „თავშესაფარში“ — ფანტაზიით შექმნილ „სამყაროში“, კმაყოფილდება იმ სასიამოვნო ემოციებით, რასაც მასში ოცნება აღძრავს. ასეთი ოცნება აღუწებს ადამიანის ნებისყოფას, ასუსტებს მის აქტივობას, რადგანაც თავისი სურვილებისა და მოთხოვნის დაკმაყოფილებას ადამიანი ამ ოცნებაში ნახულობს და ამიტომ მას აღარა აქვს სტიმული ამ სურვილების რეალური დაკმაყოფილებისათვის საბრძოლველად. ასეთი „მეოცნებე“ ადამიანები სუსტი ნებისყოფისა არიან.

მეორე სახის ოცნება — ასე ვთქვათ, ქმედითი ოცნება, პირიქით აქტიური, მოქმედი პიროვნებისათვისაა დამახასიათებელი. ასე-

თი ოცნება სტიმულს წარმოადგენს მასში დასახულ მიზნებისათვის საბრძოლველად, უღვიძებს ადამიანს თვალსაჩინოდ დახატული პერსპექტივისაკენ სწრაფვას : ა . მ .  
ამ სახის ოცნების შესახებ ვ. ი. ლენინს პისარევის შემდეგი დახასიათება მოჰყავს :

„მას (ოცნებას — რ. ნ.) შეუძლია გაამაგროს და გააძლიეროს კიდევ მშრომელი ადამიანის ენერჯია... ასეთ ოცნებაში ისეთი არაფერია, რასაც შეუძლია შერყვნას ან მოადუნოს სამუშაო ძალა: სრულიად პირიქით, ადამიანი რომ სავსებით მოკლებული იყოს ამგვარი ოცნების უნარს, მას რომ არ შეეძლოს ხანდახან წინ გაეხსწროს და გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათებში სწორედ ის ქმნილება, რომელიც ეს-ეს არის ისახება მის ხელში, მაშინ მე სრულებით არ ძალმიძს წარმოვიდგინო, რა აღმძვრელი მიზეზი აიძულებდა ადამიანს დაეწყო და დაესრულებინა უდიდესი და დამქანცველი სამუშაოები ხელოვნების, მეცნიერებასა და პრაქტიკული ცხოვრების სფეროში“<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაში წარმოსახვის აშკარად განმაწყობელ მოქმედებასთან გვაქვს საქმე. ამ სახის ოცნება თავისი ფსიქოლოგიური ბუნდობით უკვე ვეღარ მიეკუთვნება პასიური ფანტაზიის იმ უნებლად გამოვლინებას, რაც ჩვენ ზემოთ სიზმრის გვერდით განვიხილეთ, როგორც პასიური ფანტაზიის თავისუფალი გამოვლინება. იგი უფრო აქტიურ ფანტაზიას წარმოადგენს, რადგანაც მომავალზე აბრუნების, მომავალ მოქმედებათა შეგნებულ და გეგმვის პროცესშია აღმოცენებული და ამ მიზანდასახული მოქმედებისათვის განწყობილი პიროვნების ფანტაზიის გამოვლინებაა; იგი, ასე ვთქვათ, ამ მიზანდასახული აქტივობის საბაზისურში გამოვლინებული წარმოსახვაა და არა წარმოსახვის დამოუკიდებელი პასიური მოქმედება. როგორც „პასიური ოცნება“.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 5, 1949, გვ. 649 და 650.

## თავი მათე

### გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი

#### § 1. გრძნობის ცნება

აღქმის, მეხსიერებისა და აზროვნების პროცესში ადამიანი შეიმეცნებს ობიექტურ სინამდვილეს, მაგრამ ობიექტური სინამდვილე ადამიანის მხოლოდ შემეცნების საგანს როდი შეადგენს. გარე სინამდვილე ადამიანში გრძნობებსაც იწვევს, ე. ი. ისეთ შინაგან მდგომარეობას, რომელიც მის დამოკიდებულებას გამოხატავს ამ ობიექტური სინამდვილის მოვლენათა მიმართ — სიმპათიას თუ ანტიპათიას, აღტაცებას თუ ზიზღს, სიყვარულს თუ სიძულვილს; ეს ობიექტური მოვლენები აღძრევენ ადამიანში სიამოვნების თუ უსიამოვნების, სიხარულის თუ მწუხარების თუ სხვა რაიმე სახის ემოციური ბუნების განცდას, რაც მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის როგორც შინაგან ფსიქიკურ ცხოვრებაში, ისე მის ქცევაში.

როგორც ზემოთ, ფსიქიკურ პროცესთა კლასიფიკაციის განხილვისას დავინახეთ, ამ სახის ფსიქიკურ პროცესებს გამოჰყოფენ ხოლმე როგორც ფსიქიკურ პროცესთა ცალკე კლასს, რომელსაც ჩვეულებრივ „ცნობიერების მდგომარეობათა“ ან ემოციურ მდგომარეობათა პროცესებს უწოდებენ.

#### გრძნობა და შეგრძნება

ყოველდღიურ მეტყველებაში გრძნობასა და შეგრძნებას ხშირად ურევენ; ერთის ნაცვლად მეორე სახელწოდებას ხმარობენ (მაგალითად, ვამბობთ, რომ სუნს, გემოს, შეხებას, ტკივილს და ა. შ. ვგრძნობთ, როდესაც სინამდვილეში ზუსტად რომ ვთქვათ, შევიგრძნობთ და არა ვგრძნობთ); ეს იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანი ამ

ორი მოვლენის განცდას მკვეთრად ვერ ასხვავებს. ამიტომ ბუნებრივად დგება საკითხი შეგრძნებასა და გრძნობას შორის განსხვავების შესახებ.

1) შეგრძნება ასახავს ობიექტური, ფიზიკური საგნის თვისებებს; და ამ აზრით იგი ობიექტურია, იგი შემეცნების პროცესს წარმოადგენს. გრძნობა კი გამოხატავს სუბიექტის შინაგან მდგომარეობას, მის დამოკიდებულებას საგანთან; ამ აზრით იგი სუბიექტურია; გრძნობა შემეცნების პროცესი არაა, „ცნობიერების მდგომარეობაა“.

ამგვარად, გრძნობა და შეგრძნება ფსიქიკურ პროცესთა სხვადასხვა კლასს ეკუთვნიან.

2) შეგრძნება მხოლოდ რეცეფტორის ფიზიკური გაღიზიანებით გამოწვეული პროცესია, — სხვა გზა, თუ არა რეცეფტორის ფიზიკური გაღიზიანებისა, არ არსებობს შეგრძნების გამოსაწვევად. გრძნობა კი, მისი გამოწვევის თვალსაზრისით, უნივერსალურია: მას იწვევს როგორც ორგანიზმის გარეგანი ფიზიკური გაღიზიანება სათანადო შეგრძნებათა გამოწვევის მეშვეობით (მაგალითად, ტკივილით), ისე უოველგვარი ფსიქიკური პროცესი — მოგონება, წარმოდგენა, მოლოდინი, აზრი და ა. შ.

3) შეგრძნება პიროვნებისათვის შედარებით უფრო „პერიფერიულ“, ზედაპირულ მოვლენას წარმოადგენს, გრძნობა კი განსაკუთრებით ღრმა პიროვნული, „ცენტრალური“, პიროვნებისათვის „ინტიმური“ განცდაა; იგი თვით პიროვნების შინაგანი მდგომარეობაა.

4) გრძნობა მჭიდროდაა დაკავშირებული სუბიექტის მოთხოვნილებებთან; სხვადასხვა მოვლენა სიამოვნების, თუ პირიქით, უსიამოვნების გრძნობებს იწვევს იმის მიხედვით, ეს მოვლენა აკმაყოფილებს თუ, პირიქით, ხელს უშლის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; — ძლიერი წყურვილის შემთხვევაში ცივი წყლის დალევა უაღრეს სიამოვნებას იწვევს, ხოლო იგივე წყლის დალევა უსიამოვნების გრძნობას იწვევს, თუკი აღამიანს სულ არ წყურია და სცივა კიდევაც. შეგრძნებას ასეთი პირდაპირი კავშირი მოთხოვნილებებთან არა აქვს.

შეგრძნებასა და გრძნობას შორის სხვაობა ნათლად ჩანს იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი და იგივე შეგრძნება აღამიანის სხვადასხვა შინაგანი მდგომარეობის გამო არსები-



თად განსხვავებულ და საწინააღმდეგო გრძნობასაც იწვევს. მაგალითად, ერთი და იმავე სასიამოვნო ელფერის ტონის მოსმენა დასაწყისში იწვევს სიამოვნების გრძნობას, მაგრამ თუ ეს ტონი დიდხანს გაგრძელდა, იგი მოსაბეზრებელი და უკვე ძლიერი უსიამოვნების გრძნობის გამომწვევიც ხდება.

### გრძნობა და ორგანული შეგრძნება

ორგანულ შეგრძნებებს ზოგიერთი ისეთი თვისებები ახასიათებს, რაც აახლოებს მათ გრძნობებთან. მაგალითად, ორგანული შეგრძნებები თვით სუბიექტის ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობის განცდას წარმოადგენს (ტკივილის, სისუსტის, სიმხნევის, დაღლილობის, წყურვილისა და სხვ. — იხ. თ. II — ორგანული შეგრძნებები). გარდა ამისა, შინაგანი ორგანოების მდგომარეობით გამოწვეული ორგანული შეგრძნებები ხშირად განიცდებიან გრძნობასთან ერთად, ერთი განცდის სახით. მაგალითად, ძლიერი შიშის გრძნობის განცდისას სხეულში ისეთი ვაზომოტორული ცვლილებები ხდება, რომელნიც სპეციფიკურ ორგანულ შეგრძნებებს იწვევენ — ქრუანტელს და სხვ.

ეს გარემოება ბუნებრივად სვამს საკითხს გრძნობასა და ორგანულ შეგრძნებათა შორის დამოკიდებულების შესახებ.

### ჯემს-ლანგეს თეორია

ამ საკითხის თავისებურ ინტერპრეტაციას ჯემს-ლანგეს თეორია იძლევა.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ჯემსმა და დანიელმა ანატომმა და ფიზიოლოგმა ლანგემ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიმუშავეს თეორიები გრძნობის ბუნების შესახებ, რომელთა ძირითადი საერთო დებულებები ფსიქოლოგიის ისტორიაში ერთი თეორიის სახით შევიდა ორივე ამ ავტორის სახელით.

გრძნობებსა და სხვადასხვა ვისცერალურ (შინაგანი ორგანოების) პროცესთა ორგანულ შეგრძნებებს შორის დამოკიდებულების დაკვირვების შედეგად ეს ავტორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის, რასაც ჩვენ გრძნობას ვეძახით, სინამდვილეში წარმოადგენს იმ ორგანულ შეგრძნებათა კომპლექსებს, რომელსაც გარკვეული ვისცერალური პროცესები იწვევს. გრძნობა, როგორც განსაკუთრებული, თავისებური, ორგანულ შეგრძნებებზე დაუყვანებადი პროცესი არ არსებობს.

მაგალითად, თუ ადამიანი განიცდის შიშს, ეს განცდა წარმოადგენს იმ ორგანულ შეგრძნებათა კომპლექსს, რომელსაც შიშის გამომწვევის (მაგალითად, ტყეში დათვის) აღქმით გამოწვეულმა ვისცერალურმა პროცესმა გამოიწვია, როგორცაა, მაგალითად, სისხლის მიღების შევიწროება, კუნთების მოღუნება და ა. შ.

ჯემსის სიტყვებით: „სხეულებრივი აგზნება უშუალოდ მოსდევს მისი გამომწვევი ფაქტის აღქმას: ამ აგზნების გაცნობიერება (განცდა — რ. ნ.) არის ემოცია“

ფართოდ ცნობილია ჯემსის შემდეგი გამოთქმა: „ჩვენ იმიტომ კი არ ვტირით, რომ დავღონდით, არამედ იმიტომ დავღონდით, რომ ვტირით“. ან მეორე: „მე იმიტომ კი არ გავფითრდი და აუკანკალდი, რომ შემეშინდა, არამედ პირიქით, მე იმიტომ შემეშინდა, რომ აუკანკალდი და გავფითრდი“.

ყველა ეს გამოთქმა იმ აზრს გამოხატავს, რომ გრძნობა ვისცერალური ცვლილებების ორგანულ შეგრძნებებზე დაიყვანება. რომ ვისცერალურ ცვლილებებს გრძნობა კი არ იწვევს, არამედ თვით ეს ვისცერალური პროცესები განიცდებენ როგორც „გრძნობა“, რომელიც სინამდვილეში სხვა არაფერია, თვით ამ პროცესებით გამოწვეული ორგანული შეგრძნებების გარდა.

ეს, პირველი შეხედვით, უცნაური შეხედულება, ძირითადად შემდეგ დაკვირვებებს ეყრდნობა:

1) როდესაც დავაკვირდებით ჩვენს გრძნობას, რათა აღვწეროთ იგი, ჩვენ ვამჩნევთ და აღვწერთ ფაქტიურად მხოლოდ ორგანულ შეგრძნებებს („ცახცახმა ამიტანა“, „ურუანტელმა ტანში დამიარა“ ან „გული დამიღონდა“, „სუნთქვა შემეკრა“ და ა. შ.), გრძნობის აღწერაში ორგანული შეგრძნებების მეტი არაფერი რჩება.

2) როდესაც ადამიანი განზრახ მიიღებს რაიმე გრძნობის გამომხატველ „პოზას“ — „გაათამაშებს“ გრძნობას — მაგალითად, მწუხარების შესატყვის მიმიკას და სხეულის პოზას მიიღებს, მასში მართლაც შესაფერი გრძნობა აღმოცენდება — შესაფერ გუნებაზე დადგება.

3) მაგარი ყავის ერთი ჭიქის დალევა საკმარისია, რომ შეუცვალოს ადამიანს გუნება. ცხადია, რომ მიღებული ნივთიერება იწვევს ცვლილებებს ორგანიზმის ვისცერალურ პროცესებში, ხოლო ეს ცვლილებები სათანადო ორგანული შეგრძნებების სახით განიცდებიან, ჩვენ კი მათ გრძნობას — კერძოდ, ამ შემთხვევაში ამა თუ იმ გუნებას ვუწოდებთ.

თანამედროვე ფიზიოლოგიას და ფსიქოლოგიას მოეპოვება მრავალი ფაქტობრივი მონაცემი, რომელიც ეწინააღმდეგება ჯემს-ლანგეს თეორიას. მოვიყვანოთ მთავარს:

1) ერთ და იმავე ვისცერალურ პროცესებს და სუნთქვისა და გულსიტემის ერთ და იმავე ცვლილებას ადგილი აქვს ზოგიერთ განსხვავებულ გრძნობათა განცდისას და ზოგჯერ გრძნობის განცდის გარეშეც.

მაგალითად, აღრენალინის გამოყოფა სისხლში და ამასთან დაკავშირებული სისხლძარღვების შევიწროვება და შაქრის გამოყოფა ორგანიზმიდან დაატურდება როგორც ძლიერი შიშის განცდისას, ისე რისხვის განცდისას, ე. ი. საწინააღმდეგო გრძნობების დროს, და აგრეთვე, როდესაც ორგანიზმს უბრალოდ შესცივდება, თუმცა არავითარ განსაკუთრებულ ემოციას ადამიანი ამ დროს არ განიცდის.

2) ფიზიოლოგ შერმანგრონის ცდაში ძალი, რომელსაც მოგრძობენ და ცთომილი ნერვის გადაჭრის შედეგად აღკვეთილი პქონდა ორგანიზმი შეგრძნების განცდის შესაძლებლობა (ავანება სხეულიდან თავის ტვინში ვერ გადადიოდა ნერვული ვნის გადაჭრის გამო), გრძნობებს მაინც განიცდიდა. ჯონის მოწინააღმდეგე მას ამბობდა, კატის დანახვა აბრაზებდა, საკმლის დახახვა „სიხარბის“ ემოციას იწვევდა. მაშასადამე, გრძნობა ვერ დაიყვანება ორგანიზმის შეგრძნებაზე, რაკი შესაძლებელი ყოფილა გრძნობის განცდა ორგანიზმი შეგრძნების გარეშე.

3) ამერიკელი ფიზიოლოგების მიერ ჩატარებულ ცდებში ცდისპირებს სისხლში უშსაპუნებენ აღრენალინს, რაც, ბუნებრივია, იწვევს იმ ვისცერალურ ცვლილებებს, რაც შიშისათვისა დამახასიათებელი, რადგანაც შიშისათვის დამახასიათებელია პირველ რიგში აღრენალინის გამოყოფა და ამასთან დაკავშირებული ვისცერალური ცვლილებები.

თუმცა აღრენალინის სისხლში შეყვანის შედეგად ცდისპირებს მართლაც უჩნდებათ ის ორგანიზმული შეგრძნებები, რასაც ჩვეულებრივად ძლიერი შიშის განცდის დროს აქვს ადგილი, მაგრამ არავითარი შიშის გრძნობა არ აღმოცენდება. მაშასადამე, გარკვეული გრძნობის შესატყვისი ორგანიზმული შეგრძნების განცდა შესაძლებელი ყოფილა მისი შესატყვისი გრძნობის გარეშე.

ამგვარად, ორ უკანასკნელ ცდაში მტკიცდება გრძნობისა

და ორგანულ შეგრძნებათა ერთმანეთისაგან დაცილების პრინციპული შესაძლებლობა, ე. ი. ამ ცდებმა გააბათილეს ჭემს-ლანგეს თეორიის ძირითადი დებულება გრძნობის იგივეობის შესახებ ორგანულ შეგრძნებებთან.

4) არსებობს კლინიკური დაკვირვება დაავადებისა, რომლის დროს ავადმყოფს ახასიათებს ემოციური განცდის არა-შესატყვისი გამოსახულებითი მოძრაობები: მაგალითად, მხიარულების ემოციის განცდისას ავადმყოფს აუვარდებოდა ტირილი, ხოლო მწუხარების განცდისას — სპაზმატური სიცილი.

მართალია, ეს ავადმყოფობა მეტად იშვიათია, მაგრამ ერთი შემთხვევაც რომ იყოს ასეთი, იგი ამტკიცებს გრძნობისა და მისი გამოსახულებითი მოძრაობების ერთმანეთისაგან დაცილების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება ჭემს-ლანგეს თეორიას (რუბინშტეინი გონებამახვილურად შენიშნავს, რომ ამ ავადმყოფთა მიმართ ჭემსის ცნობილი ფორმულა, რომელიც აღნიშნავს, რომ ჩვენ იმიტომ ვართ მხიარულნი, რომ ვიციანთ, უნდა შეიცვალოს ასე: „ისინი იმიტომ არიან დაღონებული, რომ იცინიან“).

5. აღსანიშნავია, რომ ორგანული შეგრძნების როლი გრძნობის განცდისას არსებითად განსხვავებულია თვით გრძნობის სახის მიხედვით. არსებობს გრძნობები — უმთავრესად მარტივი, ელემენტარული, ორგანულ მოთხოვნილებებთან მკიდროდ დაკავშირებული გრძნობები, რომელთა განცდა იმდენად შერწყმულია ორგანული შეგრძნებების განცდასთან, რომ ემოციური ტონი და ორგანული შეგრძნება ძნელი დასაცილებელი ხდება ერთმანეთისაგან. ასეთია, მაგალითად, „თვითგრძნობის“ ანუ „თვითშეგრძნების“ ზოგადი ორგანული შეგრძნება და უსაგნო გუნება, ე. ი. ემოციური ხასიათის თვითგრძნობა, როდესაც ისინი დაახლოებით ერთი რომელობისა არიან: — მაგალითად „სისუსტის“, „კუდად ყოფნის“ ორგანული შეგრძნება და დეპრესიული გუნება განცდისეულად ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს.

მაგრამ სულ სხვა დამოკიდებულებაა გრძნობასა და ორგანულ შეგრძნებებს შორის მაღალ, სპეციფიკურად ადამიანურ, რთულ გრძნობათა განცდისას: — ინტელექტუალური, ესთეტიკური, მორალური გრძნობის განცდა უშუალო გამოცდილებაში ისე მკვეთრად განსხვავდება იმ ორგანული შეგრძნებებისაგან, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი ამ „მაღალი“ გრძნობების განცდისას, რომ მათი

„აღრევა“ შეუძლებელია. ძნელია, მაგალითად, კაცმა დაიყვანოს მძიმედ ავადმყოფი შვილის ლოგინთან დედის მიერ განცდილი დარდი ან შიში იმ ორგანულ შეგრძნებებზე, რომელსაც ამ დროს განიცდის ეს ადამიანი (ვ. შტერნის მაგალითი). რაც მთავარია, ამ მაღალ გრძნობათა ინტენსივობა არ არის პირდაპირ დაკავშირებული მათში შემაველ ორგანულ შეგრძნებათა ინტენსივობასთან.

ეს დაკვირვებაც უეჭველად ძლიერ არგუმენტს წარმოადგენს ჟემს-ლანგეს თეორიის წინააღმდეგ.

ამრიგად ჟემს-ლანგეს თეორია არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად. გრძნობები უეჭველად არსებობდა სხვა სახის განცდებია, ვიდრე ორგანული შეგრძნებები.

მიუხედავად ამისა, ჟემსის და ლანგეს დაკვირვებათა რიგი ანგარიშგასაწევია. მათი დამსახურება იმაშია, რომ მათ პირველად შიაკიეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ გრძნობის განცდაში ნორმალურ პირობებში შედის ორგანული შეგრძნებების განცდებიც, რომლებიც, თავისებურ ელფერს აძლევენ ამ გრძნობათა განცდას. ეს არის უმთავრესად გულის არეში, ნაწილობრივ მუცლის არეში ლოკალიზებული ორგანული შეგრძნებები. ამიტომ, რომ გულუბრყვილო ადამიანი გრძნობას „გულში“ ათავსებს; გრძნობის „ადგილად“ გულს თვლის!

### გრძნობის ფიზიოლოგიური საფუძვლები

ჟემს-ლანგეს თეორია გრძნობის ფიზიოლოგიურ საფუძვლად თვლის პერიფერიულ ფიზიოლოგიურ პროცესებს, სახელდობრ, გრძნობის გამომწვევი ობიექტის აღქმასთან რეფლექტორულად დაკავშირებულ ვისცერალურ ცვლილებებს, რომელნიც აისახებიან ტვინის ქერქში, რის შედეგადაც ემოციის განცდა აღმოცენდება.

თანამედროვე ფიზიოლოგიას გააჩნია მონაცემები, რომლის მიხედვით გრძნობის განცდის საფუძველს ცენტრალური და, კერძოდ, ქერქული პროცესებიც შეადგენენ; ამ პროცესების ჩათვლა მეორად მოვლენად არ შეეფერება სინამდვილეს. გრძნობის ფიზიოლოგიურ საფუძვლებში ქერქული პროცესები დიდ როლს ასრულებენ, თუმცა ისევე, როგორც ინსტინქტები, გრძნობებიც მნიშვნელოვნად გაპირობებულია ქერქქვეშა ცენტრების მოქმედებით (იხ. თავი 1, § 4) და ვეგეტატიური

ნერვული სისტემის პროცესებით. დადასტურებულა, რომ ტვინის იმ ნაწილის დაზიანება, რომელსაც მხედველობის ბორცვის უწოდებენ (იხ. თ. 1, § 4), იწვევს ემოციური პროცესების დარღვევას. მიუხედავად ამისა, ადამიანის საფეხურზე, როგორც ამას განსაკუთრებით პავლოვი ფიზიოლოგია ამტკიცებს, ქერქქვეშა პროცესები ქერქული მოქმედებისაგან დამოუკიდებლად ვერ მიმდინარეობენ. პავლოვის თქმით ქერქს „თავის განკარგულებაში უჭირავს სხეულში მიმდინარე ყველა პროცესი“. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ემოციურ განცდათა აღმოცენებისათვის და მიმდინარეობისათვის ჰქონია მხედველობის ბორცვის კავშირს დიდი ტვინის ქერქთან.

გრძნობა მაშინ აღმოცენდება, როდესაც სათანადო ფიზიოლოგიური პროცესი ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრებში და, კერძოდ, მხედველობის ბორცვში მიმდინარეობს. საგულისხმოა, რომ გრძნობის ის გამოსახულებითი მოძრაობები და ის ვისცერალური ცვლილებები, რასაც ჭეშმ-ღანგეს თეორია გრძნობის საფუძვლად იღებს. ამ ქერქქვეშა ცენტრებისა და ვეგეტატიური ნერვული სისტემის შემკვებით ხორციელდება.

ი. პავლოვი ემოციის საფუძველს, კერძოდ, „დინამიკური სტერეოტიპის“ (იხ. თავი 1, § 4) ჩამოყალიბებაში და მის დარღვევაში ზედავს, რაც ქერქში მიმდინარე პროცესს წარმოადგენს. იგი წერს: „უნდა ვიფიქროთ, რომ ნახევარსფეროების ნერვული პროცესები დინამიკური სტერეოტიპის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების დროს არის ის, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ გრძნობებს მათ ორ ძირითად კატეგორიაში — დადებითსა და უარყოფითში და მათი ინტენსივობების უშველებელ გრადაციაში“.

დინამიკური სტერეოტიპის დარღვევის პროცესების აღწერის შემდეგ ი. პავლოვი დაასკვნია — „მე ვფიქრობ, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი მივიღოთ, რომ დიდ ნახევარსფეროებში მიმდინარე აღწერილი ფიზიოლოგიური პროცესები უპასუხებენ იმას, რასაც ჩვენ სუბიექტურად ჩვენში ჩვეულებრივ გრძნობებს ვუწოდებთ, დადებითი და უარყოფითი გრძნობების ზოგად ფორმაში და ელფერებისა და ვარიაციების უამრავ რაჟში მათი კომბინირებისა ან მათი განსხვავებული დაძაბულობის წყალობით“.

## § 2. გრძნობის ძირითადი თვისებები

რამდენადაც გრძნობები, როგორც დავინახეთ, ორგანულ შევსებაზე დაუყვანებად თავისებურ ფსიქიკურ პროცესებს წარმოადგენენ, საჭიროა მათი ძირითადი თვისებების დასახილვება.

1. გრძნობის ერთ-ერთ ძირითადს, განსაკუთრებით შემეცნებით პროცესებისაგან განმასხვავებელ თვისებას, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, მისი სუბიექტურობა შეადგენს.

გრძნობა ყველა სხვა ფსიქიკურ პროცესებთან შედარებით უფრო სუბიექტურად, პიროვნებაში ჩანერგილად განიცდება. როგორც სუბიექტში, „მე“-ში მიმდინარე პროცესი. ამ მხრივ იგი აღქმის ანტიპოდია: აღქმა ხომ პიროვნებისაგან გამოყოფილად განიცდება — როგორც ჩვენს გარეთ არსებული, ჩვენგან დამოუკიდებელი, ობიექტური საგანი: ჩვენ საგანს განვიცდით და არა მის აღქმას: აღქმა არ განიცდება ისევე როგორც სათვალის გამჭვირვალე შუშა, როდესაც საგანს სათვალეში ვუყურებთ.

გრძნობა სუბიექტურია თავისი ფუნქციითაც; როგორც ზემოთ ითქვა, იგი ობიექტის თვისებას კი არ ასახავს, არამედ თვით სუბიექტის შინაგან მდგომარეობას გამოხატავს.

სხვადასხვა სახის გრძნობებს მეტ-ნაკლები სუბიექტურობა ახასიათებს (იხ. ქვემოთ. — გრძნობათა კლასიფიკაცია).

2. გრძნობის ამ თვისებასთან არსებითად დაკავშირებულია გრძნობის სუბიექტურობა სხვა მნიშვნელობითაც, სახელდობრ, მისი შინაარსის დამოკიდებულება სუბიექტის, პიროვნების მდგომარეობაზე, გრძნობის ადვილი სუბიექტური ცვალებადობა ერთი და იმავე ობიექტურ პირობებში.

ამ მხრივ აღსანიშნავია გრძნობის დიდი, როგორც ინტერინდივიდუალური განსხვავებულობა (ეს გარემოება ჩერ კიდევ ძველი რომაელების ანდაზაშია ასახული — „გემოვნებებზე არ დავობენ“), ისე ინტრაინდივიდუალური ცვალებადობა: ერთი და იგივე საგანი, ან ობიექტური ვითარება ხშირად იწვევს არსებითად განსხვავებულ გრძნობებს არა მხოლოდ სხვადასხვა ადამიანთან, არამედ ერთ და იმავე ადამიანში მისი შინაგანი მდგომარეობის გამო (იხ, რაც ერთ პერიოდში მოსწონს, მეორე პერიოდში არ მოსწონს და ა. შ.).

„მოციური განცდის ერთიანობა“

გრძნობა არ არის სტრუქტურული, განაწევრებული, როგორცაა, მაგალითად, აღქმა; მისი მთლიანობა უფრო დიფუზიური ხასიათისაა. ამიტომ ერთდროულად აღმოცენებული გრძნობები ერთმანეთის „გვერდით“ კი არ განიცდებიან, რო-

გორც, მაგალითად, სხვადასხვა ფერები ქრელი საგნის აღქმისას, არამედ შეიარყყმებიან და ერთიანი დიფუზიური გრძნობის სახით — „ერთიანი ემოციური მდგომარეობის“ სახით განიცდებიან (იხ. ქვემოთ „ამბივალენტობა“).

### პოლარობა

გრძნობათა სპეციფიკურ თვისებას მათი პოლარული ხასიათი შეადგენს. გრძნობებს ერთიმეორის საწინააღმდეგო, პოლარული მიმართულება ახასიათებს. ყოველი გრძნობა ან დადებითი ან უარყოფითია — ან სიამოვნების ან უსიამოვნების ელფერს ატარებს: სიხარული — მოწუხარება; სიყვარული — სიძულვილი; მხიარულება — მოწყენილობა და ა. შ.

### ამბივალენტობა

მთელ რიგ გრძნობებს ახასიათებს ამბივალენტობა („ორპოლუსიანობა“), რაც გრძნობების „ემოციური ტონის ერთიანობის“ ზემოთ აღნიშნულ თვისებასთანაა დაკავშირებული. სიამოვნებისა და უსიამოვნების ელფერის გრძნობათა შერწყმა თვისობრივად ახალ გრძნობას ქმნის, რომელშიაც სიამოვნება და უსიამოვნება ცალ-ცალკე არ არის მოცემული, არამედ ახალ, მთლიან, სპეციფიკურ განცდას წარმოადგენს.

ასეთი ამბივალენტური ბუნებისაა, მაგალითად, სპეციფიკური მძაფრი სიამოვნების გრძნობები, რომლის აღმოცენებაში მნიშვნელოვან როლს საშიშობის მომენტი ქმნის: ეს ის სიამოვნებაა, რომელსაც ადამიანს გერის დიდი სისწრაფით მანქანით ქროლა, მაღალ საქანელაზე ქანაობისას მაღლა „აფრენა“, პარაშუტით ჩამოხტომა, სიმაღლიდან წყალში გადახტომა და ა. შ.

ამბივალენტურია სიდიადის გრძნობა, რომელსაც ჩვენში იწვევს, მაგალითად, ბუნების დიადრ გამოვლინებები (კავკასიონის ქედის პანორამის მზერა, აბობოქრებული ზღვა, დიდი ჩანჩქერი და ა. შ.), ამ სახის ესთეტიკურ ტკბობას სპეციფიკურ იერს აძლევს, ბუნების ძალასთან შეერთების შთაბეჭდილებით გამოწვეული, თავისთავის „ამაღლებულობის“ განცდასთან შეერთებული თავის სიპატარავისა და სისუსტის უსიამოვნო განცდის მომენტიც (იხ. ქვემოთ: სიდიადის გრძნობა); ოღონდ ეს ორი მომენტი ცალ-ცალკე არ განიცდება, არამედ სპეციფიკურ მთლიან



განცდას წარმოადგენს, რომელშიაც სუბიექტი ჩვეულებრივ ვერ ამჩნევს უსიამოვნო ელფერის ზემოაღნიშნულ გრძნობას.

ამბივალენტური ბუნებისაა მოლოდინის განცდა, ექვიანობის გრძნობა და სხვ.

### გრძნობის დინამიკურობა

გრძნობა საზოგადოდ, განსაკუთრებით კი ემოცია, მხოლოდ განცდა კი არ არის, არამედ მეტ-ნაკლებად მოქმედებისაკენ სწრაფვაცაა: ამ თვისებას ზოგი აეტორი გრძნობის დინამიკურობას უწოდებს. გრძნობას მოქმედებისაკენ სწრაფვის, მოქმედებაში გადასვლის ტენდენცია ახასიათებს. მაგალითად, შიშის გრძნობაში მოცემულია ამ განცდის გამომწვევი ობიექტებისაგან მოშორების ტენდენცია, რისხვაში, პირიქით, ამა თუ იმ ფორმაში მოცემულია „თავდასხმის“ ტენდენცია და ა. შ.

ამ თვისების გამო ემოციას ხშირად იხილავენ როგორც ქცევის მამოძრავებელ ძალას.

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ემოციის ინტენსივობა ძალიან მაღალ დონეს აღწევს, მაგალითად, აფექტის შემთხვევაში, იგი უნებლიედ გადადის მოქმედებაში ისე, რომ ამ მომენტში ადამიანის ქცევას ეს ძლიერი ემოცია (აფექტი) წარმართავს (იხ. ქვემოთ, აფექტები).

მაგრამ ნებისმიერი მოქმედების შემთხვევაშიც ემოციის დინამიკურობა იმ მხრივ იჩენს თავს, რომ იგი ხშირად განსაზღვრავს ნებისმიერი მოქმედების მოტივს, ე. ი. ამა თუ იმ გადაწყვეტილებას გამოატანინებს ადამიანს.

ემოციის ქცევასთან დამოკიდებულების მხრივ აღსანიშნავია, რომ ძლიერი ემოცია (დარდის, რისხვის, შიშის და ა. შ.) ადვილად იწვევს მოქმედების შეფერხებას, ქცევის დეზორგანიზაციას.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ სპინოზა ემოციური მდგომარეობის ნიშანდობლივ თვისებად თვლიდა, რომ იგი აძლიერებს ან ასუსტებს „სხეულის მოქმედების“ უნარს.

### გრძნობის ინტენსივობა

ყოველ გრძნობას ინტენსივობის რალაცა ხარისხი გააჩნია, ერთი და იმავე სახის გრძნობები ინტენსივობის მხრივ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სიხარული იქნება ეს თუ მწუხარება, სიყვარული

თუ სიძულვილი, შიში თუ რისხვა და ა. შ. თითოეული მათგანი სხვადასხვა შემთხვევაში მეტ-ნაკლებად ინტენსიურია. ერთ შემთხვევაში ძლიერ სიხარულს განვიცდით, მეორე შემთხვევაშიც გვიხარია მაგრამ ნაკლებად და ა. შ.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ინტენსივობით დიდად განსხვავებული ერთი და იმავე სახის გრძნობები, გარკვეულ ფარგლებში. თვისობრივად იცვლება. მაგალითად, სუსტი და ძლიერი სიხარული თვისობრივად არ არის იგივეობრივი.

### გრძნობის ექსტენსივობა

გრძნობის ექსტენსივობას უწოდებენ მის, ასე ვთქვათ, გავრცელებას სუბიექტში. ეს თვისება საზოგადოდ გრძნობის დამახასიათებელია, რამდენადაც გრძნობა ლოკალური მოვლენა კი არ არის, არამედ მთლიანი პიროვნების მდგომარეობაა. მაგრამ სხვადასხვა სახის გრძნობები ამ მხრივ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ზოგი გრძნობა (მაგალითად, გუნება) განსაკუთრებით დიდი ექსტენსივობით ხასიათდება — იგი მოიცავს მთელ პიროვნებას და მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს პიროვნების ყველა განცდაზე: იმის მიხედვით, რა ვუნებაზეა ადამიანი, ობიექტურად ერთი და იგივე მოვლენები, გარკვეულ ფარგლებში განსხვავებული ემოციური ტონით განიცდებიან.

პირიქით, შედარებით სუსტი ექსტენსივობის გრძნობა იმდენად დაკავშირებულია მხოლოდ მის გამომწვევ მოვლენასთან, რომ მაინც და მაინც შესამჩნევ გავლენას სუბიექტის სხვა განცდაზე არ ახდენს. მაგალითად, წამლის უაღრესად არასასიამოვნო გემოთი გამოწვეული უსიამოვნების გრძნობა ვერ ცვლის სუბიექტის კარგ გუნებას, ანღა იმ სიამოვნების განცდას, რომელსაც მასში, იმავე დროს, ლამაზი ლექსი თუ პეიზაჟი აღძრავს.

აღსანიშნავია, რომ გრძნობის ინტენსივობა და ექსტენსივობა არ არიან ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში. ექსტენსიური შეიძლება იყოს სუსტი ინტენსივობის გრძნობაც (მაგალითად, გუნება) და დიდი ინტენსივობისაც (მაგალითად, აფექტი, რომელიც მთლიანად ავსებს სუბიექტის ცნობიერებას).

### გრძნობის სიმტკიცე, ანუ ხანგრძობა

გრძნობები დიდად განსხვავდებიან ხანგრძობით, რასაც ჩვეულებრივ გრძნობის სიმტკიცეს უწოდებენ. ზოგი გრძნობა ძალიან სწრაფწარმავალია (მაგალითად, აფექტი), ხოლო ზოგი წლების გან-

მავლობაში და ზოგჯერ მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში გრძელდება (მაგალითად, ვნება).

ხაზგასასმელია, რომ გრძნობის მეტ-ნაკლები ხანიერება არა მხოლოდ თვით გრძნობის სახეზეა დამოკიდებული, არამედ პიროვნების თავისებურებაზე და ც, განსაკუთრებით მის ტემპერამენტზე (იხ. თავი 12, § 1).

### გრძნობის ხილრმა

პიროვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობისაა გრძნობის ის თავისებურება, რასაც გრძნობის ხილრმე ეწოდება. თუმცა გრძნობებს საზოგადოდ, შემეცნებით პროცესებთან შედარებით, პიროვნებაში მეტი „ჩანერგილობა“ და ამ აზრით, მეტი ხილრმე ახასიათებს, როგორც ეს ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, მაგრამ ამ მხრივ, გრძნობები ერთმანეთისგანაც დიდად განსხვავდებიან. ზოგი გრძნობა უფრო ღრმად წვდება პიროვნებას. ცვლის კიდევ მას, ზოგი იმდენად „ზედაპირულია“, პერიფერიულია პიროვნებისათვის, რომ სრულიად უკვალოდ გაქრება ხოლმე.

აღსანიშნავია, რომ გრძნობის ხილრმეს არა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება მის ინტენსივობასთან, თუმცა ხშირად ინტენსიური გრძნობა ღრმაც არის, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი. ძლიერი გრძნობა შეიძლება არ იყოს ღრმა, ხოლო სუსტი ინტენსივობის გრძნობა კი ღრმა იყოს.

მაგალითად, კბილის ძლიერი ტკივილით გამოწვეული გრძნობა შეიძლება უაღრესად ძლიერი იყოს — აფექტის დონესაც კი მიაღწიოს, მაგრამ იგი არაა ღრმა — კბილის ტკივილთან ერთად ისიც უკვალოდ გაქრება, პირიქით, ინტერესი თავის სპეციალობის გარკვეულ საკითხებისადმი ჩვეულებრივ ძალიან ღრმა გრძნობას წარმოადგენს, მაგრამ იგი დიდი ინტენსივობის გრძნობა არ არის. ღრმა გრძნობის დამახასიათებელია, რომ იგი კვალს ტოვებს პიროვნებაში, მეტ-ნაკლებად ცვლის მას, ზერელე გრძნობა, პირიქით, უკვალოდ გაივლის.

გრძნობის ხილრმეც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პიროვნების თავისებურებაზე, კერძოდ, მის ტემპერამენტზე. არსებობს ისეთი ტემპერამენტის ადამიანები, რომელთაც ღრმა განცდებისადმი ტენდენცია ახასიათებთ — მათში შედარებით უმნიშვნელო მოვლენებიც ღრმა გრძნობას იწვევენ, ემოციურად აღელვებენ მათ და ა. შ. და, პირიქით. არსებობენ ადამიანები, რომელნიც შედარებით

ზერელედ, იოლად განიცდიან მათთვის ობიექტურად დიდი მნიშვნელობის მოვლენებსაც კი.

არსებობენ ისეთი პიროვნებები, რომელთათვისაც დამახასიათებელია ღრმა გრძნობები მხოლოდ ინტერესთა გარკვეულ სფეროში — ზოგს მხოლოდ თავის ოჯახურ ინტერესებთან დაკავშირებულ სფეროში, ზოგს მხოლოდ თავის პროფესიის სფეროში, ზოგს ფართო საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში და ა. შ.

### გრძნობათა სერიოზულობა-არასერიოზულობა

გრძნობათათვის დამახასიათებელ თვისებათა შორის აღსანიშნავია თავისებური თვისება, რომელიც განასხვავებს ნამდვილი რეალური ცხოვრების მოვლენებით გამოწვეულს და წარმოსახულს, არარეალურ მოვლენებით გამოწვეულს გრძნობებს. ფსიქოლოგმა ვ. შტერნმა ამ თვისებას გრძნობის „სერიოზულობა“ და „არასერიოზულობა“ უწოდა.

საქმე ის არის, რომ არარეალურად ნაგულისხმევი მოვლენაც, ფანტაზიით შეთხზული ამბებიც, გარკვეულ პირობებში (კერძოდ, ნათხზავის მხატვრულ ფორმაში მოცემულობისას, ან ბავშვის შემთხვევაში, თამაშის პირობებში), სავსებით ნამდვილ, რეალურ და ზოგჯერ ძალიან ინტენსიურ გრძნობას იწვევენ: მკითხველი ან მაყურებელი თეატრში თუ კინოში იმდენად ძლიერ გრძნობებს განიცდის, რომ ზოგჯერ ტირის, იცინის და ა. შ., მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილებით იცის ამ გრძნობათა გამომწვევი ამბებისა და პირების არარსებობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს გრძნობები ნამდვილი, რეალური განცდებია, ისინი, ცხადია, არსებითად განსხვავდებიან რეალური მოვლენებით, ნამდვილი ამბებით გამოწვეული გრძნობებისაგან. აი, სწორედ ამ განსხვავების აღსანიშნავად უკანასკნელი სახის გრძნობების თავისებურებას ვ. შტერნი „არასერიოზულობას“ უწოდებს. სხვა ავტორი (პფენდერი) უკანასკნელი სახის გრძნობებს „მფრინავ“ გრძნობებს უწოდებს; ამით იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ გრძნობებს არა აქვთ გადგმული „ღრმა ფესვები“ პიროვნებაში, რომ ისინი „აწეული“ („ამალღებული“) ბუნებისა არიან.

არასერიოზულ გრძნობებს არ ახასიათებთ ის დინამიკურობა — მოქმედებაში გადასვლის ტენდენცია, რაც ზემოთ გვქონდა განხილული, როგორც გრძნობის ერთ-ერთი თვისება: რაც არ უნდა ალელღეს მაყურებელი კინოეკრანზე ბავშვის წყალში დახრჩობის

სცენით, მას იმპულსიც არ გაუჩნდება მის მისაშველებლად გაქცევისა და წყალში გადაყარდნისა.

არასერიოზულ გრძნობებს ის სიღრმეც არა აქვთ, რაც ანალოგიური სახის სერიოზულ გრძნობებს ახასიათებს. უმძიმესი ტრაგიზმით აღსავსე როლში დიდ „ვენებათა ლელვის“ განცდის შემდეგ, ამ როლის შემსრულებელი მსახიობი მხიარულ გუნებაზეა და აქტიურად მონაწილეობს სპექტაკლის შემდეგ გამართულ ზეიმში: არასერიოზული გრძნობის სახით სცენაზე განცდილმა ტრაგედიამ ვერ შეცვალა პიროვნება.

## § 8. გრძნობათა კლასიფიკაცია

გრძნობათა მრავალსახიანობაში ასხევეებენ შემდეგ ძირითად კლასებს, ანუ სახეებს.

### „საგნობრივი გრძნობა“ და ემოციები.

ასხევეებენ ემოციებს და გრძნობებს ვიწრო მნიშვნელობით. ამ უკანასკნელს ზოგი ავტორი საგნობრივ გრძნობებს უწოდებს. თუმცა მათ განმასხევეებელ ნიშანთა შესახებ აზრთა სხვაობა არსებობს, მაგრამ პრაქტიკულად, განცდაში ისინი სავსებით ნათლად განსხვავდებიან:

მაგალითად, სიხარული, მწუხარება, დარდი, სევდა, სიყვარული, სიძულელი, შიში, რისხვა და სხვა ამგვარი განცდები ემოციებს წარმოადგენენ, ხოლო საგნის სილამაზის, ან მისი ულამაზობის თუ სიმპათიურობის, საზიზღრობის თუ მშვენიერების, ესთეტიკური სიამოვნების ანდა ინტერესის განცდა (ეს ამბავი საინტერესოა, ეს წიგნი მოსაწყენია) და ა. შ. ვიწრო მნიშვნელობით გრძნობებია, ანუ „საგნობრივი გრძნობებია“.

როგორც ვხედავთ, მთავარი განსხვავება ემოციურ განცდათა ამ ორ ძირითად სახეს შორის, უპირველეს ყოვლისა, მეტ-ნაკლებ სუბიექტურობაშია: ემოცია განიცდება, როგორც თვით სუბიექტის განცდა, მისი შინაგანი მდგომარეობა: შემიხარია, შევწუხარ, შემიყვარს და ა. შ., საგნობრივი გრძნობა კი, პირიქით, ობიექტში გადატანილად განიცდება: ამ სახის გრძნობებს ისე განვიცდით, თითქოს ეს თვით საგნის, ობიექტის თვისება ყოფილიყო და არა ჩემი განცდა: საინტერესოა ეს რომანი, მშვენიერია ეს პეიზაჟი, საზიზღარია ეს ქვეწარმავალი და ა. შ. რასაკვირველია, არსებითად, ეს საგნობრივი გრძნობებიც სუბიექტურია, — იმ აზრით.

რომ სუბიექტის შთაბეჭდილებას და არა საგნის ობიექტურ თვისებას წარმოადგენენ. ეს არის საზოგადოდ გრძნობების შეგრძნებებისაგან მთავარი განმასხვავებელი ნიშანი (იხ. ზემოთ § 1). ერთსა და იმავე ობიექტს ერთი ადამიანი როგორც საინტერესოს ან ლამაზს განიცდის, მეორე კი—როგორც არასაინტერესოს, მოსაწყენს ან ულამაზოს, მაგრამ განცდაში ეს ინტერესის თუ სილამაზის გრძნობა როგორც ჩემი განცდა კი არ გვეძლევა, არამედ როგორც ობიექტურად, ჩემს გარეთ არსებული ობიექტის თვისება განიცდება, ე. ი ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ხ დ ე ბ ა ჩ ე მ ი გ რ ძ ნ ო ბ ი ს გ ა დ ა ტ ა ნ ა ს ა გ ა ნ შ ი (ამიტომ უწოდებენ ამ გრძნობებს საგნობრივს). განცდის ამ თვისებურებების მხრივ ასეთი გრძნობები საგნის თვისებათა აღქმას უახლოვდება.

აღსანიშნავია, რომ შინაარსეულად ერთი სახის გრძნობაც სხვადასხვა კერძო შემთხვევაში. ს ი ტ უ ა ც ი ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ შეიძლება იყოს განცდილი როგორც ემოცია და როგორც საგნობრივი გრძნობა. მაგალითად, ზოოპარკში გალიაში აღქმული ლომი „საშინელია“, მაგრამ მისი „საშინელების“ განცდა სულ არ აწუხებს ადამიანს — ეს საგნობრივი გრძნობაა, მაგრამ როდესაც იმავე ადამიანს ზოოპარკში გალიიდან გამოპარული ლომი შეხვდება იგი უკვე შიშის ე მ ო ც ი ა ს განიცდის—ეს გრძნობა საგანში გადატანილად აღარ განიცდება, ახალა თვით ადამიანს იპყრობს შიში.

მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება ემოციათა და საგნობრივ გრძნობათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ემოციები უფრო მთლიან-პიროვნული ხასიათისა და უფრო ექსტენსიური არიან: სიყვარული, რისხვა, შიში და ა. შ. უფრო მთლიანი პიროვნების მდგომარეობაა, ვიდრე საგნის სილამაზის თუ მისი უშნობის განცდა.

ემოციები და საგნობრივი გრძნობები განსხვავდებიან დინამიკურობის მხრივაც. ემოციებს, როგორც წესი, უფრო ახასიათებს მოქმედებაში გადასვლის ტენდენცია.

### მარტივი და რთული გრძნობები

დიდი ხანია მიღებულია სიმარტივისა და სირთულის თვალსაზრისით გრძნობების დაყოფა: ორ დიდ კლასად. პირველს შეადგენენ მარტივი, „ელემენტარული“, ანუ „ფიზიკური“, ანდა „დაბალი“ გრძნობები; მეორეს — რთული, ანუ „მაღალი“ გრძნობები.

მარტივს უწოდებენ იმ გრძნობებს, რომელსაც იწვევს საგნის სენსორული თვისებას (გემო, სუნის ფერი, ბგერა, შეხებითი თვისე-

ბები და ა. შ.) აღქმა. რთულს კი იმ გრძნობებს, რომელიც უფრო რთული, შინაარსიერი მოვლენითაა გამოწვეული.

მაგალითად, თუ ფერით ან ბგერით გამოწვეული გრძნობა მარტივია, სურათით ან მუსიკალური ნაწარმოების მოსმენით გამოწვეული გრძნობა რთულია.

რთულ გრძნობათა სამ ძირითად ჯგუფს ასხვავებენ: ესთეტიკურს, ინტელექტუალურსა და მორალურს.

### ესთეტიკური გრძნობები

ესთეტიკური გრძნობები სიამოვნების ელფერის გრძნობებია, რომელიც ძირითადად სიმშვენიერის სპეციფიკურ განცდას წარმოადგენენ. ოღონდ ეს სიამოვნება არ არის დაკავშირებული რაიმე ბიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან, არაა სხეულებრივი სიამოვნება (გემრიელი საჭმლით ან კარგი სუნით გამოწვეული სიამოვნება, მაგალითად, ესთეტიკური გრძნობა არ არის); იგი სპეციფიკურად ადამიანური განცდაა. ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს მოვლენა, რომელიც სხეულებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობასთან არ არის დაკავშირებული (ლამაზი ან დიადი პეიზაჟი, ქანდაკება, სურათი, ლექსი და ა. შ.).

ესთეტიკური გრძნობისათვის დამახასიათებლად ითვლება სპეციფიკური განცდა ამ გრძნობის გამომწვევ საგანთან სპეციფიკური შინაგანი ხასიათის დაკავშირებისა, ობიექტთან მეტნაკლები „შერწყმის“ განცდა, რასაც, ჩვეულებრივ, „შთაგრძნობას“ უწოდებენ.

ეს სპეციფიკური განცდა განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ესთეტიკური გრძნობის იმ სახეობაში, რასაც სიდიადის ან „ამაღლებულობის“ გრძნობას უწოდებენ.

სიდიადის ესთეტიკური განცდა: ამ სახის ესთეტიკური ბუნების განცდას იწვევს გრანდიოზული, დიადი მოვლენის აღქმა, მაგალითად, ბუნების თვალუწვდენელი სივრცეები ან დიდი ძალის გამოვლინება (უზარმაზარი კლდე, მაღალი მთა, თვალუწვდენელი ველები, დიდი ჩანჩქერი, აბობოქრებული ზღვა, ძლიერი ჭექა-ქუხილი და ა. შ.).

ასეთი გრანდიოზული მოვლენები იწვევენ ადამიანში სიდიადის თავისებურ, ალტაცებისმაგვარ ესთეტიკურ გრძნობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ აშინებენ ადამიანს, თუ სუბიექტი თავის თავს ამ დიდ ძალთა გამანადგურებელი მოქმედებისაგან დაცულად გრძნობს.

სილიადის გრძნობისათვის, როგორც ვთქვით, განსაკუთრებით დამახასიათებელია „შთაგრძნობის“ მოვლენა: ადამიანი ისე განიცდის ამ უსულო მოვლენებს, თითქოს, ერთი მხრივ, მათში ადამიანური განცდა იყოს მოცემული (აბობოქრებული ზღვა განრისხებულად იბრძვის და ა. შ.), ხოლო, მეორე მხრივ, ამ გრანდიოზული მოვლენის ძალა თვით მასში, სუბიექტში იყოს გადმოსული, თითქოს ის შეერწყმის ამ მოვლენას და მასთან ერთად ძლიერდება და დიდდება (აქედან სახელწოდება „ამაღლებულის გრძნობა“), თუმცა ამასთან ერთად ხშირად აღინიშნება ამ მოვლენის წინაშე თავისი სისუსტიცა და სიპატარავის განცდაც (ეს გრძნობა ამბივალენტურია — იხ. ზემოთ).

**კომიკურის გრძნობა.** ესთეტიკური გრძნობის ერთ-ერთ სახედ თვლიან ხოლმე კომიკურის გრძნობას. თუმცა ზოგი ავტორი მას ინტელექტუალური გრძნობების კატეგორიას აკუთვნებს, რამდენადაც ეს განცდა გარკვეულ მიმართებათა წვდომის საფუძველზე აღმოცენდება.

როგორც ყველა ესთეტიკური გრძნობა, კომიკურის გრძნობა არასხეულებრივი სიამოვნების ელფერს ატარებს. ამ გრძნობის გამომწვევ პირობათა შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია მოულოდნელი შეუფერებლობა ადქმულისა სიტუაციასთან და, კერძოდ, ადამიანის მოქმედების მოულოდნელი შეუფერებლობა მის მიზანთან, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოვლენა საკეთილდღეოდ მთავრდება.

მაგალითად, ამაყი გარეგნობის, დიჩად მოსიარულე, ქოლგით შეიარაღებული მსხვილი ადამიანის წვიმიან ამინდში დაცემა ქუჩაში მაყურებელში სიცილს იწვევს (თუ ეს ადამიანი არ დაიბტვრა, ე. ი. თუ საკეთილდღეოდ დასრულდა ეს მოვლენა). მაგრამ პატარა ბავშვის დაცემა, რომელიც ქუჩაში მობრბოდა, კომიკური არ არის. პირველ შემთხვევაში კომიკურის გრძნობას იწვევს მოულოდნელი შეუფერებლობა დაცემისა ადამიანის ამაყ გარეგნობასთან და დარბაისლურ სიზრულთან, მეორე შემთხვევაში კი — ასეთ შეუფერებლობას ადგილი არა აქვს.

### ინტელექტუალური გრძნობები

ინტელექტუალური გრძნობები წარმოადგენენ შემეცნების პროცესთან დაკავშირებულ გრძნობებს, როგორცაა, მაგალითად, გაკვირვების, ცნობისმოყვარეობის, ინტერესის, ეჭვის, დარწმუნებულობისა და სხვა ისეთი გრძნობები, რომელსაც აზროვნების პროცესი აღძრავს.

ინტელექტუალურ გრძნობას წარმოადგენს, მაგალითად, ის უსი-



ამოწმების გრძობა, რომელსაც იწვევს გაუგებარი წიგნი, ცუდად წაკითხული ან ბუნდოვანი შინაარსის მოხსენება, არადაპარწმუნებელი თეორია... ინტელექტუალურ გრძობას წარმოადგენს აგრეთვე შემეცნებითი პროცესით გამოწვეული სიამოვნება: რაიმე რთული შინაარსის გაგებით, ამოცანის გადაწყვეტით, ახლის აღმოჩენით, რაიმე კანონზომიერების დადასტურებით ანდა სიამოვნება, რომელსაც იწვევს ნათელი, ღრმა აზრი, კარგი შედარება, მოხდენილი გამოთქმა, გონებაბამხვილური მეტაფორა, ლოგიკურად გამართული სიტყვა და ა. შ.

### მორალური გრძობები

მორალური გრძობები წარმოიშებიან მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველზე.

საზოგადოებრივ ურთიერთობაში არის მოქმედებები, რომელნიც ზნეობრივად ითვლებიან, მეორე მხრივ — არის მოქმედებები, რომელნიც უზნეოდ ითვლებიან, იმის მიხედვით, თუ როგორია ამ მოქმედებათა საზოგადოებრივი ღირებულება; მორალური გრძობები წარმოადგენენ ადამიანის ქცევის ამ ზნეობრივი ღირებულების ან მისი დარღვევის განცდას გრძობის სახით: მაგალითად, სირცხვილის ან სიამაყის გრძობა, ზნეობრივი მოვალეობის, სინანულის, სინდისის ქენჯნის, აღშფოთების, თანაგრძობა-სიბრალულის გრძობა და ა. შ.

### აზრობათა სახეები

ემოციათა სახეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

**აფექტები.** აფექტები წარმოადგენენ ერთბაშად წამოკრილ, სწრაფად წარმავალ და უკიდურესად ინტენსიურ ემოციას, რომელიც მისი განცდის მომენტში ეუფლება პიროვნებას, წარმართავს მის ქცევას და ძლიერი გამომხატველი მოძრაობებით ხასიათდება.

აფექტის დროს უაღრესად ირღვევა წონასწორობა სუბიექტსა და გარემოს შორის, ისე რომ ადამიანი ობიექტურად ვერ აფასებს შექმნილ მდგომარეობას და იძლევა მიზანშეუწონელ, ხშირად, ქაოსურ რეაქციას.

აფექტს ახსიათებს შემდეგი ძირითადი მომენტები: უპირველეს ყოვლისა, დიდი ინტენსივობა და მწვავე ხასიათი. აფექტი მთლიანად მოიცავს ადამიანის ცნობიერებას, რომელიც აფექტის გამოვიწროვდება; აფექტი აღარ უტოვებს ადგილს სხვა განცდებს; ცნობიერების შევიწროებულ ველში არ შემოდის სხვა შინაარსები. ამიტომაც, რომ აფექტით შეპყრობილ ადამიანს არ ესმის ხოლმე რჩევისა და დამშვიდების სიტყვები, რომლითაც მას მიმართავენ. აფექტის დროს ადამიანს არ შეუძლია ნორმალურად მსჯელობა, მოცემული პირობების ან თავისი ქცევის საღი შეფასება და ა. შ. ძლიერი აფექტი ადამიანის მოქმედების დეზორგანიზაციას იწვევს; ადამიანი კარგავს საკუთარი ქცევის შეგნებული რეგულაციის უნარს.

მაგრამ ეს მდგომარეობა არ გრძელდება დიდხანს: აფექტი მცირე ხანიერებით ხასიათდება, მას „ფეთქადს“ ემოციას უწოდებენ — იგი უცბად იფეთქებს და ისევ უცბად გაივლის.

ზემოთქმულთან ერთად აფექტს ახლავს ძლიერი სხეულებრივი გამოსახულებანი — გულისცემის, სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის, მიმიკისა და სხვა სხეულებრივი პროცესების მკვეთრი ცვლილებები.

აფექტს წარმოადგენს, მაგალითად, ძლიერი რისხვა, რომელიც იპყრობს ადამიანს და შეიძლება ისეთი რამ ჩაადენინოს, რასაც ის შეგნებულად არასდროს არ მოიმოქმედებდა; ან, მაგალითად, ძლიერი შიში, რომელიც იპყრობს ადამიანს და წარმართავს მის ქცევას ზოგჯერ თვით სუბიექტისათვის მოულოდნელი მიმართულებით (პანიკური შიში). აფექტის სახით შეიძლება იყოს განცდილი ძლიერი სიხარული (სიხარულის აფექტი). ან მწუხარება და ა. შ.

აფექტებს ჰყოფენ ორ დიდ ჯგუფად: სთენიკურ (სიძლიერის) და ასთენიკურ (სისუსტის) აფექტებად.

სთენიკური აფექტებისათვის დამახასიათებელია თანმხლები სხეულებრივი პროცესების გაძლიერება და, საზოგადოდ, ინდივიდის მოძრაობათა და ფსიქიკურ პროცესთა გაცხოველება; გულისცემა და სუნთქვა სთენიკური აფექტის დროს ძლიერდება, სისხლის მილები ფართოვდება, კუნთების ძალა მატულობს, აზრები და წარმოდგენები სწრაფად მიმდინარეობენ აფექტით ნაკარნახევი მიმართულებით. ტიპიურ სთენიკურ აფექტებად ითვლება რისხვის, სიხარულის, აღტაცების, აღფრთოვანების აფექტები.

ასთენიკური აფექტებისათვის, პირიქით, დამახასიათებელია ყველა ზემოაღნიშნული პროცესის მოდუნება, დასუსტება და შენელება: სისხლის მილები ვიწროვდება, ადამიანი ფითრდება, გულისცემა ნელდება და სუსტდება, სუნთქვა ჩერდება, ადამიანი

გაშეშლება, წარმოდგენათა და აზრთა მიმდინარეობა ფერხდება და ა. შ., ტიპიურ ასტენიკურ აფექტად თვლიან შიშს, განცვიფრებას, დარდის აფექტს...

მაგრამ უნდა ითქვას, რომ როგორც საზოგადოდ აფექტის აღმოცენება დამოკიდებულია ადამიანის თავისებურებაზე — მის ტემპერამენტზე და ა. შ. (არიან ადამიანები, რომელთათვისაც აფექტი უცხოა—იხ. თ. 12, § 1), ისე აფექტის შემასუსტებელი და გამძლიერებელი გამოვლინებაც სასიცოცხლო პროცესების მიმართ დამოკიდებულია არა მხოლოდ თვით აფექტის სახეზე (მაგალითად, რისხვის აფექტია ეს თუ შიშისა და ა. შ.), არამედ პიროვნების ტიპზედაც. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი დარდის აფექტსაც ძლიერი სტენიკური გამოვლინებებით განიცდის. აფექტის განცდის გამოვლინება დამოკიდებულია აგრეთვე მოცემული აფექტის ინტენსივობაზედაც და მთელ იმ სიტუაციაზე, რომელშიაც აღმოცენდება აფექტი — რა განცდები უსწრებდა მას წინ, რამდენად ხანგრძლივი იყო ეს ემოცია, რომელიც აფექტში გადაიზარდა და ა. შ.

ვნებები. ვნებაც თავისებური სახის ემოციას წარმოადგენს. იგი ინტენსიური და მეტად ხანიერი (მტკიცე) ემოციაა, რომელსაც ახასიათებს სუბიექტის ინტენსიური სწრაფვა გრძნობის საგნის მიმართ.

სხვადასხვა ტიპის ადამიანს სხვადასხვა სახის ვნება ახასიათებს. ტარიელი შეპყრობილი იყო სიყვარულის ვნებით. მოლიერისა და პუშკინის ძუნწი — გამდიდრების ვნებით; ზოგიერთ მთასვლელს ალპინიზმით გატაცება ვნებად აქვს გადაქცეული; ზოგიერთ მონადირეს ნადირობის ვნება უჩნდება; ზოგიერთ კოლექციონერს (მაგალითად, ფილატელისტს) კოლექციონირების ვნება აქვს და ა. შ.

როგორც ვთქვით, ვნება დ ი დ ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა ა. ამ მხრივ იგი აფექტს უახლოვდება. ვნება, თუკი იგი აღმოცენდება ადამიანში, იპყრობს მას და ყველა მის ძალასა და სწრაფვებს ერთი, ამ ვნების შესატყვისი მიმართულებით წარმართავს.

ვ ნ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ ნ ი შ ვ ე ლ ო ვ ა ნ თ ვ ი ს ე ბ ა ს თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო დ გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი ს წ რ ა ფ ვ ი ს დ ი ნ ა მ ი უ რ ი მ ო მ ე ნ ტ ი შ ე ა დ გ ე ნ ს: ვნება არა მხოლოდ გრძნობაა, არა მხოლოდ ემოციური მდგომარეობაა, არამედ, იმავე დროს, ინტენსიური სწრაფვაა — იგი ადამიანს გარკვეული მიმართულებით სამოქმედოდ წარმართავს, ყველა მისი ძალების ერთი მიმართულებით კონცენტრაციას ახდენს. ვნება წარმოადგენს მოქმედებისათვის ენერჯის მძლავრ წყაროს, თუკი მოქმედების მიმართულება ვნებას

შეესატყვისება. ამ მხრივ ვნებაში მოცემულია ნებისყოფისათვის მნიშვნელოვანი მომენტი, ვნება მისი შესატყვისი მიზნებისაკენ სწრაფვის უდიდეს ძალას წარმოადგენს. უდიდეს ნებისყოფას იჩენენ ხოლმე არა გულცივი, არამედ ნებელობის მიზნების მიმართ ვნებით „ნათებული“ ადამიანები; ვნება აძლევს ენერჯიას ნებისყოფის მოქმედებას, თუ ამ უკანასკნელის მიმართ ულება შეესატყვისება ვნებას და, პირიქით, წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას ნებისმიერი მოქმედებისათვის, თუკი მისი მიმართ ულება ეწინააღმდეგება ნებისყოფის მიმართ ულებას. ვნებით შეპყრობილ, ვნებისადმი დამორჩილებულ ადამიანს ძალა არ შესწევს შეგნებულად დასახული მიზნების მიმართულებით იმოქმედოს, თუკი ეს მიზნები ეწინააღმდეგება ვნების მიმართულებას.

ამრიგად, ვნება ადამიანის ქცევისა და მისი მოქმედების მნიშვნელოვან, პიროვნებისეულ საფუძველს წარმოადგენს.

სუსტი ნებისყოფის ადამიანთა ვნებას ახასიათებს პიროვნების შეპყრობა, მისი ქცევის დაუფლება. ამ დაუფლების ხარისხი პირველ რიგში თვითონ პიროვნებაზე და განსაკუთრებით მის ნებისყოფაზეა დამოკიდებული. ვნება ხშირად განსაზღვრავს ადამიანის ქცევას და ზოგჯერ მთელი მისი ცხოვრების გეზსაც თავისებურად წარმართავს.

თავისი გავლენით ადამიანის ქცევაზე ვნება ნაწილობრივ უახლოვდება აფექტს, სამაგიეროდ თავისი ხანიერებით იგი აფექტის საწინააღმდეგო უკიდურესობას წარმოადგენს. აფექტი ყველა სახის ემოციათა შორის ყველაზე ხანმოკლე, ყველაზე სწრაფ-წარმავალი განცდაა; ვნება კი, პირიქით, ყველაზე უფრო ხანიერი და მტკიცე ემოციური მდგომარეობაა. იგი გრძელდება წლებისა და ზოგჯერ ადამიანის მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. ვნება ქრონიკული ემოციური მდგომარეობაა, აფექტი კი მომენტალური, თუმცა ცხადია, რომ ვნების მეტ-ნაკლები სიმტკიცე ადამიანის ინდივიდუალობაზეცაა დამოკიდებული. არსებობენ ინდივიდები, რომლებსაც ცხოვრების მანძილზე ვნებათა შეცვლა ახასიათებთ, არიან ინდივიდები, რომელთა სიცოცხლის მთელ შეგნებულ პერიოდს ერთი ვნება განსაზღვრავს.

გუნება. ემოციათა თავისებურ სახეს გუნება წარმოადგენს. მთელი რიგი თვისებებით იგი აფექტის საწინააღმდეგო ემოციური განცდაა. გუნებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ის არის დამახასიათებელი, რომ იგი არ წარმოადგენს გამოკვეთილს, რაიმე გარკვეულ ობი-

ექტზე მიმართულ გრძნობას; იგი უფრო მთელი სუბიექტის ზოგადი, გაუნაწევრებელი ემოციური მდგომარეობაა, გრძნობის ტონია, რომელიც მთელ პიროვნებაზე ვრცელდება და ყველა მის განცდას თავისებურ ელფერს აძლევს. თავის შესატყვისად აფერადებს. ამ აზრით გუნებას განსაკუთრებით დიდი ექსტენსივობა ახასიათებს—იგი მთელ პიროვნებაზე, ყველა მის განცდაზე ვრცელდება.

როდესაც ადამიანი მხიარულ გუნებაზეა, მას ისეთი მოვლენაც ეჩვენება სასიხარულოდ, სასიამოვნოდ თუ მშვენიერად, რომელიც სხვა დროს სრულიად არ ეჩვენებოდა ასეთად. კარგ გუნებაზე მყოფი ადამიანი სინამდვილეს, როგორც ამბობენ, ვარდისფერი სათვალეებით უყურებს. პირიქით, ცუდ გუნებაზე მყოფ ადამიანს ბევრი რამ ისეთიც ეჩვენება არასასიამოვნოდ, რაც სხვა დროს სიამოვნებას მოჰგვრიდა მას.

გუნების მეორე დამახასიათებელ თვისებას სუსტი ინტენსივობა შეადგენს: გუნება სუსტი ინტენსივობის ემოციაა; ამ მხრივ იგი აფექტის საწინააღმდეგოა — გუნება არ წარმოადგენს ძლიერ, მწვავე გრძნობას.

გარდა ამისა, გუნებას ახასიათებს დიდი ხანიერება: იგი არ არის სწრაფწარმავალი. ამ მხრივაც გუნება აფექტის საწინააღმდეგოა; ერთი და იგივე გუნება შეიძლება გრძელდებოდეს დღეების, კვირეებისა და თვეების განმავლობაშიც.

## ნ ე ბ ი ს ყ ო ზ ა

### § 1. ნებისმიერი მოქმედების ცნება

#### იმაულისური და ნებისმიერი მოქმედება

ნებისყოფა, როგორც ნებისმიერი მოქმედების უნარი, ადამიანის ერთ-ერთ ძირითად სპეციფიკურობას შეადგენს. ცხოველს, ისევე როგორც სულ პატარა ბავშვს, მხოლოდ უნებლიე მოქმედების უნარი გააჩნია, მოქმედებისა, რომელიც თავისი იმპულსური ბუნებით ნებისმიერი მოქმედების საპირისპიროა.

იმპულსური მოქმედების ძირითადი დამახასიათებელია მისი უშუალო და უნებლიე ხასიათი: გაჩნდა თუ არა რაიმე მოთხოვნის საფუძველზე მოქმედების იმპულსი, იგი უშუალოდ, სუბიექტის მიერ მისი შეფასებისა და კონტროლის გარეშე, მასზე მსჯელობის გარეშე, გადადის მოქმედებაში. მოქმედება განზრახვის ან გადაწყვეტილების და მიზნის დასახვის საფუძველზე კი არ აღმოცენდება, არამედ მოქმედების იმპულსის უშუალო განხორციელებას წარმოადგენს.

ნებისმიერი მოქმედება, პირიქით, სუბიექტის მიერ განზრახული, მიზანდასახული, გაცნობიერებული მოქმედებაა: სუბიექტი ჯერ შეაფასებს სიტუაციას, აწონ-დაწონის შესაძლო მოქმედებას, იმსჯელებს მის შესახებ და ამ შეფასების შედეგად გამოიტანს გადაწყვეტილებას, განიზრახავს მოქმედებას და ამ განზრახვის თანახმად იმოქმედებს.

მოთხოვნის საფუძველზე აღმოცენებული მოქმედების იმპულსი ამ შემთხვევაში უშუალოდ არ გადადის მოქმედებაში, — მას სუბიექტი უწევს კონტროლს: ან სულაც შეიკავებს თავს ამ იმპულსის შესატყვისი მოქმედებისაგან, ან თუ ნახავს ამას მიზანშეწონილად, შეასრულებს შესატყვისი მოქმედებას, მაგრამ ამას განზრახ, სათანადო გადაწყვეტილების საფუძველზე გააკეთებს.

როდესაც მოწყურებული ბავშვი დაინახავს ჭიქას წყლით და მაშინვე მოუფიქრებლად დასტაცებს მას ხელს და დაეწაფება წყალს, ეს იმპულსური ქცევაა; მაგრამ როდესაც იმავე მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ჯერ გამოარკვევს რა წყალია ეს, სუფთაა თუ არა ჭიქა და ა. შ. და ამის შემდეგ ისე მოიქცევა, როგორც ჩათვლის მიზანშეწონილად — დაღვეს თუ გამოარკვია, რომ წყალი სუფთაა, ან პირიქით, თავს შეიკავებს დაღვევისაგან, რადგანაც წყლის სისუფთავე საეჭვოა — ორივე შემთხვევაში მოქმედება ნებისმიერი იქნება.

### აპრაქსია

ნებისმიერი მოქმედების ფსიქოლოგიურ ბუნებას განსაკუთრებით ნათელს ხდის მისი შედარება ნებისმიერი მოქმედების უნარდაკარგული ავადმყოფის ქცევასთან. ასეთ ავადმყოფობას აპრაქსია ეწოდება (პრაქსის ძველ ბერძნულად მოქმედებას ნიშნავს). ავადმყოფს მოტორიკა (მოძრაობები) დარღვეული არა აქვს. იმპულსურად, სათანადო მოთხოვნებისა და სიტუაციით ნაკარნახევ ყოველ მოქმედებას იგი ნორმალურად ასრულებს, მაგრამ იმავე მოძრაობას, როდესაც საამისო იმპულსი არ არის, ნებისმიერად ვერ ასრულებს. მაგალითად, როდესაც სიტყვეში გარეთ გასულ ავადმყოფს შესცივდება, იგი იმპულსურად თავისუფლად შეიკრავს პალტოზე ყველა დილს, მაგრამ თბილ ოთახში ყოფნისას ამას ვერაფრით ვერ აკეთებს, მიუხედავად ექიმის დაჟინებითი მოთხოვნისა. ანდა ნებისმიერად ვერ ხუჭავს თვალებს, როდესაც ეს ექიმს მისი გასინჯვისას ჭირდება, ხოლო როდესაც დაწევა დასაძინებლად, თვალებს იმპულსურად დახუჭავს დაძინებამდე. ზოგიერთ აპრაქსიით დაავადებულს არ შეუძლია იმის თქმა, რაც ეწინააღმდეგება მოცემულ სიტუაციას. მაგალითად, ნორმალურად მეტყველი ავადმყოფი კარგ ამინდში ვერაფრით ვერ გამოთქვამს წინადადებას „ღღეს ცუდი ამინდია“, ან „ღღეს წვიმს“, ანდა პირიქით, წვიმიან ამინდში ვერ იტყვის „ღღეს კარგი ამინდია“;

ერთი სიტყვით, ნებისყოფის დარღვევის გამო ავადმყოფი სიტუაციისა და თავისი იმპულსების მონაა, იგი ვერ ეუფლება თავის ხაკუთარ ქცევას.

ნებისყოფა, როგორც ნებისმიერი მოქმედების უნარი, ათავისუფლებს ადამიანს სიტუაციის მონობიდან, იგი თავისი ქცევის დაუფლების უნარს წარმოადგენს.

ყველაფერს აქვს თავისი მიზეზები და, ცხადია, ადამიანის ნების-ყოფაც მიზეზობრიობისაგან თავისუფალი არ არის. გადაწყვეტი-ლების გამოტანისას სუბიექტი რაღაც მოტივით ხელმძღვანელობს. ნებისმიერი მოქმედება მოტივით განსაზღვრული მოქმედებაა, რად-განაც გადაწყვეტილების მიღებას მოტივი განსაზღვრავს. მოტივი არის ის ფსიქოლოგიური საფუძველი, რომლის ნიადაგზე ადამიანი განზრახულ ნებისმიერ მოქმედებას შეასრულებს. მაგალითად, ადამიანი ვერ შეძლო. თამბაქოს წვეისათვის თავის დანებება მიუხე-დავად იმისა, რომ კარგად ესმოდა ამის მავნებლობა. მისი ჯანმრ-თელობისათვის; თავისი ჯანმრთელობის დაცვის მოტივი არ აღმოჩნ-და ამისათვის საკმარისი. მაგრამ როდესაც გამოირკვა, რომ მისი, ფილტვებით დაავადებული ვაჟიშვილი არ დაანებებს თავს წევას, სანამ მამამისი ეწევა, ამ ადამიანმა ხელად დაანება თავი თამბაქოს. შვილის ჯანმრთელობის შენარჩუნების მოტივი მისთვის სავსე-ბით საკმარისი აღმოჩნდა ნებისყოფის იმ აქტის განსახორციელებ-ლად, რომელსაც ის სხვა მოტივით (თავისი ჯანმრთელობის შენარ-ჩუნების მოტივით) ვერ ასრულებდა.

მოტივს, რომლითაც ხელმძღვანელობს ადამიანი გადაწყვეტი-ლების გამოტანისას, გარკვეული მიზეზები გააჩნია. ოღონდ ჩვეულებრივ ეს მიზეზი რთულია, — მოტივს ხშირად ძნელად გა-სათვალისწინებელ დახლართულ ფაქტორთა რიგი განსაზღვრავს.

ამ მიზეზთა სირთულეს კიდევ უფრო ართულებს ადამიანის ცნობიერების ფაქტი — ადამიანის უნარი თავისი ქცევისა და თავი-სი თავის გაცნობიერებისა, მისი შეფასებისა. მაგრამ მიზეზობრიო-ბის რკალში ადამიანის ქცევის მოტივებიც, ცხადია, მაინც ჩართუ-ლია. ამდენად, ადამიანი არ არის სავსებით თავისუფალი თავის ნე-ბისმიერ მოქმედებაშიც. თავისი მიზეზები ყოველი გადაწყვეტილე-ბის მიღებასაც გააჩნია.

## § 2. ნებისმიერი მოქმედების პერიოდები

დასრულებული ნებისმიერი მოქმედება სამ პერიოდს შეიცავს. პირველ პერიოდს შესაძლებელ მოქმედებათა გა-ცნობიერება და მათი შეფასება შეადგენს. რა უპი-რატესობა და ნაკლი აქვს ამა და ამ მოქმედებას? როგორ მოვიქ-ცე? მაგალითად, შაბათს საღამოს ვიმეცადინო და კვირა დღეს და-ვისვენო, თუ პირიქით, შაბათს დავისვენო და კვირა დღეს ვიმე-



შაო? შესაძლებელი მოქმედებები ამ პირველ პერიოდში აზროვნების საგანს წარმოადგენენ; სუბიექტი მსჯელობს სხვადასხვა შესაძლებელი მოქმედების ღირებულებაზე. ეს პერიოდი ძირითადადში გონებრივ პროცესს წარმოადგენს, რაც არ კმარა იმისათვის, რომ ადამიანმა იმოქმედოს. ამისთვის გადაწყვეტილების გამოტანაა საჭირო.

მეორე პერიოდს გადაწყვეტილების გამოტანა შეადგენს. შეფასება, რომელიც პირველ პერიოდში მოხდა, მხოლოდ მოსამზადებელი ოპერაციაა ამ მეორე პერიოდისათვის — გადაწყვეტილების გამოტანისათვის. გადაწყვეტილების მიღება პირველ პერიოდში შესრულებული შეფასების საფუძველზე ხდება.

მაგრამ გადაწყვეტილების აქტი სპეციფიკური ფსიქიკური პროცესია. იგი სხვა ფსიქიკურ მოვლენებზე ვერ დაიყვანება. არსებობენ სუსტი ნებისყოფის, გაუბედავი ადამიანები, რომლებსაც საზოგადოდ უჭირთ გადაწყვეტილების გამოტანა, მოუხედავად იმისა, რომ შეიძლება პირველ პერიოდში ძალიან გონივრულად იმსჯელონ და სწორად შეაფასონ შესაძლო მოქმედებები. ასეთი სუსტი ნებისყოფის ადამიანები მერყეობენ ხოლმე გადაწყვეტილების გამოტანაში, მათ აწუხებთ გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება, ისინი გაურბიან პასუხისმგებლობას და ა.შ.

გადაწყვეტილების აქტის სპეციფიკურობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს ამ უნარის იმ პათოლოგიური დარღვევის შემთხვევათა გათვალისწინებისას, რასაც აბულია ეწოდება: აბულით შეპყრობილ ადამიანს არ შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანა სულ უბრალო შემთხვევაშიც კი; მაგალითად, იგი ვერ გადაწყვეტს ამ საღამოს გააკეთოს ხვალისათვის გასაკეთებელი საქმე, თუ ადრე დაიძინოს და ხვალ დილაადრიან გააკეთოს. იგი გონივრულად იმსჯელებს ამ საკითხზე, მაგრამ საკითხს ვერ გადაწყვეტს, იყოყმანებს მანამდე, სანამ გვიანი დროის გამო გადასაწყვეტი ალარა ექნება რა.

მესამე პერიოდი. გადაწყვეტილების გამოტანა როდი არის ყოველთვის საკმარისი მისი შესრულებისათვის. ნებისყოფა გადაწყვეტილების განხორციელებაში მკლავნდება. ნებისმიერი მოქმედების მესამე პერიოდს გადაწყვეტილების შესრულების პერიოდი შეადგენს. ამ პერიოდში განსაკუთრებით ვლინდება ნებისყოფის სისუსტე, თუ სიძლიერე. სუსტი ნებისყოფის ადამიანი ვერ ასრულებს გადაწყვეტილებას ოდნავი დაბრკოლების შემთხვევაში, ან გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ დიდი დროის გასვლის შემდეგ.

მაგალითად, ადამიანმა შეიძლება გადაწყვიტოს თამბაქოს წვეისათვის თავის დანებება, მაგრამ როდესაც მოწვევის მოთხოვნილება შეაწუხებს, დაარღვევს ამ გადაწყვეტილებას და საამისო „გასამართლებელ საბუთებსაც“ მონახავს („ერთი ზედმეტი პაპიროსი რას მიზამს“, „სხვებიც ხომ სწევენ“ და ა. შ.). ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, პირიქით, დიდ დაბრკოლებებსაც გადალახავს მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების შესასრულებლად.

## § 8. ნაზისმიერი მოქმედების ფსიქოლოგიური საფუძველები

რა ამოძრავებს ადამიანს ნებისმიერი მოქმედების შემთხვევაში — რა შეადგენს ასეთი მოქმედების საფუძველს, მის, როგორც ამბობენ, „ძრავს“?

ცოცხალი არსების ყოველი აქტივობის საფუძველს მოთხოვნილებები წარმოადგენენ. მოთხოვნილებების საფუძველზე გარკვეულ სიტუაციაში მყოფი ცოცხალი არსება ამ სიტუაციის შესატყვისად განეწყობა, მობილიზირდება და სათანადოდ მოქმედებს, — თავს იცავს, საკვებს შოულობს, სოროს თხრის და ა. შ.

იმპულსური, უნებლიე მოქმედების შემთხვევაში ეს ნათელია ცხოველი იმიტომ მოქმედებს, იმიტომ არ რჩება უძრავად, რომ სხვადასხვა მოთხოვნილებას განიცდის, ე. ი. განიცდის რალაციის დანაკლისს; წონასწორობა მასსა და გარემოს შორის დარღვეულია. ეს მოთხოვნილება ამოძრავებს მას მანამდე, სანამ არ დაკმაყოფილება, სანამ დანაკლისი არ შეივსება, სანამ წონასწორობა გარემოსთან არ აღდგება. ამგვარი მოქმედების ძრავს, მის მამოძრავებელს მოთხოვნილება წარმოადგენს.

მაგრამ რა წარმოადგენს ნებისმიერი, განზრახული მოქმედების მამოძრავებელ ძალას? ასეთი მოქმედება ხომ ხშირად უძლიერეს მოთხოვნილებათა საწინააღმდეგოდ არის მიმართული: ალექსანდრე მაკედონელი უდაბნოში დიდი სიძნელით ნაშოვნ წყალს კი არ დალევს წყურვილის დასაკმაყოფილებლად, არამედ ჯარის თვალწინ გადააქცევს; გასტელო ცეცხლწაქილებული თვითმფრინავიდან კი არ გადახტება პარაშუტით, რასაც თავდაცვის უძლიერესი მოთხოვნილება (ინსტინქტი) უკარნახებს, არამედ პირიქით, მტრის ბენზინის ცისტერნებს დააჯახებს თავის ცეცხლწაქილებულ თვითმფრინავს და თავს შესწირავს ამ საქმეს.

რა არის ამგვარი მოქმედების საფუძველი?

როგორც ზემოთ დავინახეთ, ადამიანს მას შემდეგ შეუძლია ნე-

ბისმიერი მოქმედების განხორციელება, რაც იგი სათანადო გადაწყვეტილებას გამოიტანს. შესაძლო მოქმედებათა შეფასება, რაც წინ უსწრებს გადაწყვეტილებას, ძირითადად, ინტელექტუალური ბუნების პროცესია, მას არა აქვს, ასე ვთქვათ, ძალა სუბიექტის ასამოქმედებლად. იმისათვის, რომ ამ გონებრივმა შეფასებამ ქცევის მამოძრავებელი ძალა შეიძინოს, იგი მოტივად უნდა გადაიქცეს. გადაწყვეტილების მიღებას, როგორც დავინახეთ, მოტივი განსაზღვრავს. ნებისმიერი მოქმედების საფუძველს მოტივი წარმოადგენს.

სამშობლოს დაცვის, მტრისათვის ზარალის მიყენების ძლიერმა მოტივმა განსაზღვრა გასტელოს გმირული ქცევა. შვილის ჭანმრთელობის შენარჩუნების მოტივმა განსაზღვრა ჩვენს ზემოთ მოტანილ მაგალითში, თამბაქოს წვეისათვის თავის დანებება, როდესაც თავის ჭანმრთელობის დაცვისათვის ამავე ქცევის საჭიროების გაგება ვერ აღმოჩნდა საამისოდ საკმარისი (იხ. ზემოთ მოტივი).

რადღევეს მოტივს ამ ძალას, რადღევეს საფუძველად მოტივს?

ქცევის ღირებულების ინტელექტუალური შეფასება მხოლოდ მაშინ გადაიქცევა მოტივად, როდესაც სუბიექტი რეალურად იგრძნობს მის მიზნიდველ ძალას, როდესაც აღამიანი რეალურად განიცდის იმის ღირებულებას, რაც დადებითად შეაფასა. ეს კი მაშინ მოხდება, შესასრულებელი ქცევის მიზიდულობის გაცდა მაშინ აღმოცენდება, როდესაც ეს ქცევა სუბიექტის მოთხოვნილებათა სისტემაში ჩაერთვის. სუბიექტის მოთხოვნილებას დაუკავშირდება.

მაგრამ თუ ეს ასეა, რიდათი განსხვავდება ნებისმიერი ქცევა იმპულსურისაგან და როგორღა მოქმედებს ადამიანი ნებისმიერად თავისი აქტუალური მოთხოვნილების საწინააღმდეგოდ?

ადამიანი მხოლოდ ორგანიზმი კი არაა — პიროვნებაა. პიროვნებას მხოლოდ ბიოლოგიური სასიცოცხლო მოთხოვნილებები კი არ გააჩნია, არამედ კაცობრიობის კულტურული-ისტორიული განვითარების პროცესში აღმოცენებული ე. წ. „მაღალი“, „კულტურული“, სოციალური ცხოვრებით გაპირობებული მოთხოვნილებები, მაღალი ინტერესები, იდეალები გააჩნია, — შემეცნებითი, ესთეტიკური, მორალური მოთხოვნილებები. მხოლოდ ადამიანს აქვს საზოგადოდ მორალური ქცევის მოთხოვნილება, მოვალეობის შესრულების მოთხოვნილება და ა. შ.

პიროვნების ეს ზოგადი, მაღალი მოთხოვნილებები უშუალოდ

ვერ განაწყობენ სუბიექტს სამოქმედოდ. იმისათვის, რომ ადამიანი მა ამ არააქტუალურ, ზოგად მოთხოვნის ლებათა შესატყვისად იმოქმედოს, აუცილებელია სათანადო გადაწყვეტილების მიღება. ნებისმიერი მოქმედების შესასრულებლად სუბიექტის შინაგანი მობილიზაცია, სათანადო განწყობის აღმოცენება (რაც აუცილებელია ყოველი მოქმედების შესასრულებლად) სუბიექტის გადაწყვეტილების პროცესში მოხდება. მაგრამ საფუძველს ამგვარი განწყობის აღმოცენებისათვის პიროვნების ზოგადი, მაღალი მოთხოვნილებები წარმოადგენენ. იმის განწყობას სუბიექტი ვერ შექმნის, რისი შესატყვისი მოთხოვნილებაც მას არ გააჩნია.

იმპულსურ ქცევას ყოველთვის მოცემული მომენტის მოთხოვნილება წარმართავს, რომელიც უშუალო სწრაფვის სახით ვლინდება; ასეთ მოთხოვნილებას აქტუალურ მოთხოვნილებას უწოდებენ. ნებითი მოქმედების მოტივს კი პიროვნების მაღალი ზოგადი მოთხოვნილება განსაზღვრავს, რომელიც არ ვლინდება მოქმედებისადმი უშუალო სწრაფვის სახით.

მოქმედების შესრულების თვალსაზრისით ამ ორ მოთხოვნილებას შორის დიდი არსებითი განსხვავებაა: მომენტის მოთხოვნილება აქტუალური, ე. ი. ამჟამად აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილება არის და იგი თვითონ წარმოადგენს მოქმედების უშუალო ძრავს, რადგანაც მის საფუძველზე სუბიექტში იქმნება გარკვეული მოქმედების განწყობა, სუბიექტი უნებურად მობილიზირდება სათანადო მოქმედების შესასრულებლად, ხოლო პიროვნების ზოგადი მოთხოვნილება უშუალოდ ვერ წარმართავს ქცევას, უშუალოდ მოქმედებაში ვერ გადადის; იგი მხოლოდ მოტივს ქმნის მოქმედებისათვის. ხოლო იმისათვის, რომ მოქმედება ამ მოტივის მიხედვით, მის საფუძველზე განხორციელდეს, აუცილებელია ნებისყოფის ამოქმედება, სახელდობრ, ამისათვის სუბიექტმა უნდა გადააწყვიტოს სათანადო მოქმედების შესრულება. მოქმედების განწყობას ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება ქმნის.

მაგალითად, როდესაც ადამიანი საზრდოობის უშუალო, აქტუალურ მოთხოვნილებას განიცდის, ე. ი. შიმშილს ან წყურვილს გრძნობს, მან შეიძლება, ყოველგვარი მოფიქრების გარეშე უშუალოდ დაისხას დოქიდან წყალი და დალიოს ან მოიტეხოს პური და შექამოს. მაგრამ საზრდოს შოვნის ზოგადი მოთხოვნილება წყურვილისა თუ შიმშილის აქტუალური განცდის გარეშე ასე უშუალოდ ვერ წარმართავს იმ მოქმედებას (შრომას), რომელიც ამ შემ-

თხვევაში არის საჭირო, მაგალითად, მიწის მოხვნას ან წყაროდან წყლის მოტანას, როდესაც ადამიანს ამ მომენტში არ წყურია. ამ მოქმედებათა შესასრულებლად აუცილებელია ნებისყოფა, განზრახვა. მათ შესასრულებლად გადაწყვეტილების გამოტანაა საჭირო. ყოველი შრომის პროცესი ნებისმიერი მოქმედებაა; ყოველი შრომა ნებისყოფის გამოვლინებას წარმოადგენს. გენეტიკურად ადამიანის ნებისყოფა, ე. ი. ადამიანის უნარი ნებისმიერი მოქმედებისა, შრომის პროცესში აღმოცენდა და განვითარდა.

ამრიგად, ზოგადი არააქტუალური მოთხოვნილება მხოლოდ მოტივის წყაროს წარმოადგენს. მოქმედება მაღალ მოთხოვნილებათა საფუძველზე მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას.

ნებისყოფის საბოლოო დასაურდენს, მისი ენერჯიის სათავეს პიროვნების მაღალი მოთხოვნილებები წარმოადგენენ. ამიტომაც, რომ ნებისმიერი მოქმედების შესრულების უნარი მოტივზეა დამოკიდებული. ის მოსაზრება, ის მსჯელობა გარკვეული ქცევის შესრულების საჭიროების შესახებ, რომელიც არ ეყრდნობა პიროვნების მოთხოვნილებებს, ვერ გადაიქცევა ქცევის მოტივად და ნამდვილი გადაწყვეტილების საფუძვლად, იგი ფორმალურ მსჯელობად დარჩება, მას არ ექნება ქცევის ძრავის ძალა.

პიროვნების მაღალი ზოგადი მოთხოვნილებები აძლევენ ადამიანს ნებისმიერი მოქმედების შესრულების უნარს. გასტელოს პიროვნებისათვის სამშობლოს დაცვის მაღალი მოთხოვნილება რომ არ ყოფილიყო დიდი ხვედრითი წონისა, ის ვერ შესძლებდა თავისი გმირული საქმის შესრულებას.

რაც უფრო განვითარებულია, რაც უფრო ღრმა და ინტენსიურია პიროვნებაში ეს სოციალურად აღმოცენებული, მაღალი მოთხოვნილებები, მაღალი ინტერესები, რაც მეტ როლს თამაშობენ ისინი პიროვნებაში, მით უფრო მტკიცე საფუძველი აქვს პიროვნების ნებისყოფას, მით უფრო ძლიერია მისი ქცევის მოტივები და მით უფრო მტკიცეა გადაწყვეტილება, რომელსაც ამ მოტივების საფუძველზე გამოიტანს ადამიანი.

ძლიერი, მაღალი მოთხოვნილების მქონე პიროვნება საგმირო საქმესაც ჩაიდენს; ძლიერი პატრიოტული, საზოგადოებრივი მოთხოვნილებების საფუძველზე ადამიანი სიცოცხლესაც ადვილად სწირავს სამშობლოსათვის ბრძოლაში. მაგრამ ლუარსაბ თათქარის დისთანა ადამიანი, რომლის მოთხოვნილებები თითქმის ამოიწუ-

რება მომენტის ორგანული მოთხოვნილებებით (კამა-სმა და სხვ.), უნებისყოფა. მას არ ძალუძს ნამდვილი ნებისყოფა გამოავლინოს, დასძლიოს მომენტის მოთხოვნილებათა იმპულსები, დაეუფლოს თავის ქცევას და საგმირო ან საზოგადოდ ჰემმარიტად ნებითი მოქმედება შეასრულოს.

ამიტომ ძლიერი ნებისყოფის გასავეითარებლად, პირველ რიგში, ძლიერი საზოგადოებრივი ინტერესებისა და ძლიერი მოვალეობის გრძნობის აღზრდაა საჭირო.

ნებისყოფის გასავეითარებლად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ადამიანის „გავეარჯიშებას თავის უშუალო სწრაფვათა დაძლევაში, დასახული მიზნის მისაღწევად, მიღებულ დავალეზათა შესრულებას დაბრკოლებათა მიუხედავად, დისციპლინის წესების დაცვას და ა. შ

**პიროვნების უსიქიკური თვისებები**

ფსიქოლოგიის ამოცანას ფაქტიურად ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს ადამიანის გაგება. მაგრამ ადამიანის ფსიქოლოგიის გაგება მხოლოდ ფსიქიკური პროცესებისა და ფსიქიკური ფუნქციების შესწავლით შეუძლებელია, რადგანაც ფსიქიკური პროცესები პიროვნებისეული ბუნებისაა (იხ. თ. I, § 1 და 6). ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა პიროვნების ფსიქიკურ თვისებათა შესწავლაა; იმ თვისებათა შესწავლა, რომელნიც ადამიანის როგორც ერთიანი, მთლიანი არსების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს წარმოადგენენ. ადამიანის ქცევისა, მის მოქმედებათა გაგება მის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა გავალისწინების გარეშე — შეუძლებელია.

პიროვნების ძირითად ფსიქიკურ თვისებებად ითვლება ხ ა ს ი ა თ ი, ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ ი, ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ ი („ზოგადი გონიერება“) და ნ ი ქ ი.

**§ 1. ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ ი**

**ტემპერამენტის ცნება**

ტემპერამენტი ეწოდება ადამიანის იმ ფსიქიკურ თვისებას, რომელიც, ძირითადად, წარმოადგენს პიროვნების ემოციური ცხოვრების საფუძველს, ანალოგიურად იმისა, როგორც ინტელექტი (გონება) წარმოადგენს ადამიანის აზროვნების საფუძველს.

აუღელვებელია, ცივია ადამიანი, თუ პირიქით, ემოციურია, აფექტურია, მშფოთვარე; ძნელი გამოსაწვევია მასში გრძნობები თუ, პირიქით, იგი ადვილად აინთება გრძნობებით; სუსტი გრძნობები ახასიათებს მას, თუ ძლიერი, მტკიცეა მისი გრძნობები თუ სწრაფწარმავალია, ძლიერი ვნებები ახასიათებს ადამიანს თუ, პირიქით, მისთვის უცხოა ვნება და აფექტი და ა. შ. — ეს დამოკიდებულია, პირველ რიგში, ადამიანის ტემპერამენტზე.

ერთ და იმავე ობიექტურ მოვლენას, ერთ და იმავე ამბავს ერთი ტემპერამენტის მქონე ადამიანი აულელეებლად შეხვდება, მეორე ტემპერამენტის ადამიანი კი ძლიერი ემოციით უპასუხებს; ერთი ტემპერამენტის ადამიანს ძლიერი გრძნობაც კი მალე გადაუვლის, მეორეს, პირიქით, ძალიან მტკიცე, ხანგრძლივი გრძნობები ახასიათებს; ერთისთვის დამახასიათებელია გრძნობების წყნარი, მშვიდი მიმდინარეობა, მეორისთვის, პირიქით, მწვავე მღელვარე გრძნობები და ა. შ.

გრძნობების თავისებურებასთან ერთად ტემპერამენტი ვლინდება ადამიანის ქცევაშიც, მის მოქმედებათა თავისებურებაში, მის მოძრაობათა სიციხოველეში, მათ სისწრაფეში, აჩქარებულობაში თუ სიდიუნჯეში და ა. შ.

ადამიანის ეს ფსიქიკური თვისება — ტემპერამენტი, პირველად აღწერა და ტემპერამენტის პირველი ცნება, ისევე როგორც ტემპერამენტთა კლასიფიკაცია, მოგვცა ჩვენ წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში, ძველი საბერძნეთის მოაზროვნემ, მედიცინის მამამთავარმა — ჰიპოკრატემ.

თუმცა ტემპერამენტის ფიზიოლოგიურ საფუძველზე ჰიპოკრატეს სრულიად გულუბრყვილო შეხედულება ჰქონდა<sup>1</sup>, მაგრამ რაც შეეხება მის მიერ მოცემულ ტემპერამენტთა კლასიფიკაციას, დღესაც (ორნახევარი ათასი წლის შემდეგ!) ფსიქოლოგიაში, ფსიქიატრიაში და ფიზიოლოგიაში მიღებულია ტემპერამენტის ის ძირითადი 4 ტიპი, რაც პირველად ჰიპოკრატეს მიერ იყო აღწერილი.

### ტემპერამენტის ტიპები

1. სანგვინიკური<sup>2</sup> ტემპერამენტი. ამ ტიპის ადამიანში გრძნობები ადვილად აღმოცენდება. შედარებით უბრალო და უმნიშვნელო მოვლენაც მასში გრძნობას იწვევს, მაგრამ ეს გრძნობა ად-

<sup>1</sup> ჰიპოკრატე თვლიდა, რომ ორგანიზმში არის ოთხი სითხე („წენი“) — სისხლი, რომელიც ათბობს ორგანიზმს, ნაღველი, რომელიც სიმშრალეს იცავს ორგანიზმში, შავი ნაღველი, რომელიც სინოტივეს და სითხეს ინახავს ორგანიზმში და ლორწო, რომელიც აცივებს ორგანიზმს (სიცივეს ინახავს). ხოლო ტემპერამენტის თავისებურებას განსაზღვრავს ის, თუ რომელი ჰარბობს ამ სითხეებიდან მოცემული ადამიანის ორგანიზმში.

<sup>2</sup> „სანგვის“ ლათინ. სისხლს ნიშნავს. ჰიპოკრატე ფიქრობდა, რომ ამ ტემპერამენტს განსაზღვრავს ორგანიზმის სითხეებს შორის სისხლის სიჭარბე: აქედან შემდეგში შემოღებული სახელწოდება — სანგვინიკური.



ვილადვე და მალე გადაივლის. მისი გრძნობები არაა ღრმა და მტკიცე. ამრიგად, სანგვინიკისათვის დამახასიათებელია გრძნობების დიდი აგზნებადობა, ე. ი. ადვილი და სწრაფი აღმოცენება, მაგრამ სწრაფი წარმავლობაც.

ამასთანავე მას ახასიათებს სიამოვნების ემოციური განცდებისადმი მიდრეკილება, ე. ი. უფრო დადებითი გრძნობებისაკენ მიდრეკილება. იგი ოპტიმისტურადაა განწყობილი, უფრო კარგს მოელოის, ვიდრე ცუდს, ცხოვრებაში უფრო კარგ მხარეებს ამჩნევს, ხშირად უდარდელია. ადამიანის მიმართ უფრო სიმპათიით არის განწყობილი, ვიდრე ანტიპათიით, ადამიანშიც უფრო კარგ მხარეებს ამჩნევს. მისთვის უცხოა გულჩათხრობილობა, პირიქით, დამახასიათებელია გრძნობების უშუალო გარეგამოსახულება.

სანგვინიკი მოძრავი ადამიანია. მას ჩვეულებრივი აჩქარებული, ხშირად იმპულსური, უშუალო მოქმედება ახასიათებს; მისი მოძრაობები, ექსტები სწრაფია.

2. ქოლერიკული ტემპერამენტი<sup>1</sup>. ამ ტიპის ადამიანთანაც გრძნობები ადვილად და სწრაფად აღმოცენდება; ეს ტიპიც ადვილად ინთება, ხშირად აფექტურიც არის. ამრიგად, ქოლერიკისათვისაც/დამახასიათებელია გრძნობების დიდი აგზნებადობა./

მაგრამ სანგვინიკური ტემპერამენტისაგან განსხვავებით, ქოლერიკისათვის დამახასიათებელია შედარებით უფრო მტკიცე, უფრო ხანიერი და ღრმა გრძნობები.

(გრძნობების შინაარსის მხრივ ქოლერიკი სანგვინიკის საწინააღმდეგოა; მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია უარყოფით გრძნობებისადმი მიდრეკილება; უკმაყოფილება, გაჭავრება; ცხოვრებაში და ადამიანებში იგი უფრო ამჩნევს უარყოფით თვისებებს, მისთვის დამახასიათებელია პესიმისტური ტენდენციები.)

ქოლერიკსაც ხშირად ახასიათებს აჩქარებული მოქმედება და მოძრაობათა სისწრაფე, თუმცა ეს მისთვის ნაკლებ დამახასიათებელია, ვიდრე სანგვინიკისათვის.

3. ფლეგმატიკური<sup>2</sup> ტემპერამენტი. გრძნობის აგზნებადობის თვალსაზრისით ეს ტიპი ორივე ზემოაღწერილი ტიპის საპირისპი-

<sup>1</sup> „ქოლე“ ბერძნ. ნაღველია. ჰიპოკრატე ფიქრობდა, რომ ამ ტიპის ტემპერამენტს განსაზღვრავს ნაღველის სიჭარბე ორგანიზმის 4 სითხეთა („წყენთა“) შორის.

<sup>2</sup> ფლეგმა — ლორწოს ბერძნული სახელია. ჰიპოკრატე თვლიდა, რომ ამ ტემპერამენტს განსაზღვრავს 4 სითხეთა შორის ლორწოს სიჭარბე, რაც „აღივებს“ ადამიანის ორგანიზმს.

როა; მას ახასიათებს გრძნობების სუსტი აგზნებადობა. ეს არის მშვიდი, გულგრილი ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა აფექტები. ფლეგმატურ ადამიანში გრძნობის გამოწვევა ძნელია. გრძნობები აღმოცენდება ნელა, გვიან და არც აღწევს აფექტის ინტენსივობას. სამაგიეროდ, სანგვინიკის საწინააღმდეგოდ, ფლეგმატიკის გრძნობები შტიცუ და ღრმაა — დიდხანს არ გადაივლის — არ ქრება და ხშირად, პირიქითაც, ღროის განმავლობაში სულ უფრო დღეიდება, ძლიერდება. მისთვის უცხოა სანგვინიკისათვის დამახასიათებელი გრძნობათა ხშირი ცვალებადობა და სწრაფწარმავლობა.

თუმცა ამ მხრივ ფლეგმატიკი სანგვინიკის საწინააღმდეგო ტიპია, მაგრამ გრძნობების შინაარსის მხრივ, პირიქით, ეს ორი ტიპი უახლოვდება ერთმანეთს; ორივესთვის უფრო დამახასიათებელია დადებითი გრძნობებისადმი მიდრეკილება, ვიდრე უარყოფითისადმი; ორივე, ადამიანებშიც და, საზოგადოდ, ცხოვრებაში უფრო დადებითს აქცევს ყურადღებას, ვიდრე უარყოფითს, ორივეს ოპტიმისტური ტენდენციები ახასიათებს. ცხოვრებაში ორივე უფრო დადებითს მოელის, ვიდრე უარყოფითს.

ფლეგმატიკის წონასწორობიდან გამოყვანა ძნელია; იგი აღელვებელია, მას აუჩქარებელი, მოფიქრებულისა და არაიმპულსური მოქმედება ახასიათებს. მოძრაობებიც, ჩვეულებრივ, დინჯი, აუჩქარებელი აქვს. მიმიკა და ექსტები — შეკავებული. / სანგვინიკთან შედარებით, მას, საზოგადოდ, თავშეკავებულობა ახასიათებს. კერძოდ, გრძნობებსაც ფლეგმატიკი ნაკლებად ავლენს.

მას არ უყვარს თავის გრძნობების გამომჟღავნება. ამიტომ გარეგნულად იგი მაშინაც ცივი, გულგრილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, როდესაც საკმაოდ ძლიერ გრძნობას განიცდის.

4. მელანქოლიური<sup>1</sup> ტემპერამენტი. ამ ტემპერამენტისათვის კიდევ უფრო, ვიდრე ქოლერიკისათვის, დამახასიათებელია მიდრეკილება უარყოფითი გრძნობებისადმი: მის გრძნობებს შორის ბევრად ქარბობს უარყოფითი ემოციები. იგი პესიმისტურადაა განწყობილი. თავისთვის მუდამ ცუდს მოელის და ცხოვრებაშიც უფრო უსიამოვნო მხარეებს ხედავს. მისთვის ჩვეულებრივია ნადვლიანობა, ცუდგუნებაზე ყოფნა, მაგრამ არა სასოწარკვეთილება.

<sup>1</sup> მელანქოლი — „შვიი ნაღველი“ (ბერძნულად). ამ სიტხის სიკარბე 4 სიტხის შორის ჰაიოკრატეს მიიჩნდა მელანქოლიური ტემპერამენტის მიზეზად.

ამ ტემპერამენტს გრძნობების ხუსტი აგზნებადობა ახასიათებს. ამ მხრივ ეს ტიპი უფრო უახლოვდება ფლეგმატიკურს; სანგვინიკთან და ქოლერიკთან შედარებით მას უფრო ძნელად აგზნებადი და სუსტი, მოღუნებული გრძნობები ახასიათებს.

ამ ტემპერამენტის ადამიანის მოქმედება ცხველებრივ მოღუნებულია, უენერგიო, უხალისო. მოძრაობებიც შედარებით ზანტი და ნელი აქვს. საზოგადოდ ცხოვრების ტონუსი დაქვეითებული აქვს.

5. ტემპერამენტთა ზემოთ მოცემულ დახასიათებიდანაც ცხადია, რომ გრძნობათა აგზნებადობის მხრივ ოთხივე ტემპერამენტი ჯგუფდება ორად: სანგვინიკი და ქოლერიკი შედიან ერთ ჯგუფში, რადგანაც ორივე ხასიათდება გრძნობების მაღალი აგზნებადობით, ხოლო ფლეგმატიკი და ქოლერიკი — მეორე ჯგუფში, რადგანაც ორივეს ახასიათებს გრძნობების დაბალი აგზნებადობა.

სამაგიეროდ, ტემპერამენტისათვის დამახასიათებელი გრძნობების შინაარსის მხრივ იგივე ოთხი ტიპი სხვაგვარად დაჯგუფდება:

სანგვინიკური და ფლეგმატიკური ტემპერამენტი ერთ ჯგუფს მიეკუთვნება, რადგანაც ორივესთვის დამახასიათებელია ტენდენცია დადებითი გრძნობებისადმი, ხოლო ქოლერიკი და შელანქოლიკი მეორე ჯგუფს, რადგანაც მათთვის დამახასიათებელია მიდრეკილება ნეგატიური გრძნობებისადმი.

6. ასეთია ტემპერამენტთა კლასიფიკაცია. როგორც ყოველი ტიპოლოგია, ტემპერამენტების კლასიფიკაციაც გარკვეულ თვისებათა განყენებას ეყრდნობა, რის შედეგადაც ადამიანთა ტემპერამენტების უსაზღვრო მრავალსახიანობა 4 ძირითად ტიპად არის დაჯგუფებული. ყოველი კონკრეტული ადამიანი როდი ეკუთვნის აუცილებლად რომელიმე ერთ ტიპს ძირითადი ოთხი ტიპიდან. უფრო ხშირად ადამიანები წარმოადგენენ ნარევ ტიპს ერთ-ერთისა-კენ მეტ-ნაკლები გადახრით. მაგალითად, ადამიანი შეიძლება იყოს ძირითადად სანგვინიკური ტიპისა, მაგრამ ზოგიერთი ქოლერიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდეს; მეორე უფრო ფლეგმატიკია, მაგრამ აქვს შელანქოლიკის ნიშნებიც და ა. შ.

#### ბავშვების ფიზიოლოგიური საუბრალოები

ადამიანის ტემპერამენტი ყალიბდება ცხოვრების პროცესში; მის ჩამოყალიბებაზე, ცხადია, გავლენას ახდენს ცხოვრების პირობები, განვლილი ცხოვრების შინაარსი, გარკვეულ ფარგლებში

აღზრდაც, მაგრამ ხასიათისაგან განსხვავებით ტემპერამენტს უმთავრესად ორგანიზმის გარკვეული ფიზიოლოგიური თავისებურებები განსაზღვრავენ. პავლოვისა და მისი სკოლის გამოკვლევების მიხედვით ტემპერამენტის უშუალო ფიზიოლოგიურ საფუძველს ადამიანის ნერვული სისტემის გარკვეული თავისებურებები წარმოადგენენ. კერძოდ, ტემპერამენტის ტიპს საფუძვლად უდევს ნერვული სისტემის ტიპი.

მეტად საგულისხმოა, რომ ი. პავლოვმა ნერვული სისტემის ტიპების გამოკვლევის შედეგად დაადგინა ისეთი 4 ტიპის არსებობა, რომელიც ტემპერამენტის ზემოთ განხილული 4 ტიპის ანალოგებია. ნერვული სისტემის 4 ტიპს, ძირითადად ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიმდინარე აგზნებისა და შეკავების პროცესთა სიძლიერე და, რაც მთავარია, მათი ურთიერთდამოკიდებულების სახეები განსაზღვრავენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ტემპერამენტის ჩამოყალიბებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს შინაგანი სეკრეციის ჭირკვლეების მდგომარეობაც, მათი ფუნქცია (განსაკუთრებით სასქესო ჭირკვლის შინაგანი სეკრეციისა და ფარისებრი ჭირკვლის ფუნქცია). მაგრამ თვით შინაგანი სეკრეციის ჭირკვალთა სისტემის ფუნქცია რთულ ურთიერთობაშია ნერვული სისტემის მდგომარეობასთან, მის თვისებებთან.

## § 2. ხ ა ს ი ა ტ ი

×

### ხასიათის ცნება

ხასიათის გაგებაში თანამედროვე მეცნიერებაში აზრთა დიდ სხვადასხვაობას აქვს ადგილი. მაგრამ ის მაინც უდავოა, რომ ხასიათი პიროვნების ძირითად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, რომელიც ადამიანთა მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალურ თავისებურებებს განსაზღვრავს და საფუძვლად უდევს ადამიანის ქცევის თავისებურებას. „იციოდე ადამიანის ხასიათი — ამბობს საბჭოთა ფსიქოლოგი ს. ლ. რუბინშტეინი — ნიშნავს იციოდე ადამიანის ის არსებითი თვისებები, რომლიდანაც გამომდინარეობს და რომლითაც განისაზღვრება მის მოქმედებათა სახე“.

კამდენადაც ხასიათი თავს იჩენს უმთავრესად ადამიანის ქცევაში, მის დამოკიდებულებაში სხვა ადამიანებთან, იმ მოტივებში

და მიზნებში, რომელიც განსაზღვრავენ მის ქცევას, რომელიც წამყვანია მის ცხოვრებაში და ა. შ., იმდენად გასაგებია, რომ მეცნიერებაში სულ უფრო ვრცელდება შეხედულება, რომელიც ხასიათის თვისების აღამიანის ნებისყოფის საფუძვლად, ანალოგიურად იმისა, როგორც გრძნობების საფუძვლად ტემპერამენტი იგულისხმება, ხოლო აზროვნების თავისებურებათა საფუძვლად — ინტელექტი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნებისყოფა ვლინდება ნებისმიერ მოქმედებაში, რომელსაც საფუძვლად მოტივი უდევს, თუ გავიხსენებთ, რომ ადამიანის ნებისყოფის თვისებებს განსაზღვრავს უმთავრესად ურთიერთდამოკიდებულება ადამიანის მალალ და აქტუალურ მოთხოვნილებათა შორის (იხ. წინა თავი) და საზოგადოდ თუ გავითვალისწინებთ იმ პიროვნების ეულ საფუძვლებს, რომელსაც ეყრდნობა ადამიანის ნებისყოფა, მისი ნებისმიერი ქცევა (იხ. წინა თავი), გასაგები გახდება, რომ ხასიათი შეიძლება ნებისყოფის საფუძვლად ჩაითვალოს, ე. ი. ადამიანის ისეთ ფსიქიკურ თვისებად, რომელიც ისე ვლინდება მის ნებისმიერ მოქმედებაში, როგორც მაგალითად, ტემპერამენტი ადამიანის გრძნობათა თავისებურებაში.

„ხასიათისათვის, ისევე როგორც ნებისყოფისათვის, — ამბობს ს. ლ. რუბინშტეინი, — თუ შევხედავთ მათ არა ფორმალურად, არამედ არსებითად, გადამწყვეტია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანის და პირადულად მნიშვნელოვანის ურთიერთმიმართება“.

იმისათვის, რომ უფრო კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ეს დამოკიდებულება ხასიათსა და ნებისყოფას შორის, ჩამოვთვალოთ მაგალითისათვის ხასიათის ზოგი მხარე და თვისება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ნებისყოფის მნიშვნელოვან თვისებათა რიგს: ხასიათის სიმტკიცე თუ, პირიქით, სისუსტე და ლაბილობა; ხასიათის მთლიანობა თუ, პირიქით, შინაგანი რღვევა და კონფლიქტიანობა — წინააღმდეგობა შეგნებულ მიზნებსა და უნებლიე მისწრაფებათა შორის; დამოკიდებულების სხვადასხვაობა პიროვნების მალალ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა და ეგოისტურ აქტუალურ მოთხოვნილებათა შორის; ის ადგილი, რომელიც უჭირავს ადამიანის ქცევაში, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ ინტერესებს, თავისი კოლექტივისა და სახელმწიფოებრივ ამოცანებს და, მეორე მხრივ, პირად ინტერესებსა და ეგოისტურ ამოცანებს; სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების ნაირობა და ა. შ.

ხასიათის ჩამოყალიბებაზე უდიდეს გავლენას ახდენს გარემოს პირობები, რომელშიაც უხდება ადამიანს ცხოვრება, ის საქმიანობა, რომელსაც ეწევა ადამიანი ცხოვრებაში, მისი პროფესია, ცხოვრების რეჟიმი და ასე შემდეგ.

განსაკუთრებით დიდია გარემოს პირობების გავლენა ადამიანის ზრდა-განვითარების პერიოდში. კერძოდ, დიდ გავლენას ახდენს ხასიათის ჩამოყალიბებაზე ბავშვის აღზრდა. ხასიათის აღზრდა ბავშვის აღზრდის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს.

საზოგადოებრივი ინტერესების ჩამოყალიბება, კოლექტიური სულისკვეთების, მოვალეობის შეგნების, პასუხისმგებლობის გრძობის განვითარება პიროვნებაში თუ, პირიქით, ეგოიზმისა და ინდივიდუალისტურ-ეგოცენტრული ინტერესებისა და მისწრაფებების კულტივაცია, მატერიალური კეთილდღეობის „კულტის“ შექმნა და ა. შ., პირველ რიგში დამოკიდებულია აღზრდაზე (ფართო მნიშვნელობით). დიდ როლს თამაშობს აღზრდა ხასიათის სიმტკიცის გამომუშავებაშიც და არასწორი აღზრდა, პირიქით, უნებისყოფობისა და სუსტი ხასიათის ჩამოყალიბებაში და ა. შ.

ხასიათის თვითაღზრდაც არის შესაძლებელი: თუ ადამიანს საკმარისი ნებისყოფა გააჩნია, მას თავისი ხასიათის, გარკვეულ ფარგლებში, გარდაქმნა შეუძლია. მაგალითად, მტკიცე ხასიათის შესამუშავებლად ადამიანს შეუძლია მიაჩვიოს თავი უნებლიე იმპულსთა დაძლევის, შინაგან დისციპლინას, დაწყებული საქმის ყოველთვის ბოლომდე მიყვანას, დასახული მიზნების მისაღწევად ბრძოლას, სიზარმაცისა და პასიურობის სისტემატურ დაძლევას. ყოველთვის გარკვეული პრინციპებით მოქმედებას და ა. შ. „საზოგადოებრივი ხასიათის“ შესამუშავებლად ადამიანმა თვით უნდა მიაჩვიოს თავი თავის ქცევაში სხვისი ინტერესების, განსაკუთრებით კოლექტივის ინტერესებისა და ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებას, ეგოისტურ მისწრაფებათა დაძლევას, პირად ინტერესთა უკანა პლანზე დაყენებას და ა. შ.

რამდენადაც ხასიათის ჩამოყალიბებაში დიდ როლს საზოგადოდ ცხოვრებისა და მოქმედების პირობები ასრულებენ, ბუნებრივია, რომ გარკვეულ ფარგლებში ადამიანის ხასიათი ისტორიულად აც არის გაპირობებული. კერძოდ, სხვადასხვა ისტორიული ეპოქა, განვლილი ისტორიული ვითარება (ომი, დარბევა და ა. შ.) და, ცხადია, საზოგადოებრივი ფორმაცია, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი, გარკვეულ ფარგლებში გავლენას ახდენს ხასიათის ზოგიერ-

თი ტიპობრივი თვისების ჩამოყალიბებაზე, ისევე როგორც ის სოციალური წრე, რომელსაც ეკუთვნის ადამიანი. მაგალითად, ფეოდალისა და ბურჟუას ხასიათში ისევე არის ტიპობრივად განსხვავებული თვისებები, როგორც, მაგალითად, ბურჟუას და პროლეტარის ხასიათში.

ადამიანი, რომელიც იზრდება და ცხოვრობს საზოგადოებაში, სადაც მას ბავშვობიდანვე უნერგავენ საზოგადოებრივ ინტერესებს, კოლექტივიზმს, სადაც ადამიანი სკოლაშიც, შრომის პროცესშიც მუდამ ეჩვევა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის უპირატესობის მიცემას საკუთარ ვიწრო-პიროვნულ ინტერესებთან შედარებით, სადაც პირადი შრომა საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება და სიმამაცისა და ღირსების საქმედ ითვლება, სადაც მოქალაქის ცხოვრების იდეალს სამშობლოს წინსვლისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენს, რასაც ყოველი მოქალაქე თავის პატარა უბანზე თავისი შრომით ემსახურება, იქ „საზოგადოებრივი ხასიათის“ ტიპობრივი თვისებები ყალიბდება.

#### ხასიათის მხარეები და თვისებები

ცნობილია ხასიათის კლასიფიკაციათა მთელი რიგი<sup>1</sup>, მაგრამ ჩვენ აქ მათზე არ შევიჩრდებით, რადგანაც ღღემდე მოცემულ კლასიფიკაციებიდან არც ერთი არაა საყოველთაოდ მიღებული. ხასიათის მეცნიერული შესწავლა შედარებით ახალი საქმეა: ძველი ფსიქოლოგია ცალკე ფსიქიკური პროცესების კვლევით იყო ვატაცებული (იხ. თ. I, § 1); ამ მიმართულებით მუშაობა მხოლოდ თანამედროვე მეცნიერებაში გაიშალა. აქ აღენიშნავეთ მხოლოდ რამდენიმე ძირითად თვალსაზრისს, რომლითაც იხილავენ ხოლმე ხასიათს, ხასიათთა ტიპების (კლასიფიკაციის) დასადგენად.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის იმ მოტივების თვალსაზრისი, რომელნიც ძირითადში განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას: რა ბუნების მოტივებით მოქმედებს ხოლმე ადამიანი, როგორი მოტივები ჭარბობენ ადამიანის ქცევაში, რა მიზნებისაკენ მიისწრაფვის ხოლმე ადამიანი თავის მოქმედებაში, რა სახის მიზნები დომინირებენ მის ცხოვრებაში, რა ხასიათის მოთხოვნილებებია წამყვანი მის ქცევაში.

ამ თვალსაზრისით შეიძლება განვასხვავოთ, მაგალითად, ეგოისტური, ალტრუისტური და საზოგადოებრივი ხასიათის ადამიანები.

<sup>1</sup> იხ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 196 და შემდ.

ეგოისტის ქცევას ძირითადად მისი პირადი კეთილდღეობის მოტივები, პირადი ეგოისტური ინტერესები განსაზღვრავენ; ცხოვრებაში ის ძირითადად ვიწრო პირადი კეთილდღეობის მიზნებს ისახავს.

ალტრუისტი, პირიქით, ძირითადად სხვა ადამიანების, მახლობლების ინტერესების, მათი კეთილდღეობის დაცვის მოტივებით მოქმედებს, მახლობლის კეთილდღეობის ინტერესებიდან ამოდის თავის ქცევაში, ხშირად დათმობს პირად ინტერესებს მახლობლის ინტერესებისათვის და ა. შ.

საზოგადოებრივი ტიპის ადამიანისათვის კი დამახასიათებელია პირველ პლანზე საზოგადოებრივი (და არა კონკრეტული პირების) ინტერესების წამოწვევა; იგი ძირითადად საზოგადოებრივი მოტივებით მოქმედებს. მის ინტერესებში და ქცევის მიზნებში გაბატონებულია საზოგადოებრივი (თავისი კოლექტივის, კლასის, სამშობლოს, კაცობრიობის) ამოცანები. ის ადვილად, შინაგანი ბრძოლის გარეშე, დათმობს პირად ეგოისტურ ინტერესებს საზოგადოებრივი ინტერესებისათვის; ეს მისთვის ბუნებრივია. მის მოთხოვნილებებში მაღალი, სოციალურად წარმოშობილი მოთხოვნილებები ჭარბობს.

მეორე თვალსაზრისი, რომლითაც იხილავენ ხოლმე ხასიათის ტიპებს, ხასიათის სიმტკიცის თვალსაზრისია: რამდენად დამახასიათებელია ადამიანისათვის დასახული მიზნების განხორციელება, მიზნის მისაღწევად დაბრკოლებების გადალახვა, უნებლიე იმპულსების დაძლევა, ძლიერი ნებისყოფა თუ, პირიქით, ადვილად გადახვევა დასახული მიზნებიდან, მიზნების ცვალებადობა, უნებლიე იმპულსებისათვის დამორჩილება და ა. შ. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ ძირითადად მტკიცე და სუსტი ხასიათის ადამიანებს.

მესამე გავრცელებული თვალსაზრისი არის ხასიათის სტრუქტურისა და, კერძოდ, ხასიათის მთლიანობის თვალსაზრისი: მონოლითურია, ჰარმონიულია ადამიანის ხასიათი თუ, პირიქით, — გახლეჩილია, დისჰარმონიული, წინააღმდეგობისა და შინაგანი კონფლიქტების შემცველია. კერძოდ, რამდენად ჰარმონიულადაა მოცემულ პიროვნებაში მოქმედების შეგნებული მიზნები, ცხოვრების შეგნებულად დასმული ამოცანები, ცხოვრების იდეალები და უნებური სწრაფვები, მოთხოვნილებები, გატაცებები.

ხასიათის ამ მხარეს — მის სტრუქტურას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხასიათის უფრო კერძო გამოვლენებისათვის და, პირველ რიგში, ნებისმიერი ქცევის სიმტკიცისათვის. შინაგანი კონფლიქტები, შინაგანი ბრძოლა ძირს უთხრის ადამიანის ნებისყოფას, ასუს-



ტებს მისი მოქმედების ენერჯიას და მიზანსწრაფვას, ხოლო ერთიანობა, მონოლითობა საფუძველს აძლევს ძლიერ ენერჯიულ მიზანსწრაფვას, ძლიერი ნებისყოფის გამოვლინებას.

ამ სამი ძირითადი მიმართულების გარდა, ხასიათს სხვა მრავალი თვალსაზრისით იხილავენ. მაგრამ ეს უკვე უმთავრესად ძირითადი მიმართულებების დეტალიზაციის ხაზით ხდება, რის შედეგადაც კონკრეტულ ადამიანთა ხასიათში აღნიშნავენ ისეთ თვისებებს, როგორცაა პრინციპულობა თუ უპრინციპობა, კეთილობა თუ ბოროტება, სიმამაცე თუ სიმბდალე, გამბედაობა თუ გაუბედაობა, თავდადებულობა, გულგრილობა, გულისხმიერება; გულზიარობა, მორცხვობა, დელიკატობა, თავხედობა, თავის თავში დარწმუნებულობა თუ დაურწმუნებლობა, ინიციატივიანობა თუ ინერტობა, კეთილსინდისიერება, შრომისმოყვარეობა, სიზარმაცე, სიზანტე, თავშეკავებულობა, გულწრფელობა, გულჩათხრობილობა, გულღიობა, მოკრძალებულობა, მკვებარობა, თავმდაბლობა, სიამაყე, ზვიადობა, გულჩვილობა, სენტიმენტალობა, ხათრიანობა, სიტლანქე, უნდობლობა, ექვიანობა, დაუდევრობა, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეგნება, პუნქტუალობა, სიღინჯე, აუჩქარებლობა და მრავალი სხვა.

## § 8. ინტერესები

ადამიანის ხასიათის ზოგიერთ თვისებურებასთან განუყრელადაა დაკავშირებული მისი ინტერესები (იხ. ზემოთ ხასიათის შესახებ).

ეს ტერმინი — ინტერესი — სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება არა მარტო სხვადასხვა მეცნიერებაში (შეადარე, მაგალითად, ინტერესის ცნება პოლიტეკონომიაში), არამედ თვით ერთი მეცნიერების ფარგლებშიც. თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში გავრცელებული გაგებით ინტერესი გულისხმობს შემეცნებითი ხასიათის დაინტერესებას რაიმეთი: ე. ი. სურვილს ინტერესის ობიექტის გაცნობისა, მისი აღქმის, დაკვირვების, მისი გაგების, სწრაფვას მასზე ფიქრისადმი, მასზე ყურადღების შეჩერებისადმი.

ინტერესს მისი შემეცნებითი ბუნებით განასხვავებენ მიდრეკილებისაგან, რომელიც არა მარტო შემეცნებით დაინტერესებას გულისხმობს, არამედ გარკვეულ მოქმედებისადმი სწრაფვასაც. ამ შემთხვევაში, მაგალითად, პოეზიისადმი სწრაფვა გულისხმობს არა მხოლოდ ინტერესს ამ დარგისადმი, არამედ სათანადო მოქმედებისადმი — ლექსების წერისადმი სწრაფვას, ისე როგორც ალპინიზმი-

სადმი მიდრეკილება გულისხმობს მწვერვალებზე ასვლისადმი სწრაფვას და არა მხოლოდ შემეცნებით ინტერესს ალპინიზმისადმი და ა. შ.

ინტერესი განიცდება ინტელექტუალური გრძნობის (იხ. თ. X, § 3) სახით. იგი წარმოადგენს ყურადღებისა და ყველა ინტელექტუალური ძალების ინტერესის ობიექტისაკენ მიმართვის ძლიერ ფაქტორს. ინტერესი უნებლიედ აამოქმედებს სათანადო მიმართულებით სუბიექტის ყურადღებას, აღქმას, მეხსიერებას და აზროვნებას და ხშირად მთელი პიროვნების ძალების კონცენტრაციას იწვევს სათანადო მიმართულებით.

ინტერესთა ტიპოლოგიურ სხვაობათა დადგენისას ამ თვისებას ძირითადად შემდეგი ასპექტით იხილავენ: ინტერესთა მიმართულებების, მათი მოცულობის, სიმეტრიისა და ინტენსივობის თვალსაზრისით.

ინტერესთა მიმართულება. პირველი თვალსაზრისი — ინტერესთა მიმართულება — გულისხმობს იმის დადგენას, თუ რის მიმართაა ინტერესი წამყვანი მოცემულ პიროვნებაში; მაგალითად, საზოგადოებრივი ინტერესებია წამყვანი თუ მეცნიერული, ხელოვნების მიმართ ინტერესი, მანქანების კონსტრუირებისადმი თუ სპორტისადმი და ა. შ.

ინტერესთა მოცულობა. ადამიანთა შორის დიდ სხვაობებს ქმნის ინტერესთა მოცულობა. ამ მხრივ ორ უკიდურესობას წარმოადგენს მეტად ვიწრო, ცალმხრივი ინტერესების მქონე ადამიანი (მაგალითად, ადამიანი, რომლის ინტერესთა მოცულობა მხოლოდ თავისი ოჯახის ინტერესებით ან მხოლოდ თავისი ვიწრო პროფესიონალური ინტერესებით ამოიწურება) და უკიდურესად ფართო ინტერესების ადამიანი, რომელსაც თანაბრად აინტერესებს ყველაფერი: პოლიტიკა, ლიტერატურა, ხელოვნება, ტექნიკა, სპორტი, ასტრონომია, ბოტანიკა და ა. შ.

თუ მეტად ვიწრო ინტერესები ზღუდავს პიროვნებას, ცალმხრივს ხდის მას, მეტად ფართო თანაბარი ინტერესები, რაც ინტერესთა დაქსაქსულობაში გადადის, ხელს უშლის ინტერესთა გაღრმავებას, ავითარებს დილეტანტიზმს და ხელს უშლის რომელიმე დარგში სერიოზულ სპეციალიზაციას და მნიშვნელოვან მიღწევებს.

მრავალმხრივად განვითარებული, ფართო ჰორიზონტის მქონე პიროვნების განვითარებას ხელს უწყობს ინტერესების არა დაქსაქსვა, არამედ რამდენიმე ძირითადი მიმართულების ირგვლივ გაერთიანება, ისე რომ ეს ფართო, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში მონათესავე ინტერესები კი არ გადახრიან პიროვნების ენერგიას

ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით, არამედ ერთ „ფოკუსში“ იყრიან თავს და ხელს უწყობენ ადამიანის მუშაობას ერთი ძირითადი მიმართულებით, რამდენადაც მეტი განზოგადებისა და უფრო ფართო პორიზონტის შექმნის შესაძლებლობას იძლევიან.

**ინტერესთა სიმტკიცე.** დიდ ინტერინდივიდუალურ სხვაობებს ადამიანთა შორის იძლევა ინტერესთა სიმტკიცე. ეს თვისება არსებითად დაკავშირებულია ადამიანის ტემპერამენტთან. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ძალიან მყარი, უცვლელი მიმართულების ინტერესები ახასიათებთ, და მათ შორის ისეთებიც, რომ ჭაბუკობის ასაკიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე ინარჩუნებენ ინტერესთა ერთსა და იმავე მიმართულებას. მეორე უკიდურესობას წარმოადგენენ ადამიანები, რომელთა ინტერესებს კალიედოსკოპური ცვალებადობა ახასიათებთ და ისიც არსებითად განსხვავებული მიმართულების ინტერესთა მონაცვლეობა. ამ ორ უკიდურესობას შორის, ცხადია, უამრავი გრადაციები არსებობს.

**ინტერესთა ინტენსივობა.** ადამიანები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ინტერესთა ინტენსივობითაც. ეს თვისება ადამიანის ტემპერამენტზედაცაა დამოკიდებული.

ზოგ ადამიანთან ინტერესი ისეთ სიძლიერეს აღწევს, რომ ნებისყოფის უძლიერესი გამოვლინების მოტივს წარმოადგენს, ინტერესის დასაკმაყოფილებლად ადამიანი უდიდეს სიძნელეებს გადალახავს და სიცოცხლის რისკით აღწევს მის დაკმაყოფილებას: მოვიგონოთ, მაგალითად, განთქმული გეოგრაფიული ექსპედიციები არქტიკაში, თუ ანტარქტიკაში, უდაბნოებში, კოსმონავტების გაფრენა და ა. შ.

მეორე უკიდურესობას წარმოადგენენ ინდიფერენტული ადამიანები, რომლებსაც არაფრის მიმართ არა აქვთ ინტენსიური ინტერესი. ასეთი, ასე ვთქვათ, პასიური, სუსტი ინტერესი ვერ შექმნის მოტივს ნებისყოფის მოქმედებისათვის. ასეთი სუსტი ინტერესის დასაკმაყოფილებლად ადამიანი ოდნავ დაბრკოლებასაც ვერ გადალახავს.

#### § 4. ზოგადი გონიერება, ნიჭი და ნასახი

##### ნიჭი და ნასახი

ყოველი მეტად თუ ნაკლებად სპეციფიკური მოქმედების წარმატებით შესრულება ადამიანისაგან სათანადო უნარს მოითხოვს თუკი ადამიანს რაიმე სპეციფიკური სახის მოქმედების ადვილად აუფლებისა და მისი წარმატებით შესრულების უნარი აქვს, ეს

იმას ნიშნავს, რომ მას სათანადო ნიჭი ჰქონია; ყოველი, მეტად თუ ნაკლებად სპეციფიკური მოქმედების წარმატებით შესრულება — იქნება ეს ზუსტი დაკვირვების წარმოება თუ მათემატიკური ოპერაციები, მუსიკა თუ ხატვა, ცეკვა თუ ტანვარჯიში, ლექსების წერა თუ ორატორობა ან ფილოსოფიური აზროვნება თუ მანქანის კონსტრუირება და ა. შ. — მოითხოვს ადამიანისაგან სათანადო სპეციფიკურ თვისებას; ამ თვისებას ნიქს უწოდებენ. ნიჭი არის რაიმე სპეციფიკური მოქმედების უნარი.

ნიჭი პიროვნების ერთ-ერთ ძირითად თვისებას შეადგენს, რომელიც ძალიან დიდად განსხვავებულია ინტერინდივიდუალურად არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ ზოგს აქვს რაიმეს ნიჭი, ზოგს არა, არც მხოლოდ ნიქის ხარისხის მხრივ (ზოგი მცირე ნიქის პატრონია, ზოგი — ტალანტია, ე. ი. უაღრესად მაღალგანვითარებული ნიქის პატრონია), არამედ ნიქის უთვალავ ნაირსახეობათა მხრივაც.

მაგრამ ეს დიდი ინტერინდივიდუალური სხვაობები როდი ნიშნავს, რომ ადამიანი იბადება ნიჭიერი, რომ ნიჭი თანდაყოლილად თვისებაა, — არა! მაგრამ ისიც არაა სწორი, თითქოს ნიქს იძენენ. ნიქის შეძენა, თუ ადამიანს არ გააჩნია სათანადო ნასახი<sup>1</sup> — შეუძლებელია. ადამიანები ერთნაირები არ იბადებიან — სხვა განსხვავებულ თვისებათა შორის მათ სხვადასხვა ნიჭთა ნასახი გააჩნიათ. იმისათვის, რომ ნასახიდან განვითარდეს ნიჭი, აუცილებელია მისი გავარჯიშება — აუცილებელია სათანადო მიმართულებით მოქმედება, სწავლა, ვარჯიში და ა. შ. ნასახის მოცემულობა ჯერ არ ნიშნავს ნიქის მოცემულობას. ნასახის სახით მოცემულია ნიქის ჩამოყალიბების მხოლოდ შესაძლებლობა; რომ ეს შესაძლებლობა განხორციელდეს, აუცილებელია, როგორც ვთქვით, ამ ნასახის განვითარება სათანადო მოქმედებით, სახელდობრ, სათანადო მიმართულებით მუშაობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ნიჭი არ „ჩამოყალიბდება“ და თვითონ სუბიექტიც ვერ გაიგებს, რომ მას რაღაცა ნიქის ნასახი ჰქონდა.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ, ნიჭი და დახელოვნება ერთი და იგივეა. ეს არის ორი სხვადასხვა ცნება. დახელოვნება არის გაწვრთნის შედეგი, რომელიც დიდ ნაწილში გარკვეულ ჩვევათა (იხ. თავი VI) დაუფლებას ეყრდნობა, ნიქს კი სწავლით და გაწვრთნით ვერ შეიძენ — ნიქის განვითარება ხდება ნასახიდან სათანადო მუშაობის და სწავლის შედეგად და არა შეძენა. ხოლო თუ დახელოვნე-

<sup>1</sup> ნასახი ადკვატურია რუსული „Задаток“-ის.

ბა აღწევს ჩვეულებრივზე მაღალ დონეს, ის, თავის მხრივ, სათანადო ნიქს (ნიქის ნასახს) ეყრდნობა. რომელიმე დარგში მოქმედების წარმატებით შესრულება ნიქის გარდა, ცხადია, მოითხოვს სათანადო ცოდნასა და დახელოვნებას, გარკვეულ ჩვევათა გამომუშავებას და მათ ფლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ნიქის — ტალანტის — ნასახი ხშირად სპონტანურად იჩენს თავს ადრე ბავშვობაში წინასწარი წვრთნის გარეშე: ეს განსაკუთრებით ეხება მუსიკალურ ნიქს. ზოგმა დიდმა კომპოზიტორმა (მოცარტმა, რიმსკი-კორსაკოვმა) პირველად გამოაეღინა მუსიკალური ნიქი 3—4 წლის ასაკში. თუმცა ყველა ასეთ შემთხვევაში ნიქის გამოვლინებაში დიდი როლი შეასრულა მუსიკალურმა გარემომაც. გარდა ამისა, ის დიდი და რთული გზა, რომელიც მათ განვლეს ნიქის ამ პირველი გამოვლინებიდან მისი განვითარების დასრულებამდე, იყო გზა სათანადო მიმართულებით სისტემატური, ენერგიული და გულმოდგინე შრომისა და წვრთნისა.

#### ზოგადი გონიერება

რომელიმე სპეციფიკური მოქმედების დარგში გამოვლენილი ნიქისაგან. ე. ი. ცალკეულ ნიქთაგან, ასხვევებენ ზოგად გონიერებას ანუ ზოგად ინტელექტუალურ დონეს, რომელიც რაიმე სპეციფიკური მოქმედების უნარს კი არ გულისხმობს, არამედ საზოგადოდ ინტელექტს — გონებრივ უნარიანობას. ხოლო რამდენადაც ინტელექტის დამახასიათებელია ახალ ამოცანათა გადაწყვეტის, ახალ პირობებთან გონიერი შეგუების უნარი (იხ. თ. VII, § 1), ზოგად გონიერებასაც, ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულების თანახმად, განსაზღვრავენ როგორც საზოგადოდ ახალ ამოცანათა გადაწყვეტისა და ახალ პირობებთან გონიერი შეგუების უნარს. „სპეციალურ ნიქთან“ დაპირისპირებულ „ზოგად გონიერებას“ სხვადასხვა ტერმინით გამოხატავენ: რუსულ ლიტერატურაში „ზოგად გონებრივ დაჯილდოვებულებას“ ან პირდაპირ „ზოგად დაჯილდოვებულებას“<sup>1</sup> უწოდებენ, დასავლეთ ევროპულ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში — „ინტელიგენტობას“<sup>2</sup> უწოდებენ ინტელექტის და არა განათლებულობის ცნებასთან მიახ-

<sup>1</sup> „Свѣлая одаренность“.

<sup>2</sup> Intelligence. Intelligenz.

ლოებული მნიშვნელობით; ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში დ. უზნაძის ინიციატივით შემოღებულია „ზოგადი გონიერების“ ცნება.

გაბატონებული შეხედულებით ეს ზოგადი გონიერება ერთიან მთლიან თვისებას წარმოადგებს<sup>1</sup>. იგი არ არის დაკავშირებული რომელიმე სპეციალურ ნიჭთან. მაღალი ზოგადი გონიერების მქონე, „ქკუიანი“ ადამიანები ხშირად არავეითარი სპეციალური ნიჭით არ არიან დაჯილდოებული, ხოლო ცალკე რაიმე სპეციალური ნიჭი (მაგალითად, მუსიკის, მხატვრობის და ა. შ.) არ გულისხმობს აუცილებლად მაღალ ზოგად გონიერებას! ხშირად სპეციალური ნიჭის მქონე ადამიანი ზოგადი გონიერების მხრივ საშუალო დონეზე დგას. სპეციალური ნიჭის მოცემულობა მაღალ ზოგად გონიერებასთან ერთად საუკეთესო პირობას წარმოადგენს სათანადო დარგში მაღალი მიღწევებისათვის, მნიშვნელოვანი შემოქმედებისათვის.

ერთი ავტორი ზოგად გონიერებასა და სპეციალურ ნიჭთა შორის დამოკიდებულებას ადარებს ზეგანსა და მასზე მდებარე ცალკე მწვერვალებს შორის დამოკიდებულებას. ზოგადი გონიერების დონე, ისე როგორც ზეგნის სიმალლე ზღვის დონიდან, ერთია, ხოლო ამ ზეგანზე შეიძლება იყოს მოცემული მაღალი და დაბალი გორაკები თუ მთები (როგორც სხვადასხვა სპეციალური ნიჭი ადამიანთან), მაგრამ შეიძლება სულაც არ იყოს, ზეგნის დონე ამით არ იცვლება.

ზოგადი გონიერების მხრივ ადამიანთა შორის დიდი ინტერინდივიდუალური სხვაობები დასტურდება, უმთავრესად ამ თვისების ხარისხისა და მისი განვითარების დონის მხრივ. ეს სხვაობები განსაკუთრებით დიდია საშუალო ნორმასა, ქვენორმასა (ე. ი. გონებრივ ჩამორჩენილობასა) და „ზენორმას“ შორის, მაგრამ თვით ნორმალური გონებრივი დონის ფარგლებშიც ინტერინდივიდუალური სხვაობები დიდია.

უნდა ითქვას, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზოგადი გონიერების არა მხოლოდ დონის (განვითარების ხარისხის) მხრივ. თვით ზოგადი გონიერების ფარგლებშიც არსებობს ტიპოლოგიური სხვაობები; ზოგადი გონიერების განსხვავებული ტიპები არსებობს, როგორც ამბობენ, „ყო-

<sup>1</sup> არსებობს საწინააღმდეგო მექანიკური შეხედულებაც, რომელსაც იგი სპეციალურ ნიჭთა ჯამზე დაქაავს.

ველი ჰკუიანი ადამიანი თავისებურად ჰკუიანია“. მაგალითად, ზოგს შედარებით უფრო ანალიტიური ხასიათის ინტელექტი აქვს, ზოგს კი სინთეტიური; ზოგი ადამიანი ზოგადი გონიერების უფრო მაღალ დონეს იჩენს თეორიულ საკითხთა სფეროში, ზოგი კი პრაქტიკულ სფეროში და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის გონებრივი დონის შემოწმებისას მგტად ძნელი ხდება ცოდნის, კულტურული დონის, განათლებულობის, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, ზოგადი გონიერების როგორც პიროვნების თვისების გამოიჭენა, ხოლო მათი ერთმანეთში არევა პრაქტიკულად შორსწედომი მნიშვნელობის შეცდომის წყაროს წარმოადგენს. ცნობილია ზოგადი გონიერების შესაბამისობადად შედგენილი მეთოდების რამოდენიმე სისტემა, მაგრამ ჭერჯერობით უნაკლო არც ერთი მათგანი არ არის.

გენიოსობა. როდესაც ადამიანს ზოგადი გონიერების იმდენად მაღალი დონე ახასიათებს, რომ ის არა მხოლოდ ეგუება გონებრივად ახალ სიტუაციას და მოცემულ ახალ ამოცანებს წყვეტს, არამედ მის საზოგადოებაში არსებული კულტურის დონესთან შედარებით, გარკვეულ დარგში შემოქმედების პროცესში ახალ, ორიგინალურ, ეპოქალური მნიშვნელობის ღირებულებას ქმნის, ეს უკვე გენიოსობის მაჩვენებელია.

გენიოსობა ზოგადი გონიერების ძალიან მაღალ დონესთან ერთად რომელიმე დარგში დიდ ტალანტსაც შეიცავს ხოლმე; ასეთ შემთხვევაში გენიოსის შემოქმედება ვლინდება ამ ტალანტის შესატყვის დარგში: გენიოსი პოეზიაში, გენიოსი მუსიკაში, მათემატიკაში, ტექნიკის დარგში და ა. შ.

მეტად იშვიათია გენიოსი, რომლის შემოქმედება ეპოქალური მნიშვნელობის ღირებულებას ქმნიდეს კულტურის სხვადასხვა დარგში (არისტოტელე, ლეონარდო და ვინჩი, ლომონოსოვი). ასეთ გენიოსებს „უნივერსალურ გენიოსებს“ უწოდებენ ხოლმე.

ბავშვის ფსიქიკური განვითარება

§ 1. ბავშვის ასაკობრივ თავისებურებათა  
ზოგადი ღახასიათება<sup>1</sup>



ცნობილია, რომ ბავშვი არ წარმოადგენს მხოლოდ „პატარა ზრდადამთავრებულს“, ე. ი. დიდი ადამიანისაგან მხოლოდ ოდენობით კი არ განსხვავდება — მხოლოდ უფრო სუსტი და პატარა კი არ არის დიდთან შედარებით, არამედ მთელი რიგი თავისებურებებით განსხვავდება მისგან; ასევე ბავშვობის სხვადასხვა ასაკს შორისაც მხოლოდ ოდენობითი განსხვავებები კი არ არის, არამედ დიდი თვისობრივი სხვაობა არსებობს: თითოეულ ასაკობრივ პერიოდს მნიშვნელოვანი თავისებურებები ახასიათებს, თავისებურებები, რომელნიც ბავშვის განსხვავებულ აღზრდასაც მოითხოვენ.

ბავშვობის პერიოდიზაციას სხვადასხვა თვალსაზრისით ახდენენ, ამიტომ არსებობს სხვადასხვა მეტ-ნაკლებად განსხვავებული პერიოდიზაცია. აქ ჩვენ ვჩერდებით იმ გავრცელებულ პერიოდიზაციაზე, რომელიც ჩვენი გაგებით ყველაზე უფრო მისაღებია ბავშვის მთლიანი პიროვნების განვითარების თვალსაზრისით. ამ პერიოდების თავისებურებათა გაცნობისას უნდა გვახსოვდეს, რომ ზუსტი ასაკობრივი საზღვრის გავლება ამ პერიოდებს შორის შეუძლებელია: თითოეული პერიოდიდან მომდევნოში ბავშვი გადადის თანდათან და ამიტომ ძირითად პერიოდთა შორის იქმნება გარდამავალი ასაკობრივი „ზონა“; ამას გარდა, განვითარების ტემპის მხრივ ბავშვთა შორის დიდი ინდივიდუალური სხვაობები არსებობს.

<sup>1</sup> დაწვრ. იხ. დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია. 1947.



ახალდაბადებულობის პერიოდი. დაბადების შემდეგ, დაახლოებით ერთნახევარი თვის განმავლობაში, რასაც ახალშობილობის პერიოდს უწოდებენ, ბავშვის ორგანიზმი ისე გადატვირთულია გარემოს (მისთვის უჩვეულო, ზეგავლენებით, რომ ამ ასაკის მთავარ ფუნქციას, მთავარ ამოცანას გარემოს ზეგავლენების ატანა, ახალ ფიზიკურ გარემოში „გაძლება“ შეადგენს.

მანამდის, როგორც დედის სხეულის ნაწილი, (პარაზიტულად არსებული ორგანიზმი, რომლის) ყველა ფუნქციას დედის ორგანიზმი ასრულებდა, ახლა უცბად დამოუკიდებელ არსებად იქცევა, რომელმაც თვითონ უნდა ისუნთქოს, მიიღოს და მოინელოს საკვები, შეეგუოს გარემოს ცვალებად ტემპერატურას (და უამრავ გამლიზიანებელს. არსებობის პირობების ეს „კატასტროფული“ შეცვლა) ჰმდენად გადატვირთავს სუსტ ორგანიზმს, რომ გარკვეულ პერიოდში ბავშვი, წონის მომატების ნაცვლად, იკლებს წონაში.

ცხადია, რომ ამ პერიოდში აღმზრდელის მთავარ ამოცანას გარემოს გამლიზიანებელთა ზემოქმედების შესუსტება — ბავშვის დაცვა გარემოს გამლიზიანებლებისაგან, ე. წ. ფ ე ტ ო ფ ი ლ უ რ ი გარემოს შექმნა შეადგენს. ბავშვს, შეძლების ფარგლებში, უნდა ავირიდოთ ინტენსიური სინათლე და ბგერები, ტემპერატურის ცვალებადობა და ა. შ. და შევუწყოთ ხელი ამ პერიოდისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მდგომარეობის — ძილისა და თვლემისმაგვარი მდგომარეობის, შენარჩუნებას.

„კვრეტის პერიოდი“. დიამეტრულად საწინააღმდეგოა ბავშვის დამოკიდებულება გარემოსთან მეორე თვიდან 5 თვის ასაკამდე. ამ პერიოდს ფსიქოლოგები „კ ვ რ ე ტ ი ს“ პ ე რ ი ო დ ს უწოდებენ. ამ ასაკის ფუნქცია ფერებისა და ბგერების შეგრძნებათა განვითარებაში და გარემოს აღქმის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. თუ წინა პერიოდის დასაწყისში გარე გამლიზიანებლები, როგორც წესი, ტირილს და საზოგადოდ უარყოფით რეაქციას იწვევენ, ბავშვი თითქოს ზურგს უბრუნებს გარემოს, გაურბის მას, ახლა, პირიქით, ყოველი ზომიერი სიძლიერის გამლიზიანებელი მისი შეგრძნების, მისი კვრეტის დადებით რეაქციას იწვევს. ბავშვს სიამოვნებას გვრის ბგერების მოსმენა და საგნების ყურება. სამნახევარი თვის ბავშვი უკვე ცხრა განსხვავებულ ფერს შეიგრძნობს. აღზრდის მთავარი ამოცანაა ამ ასაკის ბავშვს მივაწოდოთ ზომიერი ინტენსივო-

<sup>1</sup> ფეტოფილური — ამ შემთხვევაში ნაყოფის შესატყვისის ნიშნავს.

ბის ბგერები და სხვადასხვა ფერები, მივცეთ მას სათანადო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა, ეუჩვენოთ სხვადასხვა საგნები და ა. შ.

„ხელის მოკიდების პერიოდი“. 1. ხუთი თვიდან იწყება ახალი პერიოდი — „ხ ე ლ ის მ ო კ რ დ ე ბ ის“, ანუ „ტაცების“ პერიოდი. ბავშვი აღარ კმაყოფილდება ცქერითა და მოსმენით, იგი ყველაფერს, რასაც ნახავს, ჰკიდებს ხელს და, ამ პერიოდის დასაწყისში, პირში მიაქვს; ხოლო შემდეგ თვეებში „ექსპერიმენტულ“ თამაშს იწყებს საგნებით — ხევის, გლეჯს, ამტვრევს, შორს აგდებს, ერთმანეთს არტყამს, ერთი საგნით ამოძრავებს მეორეს და ა. შ. აქტივობის ამ გამოვლინებას შორსმწვდომი მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებისათვის:

ა) ჯერ ერთი, საგნებით ამგვარი მანიპულაციების პროცესში ბავშვი „ექსპერიმენტულად“ ეცნობა ამ საგნების თვისებებს. საგნისათვის ხელის მოკიდების შედეგად ბავშვს უვითარდება საგანთა ფორმის, მათი სიმაგრის, სირბილისა და სხვა შეხებითი თვისების აღქმა, ყალიბდება უნარი ახლო სივრცეში ორიენტაციისა და საზოგადოდ იზრდება გამოცდილება საგანთა თვისებების მიმართ, რომელიც სრულიად აუცილებელია იმისათვის, რათა შემდეგ პერიოდში, როდესაც ბავშვი აიღვამს ფეხს, სივრცეში ორიენტაცია მოახერხოს.

ბ) ამას გარდა, ერთი საგნით მეორის ამოძრავების პროცესში ჩაისახება იარაღის გამოყენების უნარის პირველი საფუძვლები: ძუძუს ასაკის ბოლოს ბავშვი უკვე ახერხებს დაშორებული საგნის ხელში ჩასაგდებად მეორე საგნის (მაგალითად, მასზე მობმული ძაფის, შემდეგ კი ჯოხის) გამოყენებას და, საზოგადოდ, იწყებს გონიერ მოქმედებას საგნების გამოყენებით.

გ) ხელის მოკიდების, საგნებით სხვადასხვა მანიპულაციის შესრულებისა და ისეთი მოძრაობების შესრულებით, როგორცაა ლოგინზე გორაობა, წამოჭლომა, ფოფხვა და ა. შ., ბავშვი ამ პერიოდში ეუფლება საკუთარი სხეულის მართვას, ეუფლება ამისათვის აუცილებელ მოძრაობებს (მოტორიკას).

დ) აღნიშნულ მოძრაობათა შესრულების პროცესში ბავშვს გარემოს მიმართ აქტიური დამოკიდებულება უვითარდება — ჰერეტის პერიოდისაგან განსხვავებით ბავშვი აღარ კმაყოფილდება საგანთა პასიური აღქმით („ჰერეტით“); იგი ეტანება საგანს დასაუფლებლად — ჰკიდებს მას ხელს და ა. შ. მის ირგვლივ მოცემულ საგნებსა და გამლიზიანებლებს შორის ბავშვი უკვე ეძებს მისთვის მიმზიდველს და აქტიურად ესწრაფვის ასეთის აღქმასა

და დაუფლებას: მაგალითად, ეძებს, საიდან მოდის ეს ბგერა (მაგალითად, ზარი) და ა. შ.

ყველა ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ აღმზრდელი ბავშვს ძუძუს ასაკის პერიოდში უნდა აწვდიდეს რაც შეიძლება უფრო ჭრელი თვისებების მქონე საგნებს, ოღონდ თვალი უნდა ადევნოს მათ სისუფთავეს და სხვა ჰიგიენურ პირობებს და არ უშლიდეს ხელს ამ საგნებით ისეთ მანიპულაციებს, როგორცაა მათი ხშირი გადაგდება, ახმაურება, ერთმანეთზე დარტყმა და გარკვეულ პირობებში მათი დახევა და გატეხვა. გვახსოვდეს, რომ ეს ამ ასაკის ბავშვისათვის სწავლის, გამოცდობების შეძენისა და თავის ძალებისა და უნარების განვითარების ერთადერთი საშუალებაა.

2. ამავე ასაკში ბავშვს უკვე ადვილად უმუშავდება პირობითი რეფლექსები და ამიტომ უკვე ამ ასაკში (5 თვიდან) აღმზრდელმა უნდა შეუძულოს ბავშვს ზოგიერთი აუცილებელი ჩვევა ორგანიზმის ფიზიოლოგიურ გამოვლინებებთან დაკავშირებით.

3. ამავე ასაკში იწყება სოციალური კონტაქტი მოზრდილებთან — მშობლებთან, მომვლელებთან. ბავშვი, როგორც ეს ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, განიცდის სხვა ადამიანების მოაღერებისა და გაჭაერების მიმიკას და ხმის ინტონაციას და საზოგადოდ უკვე ექვემდებარება სოციალურ კონტაქტებს. ატირებული ბავშვი დედის ალერსიან დალაპარაკებაზე დროებით მაინც ჩუმდება ხოლმე. თუმცა უნდა ითქვას, ეს კონტაქტი დასაწყისში ცალმხრივია, ბავშვი ჯერ ვერ უხდის სამაგიეროს მოზრდილს, რომელიც მას ეაღერება — ასე ვთქვათ, აქტიურად ვერ პასუხობს მოაღერებას.

აღმზრდელი ძუძუს ასაკის ბავშვის მიმართ სათანადოდ უნდა იყენებდეს მოფერებისა და გაჭაერების ინტონაციებს, მიმიკას და ა. შ. და საზოგადოდ უნდა „ელაპარაკებოდეს“ ბავშვს, მიაჩვიოს იგი ადამიანის მეტყველების ბგერებს, რადგან ამ ასაკში ბავშვი უკვე ლულუნებს და წაბაძვით ეუფლება იმ ბგერებს, რომელიც მას სხვებისაგან ესმის.

### სოციალური წინარე პერიოდი

1. ძუძუს ასაკის შემდეგი ასაკობრივი პერიოდი, რომელიც მეორე წლის დასაწყისიდან მეოთხე წლამდე გრძელდება, „სოციალური წინარე“, ან „საბავაო ასაკის“, ანდა „ადრეული ბავშვობის“ სახელითაა ცნობილი. ამ ასაკიდან ბავშვი აღწევს ისეთს, ადამიანისათვის სპეციფიკურ უნართა განვითარებას, რომე-

ლიც მას მთელ ცხოველთა სამყაროზე შეუდარებლად მაღლა აყენებს — ე უ ფ ლ ე ბ ა მეტყველებასა და აზრის გაგებას, აღქმულის მნიშვნელობის წვდომას სწავლობს, რაც ე. წ. „სიმბოლიური აზროვნების“<sup>1</sup> ჩამოყალიბების პირველ საფეხურს წარმოადგენს. ამ ასაკის მთავარ თავისებურებებს ძირითადად შემდეგი სამი მომენტი განსაზღვრავს: ძუძუს გაშვება, ფეხის ადგმა — მოზრდილის დაუნმარებლად სიარული და სირბილი და მეტყველების დაუფლება, რაც ამ პერიოდში ბავშვის პიროვნების განვითარების მთავარ ფაქტორებს წარმოადგენს.

ა) ძუძუს გადაჩვევასთან ერთად ბავშვის ორგანული, ფიზიოლოგიური კავშირი დედის ორგანიზმთან საბოლოოდ წყდება და იწყება ~~პრაქტიკული დამოკიდებულება~~ ობიექტური გარემოს საგნებთან და მათ შორის საკვებთან.

ბ) სიარულისა და სირბილის დაუფლება სივრცეში სრული ორიენტაციისა და დაშორებულ საგნებთან და სხვა ბავშვებთან პრაქტიკული ურთიერთობის შესაძლებლობას იძლევა. ბავშვის გარემო წინა ასაკთან შედარებით მნიშვნელოვნად ფართოვდება.

გ) მეტყველების დაუფლებასთან არსებითად დაკავშირებულია „სიმბოლიური აზროვნების“ განვითარება, რომელიც აძლევს ბავშვს აღქმულის მნიშვნელობის წვდომის შესაძლებლობას, თვალსაჩინოში, აღქმადში, ე. ი. თვალისათვის და ყურისათვის მისაწვდომში, თვალისათვის და ყურისათვის მიუწვდომელის, არააღქმადის — სახელდობრ, მნიშვნელობის, აზრის წვდომის შესაძლებლობას (იხ. თ. VIII, გვ. 224—225).

2. აღნიშნულ გარემოებათა შედეგად ამ ასაკიდან ბავშვს შეუძლია, მკვლევარად, თვითონ, თავისი ძალებით მივიდეს წყალთან, დაისხას და დალიოს, გააღოს კარადა, გამოიღოს და მოიტეხოს პური, მოძებნოს თავისი სათამაშო, მოწყვიტოს ყვავილი და ა. შ., გაიგოს და თვითონ შეასრულოს ის პატარ-პატარა დავალებები, რომელსაც მას დიდები აძლევენ: მოიტანოს მეორე ოთახიდან გაზეთი, წაიღოს და აქა და აქადადოს ნივთი, გადასცეს მეზობელს ან ოჯახის წევრს მარტივი სიტყვიერი დავალება და ა. შ. ასეთ დავალებათა შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვან ბიძგს აძლევს ამ ასაკობრივ საფეხურზე ბავშვის

<sup>1</sup> იხ. თ. VIII, გვ. 224, 225.

აზროვნების, ნებისყოფისა და, საზოგადოდ, ბავშვის პიროვნების განვითარებას. ჯერ ერთი, სულ მარტივი დავალების შესრულებაც მოითხოვს შემსრულებლისაგან მოქმედების აზრის გაგებას, ე. ი. მოცემულ მოძრაობებში თვალისათვის მიუწვდომელი შინაარსის, სახელდობრ, მოქმედების მნიშვნელობის გაგებას. მაგალითად, დედის მიერ მტვერის მოწმენდის მოქმედება ამ ასაკის ბავშვს უკვე ესმის, როგორც მტვერის მოწმენდა და არა როგორც მხოლოდ ხელის მოძრაობა, როგორც ეს მეორე წლის მიჯნაზე ხდება; სიტყვის ბგერებში ბავშვს უკვე ამ სიტყვის მნიშვნელობა ესმის და არა მხოლოდ ყურით მოსასმენი ბგერები. აზროვნების, ამ მხოლოდ ადამიანისათვის მისაწვდომი უნარის, განვითარება სკოლამდელის წინარე ასაკის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს.

3. დავალებების შესრულება უვითარებს ბავშვს ნებისყოფას, სახელდობრ, დასახული მიზნის მიღწევის, დასახული მიზნის მიმართულებით მოქმედების უნარს, რაც ნებისყოფის განვითარების პირველ აუცილებელ საფეხურს წარმოადგენს. აქედან გასაგებია, რომ ამ პერიოდში — 2-დან 4 წლამდე — აღმზრდელი კი არ უნდა გაუბრუნდეს ბავშვისათვის ზოგიერთი მარტივი, ადვილად შესასრულებელი დავალების მიცემას, არამედ პირიქით, სისტემატურად უნდა აძლევდეს ასეთ დავალებებს, განსაკუთრებით თავის თავის მომსახურეობის მიმართულებით: თვითონ აიღოს, თვითონ მოიტანოს, დადოს თავის ადგილას ის საგანი, რაც იხმარა და ა. შ. ამით აღმზრდელი ხელს უწყობს ბავშვის როგორც გონებრივ განვითარებას, ისე მისი ნებისყოფის განვითარებასაც.

4. ისევ „სიმბოლიურ აზროვნებას“ ავითარებს და საზოგადოდ გონებრივად ავითარებს ბავშვს ამ ასაკისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი სახე თამაშისა, რასაც „სიმბოლიურ თამაშს“ ან „ილუზიის თამაშს“, ანდა „როლები თამაშს“ უწოდებენ: ეს ის თამაშია, რომლის დროსაც ბავშვი სხვადასხვა როლებს თამაშობს (დედის, მამის, მფრინავის, მეზღვაურის, ცხენოსნის...) და გარშემო საგნებსაც სულ სხვა საგნების ფუნქციას აკისრებს: ჭოხი — ცხენია, სკამი ხან გემია, ხან თვითმფრინავი, ჭილობში გახევეული შემის ნაჭერი მისი შვილია და ა. შ. აღქმაში ბავშვი ჩადებს მნიშვნელობას, რომელიც სულ არ ჰგავს ამ თვალსაჩინო საგანს. ზოგი მშობელი უშლის ბავშვს ასეთ თამაშს, რადგანაც ფიქრობს, რომ ეს მას არაჩანსად „ფანტაზიორობას“ აჩვევს, უშლის ხელს რეალობის გრძნობის განვითარებას. ეს ძალიან შემცდარი აზრია! სასკოლო

ასაკის დაწყებამდე, საზოგადოდ სწავლის დაწყებამდე ამ სახის თამაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბავშვის პიროვნების განვითარებისათვის და განსაკუთრებით, მისი წარმოსახვისა და აზროვნების განვითარებისათვის: იგი ხელს უწყობს თვალსაჩინოში, აღქმულში მისგან განსხვავებული მნიშვნელობის გააზრების უნარის განვითარებას, ე. ი. ისეთი სახის აზროვნების განვითარებას, რასაც „სიმბოლიურ აზროვნებას“ უწოდებენ (იხ. თ. VIII, გვ. 224 და ა. შ.).

რაც შეეხება რეალობის გრძნობას, იგი ამ ასაკში ბავშვს დავალებების შესრულებით და სხვა პრაქტიკული, მოზრდილის დახმარებით შესრულებული საყოფაცხოვრებო ხასიათის მოქმედებით უვითარდება. კერძოდ, წარმოსახვის მოქმედების შეგუება სინამდვილესთან მას სახვითი მოქმედებით (ხატვა, პლასტელინიდან ძეგლვა, „მშენებლობა“ და ა. შ.) უვითარდება (იხ. ქვემოთ სკოლამდელი ასაკი).

5. მეორე წლიდან ბავშვი უკვე იწყებს სურათების აღქმას, — სურათი მისთვის უკვე ფერების ლაქას აღარ წარმოადგენს; იგი სურათში გამოხატულ საგნებს ხედავს, რაც მისი გონებრივი განვითარების მძლავრ სტიმულს წარმოადგენს. სურათების დათვალიერება, მათი შინაარსის გაგება და გადმოცემა დამკვირვებლობასთან ერთად უმთავრესად აზროვნებას მოითხოვს ბავშვისაგან. ამ მხრივ გაცილებით უფრო მალა დგანან ხოლმე ბავშვები იმ ოჯახებიდან, სადაც მათ სისტემატურად აძლევენ დასათვალიერებლად შესაფერ სურათებს. სურათების დათვალიერება იმ მხრივაცაა სასარგებლო, რომ იგი ბავშვს დიდ სიამოვნებას გვრის და ამზადებს მას ესთეტიკური აღქმისათვის, რომელიც უფრო მაღალ ასაკებში ჩამოყალიბდება.

6. სკოლამდელის წინარე პერიოდი, როგორც ვთქვით, მეტყველების დაუფლების პერიოდია; 4 წლისათვის მეტყველება ძირითადად ჩამოყალიბებულია, ამიტომ გასაგებია, რომ ამ ასაკში ბავშვის მეტყველებას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. როგორც ცნობილია, ბავშვი ძირითადად წაბაძვით მეტყველებს, ამიტომ მისი მეტყველების სიწმინდისა და სისწორისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფროსების მეტყველების სისწორეს.

დიდები უნდა ეცადონ არ ელაპარაკონ ბავშვს კუთხურ დიალექტებზე, არ იხმარონ კუთხური, არალიტერატურული გამოთქმები და ა. შ. და, მით უმეტეს, განზრახ არ დაამახინჯონ ენა, ვითომდა ბავშვისათვის უფრო გასაგებად თქმის მოტივით.

რამდენადაც სიტყვა, როგორც ბგერათა კომპლექსი, სულ არ ჰგავს მასში ნაგულისხმევ მნიშვნელობას, ამდენად იგი, ერთი მხრივ, მეტყველისაგან მოითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ, ავითარებს „სიმბოლურ აზროვნებას“ — თვალსაჩინო აღქმაში მისგან განსხვავებული, არათვალსაჩინო აზრის, მნიშვნელობის წვდომის უნარს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ორივეს განვითარება — ნამდვილი მეტყველებისა და „სიმბოლიური აზროვნების“ — ერთდროულად ხდება; მათი პირველი დაუფლების ასაკს ადრეული ბავშვობის ასაკი წარმოადგენს.

7. მეტყველების, სიარულისა და სირბილის დაუფლებასთან ერთდროულად ამ ასაკის ბავშვი უკვე იმდენად მწიფდება სოციალურად, რომ მას ძლიერი მოთხოვნილება უჩნდება თავის ტოლებთან ურთიერთობისა. ოღონდ ამ ასაკში ბავშვი დამოკიდებულებას ამყარებს სხვა ბავშვებთან მხოლოდ როგორც ინდივიდუალურ, ცალკეულ, კონკრეტულ პირებთან და არა როგორც კოლექტივთან; კოლექტივის წევრობისათვის ბავშვი ჯერ არ არის მომწიფებული. ეს მხოლოდ შემდეგ პერიოდში დაიწყება.

8. დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ სკოლამდელის წინარე პერიოდში ინტენსიურად ვითარდება ბავშვის „მე“-ს განცდა. როგორც ამბობენ, ისახება „სუბიექტის ცნობიერება“ და, ამასთან დაკავშირებით, იღვიძებს თავმოყვარეობის გრძნობა. ბავშვი ხშირად ლაპარაკობს თავისი თავის შესახებ, უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა: „მიყურე, როგორ ვაკეთებ“, „ნახე, სად ავედი“, „მიყურე, როგორ ვკოტრილობ“. ეს გარემოება, თუ მას აღმზრდელი გონივრულად გამოიყენებენ, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბავშვის ნებისყოფის აღსაზრდელად, მაგრამ თანაც ეგოიზმის, თვითნებობისა და ჰირვეულობის საფუძვლად შეიძლება გადაიქცეს, თუ აღმზრდელი ბავშვს ზედმეტად გაანებივრებს, კერძოდ, თუ მის ყოველ სურვილს შეასრულებს.

ასე იქმნება 4 — 5 წლის ასაკში უნიანობის განვითარების ხიფათი: ამ ასაკში ბავშვი ადვილად გადაიქცევა ოჯახის „ტირანად“, რომელიც ჰირვეულობს და მოითხოვს ყველა თავისი კაპრიზისა და სურვილის აუცილებელ შესრულებას და თვითონაც გადაიქცევა თავის უნებლიე იმპულსთა და სწრაფვათა მონად — უნებისყოფო არსებად.

ბავშვის დისციპლინირება, გარკვეული რეჟიმისადმი დაქვემდებარება უკვე ადრეული ბავშვობიდან უნდა დაიწყოს: ბავშვისათვის ამ ასაკში უნდა არსებობდეს მოქმედებათა ორი მტკიცედ ჩამოყალიბებული კატეგორია — რაც „შეიძლება“, რაც „კარგია“ და რაც

„არ შეიძლება“, რაც „ცუდია“. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზედმეტი სიმკაცრე და აკრძალვები — ბავშვის ყოველი თავისუფალი სურვილისათვის წინააღმდეგობის გაწევა და ყოველი დამოუკიდებელი მოქმედების აკრძალვა (ასე ნუ თამაშობ, კაბა გაგეხევა, თვითონ ნუ ჰამ — გაისვრები...) მეორე უკიდურესობას წარმოადგენს, რომელმაც ან შეიძლება გატეხოს ბავშვის ქერჩამოუყალიბებელი ნებისყოფა, გადააქციოს იგი უნიციტივო, პასიური, უნებისყოფო, გაუბედავ არსებად, ანდა უფროსების მიმართ ნეგატივიზმი, სიჭიუტე, უინიანიობა გამოიწვიოს, რამაც შეიძლება საბოლოოდ გაუფუჭოს ხალაი.

### სკოლამდელი ასაკი

#### I

სკოლამდელი ანუ სკოლისწინარე ასაკი მეოთხე წლიდან 7 წლამდე გრძელდება. სახელწოდება — „სკოლამდელი“ ან „სკოლისწინარე“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს პერიოდი გარდამავალია ადრეულ ბავშვობასა და სასკოლო ასაკს შორის და, გარკვეული აზრით, მოსამზადებელია სასკოლო პერიოდისათვის. მართლაც, სკოლამდელი პერიოდის ბოლოსათვის — 7 წლის ასაკისათვის, ბავშვს უვითარდება ის თვისებები, ის უნარები, რომელნიც შესაძლებელს ხდიან ბავშვისათვის სრულიად ახალ, სასკოლო გარემოსთან შეგუებას (იხ. ქვემოთ პირველი სასკოლო ასაკი).

(სკოლამდელის ძირითადი თავისებურებები დაუშორებლად დაკავშირებული ბავშვის გარემოსთან ურთიერთობის იმ თავისებურებებთან, რაც ამ ასაკისათვის არის დამახასიათებელი. ხოლო ეს უკანასკნელი ძირითადად განსაზღვრულია სამი მთავარი ფაქტორით: ეს არის ბავშვის ფსიქო-ფიზიკური განვითარების ის თავისებურებები, რაც ამ ასაკში მშობლების დახმარებისაგან თავისუფალ, დამოუკიდებელ საყოფაცხოვრებო საქმიანობას უზრუნველყოფს; ბავშვის სოციალური მომწიფების ისეთი დონე, რომელიც შესაძლებელს ხდის თავის ტოლების კოლექტივის ნამდვილ წევრობას — (ტოლების პედაგოგიურად ორგანიზებულ კოლექტივში, )ოჯახის გარეშე ყოფნას და ე. წ. „სახვითი მოქმედების“ — ხატვის, ძერწვის, „მშენებლობის“, მარტივი კონსტრუირების — უნარის განვითარება, (რის შედეგადაც სახვითი მოქმედება ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს.)



1. რაც შეეხება ბავშვის გარემოს, ნორმალურ პირობებში სკოლამდელი ასაკის დასაწყისში ბავშვის გარემოში გარდატეხა ხდება. თუ წინა პერიოდში მის გარემოს ოჯახი შეადგენდა, თუ ბავშვს ყოველ მოქმედებაში — ჩაცმაში, პირის დაბანაში, ჭამაში — უფროსები ეხმარებოდნენ, ისე რომ ბავშვი არასდროს დამოუკიდებლად არ „საქმიანობდა“, ახლა პირიქით, ბავშვისათვის ნორმალურს, მისი განვითარებისათვის შესატყვის გარემოს საბავშვო ბაღის გარემო შეადგენს; ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ტოლების გარემოა; პედაგოგიურად ორგანიზებული, მაგრამ მინც ტოლების გარემოა. იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვი საბავშვო ბაღის გარეშე რჩება, თავის ღროის ბიუჯეტის დიდ ნაწილს ის ტოლების წრეში, მშობლებისაგან დამოუკიდებლად ატარებს (ეზოში, ქუჩაში, ვენახში, მინდორში) და ყოველდღიური ქცევის პატარ-პატარა ამოცანებს თვითონ თავის ძალებით, მოზრდილების დაუხმარებლად წყვეტს.

2. სკოლამდელ ასაკში კოლექტიურობის სულისკვეთება უკვე იმდენად განვითარებულია, რომ ბავშვი გარკვეულ დამოკიდებულებას ამყარებს არა მხოლოდ კოლექტივის ცალკე წევრებთან, ცალკეულ კონკრეტულ ინდივიდებთან, (როგორც ეს ადრეული ბავშვობისათვის არის დამახასიათებელი,) არამედ კოლექტივთანაც, როგორც მთელთან (თუ უფრო დაბალ ასაკში ერთად თამაში ფაქტიურად „თანამშრომლობას“, ე. ი. საერთო საქმის საერთო ძალებით კეთებას კი არა, არამედ უფრო „ერთი მეორის გვერდით“ თამაშს წარმოადგენს, რადგანაც თითოეული ბავშვის მოქმედება დამოუკიდებელია მეორის მოქმედებისაგან,) სკოლამდელ ასაკში უკვე თავს იჩენს ნამდვილი თანამშრომლობა: რამდენიმე ბავშვი შეთანხმებულად მოქმედებს ერთი საერთო მიზნის მისაღწევად. თანამშრომლობა კოლექტიურ თამაშში სკოლამდელ ასაკში იმდენად მაღალ ფორმას აღწევს, რომ ხშირად ამ ერთიან მოქმედებაში ბავშვებს შორის ფუნქციების განაწილებაც ხდება: მაგალითად, ერთი მიზნის მისაღწევად — ეთქვათ „შენობის“ ასაგებად, ერთი ბავშვი მიწას თხრის, მეორე — აგურებს ეზიდება, მესამე — აგურებს აწყობს და ა. შ.

ტოლების კოლექტივში ყოფნის აღმზრდელობითი გავლენა ბავშვზე განუზომლად დიდია. არაერთარ ოჯახურ გარემოს — რა გინდ კარგი აღმზრდელები იყვნენ ბავშვის მშობლები — არ შეუძ-

ლია ტოლების გარემოს მაგივრობის გაწევა უმთავრესად ბავშვის ხახიათის ჩამოყალიბებაში. საქმე ის არის, რომ ოჯახში არიან უფროსები და უმცროსები, რომელთა დამოკიდებულება ბავშვთან არასოდეს არ შეიძლება იყოს თანასწორუფლებიანთა დამოკიდებულება. მოზრდილი, ერთი მხრივ, უჭავრდება ბავშვს, ტუქსავს, სჯის, აიძულებს გარკვეულ მოქმედებათა შესრულებას, რასაც ვერ იზამს მისი ტოლი. მეორე მხრივ, მოზრდილი ანებივრებს ბავშვს, უთმობს ეხმარება; ტოლი კი არც დაუთმობს და არც დაეხმარება. ბავშვთან დამოკიდებულების ორივე ეს ფორმა ზღუდავს მის დამოუკიდებლობას და, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ბავშვის უნებისყოფობას. ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს სიჯიუტის, ჰირვეულობისა და უინიანობის განვითარებას, რაც 4 — 5 წლის ასაკში განსაკუთრებულ ხიფათს წარმოადგენს (იხ. ადრეული ასაკი).

სულ სხვა სიტუაციაში იმყოფება ბავშვი ტოლებს შორის: აქ იგი რჩება თავისი ძალების ანაბარა: მან თვითონ თავის ძალებით უნდა დაამყაროს ურთიერთობა სხვა ბავშვებთან. ერთი მხრივ, თვითონ დაიცავს თავისი ინტერესები, ზოგჯერ წინააღმდეგობა გაუწიოს სხვა ბავშვის აგრესიულობას, ხოლო, მეორე მხრივ, სხვის ინტერესებს გაუწიოს ანგარიში, დაეხმაროს, მეგობრობა გაუწიოს, დაძლი-ოს ეგოისტური მისწრაფებები, დაექვემდებაროს კოლექტივის სურვილს, სხვებთან ერთად კოლექტიური ძალებით ერთი მიზნის მისაღწევად იმოქმედოს. ცხადია, რომ ტოლების კოლექტივთან ამგვარი ურთიერთობა უვითარებს ბავშვს მორალურ თვისებებს და, საზოგადოდ, ზრდის მას მორალურად, უვითარებს პასუხისმგებლობის გრძობას, მოვალეობის განცდას და თავის იმპულსების შეკავების უნარს.

3. რაც შეეხება, კერძოდ, უინიანობასა და, საერთოდ, ნეგატივიზმის განვითარების საშიშროებას, ამასთან ბრძოლის უკეთესი საშუალებაა ტოლთა კოლექტივში ცხოვრება. შემთხვევით კი არ არის, რომ უინიანობას და ჰირვეულობას ბავშვი ტოლების მიმართ კი არ ავლენს, არამედ მხოლოდ იმ მოზრდილების მიმართ, ვინც მას ზრდის, ვინც, ერთი მხრივ, ანებივრებს და, მეორე მხრივ, ტუქსავს მას. ტოლებთან ჰირვეულობა ვერ გაუვა, ტოლი არც ზღუდავს მის დამოუკიდებლობას და სიჯიუტის საბაზს არ აძლევს; ტოლებთან ურთიერთობაში ბავშვი ეჩვევა თავისი კაპრიზებისა და გაუმართლებელი იმპულსების დაძლევას.

4. ტოლების კოლექტივის ამ აღმზრდელობით გავლენას ემატება ის გარემოება, რომ საბავშვო ბაღის გარემო პედაგოგიურად ორგანიზებული გარემოა. მართალია, სწავლას, ამ სიტყვის ზუსტი

მნიშვნელობით, აქ ადგილი ჯერ არა აქვს, მაგრამ გარკვეული რეჟიმი აქაც არსებობს და გარკვეული წესების დაცვა აქაც სავალდებულოა. და აი, ბავშვი ეჩვევა ამ წესებისა და მასწავლებლის მოთხოვნის მიხედვით მოქმედებას და, მაშასადამე, თავისი იმპულსების დაძლევისა და თავისი ქცევის რეგულაციას, რაც, კერძოდ, ეინიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში ძლიერი ფაქტორია და, საზოგადოდ, ნებისყოფის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ბავშვობის ასაკში. მასწავლებლის მოთხოვნით ბავშვს ხშირად უხდება მოქმედება თავის უშუალო სურვილებისა და იმპულსების წინააღმდეგ, უხდება ისეთი რაიმეს შესრულება, რაც მოცემულ მომენტში მას სრულიად არ სურს. ასე ყალიბდება მოვალეობის ცნობიერება და პასუხისმგებლობის გრძნობა.

5. ტოლებთან სისტემატური ურთიერთობის პროცესში სკოლამდელ ასაკში ბავშვს უვითარდება თვითშეფასების უნარიც. ის აფასებს თავის ქცევას მორალური თვალსაზრისით (კარგად მოიქცა თუ ცუდად), აფასებს თავის „სპორტულ“ მიღწევებს (სირბილი, ხტომა, ხეზე აძრომა და ა. შ.) და თავის პრაქტიკულ მოქმედებას — რამდენად სწრაფად და კარგად მოახერხა ჩაცმა, ფეხსაცმლის ზონარის შეკვრა თუ სადილის ჭამა და ა. შ. მართალია, ეს თვითშეფასება ჯერ შორს არის ობიექტურობისაგან, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში.

6. სისტემატური მეტყველებითი კონტაქტების შედეგად ბავშვი ამ ასაკში უკვე ახერხებს თავის ზოგ განცდათა სიტყვიერ გამოხატვასა და ამით ამ განცდათა გაცნობიერებას: ბავშვი არა მხოლოდ განიცდის, არამედ გარკვეულ ფარგლებში აცნობიერებს ამ განცდებს — აღნიშნავს მათ სიტყვებით — მიხარია, მრცხვენია, მეწყინა და ა. შ. ეს უნარი — განცდის გაცნობიერება — თავის მეს გაცნობიერებაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს.

ერთი სიტყვით, საბავშვო ბაღის გარემო სკოლამდელ ასაკში ბავშვის განვითარებისათვის საუკეთესო პირობას წარმოადგენს. არ არის საკვირველი, რომ საბავშვო ბაღში ნამყოფი ბავშვი სკოლაში შესვლისას შეუდარებლად უფრო ადვილად და სწრაფად ეგუება სკოლის გარემოს, სასკოლო რეჟიმს, ვიდრე ბავშვი, რომელიც სკოლაში პირდაპირ ოჯახიდან მიდის.

### III

1. სკოლამდელ ასაკში ბავშვი ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც მზად არის მარტივი საყოფაცხოვრებო საქმიანობისათვის.

ამ ასაკში ბავშვის ფიზიკური განვითარებისათვის დამახასიათებ-

ბელია, რომ იგი არა მხოლოდ საზოგადოდ ღონივრდება და მაგრდება, არამედ ის, რომ მას უვითარდება წვრილი კუნთები და ე. წ. წვრილი მოძრაობების (ხელის მტევნისა და თითების მოძრაობის) ზუსტი შესრულების უნარი. ამავე დროს ტვინის ქერქის ინტენსიური განვითარება ამ ასაკში განაპირობებს მოძრაობათა ზუსტი რეგულაციის, მიზანდასახული, ნებისმიერი მოძრაობების შესრულებისა და, კერძოდ, იმპულსთა შეკავების უნარის განვითარებას.

ყოველივე ეს ხელს უწყობს სკოლამდელ ასაკში მოძრაობათა სიზუსტის, სისწრაფისა და სიძლიერის განვითარებას, რაც ამ ასაკში უზრუნველყოფს საგნებით რთულ მანიპულაციებს, მარტივი „იარაღების“ გამოყენებას, კერძოდ, ფანქრის, დანა-ჩანგლის, კოვზის, ფინჯანის სუფთა და მოხდენილ ხმარებას, ხატვას, ძერწვას, კონსტრუქციულ თამაშს და სერიოზულ საქმიანობას, უმთავრესად თვითმომსახურების, ხოლო სკოლამდელი პერიოდის ზედა ასაკებში ბინის მოვლის მიმართულებითაც. ჩაცმა, ზონარებისა და ლილების შეკვრა, პირის დაბანა, კბილების გახეხვა, ჭამასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, საკუთარი ლოგინის დაგება და გასწორება, სათამაშოებისა და სხვა ნივთების ადგილზე დალაგება, დედისათვის დახმარება სუფრის გაშლაში და ალაგებაში და ა. შ., ამ ასაკის ბავშვისათვის ადვილი შესასრულებელია.

ამგვარი საქმიანობა სკოლამდელ პერიოდში ბავშვის პიროვნების განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ბავშვის სწრაფვა დამოუკიდებელი მოქმედებისაკენ („მე თვითონ გავაკეთებ“), უკვე ადრეულ პერიოდში იღვიძებს, მაგრამ დაუკმაყოფილებელი რჩება, რადგანაც ადრეული ბავშვობის პერიოდისათვის დამახასიათებელია ყოველგვარი მოქმედების მოზრდილის დახმარებით შესრულება (ჩაცმაშიც და ჭამაშიც ბავშვს მოზრდილი ეხმარება). ეს დაუკმაყოფილებელი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ ხშირად ბავშვის ენიაინობისა და ნეგატივიზმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, სუსტი ხასიათის ბავშვებთან კი ზედმეტი დახმარება ავითარებს უინიციატივობას, პასიურობას და უნებისყოფობას. დამოუკიდებლობისადმი ეს დაუკმაყოფილებელი სწრაფვა სკოლამდელ ასაკში პირველად ნახულობს დაკმაყოფილებას მარტივ, მაგრამ სერიოზულ დამოუკიდებელ საქმიანობაში. ბავშვის ხასიათის განვითარებისათვის, კერძოდ, ენიაინობის ხიფათის შესანელებლად ამას დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მშობლებმა ზედმეტი დახმარებით არ უნდა შეუშალონ ხელი ბავშვის ისეთი სახის დამოუკიდებელ საქმიანობას, რომლის დაუფლება შესაძლებელია ამ ასაკში. მშობლები კი არ უნდა გაურბოდნენ ბავშვის და-

საქმებას სკოლამდელ ასაკში, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ჩვენს ოჯახებში, არამედ, პირიქით, ზომიერად, მაგრამ სისტემატურად უნდა დასაქმონ ბავშვი.

ასეთი საქმიანობა თავისი ქცევის ნებისმიერი რეგულაციის გაცილებით უფრო მაღალგანვითარებულ უნარს მოითხოვს, ვიდრე იმ პატარა-პატარა დავალებების შესრულება, რაც ადრეული ბავშვობისათვის არის დამახასიათებელი და, მაშასადამე, ბავშვის ნებისყოფის შემდეგი განვითარების ფაქტორს წარმოადგენს.

2. ამას გარდა, სერიოზული საქმიანობა მეტად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ბავშვში რეალობის გრძნობის გასაერთარებლად და თავისი უშუალო გარემოს პრაქტიკული დაუფლებისათვის. საქმიანობის პროცესში ბავშვი იჭრება ობიექტურ სინამდვილეში. პრაქტიკულად ეცნობა და ეუფლება მას. ეს პროცესი აწონასწორებს სინამდვილიდან იმ „აფრენას“, რომელიც ამ ასაკისათვის დამახასიათებელ „სიმბოლურ თამაშში“ ფანტაზიის შეუზღუდავ გამოვლინებებში იჩენს თავს.

#### IV

1. სკოლამდელ ასაკში ბავშვის ქცევაში დიდი ხვედრითი წონა აქვს ე. წ. სახვით მოქმედებას — ხატვას, პლასტილინიდან ძერწვას, „კონსტრუქტორებით“ კონსტრუირებას და ა. შ. ამ მოქმედებას შორისმწვდომი და მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს ბავშვის პიროვნების განვითარებისათვის.

გაუფორმებელი მასალიდან გარკვეული ფორმის შექმნა, პირველ რიგში, ცხადია, ავარჯიშებს და ავითარებს წარმოსახვას (ფანტაზიას), დამკვირვებლობასა და აზროვნებას. სკოლამდელ ასაკში ხატვა და ძერწვა სათანადო სპეციფიკური ნიჭის საქმეს კი არ წარმოადგენს, არამედ ბავშვის საერთო გონებრივი განვითარების გამოვლინებას. ხატავს ყველა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას სათანადო მიმართულებით რაიმე ნიჭი. ამ პერიოდში ხატვის თუ ძერწვის პროცესი, პირველ რიგში, აზროვნების მოქმედების გამოვლენაა. ბავშვი ხატავს იმას, რასაც ფიქრობს და არა იმას, ან უკეთ რომ ვთქვათ, არა ისე, როგორც ხედავს საგანს. მას შეუძლია, მაგალითად, ხე დახატოს ფესვებით, თუმცა ფესვები არ ჩანს, ან დახატულ სახლში ავეჯი და მცხოვრებლები ჩახატოს და ა. შ.

2. მაგრამ სახვითი მოქმედების აღმზრდელობითი მნიშვნელობა ინტელექტუალური პროცესებით როდი ამოიწურება. იგი საზოგადოოდ პიროვნების განვითარების მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს.

ჯერ ერთი, სახვითი მოქმედება გარკვეული აზრის, იდეის განხორციელებას წარმოადგენს; ასეთ მოქმედებაში ჩანათიკრის გარკვეული პროდუქტის სახით რეალიზაცია ხდება. ეს კი საზოგადოდ ადამიანის მოქმედების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს. ეს არის შემოქმედება! მართალია, ბავშვის მიერ შექმნილი პროდუქტი არ გადაიქცევა საზოგადოების კუთვნილებად, ობიექტად, რომელიც საზოგადოებისათვის რაიმე ღირებულებას წარმოადგენდეს, მაგრამ ფსიქოლოგიურად ბავშვის მოქმედებაში მაინც ხდება იდეის რეალიზაცია, ობიექტური, რეალური პროდუქტის სახით. ბავშვი ერთ ხანს ინახავს ამ თავის „ნაწარმოებს“, უჩვენებს მას სხვას და ა. შ. ცხადია, რომ ამგვარი მოქმედება ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს. სახვითი მოქმედების პროცესში ბავშვს საკუთარი მოქმედების პროდუქტის ცნობიერება უვითარდება.

3. ამას გარდა, სახვითი მოქმედების პროცესში ბავშვს უვითარდება ნებისყოფაც, რადგანაც ჩანათიკრის განხორციელება რთულ, ხანგრძლივ მიზანდასახულ მოქმედებას წარმოადგენს, რომელიც რიგი სიძნელეებისა და დაბრკოლებების გადალახვას მოითხოვს: ადრეული ბავშვობისაგან განსხვავებით, ბავშვი უკვე აღარ კმაყოფილდება ყოველგვარი ნაჭაბუნით და ყოველგვარ ფორმაში აღარ გულისხმობს რასაც მოინდომებს, როგორც ეს სიმბოლურ თამაშში ხდება (როდესაც ერთ და იმავე ნაჭაბუნში ბავშვი ხან ლომს და ხან თავის დედას გულისხმობს). ბავშვი უკვე ცდილობს, რაც შეიძლება უფრო მიამსგავსოს თავისი ნაწარმოები თავის ჩანათიკრს—წარმოდგენილ საგანს. ეს კი გულმოდგინე და დაჟინებით „მუშაობას“ მოითხოვს.

4. არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც სახვით მოქმედებას ახლავს და რომელსაც აგრეთვე დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ მასალას, რომლიდანაც ბავშვი აშენებს თუ ძერწავს, გარკვეული ფიზიკური თვისებები გააჩნია და ამ მასალისათვის გარკვეული ფორმის მიცემა შეუძლებელია ამ თვისებებთან ბავშვის მოქმედების შეგუების გარეშე: თუ ბავშვის მოქმედება პრაქტიკულად არ შეეგუება სათანადო ფიზიკურ კანონზომიერებას, თუ ბავშვმა ვერ გაითვალისწინა მასალის ობიექტური თვისებები, მიზანი მიუღწეველი დარჩება — კოშკი დაინგრევა, ხიდი ვერ აშენდება და ა. შ. თუ ბავშვის ჰირვეულობა და თვითნებობა ხშირად ჭრის მშობლებთან, იგი ვერ გაჭრის საამშენებლო მასალასთან! ბავშვი იძულე-

ბულია დაუმორჩილოს თავისი მოქმედება ობიექტურ აუცილებლობას. ახე ყალიბდება ობიექტური აუცილებლობის ცნობიერება.

აქედან გასაგებია, რომ სახვითი მოქმედება აჩვევს ბავშვს თავის სუბიექტურ, ობიექტური ვითარების შეუფერებელ იმპულსთა შეკავებას, თავისი კაპრიზების, ჭიუტობისა და ჭირვეულობის შეზღუდვას, რაც სკოლამდელ ასაკში ბავშვის აღზრდის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული ფიზიკური მასალის გაფორმების პროცესში ბავშვის ფანტაზიაც რეალური სინამდვილისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობით შეიზღუდება, რის შედეგადაც მიიღწევა წარმოსახვის უფრო მაღალი ფორმის ჩამოყალიბება, ვიდრე სიმბოლურ თამაშში გამოვლინებული რეალობით შეუზღუდავი ფანტაზიისათვის არის დამახასიათებელი.



ჩვენ შევჩერდით სკოლამდელი ასაკის რამდენიმე ძირითად თავისებურებაზე. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამ ასაკში არ განიცდიდეს ცვლილებას ბავშვის ფსიქიკური ცხოვრების სხვა მხარეები. პირიქით, ამ ასაკში ბავშვის ფსიქიკური ცხოვრება იმდენად მრავალმხრივია, რომ აქ ამ ასაკის ყველა თვისებაზე შეჩერება შეუძლებელია. ინტენსიურად ვითარდება ბავშვის მეხსიერებაც და ყურადღებაც, რთულდება და ვითარდება მისი ემოციური განცდები, ვითარდება პრაქტიკული გონიერება და ლოგიკური აზროვნება და ა. შ. ამაზე აქ ვერ შევჩერდებით, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს. ქცევის ძირითად ფორმას ამ ასაკში ისევ თამაში წარმოადგენს; მართალია, თამაშის ფორმები იცვლება — სიმბოლური თამაშის შინაარსი სულ უფრო „რეალისტური“ ხდება, სულ უფრო დიდ ადგილს იკერს ორგანიზებული თამაში და ა. შ., მაგრამ თამაშის ხასიათის მოქმედება მაინც წამყვანი რჩება. ცოდნის შექმნაც ამ ასაკში თამაშის ბუნების მოქმედების ხასიათს ატარებს და არა ცოდნის მიზანდასახული შექმნისა, არა მიზანდასახული სწავლისა.

### პირველი სასკოლო პერიოდი

1. პირველი სასკოლო პერიოდი, რომელიც 7 წლიდან იწყება და გოგონებთან, დაახლოებით, 11 წლამდის, ხოლო ვალებთან, დაახლოებით, 12 წლამდის გრძელდება, ფიზიკური განვითარების

მხრივ ხასიათდება ორგანიზმის გამაგრებით. ეს არის ე. წ. „მომაგრების პერიოდი“: ბავშვი ნაკლებ სწრაფად იზრდება სიმალლეში, ვიდრე წინა ასაკში, სამაგიეროდ მეტად მაგრდება ჯანმრთელობის, შინაგან ორგანოთა (გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავისა და ა. შ.) ფუნქციონალური განვითარებისა და ფიზიკური, კუნთური ძალის მხრივ. წინა ასაკთან შედარებით მკვეთრად კლებულობს ბავშვთა დაავადება და სიკვდილიანობა; ამ ასაკში ბავშვი იშვიათად ავადმყოფობს და ძალიან იშვიათია ფსიქიკური ტრავმა. ამ ასაკს „ფიზიკური ძალების ინტენსიური ზრდის პერიოდს“ ან „ლონის მომატების“ პერიოდს უწოდებენ ხოლმე. იგი ეწერგის მოზღვავეებით ხასიათდება.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების გარკვეული ცვლილებების შედეგად ამ ასაკიდან პირველად იწყება თვალსაჩინო სხვაობა ორი სქესის ბავშვთა განვითარებაში და უკვე მკვეთრად იჩენს თავს თითოეული სქესის ბავშვთათვის დამახასიათებელი ფსიქო-ფიზიკური თავისებურებანი.

2. მკვეთრად იცვლება გარემო. ბავშვი სასკოლო გარემოში ხვდება, ემორჩილება სკოლის რეჟიმს; მის ძირითად მოქმედებას უკვე თამაში კი არა — სწავლა შეადგენს.

ეს გარემოება განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ბავშვის პიროვნებას და ხელს უწყობს მასში რიგ თავისებათა განვითარებას;

წინა ასაკებში გაბატონებული ქცევის ფორმა — თამაში — პროცესუალურ ხასიათს ატარებს, ე. ი. სუბიექტისათვის თამაშის აზრი თვით მოქმედებაშია: თამაშის გარეთ ამ მოქმედებას არავითარი სხვა, თამაშის მოქმედებისათვის უცხო მიზანი არ გააჩნია. თამაშის მოქმედებას „ფუნქციონის ტენდენცია“ ამოძრავებს ე. ი. მოქმედების მოთხოვნილება — გარკვეული ძალების ამოქმედების ტენდენცია. სულ სხვა ბუნებისაა სწავლა: იგი მიზანდასახული მოქმედებაა, რომელსაც გარკვეული შედეგი — გარკვეული ცოდნის შექმნა უნდა მოჰყვეს (ამ მხრივ სწავლა შრომას უახლოვდება, თუმცა სხვა მხრივ არსებითად განსხვავდება მისგან)<sup>1</sup>. მაშასადამე, თავის ფსიქოლოგიური ბუნებით ეს ორი ქცევა — თამაში და სწავლა — სრულიად განსხვავებულია. პირველი ძირითადში უნებლიეა: იგი სათანადო მიმართულებით მოქმედების მოთხოვნილების გამოვლინებაა, მეორე კი — პი-

<sup>1</sup> სწავლასა და შრომას შორის დიდი სხვაობაც არსებობს: იხ. დ. უზნაძე-ქცევის ფორმები, თსუ შრომები, ტ. XVII.



რიქით, ნებისმიერი, განზრახული მოქმედებაა. (სკოლის პირობებში იგი სხვის მიერ დავალებული, სხვის მიერ მოცემული მიზნის მისაღწევად წარმოებული მიზანდასახული მოქმედებაა.)  
სწავლა დიდ ენერჯიას და უკვე ნამდვილ ნებისყოფას მოითხოვს. (ამ მოქმედების განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს პირველი სასკოლო ასაკისათვის დამახასიათებელი ენერჯიის დაგროვება ასრულებს.)

სასკოლო რეჟიმთან შეგუებაშიც მნიშვნელოვან როლს სასკოლო ასაკისათვის დამახასიათებელი ორგანიზმის საერთო გამაგრება ასრულებს: წინა ასაკში ბავშვისათვის აუტანელი და სატანჯავი იქნებოდა ზარიდან ზარამდე გაკვეთილზე ერთ ადგილზე ჯდომა და მეცადინეობა და მხოლოდ დასვენებების ზუსტად განსაზღვრულ წუთებში კლასიდან გასვლისა და თამაშის უფლება, გაკვეთილის განმავლობაში ყველა იმპულსების შეკავება, — ადგომის, გაქცევის, თამაშის. ამხანაგთან დალაპარაკებისა და ა. შ., ლაპარაკი მხოლოდ ნებართვით და ისიც მხოლოდ გარკვეულ თემაზე და ა. შ.

მაგრამ მიუხედავად ცხოვრების რეჟიმისა და გარემოს ასეთი მკაცრი შეცვლისა, პირველ სასკოლო ასაკობრივ პერიოდში ბავშვისათვის დამახასიათებელია პოზიტიური ხალისიანი დამოკიდებულება ახალ პირობებთან და საზოგადოდ კარგი გუნება, მხიარულება; სიმხნევე, თავის ძალებში დარწმუნებულობა. ნორმალურ პირობებში ბავშვი ამ ასაკში, როგორც წესი, კარგად, ჯანმრთელად გრძნობს თავს, კმაყოფილია თავისი თავითაც, მასწავლებლითაც, ამხანაგებითაც, უყვარს სკოლა და ა. შ. და საზოგადოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ გარემომ ბავშვს უტბად ამდენი მკაცრი მოთხოვნა წამოუყენა, იგი კი არ გაუბრუნებს, კი არ ერიდება მას, არამედ, პირიქით, დიდი ხალისით იჭრება ამ გარემოში, ხარბად ეწაფება მას და ტოლების მიმართ მეგობრობასთან ერთად ზოგჯერ (მეტადრე ვაჟები) აგრესიულობასაც და სხვადასხვა ფორმაში გამოვლენილ ბრძოლის აქტივობას იჩენს — ქიდაობა, შეჭიბრი და ა. შ. ვაჟებს ამ ასაკში საგრძნობი ინტერესი აქვთ ფიზიკური ძალისა, კერძოდ, თავისი კუნთური ძალისა და სიმარდის მიმართ.

<sup>1</sup> არსებობს სპეციალური ფსიქოლოგიური გამოკვლევები, რომელშიაც აღრიცხულია მთელი სასკოლო პერიოდის განწვრთვ ყველა წლოვანებისათვის დამახასიათებელი გუნებისა და სულსიკეთების გამოვლენანი.

3. მეტად საგულისხმოა, რომ თუ წინა ასაკში ბავშვის აქტივობის მამოძრავებელ მთავარ ინტერესსა და მისწრაფებას თამაშისადმი მისწრაფება შეადგენდა, სასკოლო ასაკში ბავშვში ილვიძებს სწავლის ინტერესი, ოღონდ არა რომელიმე საკითხთა წრისადმი, რომელიმე საგნისადმი, არამედ საზოგადო სწავლის ხალისი. მაგრამ ეს ინტერესი გარკვეულ შინაარსთა მიმართ წმინდა შემეცნებითი ინტერესი კი არ არის (ეს მეორე სასკოლო ასაკისათვისაა დამახასიათებელი!), არამედ „ფუნქციონალური“ ხასიათის მიდრეკილებაა, როგორც ამას დაასკვნის დ. უზნაძე<sup>1</sup>, ე. ი. ბავშვს თვით სწავლის პროცესი, სწავლის მოქმედება იზიდავს და არა ის შინაარსი, რასაც ის სწავლობს. ამ მხრივ ეს ინტერესი თამაშისათვის დამახასიათებელ ფუნქციონალურ ტენდენციას და ნამდვილ შემეცნებით ინტერესებს შორის გარდამავალ ფორმას წარმოადგენს. ბავშვს სიამოვნებას გონებრივი მუშაობის პროცესი გვრის. ამ ასაკში ინტენსიურად ვითარდება აგრეთვე ცნობისმოყვარეობა.

აღსანიშნავია, რომ ამ ასაკში დიდ ცნობისმოყვარეობას და ინტერესს იჩენს ბავშვი (განსაკუთრებით ვაჟები) ტექნიკისადმი. სათამაშოებისა და სხვა ტექნიკური კონსტრუქციისადმი ცნობისმოყვარეობა აიძულებს ბავშვს დაშალოს და ხელახლა ააგოს სათამაშო; ამ ასაკში ერთ-ერთ საყვარელ გასართობს კონსტრუქტორებით კონსტრუირება შეადგენს.

4. ამ ასაკისათვის დამახასიათებელია წიგნის კითხვის დღი ინტერესის გაღვიძება და მისი თანდათანობითი გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ ზღაპრებისადმი ინტერესი, რომელიც წინა ასაკში ეგოდენ დამახასიათებელი იყო ბავშვისათვის, სასკოლო ასაკში კლებულობს და 10 — 12 წლის ასაკში, როგორც წესი, ქრება. რეალურ სინამდვილეს ახლა ბავშვი უმთავრესად ლიტერატურული ნაწარმოებით ეცნობა, რაც არაჩვეულებრივად აფართოებს მის გონებრივ პორიზონტს, ზნეობრივად ზრდის მას — კაცთმოყვარეობას, ჰუმანიზმს, სხვის შეცოდებას, თანაგრძნობასა და ალტრუიზმს უნერგავს. მოზარდს სასკოლო ასაკში იზიდავს უმთავრესად სათავგადასავლო შინაარსის ნაწარმოებები, გმირობა, რაინდობა, თავგანწირულობა, გამბედაობა, ვაჟკაცობა და ა. შ.

5. პირველ სასკოლო ასაკში ძლიერია ბავშვის (განსაკუთრებით ბიჭების) ინტერესი სპორტისადმი, ფიზიკური ვარჯიშისადმი, ყო-

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში დ. უზნაძე შ. ბიულერისა და კროს მიერ მოყვანილ მღი-  
ლარ მასალას ეყრდნობა.

ველგვარი შეჯიბრისადმი, ფიზიკური ძალისა და სიმარდის ყოველგვარ გამოვლინებათა მიმართ და ა. შ. ბავშვი ესწრაფვის ყოველ ნაბიჯზე ტოლებთან შეჯიბრებას, გამარჯვებას.

საგულისხმოა, რომ ამ ასაკში ბავშვი უკვე იმდენად ვითარდება სოციალურად, რომ მას მეტად იტაცებს შეჯიბრის კოლექტიური ფორმები: თავისი კოლექტივის (კლასის, გუნდისა და ა. შ.) გამარჯვებისათვის ის უკანასკნელ ზომამდე დაჭიმავს ძალებს და თავგანწირვით იბრძვის, მიუხედავად იმისა, თუ რა სპორტული თამაშია ეს.

6. აღსანიშნავია, რომ თუმცა ამ ასაკში ბავშვი, მეტადრე გოგონები, შესამჩნევ ინტერესს ავლენენ აღქმულის ხელაშახტის მიმართ, მაგრამ, როგორც წესი, ესთეტიკური გრძნობა ამ ასაკში ჯერ არ არის იმდენად განვითარებული, რომ ესთეტიკური მოთხოვნები იყოს. ესთეტიკური ინტერესები დამოუკიდებელი ესთეტიკური ქცევის საფუძველს წარმოადგენდეს. ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი. შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ ი ინტერესები შთანთქავენ ხოლმე ამ საფეხურზე ესთეტიკურ მხარეს. მაგალითად, მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების აღქმისას მისი შინაარსისადმი, ფაბულისადმი ინტერესი ჩრდილავს ესთეტიკურ მხარეს. სიმღერის აღქმისას სიტყვები ხშირად დომინირებს, ჩრდილავს მუსიკის ესთეტიკურ განცდას. საგულისხმოა ამ მხრივ, რომ სიმღერის ესთეტიკური აღქმა და, კერძოდ, სიმღერის მელოდიურობის ესთეტიკური განცდა ბევრად უფრო ადრე იჩენს თავს ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ვიდრე უსიტყვო ინსტრუმენტალური მუსიკისა. საგანგებო მუსიკალური აღზრდის გარეშე ამ სახის ესთეტიკური აღქმა გვიან ვითარდება.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ბავშვის ესთეტიკური გრძნობის განვითარება ამ ასაკში მეტად დამოკიდებულია აღზრდაზე, გარემოზე და თვით ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. ბავშვის ესთეტიკური აღზრდა სკოლამდელი ასაკიდან ან, ყოველ შემთხვევაში, თვით სასკოლო ასაკში, ხელს უწყობს ესთეტიკური განცდის გაცილებით უფრო ადრინდელ გამოვლინებას, ვიდრე ეს ასეთი აღზრდის გარეშე ხდება. ამიტომ პირველ სასკოლო ასაკში ესთეტიკური აღზრდა მეტად საჭიროა ჩანასახის ფორმაში მოცემული ესთეტიკური გრძნობის გასავეითარებლად.

ესთეტიკური განცდის პირველი გამოვლინება დიდადაა დამოკიდებული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებაზედაც. სათანადო ნიჭი (მაგალითად, მუსიკალური ტალანტი), თუკი ასეთი არის,

ჩვეულებრივ ადრე — სასკოლო ასაკის დასაწყისშივე და ხშირად უფრო ადრეც ვლინდება.

7. პირველი სასკოლო ასაკის მნიშვნელოვან თავისებურებას წერიითი მეტყველების დაუფლება შეადგენს. წერის კულტურა, აზრის წერილობითი გამოთქმა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ამ პერიოდში, უმთავრესად მის ზედა ასაკში ვითარდება. სახელდობრ, ამ ასაკში პირველად აქცევს ბავშვი ყურადღებას მეტყველების და, კერძოდ; წერიითი მეტყველების ფორმას — პირველად თვით მეტყველება გადაიქცევა ყურადღების საგნად.

8. პირველი სასკოლო ასაკის თავისებურებათა შორის განსაკუთრებით ხაზგასასმელია ნებისყოფის ინტენსიური განვითარება და სხვა ფსიქიკურ ფუნქციათა ნებისმიერი, აქტიური ფორმების განვითარების დასაწყისი.

ნებისყოფა ვითარდება მთელი ბავშვობის პერიოდში სკოლამდელის წინარე ასაკიდან დაწყებული, მაგრამ მისი განვითარების ყველაზე ინტენსიურ პერიოდს პირველი სასკოლო პერიოდი წარმოადგენს! ამ ასაკში უკვე მიიღწევა ნებისყოფის ის დონე, რომელიც საჭიროა თავისი ქცევის დასაუფლებლად, დაბრკოლებების გადასალახავად, დასახული მიზნის მისაღწევად, რთული მოქმედების განსახორციელებლად.

გარდა ამისა, როგორც ეს-ეს არის აღვნიშნეთ, დაწყებითი სკოლის საფეხურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ყველა ფსიქიკური ფუნქციის — აღქმის, ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, წარმოსახვის — აქტიური ფორმების განვითარება: თუ სკოლამდელ ასაკში ყველა ეს ფუნქცია მნიშვნელოვნად და სწრაფად ვითარდება, ამ პერიოდისათვის ძირითადად დამახასიათებელია მაინც მათი უნებლიე, პასიური ფორმების განვითარება — უნებლიე ყურადღება. უნებლიე დახსომება, ფანტაზიის უნებლიე გამოვლინება და ა. შ. პირველ სასკოლო ასაკის ბოლოსათვის პირიქით, უკვე დამახასიათებელია ყველა ამ ფუნქციის, გარკვეულ ფარგლებში, აქტიური, განზრახვითი, ნებისმიერი ამოქმედება: ამ ასაკში ბავშვს შეუძლია არა მხოლოდ უნებურად აღქმა, არამედ შეგნებულად მიზანდასახული დაკვირვების წარმოებაც, თუკი ასეთი რამ მას ევალება, და თუ ეს მოქმედება მის სხვა ძლიერ მოთხოვნილებას არ ეწინააღმდეგება, მას შეუძლია ნებისმიერად ყურადღებით წაიკითხოს ან დაწეროს ის, რაც მას ევალება ან რასაც საჭიროდ თვლის, მაშინაც, როდესაც ეს მასალა მას არ აინტერესებს; მას შეუძლია არასაინტერესო მასალის დასწავლა, ან აზროვნების წარმართვა მისთვის არასაინტერესო ამოცანის გადა-

საწყვეტად, თუკი ამას დაავალებს მას უფროსი. თუმცა გაცილებით უფრო მაღალ საფეხურს ქცევის ეს ნებისმიერი, აქტიური ფორმები მეორე სასკოლო საფეხურზე — გარდამავალ ასაკში მიაღწევენ.



ქცევის ყველა ეს აქტიური ფორმა, ერთი მხრივ, აუცილებელი პირობაა სწავლისა, ე. ი. სასკოლო ასაკის ძირითადი ფუნქციის შესასრულებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, თვით სასკოლო მუშაობა, ხაზინაო დავალებები, სკოლის მთელი რეჟიმი ხელს უწყობს ქცევის ყველა ამ აქტიური ფორმის განვითარებას. ამაშია ძირითადი არსი პირველი სასკოლო პერიოდისა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბების იმ ხანგრძლივ პროცესში, რომელიც ძუძუს ასაკიდან ქაბუკობის ბოლომდე გრძელდება.

#### მეორე სასკოლო, ანუ გარდამავალი ასაკი

1. გარდამავალი პერიოდი გოგონებთან დაახლოებით 11-დან 14 წლამდის, ხოლო ვაჟებთან 12—13-დან 16 წლამდის გრძელდება. ამ ასაკს არა მხოლოდ გარდამავალს უწოდებენ, არამედ კრიტიკულსაც და გარდატეხის პერიოდსაც. პირველი სახელწოდება ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ ეს ასაკი გარდამავალია ბავშვობასა და სიჭაბუკეს შორის, ხოლო ორი უკანასკნელი სახელწოდება გამოხატავს ამ ასაკის იმ თავისებურებას, რომ ეს გადასვლა გარდატეხის, რღვევისა და, გარკვეული მნიშვნელობით, გადატრიალების ხასიათს ატარებს. ამ პერიოდში მოზარდში ისეთი მკვეთრი ცვლილებები ხდება, რომ დიდი ფრანგი მოაზროვნე ე. ე. რუსო ამ პერიოდს „მეორე დაბადებასაც“ უწოდებდა!

2. არ არის ისეთი მხარე მოზარდის განვითარებაში, რომელიც ამ პერიოდში არსებით ცვლილებას არ განიცდიდეს. იცვლება გარეგანი შეხედულება, ხმა, სახის გამომეტყველება, ტანის მოყვანილობა, მოტორიკა (მოძრაობები), ხასიათი, ქცევა, შეხედულებები, ინტერესები, გარემოსთან დამოკიდებულება და ა. შ.

ამ ასაკს „წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ო ბ ა თ ა ა ს ა კ ს ა ც“ უწოდებენ, რადგანაც მას, ძველსა (ბავშვური თვისებებისა) და ახალს (მოზრდილის თვისებების) შორის ბრძოლის შედეგად, მართლაც ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებათა რიგი ახასიათებს:

ერთი მხრივ, ეს არის ზრდისა და აღმავლობის პერიოდი, მეორე მხრივ, მას მოღუნებულობა, დასუსტება და დეპრესიულობა

ახასიათებს; ერთი მხრივ, ეს არის ფიზიკური ღონის მომატებისა და ჩონჩხის გამაგრების პერიოდი, მეორე მხრივ, მას ადვილი დალ-  
ლალობა და ხშირად სისხლნაკლებობა ახასიათებს.

ერთი მხრივ, ეს არის სასიცოცხლო ძალების აღმავლობისა და გაფურჩქნის პერიოდი, მეორე მხრივ, ამ ასაკში სხვა პერიოდებ-  
თან შედარებით, ხშირია ფსიქიკური ტრავმები, ნერვული დაავადე-  
ბანი, ტუბერკულოზური დაავადებანი და ა. შ. (ერთი ავტორი ამ  
პერიოდს ტრავმების პერიოდს უწოდებს).

✓ ერთი მხრივ, ამ ასაკს სენტომენტალობა და რეალიზმს მოწყვე-  
ტილი ოცნებობა ახასიათებს, მეორე მხრივ, ეს ასაკი არის პრაქ-  
ტიკული ინტერესების გაღვიძების, პრაქტიკული და ტექნიკური აზ-  
როვნებისა და ინტერესების გაფურჩქნის და, კერძოდ, მომავალი  
პროფესიისადმი ინტერესის პირველი გაღვიძების ასაკი.

ერთი მხრივ, ამ ასაკში პირველად იღვიძებს ინტერესი თ ა ვ ი-  
ს ი მ ე ს, თავისი პიროვნებისა და თავისი შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ა მ ყ ა-  
რ ო ს მიმართ (არაა შემთხვევითი, რომ ამ ასაკში პირველად იწყე-  
ბენ ხოლმე დღიურების წერას), მეორე მხრივ, ეს არის ო ბ ი ე ქ-  
ტ უ რ ი ს ა მ ყ ა რ ო ს მიმართ ნამდვილი შემეცხებითი ინტერე-  
სების პირველი გაღვიძებისა და, საზოგადოდ, კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს  
კ უ ლ ტ უ რ ა შ ი შ ე ზ რ დ ი ს ა ს ა კ ი.

ერთი მხრივ, ამ ასაკს ახასიათებენ როგორც გულჩათხრობილო-  
ბის, ინდივიდუალიზმის, თავის შინაგან სამყაროში ჩაკეტვის ტენ-  
დენციების პერიოდს, მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ ამ ასაკს ახა-  
სიათებს კოლექტივიზმის ძლიერი განვითარება და ს ა ზ ო გ ა-  
დ ო ე ბ რ ი ვ ი ინ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს ა ღ მ ა ვ ლ ო ბ ა.

ამ ასაკში შემჩნეულია მეხსიერების ძალის (ე. წ. „ნატურალური  
მეხსიერების“) დასუსტება, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ასაკი არის  
მეხსიერების ახალი ფორმის — ნებისმიერად ორგანიზებული დახ-  
სომების უნარის, ძლიერი განვითარების ასაკი.

3. რა არის ყველა ამ წინააღმდეგობათა მიზეზი? რა ფაქტორი  
იწვევს ამ პერტურბაციებს მეორე სასკოლო ასაკში?

ამ ასაკის შესახებ არსებობს მრავალი თეორია; მათ შორის ბევ-  
რი წინააღმდეგობაა, მაგრამ ერთ ფაქტიურ მდგომარეობას ყველა  
ეს თეორია აღიარებს, სახელდობრ, გარდამავალი ასაკისათვის და-  
მახასიათებელი პერტურბაციების ერთ-ერთ ფიზიოლოგიურ სა-  
ფუძველს წარმოადგენს ის დიდი ცვლილებები, უფრო სწორად ის  
გადატრიალება შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ე კ რ ე ც ი ი ს ჯ ი რ კ ვ ა ლ თ ა  
ს ი ს ტ ე მ ა შ ი, რომელიც ამ პერიოდში ხდება მოზარდის ორგა-  
ნიზმში. ეს ის ჯირკვლებია, რომელთა მოქმედება (სეკრეცია) გან-

სახლერავს ორგანიზმის ზრდა-განვითარებას, სხეულის პროპორციებს, ნერვული სისტემის ზოგ თავისებურებას და ა. შ.

ძირითადი ცვლილება შინაგანი სეკრეციის ჭირკვალთა სისტემაში ბავშვის სქესობრივ მომწიფებასთანაა დაკავშირებული. იმ ჭირკვლის („მკერდუკანა“ ჭირკვლის) სეკრეცია, რომელიც ბავშვობის ასაკში წამყვან როლს ასრულებდა, გარდამავალი პერიოდის დასაწყისისათვის ისპობა, ხოლო იმ ჭირკვლის (სასქესო ჭირკვლის) შინაგანი სეკრეცია, რომელიც ამ პერიოდამდის შედარებით უმნიშვნელო იყო, ერთბაშად — ამ ჭირკვლის ძლიერ განვითარებასთან დაკავშირებით — გაბატონებული როლის შესრულებას იწყებს შინაგან ჭირკვალთა სისტემაში. ამ ჭირკვალთა როლის ასეთი შენაცვლება დიდ ცვლილებებს იწვევს შინაგანი სეკრეციის სხვა ჭირკვალთა მოქმედებაშიც. იგი განაპირობებს მოზარდის მთელი ორგანიზმის გარდაქმნას: — ბავშვისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ინვოლუციას (გადაგვარებას), ხოლო ზრდადამთავრებულისათვის დამახასიათებელ თვისებათა მომწიფებას, რაც — დროებით, ამ პროცესის დასრულებამდე — ორგანიზმის შინაგანი წონასწორობის დარღვევას იწვევს. ბავშვისათვის დამახასიათებელი წონასწორობა, მოძრაობათა და სხეულის აგებულების ჰარმონიულობა ირღვევა, ხოლო მოზარდისათვის დამახასიათებელი წონასწორობა ჯერ არ არის მიღწეული. სხეულის პროპორციები იცვლება, ტანი სწრაფად მალდება, იცვლება ჩონჩხის სტრუქტურა (გოგონებთან განსაკუთრებით ვითარდება მენჯი), სრულდება გაძვლების პროცესი (ამ ასაკში საგანგებო ყურადღებას მოითხოვს ძვლების ჰიგიენა, ამ პერიოდში ხშირია ხერხემლის გამრუდება და სხვ.).

დიდი ცვლილებები ხდება გულ-სისხლძარღვთა სისტემაში: გულის მოცულობა არ შეესატყვისება სისხლძარღვთა მოცულობას, რაც სისხლის მიმოქცევის დარღვევას იწვევს და ადვილ დაღლილობასაც განაპირობებს.

დიდი ცვლილება ხდება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, რომელიც ორგანიზმის ყველა მოქმედებას განაგებს. სახელდობრ, ერთი მხრივ, მატულობს ნერვული აგზნებადობა (ნერვული სისტემა ადვილად ღიზიანდება და ზედმეტად აიგზნება). მეორე მხრივ, სისხლის მიღენა ხდება შინაგან ორგანოებთან, ხოლო ტვინი სისხლნაკლებობას განიცდის და თანაც ძალიან სწრაფად იზრდება, მატულობს მისი წონა. ყოველივე ეს დიდ გადაღლას იწვევს.

არსებითად იცვლება მოძრაობათა რეგულაცია, თუ ბავშვობის ასაკში დამახასიათებელია მოძრაობათა უმრავლესობის ქერქქვეშა ცენტრების მიერ წარმოება, ტვინის ქერქის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით ასეთ უნებლიე ხასიათის მოძრაობათა დიდი რაოდენობა ახლა ნებისმიერად, ცნობიერად სრულდება. ამის შედეგად იკარგება ბავშვობაში მიღწეული მოძრაობათა მოქნილობა, სიმარდე, ბუნებრიობა,— მოძრაობები მოუხეშავი ხდება; ძველი ავტომატიზმები ირღვევა, ახალი კი ჯერ არ არის შემუშავებული. ახლა ნებისმიერად სრულდება ისეთი მოძრაობები, რომლებიც წინა ასაკებში და შემდეგ ასაკშიც ავტომატურად მიმდინარეობენ.

ბუნებრივია, რომ იმ დიდი ცვლილებების გამო, რომელსაც ამ ასაკში ნერვული სისტემა განიცდის, იგი სუსტდება და ამიტომ ამ ასაკობრივ პერიოდში ყურადღებას იქცევს ნერვული და ფსიქიკური დაავადებანი, კერძოდ, შედარებით ხშირია ვეგეტატიური ნერვული სისტემის ფუნქციების დარღვევა, რაც, თავის მხრივ, საკმაოდ ხშირად, ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს და ა. შ.

4. დიდი ცვლილებები და გარდატეხები ხდება მოზარდის ფსიქიკურ განვითარებაში. ერთი მხრივ, სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებით, ორგანიზმში იღვიძებს თუნდაც გაუცნობიერებელი, ახალი ძლიერი მოთხოვნილებები, ხოლო, მეორე მხრივ, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება გამორიცხულია: მოზარდი არც ორგანულად და არც სოციალურად არაა მზად ოჯახის შესაქმნელად. ამ მხრივ იგი ჯერ ბავშვია.

იმ შემთხვევაში, თუ მომწიფებასთან დაკავშირებული ახალწამოჭრილი მოთხოვნილებები წარმართავენ მოზარდის ინტერესებს, მაშინ იგი დიდი ხიფათის წინაშე დგება: ეს არის ე. წ. „სქესობრივი პარაზიტიზმი“, ანუ ფიზიოლოგიური ტერმინოლოგიით, „სქესობრივი დომინანტის“ შექმნის საშიშროება. ეს მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ არაჩანსალი ინტერესები სქესობრივი ცხოვრების მიმართულებით იზიდავენ და შთანთქავენ მოზარდის ყველა ინტერესებს, მისი პიროვნების ყველა ძალებს, მთელს მის ყურადღებას, აზროვნებასა და ნიჭიერებას.

ამ ხიფათის ასარიდებლად ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს დროზე, ე. ი. სქესობრივი მომწიფების პერიოდის დაწყებამდე ან, ყოველ შემთხვევაში, მისი დასაწყისისათვის რაიმე სხვა მიმართულებით მტკიცე და ღრმა ინტერესების გაღვიძება მოზარდში. იქნება ეს რაიმე დარგისადმი შემეცნებითი ინტერესები, ტექნიკურ-კონსტრუქტული ინტერესები, სპორტული გატაცება, მო-



ზარდთა შორის საზოგადოებრივი მუშაობით გატაცება, თუ სხვა რამ — სულ ერთია. მთავარია, რომ ეს ინტერესი ღრმა და მტკიცე იყოს!

ასეთი ინტერესების დანერგვისათვის ჩვენი სინამდვილე არაჩვეულებრივ დიდ შესაძლებლობებს იძლევა: სკოლაში თუ პიონერთა სასახლესთან არსებული მოზარდთა ყოველნაირი წრეები და სხვა ანალოგიური ორგანიზაციები ყოველნაირი მიმართულების ინტერესის მქონე მოზარდთათვის ფართო შესაძლებლობას იძლევიან ინტერესთა გასამტკიცებლად და მათ დასაკმაყოფილებლად.

ხოლო თუ მომწიფების პერიოდში ბავშვს რაიმე მიმართულებით ძლიერი და ღრმა ინტერესები გააჩნია, მაშინ ეს ინტერესები გადახრიან თავისკენ მოზარდის ენერგიას, მისცემენ მას სხვა კალაპოტს, ბავშვი ჩაერთვის ამ ინტერესების შესატყვის მოქმედებაში და ის ენერგიაც, რაც სქესობრივ მომწიფებასთანაა დაკავშირებული, ამ სხვა ინტერესთა კალაპოტით წარიმართება. მოზარდის მთელი პიროვნება გარდამავალი ასაკისათვის ჩვეული ალტერინებით ჩაერთვის ამ ინტერესთა სფეროში.

ამრიგად, მტკიცე ინტერესების შექმნა გარდამავალ ასაკში აღზარდის ძირითად და უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს!

5. რა შესაძლებლობები არსებობს ამ მხრივ მეორე სასკოლო ასაკში? — არაჩვეულებრივ ბევრი და არაჩვეულებრივ ეფექტური! სწორედ ამ ასაკში უვითარდება მოზარდს ის თვისებები, რომელნიც კულტურის ყველა დარგისადმი მტკიცე ინტერესის გაღვიძებასა და განმტკიცებას უწყობს ხელს:

ამ ასაკში მეტად ინტენსიურია აზროვნების განვითარება: სახელობრ, 11-დან 14 წლამდის ბავშვს უვითარდება ლოგიკური, ცნებითი აზროვნება და თანაც უმწიფდება ნამდვილი შემეცნებითი ინტერესები ცოდნის სხვადასხვა დარგის მიმართ. ამ ასაკში ძლიერ აღმავლობას განიცდის ტექნიკური აზროვნება და ტექნიკურ-კონსტრუქტიული უნარი.

ეს ასაკი სამყაროსა და თავისი თავის მიმართ ნამდვილი შემეცნებითი ინტერესების გაღვიძების ასაკია: ამ ასაკში ბავშვს თვით სწავლის პროცესი კი არ იზიდავს, როგორც ეს წინა ასაკისათვის არის დამახასიათებელი, არამედ მასში იღვიძებს ინტერესი ცოდნის შინაარსის მიმართ, იმ კანონზომიერების მიმართ, რომელიც არსებობს ობიექტურ სამყაროში და ადამიანის ორგანიზმში, თუ მის შინაგან სამყაროში. აღმზრდელს მოეთხოვება მხოლოდ ხელის შეწყობა ამ ინტერესთა განვითარებისათვის ამ ასაკში. მოზარდი მწიფ-

დება ესთეტიკურადაც. ესთეტიკური გრძნობის განვითარება მაღალ დონეს აღწევს და ესთეტიკური ტკბობა ხშირად დამოუკიდებელი ინტერესების სფეროდ გადაიქცევა: მოზარდი მზად არის ხელოვნების ყოველივე დარგისადმი ძლიერი ინტერესების გასაღვივებლად. ლიტერატურა, პოეზია, მხატვრობა, მუსიკა, თეატრალური ხელოვნება ადვილად შეიძლება გადაიქცეს მისი კვრეტიით ინტერესების საგნად; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოზარდს რომელიმე ამ დარგთაგანის შესატყვისი ნიჭიც გააჩნია, იგი მზადაა ამ მიმართულებით პრაქტიკული, შემოქმედებითი მუშაობისათვისაც (მუსიკისა თუ ხატვის სერიოზული დაუფლება, ლიტერატურულ თუ დრამატულ წრეში მონაწილეობა და ა. შ.). ამ ასაკიდან რაიმე სპეციფიკური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდები უკვე სათანადო მიმართულებით შემოქმედებითი მუშაობისათვისაც არიან მზად (ლექსების წერა, ხატვა და ა. შ.).

ამ ასაკში მოზარდს ხშირად უვითარდება სპორტული ინტერესები, შეკიბრის მოთხოვნილება, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს სპორტის რომელიმე დარგით გატაცებას, ოღონდ ამ შემთხვევაში ექიმის მეთვალყურეობა აუცილებელია, რადგანაც „კრიზისის“ მდგომარეობაში მყოფი ორგანიზმი ადვილად შეიძლება გადაიტვირთოს და გადაიღალოს!

რაც მთავარია, ამ ასაკში მოზარდის პიროვნება ვითარდება იმ დონემდე, რომ, როგორც წესი, იგი მზადაა, ე. წ. მაღალი, სპეციფიკურად ადამიანური, პიროვნების მოთხოვნილებების ჩამოყალიბებისათვის. ეს არის ასაკი პირადი მორალის ჩამოყალიბებისა და საზოგადოდ მორალის საკითხებისადმი გამახვილებული ინტერესებისა პატრიოტიზმის გრძნობა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგისადმი ინტერესი, კოლექტივიზმი, საორგანიზაციო მუშაობისადმი სწრაფვა, თვისი კოლექტივის ინტერესთა დაცვის გამახვილებული მოთხოვნილება და ა. შ., ზემოთ აღნიშნულ შემეცნებით და ესთეტიკურ ინტერესებთან ერთად, საუკეთესო ბაზას ქმნიან მოზარდის პიროვნების მთლიანი ჩართვისათვის ამ მაღალ, სპეციფიკურად ადამიანურ ინტერესთა სფეროში, პიროვნების ყველა ძალისა და უნარის ამომწურავი ჩართვისათვის იმ საქმიანობაში, რომელიც აინტერესებს მოზარდს, რომლითაც იგი არსებობს და სუნთქავს.

6. მიუხედავად ყველა ამ დადებითი ფაქტორებისა, ამ მიმართულებით მოზარდზე ზეგავლენას დიდი სიძნელეც ახლავს! საქმე ის არის, რომ ამ ასაკში ბავშვი უკიდურესად კრიტიკულად არის განწყობილი; მას აღარ სწამს ავტორიტეტები და ეს კრიტიკული

განწყობილება მასწავლებლებზე, მშობლებზე და საზოგადოდ დიდებზე ვრცელდება. ეს ასაკი ნეგატივიზმის ასაკია და ამიტომ ამ პერიოდში მოზარდზე რაიმე გავლენის მოხდენისათვის დიდი სიფრთხილე და პედაგოგიური ტაქტია საჭირო.

7. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი არასასურველი სქესობრივი ინტერესებიდან მოზარდის გადანაცვლებაში დიდ დადებით როლს თამაშობს ბავშვობიდანვე და, კერძოდ, გარდამავალ ასაკში ორივე სქესის ბავშვთა ერთად სწავლა, ერთად მუშაობა წრეებში და საზოგადოდ ერთად ყოფნა. ამას არ უშლის ხელს, კერძოდ, არც ის სპეტაკი „ყმაწვილური გატაცება“, „ყმაწვილური შეყვარება“, რომელიც ხშირად იჩენს ხოლმე თავს ამ ასაკში. ეს გრძნობა მხოლოდ აამაღლებს მორალურად ყმაწვილს და უკეთესობისაკენ უბიძგებს მას. ასეთი წმინდა გრძნობა, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ხოლმე, ამ ასაკში არასასურველ სქესობრივ ინტერესთა დახშობის ერთ-ერთ ეფექტურ ფაქტორს წარმოადგენს. ხოლო ორი სქესის მოზარდთა ცალ-ცალკე სწავლა, მათი იზოლაცია ერთმანეთისაგან, პირიქით, ხელს უწყობს მეორე სქესის მიმართ არაჩანსალი ინტერესის გაღვიძებას. ამ შემთხვევაში მეორე სქესისათვის სპეციფიკური ყოველგვარი გამოვლინებები დაწყებული ჩაცმიდან თუ თმის დაყენებიდან და გათავებულ ტანის მოყვანილობის, მოძრაობებისა და ხმის თავისებურებებით, მოზარდის თვალში არაჩვეულებრივად გამოიყურება, არაჩანსალი ინტერესს იწვევს და მისდაუნებურად მის ცნობიერებაში არასასურველ მოთხოვნილებებს უკავშირდება. ორი სქესის ბავშვები დაბალი ასაკიდანვე უნდა ეჩვეოდნენ ერთმანეთს.

## § 2. ფსიქიკურ ფუნქციათა განვითარება

### ონტოგენეზში

#### აღმოსანი განვითარება

1. სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებები ბავშვს სიცოცხლის პირველ თვეებშივე უვითარდება. იგი განსხვავებულ რეაქციას იძლევა სხვადასხვა ბგერებზე, გემოზე, სუნზე, ფერებზე და ა. შ. სხვადასხვა სახის შეგრძნების უნარი ამ ასაკის ფარგლებში სხვადასხვა დროს მწიფდება. რეცეფტორების რიგი დაბადებიდანვე ფუნქციონობს, 3 თვის ასაკისათვის ბავშვი განსხვავებულ რეაქციას იძლევა უკვე მთავარ სპექტრალურ ფერებზე, მაგრამ აღქმა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. საგნის თვალსაჩინო განცდა უფრო გვიან ყალიბდება, ვიდრე პირველი რეაქცია გამლიზიანებელზე.

როგორც ექსპერიმენტული მონაცემებიდან ჩანს, დაბადების შემდეგ პირველ პერიოდში ბავშვი საგანს, როგორც ასეთს, კი არ აღიქვამს, არამედ უფრო დიფუზიურ, გაუნაწევრებელ შთაბეჭდილებებს განიცდის, რომელშიც ჯერ არაა გამოყოფილი ერთმანეთისაგან ობიექტური და სუბიექტური, საგნის თვისება და სუბიექტში საგნით აღძრული ემოციური ელფერის შთაბეჭდილება.

ფიქრობენ, რომ ალქმის ჩამოყალიბების პროცესში ეს, საგნის გავლენით გამოწვეული, დიფუზიური განცდა თანდათან დიფერენცირდება: სენსორული შთაბეჭდილებები „საგნობრივდება“ — სუბიექტის გარეთ მოცემული საგნის ალქმის სახით ყალიბდება, ე. ი. უკვე ალქმის ძირითადი ნიშნის — საგნობრიობის მატარებელი ხდება (იხ. თ. III — ალქმის საგნობრიობა).

საგნით გამოწვეული სუბიექტური, ემოციური ელფერის შთაბეჭდილებები თანდათან გამოეყოფა საგნის ობიექტურ თვისებათა ალქმის. მაგრამ ალქმის მეტ-ნაკლები სუბიექტურობა მთელი ბავშვობის პერიოდისათვის რჩება დამახასიათებელი: ბავშვი დიდხანს ვერ თავისუფლდება ეგრეთ წოდებული „ფიზიოგნომიური“ ალქმისაგან: ყოველი უსულო საგანიც კი აღიქმება რაიმე შინაგანი ემოციური თვისებების მატარებლად, — ზოგი მოლუმულად გამოიყურება, ზოგი მხიარულად. ზოგი კეთილად, ზოგი ბოროტად..., ისე რომ, მაგალითად, საგნის დახატვისას, ადრეული ასაკის ბავშვი პირველ რიგში ამ სუბიექტურ ემოციურ შთაბეჭდილებას გამოხატავს ხოლმე და ნაკლებად ზრუნავს საგნის ობიექტურ თვისებათა გამოხატვაზე. განვითარების პროცესში ბავშვის ალქმის ეს თავისებურებაც კლებულობს, ალქმა სულ უფრო და უფრო ობიექტურ ხასიათს ატარებს, რაც, კერძოდ, საგნის დახატვაშიც იჩენს თავს.

2. ალქმის განვითარების მეორე ხაზი მისი სტრუქტურის განვითარებაში მდგომარეობს. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე ალქმა დიფუზიურ, გაუნაწევრებელ მთლიანობას წარმოადგენს და რომ შემდეგ ასაკობრივ განვითარებასთან ერთად თანდათან ხდება ამ მთლიანობის დიფერენცია-ცია, განაწევრება, ისე რომ სავესებით განაწევრებული მთლიანის — გეშტალტის.<sup>1</sup> — სახეს ადამიანის ალქმა საკმაოდ ხანგრძლივი ონტოგენეტური განვითარების შემდეგ იღებს.

ძეძუს ასაკის ბავშვის ალქმა ჯერ იმდენად დიფუზიურ მთლიანობას წარმოადგენს, რომ ბავშვი არა მხოლოდ საგნის ცალკე ნაწი-

<sup>1</sup> იხ. თ. III. § 1.

ლებს ან მის ცალკე თვისებებს ვერ გამოჰყოფს ალქმაში, არამედ იმ შემთხვევაში, როდესაც საგნები მკიდრო სივრცით კონტაქტშია მოცემული, სხვადასხვა საგანსაც ერთ დიფუზიურ მთლიანობაში აღიქვამს — ვერ გამოჰყოფს ალქმაში ერთმანეთისაგან. მაგალითად, თუ ბრჭყვიალა საგანი, რომელიც იზიდავს მ თვის ბავშვს, დადებულია რუხ მუყაოზე, ბავშვი მთელ მუყაოს ეტანება ამ საგანთან ერთად და თავისკენ მიაქვს, რადგანაც მის ალქმაში ეს საგანი ვერ გამოეყოფა მუყაოს. ამგვარი ექსპერიმენტული მონაცემებიდან დაასკვნიან, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე ბავშვის ალქმა არა მხოლოდ ინტრადიფუზიურია, ე. ი. არა მხოლოდ ერთი საგნის ფარგლებშია („შიგნით“) დიფუზიური, არამედ ინტერადიფუზიურია, ე. ი. საგანთა შორისაც დიფუზიურია.

ალქმის დიფუზიურობა განვითარების პროცესში კლებულობს, ბავშვი სულ უფრო ადვილად ახერხებს მთლიანი საგნის განაწევრებას, ე. ი. ალქმაში საგნის ცალკე თვისებათა გამოყოფას.

სკოლამდელი პერიოდისათვის ბავშვი უკვე ახერხებს მთლიან საგანში რომელიმე ცალკე თვისების, მაგალითად, ფერის, სიდიდის ან ფორმის განხილვას დანარჩენი თვისებებისაგან დამოუკიდებლად.

ამ პერიოდის ბოლოსათვის ბავშვის ალქმა უკვე სავსებით განაწევრებულ, გეშტალტურ მთლიანობას წარმოადგენს (იხ. თ. III, §1: ალქმის მთლიანობა).

### უპრადღების განვითარება

1. დაბადების შემდეგ პირველივე თვის ბოლოს დადასტურებულია „რეფლექსური ყურადღების“ პირველი გამოვლინება, ე. ი. ხაორიენტაციო რეფლექსის სახის მოქმედება: რეფლექსური ხასიათის მომართვა გამღიზიანებლის მიმართულებით, რომელიც ხელს უწყობს ამ გამღიზიანებლის მიღებას, მის, ასე ვთქვათ, ალქმას. II თვიდან, ე. ი. ახალდაბადებულობის პერიოდის შემდეგ (ასეთი მოქმედება უკვე სისტემატურ ხასიათს ატარებს და ბავშვისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ხდება (იხ. ზემოთ — ძუძუს ასაკი). ბავშვს იზიდავს ზომიერი ინტენსივობის ოპტიკური და სმენითი გამღიზიანებლები; ბავშვი მათ რამდენიმე სეკუნდს „მიაჩერდება“ ხოლმე.

2. ერთი წლის შემდეგ, ექვს წლამდის ბავშვისათვის ტიპურია უშუალო ინტერესით, ე მოციით წარმართული ყურადღება. ყურადღება/როგორც საზოგადოდ ბავშვის ქცევა, კმ ასაკში იმპულსურია. ყურადღება წარიმართება ბავშვის უშუალო სწრაფ-

ვის საფუძველზე. თუმცა სკოლამდელ ასაკში — 4-დან 7 წლამდის — უკვე იჩენს თავს ნებისმიერი ყურადღების ჩანასახებიც, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საბავშვო ბაღის პედაგოგიურად მოწესრიგებული გარემო, განსაკუთრებით კი სწავლების ელემენტები და გარკვეული რეჟიმი, რასაც საბავშვო ბაღის პირობებში აქვს ადგილი (იხ. ზემოთ — სკოლამდელი ასაკი), მაგრამ ყურადღების ნებისმიერი, აქტიური ფორმები ჯერ კიდევ არ არის ბავშვისათვის დამახასიათებელი.)

3. 7 წლიდან, ე. ი. სასკოლო ასაკის დასაწყისიდან, სასკოლო რეჟიმისადმი დამორჩილება (სასკოლო დავალებების შესრულება, ერთი მხრივ, აუცილებლად მოითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ, ანვიტარებს ქცევის ნებისმიერ ფორმებს და, კერძოდ, ნებისმიერ, აქტიურ ყურადღებას (იხ. ზემოთ — პირველი სასკოლო პერიოდი). ამ ასაკიდან ყურადღების ნებისმიერი, აქტიური ფორმა სულ უფრო ხშირად იჩენს თავს.)

თერთმეტი წლის ასაკისათვის ყურადღების ეს სპეციფიკურად ადამიანური ფორმა უკვე მოზარდისათვისაც დამახასიათებელი ხდება. საგულისხმოა, რომ იმავე ასაკში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ყურადღების სხვა თვისებათა განვითარებაშიც (სტაბილობა, გადაუხრადობა) და აგრეთვე ბავშვის გონებრივ განვითარებაშიც (იხ. ქვემოთ).

ამრიგად, ყურადღების განვითარება ონტოგენეზში, ძირითადად ნებისმიერი ყურადღების ჩამოყალიბებაში მდგომარეობს.

4. ყურადღების განვითარების ამ ძირითად ხაზთან პარალელურად ბავშვობის პერიოდში ყურადღების სხვა თვისებებიც ვითარდება. განსაკუთრებით შესწავლილია ყურადღების მოცულობისა, კონცენტრაციის, სიმყარის (გადაუხრადობის) და გამძლეობის („კონსტანტობის“) განვითარება<sup>1</sup>.

ძუძუს ასაკში ბავშვს ყურადღების მოცულობის უკიდურესი სივიწროვე ახასიათებს; მისი მოცულობა ერთი საგნით, ერთი შინაარსით განისაზღვრება. (ბავშვის ყურადღების სივიწროვის დასადასტურებლად მიუთითებენ ხოლმე პირველად მოიმანის მიერ მოყვანილ მაგალითზე; როდესაც პატარა ბავშვს ხელში სათამაშო უჭირავს, მეორე ხელში რომ სხვა სათამაშო მივცეთ, პირველი ხელიდან გაუფარდება, რადგანაც ბავშვის ყურადღების მოცულობას მთლიანად ახლად მიცემული სათამაშო დაიკავებს. ყურადღების მოცულობის

<sup>1</sup> ყურადღების ამ თვისებათა შესახებ იხ. თ. IV, § 2.

ეს უკიდურესი სივიწროვე მალე გადაილახება. ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ყურადღების მოცულობა 2—3-ს უდრის, 12 წლის ბავშვისა კი—3—4-ს. ზრდადამთავრებულისათვის დამახასიათებელ მოცულობას, ყურადღება მხოლოდ გარდამავალი პერიოდის შემდეგ — 16 წლის ასაკისათვის, აღწევს.

5. ბავშვის უნებლიე, ინტერესით სტიმულირებული ყურადღების სიმტკიცის (გამძლეობის) შესწავლის შედეგად, გამოირკვა, რომ უკვე პირველი წლის ბოლოს თამაშით გატაცებული ბავშვის ყურადღება ერთი მიმართულებით თხუთმეტობდე წუთის (მინუტის) განმავლობაში შეიძლება იყოს წარმართული; შემდეგ თითქმის სკოლამდელ ასაკამდე რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს ამ მიმართულებით ადგილი არა აქვს, ხოლო მეოთხე წლიდან თავს იჩენს პირველი გარდატეხა: ამ ასაკიდან თამაშით გატაცებული ბავშვის ყურადღება უკვე მთელი საათის განმავლობაში შეიძლება იყოს ერთი მიმართულებით წარმართული.

განვითარების შემდეგი საფეხური მიიღწევა სკოლამდელი პერიოდის ბოლოს: მეექვსე წლიდან თამაშით გატაცებული ბავშვის ყურადღება ერთი მიმართულებით საათნახევარზე მეტ ხანსაც წარმართება (ცხადია, რომ ყურადღების სიმტკიცის ასეთი განვითარება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ამ ასაკიდან (6 წლის შემდეგ) სწავლის დაწყებისათვის).

ყურადღების სიმყარის, ანუ მის გადაუხრადობის ექსპერიმენტული შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ პირველ წლებში ბავშვს ახასიათებს ყურადღების უკიდურესად სუსტი კონცენტრაცია და ძალიან დიდი გადახრადობა, 4 წლის ასაკიდან ეს თვისება მნიშვნელოვნად იცვლება, ხოლო მეხუთე წლიდან უნებლიე ყურადღების გადახრადობა თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე მეოთხე წლის ასაკში)

სასკოლო ასაკის განმავლობაში ძირითადად უკვე ვითარდება ნებისმიერი, აქტიური ყურადღების გადაუხრადობა (სიმყარე) და კონცენტრაციის ინტენსივობა. მაგრამ მაღალ დონეს იგი მხოლოდ 11 წლის ასაკიდან აღწევს, ხოლო განვითარების უმაღლეს საფეხურს — 15 წლისათვის.

ცხადია, რომ ყურადღების გადაუხრადობას და მისი კონცენტრაციის ინტენსივობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის პროცესის განხორციელებისათვის. მეორე მხრივ კი თვით სწავლის პროცესი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ყურადღების ამ თვისებების განვითარებას.

მეხსიერების პირველი გამოვლინებები ჯერ „შეზღუდული“ მეხსიერების (იხ. თ. V, § 2) სახით, ე. ი. აღქმის პროცესთან დაკავშირებული მეხსიერების სახით, თავს იჩენენ უკვე სიცოცხლის პირველი წლის პირველ მეოთხედში.

1. დადასტურებულია, რომ ცხოვრების მეორე თვიდან ბავშვი მისი მხედველობის ველიდან უტბად „გამქრალ“ საგანს 4—7 სეკუნდის განმავლობაში „მოელის“, ე. ი. დამალული საგნის მიმართულებით იყურება, 3 თვიდან — 12—25 სეკუნდის განმავლობაში, ხოლო 8 თვისათვის ერთ წუთზე მეტ ხანს იყურება „დაკარგული“ საგნის მიმართულებით. როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში ბავშვის ცნობიერებაში ასახულია საგანი, რომლის აღქმა შეწყდა. ამიტომ ასეთი ქცევა უშუალო მეხსიერების (იხ. თ. V, § 2) პირველ გამოვლინებად ითვლება.

ამგვარად, მეხსიერების ამ უმდაბლესი ფორმის განვითარების დასაწყისად სიცოცხლის მეორე თვე ითვლება.

2. ცნობის მეხსიერების (იხ. თ. V, § 2) პირველი გამოვლინებები, ბავშვის ქცევის დაკვირვებით და ექსპერიმენტულადაც, დადასტურებულია უკვე 3 თვის ასაკში. უცნობისა და ნაცნობის მიმართ ბავშვი განსხვავებულად იქცევა სიცოცხლის მესამე თვიდან. ცნობის მეხსიერების უმდაბლესი გამოვლინება, რომელიც ჯერ არ გულისხმობს ნაცნობობის განცდას, თავს იჩენს მრავალჯერ გამეორებული გამლიზიანებლის მიმართ რეაქციის შეცვლაში და ჩვეულებრივისა და უცხოის მიმართ განსხვავებულ რეაქციის მოცემაში. 3 თვის შემდეგ ნაცნობი ადამიანების, ნაცნობი სათამაშოებისა და სხვა ჩვეული საგნების დანახვა უკვე სპეციფიკური სიხარულის რეაქციას იწვევს. ხოლო უცნობის მიმართ რეაქციას ამ ასაკში ჩვეულებრივ სპეციფიკური უარყოფითი ემოციური ტონი ახლავს. როგორც ჩანს, ამ ასაკიდან უკვე „ნაცნობობის გრძნობის“ და „უცნობობის გრძნობის“ განცდასაც აქვს ადგილი (იხ. თ. V, § 2 — „ცნობის მეხსიერება“).

ცნობის მეხსიერების შემდგომი განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს უმთავრესად ორი მიმართულებით — იზრდება მეხსიერების ფარული პერიოდი, ე. ი. ის პერიოდი, რომლის შემდეგ ბავშვი ცნობს წინათ ნახულ საგანს, და იზრდება იმ საგანთა წრე, რომელსაც ცნობს ბავშვი. მეორე წლიდან ცნო-



ბის მეხსიერების ფარული პერიოდი უკვე თვეებს აღწევს, ხოლო მეოთხე წლიდან ერთ წელსაც შეიძლება გადასცილდეს.

ნამდვილი ცნობა, რომელიც უკვე გაიგივებას გულისხმობს (იხ. თ. V, § 2), ცხადია, უფრო გვიან მიიღწევა, ვიდრე ცნობის დაბალი ფორმები.

3. უფრო გვიან — ძუძუს ასაკის ბოლოს — იწყება „თავისუფალი“, ე. ი. აღქმიდან „ემანსიპირებული“, წარმოდგენის სახით გამოვლინებული მეხსიერების (იხ. თ. V, § 2) განვითარება.

პირველად თავს იჩენს წარმოდგენის ასოციაციური გამოწვევა აღქმის საფუძველზე: ერთი რაიმეს აღქმა ასოციაციით იწვევს მეორე მოვლენის წარმოდგენას. უფრო გვიან იჩენს თავს წარმოდგენათა ასოციაცია, ე. ი. წარმოდგენის ასოციაციური გამოწვევა სხვა წარმოდგენასთან დაკავშირებით.

4. მეტად მნიშვნელოვანია მეხსიერების განვითარებაში მეხსიერების უნებლიე ფორმებიდან გადასვლა ნებისმიერ, აქტიურ ფორმებზე. სასკოლო ასაკამდე, ე. ი. 7 წლამდე ბავშვისათვის დამახასიათებელია მეხსიერების უნებლიე ფორმები. ამ პერიოდში ბავშვი ძალიან ბევრს ითვისებს, მაგრამ ეს ხდება არა ნებისმიერად, არა მიზანდასახულად წარმოებული სწავლის შედეგად, არამედ უნებურად, თამაშისა თუ მოსმენის, ან ცქერის პროცესში, დასწავლისა და დახსოვების განზრახვის გარეშე. უხებლიე მეხსიერება სკოლამდელ ასაკში მალალ განვითარებას აღწევს. რაც შეეხება ნებისმიერ, აქტიურ მეხსიერებას, იგი ძირითადად სასკოლო ასაკიდან ვითარდება: ეს მომენტი მეხსიერების განვითარებაში მნიშვნელოვან გარდატეხად ითვლება...

აღსანიშნავია, რომ აქტიური მეხსიერების განვითარების პერიოდში თვალსაჩინოდ მატულობს მეხსიერების მოცულობაც, მაგრამ საყურადღებოა, რომ უფროსი სასკოლო პერიოდიდან (14 წლიდან), როდესაც აქტიური მეხსიერება მალალ დონეს აღწევს, მეხსიერების განვითარება ხდება უმთავრესად არა მისი, ასე ვთქვათ, ბუნებრივი ძალის, არა, როგორც ამბობენ, „ნატურალური მეხსიერების“ განვითარების ხარჯზე, არამედ უმთავრესად მოზარდის გონებრივი განვითარებისა და ნებისმიერი მოქმედების უნარის განვითარების შედეგად. საქმე ის არის, რომ ინტელექტუალური განვითარების შედეგად მოზარდი სულ უფრო ნაყოფიერად ახერხებს დასასწავლი მასალის გონებრივ გადამუშავებას, მის სათანადო ორგანიზაციას — მთავარის გამოყოფას, ძირითადის დახსოვებას, ელემენტების დაკავშირებას და ა. შ., რაც, როგორც ვიცით, დახსოვების მნიშვნელო-

ვან ფაქტორებს წარმოადგენს<sup>1</sup> (იხ. თ. V, § 3). გარდა ამისა, ამ ასაკში ვითარდება ნებისყოფა — თავისი ძალების ნებისმიერი მოპილოზაციის უნარი და, კერძოდ, დახსომების მიმართულებით ნებისყოფის დაძაბვის უნარი.

5. მოზარდის გონებრივ განვითარებასთან ერთად იცვლება აგრეთვე დახსომებისათვის მისაწვდომი მასალის შინაარსი: ბავშვობაში მეხსიერებისათვის მისაწვდომია უმთავრესად კონკრეტული, თვალსაჩინო მასალა, მოზარდი კი ადვილად იხსომებს უკვე განყენებულ, აზრობრივს, ვერბალურ მასალას.

აღსანიშნავია, რომ თუმცა მოზარდილის მეხსიერების მოცულობა და დასწავლის სისწრაფე აღემატება ბავშვისას (მოზარდილს შეუძლია ბევრად მეტი მასალის დახსომება და უფრო სწრაფადაც შეუძლია დასწავლა), მაგრამ ბავშვის მეხსიერებას მეტი სიმტკიცე ახასიათებს: როგორც წესი, ბავშვობაში (თუ არ მივიღებთ მხედველობაში სიცოცხლის პირველ წლებს), დახსომებული უფრო მტკიცედ გვახსოვს, ვიდრე დიდობისას დახსომებული.

როგორც ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ირკვევა, დასწავლის უნარი სასკოლო ასაკში მნიშვნელოვნად ვითარდება დაახლოებით 12—13 წლამდის, მერე, გარდამავალ ასაკში — 16 წლამდის, განვითარება ნელდება, ხოლო 16-დან 20—25 წლამდის ისევ ინტენსიურად ვითარდება, შემდეგ კი განვითარება წყდება, 50—55 წლის შემდეგ მეხსიერება შესამჩნევად სუსტდება.

6. ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სუბიექტის ე. წ. „ისტორიულ მეხსიერებას“, ე. ი. თავის თავის შესახებ ბავშვობიდან დარჩენილ მოგონებებს, მოგონებებს, რომელნიც თავის პიროვნების ისტორიას წარმოადგენენ. როგორია ამ სახის მეხსიერების განვითარება?

დაბალი ასაკის ბავშვი მთლიანად აწმყოთი ცხოვრობს; წარსულის მიმართ მას არავითარი ინტერესი არა აქვს. როგორც ჩანს, ეს გარემოებაც თამაშობს როლს იმაში, რომ სიცოცხლის პირველი წლებიდან ადამიანს ჩვეულებრივ არავითარი მოგონებები არ რჩება. გამოირკვა, რომ ერთეული, განცალკევებული პირველი მოგონება ზრდადამთავრებულს ხშირად აქვს 3 წლის ასაკიდან, იშვიათად — 2 წლის ასაკიდან. უფრო ადრეული მოგონებები დასტურდება, მაგრამ უნიკალური შემთხვევების სახით. უმრავლესობის პირველი მოგონებები კი 4 წლის ასაკს და საკმაოდ ხშირად — 5 წლის ასაკსაც ეკუთვნის.

<sup>1</sup> იხ. რ. ნათაძე, მეხსიერება, თბილისი, 1963, გვ. 84 და შემდ.

ასეთი, ცალკეული ხასიათის პირველი მოგონების ასაკი ნაწილობრივ შემთხვევაზედაც არის დამოკიდებული, რადგანაც პირველი მოგონება ეხება ხოლმე ამბავს, რომელმაც თავის დროზე ბავშვში ძლიერი ემოცია გამოიწვია. როდის შეხვდა ბავშვს ასეთი ინტენსიური შთაბეჭდილების მომგვრელი ამბავი — 3 წლის ასაკში, თუ ორი წლის ან ოთხი წლის ასაკში, — ეს, ცხადია, შემთხვევაზედაც არის დამოკიდებული. ამ ცალკეულ მოგონებებს არა აქვთ ხოლმე შესამჩნევი მნიშვნელობა პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, თუკი მომხდარმა ამბავმა არ იმოქმედა პიროვნებაზე ტრავმატულად.

რაც შეეხება გაბმულ, უწყვეტ მოგონებებს თავის შესახებ, რომელნიც მართლაც პიროვნების ისტორიის მოგონებას წარმოადგენენ, ასეთი მოგონებები უფრო გვიან იწყება.

გამოირკვა, რომ თავისი თავის შესახებ ასეთი უწყვეტი გაბმული მოგონება ხშირად 5 წლიდან იწყება, საკმაოდ ხშირად — 7 წლის ასაკიდანაც, იშვიათად — 8 წლისა და ზოგჯერ (ძალიან იშვიათად) — 10 წლის ასაკიდანაც კი.

საინტერესოა, რომ რაც უფრო ახალგაზრდაა ადამიანი, რომელიც იგონებს თავის ბავშვობას, მით უფრო აღრინდელ პერიოდს ეკუთვნის ხოლმე მისი პირველი მოგონებანი.

აღმოჩნდა, რომ მოგონებული წარსულის გარკვეული პერიოდისათვის მიკუთვნების სიზუსტე გაპირობებულია პირადი ცხოვრების დაკავშირებით იმ კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან (კერძოდ, ხშირად სასკოლო კლასის ცხოვრებასთან), რომელშიაც ცხოვრობდა ბავშვი.

### აზროვნების განვითარება

1. ინტელექტის სპეციფიკურ ნიშნად, როგორც ზემოთ დავინახეთ (თ. VII, § 1), სუბიექტისათვის ახალ მიმართებათა დამყარება ითვლება. მიმართებათა დამყარების უმარტივეს ფორმას წარმოადგენს ფიზიკურ, თვალსაჩინო საგანთა შორის მარტივი მიმართების დამყარება მოქმედების გზით, მსჯელობის გარეშე (იხ. თ. VII, § 4). აქედან გასაგებია, რომ ბავშვის ინტელექტუალური განვითარების პირველი უდაბლესი გამოვლინების მაჩვენებლად ითვლება ბავშვის მიერ პრაქტიკული მოქმედების პროცესში უმარტივესი მიმართების დამყარება აღქმაში მოცემულ ორ ფიზიკურ საგანს შორის. ამიტომ როდესაც ბავშვი მოშორებით (მისი ხელისათვის მიუწვდომელ მანძილზე) დადებული ნამცხვრის ხელში ჩასაგდებად მოჰკიდებს ხელს

ნამცხვარზე მობმულ ბაწარს, რომლის ბოლო ბავშვთან ახლოსაა და ასე, ბაწარის საშუალებით, მოსწევს მას (იხ. თ. VII, § 4), ეს მიზანსა და საშუალებას შორის მიმართების დამყარების მოქმედება გონიერი ქცევის პირველი გამოვლინების მაჩვენებლად ითვლება. რადგანაც ძაფი უკვე მიბმულია ნამცხვარზე და, მასასადამე, მათ შორის კონტაქტი აღქმადია, თვალსაჩინოდაა მოცემული, ამიტომ ეს მიმართება უმარტივეს მიმართებად ითვლება. იგი უფრო მარტივია, ვიდრე, მაგალითად, შორიახლო დადებულ ჯოხსა და ბანანს შორის მიმართება ანთროპოიდებზე ჩატარებულ ცდებში (იხ. თ. VII, § 4), რადგანაც ამ უკანასკნელ ცდაში ჯოხი დაშორებულია ბანანისაგან და მათ შორის კონტაქტი დასამყარებელია.

ნამცხვრის ხელში ჩასაგდებად ბაწარის გამოწვევას ბავშვები, როგორც წესი, 10 თვის ასაკიდან (ზოგი 9 თვიდან) მიმართავენ. ამიტომ ინტელექტუალური განვითარების დაწყების ასაკად სიცოცხლის პირველი წლის უკანასკნელი თვეები ითვლება.

მაგრამ აზროვნების დასაწყისად ეს ასაკი ვერ ჩაითვლება, რადგანაც მსჯელობისა და საზოგადოდ ლოგიკური, ვერბალური აზროვნების გარეშე, მხოლოდ პრაქტიკულ მოქმედებაში მიმართების დამყარება აზროვნებას არ წარმოადგენს (იხ. თ. VII, § 4).

2. ვერბალური აზროვნების პირველ გამოვლინებად ითვლება მეტყველების დასაწყისი, სახელდობრ, ხიტყვის, როგორც საგნის აღმნიშვნელის პირველი გამოყენება, როდესაც სიტყვაში რალაცა მნიშვნელობა იგულისხმება.

სიტყვის ასეთი ხმარება იწყება მეორე წლის (დაახლოებით წლინახევრის) ასაკიდან, ამიტომ აზროვნების განვითარების დაწყების ასაკად მეორე წელი ითვლება. მართალია, მანამდე — დაახლოებით პირველი წლის ბოლოს, ბავშვი იყენებს ცალკე სიტყვებს. მაგრამ ეს სიტყვები ობიექტის აღნიშვნის ფუნქციას ჯერ არ ასრულებენ. სიტყვა ამ საფეხურზე ობიექტს კი არ აღნიშნავს, არამედ ბავშვის განცდათა კომპლექსს გამოხატავს, რასაც მეტყველებას დაუფლებული ადამიანი მთელი წინადადებით გამოხატავდა (იხ. ქვემოთ — მეტყველების განვითარება).

3. რამდენადაც ლოგიკური აზროვნება ცნებებით აზროვნებაა, ბუნებრივია, რომ მისი ონტოგენეტური განვითარებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ცნების დაუფლების განვითარება, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ბავშვის მიერ სიტყვის მნიშვნელობის

გ ა გ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა , ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი ს გა და ქ ე ე ვ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ლ ო გ ი კ უ რ ც ნ ე ბ ა დ .

მეორე წლის ბოლოს ცალკეულ კონკრეტულ საგანთა აღსანიშნავად ხმარებული პირველი სიტყვები, რა თქმა უნდა, ჯერ შორს არიან ცნებისაგან. ცნება ხომ საგანთა კატეგორიის (კლასის) შესახებ აზრია, რომელშიაც ამ კატეგორიის არსებითი ნიშნები გაიაზრება (იხ. თ. VII, § 2); ასეთი რამ ბავშვისათვის ჯერ სრულიად მიუწვდომელია. ექსპერიმენტული შესწავლის შედეგად გამოიჩვენა, რომ ბავშვის პირველი სიტყვებიდან ნამდვილი ცნების დაუფლებამდე აზროვნება გრძელ და რთულ გზას გაივლის; განვითარების ეს პროცესი გრძელდება უფროს სასკოლო ასაკის ბოლომდე; ხოლო ძირითადად 14 — 15 წლის ასაკში სრულდება.

4. სკოლის წინარე ასაკის დასაწყისში (4 წლის ასაკში) ბავშვის მეტყველების განვითარება ძირითადად მთავრდება (იხ. ქვემოთ — მეტყველების განვითარება); ბავშვი პრაქტიკულად ხმარობს შედარებით კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვათა დიდ რაოდენობას — რამოდენიმე ათასს, მაგრამ ეს, პრაქტიკულად სწორად ხმარებული სიტყვები ჯერ როდი წარმოადგენენ ცნებებს. ისინი ცნების სახით ვერ გაიაზრებიან. ეს სიტყვები, როგორც ამბობენ, ცნების „ფუნქციონალურ ექვივალენტს“ წარმოადგენენ, ე. ი. ასრულებენ ცნების ფუნქციას: ცნების ფუნქციის ექვივალენტური არიან მათი პრაქტიკული გამოყენებისას ისეთი სახის აზროვნებით ოპერაციებში, სადაც არაა აუცილებელი ნამდვილი ცნების გააზრება და, კერძოდ, არაა აუცილებელი ცნების არსებითი ნიშნების გააზრება, — მაგრამ შინაარსობრივად ცნებებს არ წარმოადგენენ.

მართლაც, სიტყვის მნიშვნელობა ამ საფეხურზე ბავშვის მიერ განიცდება როგორც გაუნაწევრებელი თვალსაჩინო წარმოდგენა. რომლიდანაც ბავშვი ვერ გამოპყოფს „ნაწილს“ (ნაწილობრივ შინაარსს), რაიმე თვისებას და, მით უმეტეს, საერთო ნიშანს (დ. უზნაძე); ნიშანი სიტყვის მნიშვნელობაში ჯერ არ იგულისხმება. საკმაოდ დიფუზიურ წარმოდგენაში, რომლის სახით გაიაზრება სიტყვის მნიშვნელობა, არავითარი ნიშანთვისება არ არის მოცემული<sup>1</sup>. ნიშანი ბავშვისათვის ჯერ არ არსებობს. ბავშვი ვერ ახერხებს ცნების გადატანას, ე. ი. სიტყვის მნიშვნე-

<sup>1</sup> დ. უზნაძე, „შრომები“, ტ. 1, „ცნების შემუშავება სკოლის წინარე ასაკში“.

ნელობის გავრცელებას საგნებზე, რომელნიც ნამდვილად, ცნებაში ნაგულისხმევი ნიშნების მიხედვით, ამ ცნებას ეკუთვნის. ბავშვი ამას ვერ ახერხებს, რადგანაც არ გაიაზრებს სიტყვის მნიშვნელობაში სათანადო ნიშნებს. ცნების განმარტებისას ბავშვს ფიქრადაც არ მოსდის მისი ნიშნების აღნიშვნა.

5. მე-7 წლის ასაკშიც, ე. ი. სკოლამდელი პერიოდის ბოლოს — სასკოლო ასაკის მიჯნაზე, ცნების „ექვივალენტი“ ჯერ შორს არის ნამდვილი ლოგიკური ცნებისაგან. ცნების ექვივალენტს ამ საფეხურზე ჯერ არ გააჩნია ის, რაც ცნების ძირითად თვისებას შეადგენს: მასში არ ხდება საგნის, ან საგანთა კატეგორიის ზოგადი არსის ასახვა. ბავშვი არ ცდილობს ცნებაში საგანთა კლასის საერთო ან არსებითი ნიშნების წვდომას: „ცნებაში“ ბავშვი კონკრეტულ საგანთა სიმრავლეს გულისხმობს, რომელიც გაერთიანებულია დიფუზიური, სუბიექტური შთაბეჭდილებით, რასაც სიტყვიერად ბავშვი ვერც გამოხატავს<sup>1</sup>. ყოველ მოცემულ მომენტში ცნების გააზრებისას საგანთა ეს სიმრავლე რეპრეზენტირებულია ბავშვის ცნობიერებაში ერთი-ორი კონკრეტული საგნის წარმოდგენით. ეს ორიოდ საგანი წარმომადგენლობს „ამისდაგვარ“ სხვადაც. ისე რომ, ცნების მნიშვნელობა ბავშვისათვის ამ ორიოდ საგნით კი არ ამოიწურება: საგანთა ჯგუფისაგან მიღებული, ზემოაღნიშნული სუბიექტური შთაბეჭდილების მეშვეობით ბავშვი ცნებაში „ამისდაგვარ“ საგანთა განუსაზღვრელ რაოდენობას გულისხმობს. ახალ კონკრეტულ საგნებსაც ბავშვი ამ ზოგადი შთაბეჭდილების საფუძველზე მიაკუთვნებს ცნებას. ოღონდ ეს მიკუთვნება მაშინ არის სწორი, თუ ახალი საგანი თავის თვალსაჩინო მოცემულობით, თავისი გარეგნობით წააგავს იმ საგნებს, რომელსაც გულისხმობს ბავშვი ცნებაში. ხოლო როდესაც გარეგნობით მსგავსი საგანი თავისი არსებითი ნიშნებით სულ სხვა არის, — სხვა ცნებას ეკუთვნის, ბავშვი მას შემდგარად მისი გარეგნობის მიხედვით ამ სხვა ცნებას მიაკუთვნებს. მაგალითად, როდესაც ბავშვმა მტკიცედ იცის, რომ ძუძუმწოვარი ცხოველია ყველა ცოცხალი არსება, რომელიც შვილებს ძუძუთი კვებას და სუნთქავს ჰაერით, და არც ერთი თევზი არ სუნთქავს ჰაერით და შვილებს ძუძუთი არ კვებას, იგი მაინც დელფინს ან ვეშაპს თელის თევზად მისი სურათის მიხედვით, თუშცა

<sup>1</sup> იხ. რ. ნათაძე, ცნების დაუფლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში. კრებული „პედაგოგიური ფსიქოლოგია“, 1962.

საესებით დაგიჭერებს, რომ ეს ცოცხალი არსება პატარებს ძუძუთი კვებავს და სუნთქავს ჰაერით<sup>1</sup>. ცნების რაობა ბავშვის ცნობიერებაში ჯერ ცნების ნიშნებით არ გამოიხატება.

ბავშვის აზროვნება ჯერ იმდენად კონკრეტულია, რომ სიტყვის ხმარებისას ბავშვი მასში იმ შემთხვევაშიც არ გულისხმობს ზოგად ნიშნებს, როდესაც შეითვისა და კარგად დაიხსომა ეს ნიშნები სათანადო ახსნის შედეგად. ამის შემდეგაც ყოველ კონკრეტულ მომენტში ბავშვი ცნებაში ერთ-ორ კონკრეტულ საგანს გულისხმობს ცნების მოცულობიდან. მაგალითად, ცხოველზე მსჯელობისას ყოველ ცალკე მომენტში სხვადასხვა ცხოველს გულისხმობს, ხან ცხენს, ხან ცხვარს, ხან მგელს და ა. შ., თუმცა მშვენივრად იცის, რომ ცხოველი მართო ამას კი არ ნიშნავს, არამედ უამრავ სხვასაც.

ბავშვის აზროვნება ამ საფეხურზე იმდენად თვალსაჩინოა, იმდენად მოითხოვს აუცილებლად თვალსაჩინო დასაყრდენს, რომ ახალი ცნების შემუშავება (რატომაც უნდა, მისი „ფუნქციონალური ექვივალენტის“ სახით) ბავშვს შეუძლია მხოლოდ თვალსაჩინო კონკრეტული მასალის (კონკრეტულ საგანთან მათი სურათების) საფუძველზე, ხოლო იგივე ცნებები, რომელსაც ამ ასაკის ბავშვი ადვილად ეუფლება ამ გზით, მისთვის სრულიად მიუწვდომელი, სრულიად გაუგებარი რჩება, თუ მათი მიწოდება ხდება მხოლოდ სიტყვიერი განმარტებების გზით, მაშინაც, როდესაც ამ განმარტების ყოველი სიტყვა ცალ-ცალკე ბავშვისათვის ნაცნობია და გასაგები<sup>2</sup>.

აზროვნების ეს თვალსაჩინოება იმაშიც გამოიხატება, რომ ცნების გაგებაში იმდენად ბატონობს საგნის თვალსაჩინო ხატი, რომ, როდესაც საგნის გარეგნობა ეწინააღმდეგება ცნების არსებით ნიშნებს, რომელნიც ბავშვისათვის კარგადაა ცნობილი, იგი ამ საგანს მიაკუთვნებს იმ სიტყვის მნიშვნელობას, იმ ცნებას, რომლის მოცულობაში შემავალ საგნებს ჰგავს ეს საგანი (იხ. ზემოთ დელფინისა და ვეშაპის მაგალითი).

6. სასკოლო ასაკში ცნებითი აზროვნება სწრაფი ტემპით ვითარდება. 9 წლის ასაკში ამ მხრივ ბავშვი უკვე მნიშვნელოვ-

<sup>1</sup> დაწერილებით იხ. რ. ნათაძე, საბუნებისმეტყველო ცნებათა დაუფლება სასკოლო ასაკში, კრებული „პედაგოგია“, ტ. 1, 1943.

<sup>2</sup> დაწერილებით იხ. რ. ნათაძე, ცნების შემუშავების ორი გზა, კრებული „ფსიქოლოგია“, ტ. X, 1956.

ნად უფრო მალლა დგას, ვიდრე შვიდი წლის ასაკში. ამ საფეხურზე ბავშვი უკვე იყენებს კონკრეტულ<sup>1</sup> ცნებათა ნიშნებს რიგ გონებრივ ოპერაციებში. კერძოდ, ცნების განსაზღვრებისას 9 წლის ბავშვები ხშირად იყენებენ ცნების არსებით ნიშნებს, თუკი ასეთი ნიშნები მანამდის ასწავლეს მათ და ა. შ.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის გარდატეხა ცნებითი აზროვნების განვითარებაში 11 წლის ასაკში ხდება. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი ცნების დაუფლება ამ ასაკიდან იწყება.

ამ ასაკში ცნების არსებითი ნიშნის თვალსაზრისი უკვე იმდენად განმტკიცებულია და კონკრეტულ საგანთა თვალსაჩინო წარმოდგენათა როლი იმდენად შესუსტებულია, რომ ცნებისათვის ახალ საგანთა მიკუთვნება სათანადო შეკითხვების დახმარებით, ბავშვს მაშინაც შეუძლია, როდესაც, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში, დაპირისპირებულია საგნის გარეგანი შეხედულება და მისი არსებითი ნიშნები; ბავშვს შეუძლია დაძლიოს თვალსაჩინო ხატის თვალსაზრისი და საგანი ცნებას არსებითი ნიშნების თვალსაზრისით მიკუთვნოს, თუკი, ცხადია, იცნობს ამ ნიშნებს. საზოგადოდ მთელრიგ სააზროვნო ოპერაციებში თერთმეტწლიანი ბავშვი ნაცნობ კონკრეტულ ცნებაზე მისი ნიშნების მიხედვით აზროვნებს. კერძოდ, კონკრეტულ ცნებათა განმარტების მოცემისას ბავშვი უკვე ხშირად ისეთ განსაზღვრებას იძლევა, რომელშიაც გამოყენებულია ამ ცნების ბავშვისათვის ცნობილი არსებითი ნიშნები.

ცნების შინაარსს უკვე მისი ნიშნები შეადგენენ და არა ცალკეული საგნების კრებადობა, როგორც ეს 7 წლის ასაკისათვისაა დამახასიათებელი.

ამ დიდი მიღწევის მიუხედავად ცნების არსებით ნიშანთა დაუფლება 11 წ. ასაკში როდი სრულდება. იგი ამ ასაკში მნიშვნელოვნადაა შეზღუდული. ჯერ ერთი, ამ ნიშანთა დაუფლების ის დონეც, რომელზედაც ეს-ეს არის გვექონდა საუბარი, მიიღწევა მხოლოდ კონკრეტულ ცნებათა მიმართ, რომელთა არსებითი ნიშნები შედარებით ადვილი მისაწვდომია. ხოლო ზოგად, განყენებულ, რელატიურ ცნებათა მიმართ ბავშვი ვერ აღწევს არსებ-

<sup>1</sup> კონკრეტულია ის ცნება, რომელიც კონკრეტულ საგნებს მოიცავს, ე. ი. რომლის „განსახიერება“ კონკრეტულ აღქმად საგანთა სახით შეიძლება. მაგალითად, აღაშინი, ცხოველი, მკენარე, თოელი და ა. შ.



თი ნიშნის თვალსაზრისზე დგომას მაშინაც, როდესაც თვით ამ ნიშანთა შინაარსის მისთვის გასაგებია. გარდა ამისა, კონკრეტულ ცნებათა მიმართაც, არსებითი ნიშნის მნიშვნელობა მას ჯერ არა აქვს საეხსებოთ გაცნობიერებულნი, სახელდობრ, არა აქვს გაცნობიერებული ასეთ ნიშანთა არსებობა, მათი აუცილებლობა და ა. შ. გარდა ამისა, ამ ასაკში ბავშვი ადვილად ტოვებს არსებითი ნიშნის თვალსაზრისს და კონკრეტულ საგანთა ჯგუფის გულისხმობაზე გადადის, თუკი არსებითი ნიშნის თვალსაზრისზე დგომას რაიმე დაბრკოლება შეხვდება.

11 წლის ასაკში მეტად მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს აზროვნების იმ უკიდურესი თვალსაზრისების დაძლევა, რომელიც სასკოლო ასაკის დასაწყისში ახასიათებს მას: კონკრეტულ ცნებათა დაუფლებას 11 წ. ასაკის ბავშვი აღწევს წმინდა ვერბალური განსაზღვრებების საფუძველზეც კონკრეტულ თვალსაზრისო მასალის გარეშეც. რაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, სასკოლო ასაკის დასაწყისში მიუწვდომელია. 11 წ. ბავშვები წმინდა ვერბალური გზით მიწოდებულ ცნებებს ისევე ეუფლებიან, როგორც კონკრეტულ თვალსაზრისო მასალაზე აგებულ ცნებებს<sup>1</sup>.

ეს არის მეტად დიდი მნიშვნელობის მიღწევა ცნებითი აზროვნების განვითარების პროცესში, რადგანაც ცნებითი აზროვნების ძირითად თავისებურებას წარმოადგენს უნარი საგნის არსის წვდომისა ცნების შინაარსის სახით. კონკრეტული საგნის გარეშე და ამ სახით ცნებათა გამოყენების შესაძლებლობა.

ამრიგად, 11 წლის საფეხურზე ბავშვის აზროვნება იმდენად თავისუფლდება თვალსაზრისო კონკრეტულობით შეზღუდვისაგან, რომ იგი უკვე ახერხებს თვალსაზრისო საგნობრივი მასალის გარეშე კონკრეტული ცნების შინაარსის წვდომას.

ვერბალური აზროვნების ინტენსიური განვითარება 11 წლის საფეხურზე თავს იჩენს აგრეთვე საზოგადოდ ფორმალური აზროვნებისა და, კერძოდ, ცნებათა შორის ლოგიკურ დამოკიდებულებათა წვდომის უნარის მომწიფებაში. უფრო დაბალ ასაკებში ახალ შეთვისებულ ცნებათა შორის ლოგიკური და-

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. რ. ნათაძე, ზემოთ დასახელებული შრომა. კრებ. „ფსიქოლოგია“, ტ. X, 1956.

მოკიდებულება ბავშვთათვის მიუწვდომელია. მათ სწორად ესმით ლოგიკური დამოკიდებულება ნაცნობ ცნებათა შორის ყოველდღიური გამოცდილების წმინდა ემპირიულ საფუძველზე, მაგრამ ახალ შეთვისებულ ცნებათა შორის ლოგიკურ დამოკიდებულებათა წვდომა მოითხოვს ფორმალურ თვალსაზრისზე დადგომას, რაც 11 წლამდის, როგორც წესი, მიუწვდომელია ბავშვისათვის. 11 წლიდან მდგომარეობა იცვლება: ბავშვების უმრავლესობას უკვე შეუძლია ახალ შეთვისებულ ცნებათა შორის ისეთ ძირითად ლოგიკურ დამოკიდებულებათა წვდომა, როგორცაა, მაგალითად, სახეობით ცნებათა და გეაროვნულ ცნებას შორის დამოკიდებულების სახეები<sup>1</sup> და ა. შ.

მიუხედავად ყველა ამ წარმატებისა, 11 წლის ასაკში ლოგიკური ცნების სრული დაუფლება როდია მიღწეული<sup>2</sup>. ბავშვისათვის ჯერ მიუწვდომელია არაკონკრეტული, მიმართებითი ცნებები. კონკრეტულ ცნებათა მიმართაც მის აზროვნებას ხარვეზების რიგი გააჩნია. როგორც ვხედავთ, ჯერ არ არის სავსებით გაცნობიერებული ცნების არსებითი ნიშნების მნიშვნელობა, სუსტია განმაზოგადებელი აზროვნება: ბავშვს უჭირს ცნებების განზოგადების გზით უფრო ზოგად (გეაროვნულ) ცნებათა შემუშავება და ა. შ.

7. ყველა ეს ხარვეზი შეივსება ძირითადად 14 — 15 წლის საფეხურზე. ეს ასაკი ცნებითი აზროვნების განვითარებაში მეორე ეტაპური მნიშვნელობის საფეხურს წარმოადგენს.

ამ საფეხურზე უკვე გაცნობიერებულია ცნების არსებითი ნიშნების მნიშვნელობა. მოზარდი მტკიცედ ღვება ცნების არსებით ნიშანთა თვალსაზრისზე. ცნებაში ის საგანთა კლასისათვის საერთო არსებით ნიშნებს გაიზარებს. წინა საფეხურისათვის დამახასიათებელი განმაზოგადებელი აზროვნების სისუსტე დაძლეულია, მოზარდი უკვე აღვიღად და სწორად ახერხებს ცნებათა განზოგადებას და ამ გზით ახალ ცნებათა შემუშავებას. მისთვის მისაწვდომია უკვე ზოგადი მიმართებითი ცნებები და ა. შ. ამ ასაკში მოზარდისათვის უკვე მისაწვდომია ყველა

<sup>1</sup> იხ. რ. ნათაძე, ცნებათა განზოგადების ონტოგენეზისათვის, კრებული „ფსიქოლოგია“, ტ. 1, 1942.

<sup>2</sup> საზოგადოდ 11 წ. ასაკის საფეხურზე ცნებითი აზროვნების დახასიათების შესახებ იხ. რ. ნათაძე, ცნების დაუფლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში, კრებული „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ 1962 (ფსიქოლოგიის ინსტიტუტის კრებული).

სახის ლოგიკური დამოკიდებულება ახალ შეთვისებულ ცნებათა შორის. ფორმალური აზროვნება ძირითადად უკვე მომწიფებულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ საფეხურზე აზროვნების ოპერაციათა არა მხოლოდ შესრულება, არამედ მათი საფუძვლის გაცნობიერება, თავისი აზრის დასაბუთების მოთხოვნილება და ასეთი დასაბუთების საკმაოდ განვითარებული უნარი, რაც თავის მხრივ, ეყრდნობა აზროვნების ოპერაციათა გაცნობიერების მაღალ დონეს.

14 — 15 წლის ასაკი ნამდვილი ლოგიკური ცხების დაუფლების ასაკია.

8. შემდეგი ორიოდე წლის განმავლობაში ცნებითი აზროვნების განვითარებაში უკვე არსებითი ხასიათის ცვლილებებს აღვილი არა აქვს. — მხოლოდ ღრმავდება და მტკიცდება ის, რაც ძირითადად 15 წლის ასაკში მიიღწევა. განვითარება უმთავრესად ცნებისა. დაკერძოდ არსებითი ნიშნების მნიშვნელობის უფრო ღრმა გაგებაში ვლინდება (რაც ყველა ადამიანის მიერ როდი მიიღწევა ხოლმე) და აგრეთვე ტერმინოლოგიის დაზუსტებაში, განსაზღვრებებისა და საზოგადოდ სიტყვიერ ფორმულირებათა უფრო ადექვატურ ჩამოყალიბებაში და ა. შ.

### მეტყველების განვითარება

1. სანამ ბავშვი მეტყველებას დაიწყებდეს, ის სხვადასხვა ბგერით რეაქციებსაც იძლევა და მოზრდილის მეტყველების გარკვეულ გავლენასაც განიცდის.

ახალდაბადებულის კვილის არადიფერენცირებულ ბგერებს მალე (მესამე თვიდან) ცვლის შედარებით უფრო დიფერენცირებული, სუსტად დანაწევრებული ბგერები, რომლებიც მალე „ტინში“ გადადის, ბგერებში, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელობასთან, მაგრამ ადამიანის სპეციფიკურ ბგერებს წარმოადგენენ.

ძალიან ადრე დასტურდება ადამიანის მეტყველების — უმთავრესად მისი ინტონაციის, გავლენა ბავშვის ქცევაზე. მაგალითად, რამდენიმე თვის ატირებული ბავშვი სათანადო ინტონაციით ნათქვამი სიტყვების გავლენით გაჩუმდება ხოლმე (ჩვეულებრივ მცირე ხნით). მას აწყნარებს ადამიანის მეტყველების ინტონაცია. მეტყველების ასეთ გავლენას „სიტყვის არადიფერენცირებულ გავლენას“

უწოდებენ. ცხადია, რომ სიტყვის გაგებაზე აქ ჯერ ლაპარაკი შეუძლებელია.

სიტყვების შედარებით უფრო დიფერენცირებული გავლენა თავს იჩენს 5 თვის შემდეგ. ეს გავლენა ხშირად გამეორებულ სიტყვაზე პირობითი რეფლექსის შემეშუშავენაში მდგომარეობს. მაგალითად, ერთი და იგივე სიტყვის ან ფრაზის („სად არის ფანჯარა?“) გამეორებისას მუდამ ერთი და იმავე საგნის (მაგალითად, ფანჯრის) ჩვენების შედეგად ძუძუს ასაკის ბავშვი ამ სიტყვის ან ფრაზის გაგონებაზე სათანადო საგანს (ფანჯარას) შეხედავს. ეს არის პირობითი რეფლექსი, რომელსაც ჯერ არავითარი კავშირი არა აქვს სიტყვის მნიშვნელობის გაგებასთან (სხვა სიტყვის იმავე მოღულაკით თქმაც იმავე საგნისკენ გახედვას იწვევს).

2. შედარებით უფრო მაღალი ტიპის კომუნიკაცია თავს იჩენს ისევ მეტყველების დაწყებამდე, პირველი წლის მეორე ნახევარში, ასე ვთქვათ, ნებისმიერი კვილი სახით: იმის შედეგად, რომ ბავშვის ყვირილს ან ტირილს მუდამ სდევს მოზრდილის მისვლა ბავშვთან, და ტირილის მიზეზის მოშორება — ბავშვის მოთხოვნების დაკმაყოფილება (გამშრალება, ხელში აყვანა, კვება და ა. შ.), პირველი წლის მეორე ნახევარში (უმთავრესად მე-8 თვიდან) ბავშვი ხშირად განზრახ იწყებს ყვირილს, თუკი გაუჩნდება სურვილი დედის მისვლისა მასთან, ხელზე აყვანისა, ჭამისა და ა. შ. როგორც ვხედავთ, ამგვარი კვილი უკვე ერთგვარ კომუნიკაციას ამყარებს ბავშვსა და მის მომვლელს შორის.

3. პირველი წლის ბოლოს (ზოგი ბავშვი 9 — 10 თვეში, ზოგი რამდენიმე თვით უფრო გვიან) ბავშვი პირველ სიტყვას და მალე რამდენიმე ცალ-ცალკე, ერთმანეთთან დაუკავშირებელ თითო სიტყვას ამბობს ხოლმე. გავრცელებული შეხედულებით ეს სტადია — ცალ-ცალკე სიტყვის პირველი თქმის სტადია, მეტყველების დასაწყისად ითვლება. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მეტყველების განვითარების ამ პირველ სტადიაზე სიტყვა ჯერ არ ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც მეტყველების აუცილებელ ფუნქციას წარმოადგენს — აღმნიშვნელობის ფუნქციას. ამ სტადიაზე ყოველი სიტყვა ბავშვის განცდათა კომპლექსის გამომხატველია, ოღონდ გარკვეულ საგანთან (დედასთან, ფაფასთან, ბაღთან და ა. შ.) დაკავშირებულ განცდათა გამომხატველია. ბავშვის მიერ თქმული „დედა“ ამ სტადიაზე ჯერ ამ აღამიანს — ბავშვის დედას კი არ აღნიშნავს, არამედ გამო-

ხატავს ამ ადამიანთან დაკავშირებულ სუბიექტურ განცდებს, სურვილს და ა. შ. მაგალითად, „ღედა“ ერთ შემთხვევაში გამოხატავს ბავშვის სურვილს, რომ ღედამ ხელზე აიყვანოს, მეორე შემთხვევაში იგივე სიტყვა გამოხატავს სურვილს, რომ ღედამ აქამოს, მესამე შემთხვევაში — ღედამ სასეირნოდ წაიყვანოს და ა. შ. რადგანაც ეს პირველი სიტყვები გამოხატავენ საგანთან დაკავშირებულ განცდათა მთელ კომპლექსს. რასაც მეტყველი ადამიანი მთელი წინადადებით გამოხატავდა, ამიტომ ბავშვის მეტყველების განვითარების ამ პირველ სტადიას „ერთსიტყვიანი წინადადების სტადიას“ უწოდებენ. რამდენადაც ამ საფეხურზე სიტყვას არ გააჩნია მეტყველების არსებითი ნიშანი — სიტყვა ვერ ასრულებს სიგნიფიკაციის ფუნქციას (იხ. თ. VIII), იმდენად ეს სტადია არსებითად მეტყველების უფრო მოსამზადებელ სტადიად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე მის პირველ სტადიად.

4. „ერთსიტყვიანი წინადადების“ სტადია დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში გრძელდება, რის შემდეგაც, დაახლოებით წლინახევრის ასაკში ბავშვი მიიღწევს მისი შემდეგი გონებრივი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობის ეტაპს. ის ეუფლება სიტყვას, როგორც ობიექტის აღმნიშვნელს. ბევრათა კომპლექსი (სიტყვა) აზრების შედეგად (იხ. თ. VIII) გარკვეული ობიექტური მნიშვნელობის მატარებელი ხდება. ეს მომენტი უკვე ნამდვილი მეტყველების პირველ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ამ ეტაპიდან ბავშვი მეტყველ არსებად იქცევა, მისი სიტყვები უკვე შეგნებულნი, ერთმნიშვნელოვანი კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენენ, რადგანაც სიგნიფიკაციის ფუნქციას ასრულებენ. ეს არის ეგრეთ წოდებული სიმბოლური აზროვნების (იხ. თ. VIII) პირველი მნიშვნელოვანი გამოვლინება.

ამ გადაწყვეტი მნიშვნელობის ეტაპის მიღწევის შემდეგ მეტყველება სწრაფად ვითარდება. სწრაფად იზრდება სიტყვათა მარაგი, სიცოცხლის მეორე წლის დამლევისათვის ბავშვის სიტყვათა მარაგი დაახლოებით 300-ს აღწევს, ხოლო 4 წლის დამლევისათვის — დაახლოებით ორ ათასს.

თუ პირველად ბავშვი ხმარობდა მხოლოდ არსებით სახელებს, იგი მალე გადადის მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების — ზმნების, გამოყენებაზე, შემდეგ (2 წლის ბოლოსათვის) საგანთა თვისებების გამომხატველ სიტყვებს — ზედსართავებსა და მიმართებების

აღმნიშვნელ სიტყვებსაც ხმარობს, რაც აზროვნების მნიშვნელოვანი განვითარების მაჩვენებელია.

მეტყველების განვითარებაში მეტად მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ფლექსიების (სიტყვათა ბრუნვის, უღლილებისა და სხვ.) დაუფლება: ერთსიტყვიანი წინადადების სტადიაზე ბავშვი მხოლოდ თითო-თითო სიტყვას გამოთქვამდა, შემდეგ ორ-ორ და მეტ სიტყვას ამბობდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში სიტყვები უცვლელ ფორმაში, ბრუნვის, უღლილებისა და სხვა ფლექსიური ცვლილებების გარეშე იხმარებოდა („დედა პური“, „დედა აპაში“ და ა. შ.). ფლექსიების ცვლილება ბავშვის მეტყველების უკვე საკმაოდ მაღალი განვითარების მაჩვენებელია.

5. მნიშვნელოვან ხაზს მეტყველების განვითარებაში წარმოადგენს მისი სინტაქსური განვითარება. როდესაც ბავშვი გასცდება ერთსიტყვიან სტადიას და რამდენიმე სიტყვიან „წინადადებებს“ ადგენს, დასაწყისში გრამატიკულად ეს წინადადება ერთ მთლიანს კი არ წარმოადგენს, არამედ სიტყვათა დაუკავშირებელ რიგს ჰგავს: ეს სიტყვები მხოლოდ ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ა დ ა ა გარკვეული „წინადადების“ გამოშხატველი. შემდეგ თანდათან, ფლექსიებისა და შემაკავშირებელი სიტყვების ჯეროვან გამოყენებასთან ერთად, ჩამოყალიბდება წინადადება, რომელიც გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ა დ ა ც ერთი სტრუქტურული მთლიანის სახეს მიიღებს.

შემდეგ ვითარდება წინადადებათა სხვადასხვა ფორმები (თხრობითი, კითხვითი და ა. შ.) და ბოლოს ბავშვი ეუფლება რ თ უ ლ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ წინადადებას, რაც მეტყველების განვითარებაში მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება. მთავარ წინადადებაში დაქვემდებარებული წინადადებების გამოყენებით ბავშვი უკვე ახერხებს აზრთა ლ ო გ ი კ უ რ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა გამოშხატვას, მთავარი და დამოკიდებული აზრის გამოყოფას, მათ შორის დამოკიდებულების გამოხატვას და ა. შ.

6. სკოლამდელის წინარე პერიოდის ბოლოს — 4 წლის ასაკში, ბავშვის მეტყველების ფორმათა ონტოგენეტური განვითარება ძირითადად მთავრდება. 4 წლის ბავშვი უკვე მეტყველებს დასრულებულ წინადადებათა სახით. მაგრამ ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ამით საზოგადოდ მთავრდება მეტყველების განვითარება. სკოლამდელ ასაკშიც ბავშვს ახასიათებს არასწორი გამოთქმები, შემცდარი ფლექსიები, არასწორად აგებული წინადადებები და ა. შ. მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში მოზარდის მეტყველება შესამჩნევად ვითარდება როგორც რაოდენობრივად (სიტყვათა მარაგი იზრდება), ასევე თვი-

სობრივადაც; განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პერიოდში წერიტი მეტყველების განვითარება, მაგრამ ეს უკვე ეხება უმთავრესად მეტყველების კულტურას.

მეტყველების კულტურა კი ვითარდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე მის გონებრივ განვითარებასთან ერთად. უნარი თავის აზრისა სხვისთვის გასაგებ, ნათელ და ლამაზ ფორმაში გამოთქმისა დაუბოლოვებლად ვითარდება, მეტადრე თუ ადამიანი შეგნებულად ზრუნავს თავისი მეტყველების გაუმჯობესებაზე.

### წარმოსახვის განვითარება

1. ფანტაზიის პირველი აშკარა გამოვლინებები ბავშვთან მეორე წლიდან ე. წ. „სიმბოლურ“, ანუ „ილუზიის თამაშში“ იჩენენ თავს. როდესაც პატარა გოგონა ჩვარში გახვეულ შემის ნაჭერს ნანას უმღერის, როგორც თავის პატარა ბავშვს, ანდა როდესაც პატარა ბიჭი გადააღაჩებს ჯოხს და „აჭენებს“ მას, როგორც ცხენს, ფანტაზიის გამოვლინება უდავოა.

წარმოსახვის ამგვარი გამოვლინებები მეორე წლის ბოლოს იწყება და სკოლამდელი ასაკის ბოლომდის ბავშვის ქცევის განსაკუთრებით დამახასიათებელ სახეს წარმოადგენენ.

ფანტაზიის ეს პირველი გამოვლინება, ისევე როგორც ბავშვის მეხსიერების პირველი გამოვლინება, აღქმით არის შეზღუდული: ფანტაზია აღქმის პროცესში ვლინდება; ფანტაზიის წარმოდგენას აღქმადი დასაყრდენი სჭირდება. როგორც ჩანს, დაბალ ასაკში აღქმისაგან მოწყვეტილი ფანტაზიის წარმოდგენებით ოპერირება ბავშვს ეძნელება. წარმოსახული ცხენი, ხმალი, ლომი, გემი თუ თვითმფრინავი, რაიმე კონკრეტულ საგანში (ჯოხში, თოჯინაში, სკამში და ა. შ.) იგულისხმება, — საგანში, რომელსაც ბავშვი თამაშის დროს აღიქვამს. პირველ ხანებში სიმბოლურ თამაშში გამოვლენილი ფანტაზიის სისუსტე თავს იჩენს კიდევ მეორე გარემოებაში: ამგვარი თამაშის შინაარსს, მისი განვითარების პირველ წლებში მაინც, ბავშვის მიერ ვარემოში ნახულის ან განაგონის თითქმის უცვლელი რეპროდუქცია წარმოადგენს, თამაშის პროცესში რეპროდუცირებული წარმოდგენების მეტად მცირე შეცვლა ხდება: ძირითადად ბავშვი ბაძავს იმას, რაც გაგონილი ან ნანახი ჰქონდა.

2. ბავშვის ფანტაზიის შემდეგი თავისებურება, რომელიც წარმოსახვის ამ პირველივე გამოვლინებებში მკლავნდება, მისი საოცარი „დაუღევერობა“, ანუ „ურუნველობაა“. ასე უწოდებენ ანგა-

რიშგაუწევლობას რეალობისადმი, მეტისმეტად დიდ დაშორებას სინამდვილიდან. მართლაც საოცარია ის დაშორება, რომელიც არის ხოლმე, მაგალითად, აღქმულ საგანსა და მასში ბავშვის ფანტაზიით ნაგულისხმევ წარმოსახულ საგანს ან მოქმედებას შორის: ერთი და იგივე საგანი, მაგალითად, ფიცრის ნაჭერი რამდენიმე წუთის განმავლობაში წარმოადგენს ჯერ თხილამურს, შემდეგ ძაღლს, მერე ავტომანქანას და შემდეგ ნავს ან თვითმფრინავს. ერთი და იგივე წრისებური ფორმის ნაჭლაბნი ქალღმრთელზე ხან დედაა, ხან კატა, ხან სახლი და ხან სკოლა.

სინამდვილიდან ამ დაშორებაში უწინ ბავშვის ფანტაზიის სიძლიერეს ხედავდნენ და ამ თვისების გამო ბავშვის ფანტაზიას ზრდამთავრებულის ფანტაზიაზე უფრო „ძლიერად“ თვლიდნენ. სინამდვილეში ეს თავისებური „უზრუნველობა“ ბავშვის წარმოსახვითი მოქმედების სისუსტეა, რომელიც, პირველ რიგში, მისი კრიტიკული აზროვნების სისუსტიდან მომდინარეობს; იგი კი არ გარდაქმნის რეალობას, არამედ ვერ უწევს მას ანგარიშს. ფანტაზიის სიძლიერე თავს იჩენს მაშინ, როდესაც მისი მოქმედება ისე აღწევს „სინამდვილიდან აფრენას“, რომ ამ აფრენაში ეს სინამდვილე აისახება, როდესაც ფანტაზია ისე შექმნის ახალს, ისე გარდაქმნის აღქმულს, რომ ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებებს არ დაარღვევს (იხ. თ. IX, § 3).

3. ბავშვის მეტად მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს მისი დამოკიდებულება წარმოსახულის მიმართ: იგი ისე ემოციურად განიცდის წარმოსახულ, გათამაშებულ მოქმედებებს და წარმოსახულ სიტუაციებს, თითქოს ყოველივე ეს ნამდვილი ეგონოს. ბავშვმა შეიძლება იტიროს, თუ მის „შვილს“ (ხის ნაჭერს ან თოჯინას) ვინმემ „აწყენინა“... ცხადია, ეს არის ემოციის ის სახე, რასაც „არახეროზულ“, „მფრინავ“ ემოციას უწოდებენ (იხ. თ. X, § 2). ეს ემოციები თავს იჩენენ ზრდამთავრებულ ადამიანთანაც — მსახიობთან, სპექტაკლის მაცურებელთან, ან მხატვრული ნაწარმოების მკითხველთან, მაგრამ ბავშვთან ამ სახის ემოციები მეტად უშუალო ხასიათს ატარებენ და, რაც მთავარია, გამოწვეული არიან სინამდვილიდან მეტად დაშორებული არა „ნამდვილისებური“ ობიექტური სიტუაციით, რაც მოზრდილთან ასეთ ემოციას ვერ გამოიწვევს.

4. დაბალ ასაკებში ბავშვის ფანტაზიის გამოვლინების მეორე მეტად მნიშვნელოვან სფეროს ზღაპრები წარმოადგენენ. ადრეული ასაკიდან ბავშვს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის და აღელვებს ზღაპ-



რის მოსმენა. ზღაპრების მოსმენის პროცესში მისი ფანტაზია ძალაუვნებურად მიჰყვება ზღაპრის ფანტასტიკურ შინაარსს და ბავშვი ეჩვევა გარდაქმნილი წარმოდგენების განცდას, ეჩვევა ყოველდღიური აღქმული სიტუაციიდან „აფრენას“.

5. სკოლამდელ ასაკში თამაშისა და ზღაპრების მოსმენის გარდა, ფანტაზია ვლინდება ხატვის და ძერწვის პროცესში. ბავშვი ხატავს იმას, რასაც ფიქრობს საგნების შესახებ. ამიტომ პირველ ხანებში მისი ნახატი უფრო ბავშვის მიერ წარმოსახულის გამომხატველია, ვიდრე საგნის სურათი.

აღსანიშნავია ის როლი, რასაც ბავშვის ფანტაზიის განვითარებაში კონსტრუქტული თამაში (საშენი მასალა, კონსტრუქტორები) ასრულებს: იგი ზღუდავს ბავშვის ფანტაზიის უზრუნველობას და აჩვენებს ბავშვს რეალობისადმი ანგარიშის გაწევას: მოცემულ მასალას სასურველ ფორმას ბავშვი ვერ მისცემს, თუ არ გაითვალისწინებს შენების პროცესში ამ მასალის ფიზიკურ თვისებებს და საზოგადოდ ობიექტურ კანონზომიერებებს. საშენი მასალა და მისი აგების კანონები არ ემორჩილება ბავშვის სურვილებსა და მისი ფანტაზიის წარმოდგენებს. ამიტომ ბავშვი იძულებული ხდება წარმოსახვის მოქმედება ამ რეალურ კანონზომიერებას შეაგუოს, ანგარიში გაუწიოს ობიექტურ სინამდვილეს (იხ. ზემოთ — § 1, „სკოლამდელი ასაკი“).

6. სასკოლო ასაკიდან იწყება წარმოსახვის განვითარების ახალი ეტაპი. სახელდობრ, ვითარდება ფანტაზიის ნებისმიერი, აქტიური ფორმები (იხ. თ. IX, § 3). ამ ასაკიდან ვითარდება ქცევის ახალი ფორმა — სწავლა, რომელიც ფანტაზიის მონაწილეობასაც მოითხოვს. ბავშვის მიერ იმ უნახავ საგანთა და მოვლენათა წარმოდგენა, რომლის შესახებ იგი სწავლობს, ფანტაზიის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. სწავლის პროცესში ხდება წარმოდგენათა გარდაქმნა, რაც ფანტაზიის სპეციფიკურ მოქმედებას წარმოადგენს.

გარდა ამისა, სასკოლო ასაკში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, მოზარდთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ეწევა ხელოვნების რომელიმე დარგში შემოქმედებას — თავისთვის წერს ლექსებს, ხატავს და ა. შ., რაც აქტიური ფანტაზიის მიზანდასახული, შეგნებული ნებისმიერი მოქმედების მაღალ ფორმას მოითხოვს. ამ ასაკში ასეთი „შემოქმედება“ არა მხოლოდ იმათთვისაა დამახასიათებელი, ვისაც სათანადო ნიჭი გააჩნია; განსაკუთრებით ლიტერატურულ შემოქმედებას (მეტადრე ლექსების წერას) ამ პერიოდში მოზარდთა საკმაოდ დიდი ნაწილი

ეწევა. არა ნაკლებ ფართოა ამ პერიოდში, განსაკუთრებით ვაეებს შორის, გატაცება ტექნიკური კონსტრუქციებით (ავიომოდელები, „პლანერები“, რადიოაპარატები და ა. შ.), რაც აგრეთვე მოითხოვს აქტიური წარმოსახვის მაღალ ფორმას (იხ. თ. IX, § 3). ამ ასაკში ხელოვნების ნაწარმოებით ტკბობა (მხატვრული ლიტერატურა, თეატრი, კინო, მუსიკა; მხატვრობა...) მასობრივია და თანაც დიდი ხვედრითი წონის მქონეა მოზარდის ცხოვრებაში. ესეც ხომ ფანტაზიის მოქმედების ერთ-ერთი ასპარეზია.

დიდი ადგილი მოზარდის (განსაკუთრებით გარდამავალ ასაკში) შინაგან ცხოვრებაში უჭირავს ხოლმე ოცნებას, რომელიც „თავისუფალი ფანტაზიის“ მოქმედების ძირითად ფორმას წარმოადგენს (იხ. თ. IX, § 3). პასიური ოცნებით (რძეხ) გატაცება ამ ასაკში მოზარდის პიროვნებისათვის გარკვეულ ხიფათს ქმნის (იხ. ზემოთ § 1).

### განვითარება ონტოგენეზური განვითარება

1. ყველა ფსიქიკურ პროცესთა შორის გრძობები ონტოგენეტიკურად უადრესია. ემოციური ბუნების განცდები ადამიანს დაბადებიდანვე გააჩნია: ბავშვის პირველი ყვირილი დაბადების მომენტში და საზოგადოდ ნეგატიური რეაქციები სიცოცხლის პირველ დღეებიდანვე თითქმის ყოველგვარ გამლიზიანებელზე დაკავშირებულია ნეგატიური ხასიათის ემოციურ განცდებთან, ხოლო ზოგიერთი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესი, — პირველ რიგში კვების პროცესი, — პირიქით, სიამოვნების ტონის განცდასთანაა დაკავშირებული.

სიცოცხლის მე-6 დღიდან თავს იჩენს სიამოვნების რეაქცია დედის ჩურჩულზე. რამდენიმე კვირის ბავშვში ალერსი უკვე სიამოვნების მიმიკას იწვევს. ცოტა უფრო გვიან, ისევე ძუძუს ასაკში, თავს იჩენს საკუთარი მოძრაობებით გამოწვეული სიამოვნების განცდა.

პირველი ემოციური განცდები განუყრელადაა დაკავშირებული ორგანულ მოთხოვნილებებთან და ორგანულ შეგრძნებებთან. პერცეფციისა და ემოციის პროცესები განვითარების ამ დაბალ საფეხურზე, როგორც ჩანს, ჯერ დიფუზური, გაუნაწევრებელი განცდის სახითაა მოცემული (შეად. ზემოთ — აღქმის განვითარება).

ემოციათა ონტოგენეტიკური განვითარება ამ პირველადი დიფუზიური განცდის დიფერენციაციის გზით მიიმართება.

უპირველეს ყოვლისა, აღქმის პროცესში ხდება, როგორც ზემოთ დავინახეთ, პერცეფტული და ემოციური პროცესების გამოყოფა (გარკვეულ ფარგლებში) და, გარდა ამისა, თვით ემოციური პროცესების დიფერენციაცია; როგორც ბავშვის რეაქციებიდან ირკვევა, პირველ ემოციურ განცდებში გამოუყოფელია ისეთი ემოციებიც კი, როგორც არის რისხვისა და შიშის ემოცია. მაგრამ განვითარების პროცესში საკმაოდ ადრე ხდება ძირითადი ემოციების გამოკვეთილი გამოვლენა.

2. საინტერესოა, რომ ემოციური ხასიათის სოციალური ზემოქმედების პირველი ჩანასახები, სხვისი მიმიკისა და საზოგადოდ გამოსახულებითი მოძრაობების წაბაძვის სახით. ძალიან ადრე იჩენენ თავს. გამოირკვეა, რომ წაბაძვითი ხასიათის რეაქცია სხვა ბავშვის ტირილზე ორი თვის ასაკიდან იწყება, ხოლო ზრდადამთავრებულის დიმილზე დიმილითვე პასუხი, ე. ი. გაუცნობიერებელი წაბაძვა, დადასტურებულია მეორე თვის დასაწყისშიც. ცხადია, ამ საფეხურზე მიმიკის გაგებაზე ჭერ ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ სოციალური ზემოქმედების პირველი ჩანასახები ამ ფაქტში უკვე მოცემულია; სხვა ადამიანის გრძნობის გამომხატველი მოძრაობა უკვე ზემოქმედებს ბავშვზე, მის ქცევაზე. ხუთი თვის ასაკიდან, როგორც ეს ექსპერიმენტულად დადასტურდა, ბავშვების სახე იმ გამომეტყველებას ღებულობს (გაჭაერების, ალერსიანობის...), რასაც ბავშვი სხვის სახეზე ხედავს.

რაც შეეხება ნამდვილ სოციალურ ემოციებს, მათი პირველი გამოვლენა 8 თვის ასაკიდან დასტურდება. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ამ ასაკის ბავშვი სხვის გამომეტყველებას კი არ ბაძავს, არამედ განიცდის, როგორც სათანადო ემოციის გამოსახულებას: გაჭაერების მიმიკაზე ასეთივე მიმიკით კი არ უპასუხებს, არამედ აშკარა უსიამოვნების მიმიკით, ან ტირილით, ალერსის მიმიკას კი სიამოვნების მიმიკით. ძალიან მალე იწყება აშკარა სიმპათიის გამოვლენა მახლობელთა მიმართ.

ამრიგად, 8 თვის ასაკიდან სოციალური ემოციების განვითარების სახით იწყება ახალი ეტაპი ბავშვის ემოციურ განვითარებაში.

3. სკოლამდელი ასაკიდან (4 წლიდან) კოლექტივიზმის განვითარებასთან დაკავშირებით სოციალური ემოციები სწრაფად ვითარდებიან და მრავალსახოვანი ხდებიან, რაც განსაკუთრებით ფართოდ იჩენს თავს სკოლამდელი ბავშვების კოლექტიური თამაშის პროცესში: თანაგრძნობა, სიბრალული, ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობა, როგორც რიგი ნეგატიური გრძნობებისა, ამ ასაკში უკვე საკმაოდ მკვეთრად გამოხატული.

სოციალური გრძნობების განვითარებასთან პარალელურად ინტენსიურად ვითარდება, პირველად ადრე ბავშვობაში გამოვლენილი. ისეთი პიროვნული, მორალური კატეგორიის გრძნობები, როგორცაა თავმოყვარეობა, სიბრძნის განცდა, წყენის განცდა და ა. შ.

4. ბავშვის ემოციური განვითარება თავს იჩენს იმ მოვლენათა წრის გაფართოებაშიც, რომელნიც იწვევენ ემოციურ განცდებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ემოციის გამოწვევა არა მხოლოდ აქტუალური აღქმით, ე. ი. ამჟამად ბავშვზე მოქმედი საგნით, არამედ წარმოდგენებითაც.

ინტელექტუალური და ესთეტიკური გრძნობები (იხ. თ. X, § 3) უფრო გვიან ვითარდებიან, ვიდრე ზემოთ განხილული გრძნობები. ზოგიერთი სახის ინტელექტუალური გრძნობები, როგორცაა, მაგალითად, ცნობის მოყვარეობა, ინტერესის გრძნობა, უკვე შესამჩნევად აღივსება იქერს სკოლამდელი ბავშვის ფსიქიკურ ცხოვრებაში (მათი ცალკე გამოვლინებები ხშირად იჩენენ თავს სკოლამდელის წინარე ასაკშიც). ამავე ასაკში უკვე იწყება მარტივ ესთეტიკურ გრძნობათა განვითარებაც.

საზოგადოდ ბავშვის ემოციური ცხოვრება სკოლამდელ პერიოდში უკვე საკმაოდ მდიდარია. ადამიანის ემოციური განვითარება ბევრად უსწრებს ინტელექტუალურ განვითარებას.

5. სკოლამდელ პერიოდში ბავშვის ემოციებს მაღალი აგზნებადობა ახასიათებს: გრძნობების გამოწვევა ძალიან ადვილად ხდება; მაღალ ინტენსივობასაც ბავშვის გრძნობები ამ ასაკში ადვილად აღწევენ, მაგრამ არა ნაკლებ დამახასიათებელია ამ ასაკის ბავშვის გრძნობებისათვის მცირე ხანიერება — სწრაფწარმავლობა, რაც, როგორც ცნობილია, დაბალი ასაკის ბავშვის ერთ-ერთი განსაკუთრებით დამახასიათებელი თვისებაა. ვის არ უნახავს სიხარულით მოღიმარე ბავშვი, რომლის თვალებზე ჯერ არ გამშრალა ერთი წუთის წინ მწარე წყენით გამოწვეული ცრემლები. ეს თვისება სკოლამდელ ასაკში კიდევ დამახასიათებელი რჩება ბავშვისათვის.

6. პირველ სასკოლო პერიოდში — 7 წლიდან გარდამავალ ასაკამდე — გრძნობების განვითარება უმთავრესად იმაში იჩენს თავს, რომ გრძნობები შესამჩნევად უფრო ხანიერი — მტკიცე ხდებიან; ადრეული ბავშვობისათვის დამახასიათებელი სწრაფწარმავლობა ასაკთან ერთად მნიშვნელოვნად კლებულობს. კლებულობს აგრეთვე გრძნობების აგზნებადობა; ყოველი უბრალო რამ ვერ იწვევს გრძნობას, და მაღალ ინტენსივობასაც გრძნობა ადვილად ვერ აღწევს.

გრძნობათა სახეებიდან ამ ასაკში აღსანიშნავია უმთავრესად სოციალური (მაგალითად, მეგობრობის), ინტელექტუალური და ესთეტიკური გრძნობების განვითარება (შეად. ზემოთ § 1), თუმცა ისინი ნაკლებ ინტენსიურად ვითარდებიან, ვიდრე მეორე სასკოლო პერიოდში.

7. გარდამავალი ასაკი უკიდურესი ემოციონალობით ხასიათდება (იხ. ზემოთ § 1). გრძნობების აგზნებადობა ამ ასაკში ისევ მნიშვნელოვნად მატულობს (ამ პერიოდის შემდეგ ისევ და უკვე საბოლოოდ დაიკლებს). მოზარდის ემოციონალური ცხოვრება მკვეთრად რთულდება და მდიდრდება. დიდ აღმაშენებლობას განიცდის სოციალური, ინტელექტუალური და ესთეტიკური გრძნობები. ამ პერიოდში ინტენსიურად ვითარდება და დიდ ადგილს იკავებს მოზარდის შინაგან სამყაროში „მაღალი“ გრძნობები, მაღალი ინტერესები, იდეალები და ა. შ. ხშირად იჩენს თავს ყმაწვილური, რომანტიკული ხასიათის შეყვარება და ა. შ.

#### წავისათვის მნიშვნელოვანი განვითარება

1. სიცოცხლის პირველ პერიოდში — ძუძუს ასაკში, ბავშვს „სენსომოტორულ არსებას“ და სავსებით მშუღლსურ არსებას უწოდებენ, იმდენად მოკლებულია იგი ნებისმიერი მოქმედების უნარს: გაღიზიანება უშუალოდ იწვევს რეაქციას სუბიექტის აქტიური ჩარევის გარეშე. საპასუხო მოქმედების შეფასებაზე ჯერ ლაპარაკიც არ შეიძლება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სისტემატური აღმზრდელობითი ზეგავლენის შედეგად ბავშვს უკვე პირველი წლის ბოლოს უვითარდება ზოგიერთი ელემენტარული ჩვევა და ამის შედეგად მალე ზოგი წმინდა ბიოლოგიური გამოვლინებების შეკავებისა და მათი მარტივი რეგულაციის უნარიც უყალიბდება. მაგრამ ამ ასაკში ეს უნარი პირობითი რეფლექსების შემუშავების სახეს ატარებს.

2. მდგომარეობა იცვლება მეორე წლიდან, როდესაც იწყება სიტყვიერი ურთიერთობა დიდებსა და ბავშვს შორის. აკრძალვის, გაჯავრების, წაქეზებისა და აღერისის გავლენით ბავშვს უკვე მესამე წლიდან თანდათან უმუშავდება, ერთი მხრივ, ნებადართული და, მეორე მხრივ, აკრძალული საქციელების მარტივი სისტემა. ბავშვი თანდათან იჩევევს ზოგიერთი მოქმედების მშუღლსების შეკავებას და გარკვეული ელემენტარული წესრიგის დაც-

ვას. ამ პერიოდის იწყება ბავშვის პირველი დისციპლინირება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნებისყოფის გასავითარებლად. დისციპლინა აჩვენებს ბავშვს უშუალო იმპულსებისაგან თავის შეკავებას და თანდათანობით ათავისუფლებს მას თავის უნებლიე იმპულსებისა და მოკემული სიტუაციის მონობიდან (შეად. თ. XI, § 1 — „აპრაქსია“). ცხადია, რომ ნებისყოფის ამ ჩანასახოვან ფორმათა განვითარება მეტად დამოკიდებულია აღზრდაზე. უთავბოლო, უსისტემო დატუქსვა და აღერსი, უგუნური განებიერება ხელს უშლის ნებისმიერი ქცევის განვითარებას; ასეთ პირობებში ბავშვი კირვეული ხდება და ადვილად ექვემდებარება თავის იმპულსებს.

3. ამავე პერიოდში ისევ მეტყველების დაუფლებასთან და ფეხის ადგმასთან დაკავშირებით, თავს იჩენს ნებისყოფის განვითარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — ეს არის ბავშვის მიერ პატარ-პატარა დავალებების შესრულება, რასაც სკოლამდელის წინარე და სკოლამდელ ასაკში ბავშვი ჩვეულებრივ დიდი ხალისით აკეთებს. ამ დავალებათა შესრულება აზროვნებასთან ერთად უვითარებს ბავშვს მიზანდასახული, ნებისმიერი მოქმედების უნარს, ე. ი. საფუძველს უქმნის ნებისყოფის განვითარებას (იხ. ზემოთ § 1). ამ დავალებათა შესრულების პროცესში, ისე როგორც თამაშის პროცესში, ბავშვი ეჩვევა მეტ-ნაკლები დაბრკოლებების გადალახვასაც მიზნის მისაღწევად, — რაც აგრეთვე ნებისყოფის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს შეადგენს — და თავის ძალების მიზანდასახულ დაძაბვას.

4. ნებისყოფის განვითარებაში ახალ ეტაპად მეოთხე წელი ითვლება ამ პერიოდს „პირველი ენინიანობის ხანას“ ანდა ნეგატივიზმის ხანას უწოდებენ. ეს არის ბავშვის „მე“-ს პირველი გაცნობიერების ასაკი, ხუბიუქტის თვითცნობიერების პირველი გავლიების ასაკი.

ამ ასაკში ბავშვი მიისწრაფვის გავლიძებულ სურვილთა და ლტოლვათა დასაკმაყოფილებლად, ებრძვის მათ ყოველგვარ შეზღუდვას დიდების მხრივ — ყოველ ნაბიჯზე ცდილობს არ დაემორჩილოს ამ თავის სურვილთა შემზღუდავ წესებს, არ შეასრულოს დიდის მოთხოვნა, ენინიანობს, ჭიუტობს და, საზოგადოდ, ყველაფერში ნეგატივიზმს იჩენს.

თუ ბავშვის ამ ენინიანობას არ მიეცა გასაქანი, თუ აღმზრდელი სისტემატურად და ყოველთვის მოითხოვს წესების შესრულებას. მაშინ სიჭიურტე და ენინიანობა მალე გადაივლის და გავლიძებული მე-ს ცნობიერება ნებისყოფის განვითარებას დაედება საფუძვლად.

ბავშვი თანდათან დისციპლინირებული ხდება, ექვემდებარება წესებს და თავის იმპულსთა და მისწრაფებათა დამორჩილებას ეჩვევა, რაც ნებისყოფის განვითარებაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. ამ პერიოდიდან იწყება ობიექტურად არსებული წესისა და ობიექტურად არსებული კანონზომიერების პირველი ცნობიერების განვითარება. იწყება ნებისმიერი ქცევის სწრაფი განვითარება. ამ ეტაპზე ნებისყოფის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს თამაშის კოლექტიური ფორმები, სადაც ბავშვი იძულებული ხდება დაემორჩილოს თამაშის საზოგადო წესს და კოლექტივის ინტერესებს, კოლექტივის მიერ მიღებულ წესებს და ა. შ.

5. მნიშვნელოვან როლს თავის იმპულსების შეკავების უნარის განვითარებაში ასრულებს აგრეთვე სხვადასხვა კონსტრუქციული თამაშობანი (საშენი მასალით, კონსტრუქტორებით თამაში და ა. შ.). საქმე ისაა, რომ ამ მასალიდან რაიმეს აგება, ე. ი. დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ობიექტური, ფიზიკური კანონზომიერებისათვის ანგარიშის გაწევით: აქ არავითარი ნეგატივიზმი და ჟინიანობა არ კრის. ბავშვი იძულებულია შეუფარდოს ამ ობიექტურ კანონზომიერებას თავისი მოქმედება, რაც, ცხადია, აიძულებს მას თავის ჟინიანობის დაძლევას. ასე უწყობს ხელს კონსტრუქტული თამაში ობიექტური ვითარების აუცილებლობის ცნობიერების ჩამოყალიბებას, რაც ნებისყოფის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწინდარია (იხ. ზემოთ § 1).

6. სრულიად ახალი, გადამწყვეტი მნიშვნელობის ეტაპი ნებისყოფის განვითარებაში იწყება სასკოლო პერიოდში (დაახლოებით 7 წლიდან).

სასკოლო ასაკში ქცევის ნებისმიერი მიზანდასახული ფორმები უკვე ქცევის გახატონებულ ფორმას შეადგენენ. სასკოლო რეჟიმი, დისციპლინა, სწავლა, დავალებების შესრულება, კერძოდ, გაკვეთილების მომზადება და ა. შ. ყოველ ნაბიჯზე მოითხოვს ბავშვისაგან არა მხოლოდ იმპულსების შეკავებას, არამედ საზოგადოდ მისი ქცევის სისტემატურ რეგულაციას მოვალეობის ცნობიერების საფუძველზე, რაც უკვე ნებისმიერი მოქმედების მაღალგანვითარებულ უნარს, ნამდვილ ნებისყოფას მოითხოვს.

7. გარდამავალ პერიოდში, გარკვეულ ბიოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით, ნებისყოფის განვითარება, როგორც საზოგადოდ პიროვნების განვითარება, „კრიზისს“ განიცდის (იხ. ზემოთ § 1). ეს არის „მეორე ნეგატივიზმის ხანა“; მას ახასიათებს ნეგატიური რეაქციები, ავტორიტეტების უარყოფა, თვითნებობა და ა. შ. მაგრამ

ამავე ასაკში ისახება ხოლმე მაღალი ინტერესები, იდეალები, რომელთა განვითარება ამ პერიოდის გადალახვის შემდეგ ნებისყოფის ონტოგენეტურ განვითარებაში უმაღლესი საფეხურის საფუძველს წარმოადგენს: ამ ეტაპზე ყალიბდება იმ მაღალ მოთხოვნილებათა სისტემა, რომელიც საზოგადოდ ნებისყოფის „ბაზას“ შეადგენს (იხ. თ.: XI, § 8); ყალიბდება მსოფლმხედველობა და მტკიცე იდეალები, ისახება ნებისმიერი მოქმედების მტკიცე მოტივები და ა. შ.



## შ ი ნ ა პ რ ს ი

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა . . . . . 3

### თ ა ე ი პ ი რ ვ ე ლ ი

#### ფსიქოლოგიის ზოგადი საფუძვლები

- § 1. ფსიქოლოგიის საგანი . . . . . 5  
რას შეისწავლის ფსიქოლოგია 5. ფსიქოლოგიის საგნის გაგების ძირითადი ეტაპები 7.
- § 2. ფსიქოლოგიის მეთოდები . . . . . 13  
ექსპერიმენტი 13. თეითდაკვირვება 15. სხვათა დაკვირვება 16.
- § 3. ფსიქოლოგიის დარგები . . . . . 17  
ზოგადი ფსიქოლოგია 17. დიფერენციალური ფსიქოლოგია 18. გენეტიკური ფსიქოლოგია 18. სოციალური ფსიქოლოგია 19. პათოფსიქოლოგია 19. პედაგოგიური ფსიქოლოგია 20. შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია 20.
- § 4. უმაღლესი ნერვული მოქმედების საფუძვლები . . . . . 21  
ნერვული სისტემა 21. უმაღლესი ნერვული მოქმედება 25. პირობითი რეფლექსის შემუშავება 26. უმაღლესი ნერვული მოქმედების ძირითადი პრინციპები 32. დიდი ტვინის მოქმედების სტრუქტურული ბუნება 35.
- § 5. ფსიქიკის განვითარება ფილოგენეზში . . . . . 37  
ფსიქიკის აღმოცენება 37. ცხოველთა ქცევის განვითარება ფილოგენეზში 39. ადამიანის ცნობიერების განვითარება 42.
- § 6. ადამიანის ფსიქიკის ზოგადი დახასიათება . . . . . 45  
ფსიქიკის ძირითადი თვისებები 45. ფსიქიკურ პროცესთა კლასიფიკაცია 48.

### თ ა ე ი მ ე ო რ ე

#### შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა

- § 1. შეგრძნებათა ზოგადი დახასიათება . . . . . 50  
შეგრძნებები აღქმის შინაარსს შეადგენენ 50. შეგრძნებების აღმოცენება 51. საკითხი შეგრძნების ორგანოთა „სპეციფიკური ენერჯის“ შესახებ 52. შეგრძნების ორგანოთა მგრძნობიერება (შეგრძნების

ზღურბლები) 54. შეგრძნების ზღურბლთა დადებითი მნიშვნელობა	57.
შეგრძნებათა ზოგადი თვისებები ანუ მხარეები	59. შეგრძნებათა მო-
დალობების კლასიფიკაცია	60.
§ 2. შეგრძნებათა ცალკე მოდალობები	62
მხედველობის შეგრძნებები	62
გამლიზიანებელი 62. რეცეფტორი 63. სინათლის, ანუ ნეიტრალური	
ფერის შეგრძნებები 64. სპექტრალური ფერების შეგრძნებები 65.	
ფერთა შერევა 66. ფერთა კონტრასტის მოვლენა 67. ოპტიკური თან-	
მიმდევარი კვალი 67. ადაფტაცია 68. ბინდის მხედველობა 69. არა-	
პირდაპირი ანუ გვერდითი მხედველობა 70. მხედველობის შეგრძნე-	
ბათა დარღვევები 70.1 ფერის შეგრძნების ზემოქმედება ადამიანზე 71.	
სმენის შეგრძნებები	72
რეცეფტორი 72. ხმაური და ტონი 73. ტონთა თვისებები 73. ტონთა	
შერევა 75. ყნოსვა 76. გემოს შეგრძნება 77. შეხების შეგრძნება 78.	
ტემპერატურის შეგრძნება 80. ვიზრაციის შეგრძნება 81. 'კინესთე-	
ტიკური შეგრძნებები 81. წონასწორობის შეგრძნება 83. ორგანული	
შეგრძნებები 85.	
§ 3. შეგრძნებათა მოდალობების ურთიერთკავშირი	87

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ა ლ ქ მ ა

§ 1. ალქმის ძირითადი თვისებები	91
ალქმა და შეგრძნება 91. ალქმის საგნობრივობა 92. ალქმის კატეგორია-	
ლობა ანუ აზრიალობა 93. ალქმის სტრუქტურული მთლიანობა 95.	
ალქმის კონსტანტობა 99. ალქმის პიროვნებისეული ხასიათი 102.	
§ 2. ალქმის ილუზიები	107
§ 3. სივრცისა და დროის ალქმა	109
სივრცის ალქმის ზოგადი დახასიათება 109. სივრცის ალქმის ძირითადი	
ფაქტორები 111. დროის ალქმა 114.	
§ 4. ალქმის ფიზიოლოგიური საფუძველები	116
§ 5. დავიერება	117

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა

§ 1. ყურადღების ზოგადი დახასიათება	118
§ 2. ყურადღების ძირითადი თვისებები	121
ყურადღების მოცულობა 121. ცნობიერების არე 122. ყურადღების	
ინტენსივობა 123. ყურადღების რხევადობა 123. ყურადღების შეგუ-	
ება 124. ყურადღების გადანაცვლება 124. ყურადღების განაწილე-	
ბა 125. ყურადღების გამძლეობა ანუ სტაბილობა 127. ყურადღების	
სიმყარე ანუ გადაუხარადობა 128.	
§ 3. ყურადღების ძირითადი სახეები ანუ ფორმები	128
§ 4. ყურადღების ტიპები	130

ყურადღების განაწილებული და კონცენტრირებული ტიპი 130. ყურადღების ადვილი და ძნელი გადასაცემების ტიპები 131. ყურადღების სწრაფი და ძნელი შეგუების ტიპები 131. სტაბილური და ლაბილური ყურადღების ტიპი 132. ყურადღების მყარი და გადახრადი ტიპი 132.

ყურადღების ფაქტორები

133

ყურადღების გამომწვევ ფაქტორთა კლასიფიკაცია 133. ობიექტური ფაქტორები 134. შინაგანი ანუ სუბიექტური ფაქტორები 137. ყურადღების ნეგატიური ფაქტორები 138.

ყურადღების ფიზიოლოგიური საფუძვლები და პათოლოგიური დაქვეითება

139

ყურადღების ფიზიოლოგიური საფუძვლები 139 ყურადღების პათოლოგიური დაქვეითება 140.

## თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

### მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა

§ 1. მებსიერების ცნება 142

მებსიერება ფართო მნიშვნელობით 142. „მნემე“ 144.

§ 2. მებსიერების სახეები ანუ ფორმები 145

უშუალო ანუ ხანმოკლე მებსიერება („შემჩნევის უნარიანობა“) 145. ცნობის მებსიერება 147. პერსევერაცია 149. ასოციაციური მებსიერება 150. ზოგადი დახასიათება 150. წარმოდგენა 151. „ასოციაციის კანონები“ ძველ ფსიქოლოგიაში 153. ასოციაციის თანამედროვე გაგება 155. ასოციაციის ფიზიოლოგიური საფუძველი 158 ნებისმიერი მებსიერების ზოგადი დახასიათება 159.

§ 3. დასწავლის ფაქტორები 161

ნებისყოფის ფაქტორი 162. აქტივობის ფაქტორი 163. ინტელექტუალური ფაქტორი 164. ინტერესის ფაქტორი 164. გამოცდილების ფაქტორი 165. სტრუქტურისა და ციხის ფაქტორი 165. ფიზიოლოგიური ფაქტორები 166. შეგრძნების მოძალადის ფაქტორი და მებსიერების ტიპები 167.

§ 4. დასწავლის წესები და კანონზომიერებანი 169

„გლობალური დასწავლის“ წესი 169. „პროგრესული დასწავლის“ წესი 169. მასალის მოცულობის გავლენა დასწავლის სისწრაფეზე 170. განმეორებათა შორის ინტერვალი 170. ინტერვალის თანდათანობითი გადიდება 171. გამეორების რიგითი ადგილის კანონი 171. ჰაქერფიქსაციის წესი 172. მასალის ადგილმდებარეობის კანონი 172. მასალის გაერთიანების წესი 172. აქტიურ გამეორებათა წესი 173. „ბუნებრივი ტემპით“ კითხვის წესი 173. დასწავლის უნარის განვითარება დასწავლის შედეგად 174.

§ 5. დაეიწეება 174

დაეიწეების მნიშვნელობა 174. დაეიწეების გამოვლინებანი 175. დაეიწეების პარადოქსალური ფორმა 176. დაეიწეების მიმდინარეობა 177.

§ 6. მებსიერების პათოლოგია 179

## თავი მეექვსე

### ჩვევები

ჩვევის ზოგადი დახასიათება 182. ჩვევათა სახეები 184. ჩვევათა მნიშვნელობა 186. ჩვევათა შემუშავება 188. ჩვევათა შორის დამოკიდებულება 192. ჩვევათა დარღვევა 193. ჩვეულებანი 194.

## თავი მეშვიდე

### აზროვნება

- § 1. აზროვნების ზოგადი დახასიათება . . . . . 196  
ძირითად შემეცნებით ფუნქციათა შორის სხვაობა 196. მიმართებათა ასახვა 197. განზოგადება 198. აზროვნების პროცესის მიზნობრივი და მთლიანობითი ხასიათი 198.
- § 2. ლოგიკური აზროვნების ძირითადი ფორმები . . . . . 199  
ცნება 199. მსჯელობა 204. დასკვნა 207.
- § 3. აზროვნების ძირითადი ოპერაციები . . . . . 208  
ანალიზი 209. განყენება ანუ აბსტრაქცია 209. სინთეზი 212.
- § 4. აზროვნების გენეტიკური ფესვები . . . . . 212  
ხატოვანი ანუ თვალსაჩინო აზროვნება 212. აზროვნებამდელი „გონიერი მოქმედება“ 216. „გონიერი ქცევის“ პირველი გამოვლინება ბავშვთან 219.

## თავი მერვე

### მეტყველება

მეტყველება და აზროვნება 221. ენა და მეტყველება 221. მეტყველების ფუნქცია 222. სიტყვა და აზრი 226. შინაგანი მეტყველება 227. წერითი მეტყველება 228.

## თავი მეცხრე

### წარმოსახვა

- § 1. რა არის წარმოსახვა ანუ ფანტაზია? . . . . . 229
- § 2. წარმოსახვის ძირითადი ოპერაციები . . . . . 231
- § 3. წარმოსახვის ფორმები ანუ სახეები . . . . . 234  
პასიური ფანტაზია 234. უნებლიე ფანტაზიის შეზღუდული გამოვლინის ფორმები 234. ფანტაზიის მოქმედება აღქმის პროცესში 235. ფანტაზიის მონაწილეობა მეხსიერების პროცესში 235. ფანტაზიის მონაწილეობა მომავალი სიტუაციის გააზრებაში 236. უნებლიე ფანტაზიის თავისუფალი გამოვლინება. სიზმარი. ოცნება 237. აქტიური ფანტაზია 240. რეპროდუქტიული ფანტაზიის ცნების უმართებულობა 242.
- § 4. წარმოსახვას ზემოქმედება სუბიექტზე . . . . . 243

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი

§ 1. გრძნობის ცნება	247
გრძნობა და შეგრძნება 247. გრძნობა და ორგანული შეგრძნება 249. წემს-ლანგეს თეორია 249. წემს-ლანგეს თეორიის კრიტიკა 251. გრძნობის ფიზიოლოგიური საფუძვლები 253.	
§ 2. გრძნობის ძირითადი თვისებები	254
გრძნობის სუბიექტურობა 255. „ემოციური განცდის ერთიანობა“ 255. პოლარობა 256. ამბივალენტობა 256. გრძნობის დინამიკურობა 257. გრძნობის ინტენსივობა 257. გრძნობის ექსტენსივობა 258. გრძნობის სიმტკიცე ანუ ხანგრძობა 258. გრძნობის სიღრმე 259. გრძნობათა სერიოზულობა-არასერიოზულობა 260.	
§ 3. გრძნობათა კლასიფიკაცია	261
„საგნობრივი გრძნობები“ და ემოციები 261. მარტივი და რთული გრძნობები 262. ესთეტიკური გრძნობები 263. ინტელექტუალური გრძნობები 264. მორალური გრძნობები 265. ემოციათა სახეები 265.?	

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

ნ ე ბ ი ს მ ე ო ჟ ა

§ 1. ნებისმიერი მოქმედების ცნება	270
იმპულსური და ნებისმიერი მოქმედება 270. აპრაქსია 271. მოტივი 272.	
§ 2. ნებისმიერი მოქმედების პეროდები	272
§ 3. ნებისმიერი მოქმედების ფსიქოლოგიური საფუძვლები	274

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე

პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ფ ს ი ქ ი კ უ რ ი თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი

§ 1. ტემპერამენტი	279
ტემპერამენტის ცნება 279. ტემპერამენტის ტიპები 280. ტემპერამენტის ფიზიოლოგიური საფუძვლები 283.	
§ 2. ხასიათი	284
ხასიათის ცნება 284. ხასიათის ჩამოყალიბება 286. ხასიათის მხარეები და თვისებები 287.	
§ 3. ინტერესები	289
§ 4. ზოგადი გონიერება, ნიჭი და ნასახი	291
ნიჭი და ნასახი 291. ზოგადი გონიერება 293.	

თ ა ვ ი მ ე ტ ა მ ე ტ ე

ბ ა ე შ ე ი ს ფ ს ი ქ ი კ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა

§ 1. ბაეშეის ასაკობრივ თავისებურებათა ზოგადი დახასიათება	296
ძუძუს ასაკი 297. სკოლამდელის წინარე პერიოდი 299. სკოლამდე-	

ლო ასაკი 304. პირველი სასკოლო პერიოდი 311 მეორე სასკოლო  
ანუ გარდამავალი ასაკი 317.

- § 2. ფსიქიკურ ფუნქციათა განვითარება ონტოგენეზში . . . . . 323  
ალქმის განვითარება 323. ყურადღების განვითარება 325. ძეხსიერე-  
ბის განვითარება 328. აზროვნების განვითარება 331. მეტყველების  
განვითარება 339. წარმოსახვის განვითარება 341. გრძნობათა ონტო-  
გენეტური განვითარება 346. ნებისყოფის ონტოგენეტური განვითა-  
რება 349

რედაქტორი მ. ჯანელიძე  
ტექნედაქტორი ი. ხუციშვილი  
კორექტორი ნ. ცაგარეიშვილი

სბ I398

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IV-88წ.  
ქაღალდის ფორმატი 60×90/16  
ნაბეჭდი თაბახი 22,5  
საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 18,94

შეკეთა 26 36

ტირაჟი 2000

ფახი 1 მან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჯავახიშვილის პროსპექტი, 14.  
Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა,  
თბილისი 380060, კუტუზოვის 19  
Типография АН ГССР  
Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19